ყოველდღიურ საქმიანობაში ადამიანს უამრავი გადაწყვეტილების მიღება უხდება. გადაწყვეტილების მიმღები ყოველი პიროვნება დაინტერესებულია შედეგი იყოს, რაღაც აზრით, საუკეთესო (ოპტიმალური).

როდესაც ადამიანი შეგნებულად უდგება საკითხს, ვიდრე კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს, აანალიზებს მას; აწონ-დაწონის, გადაალაგებს ყველა პლიუსს და მინუსს; თავისთვის სასარგებლო და საზიანო ფაქტორებს და მხოლოდ შემდეგ ღებულობს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღება მით უფრო რთულია, რაც უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდები საკითხს. მაგრამ ეგეც არის, ზოგჯერ ამ აწონ-დაწონაში შეიძლება საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების მომენტი ხელიდან გაუშვა, ამიტომ არის ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების პროცესი რთული და ამავე დროს, საინტერესო.

საუკუნეების მანძილზე გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ინტუიციაზე, გამოცდილებასა და ლოგიკურ განსჯაზე დამოკიდებულებით. მაგრამ დროთა განმავლობაში, გადაწყვეტილების მიღების ამოცანები გართულდა, გაიზარდა მასში მონაწილე პარამეტრების რაოდენობა, შედეგი დამოკიდებული იყო უკვე არა ერთ, არამედ რამდენიმე მაჩვენებელზე და ამდენად, რაღაც აზრით, საუკეთესო გადაწყ-ვეტილების მიღების ძველი მეთოდები უკვე ვეღარ იძლეოდა დამაკმაყოფილებელ შედეგს. საჭირო გახდა მათემატიკური მეთოდებისგამოყენება

მათემატიკური მოდელირებისმეთოდები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გამოთვლითი ხასიათის ამოცანების ამოხსნის, არამედ უამრავი სხვა სფეროდან აღებული პრობლემის გადასაწყვეტად.

საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღება განსაკუთრებით ხშირად გვესაჭი-როება ეკონომიკური ხასიათის პრობლემებში. ამდენად, ეკონომიკურ-მათემატი-კურ მეთოდებს და მოდელებს და მათ სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური პროფილის სტუდენტებთან დაარა მარტომათთან. უფრო მეტიც, თუ ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებს შესაბამისი სალექციო კურსით ვუყალიბებთ მათემატიკური აზროვნებას და ვაიარაღებთ მათემატიკური მეთოდების ცოდნით, საუკეთესო ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისათვის, მათემატიკის სპეციალობის სტუდენტს თვალსაჩინო ამოცანებით ვაჩვენებთ, თუ რა მნიშვნელოვანიპრაქტიკული გამოყენება აქვს, ერთი შეხედვით, მშრალ მათემატიკურ გამოთვლებს. აქვე უპრიანია, მოვიყვანო ერთი ცნობილი გამოთქმა, რომ "მეცნიერებამ მხოლოდ მაშინ შეიძლება მიაღწიოს სრულყოფას, როცა იგი თავის კვლევაში იყენებს მათემატიკას (მათემატიკურ მეთოდებს)".

კაცობრიობის შეგნებულ არსებობის პირველი დღიდანვე ადამიანები ცდილობდნენ თავიანთი ცხოვრება გაეხადათ უფრო საინტერესო და მარტივი; შეექმნათ ხელსაწყოები და მიეგნოთ ისეთი მეთოდებისათვის, რაც გაუადვილებდათ არსებობას (აღნიშნულ საკითხებზე უამრავი ლიტერატურა არსებობს).

თუ მათემატიკის სწავლების ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ის ამოცანები, რომელთაც პრაქტიკული ღირებულება აქვთ დღეს, ასევე ღირებული იყო საუკუნეების წინათაც. უფრო მეტიც, თავდაპირველად საგნის განვითარებას სწორედ პრაქტიკიდან აღებული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობამ შეუწყო ხელი.

გადაწყვეტილების მიღება, დასმულ პრობლემაში მონაწილე უამრავი პარამეტრის, უამრავი გარეშე თუ შიგა ზემოქმედი ფაქტორების გამო, შეუძლებელია მათემატიკური მეთოდების გამოყენების გარეშე.

მათემატიკის, როგორც მეცნიერული შემეცნების საშუალების უპირატესობა კარგად ჩანს მათემატიკური მოდელების აგების დროს, რომლებიც გარკვეული სახით წარმოგვიდგენენ გამოსაკვლევ ობიექტს. მართალია, შესაბამისი მოდელი არ წარმოადგენს საკვლევი ობიექტის ზუსტ ასლს, მაგრამ გარკვეული დაშვებებით, შეასაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალური მიახლოებით იგი გამოხატავს გამოსაკვლევი ობიექტის ხასიათს და წარმოგვიდგენს მის ძირითად კავშირებს, მის კომპონენტებს შორის არსებულ თანადობას.

ტერმინი “მოდელი” ფართოდ გამოიყენება, როგორც მეცნიერულ, ასევე, ზოგად სასაუბრო მნიშვნელობით; ამავე, დროს განსხვავებულ სიტუაციებში მას სხვადასხვა აზრი ენიჭება. ლათინური წარმოშობის სიტყვა “მოდელი” ნიშნავს საზომს, ნიმუშს, ნორმას. ამჟამად, ფართოგაგებით, ძირითადად “მოდელში” იგულისხმება ან ობიექტის ჩვენთვის საინტერესო სახე, ან პირიქით, რაიმე ობიექტის წინასახე. გარდაამორიაზრისა,სიტყვა “მოდელს” გააჩნია აგრეთვე გამოყენების სხვა და სხვა შუალედურიგ აგებაც. “მოდელის” ცნებას, მისი ცალსახად განსაზღვრის მიზნით, ჩვენ დავუკავშირებთ კვლევის ფართოდ გავრცელებულ მეთოდს, რომელსაც მოდელირება ჰქვია. მოდელირებაში იგულისხმება ობიექტის შესწავლა არაპირდაპი რიგზით, ზოგიერთი სხვა დამხმარ ეობიექტის ანალიზის საშუალებით. ასეთ დამხმარე ობიექტს ჩვენ ვუწოდებთ მოდელს.

საზოგადოდ, არსებობს მოდელთა რამდენიმე ტიპი, რომელთაგან ჩვენ განვიხილავთ მათემატიკურ მოდელებს.

ოპერაციათა კვლევის დარგში მთავარი როლი მათემატიკურ მოდელირებას ეკუთვნის, რადგან ნებისემიერ სიტუაციაში, სადაც მოითხოვება გადაწყვეტილების მიღება, რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისა სსჭიროა რაიმე მათემატიკური მოდელის აგება.

მეცნიერულ გამოკვლევებში მოდელირება უძველესი დროიდან გამოიყენებოდა, გამოიყენებოდა არაერთ რომელიმე დარგში, არამედ სრულიად განსახვავებულ დისციპლინებში [1], [3].

მოდელირება იყოფა ორ დიდ კლასად - მატერიალური (რაოდენობრივი) მოდელები და იდეალური (გონებრივი), რომლებიც თავის მხრივ კიდევ იყოფა ცალკეულ სახეობებად.

ყველა სახის მოდელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათემატიკურ მოდელებს.

ნებისმიერი ობიექტის (იქნება ეს მოვლენა თუ პროცესი) მათემატიკური მოდელი შეიცავს ელემენტთა 3 ჯგუფს:

- ობიექტის მახასიათებლები, რომლებიც უნდა განისაზღვროს (უცნობი სიდიდეები);
- მოდელირებადი ობიექტის მიმართ გარემო პირობების ცვლილებების მახასიათებლები;
- ობიექტის შიგა პარამეტრთა ერთობლიობა.

მათემატიკური მოდელი შეიძლება გავიგოთ, როგორც ობიექტის გარე პირობების (X) და ობიექტის საძიებელ მახასიათებელთა (Y) გარდამქმნელი.

მათემატიკურ მოდელში უნდა აისახოს ის ძირითადი კავშირები, რაც არსებობს გარე პირობებს, შიგა პარამეტრებსა და საძიებელ მახასიათებლებს შორის.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების დამუშავება და გამოყენება გვიჩვენებს დაგეგმვისა და მართვის ამოცანების გარკვეული სისტემის ამოსახსნელად აუცილებელი ეკონომიკური ინფორმაციის სრულყოფის გზებს.

პრაქტიკული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისას მათემატიკური მოდელების გამოყენებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს.

პირველი: მათემატიკური მოდელები საშუალებას გვაძლევს, მოვაწესრიგოთ ეკონომიკური ინფორმაციის სისტემა, აღმოვაჩინოთ არსებული ინფორმაციის ნაკლი და ან კორექტირება გავუკეთოთ ძველს, ან მოვითხოვოთ ახალი ინფორმაცია.

მეორე: ეკონომიკური ამოცანების ფორმალიზაცია და ეგმ-ის (ელექტრონული გამომთვლელი მანქანა) გამოყენება მრავალჯერ ამცირებს ტიპური, მასობრივი გაანგარიშებების სიჩქარეს, ამაღლებს მის სიზუსტეს, საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ რთული სისტემის მრავალვარიანტიანი ეკონომიკური გაანგარიშებები.

მესამე: მოდელირების გამოყენება საშუალებას გვაძლევს, მნიშვნელოვნად გაძლიერდეს კონკრეტული რიცხობრივი ანალიზის საშუალებანი: ეკონომიკურ პროცესებზე მოქმედი მრავალი ფაქტორის ურთიერთგავლენის შეცვლა, ეკონომიკური ობიექტების განვითარების პირობების ცვლილებების შედეგების რიცხობრივი შეფასება და სხვა.

მეოთხე: მათემატიკური მოდელირება საშუალებას იძლევა, ამოვხსნათ ისეთი ეკონომიკური ამოცანები, რომელთა ამოხსნა სხვა გზით პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგალითად: სახალხო მეურნეობის გეგმის ოპტიმალური ვარიანტის პოვნა, მსხვილი სახალხო სამეურნეო ღონისძიების იმიტაცია და ა. შ.

ასე რომ, შეიძლება გამოიყოს გამოყენებით ეკონომიკურ გამოკვლევებში მათემატიკური მეთოდების გამოყენების ოთხი ძირითადი სფერო მაინც.

- ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის სრულყოფა;
- ეკონომიკური გაანგარიშებების ინტენსიფიკაცია (მათი ალგორითმიზაციის ჩათვლით);
- ეკონომიკური პრობლემების რაოდენობრივი ანალიზის გაღრმავება;
- რაოდენობრივი ეკონომიკური გამოკვლევების სფეროს გაფართოება, რაც პრინციპულად ახალი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობს.

მაგრამ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ყველა ეკონომიკური ამოცანისთვის შეიძლება შესაბამისი მათემატიკური მოდელის შედგენა. არსებობს პრობლემები, რომელთა ფორმალიზაცია და შესაბამისი მათემატიკური მოდელის შედგენა ბევრად უფრო რთულ პრობლემებს წარმოადგენს, ვიდრე თავისთავად ამ პრობლემის გადაწყვეტა.

ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია, გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა მის წინაშე მდგომი პრობლემა ჩამოაყალიბოს ამოცანის სახით, ანუ მთავარია - ამოცანის დასმა. და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაისახოს მისი გადაჭრისა და რაღაც აზრით საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების გზები.

არამარტო ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემების, არამედ ნებისმიერი ცხოვრებისეული საკითხის გადაწყვეტისას, წარმატება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად აქვს პიროვნებას გაცნობიერებული მის წინაშე მდგომი ამოცანა, რამდენად კარგად ესმის, თუ რა უნდა.

ხშირად, როდესაც მსგავს საკითხებს ვეხებით, სტუდენტებს ვუსვამთ შეკითხვას - იციან, რა უნდათ? კარგად აქვთ გაცნობიერებული მიზანი, რისთვისაც შემოვიდნენ უნივერსიტეტში, ან შეუდგნენ ამათუიმ საქმის კეთებას? კარგად გაცნობიერებული მიზანი წარმატების საწინდარია და ხშირად გადაწყვეტის გზებიც უფრო ადვილი საპოვნელია, ისევე როგორც მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას. რაც უნდა ადვილი იყოს მათემატიკური ამოცანა, მას ვერაფრით ამოვხსნით, თუ შინაარსი კარგად არ გავიგეთ. და პირიქით, ურთულესი ამოცანის ამოხსნაში მათემატიკურ მეთოდებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი, შინაარსის კარგად გაგება და მიზნის დანახვაა.

ამოცანის დასმის შემდეგ, აუცილებელია ამ ამოცანის ანალიზი; ცნობილი და საძიებელი სიდიდეების დადგენა და მათ შორის თანაფარდობების დამყარება. ნებისმიერი მოდელი მხოლოდ მიახლოებით აღწერს გამოსაკვლევ პროცესს და ამდენად, მთავარია, შევძლოთ არსებითის, ძირითადის გამოყოფა და მეორეხარისხოვანის გამორიცხვა. გადაწყვეტილების მიმღები პირის ხელოვნება და პროფესიონალიზმი სწორედ აქ გამოჩნდება - მან უნდა შეძლოს პარამეტრთა სიმრავლიდან ძირითადის დანახვა და ამორჩევა [1].

ცხოვრებაშიც ასეა. დიდაქტიკურ-დამრიგებლური თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში მომენტის შესაფერისად მიმაჩნია ერთი აღმოსავლური იგავის გახსენება, როდესაც მოძღვარმა მოსწავლეებს უბრძანა, ცარიელი ჭურჭელი დიდი ქვებით აევსოთ. აავსეს - „მეტი აღარ ეტევაო“. შემდეგ უფრო წვრილი კენჭები ჩააყრევინა - „აივსო, მეტი აღარ ჩაეტევაო“. შემდეგ სილა ჩააყრევინა და როცა კვლავ უთხრეს: „აივსო, მეტი აღარაფერი ჩაეტევაო“, უბრძანა, ლუდი ჩაესხათ და შესაბამისი დასკვნაც ერთად გამოიტანეს, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვნად და დასაფიქრებლად მიმაჩნია: ვიდრე გონება ახალგაზრდაა, სუფთაა და მზადაა შეივსოს, წვრილმანებს არ უნდა გამოვედევნოთ. მიზანი არსებითი და მნიშვნელოვანი უნდა იყოს. პირველ რიგში, მნიშვნელოვან საკითხებს უნდა შევეხოთ, რაც დიდ ძალისხმევასა და შრომას მოითხოვს, დრო წვრილმანებზე არ უნდა დავხარჯოთ. თანდათან შევავსოთ უფრო მცირე და ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტებით და როცა ცოდნის მიღების მძიმე შრომას მოვათავებთ და „ცარიელ ჭურჭელს“ შევავსებთ, მხოლოდ შემდეგ გვაქვს უფლება, თავს მოსვენების და „ლუდის დალევის“ საშუალება მივცეთ.

კარგად დანახული და ჩამოყალიბებული მიზანი, წარმატების ნახევარი მაინცაა. ასეა მათემატიკური მეთოდების გამოყენების დროსაც.

საკუთრივ მათემატიკური მოდელის შედგენის დროს, თეორიული მსჯელობის საფუძველზე დაფიქსირებულ ცნობილ და საძიებელ სიდიდეებსა და მათ შორის დადგენილ თანაფარდობებს მათემატიკურ სახეს ვაძლევთ, ანუ გამოვხატავთ მათემატიკური სიმბოლოებისა და თანაფარდობების საშუალებით.

როდესაც სტუდენტებთან მათემატიკური მოდელირების საკითხებზე ვიწყებთ საუბარს, ყოველთვის აღვნიშნავთ, რომ ერთ-ერთი პირველი უმარტივესი მათემატიკური მოდელი, რომელსაც საშუალო სკოლის პროგრამაში ვხვდებით, არის ამოცანები განტოლების შედგენით.

ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებთან (და არამარტო მათთან), მიზანშეწონილად მიმაჩნია განვიხილო პრაქტიკული ამოცანები, რომელთა ამოხსნა ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობის მოძებნაზე დაიყვანება. აქ კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს კლასიკური მათემატიკური მეთოდების ცოდნის საჭიროებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მესახება, ვინაიდან ახალი სასწავლო პროგრამების ფარგლებში მნიშვნელოვნად არის შემცირებული მათემატიკის როლი არამარტო ეკონომიკური და სხვა საუნივერსიტეტო სპეციალობების სტუდენტებთან, არამედ თავად მათემატიკის სპეციალობაზეც. ხოლო საგანი ,,ოპტიმიზაციის მეთოდები“ საერთოდ აღარ ისწავლება.

თუ მათემატიკის სწავლების ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ის ამოცანები, რომლებსაც პრაქტიკული ღირებულება აქვთ დღეს, ასევე ღირებული იყო საუკუნეების წინათაც. უფრო მეტიც, თავდაპირველად საგნის განვითარებას სწორედ პრაქტიკიდან აღებული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობამ შეუწყო ხელი.

ვინაიდან დღევანდელი საუნივერსიტეტო სწავლება მრავალპროფილიანი განათლების მიღებას გულისხმობს, სადაც სტუდენტი სავალდებულო განათლებასთან ერთად დამატებით სპეციალობასაც იღებს, ამდენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სტუდენტებს მივაწოდოთ მასალა, რომელიც არამარტო მას დააინტერესებს, არამედ სხვა სპეციალობის სტუდენტებსაც მოიზიდავს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პრაქტიკული, გამოყენებითი ეკონომიკური ხასიათის ამოცანების მიწოდება, რომლებშიც სწორი გადაწყვეტილების მიღებაა არსებითი და მნიშვნელოვანი.

სწორი გადაწყვეტილების მიღება წარმოებისა და პრაქტიკის ყველა სფეროში აუცილებელია. გადაწყვეტილების მიღების ამოცანები მოიცავს სრულიად განსხვავებული სფეროდან აღებულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტისთვის მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებიდან აღებული მეთოდები გამოიყენება. მაგრამ ვიდრე გადაწყვეტილების მიღებისთვის მათემატიკურ მეთოდებს გამოვიყენებდეთ, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია გამართული მათემატიკური მოდელის აგება.

ერთი და იგივე მათემატიკური მოდელით შეიძლება აღიწეროს სრულიად განსხვავებული ბუნების პროცესები, ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული სფეროდან აღებული პრობლემები. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს.

პრაქტიკულად ხშირად გვხვდება კონფლიქტური სიტუაციები, რომლის შესაბამისი მათემატიკური მოდელი წარმოადგენს ე. წ. თამაშს [3], [4].

თამაშთა თეორია ზოგჯერ განისაზღვრება, როგორც კონფლიქტური სიტუაციის მათემატიკური მოდელი.

სიტუაციას ეწოდება კონფლიქტური, როდესაც ერთმანეთს ეჯახება ერთი ან რამდენიმე მხარის ინტერესები. მხარეებს მოთამაშეები ეწოდებათ. ყოველი მოთამაშე იღებს გადაწყვეტილებას თამაშის პროცესში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. თავად მოთამაშის მიერ შესაძლო მოქმედების არჩევა თამაშის წესებით განისაზღვრება.

ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს მკითხველისთვის თამაშთა თეორიის ელემენტების გაცნობა, მაგრამ ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ სამხედრო სფეროდან აღებულ ერთ ამოცანას მივაწვდით, რომელშიც მოცემულია რეკომენდაცია, თუ კონკრეტულ სიტუაციაში კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა რა გადაწყვეტილება მიიღონ [4].

ამოცანის პირობა შემდეგში მდგომარეობს: საბრძოლო ოპერაციაში ორი მხარე მონაწილეობს. A მხარე B მოწინააღმდეგის პოზიციებზე გზავნის ორ ბომბდამშენს, I-სა და II-ს. I მიფრინავს წინ, მეორე — მის უკან. ერთ-ერთ ბომბდამშენს მიაქვს ბომბი, მეორე კი — გამყოლია. მოწინააღმდეგის რაიონში ბომბდამშენებს წინააღმდეგობას უწევს B მხარის გამანადგურებლები. ორივე ბომბდამშენი შეიარაღებულია. თუ გამანადგურებელი თავს ესხმის უკანა ბომბდამშენს, მაშინ მას იგერიებენ და პასუხობენ მხოლოდ ამ ბომბდამშენის იარაღით, რომლის მიერ გამანადგურებლის ჩამოგდების ალბათობა არის 0.3. თუ გამანადგურებელი თავს ესხმის წინა ბომბდამშენს, მაშინ მას იგერიებს როგორც პირველი, ასევე მეორე. ერთობლივად ორივე მათგანი გამანადგურებელს ჩამოაგდებს 1−(1−0.3)2=0.51-ის ტოლი ალბათობით. თუ ბომბდამშენებმა ვერ ჩამოაგდეს გამანადგურებელი, მაშინ იგი გაანადგურებს მის მიერ არჩეულ მიზანს 0.8-ის ტოლი ალბათობით.

ბომბდამშენის ამოცანაა, მიიტანოს ბომბი დანიშნულების ადგილას და გაანადგუროს მიზანი. ხოლო გამანადგურებლისა - ხელი შეუშალოს მას. მოითხოვება, ვიპოვოთ მოთამაშეთა ოპტიმალური სტრატეგიები, ანუ გადაწყვეტილების მიღების ტერმინებით რომ ვთქვათ: A მოთამაშემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რომელ ბომბდამშენში მოათავსოს ბომბი, რომ მიზნის დაზიანების უფრო მეტი ალბათობა ჰქონდეს, ხოლო B მხარისათვის - რომელს ესროლოს, რომ უფრო მაღალი იყოს ბომბის ჩამოგდების თავიდან აცილების ალბათობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამოცანა თამაშთა თეორიის ელემენტების გამოყენებით იხსნება, რომლის პრინციპების შესაბამისი მსჯელობის აქ მოტანით მინდა მოვახდინო ილუსტრირება იმ ფაქტისა, თუ რაოდენ შრომატევადია მათემატიკური მეთოდების გამოყენებით გადაწყვეტილების მიღება და რაოდენ ღრმა ცოდნას მოითხოვს იგი.

მსგავსი ამოცანების ამოსახსნელად აიგება გადახდათა მატრიცა, რისთვისაც საჭიროა, განვსაზღვროთ საშუალო მოგება სტრატეგიათა ყოველი კომბინაციის დროს. მოგება ამ შემთხვევაში განისაზღვრება I მოთამაშის პოზიციიდან გამომდინარე და არის ბომბდამშენის ჩამოუგდებლობის ალბათობა.

განვიხილოთ ყველა შესაძლო კომბინაცია:

- **A1B1** - მატარებელია I ბომბდამშენი და უტევენ მას. ბომბდამშენი გადარჩება იმ შემთხვევაში, თუ ორივე ბომბდამშენი ერთობლივად ჩამოაგდებს გამანადგურებელს, ან

ააცილებს ორივე. ბომბდამშენის გადარჩენის ალბათობა წარმოადგენს ორი შემთხვევითი მოვლენის გაერთიანების ალბათობას: 0.51+(1−0.8)(1−0.5)=0.608.

- **A2B1** - ბომბი მიაქვს მეორეს, უტევენ პირველს. ცხადია, იგი გადარჩება და შესაბამისი ალბათობა ტოლია 1-ის.
- **A1B2** - ბომბი მიაქვს პირველს და უტევენ მეორეს. ბუნებრივია, იგი გადარჩება და შესაბამისი ალბათობა ტოლია 1-ის.
- **A2B2** - ბომბი მიაქვს მეორეს და უტევენ მეორეს. ასეთ დროს ბომბდამშენი გადარჩება მხოლოდ მაშინ, თუ იგი მოახერხებს და ჩამოაგდებს გამანადგურებელს, რის ალბათობაც ტოლია 0.3, ან ააცილებს ორივე. ასეთ შემთხვევაში კი ალბათობა ტოლია (1−0.8)(1−0.3). მთლიანად გადარჩენის ალბათობა ამ ორი ალბათობის ჯამით განისაზღვრება: 0.3+0.2×0.7=0.44.

მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე შევადგენთ შესაბამის გადახდის მატრიცას, საიდანაც ცნობილი ფორმულებით (რომლებსაც კრებულის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბუნებრივია, აქ არ მოვიტან), განვსაზღვრავთ მხარეთა ოპტიმალურ სტრატეგიებსა და მოგებას. S∗A=(0.588;0.412), S∗B=(0.588;0.412), მოგება = 0.768. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ყველა შესაძლო შემთხვევათაგან 58,8%-ში ტვირთს მოვათავსებთ I ბომბდამშენში, ხოლო 41,2%-ში II ბომბდამშენში, მაშინ A მხარეს აქვს გარანტია, რომ მიზანს მიაღწევს 76,8%-იანი სიზუსტით. ასეთივეა მეორე მხარის ოპტიმალური სტრატეგიაც.

გადაწყვეტილების მიღება გვიწევს ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის ამოცანებშიც. განსაკუთრებით ეს ეხება წარმოების გრძელვადიანი დაგეგმარების ამოცანებს, როდესაც საჭიროა დაიგეგმოს რამდენიმე საწარმოს საქმიანობა დროის რაღაც გარკვეულ შუალედში, თუ წინასწარ ცნობილია ნედლეულის საწყისი რაოდენობა, რომელიც მოხმარებული უნდა იქნას მთელი ამ საწარმოო პერიოდის განმავლობაში. გადაწყვეტილების არსს წარმოადგენს ის, რომ განვსაზღვროთ, ყოველი წლის დასაწყისში, რა რაოდენობის ნედლეული უნდა გამოეყოს თითოეულ საწარმოს, რომ დადგენილი პერიოდის ბოლოს, ყველა საწარმომ ერთად, მიიღოს მაქსიმალური მოგება [1], [3], [4].

ეს ამოცანა ფაქტობრივად „მეურნე კაცის“ ამოცანაა - ყოველი სამეურნეო წლის დასაწყისში საწარმოებს შორის რესურსები უნდა გავანაწილოთ მომავალში შესაძლო შედეგების გათვალისწინებით. გარკვეული ნაწილი დავიტოვოთ მომავალი წლებისთვის, ნაწილი გამოვიყენოთ წარმოების რეაბილიტაცია-განახლებისთვის. ამავე დროს, წინა წლებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგების ნაწილი გამოვიყენოთ წარმოებაში.

არის თუ არა ეს ამოცანა გადაწყვეტილების მიღების ამოცანა? რასაკვირველია, არის. უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, თუ არსებული რესურსები სად, რამდენი და როგორ გავანაწილოთ.

ცხადია, ასეთი ამოცანის გადაწყვეტა ვერც მსჯელობით მოხერხდება და ვერც ინტუიციით. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება ეგრეთ წოდებული დინამიური პროგრამირების მეთოდები, რომლებსაც ბუნებრივია, აქ არ მოვიტან.

გადაწყვეტილების მიღების ამოცანებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამოცანებს, რომელთა რეალიზება შესაძლებელია ქსელური მოდელების საშუალებით [1],

[2]. უფრო მეტიც, ბოლო დროის გამოკვლევები აჩვენებს, რომ გადაწყვეტილების მიღების ამოცანების 70%-ზე მეტი შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას ქსელური მოდელების საშუალებით. ასეთ ამოცანებს განეკუთვნება:

- **გაზსადენის დაპროექტება**, რომელიც აკავშირებს ზღვაში არსებულ საბადოებს ნაპირზე არსებულ მიმღებ სადგურთან. გადაწყვეტილების მიმღები პირის მიზანია, მოახდინოს გაზსადენის მშენებლობის ღირებულების მინიმიზაცია.
- **დასახლებულ პუნქტებს შორის გზების მოასფალტების ამოცანა**, მინიმალური დანახარჯებით; საკაბელო ტელევიზიის ქსელში ახალი პუნქტების ჩართვა, მინიმალური სიგრძის კაბელების გამოყენებით. შესაბამისი ქსელური მოდელის აგების შემდეგ, ამოცანა დაიყვანება ქსელის მინიმიზაციის ცნობილ ამოცანაზე.
- **დასახლებულ პუნქტებს შორის არსებულ საგზაო ქსელში**, ნებისმიერ ორ პუნქტს შორის უმცირესი სიგრძის მქონე მარშრუტის განსაზღვრა.
- **მილსადენის მაქსიმალური გამტარუნარიანობის განსაზღვრა** ნედლეულის გადასატვირთად საბადოდან, მიმღებ-გამანაწილებელ სადგურამდე.
- **ნავთობის ტრანსპორტირების ოპტიმალური სქემის განსაზღვრა** ჭაბურღილებიდან ნავთობგადამამუშავებელ სადგურებამდე.
- **სამშენებლო სამუშაოების დროებითი განრიგის შედგენა** (დაწყებისა და დამთავრების თარიღის დადგენა სამუშაოს ცალკეული ეტაპებისთვის).

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანები პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებულ ამოცანათა რიცხვს განეკუთვნება და მათი გადაწყვეტა მათემატიკური აპარატის, კერძოდ, მათემატიკური მოდელირების მეთოდების ცოდნას და შემდგომ მათ კომპიუტერულ რეალიზაციას მოითხოვს.

რაც შეეხება კომპიუტერულ რეალიზაციას, შესაძლებელია, როგორც უშუალოდ, ამოხსნის ალგორითმის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის შედგენა დაპროგრამების ამა თუ იმ ენაზე, ასევე, მზა პროგრამული პაკეტების გამოყენება. თანამედროვე კომპიუ-ტერული ტექნოლოგიები მდიდარია მზა კომპიუტერული პროგრამებით, რომელთა დანერგვა და გამოყენება მნიშვნელოვანწილად აადვილებს ამონახსნის და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

ამრიგად, კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება, დასმულ პრობლემაში მონაწილე უამრავი პარამეტრის, უამრავი გარეშე თუ შიგა ზემოქმედი ფაქტორების გამო, შეუძლებელია მათემატიკური მეთოდების გამოყენების გარეშე. აქ მოყვანილია სხვადასხვა სფეროდან აღებული მხოლოდ რამდენიმე მაგალითი, რითაც დასტურდება აღნიშნული შეხედულებების რეალობა.

Problem of decision making and its solution by mathematical modeling methods

Tsitsino Sarajishvili
Batumi Shota Rustaveli State University

For many centuries, the best decisions were made on the basis of intuition, experience and logical thinking. But over time, the number of parameters characterizing the process increased, and the above methods did not lead to the desired result. The application of mathematical methods became a necessity.

In the work some aspects of decision making are considered with the use of mathematical methods. In particular, the essence and features of the mathematical model. Its role in solving this problem. There are several examples that confirm the feasibility and necessity of using mathematical methods for making the right decision of problems arising in various spheres of human activity.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hamdy A. Taha. operation Research: An Introduction University of Arcansas. 2007
2. Mark M. Meerschaert. Mathematical Modeling. Department of Statistics and Probability. Michigan State University.2001
3. გ. ბელთაძე, ჰ. მელაძე, ნ. სხირტლაძე. გადაწყვეტილებათა მიღების თე-ორიის საფუძვლები და მათი გამოყენება საზოგადოებრივ მეცნიერებებში.-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003
4. Вентцель Е.С. Исследование операции. - М.: Наука, 1988

ბიოლოგია

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ სარტყელში აღმოსავლეთაზიის, ჩრდილოეთ ამერიკის და სამხრეთ ნახევარსფეროს მცენარეთა ინტროდუქციი სშედეგები

ლაშა თავართქილაძე, ვანო პაპუნიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მცენარეთა სამყაროს გეოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული მცენარეთა სივრცობრივ დასახლებასთან, რომელთა წარმოშობა და არეალის გაფართოება მიმდინარეობდა და მიმდინარეობს შედარებით შენელებული პროცესით. მცენარეთა განსახლება შეცვლილ გარემო პირობებში (ინტროდუქცია) მიმდინარეობს აგრეთვე შორეული ტერიტორიებიდან სპორების, თესლების, მცენარეთა ვეგეტატიური ნაწილების შემთხვევით, ან მიზინმიმართული ჩარევის საშუალებით. საინტროდუქციო საქმიანობის ფუნდამენტალური პრობლემის გადაჭრის მეცნიერული კვლევების გაფართოება სუფთა ბიოსფეროს შენარჩუნებისა და ფოტოსინთეზის ხელოვნური გზით გაზრდისათვისაა მიმართული.

ნაშრომში მოტანილია დედამიწის სხვადასხვა ოლქებიდან დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაში მცენარეთა ინტროდუქციის საკითხებზე ხანგრძლივი მეცნიერული კვლევებით მიღებული ძირითადი შედეგები.

აჭარა, საქართველოს ერთ-ერთი თავისებური და განუმეორებელი მხარეა ჰავის, ნალექების განაწილების, ნიადაგსაფარისა და მცენარეული ლანდშაფტების გარემოს შემქმნელი ფუნქციების თვალსაზრისით. ეს განპირობებულია მისი სამხრეთული მდებარეობით, ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებითა და იმით, რომ მაღალი მთები იცავს მას სხვა ჰავის გავლენისგან (თბილი და ნოტიო ჰაერის მასების შემოჭრის უმთავრესი გზა შავი ზღვაა). აჭარის ზღვის სანაპირო მხარე უხვად არის დაჯილდოებული სითბოთი, სინათლით, ნალექებით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მრავალი ეგზოტური მცენარის სახეობის შეგუებისა და საუკეთესო ზრდა-განვითარებისთვის.

უცხო მცენარეთა ინტროდუქციის, მათი ჩვენს პირობებში შეგუების, შემოტანილ მცენარეთა ბიოლოგიური საკითხების მეცნიერული შესწავლის, პერსპექტიულ მცენარეთა შერჩევისა და დანერგვის ერთ-ერთ ძირითად ბაზას ბათუმის ბოტანიკური ბაღი წარმოადგენს. მან შექმნა ცოცხალ მცენარეთა მდიდარი კოლექცია, რითაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა არსებული კოლექციის გამდიდრების, შენარჩუნებისა და საინტროდუქციო საკითხების საფუძვლიანი შესწავლის თვალსაზრისით.

დღეს ყოველგვარ ეჭვს მოკლებულია ის ჭეშმარიტება, რომ კაცობრიობის არსებობა და მისი მომავალი მთლიანად არის დამოკიდებული მცენარეული სამყაროს არსებობასა და მის მდგომარეობაზე.

ჩვენს პლანეტაზე მცენარეული საფარი, როგორც შეუცვლელი, უნივერსალური ბუნებრივი რესურსი, წარმოიშვა, ვითარდებოდა და განვითარდება ბუნებრივი კანონებით. მსოფლიოს მცენარეული საფარი განსაზღვრულია, მაგრამ მოსახლეობის ერთ სულზე შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდით, ბუნებრივი კატასტროფებით - ხანძრებით, ომებით, ადამიანის წინდაუხედავი, უსისტემო სარგებლობით და ა. შ. არის გამოწვეული.

აქედან გამომდინარე, სულ უფრო იზრდება ბოტანიკისა და ბოტანიკური ბაღების როლი და მნიშვნელობა მცენარეული ორგანიზმების გადაადგილების (ინტროდუქცია, აკლიმატიზაცია) კანონზომიერების და სახეობათა ეკო-ფიზიოლოგიური საკითხების შესწავლასა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბიოლოგიური მეცნიერების წინაშე არსებული მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. სწორედ, ზემოთ აღნიშნული თეორიული დასკვნების, მეთოდოლოგიურ მითითებათა და თანამედროვეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მინდა შევაფასო ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მრავალი თაობის მეცნიერთა მრავალწლიანი და მრავალრიცხოვანი ნაყოფიერი ექსპერიმენტული კვლევის შედეგად მიღებული ინტროდუქციის წარმატების განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენისა და შესწავლის შედეგები. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინტროდუცენტების სეზონური ზრდისა და განვითარების რიტმოლოგიური, ვეგეტატიური განვითარებისა და გამრავლების, ეკო-ფიზიოლოგიური, სამარაგო ნივთიერების გარდაქმნისა და სხვა საკითხები, რომლის ადგილობრივ მერქნიან მცენარეებთან შედარების მონაცემები იქნება ინტროდუცირებულ სასარგებლო მცენარეთა სახეობების, ჯიშების ან ფორმების მოძიების, მათი შერჩევის, ახალ ეკოლოგიურ გარემოში გადატანა-შეგუების, ევოლუციურ, ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ თავისებურებათა შესწავლის, კულტურაში დანერგვის, სამამულო ფლორის შევსებისა და გამდიდრების მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების, წინადადებებისა და ღონისძიებათა შემუშავების საფუძველი.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული მცენარეთა ინტროდუქციის ახალი ბიომორფოლოგიური მეთოდი მნიშვნელოვნად გაამდიდრებს მცენარეთა ინტროდუქციის თეორიული საფუძვლების არსს. ჩვენ ვეთანხმებით მეცნიერთა შეხედულებებს, რომ შეცვლილ გარემო პირობებში მცენარეთა გადატანის (ინტროდუქციის) პროცესში ინტროდუცენტები შედარებით ღრმა ცვლილებებს განიცდიან. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ სხვადასხვა რაიონები, სადაც ვაშენებთ ინტროდუცირებულ მცენარეებს, ერთმანეთისგან განსხვავდებიან კლიმატური, ნიადაგური და სხვა ბუნებრივი პირობებით, მცენარეებს გააჩნიათ არაერთგვაროვანი წარმოშობა და განსხვავებული ფილოგენეტიკური საფეხური. ყოველივე ეს კი ართულებს ინტროდუქციის შედეგების შეფასებას, ამიტომ საჭიროა სხვადასხვა რაიონებში გაშენებულ ინტროდუცენტებზე ხანგრძლივი პერიოდის გამოცდა და მათი ადაპტაციის პროცესებზე დაკვირვების წარმოება.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებულ მერქნიან მცენარეთა სეზონური განვითარების რიტმის შესწავლა მათი ბუნებრივი წარმოშობის ანუ ბაღის ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებში არსებული კოლექციის მიხედვით წარმოებდა.

წინამდებარე სტატიაში მოტანილია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში წარმოდგენილი ყველაზე მდიდარი ფლორისტული განყოფილებების: აღმოსავლეთ აზიის, ჩრდილოეთ

ამერიკისა და სამხრეთ ნახევარსფეროს ინტროდუცირებულ მერქნიან მცენარეთა ბიო-ეკოლოგიური თავისებურებები, სეზონური განვითარების რიტმი, მათი ჩვენს პირობებში ადაპტაციისა და მნიშვნელობის მრავალწლიანი კვლევებით მიღებული ძირითადი შედეგები.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში აღნიშნულ ფლორისტულ განყოფილებებში წარმოდგენილი ინტროდუცირებულ მცენარეთა სახეობრივი რაოდენობა ბაღის მთელი კოლექციის 63%-ს იკავებს. ეს იმით აიხსნება, რომ დასახელებული ფლორისტული ქვეყნების (განსაკუთრებით იაპონიის) ტენიანი სუბტროპიკული კლიმატური პირობები აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზონის კლიმატურ-ნიადაგური პირობების თითქმის ანალოგიაა.

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სუბტროპიკული თბილი და ზომიერი ჰავის ფლორა ყველაზე მდიდარია არამარტო სახეობრივი შემადგენლობით, არამედ ადამიანისთვის სასარგებლო მცენარეების რაოდენობითაც. აღმოსავლეთ აზიისა და აჭარის სანაპიროს კლიმატურ-ნიადაგური პირობები დიდი მსგავსებით გამოირჩევა. სწორედ ამან დაუდო საფუძვლად ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების მთავარმა ინიციატორმა და ბაღის პირველმა დირექტორმა ა. ნ. კრასნოვმა მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის წარმატებას ჩვენს პირობებში, ვინაიდან, მცენარეთა სეზონური განვითარების რიტმი დიდადაა დამოკიდებული მის ბიოეკოლოგიურ თვისებებზე, რომელიც ყალიბდებოდა მისი ბუნებრივი წარმოშობის პირობებში [Краснов, 1913 а,в].

ბაღის დაარსებიდან 100 წლის მანძილზე ეგზოტურ მცენარეთა სეზონური განვითარების რიტმისა და სხვა ბიო-ეკოლოგიური და ეკო-ფიზიოლოგიური საკითხების შესწავლისადმი მრავალი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო. [Краснов, 1913; Гинкул, 1936; Дмитриева, 1956; Морозова, 1957; გაბრიჩიძე, 1958; ციცვიძე, 1958, 1961, 1967; ბალანჩივაძე, 1961, 1968; მანჯავიძე, 1961; ბრეგვაძე, 1974; ჯავახიშვილი, 1974; Шарашидзе, 1977; Папунидзе, Цхоидзе, 1983, 1985; Папунидзе и др., 1989. 2007, 2010 ა.ნ. და სხვა].

მიღებული მასალებიდან ირკვევა, რომ აღმოსავლეთ აზიის მცენარეებს ახასიათებთ სხვადასხვა ტიპის ზრდის სეზონური რიტმი, კერძოდ: ტენიანი სუბტროპიკული ოლქებისთვის დამახასიათებელი თითქმის უწყვეტი ზრდის პერიოდი მოკლე ინტერვალებით, ასევე მკაცრი სეზონური განვითარების რიტმი, რომელიც დამახასიათებელია ზომიერი განედის მცენარეებისთვის. სხვადასხვანაირია ასევე მათი გენერაციული ორგანოების განვითარების ვადები და ტიპები.

მიღებული მასალების საფუძველზე გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები:

1. **მცენარეები, რომელთა აპიკალური ზრდა მიმდინარეობს მხოლოდ გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში**. ამ ჯგუფში შედის აღმოსავლეთ აზიის როგორც ფოთოლმცვენი, ასევე მარადმწვანე მცენარეების უმეტესობა, კერძოდ: Acer-ebi, Liriodendron chinensis, Juglans-ebi, Zelkova acuminata, Firmiana platanifolia, Zanthoxylum, Cudrania tricuspidata, Calicarp-ebi, Stewartia pseudocamelia, Bischofia javanica, Aucuba japonica, Enkianthus perulatus, Magnoli-ebi, Machilus-ebi, Aleurites-ebi, Malotus japonica და ბევრი სხვა.
2. **მცენარეები, რომლებიც გაზაფხულზე იზრდებიან, მაგრამ ზოგიერთი ყლორტი თითქმის მთელი წლის მანძილზე აგრძელებს აპიკალურ ზრდას**. მათ შორის

ზოგიერთი 2-3 ნაზარდსაც კი წარმოქმნის: Viburnum-ebi, Actinidi-ebi, Cesalpinia japonica, Loropetalum chinensis, Illicium anisatum, I. verum და სხვა.

3. **მცენარეები, რომლებსაც აქვთ მკვეთრად გამოხატული ზრდის რიტმი** – გაზაფხულისა და ზაფხულის, მაის-ივნისი მოკლე ინტერვალით. ამასთან, ყლორტების უმეტესობა იზრდება გაზაფხულზე, ნაკლები - ზაფხულში. მეორე პერიოდის ზრდის სიგრძე ზოგჯერ აჭარბებს პირველს: Lagerstroemia indica, Cinnamomum-ebi, Micheli-ebi, Illicium-ebi და სხვა.
4. **მცენარეები, რომლებიც ხასიათდება მთელი წლის მანძილზე თითქმის უწყვეტი ზრდით** და რომელიც ფერხდება ან წყდება ყვავილობისა და მსხმოიარობის დროს, ან დროებით ჩერდება ყინვების დროს. ასეთია: Fatsia papyrifera, რომლის წარმოშობა ტაივანია.

აღმოსავლეთ აზიის წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი გენერაციული ორგანოების ტიპები და ჩასახვის ვადები. ამ ჯგუფის მცენარეული სახეობებისათვის დამახასიათებელია:

1. **საყვავილე კვირტები ისახება ახალ ნაზარდზე და იშლება ყლორტის ზრდის დამთავრების შემდეგ**: Cinnamomum-ebi, Actinidia chinensis, Stewartia pseudocamellia და ბევრი სხვა.
2. **საყვავილე კვირტები ისახება გაზაფხულის ნაზარდზე, ხოლო მათი გაშლა ხდება შემდეგი წლის გაზაფხულზე**, იმავე წლის შემოდგომაზე ან ზამთარში და გრძელდება გაზაფხულამდე: Liquidamber formosana, Daphniphyllum macropodum, Viburnum-ebi, Osmanthus-ebi, Camellia japonica, Magnolia campbellii, Raphiolepis indica და სხვა.
3. **საყვავილე კვირტები ისახება ახალი ყლორტის პირველი ან მეორე ნაზარდის ბოლოებზე, ხოლო ყვავილობა ხდება ზრდის დამთავრების შემდეგ შემოდგომაზე ან ზამთარში**: Lagerstroemia indica, Camellia sasanqia, Eriobotrya japonica და სხვა.
4. **მეორე ნაზარდზე ჩასახული ყვავილების კვირტები იწარჩუნებენ მოსვენების პერიოდს მთელი შემოდგომის და ნაწილობრივ ზამთრის მანძილზე** და ყვავილობას იწყებენ შემდეგი წლის თებერვალ-მარტში: Mahonia japonica, Pieris japonica, Fatsia japonica და სხვა.
5. **გენერაციული კვირტები ვითარდება როგორც მიმდინარე, ასევე გასული წლის და მრავალწლიან ნაზარდზე**. მათი ყვავილობა გახანგრძლივებულია და თითქმის მთელი ზაფხულის მანძილზე მიმდინარეობს: Illicium verum, I. anasatum.
6. **შემოდგომა-ზამთარში მოყვავილე მცენარეები, რომელთა ყვავილობა წელიწადში ორ-სამჯერ ხდება**: Wisteria sinensis, Osmanthus-ebi და სხვა.

მცენარეები, რომლებიც ყველაზე მეტად ავლებენ სუბტროპიკულ ხასიათს (თითქმის არ აქვთ მოსვენების პერიოდი და ხშირად ერთდროულად ხდება მათი ყვავილობა, ნაყოფმსხმოიარობა და ფოთოლცვენა). დაბალი ტემპერატურის (-30 -50) გავლენით ნაწილობრივ ზიანდებიან, რაც დიდ გავლენას ახდენს მათ ყვავილობასა და ნაყოფმსხმოიარობაზე (Eriobotrya japonica, Fatsia papyrifera, F. japonica, Cinnamomum loureri, Acer oblongum, Liquidambar formosana და სხვა). ასეთ მცენარეებს არ აქვთ მყარი მოსვენების

პერიოდი და იოლად რეაგირებენ ზამთრის როგორც დაბალ, ასევე მაღალ ტემპერატურულ ანომალიებზე.

მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ აზიის მცენარეების უმეტესობა კარგად იტანს ჩვენთან, ზოგჯერ მკაცრი ზამთრის პირობებს, ნორმალურად ვეგეტირებს, ყვავილობს და ნაყოფმსხმოიარობს, ბევრი მათგანი თვითნათესსაც იძლევა, რომელიც ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში სრულყოფილ მცენარედ ვითარდება ან ვეგეტატიურად მრავლდება. ამის გამო თითქმის გაველურდნენ: Acer palmatum, Deutzia scabra, Trachycarpus fortunei, Daphniphyllum macropodum, Cinnamomum glanduliferum, Quercus myrsinifolia და სხვა, ხოლო ზოგიერთი, ადგილობრივი მცენარეებისათვის სასტიკ, დამთრგუნველ სარეველადაც იქცა, ასეთებია: Pueraria hirsuta, Spiraea japonica, Rhus javanica და სხვა.

ჩვენი პირობებისთვის მკაცრ ზამთარში (-8,80C) ძლიერ დაზიანდა აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი სახეობა, კერძოდ ნახევრად მარადმწვანე Acer oblongum, Cycas revoluta, Fatsia papyrifera, Leicesteria formosa, Cinnamomum loureri, Livistonia chinensis, Magnolia cocco და ბევრი სხვა. მაგრამ უმეტესობამ შეძლო სასიცოცხლო ფორმის შენარჩუნება ან აღდგენა, ხოლო სუსტი დაზიანებები გაცილებით მეტმა ეგზოტმა მიიღო.

აღმოსავლეთ აზიის მცენარეების აჭარის სანაპიროზე ზრდა-განვითარების რიტმის, მათი ბუნებრივი გავრცელების არეალში განვითარების რიტმთან შედარებამ გვიჩვენა, რომ იგი თითქმის ერთნაირად მიმდინარეობს, ზოგიერთი ვადების ხანმოკლე გადაადგილებით ან ერთ მხარეს, ან საპირისპიროდ. თუმცა იგი ხელს არ უშლის მათ ნორმალურ ზრდა-განვითარებას ჩვენს პირობებში.

აჭარის სანაპიროს სუბტროპიკული ხასიათის კლიმატური პირობები, რომლებიც ახლოსაა აღმ. აზიის გარემო პირობებთან, ხელს უწყობს აღნიშნული ფლორისტული ოლქის ქვეყნებიდან წარმოშობილი მცენარეების თითქმის ერთნაირ განვითარებას, ზოგიერთი უმნიშვნელო გადახრით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ მცენარეთა ინტროდუქციისათვის ჩვენს პირობებში.

ჩრდილო-ამერიკული მცენარეების ზრდა-განვითარების რიტმი აჭარის პირობებში ინტროდუცირებულ თითქმის ყველა მცენარეზე იქნა შესწავლილი [Дмитриева, 1956; Матинян, 1958, 1962, 1968; ციცვიძე, 1958, 1973; სამხარაძე, 1962; ჯავახიშვილი, 1974; Папунидзе, Цхоидзе, 1974, 1987; Папунидзе и др., 1989. 2007; და სხვ.].

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ერთ-ერთი პირველი ჩრდილოეთ-ამერიკული განყოფილება შეიქმნა. აღნიშნული ქვეყნიდან წარმოშობილ მცენარეთა შემოტანა, აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო, მაგრამ მიზანმიმართული პროცესი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების (1912 წ.) შემდეგ წარიმართა და დღემდე გრძელდება. ამჟამად ბოტანიკური ბაღის კოლექციაში ჩრდილოეთ-ამერიკული წარმოშობის მცენარეებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

თანამედროვე ჩრდილოეთ ამერიკა გამოირჩევა კლიმატური პირობების მრავალფეროვნებით – არქტიკული, სუბარქტიკული, ზომიერი, სუბტროპიკული და ტროპიკული. ა. კრასნოვი (1913) შავი ზღვის სანაპიროსთვის ყველაზე მისაღებ და საინტერესო ოლქებად თვლის ჩრდილო ამერიკის დასავლეთ ნაწილს, წყნარი ოკეანის სანაპიროს – ორეგონას და ჩრდილოეთ კალიფორნიას, აშშ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და ამ ნაწილის ყველაზე

სამხრეთ რაიონს – ფლორიდას. ა. კრასნოვი აღნიშნავს, რომ მსოფლიოს არც ერთი ინტროდუქციის პუნქტი არ შეედრება წყნარი ოკეანის მშრალ და ტენიან სანაპიროზე განლაგებულ ორეგონა-კალიფორნიის ოლქს ტიპური ზღვის ზომიერი ჰავით ისე, როგორც შავი ზღვის კავკასიის სანაპიროს კლიმატური პირობები: შედარებით გრილი ზაფხულით, ნალექებისა და ტენიანობის ცვალებადობით, ნალექების არათანაბარი განაწილებით. მხოლოდ საშუალო წლიური ტემპერატურა იქ, ჩვენს პირობებთან შედარებით, უფრო დაბალია. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჩვენი კლიმატური პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩრდილოეთ-ამერიკის სამხრეთ-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონების კლიმატური პირობებისაგან, მაგრამ დიდი მსგავსებაა ჩრდილო-ამერიკის სხვა ოლქებთან. აჭარის სანაპიროზე, კერძოდ, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მცენარეთა კოლექციაში არსებული ჩრდილო-ამერიკული წარმოშობის მერქნიანი მცენარეები, ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა ფლორისტული და კლიმატური ოლქებიდანაა ინტრო-დუცირებული.

მცენარეთა ბოლო ინვენტარიზაციის მონაცემებით (1987), ბათუმის ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა კოლექციის 16%-ზე მეტს ჩრდილო-ამერიკული წარმოშობის მცენარეები შეადგენს. ამ კოლექციის მნიშვნელოვან ნაწილს წიწვოვანი მცენარეები წარ-მოადგენენ – ფიჭვები, კვიპაროსები, სექვოია, ცუგა, ტუია, ნაძვი და სხვა. ხოლო უმრავლესობა ფოთლოვანი მცენარეებია, რომელთა დიდი ნაწილი ფოთოლმცვენი, ხოლო მცირე ნაწილი – მარადმწვანე და ნახევრად მარადმწვანე სახეობებია.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ჩრდილოეთ-ამერიკული მცენარეების ზრდა-განვითა-რების რიტმი შესწავლილი იქნა აქ მოზარდ თითქმის ყველა მცენარეზე (სამხარაძე, 1962; ციცვიძე, 1958; ჯავახიშვილი, 1974; Дмитриева, 1956; Матинян, 1958; Папунидзе, Цхоидзе, 1983; ციცვიძე, 1973; და სხვ.). აქ ინტროდუცირებული ჩრდილო-ამერიკული მერქნიანი მცენარეები თავისი წარმოშობის ისტორიით ახლოს დგანან როგორც ევროპულ, ასევე აღმოსავლეთ აზიის ზომიერი და სუბტროპიკული ზონის ელემენტებთან, რომელთა უმრავლესობა აჭარის სანაპირო ზონაში საკმაოდ კარგად გრძნობენ თავს. ამრიგად, აქ ინტროდუცირებული ჩრდილო-ამერიკული მერქნიანი მცენარეების სეზონური განვითარების რიტმი დიდად არ განსხვავდება მათ სამშობლოში განვითარების რიტმისაგან, თუმცა ზოგიერთს მცირე გადახრებიც ახასიათებს.

ზრდის რიტმის მიხედვით აჭარის სანაპიროზე ინტროდუცირებული ჩრდილო-ამერიკული მცენარეები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

- **პირველ ჯგუფში** შედის ზრდის მოკლე პერიოდის მქონე სახეობები, რომელთა ვეგეტაცია დაახლოებით 35 დღეში მთავრდება (ტემპერატურის 10-200C-ის ფარგ-ლებში), ესენია: Ilex verticillata, Mahonia wagneri, Tilia amerikana, Quercus-ebi, Taxodium distichum და სხვა.
- **მეორე ჯგუფს** მიეკუთვნება უფრო გრძელვადიანი ზრდის პერიოდის (70 დღემდე) მქონე სახეობები, რომლებიც ზრდას ამთავრებენ 200C და მეტ ტემპერატურაზე: Illicium floridanum, Cyrilla racemiflora, Asimina triloba, Juniperus virginiana, Cupressus-ebi, Tuja occidentalis, T. plicata და სხვა.

- **მესამე ჯგუფში** შედის ზაფხულის ხანგრძლივი პერიოდის ზრდის სახეობები, რომლებსაც მეორე და ზოგჯერ მესამე პერიოდის ზრდაც ახასიათებთ: Illicium, Pinus palustris, P. taeda და სხვა. მეორე და მესამე პერიოდების ზრდის ყლორტების გამერქნება მხოლოდ ზამთრის დასაწყისში მთავრდება.

აჭარის ზღვის სანაპიროზე ჩრდილოეთ ამერიკულ მცენარეთა ყვავილობის ვადები, ძირითადად, ემთხვევა მათი ბუნებრივი გავრცელების ყვავილობის პერიოდს, მეტ-ნაკლები გადახრებით, რომლებიც დამოკიდებულია წლის ტემპერატურის ცვალებადობაზე. სხვადასხვა წლებში, შეიმჩნევა აგრეთვე ყვავილობის ვადების გადახრა ორივე მხარეს, რაც ასევე კლიმატის ცვალებადობასთანაა დაკავშირებული. ყველაზე ადრე (ზამთარში და ადრე გაზაფხულზე) ყვავილობენ: Mahonia wagneri, Ulmus americana, Acer saccharinum, A. rubrum, Chamaecyparis lawsoniana, Cupressus goveniana, C. arizonica, Calocedrus decurrens, Sequoia sempervirens, Taxodium distichum. ისინი 150C ტემპერატურამდე ამთავრებენ ყვავილობას. გაზაფხულზე და ადრე ზაფხულში ყვავიან: Nyssa sylvatica, Asimina macrocarpa, Tsuga canadensis და სხვა. ზაფხულში მოყვავილე სახეობებია: Cephalanthus occidentalis, Ilex cassine, Magnolia grandiflora, M. virginiana, Illicium და სხვა. შემოდგომის მოყვავილე სახეობებია: Rhus copallina, Illicium parviflorum, Baccharis halimifolia, Hamamelis virginiana და სხვა. ზოგიერთ სახეობას მეორადი ყვავილობა ახასიათება: Illicium parviflorum. ყვავილობის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდის ვადებით (35 დღეზე მეტი) გამოირჩევიან შემდეგი სახეობები: Campsis radicans, Calycanthus floridus, Illicium parviflorum, Hamamelis virginiana, Magnolia grandiflora და სხვა.

ჩრდილოეთ-ამერიკული მცენარეული სახეობების თესლის მომწიფების ვადებიც სხვადასხვა დროს ხდება. ზოგიერთი სახეობის თესლის მომწიფება ადრე გაზაფხულზე ან ზაფხულში ხდება:Mahonia wagneri, M. virginiana, Ulmus americana, Acer saccharinum, A. rubrum, Pinus strobus დასხვა; სახეობათაუმრავლესობისთესლიშემოდგომაზემწიფდება: Cyrilla racemiflora, Aesculus glabra, Illicium floridanum, Cephalanthus occidentalis, Cary-ebi, Juglans-ebi, Magnoli-ebi, Tsuga canadensis, Cupressus macrocarpa, Chamaecyparis lawsoniana დამრავალისხვასახეობა.
ზოგიერისახეობისთესლიგვიანშემოდგომაზედაზამთარშიმწიფდება: Sabal glabra, Myrica carolinensis, Diospyros virginiana, Ilex cassine, Platanus occidentalis დასხვა.

აჭარისსანაპიროზეჩრდილოეთამერიკულიმცენარეებისუმრავლესობაკარგითესლმსხმოიარობითდათესლისკარგიაღმოცენებისუნარითგამოირჩევიან.
სუსტითესლმსხმოიარობაახასიათებსუმეტესადთითოეგზემპლარითწარმოდგენილცალკემდგომმცენარეებს: Nyssa silvatica, Cynoxilon florida დასხვა.

ბევრისახეობათესლითდავეგეტატიურადთვითაღდგენისკარგუნარსამჟღავნებენ, ასეთებია: Acer saccharinum, Liriodendron tulipifera, Liquidambar styraciflua, Catalpa bignonioides, C. speciosa, Pinus taeda, Chamaecyparis Lawsoniana, Tilia americana, Cary-ebi, Quercus-ebi, Illicium parviflorum, I. floridanum, Calycanthus floridus, C. occidentalis, Magnolia glauca, M. grandiflora, M. tripetala. Campsis radicans, Myrica carolinensis, Robinia pseudoacacia და მრავალი სხვა, ხოლო ზოგიერთი მცენარე (Rhus radicans) სხვა მცენარეების მიმართ, დამთრგუნველ თვისებებს ამჟღავნებს.

ქმნის თავის რაყებს და მთლიანად ფარავს მიწის ზედაპირს და ირგვლივ მყოფ მცენარეებს, რომელთა გაღვივება და აღმოცენება, სინათლის რეჟიმის მკვეთრი დარღვევის გამო ვერ ხდება.

ფოთოლმცვენი მცენარეების ფოთოლცვენა, უმეტესად, შემოდგომაზე ხდება, ზოგიერთი სახეობის -Aesculus glabra, calycanthus occidentalis, Tilia americana და სხვა გამოკლებით, რომელთა ფოთლები გვიან ზაფხულში ან ადრე შემოდგომაზე ამთავრებენ ცვენას. მარადმწვანე მცერეების ფოთოლცვენა სხვადასხვა ასაკის ფოთლებში ხდება. მეორე წელს ფოთოლებიცვივაIllicium-ებს, kalmia latifolia-ს. მათ ფოთოლცვენის ორი გამოკვეთილი პერიოდი ახასიათებთ: ინტენსიური - გაზაფხულზე (შეფოთვლის დროს) და ნაკლებად ინტენსიური - შემოდგომაზე. ნახევრად მარადმწვანე სახეობები (Myrica carolinensis, Cyrilla racemiflora, Magnolia virginiana) იზამთრებენ მწვანე ფოთლებით და გაზაფხულზე ერთდროულად ხდება, მთლიანად, ძველი ფოთლების ახალი ფოთლებით შეცვლა. მარადმწვანე სახეობებს (Ilex cassine, Mahonia wagneri, Magnolia grandiflora) ფოთლების ცვენა ეწყებათ 2-3 წლის ასაკის ფოთლებს - 40-50% - გაზაფხულზე, 10-20% - მთელი ზაფხულის განმავლობაში და 40-50% - შემოდგომაზე.

აჭარის სანაპიროზე მცენარეთა ინტროდუქციის დროს გათვალისწინებულია ჩვენი კლიმატური პირობების ხშირი ცვალებადობა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მცენარეებზე. ასე, მაგალითად, გაზაფხულის გვალვიანობა ზოგი მცენარის ნაადრევ სიბერეს და წვერხმელობას იწვევს,მაგალითად, ზოგიერთ წიწვოვან მცენარეებს:Cupressus-ები, Chamaecyparis lawsoniana, sequoia sempervirens და სხვა 45-55 ასაკში ემჩნევათ სიბერე, მიუხედავად ამისა, ისინი განაგრძობენ არსებობას და აგრძელებენ ზრდას, ივითარებენვარჯს და მსხმოარობენ. დიდთოვლიანობა და ძლიერი ქარები, რომელიც წლის ზოგიერთ პერიოდში ახასიათებს ჩვენს მხარეს, იწვევს ხეების ვარჯის ძლიერ დაზიანებას და უმეტესად ცალკე მდგომ, მაღალტანოვანი ხეების წაქცევას (Pinus taeda, Catalpa bignonioides, Sequoi sempervirens, Chamaecyparis lawsoniana, Cupressus-ები, Quercus-ები, Liquidambar styraciflua, Liriodendron tulipifera, Plantanus occidentalis და სხვა).

მცენარეთა ინტროდუქციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცენარის ყინვა გამძლეობის უნარს და ინტროდუქციის ოლქისათვის კრიტიკულ მინიმალურ ტემპერატურას. აჭარის სანაპიროსთვის კრიტიკული მინიმალური ტემპერატურა მინუს 8,8^{0}C - აღინიშნა 1949-50 წლების უხვთოვლიან ზამთარში. ამ დროს ჩრდილოეთ ამერიკული მცენარეებიდან ნაწილობრივი დაზიანება მიიღეს Cynoxilon floridanum-ის ერთწლიანმა ყლორტებმა და Sabal glabra-ს ფოთლების პლაზმამ. სხვა მცენარეებზე დაზიანება არ აღნიშნულა, რაც ჩრდილოეთ ამერიკული წარმოშობის მცენარეების საკმაო დიდ ყინვაგამძლეობაზე და ჩვენს პირობებშიკარგ შეგუებაზე მიგვანიშნებს.

ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილ მცენარეებზე ჩვენი კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ აჭარის სანაპიროზე ინტროდუცირებული ჩრდილოეთ ამერიკის მცენარეების სეზონური განვითარების რიტმი ძირითადად ადგილობრივი მცენარეების განვითარების რიტმს შეესაბამება მცირე გადახრებით. ამასთან მათი განვითარების რიტმი ჩვენს პირობებში წლის იმავე პერიოდში მიმდინარეობს, როგორც სამშობლოში, მაგრამ, დაახლოებით, ერთი თვის გადაადგილებით ამა თუ იმ მხარეს, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ჩვენი კლიმატის

ცვალებვადობით. ამგვარად, ჩრდილოეთ ამერიკული მცენარეების სეზონური განვითარების რიტმი ხელსაყრელია მათი აჭარის სანაპიროზე ინტროდუქციისათვის.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ეს მცენარეები სრულიად შეეგუენ აჭარის სანაპიროს კლიმატურ პირობებს. აქ ისინი თავისუფლად იზრდებიან და ვითარდებიან, კარგად თესლმსხმოიარობენ და ბევრ მათგანს თვითგანათლების უნარიც ახასიათებს. ზოგიერთი სახეობა კი აგრესიულობასაც იჩენს სხვა მცენარეების მიმართ. ჩვენს პირობებში საკმაოდ ყინვაგალძლეც არიან. ამის დამადასტურებელია ის, რომ ჩრდ. ამერიკულმა სახეობებმა დიდი გამოყენება ჰპოვეს არა მარტო აჭარის სანაპიროს, არამედ საქართველოს სხვა რეგიონების გამწვანებაში: Liquidambar styraciflua, Liriodendrom tulipifera, Carya pecam, Washingtonia filifera, pinus taeda, Catalpa bignonioides, Chamaecyparis lawsoniana, Sequoia sempervirens, Calocedrus decurrens, Magnolia grandiflora, Hamamelis virginiana, Campsis radicans, Taxodium distichum და სხვა.

სამხრეთ ნახევარსფეროს მცენარეთა ინტროდუქცია (კულტივირება), კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ სოჭის რაიონში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, ხოლო აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე - იმავე საუკუნის დამლევს, მიზანმიმართული ხასიათი კი ამ პროცესმა მე-20 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან მიიღო (1912).

ა. კრასნოვის იდეა იყო,ძვირფას მცენარეთა ცოცხალი კოლექციით ბაღი გაემდიდრებინა დედამიწის სხვადასხვა ოლქიდან, რომელთა კლიმატური პირობები მსგავსი იქნებოდა ჩვენი პირობების. მას მხედველობაში ჰქონდა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სამხრეთის ზოგიერთი ოლქებიდა სამხრეთ ნახევარსფეროს უმეტესიქვეყნები, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთი ავსტრალია და ტასმანია, ახალი ზელანდიის დასავლეთი ზღვისპირეთი, სამხრეთ ამერიკა - ჩილეს შუა ნაწილი, ზოგიერთი ტროპიკული მთების ნაწილი და სხვა ოლქები (Келлер, 1935).

კრასნოვი გარკვეულ მსგავსებას ხედავდა სამხრეთ კოლხიდასა და სამხრეთ ნახევარსფეროს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ოლქებს შორის, - ცხელი წვიმიანი ტროპიკული ზაფხულით, ნალექების არათანაბარი განაწილებით და ტემპერატურის მერყეობით, ასევე ჩრდილოეთ ფლორიდასთან, უფრო თბილი ზამთრით. ყველაფერი ეს პირობები გარკვეული მსგავსებით გამოირჩევა ჩვენს კლიმატურ პირობებთან. კერძოდ სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მშრალი მაისით - ჰიმალაი, თითქმის ცაზე მუდმივღრუბლიანი ტროპიკული მთები.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სამხრეთ ნახევარსფეროს მცენარეთა ფიტო-გეოგრაფიული განყოფილებები შეიქმნა მისი დაარსებისსაწყის ეტაპზე. ეს განყოფილებებია: ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ჩილეს (სამხრეთ ამერიკის). ამასთან ბაღის დაარსების პირველსავე წლებში იქნა ინტროდუცირებული მცენარეთა ისეთი სახეობები როგორებიცაა: Acacia dealbata, A. melanoxylon, Callistemon speciosus, Eucalyptus -ის მრავალი სახეობა, Pittosporum undulatum და სხვა - **ავსტრალიიდან**; Pittosporum colensoi, P. crassifolium, P. tenuifolium, Cordyline-ები , Podocarpus-ები და სხვა - **ახალი ზელანდიიდან;** Araucaria araucana, Bignonia unguis-cati, Butia capitata, Colletia armata, C. cruciata, Podocarpus lambertti და სხვა - **სამხრეთ ამერიკიდან.** შემდგომ წლებში სამხრეთ ნახევარსფეროს მცენარეთა ინტროდუქციამ,

ფართო მაშტაბი მიიღო მსოფლიო ბოტანიკურ ბაღებთან კავშირების გაფართოებასთან დაკავშირებით. 1950-80-იან წლებში აქ შემოტანილი იქნა 70 სახეობა ავსტრალიიდან, 15 სახეობა - სამხრეთ ამერიკიდან, 16 - ახალი ზელანდიიდან. 1987 წლის მონაცემებით (Папунидзе и др; 1987) ბათუმის ბოტანიკური ბაღის კოლექციაში ავსტრალიის მცენარეები შეადგენდა 110 ტაქსონს, სამხრეთ ამერიკის - 27-ს, ახალი ზელანდიის - 19-ს. ამჟამად ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სამხრეთ ნახევარსფეროს მცენარეთა კოლექცია, თერმიული ფაქტორების გავლენით, მნიშვნელოვნად შემცირდა. ვფიქრობ მკლევართა ერთი ნაწილი ზედმეტად ამსგავსებდა ჩვენს და ზემოთ ხსენებული ქვეყნების კლიმატურ პირობებს, და სწორედ ამიტომ, ბოტანიკური ბაღის დაარსებამდე და დაარსების პირველივე წლებში ზედმეტად სითბოსმოყვარული, თითქმის ტროპიკული სახეობების მცენარეთა შემოტანა ხდებოდა. ჩვენი კლიმატური პირობების მერყეობა, კერძოდ, არამარტო ზამთარში, არამედ ზოგჯერ გვიან შემოდგომაზე და ადრე გაზაფხულზე, ტემპერატურის მკვეთრად დაცემამ მოახდინა ასეთი მცენარეების უმეტესი ნაწილის დაღუპვა. სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში: - ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში და სხვა ოლქებში წლის პერიოდები, ჩვენს სეზონურ პერიოდებთან შედარებით პირიქით დამოკიდებულებაშია, ანუ თუ აქ ზამთარია - იქ ზაფხულია, თუ ჩვენთა გაზაფხულია იქ შემოდგომაა. ამის შესაბამისად ჩვენს პირობებში სამხრეთ ნახევარსფეროს მცენარეების ბიოეკოლოგიური თვისებები, ყინვა - და გვალვა გამძლეობა, შესაბამისად სეზონური განვითარების რიტმიც ჩვენს პირობებთან ისეთ შესაბამისობაშია როგორც ჩვენი აბორიგენული მცენარეები ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან და სეზონებთან.

სხვადასხვა ავტორები, ავსტრალიის ჰავის რამდენიმე ტიპს გამოყოფენ, კერძოდ: ეკვატორიალურს, ტროპიკულს, სუბტროპიკულს, ხმელთაშუა ზღვის, ზომიერად თბილს და მთის (ციცვიძე, 1967). აჭარის შავი ზღვის სანაპიროს, ნალექების სიუხვით ყველაზე მეტად ავსტრალიის ეკვატორილური, ტროპიკული და მთის ტიპის კლიმატური პირობები ემსგავსება,ხოლო მკვეთრად განსხვავდება სუბტროპიკული ზონისგან, რომელიც მცირე ნალექით და ცხელი ჰავით ხასიათდება.

აჭარის სანაპირო ასევე განსხვავდება ტემპერატურული რეჟიმითაც მართალია, წლის საშუალო ტემპერატურა უფრო ახლოსაა ავსტრალიის და ხმელთაშუა ზღვის ტიპის ჰავასთან და ზოგიერთ სხვა ზონის კლიმატური პირობებთან, მაგრამ მათგან განსხვავებით, ჩვენში ტემპერატურის უეცარი დაცემა (რაც ავსტრალიის რეგიონებისათვის არაადამა-ხასიათებელი) ძლიერ უარყოფითად მოქმედებს ავსტრალიური წარმოშობის მცენარეებზე. ბათუმის ბოტანიკური ბაღის ნიადაგები, ბევრად გავს სამხრეთ უელსის, ტასმანიის და კვინსლენდის (საიდანაც ძირითადად არიან წარმოშობილი ჩვენი ავსტრალიური მცენარეები), ხოლო მკვეთრად განსხვავდება ავსტრალიის იმ ადგილებისაგან, სადაც მლაშე და შავმიწა ნიადაგებია.

ასევე, არსებობს მსგავსება ახალი ზელანდიის და აჭარის სანაპიროს კლიმატურ პირობებს შორის: ახალ ზელანდიაში საშუალო წლიური ტემპერატურა მხოლოდ უკიდურეს ჩრდილო ნაწილში 15^0C აღწევს, ხოლო სამხრეთში ადგილი აქვს ტემპერატურის დაწევას $9,9^0$ C-მდე. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შესაბამისად უდრის 2962 მმ-ს და 1220 მმ-ს. მოდის და მისი წლიური განაწილება უფრო თანაბარია, ვიდრე ჩვენს

პირობებში. ტემპერატურის აბსოლიტური მინიმუმი -3,7^{0}C-დან -4,8^{0}C-მდე იწევს. ახალ ზელანდიაში გავრცელებულია წითელმიწა, ყვითელმიწა, შავმიწა, წაბლა, ალოვიური, მთის ტყის და მთის მდელოს ნიადაგები. ამდენად საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს და ახალი ზელანდიის ნიადაგების ტიპები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ერთ-მანეთისაგან. ჩვენი და ახალი ზელანდიის ჰავის შედარებითი მონაცემები გვიჩვენებს, რომ აჭარის შავი ზღვის სანაპიროსათვის დამახასიათებელია შედარებით ნაკლებ ნალექიანი და გვიანი გაზაფხული, ზომიერად ნალექიანი, მაგრამ საკმაოდ ცხელი ზაფხული, უხვნალექიანი შემოდგომა და საგრძნობლად ცივი ზამთარი, დაბალი აბსოლიტური მინიმუმი (-8,8^{0}C) და შედარებით დიდი ტემპერატურული წლიური ამპლიტუდა. ახალი ზელანდიის და ჩილეს სამხრეთი ნაწილების კლიმატური პირობები თითქმის ანალოგიაა საქართველოს შავი ზღვის პირეთის კლიმატური პირობების. მათ შორის თითქმის იდენტირია დღის ხანგრძლივობაც, ცხადია სინათლე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ფაქტორია, სინათლის ანალოგიასაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა ინტროდუქციისა და ნატურალიზაციის საქმეში.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში რამდენიმესახეობაა წარმოდგენილი სამხრეთ აფრიკიდან. სამხრეთ აფრიკის და აჭარის ზღვისპირეთის კლიმატი, საშუალო წლიური ტემპერატურის მონაცემებით, დიდად არ განსხვავდება,- სამხრეთ აფრიკაში ნალექების მაქსიმალური რაოდენობა 4500მმ აღწევს, მინიმალური - 50მმ-ს (უდაბნოში), თოვლი მთის მაღლობზე მოდის, იშვიათია ყინვიანი დღეები.

ამჯამად ბათუმის ბოტანიკურ ბაღში სამხრეთ ნახევარსფეროს ფლორა ძირითადად მარადმწვანე მერქნიანი მცენარეებითაა წარმოდგენილი, კერძოდ, ავსტრალიიდან - Eucalyptus-ები, Callistemon-ები, Acaci-ები, Lomacia longifolia, Tristania laurina, Araucaria bidwillii და სხვა, რომელთა შორის ყველაზე მდიდარია ევკალიპტების და კალისტემონების კოლექცია; ახალი ზელანდიიდან - Leptospermum-ები, Podocarpus-ები, Pittosporum-ები, Cordyline australis, Hebe andersonii და სხვა; სამხრეთ ამერიკიდან - Feijoa (Acca) sellowiana, Bignonia unguis-cati, peumus boldo, Butia capitata, Araucaria brasiliana და სხვა; სამხრეთ აფრიკიდან – Widdringtonia schwarzii, Myrsine africana.

ავსტრალიის და ახალი ზელანდიის მცენარეები, კვირტის დაფარულობის მიხედვით, ორჯგუფად იყოფა - დაფარულკვირტიანი და ღია კვირტიანი. პირველი ჯგუფის მცენარეებს მიეკუთვნებიან ავსტრალიური და ახალზელანდიური წარმოშობის მცენარეები: კალისტემონები, ლეპტოსპერმუმები, პოდოკარპუსები, პიტოსპორუმები და სხვა. მათი კვირტები მშრალი და უხეში ქერქლებითაა დაფარული, რაც მათ სამშობლოს გარემო პირობებთან შეგუებაზე მეტყველებს, მათგან კალისტემონებს და ლეპტოსპერმუმებს, რომლებსაც პატარა და უხეში ფოთლები აქვთ, ქსეროფიტულობაზემიგვანიშნებს, საერთოდ დაფარული კვირტები, უმეტესად ზომიერი და ცივი ჰავის მცენარეებისთვისაა დამახასიათებელი, სწორედ ამიტომაა, რომ ასეთი მცენარეები, ჩვენს პირობებს, კარგად ეგუებიან და ყინვიან დღეებშიც არ ზიანდებიან. დაუფარავკვირტიანი მცენარეებია: ავსტრალიური ევკალიპტები, კალიტრისი, კაზუარინა, აკაციები, ახალზელანდიური კორდილონა, ჰებე ანდერსონის, და ტროპიკული ქვეყნების უმეტესი სახეობები. ამ მცენარეების კვირტების მფარავ ფუნქციას, ქერქლების ნაცვლად, ფოთლები ასრულებენ.

ავსტრალიის მცენარეები, ზრდა განვიტარებას,ჩვენს პირობებში, გაზაფხულზე - აპრილ - მაისში, ზოგჯერ მარტის თვეში და წლის სხვადასხვა დროს, ზოგჯერ ზამთარშის კი ამთავრებენ. ხასიათდებიან სწრაფი ზრდით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ევკალიპტები. ზოგ მათგანს ზრდის ორი და სამი პერიოდიც კი აღენიშნებათ (ევკალიპტები, კალისტემონები, ბიდვილის არაუკარია და სხვა). ზოგიერთ მცენარეს, მაგალითად, ლეგა აკაციას, არ გააჩნია მკვეთრად გამოხატული ზრდის ორი და სამი ნაზრდი, მაგრამ ახასიათებს სწრაფი და ნელი ზრდის მორიგეობა და ეს პროცესი, სხვადასხვა შუალედებით, წლის ბოლომდე მიმდინარეობს (გვიანიძე, 1985). კალისტემონებს ზოგ ტოტზე ზამთრისდეკემბერ - იანვარის თბილ დღეებში, ახასიათებთ, კვირტების გახსნა და ზრდის დაწყება, თუმცა ტემპერატურის მკვეთრი დაცემის პირობებში უცბად წყდება კვირტების გახსნის და ზრდის პროცესი. ჩვენთან, მათი სავეგეტაციო პერიოდი, სამშობლოსთან შედარებით, მოკლეა.

ცნობილია, რომ ავსტრალიაში მერქნიან მცენარეთა ყვავილობა მიმდინარეობს არა წლის რომელიმე ერთ პერიოში (როგორც ეს ზომიერ ზონის მცენარეებში ხდება), არამედ იგი წლის სხვადასხვა სეზონში მიმდინარეობს და იქმნება უწყვეტი მოყვავილე ლანდშაფტი. ზოგიერთ სახეობას წელიწადში ყვავილობის ერთი, ორი და ზოგჯერ ზრდის სამი პერიოდიც ახასიათებთ. და ზრდის ეს პროცესი მიმდინარეობს არამარტო მთლიანად რომელიმე ერთი სახეობის მცენარეში, არამედ სხვადასხვა ინდივიდებისა და თვით ერთი მცენარის სხვადასხვა ცალკეულ ტოტებზეც კი (კალისტემონები). ამიტომ ავსტრალიის მცენარეთა უმეტესობას ახასიათებს თითქმის მთელი წლის განმავლობაში განვითარების სხვადასხვა ფაზის ერთდროულად გავლა. მცენარეზე ერთდროულად ვიხილავთ როგორც მოზარდ ტოტს, ასევე საყვავილე კვირტებს, ყვავილებს და სხვადასხვა ფაზაში მყოფ ნაყოფსაც კი (კალისტემონები, ლეპტოსპერმუმები, ევკალიპტები). ყვავილობის ფაზა ხშირად გადაადგილდება ან მეორდება სხვა პერიოდში, კლიმატური პირობების შეცვლასთან დაკავშირებით. მაგალითად, ლეგა აკაცია ჩვენში საშუალოდ თებერვალ-მარტში ყვავილობს, მაგრამ თბილი ზამთრის პირობები დეკემბერშიც შეიძლება დაიწყოს ყვავილობა, ზოგჯერ, საკმაოდ ცივი და გახანგძლივებული გაზაფხულის პერიოდში, ანელებს ყვავილობას და მაისამდე ინარჩუნებს ამ უნარს.

ჩვენში, ავსტრალიის ზოგიერთი მცენარის ყვავილობა, კალენდარულად და ზოგის კიდევ სეზონურადაც, ემთხვევა ყვავილობას როგორც თავიანთ სამშობლოში, იშვიათად შემოკლებულია (Tristania laurina), ზოგიერთ სახეობას ჩვენთან ორ-ორი ყვავილობის პერიოდი ახასიათებს, სამშობლოში კი ერთი (Callistemon lanceolata, C. speciosus). კალისტემონს ტავისებური თვისება გააჩნია, კერძოდ, ხის - ტოტის რამდენიმე წლის ნაზარდზე შემორჩება სხვადასხვა ასაკის ნაყოფი და ორი-სამი წლის ნაყოფში იწყება თესლის მომწიფება.

ავსტრალიის მცენარეთა ერთი ჯგუფისთვის დამახასიათებელია ჯერ ზრდა და შემდეგ ყვავილობა (Callistemon lanceolata, Lomatia longifolia და სხვა); მეორე ჯგუფს - ჯერ ყვავილობა და შემდეგ ზრდა (Acacia dealbata, A. melanoxylon, Eucalyptus viminalis, E. cinerea და სხვა); მესამე ჯგუფს კი - ყვავილობა, ზრდა, შეფოთვლა ერთდროულად ეწყებათ (ძირითადად ევკალიპტები). ავსტრალიის მცენარეებში ფოთოლცვენა ძირითადად ახალი

ფოთლების გამოჩენასთან ერთად იწყება, მასიური ფოთოლცვენა კი ტოტების მასიურ ზრდას უკავშირდება და მთავრდება ტოტების ზრდასთან ერთად.

ავსტრალიის მცენარეთა ზოგ სახეობას კაულიფლორია ახასიატებს (Callitris oblonga), რომელიც სამხრეთის ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების დამახასიატებელი თვისებაა.

ახალზელანდიურ მცენარეთა ზრდის რიტმი, აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე, გაზაფხულზე (მარტ-მაისში) იწყება და მთელი გაზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობს. ზოგიერთის განუწყვეტლივ ადრე შემოდგომამდე იზრდება და იძლევა ერთ ნაზარდს (Leptospermum-ები); სხვები იზრდებიან გვიან შემოდგომამდე (Cordyline australis, Hebe andersonii); მესამე ჯგუფის მცენარეები კი იზრდებიან გვიან შემოდგომამდე, შესვენებით და იძლევიან ორ-სამ ნაზარდს (Pittosporum tenuifolium, Coprosma baueri). მცენარეთა ერთ ჯგუფს ახასიათებს ზრდის ერთი, იშვიათად - ორი პერიოდი, წყვეტენ ზრდას მაღალი ტემპერატურის პირობებში (აგვისტოში) და განაახლებენ მას სექტემბერში (Podocarpus totora, P. hallii, Griselinia litoralis, Pittosporum colensoi და სხვა).

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით ჩვენში ეს მცენარეები ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფის - მცენარეთა უმრავლესობა, რომელიც გრძელი სავეგეტაციო პერიოდით ხასიათდება (თებერვალ-მარტიდან ნოემბერ-დეკემბრამდე, ზოგჯერ კი უფრო გვიანამდეც) და სახეობის მიხედვით გრძელდება 230-354 დღე (Leptospermum-ები, Cordyline australis, Phormium tenax, Pomaderris apetela, Hebe andersonii და სხვა). არის მცენარეთა მცირე რაოდენობა, რომელსაც გააჩნიათ მოკლე სავეგეტაციო პერიოდი. მათი სავეგეტაციო ციკლი იწყება მარტ-აპრილში და მთავრდება აგვისტო-ნოემბერში, სულ 95-155 დღეში - Griseline litoralis, Pittosporum colensoi, გარდა Olearia forsteri-ის, რომლის სავეგეტაციო პერიოდია156-216 დღე.

ახალზელანდიურ მცენარეთა უმრავლესობას აქვს ყვავილობის ერთი პერიოდი, მცირე ნაწილს - ორი. ამ უკანასკნელს კარგად აქვს გამოხატული შემოდგომის და გაზაფხულის ყვავილობა და ზამთრის განმავლობაში - სუსტი და მრავალწყვეტილი ყვავილობა. ყველა მცენარე მეტ-ნაკლებად განიცდის აჭარის სანაპიროს კლიმატური პირობების ზემოქმედებას, რაც ძირითადად ყვავილობის პერიოდის სამშობლოსთან შედარებით გადაადგილებაში გამოიხატება.

ყვავილობის ვადების მიხედვით ახალზელანდიური მცენარეები შეიძლება ორ ჯგუფადა დავყოთ. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის მცენარეები, რომელთა ყვავილობის სეზონი აჭარის სანაპიროზე არ ემთხვევა, ან ნაწილობრივ გადაადგილებულია, მათ სამშობლოსთან შედარებით. მათ უმრავლესობას ახასიათებს ხანგრძლივი ყვავილობა და ეს ვადები არ ემთხვევა სეზონურად (ემთხვევა მხოლოდ კალენდარულად) სამშობლოში ყვავილობის ვადებს. უმცირესობას კი ახასიათებს ყვავილობის გაცილებით ხანმოკლე ვადები და,სამშბლოსთან შედარებით, კალენდარულად მცირედი გადაადგილება. ისინი თითქმის არ განიცდიან კლიმატური პირობების უარყოფით ზემოქმედებას (Podocarpus totara, Pomaderris apetela).აჭარის სანაპიროზე, მეორე ჯგუფის მცენარეების ყვავილობის სეზონურიგანვითარების ხანგრძლივობით ემთხვევა მათ ყვავილობას სამშობლოში,

ბუნებრივი გავრცელების არეალში (Cordyline australis, Phormium tenax, Pittosporum და სხვა), თუმცა კალენდარულად იგი სამშობლოს პირობებისაგან განსხვავებულია.

ამრიგად, პირველი ჯგუფის მცენარების ყვავილობის პერიოდი, ჩვენს პირობებში,სამშბლოსთან შედარებით მეტ-ნაკლებად გადაადგილებულია, და მათი განვითარების რიტმი არ არის სათანადოდ შეგუებული ჩვენს კლიმატურ პირობებთან, ხოლო სხვა ჯგუფის მცენარეთა (ოლეარია ფორსტერის გარდა) ყვავილობის პერიოდი საკმაოდ შეესაბამება აჭარის სანაპიროს კლიმატურ პერიოდულობას, რაც ამ მცენარეთა ადგილობრივ პირობებთან შეგუებაზე მეტყველებს.

ხანგრძლივი ყვავილობის შესაბამისად, ამ მცენარეთა ნაყოფის გამონასკვაც სხვადასხვა ვადებში ხდება - უმთავრესად იგი მაის-ივნისში იწყება, გამონაკლისი (ოლეარია ფორსტერია) - ოქტომბერში, ხოლო მომწიფება ძირითადად იწყება და მთავრდება აგვისტო-ოქტომბერში, ზოგიერთისა კი ივლის-აგვისტოში.

სამხრეთ-ამერიკულ მცენარეთა უმეტესი სახეობა ჩვენი პირობების მიმართ შეგუების კარგ უნარს ამჟრავნებს. მათი განვითარების რიტმი თითქმის მთლიან შესაბამისობაშია ჩვენს პირობებთან (Araucaria brasiliana, Podocarpus lambertii, aCCa sellowiana, Bignonia unguis-cati, Butia capitata, Colletia armata, Peumus boldus, Schiunus dependens, S. terebintifolius, Rhus viminalis და სხვა). მათი უმეტესობის განვითარების რიტმი მიმდინარეობს ადგილობრივი მცენარეების განვითარების შესაბამისად, - თითქმის ყველა სისტემატურად ნაყოფ-მსხმოიაროზს, უძლებს ჩვენს ყინვებს და ნორმალურად ვითარდება. არის გამონაკლისიც, რომლებიც ყინვიან ზამთარში მეტ-ნაკლებად ზიანდებიან: Psidium cattleyanum, Passiflora coerulea, Cestrum purpureum, Manihot carthaginensis, მაგრამ მათ უმრავლესობას კარგი განახლების უნარი ახასიათებს როგორც ვეგეტატიურ, ასევე თვითნათესის სახით.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში რამდენიმე სახეობაა სამხრეთ აფრიკიდან. სამხრეთ აფრიკის და აჭარის ზღვისპირეთის კლიმატი საშუალო წლიური ტემპერატურის მონაცემებით და ნალექების რაოდენობით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. Callitris(Widdringtonia) schwarzii-ს Myrsine africana-ს დარღვეული აქვთ სამშობლოში დამახასიათებელი სეზონური განვითარების რიტმი და ჩვენს პირობებს ეგუებიან, ნორმალურად ვითარდებიან, თუმცა არასისტემურად, მაგრამ ნაყოფმსხმოიარობენ კიდეც. უმეტესობამ შეინარჩუნა მემკვიდრეობით მიღებული სეზონური განვითარების, ზრდისა და ყვავილობის რიტმი, რომელიც ჩვენთან ხშირად ზამთრის სეზონს უკავშირდება. ისინი უარყოფითად რეაგირებენ ტემპერატურის დაცემაზე და ძლიერ ზიანდებიან ან მთლიანად იყინებიან (ბაგრატიშვილი, 1976). ჩვენთან გამოცდილი იყო სამხრეთ-აფრიკული მცენა-რეების რამდენიმე სახეობა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო თითქმის ყველა დაიღუპა და დარჩენილია მხოლოდ ზემოთ აღნიშნული სახეობები.

ამრიგად, სამხრეთ ნახევარსფეროს მცენარეულობა ბიოლოგიური და სხვა ნიშნებით მკვეთრად განსხვავდება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მცენარეულობისაგან. მათი ზრდისა დასეზონური განვიტარების რიტმი ჩამოყალიბებულია სამშბლოშ განსაზღვრული გარემო პირობების შესაბამისად, რითაც მემკვიდრეობით ის მტკიცედაა ჩამოყალიბებული, რომ ხშირად კლიმატური პირობების ცვლილებების დროს ადვილად არ ირღვევა. მათი ზრდისა და სეზონური განვითარების რიტმი, კალენდარულად, სხვა პირობებში

მიმდინარეობს, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი ჩრდილოეთ ნახევარ-სფეროში ინტროდუქციის დროს. აქედან გამომდინარე, ის მცენარეები, რომლებსაც შესწევთ უნარი ასე თუ ისე შეიცვალონ მემკვიდრეობით მიღებული განვითარების რიტმი, ჩვენი პირობების შესაბამისად, ადვილად ეგუებიან შეცვლილ გარემო პირობებს და ნორმალურად ვითარდებიან. ხოლო ის მცენარეები, რომლებიც მეტ კონსერვატიზმს იჩენენ და მათი ზრდა, ყვავილობა და სხვა განვითარების რიტმი შეფერხებულია ჩვენთან დამახა-სიათებელი დაბალი ტემპერატურის გავლენით. აჭარის სანაპიროზე ბათუმის ბოტანიკური ბაღის არსებობის პერიოდში ყველაზე დაბალი ტემპერატურა (-8,8^{0}C) აღინიშნა 1949-50 წწ. როდესაც სწორედ ისეთი მცენარეებიდაზიანდა, როგორებიცაა: ავსტრალიური - ევკალიპტები, ტრისტანია, პასიფლორა, ცესტრუმი; ახალ-ზელანდიური - კორდილინა, ლეპტოსპერმუმი, პიტოსპორუმი თხელფოთლა და სხვა. ამ მცენარეებზე მნიშვნელოვან გავლენას -4-6^{0}C ტემპერატურაც ახდენს, განსაკუთრებით გახანგრძლივებული დაბალი ტემპერატურა. მაგრამ, მიუხედავად ზამთარში, ყინვის თუ თოვლმტრევის შედეგად დაზიანებისა, ბევრი მათგანის სწრაფი აღდგენით ხასიათდება- იძლევა საიმედო ამონაყარს, ნაყოფმსხმოიარობენ და ზოგჯერ თვითნათესსაც იძლევიან. თუმცა ზოგიერთი სახეობა მთლიანად იღუპება (ზოგიერთი ავსტრალიური ევკალიპტი, აკაციები, ხაკეები, სამხრეთ-აფრიკული სახეობების უმრავლესობა).

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე სამხრეთ ნახევარსფეროს მცენარეთა ინტროდუქციის დროს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება თერმულ ფაქტორს - ზამთარში, ზოგჯერ შემოდგომაზე და გაზაფხულზე ტემპერატურის უეცარ დაცემას, რაც ახასიათებს ჩვენს რეგიონს. ეს უარყოფითად მოქმედებს უმეტესად იმ მცენარეებზე, რომელთა ზრდა-განვითარების რიტმი უკავშირდება ჩვენთან ზამთრისა და შემოდგომის სეზონს. ამიტომ სამხრეთ ნახევარსფეროს ამ მცენარეთა და ბევრი სხვა მცენარის, ჩვენს სანაპიროზე ინტროდუქციის დადებითი შედეგებისათვის აუცილებელი პირობაა მცენარეთა ზრდა-განვითარების რიტმის მეტნაკლებად უმტკივნეულოდ შეცვლის უნარის გამოვლენა ინტროდუქციის ოლქის სეზონური განვითარების პერიოდულობასთან შესაბამისად.

BIOLOGY

The Results of the Introduction of East Asian, North American and Southern Hemisphere Plants in the Georgian Black Sea Littoral Subtropical Zone

Lasa Tavartkiladze, Vano Papunidze
Batumi Shota Rustaveli State University

The article provides the general outcomes of the longtime study of the bioecological peculiarities, seasonal development rhythm, local adaptation and significance of the introduced

plants fromEast Asia, North America and Southern Hemisphere, presented at the Batumi Botanical Garden.

The growth-development rhythm of the East Asian plants follows the same pattern as in the natural habitat area. There are slight replacement of terms for a short period in one of the parts but it does not hinder the ordinary development.

The seasonal development rhythm of the North American plants mostly correspond the development rhythm of the local plants with slight deviations. Besides, their development rhythm takes place in the same period in our conditions as in their homeland but with only one-month deviation in either part that is generally caused by climate change. Thus, the seasonal development rhythm of the North American plants is convenient for their introduction along the Ajara coastline.

Climatic conditions of the Ajara coastal zone do not differ greatly from those districts of Australia, Mediterranean Sea, New Zealand and South America from where many species of woody plants have been introduced and studied in our conditions. The majority of the species introduced from these regions reveal good adaptation ability towards Ajara coastline and their development rhythm almost completely correspond to our conditions.

All the plants introduced from the above-enumerated regions grow and develop easily in the subtropical zone of the Ajara littoral. Moreover, they give seed-fruit abundantly and many of them are characterized with self-regeneration ability; they are also quite frost-resistant. Therefore, they are greatly used not only in decorating the Ajara coastline zone but other regions of Georgia as well.

ლიტერატურა:

1. ბალანჩივაძე შ.ახალიზელანდიის მცენარეთა აკლიმატიზაცია საქართველოს ზღვის სანაპიროზე. წ. სახ. გ-ბაბათუმი. 1961. 153 გვ.
2. ბალანჩივაძე შ. მექსიკის მერქნიან მცენარეთა აკლიმატიზაციის შედეგები ბათ.ბოტ.ბაღში. ბბბ მოამბე №13 „,მეცნიერება“. თბილისი. 1968. გვ 27-28
3. ბრეგვაძემ. მ. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული დაფნისებრთა ოჯახის ზოგიერთი სახეობის ზამთრის სვენების თავისებურებანი. ბბბ. მოამბე, №20. „მეცნიერება“. თბილისი. 1974. გვ. 82-89.
4. გაბრიჩიძე გ. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების უმთავრეს მერქნოვან მცენარეთა ზრდის რიტმი და ყვავილობის პერიოდი. ბბბ მოამბე, №8, საქ. მეცნ. აკად. გ-ბა. 1958. ბათუმი. გვ. 116-125.
5. მანჯავიძე დ. ბათუმის მიდამოებში კლიმატური პირობების ზოგიერთი თავისებურებანი და მათი გავლენა მერქნიან მცენარეებზე. ბბბ მოამბე, №9-10. საქ. სსრ. მეცნ. აკად. გ-ბა. თბილისი. 1961. გვ. 174-180.
6. სამხარაძე თ. ჩრდილოეთ ამერიკის დენდროფლორის აკლიმატიზაციისათვის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. ბბბ მოამბე, №14. საქ. მეცნ. აკად. გ-ბა. თბილისი. 1962. გვ. 65-79.
7. 7.ციცვიძე ა. აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე ინტროდუცირებული ზოგიერთი ეგზოტური ჯიშის აკლიმატიზაციის საკითხისათვის. ბბბ მოამბე, №8. თბილისი. 1958. გვ. 179-191.
8. ციცვიძე ა. ჰიმალაის მცენარეთა ინტროდუქცია-აკლიმატიზაციის შედეგები აჭარაში. ბბბ მოამბე, №9-10. საქ. მეცნ. აკად. გ-ბა. თბილისი. 1961. გვ. 125-150.

9. ციცვიძე ა. ავსტრალიის მცენარეთა აკლიმატიზაციის შედეგები აჭარაში. ბბბ მოამბე, №14. „მეცნიერება“. თბილისი. 1967. გვ. 66-77.
10. ციცვიძე ა. გვარი ევკალიპტის ბიოეკოლოგიის საკითხისათვის. ბბბ მოამბე, №13. „მეცნიერება“. თბილისი. 1968. გვ. 70-78.
11. ჯავახიშვილი ნ. ჰამამელისებრთა ოჯახის მცენარეთა ყვავილობა და ნაყოფმსხმოიარობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. ბბბ მოამბე, №20. „მეცნიერება“. თბილისი. 1974. გვ. 12-20.
12. Гвианидзе Д.М. Ритм роста и развития австралийских акаций на побережье Аджарии. Изв. ББС, т.28. «Мецниереба». Тбилиси. 1985. стр. 3-12.
13. Гинкул С. Интродукция и натурализация растений во влажных субтропиках СССР. Изв. Бат. Субтр. Бот. Сада, №1. Изд. БСБС. Батуми. 1936. стр. 3-44.
14. Дмитриева А.А. Пеканы Батумского ботанического сада. Изв. ББС, №6. Изд. АН Гр. ССР. Тбилиси. Вып. 9. Сочи. 1956. с 23-30.
15. Келлер Б.А. Введение в книгу «Путеводитель по Бат. Субтр. Бот. Саду». Москва-Ленинград. 1935.
16. Краснов А.Н. Субтропики Северной Америки и их значение для Батумского края. Ж. Русские субтропики, №1-4. 1913.
17. Краснов А.Н. Батумский ботанический сад за первый год его организации. Ж. Русские субтропики, №9. Батуми. 1913.
18. Матинян А.Б. Результаты акклиматизации древесно-кустарниковых растений в Батуми.-Бюл. ГБС, 1958, вып. 32, с. 7-10.
19. Матинян А.Б. Биологические особенности некоторых северо-американских растений. Изд, ББС, №13. ЭМецуниеребаЭ. Тбилиси. 1968. с. 79-84.
20. Матинян А.Б. Северо-американские древесные экзоты, дичающие на Батумском побережье. Из. кн. «Биологические науки», XV, №1. Изд. АН Арм. ССР. Ереван. 1962.
21. Морозова Г.А. Материалы по интродукции восточно-азиатских растений в Батумском ботаническом саду. Изд. АН Гр. ССР. Батуми. 1957. стр. 86-115.
22. Папунидзе В.Р. и др., Деревья и кустарники Батумского Ботанического сада (Голосеменные) ч.I. «Мецниереба». Тбилиси. 1989. 164 с.
23. Папунидзе В.Р. и др., Деревья и кустарники Батумского Ботанического сада (Покрытосеменные) ч.II. «Мецниереба». Тбилиси. 2007. 428 с.
24. Папунидзе В.Р., Цхоидзе Т.К. Особенности роста и развития некоторых представителей кария в Батумском ботаническом саду. Изв. ББС, №27. «Мецниереба». Тбилиси. 1983. стр. 3-29.
25. Папунидзе В.Р. и другие. Деревья и кустарники Батумского ботанического сада. Аннотированный список. «Мецниереба». Тбилиси. 1987. 228 стр.д
26. Цицвидзе А.Т. Особенности роста и развития хвойных в Аджарии. «Мецниереба». Тбилиси. 1973. 311 стр.
27. Цхоидзе Т.К. Цветение и плодоношение кленов в Батумском ботаническом саду. Изв. ББС, №20. «Мецниереба». Тбилиси. 1974. стр. 5-11.
28. Шарашидзе Н. Особенности углеводного обмена в некоторых субтропических растениях в условиях влажных субтропиков в связи с их морозостойкостью. Изв. ББС, №23. «Мецниереба». Тбилиси. 1977. стр. 5-22.
29. PapunidzeV. Eco-Physiological Peculiarities of Adaptation and Change Regulation of the Plants Introduced in Georgian Littoral. Georgian National Academy of Sciences Ajara Autonomous Republic Regional Scientific Centre. Transactions №1. Batumi. 2016. p. 63-69.

BIOLOGY

BIOCIDE PROPERTIES OF Co(II) AND Ni(II) COMPLEXES WITH META-NITROBENZALDEHYDE BENZOYL HYDRAZONE

Z. Lomtatidze, T. Shiukashvili, I. Sharia
Sokhumi State University

Synthesis of physiologically active substances with different structure for economic purposes is very popular today (1, 2). From this point of view synthetic toxicants of some pathogenic microorganisms, among them ligands and their co-ordinated complexes, are of special interest. According to literary data hydrazides, hydrazones and their metal salts are more toxic than the co-ordinated substances of the same metals. Biocide properties of meta-nitrobenzaldehyde benzoyl hydrazone and its co-ordinated substances with Co(II) and Ni(II) chlorides towards some microorganisms, among them towards phytopathogenic bacteria *Xantomonas campestris* (pathogen of melons and gourds), has been studied. Mentioned substances were obtained by G. Tsintsadze, T. Tsivtsivadze and I. Sharia from Georgian Technical University (3, 4).

Table 1

Biocide activity of the tested substances on microorganism's growth and development

Tested microorganisms	Control (K)	Substances					
		I		II		III	
		Concentration (g/l)					
		0.1	1.0	0.1	1.0	0.1	1.0
		Size of the inhibited growth area, mm					
Actinomyces griseus	0.0	0.0	0.0	3.0	4.0	4.0	7.0
Actinomyces streptomycini	0.0	0.0	0.0	0.0	2.0	4.0	8.0
Actinosporangium violaceum	0.0	0.0	0.0	4.0	6.0	2.0	4.0
Streptomyces albogriseolus	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0
Streptomyces violaceus	0.0	0.0	0.0	4.0	6.0	0.0	0.0
Nocardiopsis dassonvillei	0.0	0.0	0.0	6.0	8.0	0.0	1.0
Xanthomonas campestris	0.0	0.0	0.0	1.5	2.0	6.0	7.0

1. $C_{14}H_{11}N_3O_3$(meta-nitrobenzaldehyde benzoyl hydrazone)
2. $[CoCl_2 \cdot (C_{14}H_{11}N_3O_3)(H_2O)_2] \cdot H_2O$
3. $[NiCl_2 \cdot (C_{14}H_{11}N_3O_3)(H_2O)_2]$

0.1g/l and 1g/l concentrations of test-substances were applaied. Dimethilacetamide was used as solvent (K-control), actinomycetes: *Actinomyces griseus, Actinomyces streptomycini, Actinosporangium violaceum, Streptomyces Albogriseolus, Streptomyces violaceus, Nocardiopsis dassonvillei*and phytopathogenic bacteria *Xanthomonas campestris* served as test-objects.

Test-microorganisms were cultivated on a solid nutrient mediums: actinomyceteswere grown on Krasilnikov' CP-1 synthetic medium (KNO_3 -1g; K_2HPO_4 -0,5g; NaCl -0,5g; $MgSO_4$ -0,5g; $FeSO_4$ -traces; $CaCO_3$ -1g; starch – 20g; agar – 2-g; tap water – 1l), while bacteria – on a meat-peptonic agar medium (MPA).

Biocidity of substances was determined by Egorov' method (5), viability of spores - by Kuznetsov' method (6). Experimental results are demonstrated in table 1.

Obtained results clear the selective effect of the tested substances on microorganisms' growth and development. In particular, substance I did not reveal any biocide effect on tested microorganisms, while substance II inhibited development of the same microorganisms. Especially effective was its influence on *Actinosporangium violaceum, Streptomyces violaceus* and *Nocardiopsis dassonvillei*. Substance III successfully inhibited the growth of *Actinomyces griseus, Actinomyces streptomycini* and *Xanthomonas campestris*.Comparatively weak was the effect of both substances on *Streptomyces albogriseolus*. Substance II poorly affected growth and development of *Actinomyces streptomycini* and *Xanthomonas campestris*, while substance III - development of *Nocardiopsis dassonvillei*. It must be mentioned that substance III did not reveal any effect on growth and development of *Streptomyces violaceus*.

The next step of investigations comprised testing of the influence of As_2O_3 and substance II, as of high biocide activity one (compared to other tested substances), on viability of spores of Actinomycetes: *Actinosporangium violaceum, Streptomyces albogriseolus, Streptomyces violaceus* and*Nocardiopsis dassonvillei*. 1g/l of As_2O_3 and substance II were added to a liquid nutrient medium, andthe monosporic suspension of the studied actinomycetes was inoculated there. Dilutions were prepared from the samples taken in exponential phase of cultures development, and were inoculated on a solid nutrient medium. Experimental dishes were placed at 28°C in thermostat for 7-8 days and obtained results were registered. Experimental results are demonstrated in table 2.

Table 2

Influence of the tested substances on viability of Actinomycetes spores

Tested microorganisms	Control (K)		Substances			
			II		As_2O_3	
			Concentration (g/l)			
			1,0		1,0	
	Number of viable spores					
	Number	%	Number	%	Number	%
Actinosporangium violaceum	$0.06x10^6$	100	$0.02x10^6$	33.3	$0.02x10^6$	33.3
Streptomyces albogriseolus	$8x10^6$	100	$6.8x10^6$	85.0	$7.8x10^6$	97.5
Streptomyces violaceus	$7.2x10^6$	100	$3.6x10^6$	50.0	$7.0x10^6$	97.2
Nocardiopsis dassonvillei	$0.4x10^6$	100	$0.2x10^6$	50.0	$0.2x10^6$	50.0

Experimental results show that both substances inhibited the viability of spores of tested cultures. Especially effective was influence of both substances on spores of *Actinosporangium violaceum* (number of viable spores 33.3%). Substance II inhibitedgrowth and development of*Streptomyces violaceus*and *Nocardiopsis dassonvillei* (number of viable spores 50.0%) as well.

Summarizing the experimental results it may be concluded that tested substances, in particular complexes of Co(II) and Ni(II) with meta-nitrobenzaldehyde benzoyl hydrazone demonstrate selective and different extent biocide activity, and inhibit growth and development of different genera and species of microorganisms, among them of pathogenic ones.

ბიოლოგია

მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის ბენზოილჰიდრაზონთან Co(II) და Ni(II)-ის კომპლექსნაერთების ბიოციდური თვისებები

ზ.ლომთათიძე, თ.შიუკაშვილი, ი.შარია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სინთეზური საკვლევი ნივთიერებები, კერძოდ, მეტა-ნიტრობენზალდეჰიდის ბენზოილჰიდრაზონთან Co(II)-ის და Ni(II)-ის კომპლექსნაერთები ხასითდებიან შერჩევითი, სხვადასხვა აქტივობის ბიოციდური თვისებებით და თრგუნავენ სხვადასხვა გვარის და სახეობის აქტინომიცეტის- Actinomyces griseus, Actinomyces streptomycini, Actinosporangium violaceum, Streptomyces Albogriseolus, Streptomyces violaceus, Nocardiopsis dassonvillei და ფიტოპათოგენური ბაქტერიის - Xanthomonas campestris-ს ზრდა-განვითარებას.

References:

1. Z. Lomtatidze, T. Shiukashvili, I. Khalhanashvili,M. Lortkipanidze. Intelect, 3 (6), 30-31, 1999.
2. N. Esakia, Z. Lomtatidze, Sh. Samsonia, T. Shiukashvili, N. Suvorov.Bull. Georg. Acad. Sci., 121(1), 93-96, 1986.
3. M. Tsintsadze, M. Chanturia, N. Gelovani, I. Sharia, G. Tsintsadze.Georgian Chemical Journal, 3(4), 302-304, 2003.
4. M. Tsintsadze, N. Gelovani,I.Sharia,M. Chanturia,G. Tsintsadze.Georgian Chemical Journal, 3(4), 398-301, 2003.
5. N.Egorov. Microbes-antagonists and biological methods to determine antibiotic activity. Moscow, Moscow State University (MGU),1965, p. 37-39.
6. V. D. Kuznetsov. Antibiotics, N1, 1972.

მეციტრუსეობის და მეჩაიეობის დარგების განვითარება აჭარის რეგიონისათვის პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს

გ.პაპუნიძე, ა.დევაძე, ს.პაპუნიძე, ნ.სეიდიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ -კლიმატურ პირობები, რელიეფი, მიწის რესურსები ისტორიულად სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგების განვითარების პოტენციალს ქმნის. საკმაოდ მრავალფეროვანია სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომელითა დანერგვა შესაძლებელს ხდის დამზადდეს ნედლეული და მოხდეს მისი გადამუშავება კვების პროდუქტებისა და სხვა პროდუქციის წარმოების მიზნით. გარკვეული რესურსებია მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, თევზის სატბორე მეურნეობების ობიექტების შექმნისათვის.

მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მრავალფეროვნებისა და წარმოების მასშტაბების პოტენციალისა საბაზრო ეკონომიკური ურთიერობის პირობებში, ყველა ტრადიციული დარგი ვერ იძენს კონკურენტუნარიანობას მომძლავრებული კონკურენციისა და სხვა ზემოქმედი გარემოებებისა და ფაქტორების გამო. სწორედ ამითაა განპირობებული დღეისათვის ზოგიერთი ადრე სტრატეგიული მნიშვნელობის სოფლის მეურნეობის დარგების პრიორიტეტულობის რეიტინგული შეფასებების ცვლილებები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ცალკეულ კულტურათა ჩანაცვლების მცდელობისა მეციტრუსეობა და მეჩაიეობა მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიების დაცვის, გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის შექმნის,პროგრესული კომპლექსური გადამამუშავებელი ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვის და სწორად ორგანიზებული მარკეტინგული საქმიანობის და რათქმა უნდა სახელმწიფო მხრიდან ხელშემწყობი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში კვლავაც შეინარჩუნებენ აგრობიზნესის სფეროში წამყვან როლს (1).

მონაცემები აჭარაში ციტრუსოვანთა კულტურების ფართობისა და ნარგავების რაოდენობის შესახებ 2016 წლის სტატისტიკური აღრიცხვის მასალების მიხედვით ასეთია:

N	ციტრუსოვანთა კულტურები	ძირები პლანტაციაში ათ. ძირი	ნაყოფის მონაცემები ძირები პლანტაციაში ათ. ძირი	მსხმოიარე ძირთა ხვედრითი წილი %
1	მანდარინი	3143,5	2975,4	94,7
2	ფორთოხალი	109,7	102,7	93,6
3	ლიმონი	136,3	126,6	92,9
4	გრეიპფრუტი	4,7	4,5	95,7
5	სხვა	-	-	-
6	სულ	3394,3	3209,2	94,5

აჭარის ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით მონაცემები ციტრუსოვანთა კულტურების ქვეშ დაკავებული ფართობების მიხედვით შეადგენს აჭარა-5177ჰა, ქ. ბათუმი - 674 ჰა, ქედა -1ჰა, ქობულეთი-2767ჰა, შუახევი-1ჰა, ხელვაჩაური-1734ჰა, ხულო- 0 ჰა.

მონაცემები აჭარაში ჩაის კულტურის ფართობისა და მოსავლიანი პლანტაციების შესახებ 2016 წლის სტატისტიკური აღრიცხვის მასალების მიხედვით ასეთია

N	დასახელება	ჩაის პლანტაციები ჰა	მოსავლიანი ჩაის პლანტაციები ჰა	მოსავლიანი ჩაის პლანტაციების ხვედრითი წილი %
1	აჭარა	503	450	89,5
2	ქ. ბათუმი	6	0	0
3	ქედა	2	0	0
4	ქობულეთი	459	446	97,2
5	ხელვაჩაური	37	3	8,1
6	შუახევი	0	0	0
7	ხულო	0	0	0

მეურნეობების განაწილება ცირტუსებისა და ჩაის პლანტაციების ფართობის მიხედვით (ერთეული) 2016 წლის სტატისტიკური აღრიცხვის მასალები მიხედვით აჭარაში ასეთია:

N	დარგები	მეურნეობის რაოდენობა	მათ შორის მიწის ფართობების მიხედვით ციტრუსები და ჩაი (ჰა)								
			<0,1	0,1-0,49	0,5-0,99	1-2,99	3-4,99	5-9,99	10-49,99	5-99,99	≥100
1	ციტრუსი	24409	3685	19640	964	112	6	-	-	-	-
2	ჩაი	231	66	149	11	2	1	-	-	-	-

ცალკეული კვლევების მიხედვით დადგენილია, რომ მოსახლეობის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც პრივატიზებულია ან სხვა ფორმით სარგებლობაში მძიმედ გასხლული, მაგრამ შენარჩუნებული ჩაის ნარგავები, რომლებიც ჩაის ნედლეულის დამზადებაზე მოთხოვნის შემთხვევაში ერთი წლის განმავლობაში მოსავლის მომცემ პლანტაციად გადაიქცევა. ასეთი ჩაის ნარგავები ოჯახური მეურნეობის თითქმის 20-25%- ს შენარჩუნებული აქვს და ეს დიდი რეზერვია. როგორც ბოლო წლების კვლევის შედეგებმა დაადასტურა მოლოდინი ძირითადად თხილით და სხვა კულტურებით ჩანაცვლებით არადამაკმაყოფილებელი აღმოჩდა მოსახლეობისათვის, პირიქით, შრომა ტევადობისა და ფულადი შემოსავლების ოდენობით, ასევე შემოსავლების სტაბილურობის თვალსაზრისით, სამეურნეო საქმიანობა არარენტაბელური დარჩა.

ასეთი მდგომარეობაა, როგორიც ჩაის, ისე მეციტრუსეობის სფეროებში. გარდა ამისა მენტალური თვალსაზრისით მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს მოლოდინი იმისა, რომ

სახელმწიფო სტრატეგია აგრარული სფეროს განვითარებაში იქნება ეფექტური და ამ ორივე დარგს მიექცევა ყურადღება, მოხდება რეაბილიტაცია - განვითარება და ნედლეულიც მოთხოვნადია იქნება.

რაც შეეხება ციტრუსოვანთა ნარგავებით დაკავებული ფართობის ხვედრითი წილს ბოლო სტატისტიკური აღწერის მასალებით აჭარაში მიწის მთლიან ფონდში მრავალწლიანი ნარგავების მიხედვით 74%-ზე მეტი კვლავაც მეციტრუსეობას ეკუთვნის თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1885 წლის ციტრუსოვნებს ეჭირა -26,1 ათასი ჰექტარი, დარგის რეაბილიტაცია განვითარების პოტენციალი თუნდაც ამ მასშტაბით რეალურია.

გარდა გადამუშავების ტექნოლოგიების შემუშავებისა და გადამამუშავებელი საწარმოო სიმძლავრეების შექმნა-ამოქმედებისა მეციტრუსეობის დარგის რენტაბელობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია ციტრუსოვანთა ნაყოფის შენახვის პრობლემების გადაწყვეტა. ეს გაახანგრძლივებს ნედლეულის გადამუშავების სეზონურობას და სტანდარტული ნაყოფის რეალიზაციას შიგა და გარე ბაზრებზე. მთელი წლის განმავლობაში მაშინ როცა ფასები მაღალია შემოდის უცხო ქვეყნების პროდუქცია, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიპფრუტი, ასევე ამ ნედლეულის გამოყენებით წარმოებული სხვადასხვა არომატიზატორებით გაჯერებული არა ნატურალური პროდუქცია და საკმაოდ მაღალი ფასებში იყიდება. აჭარაში მოწეული მოსავლის 40-50 % ლპება და ამის გამო მოსახლეობის მიერ მოუვლელად მიტოვებულია და გავერანებულია ციტრუსოვანთა ნარგავების უდიდესი ნაწილი. თუ შევადარებთ 1985 წლისა და ბოლო წლებს მონაცემებს ჩაის პლანტაციებისა და წარმოებული ნედლეულის მიხედვით 67,1-ათას ჰექტარამდე ჩაის ფართობების შექმნის რესურსი არის აჭარაში (2,3,4,6).

მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის დარგის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია საქართველოს მეცნიერთა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის აგრარული და ეკონომიკური კვლევების დარგობრივი კომისიების, მიერ შემუშავებული რეკომენდაციების და წინადადებების, ბსუ აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიების გამოყენება (5,7,8).

ციტრუსოვანთა ნაყოფისაგან, ყვავილისაგან და ჩაის ფოთლისაგან შემუშავებული ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებული ზოგიერთი პროდუქციის დახასიათება.

№	ნედლეულის დასახელება	წარმოებული პროდუქციის დასახელება	პროდუქციის დახასიათება	დანიშნულებით გამოყენება			რეალიზაცია ბაზრებზე		წარმოების შესაძლებლობა	
				საერთო მოხმარების (+)	ფუნქციონალური დანიშნულების (+)	სპეციალური დანიშნულების (+)	ექსპორტი (+)	შიგა ბაზარი (+)	დიდი და საშუალო სიმძლავრის საწარმოები (+)	კოოპერატივები ფერმერული მეურნეობები (+)
1.	ციტრუსოვანთა ყვავილი	მანდარინის ყვავილის ნაყენი	გამჭვირვალე, ქარვის ფერი, ციტრუსის ყვავილისთვის დამახასიათებელი არომატით და გემოთი. 65-68%მოც. ეთილის სპირტის შემცველობა.	+	+		+	+	+	+
		ციტრუსის ყვავილის ექსტრაქტი	ნახევრად გავჭვირვალე, ღია ყვითელი ფერის სითხე, მკაფიოდ გამოხატული თაფლის გემოთი. მშრალი ნივთიერება – 30%. გამოყენების სფერო: საკონსერვო მრეწველობა, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება.	+			+	+	+	+
		მანდარინის ყვავილის ვაჟინი	გამჭვირვალე, ქარვის ფერი. მკაფიოდ გამოხატული თაფლის არომატით და გემოთი. შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. მშრალი ნივთიერება 63%.	+			+	+	+	+
		მანდარინის ყვავილის თაფლი	გამჭვირვალე, ქარვის ფერი. თაფლის არომატითა და გემოთი. შაქარი 78%.	+			+	+	+	+
		მანდარინის ყვავილის ლიქიორი	გამჭვირვალე, მოყვითალო-ქარვის ფერი. თაფლის არომატითა და გემოთი. ეთილის სპირტი 25-მოც%, შაქარი 35%.	+			+	+	+	+
2.	მანდარინი	მანდარინის ნატურალური წვენი	მანდარინის პროდუქციის დახასიათება: გაუმჭვირვალე, ღია ნარინჯისფერი, რბილობის შემცველი წვენი, მანდარინისათვის დამახასიათებელი ოდნავ მომწარო გემოთი. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 10%. მდიდარი კაროტინებით და ვიტამინებით. შეიცავს მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს. აქვს პროფილაქტიკური თვისებები.	+	+		+	+	+	+

		მანდარინისწვენიშაქრით	მანდარინის წვენი შაქრით წარმოადგენს გაუმჭვირვალე, ღია ნარინჯისფერ სითხეს რბილობით. მას აქვს სასიამოვნო გემო, მანდარინისთვის დამახასიათებელი სიმწარით. მშრალი ნივთიერების შემცველობა 14%-ია. წვენი მდიდარია კაროტინებითა და ვიტამინებით. შეიცავს C, A, P ვიტამინებს, მინერალურ მარილებსა და ორგანულ მჟავებს. მას აქვს პროფილაქტიკური თვისებები.	+	+		+	+	+	+
		მანდარინისკონცენტრირებულიწვენი	მანდარინის პროდუქტი წარმოადგენს ერთგვაროვან მუქ ნარინჯისფერ მასას, რომელიც შეიცავს 18% რბილობსა და 45% მშრალ ნივთიერებას. პროდუქტი მზადდება მანდარინის ახალი ნაყოფებიდან მიღებული ნატურალური წვენის 4,5-ჯერ შესქელებით, ვაკუუმის პირობებში. ეს მეთოდი უნარჩუნებს წვენს ბიოაქტიური ნივთიერებების კომპლექსს. პროდუქტი მდიდარია P, C ვიტამინებით, კაროტინებით და მინერალური მარილებით. მისი ბაზაზე მზადდება უალკოჰოლო სასმელები: „მანდარინის“, „ოქროსფერი“ და „გამახალისებელი“. ყველა ამ სასმელისთვის შემუშავებულია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია.	+	+		+	+	+	+
		მანდარინის კონცენტრირებული კომპოტი	განივად, რგოლების სახით დაჭრილი მანდარინი დაფარულია 45%-იანი კონცენტრაციის შაქრის სიროფით. კომპოტს აქვს მომჟავო-ტკბილი გემო და სასიამოვნო გარეგნული შესახედაობა. შეიცავს: ვიტამინ C: 10-15 მგ% ვიტამინ P: 80-100 მგ%	+				+		+
		მანდარინის სასმელი	უალკოჰოლო სასმელი არის გაუმჭვირვალე სითხე, რომელსაც აქვს მანდარინის სასიამოვნო გემო და არომატი. მშრალი ნივთიერების შემცველობა - 12% მდიდარია კატექინებით, შეიცავს P და C ვიტამინებს, აქვს გამაგრილებელი თვისებები	+	+			+	+	+
		მანდარინის მურაბა	მანდარინის მურაბა არის შუაზე გაჭრილი მთლიანი მანდარინის ნაყოფი, რომელიც მოხარშულია შაქრის სიროფში. პროდუქტი ყვითელი ან ღია ყვითელი ფერისაა. მას აქვს მანდარინისთვის დამახასიათებელი ოდნავ მომწარო გემო და ციტრუსის არომატი. მშრალი ნივთიერების შემცველობა არანაკლებ 68%-ია. შეიცავს: მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს, P და C ვიტამინებს.	+	+	+	+	+	+	+
		მანდარინის ჯემი	მზა პროდუქტი წარმოადგენს მომჟაო-ტკბილ სქელმცხებად მასას, მანდარინისათვის დამახასიათებელი არომატით და ფერით, მსუბუქი სიმწკლარტით. მშრალი ნივთიერების შემცველობა 62%. შეიცავს პექტინს – 3-4%, ვიტამინ P-ს 480მგ%, ვიტამინ C-ს – 20-30მგ%. აქვს რადიო პროტექტორული თვისებები, წარმოადგენს პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტს.	+	+	+	+	+	+	+

		ციტრუსოვანთაკონფიტიურები	გამოყენებული ნედლეული: გრეიპფრუტი, მანდარინი, შაქარი. პროდუქციის დახასიათება:ციტრუსოვანთა კონფიტიურები მზადდება რამდენიმე სახეობით: გრეიპფრუტის, გრეიპფრუტის ამონაწნეხის, მანდარინის და მანდარინის ამონაწნეხის. მზა პროდუქტი არის სქელი, ჟელესმაგვარი მასა, რომელსაც აქვს მომჟავო-მოტკბო გემო და ციტრუსოვანთათვის დამახასიათებელი გამოკვეთილი არომატი. მშრალი ნივთიერების მასური წილი: გრეიპფრუტისა და მანდარინის კონფიტიურისთვის -57%. მანდარინის ამონაწნეხის კონფიტიურისთვის -51%. ბიოაქტიური ნივთიერებების შემცველობით და კვებითი ღირებულებით, ეს პროდუქტი მანდარინის ჯემების ანალოგიურია.	+	+	+	+	+	+	+
		მანდარინისდახილისკონფიტიურები	გამოყენებული ნედლეული: მანდარინი და ვაშლის, კომშის ან ტყემლის პიურე. პროდუქციის დახასიათება: მანდარინისა და ხილის კონფიტიურები მზადდება შემდეგი კომბინაციებით: მანდარინი და ვაშლი, მანდარინი და კომში, მანდარინი და ტყემალი. ეს პროდუქტი არის სქელი, ჟელესმაგვარი მასა, რომელსაც აქვს გამოყენებული ნედლეულისთვის დამახასიათებელი მომჟავო-მოტკბო გემო და არომატი. მანდარინისა და ხილის პიურეების კუპაჟი პროდუქტს ამდიდრებს ვიტამინების კომპლექსით და მიკროელემენტებით. შეიცავს: ვიტამინ P:130 მგ%, პექტინი:1-1.5%, მშრალი ნივთიერების მასური წილი -62%.	+	+	+	+	+	+	+
		მანდარინის ნექტარი	პროდუქციის დახასიათება: მანდარინის ნექტარი არის თხევადი ხილი შაქრით. ის პასტისმაგვარი, ერთგვაროვანი მასაა, რომელიც არ განიშრევება. აქვს მომჟავო-ტკბილი, სასიამოვნო მანდარინის გემო, არომატი და ფერი. მშრალი ნივთიერების შემცველობა: 40%, ვიტამინი P: 189 მგ% ვიტამინი C: 20 მგ%	+	+	+	+	+	+	+
		მანდარინისა და ქაცვის ნექტარი	ერთგვაროვანი ნარინჯისფერი მასა. ეს პროდუქტი არის ერთგვაროვანი ნარინჯისფერი მასა. მშრალი ნივთიერების შემცველობა: 40% მჟავიანობა: 1% ვიტამინები (A, C, E): 200 მგ% (დღიური დოზა)	+	+			+		+
		მანდარინის კრემი	ეს პროდუქტი წარმოადგენს ერთგვაროვან გახეხილ მასას, რომელსაც აქვს მანდარინისთვის დამახასიათებელი მოტკბო-მომჟავო გემო და არომატი. მშრალი ნივთიერების მასური წილი: არანაკლებ 72%	+		+	+	+	+	+

		მანდარინის ვაჟინი	ეს არის გამჭვირვალე სითხე ნალექის გარეშე. მას აქვს მომჟავო-მოტკბო გემო და არომატი, რაც დამახასიათებელია გამოყენებული ნედლეულისთვის. მშრალი ნივთიერების მასური წილი: 68% შენახვისას ინარჩუნებს თავის ორგანოლეპტიკურ, ქიმიურ და ფიზიკურ თვისებებს.	+	+	+	+	+	+	+
		ციტრუსის ყვავილის ლიქიორი “აჭარის თაიგული”	ციტრუსის ყვავილის თაფლი არის ჰომოგენური, ერთგვაროვანი და ბლანტი მასა, რომლის ფერიც ღია ქარვისფერიდან მუქ ქარვისფრამდე მერყეობს. მას აქვს ფუტკრის თაფლისთვის დამახასიათებელი სასიამოვნო გემო და ციტრუსის ყვავილის არომატი. შემადგენლობა: მშრალი ნივთიერების შემცველობა: 77% ინვერსიული შაქრები: 35% ტიტრული მჟავიანობა: 0.3%	+			+	+	+	+
		უალკოჰოლო სასმელი “არომატული”	გამჭვირვალე ღია ყვითელი ფერის სითხე, თაფლის არომატით და გემოთი.	+	+	+	+	+	+	+
		ცუკატები მანდარინის	გამჭვირვალე ღია ყვითელი ფერის სითხე, თაფლის არომატით და გემოთი.	+			+	+	+	+
		ციტრუსოვანთა მაჟელირებელი პასტა	მანდარინის კანის თანაბარ ზომიერი ნაჭრები – კვადრატის, სამკუთხედის ან სხვაფორმის, გაჟღენთილი შაქრის სიროფით, შემშრალი და შაქარმოყრილია ან მის გარეშე. პროდუქტს აქვს ტკბილი გემო სუსტი სიმწარით და ნაყოფისთვის დამახასიათებელი ელფერი. მშრალი ნივთიერების შემცველობა გრეიპფრუტისა და მანდარინის ცუკატში შეადგენს 80%-ს. ციტრუსოვანთა კანის ცუკატები შეიცავს ვიტამინური აქტივობის მქონე პექტინოვან ნივთიერებებს.	+	+	+	+	+	+	+
3.	ლიმონი	ლიმონის მურაბა	ციტრუსოვანთა მაჟელირებელი პასტები მზადდება ფორთოხლის, მანდარინის და ლიმონის ცედრაგაცლილი ნაყოფების წინასწარდამუშავებული ამონაწნეხისგან. წარმოადგენს ერთგვაროვან პასტისმაგვარ მოყვითალო კრემისფერი ელფერით მასას ნაყოფისთვის დამახასიათებელი არომატით. მდიდარია პექტინით, შეიცავს პოლიფენოლებს, საკვებ ბოჭკოებს, P და C ვიტამინებს და სხვა. მშრალი ნივთიერების შემცველობა 5-6%. კვების პროდუქტების წარმოებაში როგორც ბიოაქტიური ნივთიერებებით მდიდარი შემავსებლები.	+	+	+	+	+	+	+
		ცუკატი ლიმონის	ღია ყვითელი ფერი, გამჭვირვალე სიროფით, ლიმონისთვის დამახასიათებელი არომატითა და გემოთი. მშრალი ნივთიერება 68%. პასტერიზებული.	+			+	+		+

4.	ფორთოხალი	ფორთოხლის ნატურალური წვენი	ღია ყვითელი ფერი, გამჭვირვალე სიროფით, ლიმონისთვის და ჩაისთვის დამახასიათებელი არომატითა და გემოთი. მშრალი ნივთიერება 68%. პასტერიზებული.	+	+	+	+	+	+	+
		ფორთოხლის წვენი შაქრით	ლიმონის კანის თანაბარ ზომიერი ნაჭრები – კვადრატის, სამკუთხედის ან სხვა ფორმის, გაჟღენთილი შაქრის სიროფით, შემშრალი, შაქარ მოყრილი ან მის გარეშე. ტკბილი სუსტი სიმწარით, ნაყოფებისათვის დამახასიათებელი ელფერით. მშრალი ნივთიერების შემცველობა გრეიპფრუტის ცუკატში – 83%, ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის – 80%. ციტრუსოვანთა კანის ცუკატები შეიცავენ ვიტამინური აქტივობის მქონე პექტინოვან ნივთიერებებს.	+	+	+	+	+	+	+
		ფორთოხლის მურაბა	გაუმჭვირვალე, ღია ნარინჯისფერი, რბილობის შემცველი წვენი, ფორთოხლისათვის დამახასიათებელი ოდნავ მომწარო გემოთი. მშრალი ნივთიერების შემცველობა – 10%. მდიდარია კაროტინებით და ვიტამინებით. შეიცავს მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს. აქვს პროფილაქტიკური თვისებები.	+.	+	+	+	+	+	+
		ცუკატი ფორთოხლის	ფორთოხლის წვენი შაქრით ფორთოხლის წვენი შაქრით არის გაუმჭვირვალე, ღია ნარინჯისფერი სითხე რბილობით. მას აქვს სასიამოვნო გემო და ფორთოხლისთვის დამახასიათებელი სიმწარე. მშრალი ნივთიერების შემცველობა: 14% შემადგენლობა: მდიდარია კაროტინებით, C, A, P ვიტამინებით, მინერალური მარილებითა და ორგანული მჟავებით. თვისებები: აქვს პროფილაქტიკური თვისებები.	+			+	+		+
5.	გრეიპფრუტი	გრეიპფრუტის მურაბა	პროდუქტი არის ერთგვაროვანი, მუქი ნარინჯისფერი მასა, რომელიც შეიცავს 18% რბილობს და 45% მშრალ ნივთიერებას. ის მზადდება ფორთოხლის ახალი ნაყოფებიდან მიღებული ნატურალური წვენის 4.5-ჯერ შესქელებით ვაკუუმის პირობებში, რაც უნარჩუნებს მას ბიოაქტიური ნივთიერებების კომპლექსს. პროდუქტი მდიდარია: P და C ვიტამინებით, კაროტინებით მინერალური მარილებით	+	+	+	+	+		+
		გრეიპფრუტის კომპოტი	პროდუქტი ყვითელი ან ღია ყვითელი ფერისაა. მას აქვს მანდარინისთვის დამახასიათებელი ოდნავ მომწარო გემო და ციტრუსის არომატი. მშრალი ნივთიერების შემცველობა: არანაკლებ 68% შეიცავს: მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს, P და C ვიტამინებს	+	+	+	+	+		+
		ცუკატი გრეიპფრუტის	ფორთოხლის ცუკატები არის ფორთოხლის კანის თანაბარი ზომის ნაჭრები (კვადრატის, სამკუთხედის ან სხვა ფორმის), რომლებიც გაჟღენთილია შაქრის სიროფით, შემშრალია და შაქარმოყრილია ან მის გარეშე. პროდუქტს აქვს ტკბილი გემო სუსტი სიმწარით და ნაყოფისთვის დამახასიათებელი ელფერი. მშრალი ნივთიერების შემცველობა	+	+		+	+		+

			ფორთოხლის ცუკატში შეადგენს 80%-ს. ციტრუსოვანთა კანის ცუკატები შეიცავს ვიტამინური აქტივობის მქონე პექტინოვან ნივთიერებებს.							
6.	ჩაი	გრანულირებული მწვანე ჩაი	ღია ყვითელი ფერი, გამჭვირვალე სიროფით, გრეიპფრუტისთვის დამახასიათებელი არომატითა და გემოთი. მშრალი ნივთიერება 68%. პასტერიზებული.	+	+	+	+	+	+	+
		გრანულირებული შავი ჩაი	გამჭვირვალე, ღია ყვითელი,გრეიპფრუტის გემო და არომატი, შაქარი 18%, პასტერიზებული.	+	+	+	+	+	+	=
		გრანულირებული წითელი ჩაი	გრეიპფრუტის ცუკატები არის გრეიპფრუტის კანის თანაბარი ზომის ნაჭრები (კვადრატის, სამკუთხედის ან სხვა ფორმის), რომლებიც გაჟღენთილია შაქრის სიროფით, შემშრალია და შაქარმოყრილია ან მის გარეშე. პროდუქტს აქვს ტკბილი გემო სუსტი სიმწარით და ნაყოფისთვის დამახასიათებელი ელფერი. მშრალი ნივთიერების შემცველობა გრეიპფრუტის ცუკატში შეადგენს 83%-ს. ცუკატები შეიცავს ვიტამინური აქტივობის მქონე პექტინოვან ნივთიერებებს.	+	+	+		+		+
		გრანულირებული ყვითელი ჩაი	**მწვანე ჩაი** - აქვს გრანულის (მარცვლის ფორმა), რომელიც უნარჩუნდება გაშრობის შემდეგაც. ნაყენს გააჩნია მოყვითალო შეფერილობა მწკლარტე გემოთი, ექსტრაქტული ნივთიერება -28,9%, ტანინი-11,5%, კატექინები - 6,6%.	+	+	+		+		+
		თხევადი მწვანე ჩაი	**შავი ჩაი –** აქვს გრანულის (მარცვლის ფორმა), რომელიც უნარჩუნდება გაშრობის შემდეგაც. ნაყენს გააჩნია ყავისფერი შეფერილობა მოწითალო ელფერით მწკლარტე გემოთი, ექსტრაქტული ნივთიერება -30,0%, ტანინი-20,1%, კატექინები - 7,8%, თეაფლავინები 0,31%, თეარუბიგინები 8,13%	+	+	+	+	+	+	+
		თხევადი შავი ჩაი	**წითელი ჩაი** - აქვს გრანულის (მარცვლის ფორმა), რომელიც უნარჩუნდება გაშრობის შემდეგაც. ნაყენს გააჩნია მოწითალო შეფერილობა მწკლარტე გემოთი, ექსტრაქტული ნივთიერება -32,0%, ტანინი-14,6%, კატექინები - 5,0%, თეაფლავინები 0,31%	+	+	+				
		თხევადი წითელი ჩაი	**ყვითელი ჩაი** -აქვს გრანულის (მარცვლის ფორმა), რომელიც უნარჩუნდება გაშრობის შემდეგაც. ნაყენს გააჩნია ღია მოყავისფრო მოყვითალო შეფერილობა მწკლარტე გემოთი, ექსტრაქტული ნივთიერება -27,5%, ტანინი-10,1%, კატექინები - 6,3%.	+	+	+	+	+	+	+
		ფიტოჩაი	**მწვანე ჩაი** - ერთგვაროვანი ოდნავ ბლანტი სითხე, დასაშვებია მცირე ნალექი, გემო და არომატი მწკლარტე დამახასიათებელი მწვანე ჩაისათვის, უცხო სუნისა და გემოს გარეშე. ფერი - მუქი მწვანე მოყვითალო ელფერით. მშრალი ნივთიერების მასური წილი 8,6%, ტანინი - 2,3გ 100მლ-ში, კატექინები - 2,4გ 100 მლ-ში.	+	+	+		+		+
		თხევადი მწვანე ჩაის ვაჟინი	**შავი ჩაი** -ერთგვაროვანი ოდნავ ბლანტი სითხე, დასაშვებია მცირე ნალექი. გემო და არომატი მწკლარტე დამახასიათებელი ჩაისთვის,	+	+	+	+	+	+	+

			უცხო სუნისა და გემოს გარეშე. ფერი - ყავისფერი ალუბლისფერი ელფერით. მშრალი ნივთიერების მასური წილი 7%, ტანინი - 3,6გ 100მლ-ში, კატექინები - 1,3გ 100 მლ-ში.							
		თხევადი მწვანე ჩაის ნაყენი	**წითელი ჩაი** - -ერთგვაროვანი ოდნავ ბლანტი სითხე, დასაშვებია მცირე ნალექი. გემო და არომატი მწკლარტე დამახასიათებელი ჩაისთვის, უცხო სუნისა და გემოს გარეშე. ფერი - მოწითალო ალუბლის ფერი ელფერით. მშრალი ნივთიერების მასური წილი 8%, ტანინი - 2,7გ 100მლ-ში, კატექინები - 2,0გ 100 მლ-ში.	+	+	+	+	+	+	+
		თხევადი მწვანე ჩაის ლიქიორი	**მწვანე ჩაი, მოცვი, ტოპინამბური, პიტნა** ტექნიკურ-ქიმიური მაჩვენებლები:მშრალი ფხვიერი დაქუცმაცებული მორუხო-მომწვანო ფერის, გამოყენებული ნედლეულისთის დამახასიათებელი გემო და არომატი. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით მდიდარი პროდუქცია.	+	+	+	+	+	+	+
		თხევადი მწვანე ჩაის ბრენდი	გამოყენებული ნედლეული: დამუშავებული მწვანე თხევადი ჩაი, შაქარი, ასკორბინის მჟავა. ტექნიკურ-ქიმიური მაჩვენებლები:მუქი ქარვის ფერი, მწვანე ჩაისთვის დამახასიათებელი მწკლარტე გემოთი. სიროფის 20გრ შეიცავს კატექინებისა და ვიტამინ C დღიურ დოზას.	+	+	+	+	+	+	+
		ცივი მწვანე ჩაის სასმელი	გამოყენებული ნედლეული: მწვანე თხევადი ჩაი, ეთილის სპირტი. ტექნიკურ-ქიმიური მაჩვენებლები:მუქი ქარვის ფერი, მწვანე ჩაისთვის დამახასიათებელი არომატით. ეთილის სპირტი 65-70მოც%.	+	+	+		+		+

ციტრუსოვანთა და ჩაის კულტურების ნედლეულის გამოყენების პერსპექტიული, პრიორიტეტული კვლევების ძირითადი მიმართულებები გადამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება დანერგვის სფეროში წარმოებული პროდუქცია

№	სასოფლო სამეურნეო კულტურები	ციტრუსოვანთა ნაყოფი და ყვავილი				ჩაის ფოთოლი	
		მანდარინი	ფორთოხალი	ლიმონი	გრეიპფრუტი	ხარისხოვანი	ლაო
I.	ციტრუსოვნები						
1.	სტანდარტული ნაყოფი	+	+	+	+		
	დახარისხებული, შეფუთული, დამცავი საფარის ტექნოლოგიით დამუშავებული	+	+	+	+		
	შენახვის გახანგრძლივებით	+	+	+	+		
	ტრანსპორტირებისადმი გამძლეობით	+	+	+	+		

2.	არასტანდარტული ნაყოფი და მისგან წარმოებული პროდუქცია						
	ნატურალური წვენი	+	+	+	+		
	წვენი შაქრით	+	+	+	+		
	კონცენტრირებული წვენი	+	+	+	+		
	კომპოტი	+	-	-	+		
	სასმელი უალკოჰოლო	+	+	+	+		
	ჯემი	+	+	+	-		
	მურაბა	+	+	+	+		
	კომფიტიურები	+	+	+	+		
	ცუკატები	+	+	+	+		
	ვაჟინი	+	+	+	+		
	ექსტრაქტი	+	-	-	-		
	ნაყენები	+	+	+	+		
	ლიქიორი	+					
	თაფლი	+					
II.	ჩაის ფოთოლი						
1.	ხარისხოვანი ფოთოლი და მისგან წარმოებული პროდუქცია						
	ბაიხის ჩაი შავი , მწვანე, ყვითელი და წითელი (ოლონგი)					+	
	გრანულირებული მწვანე, შავი, წითელი, ყვითელი ჩაი					+	
	თეთრი ჩაი					+	
	თხევადი მწვანე, შავი, წითელი და ყვითელი ჩაი					+	
	ფიტო ჩაი					+	
	თხევადი მწვანე ჩაის სიროფი					+	
	თხევადი მწვანე ჩაის ნაყენი					+	
	თხევადი მწვანე ჩაის ლიქიორი					+	
	თხევადი მწვანე ჩაის ბრენდი					+	
2.	ლაო ჩაი						+
	მწვანე და შავი აგურა ჩაი						+
	მწვანე და შავი ფილა ჩაი						+

ბსუ აგრარული და მემბრანულ ტექნოლოგიების, ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტების მიერ შემუშავებული აგრო და გადამუშავების ტექნოლოგიები, ასევე ქვეყანაში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და დანერგვითი სამუშაოების მწარმოებელი დაწესებულებისა და ორგანოების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის ციტრუსოვანთა და ჩაის კულტურების ნედლეულის წარმოებასა და გადამუშავება რეალიზაციას მაღალი რენტაბელობით რაც კვლავაც დაუბრუნებს ამ კულტურებს წამყვან როლს აგრობიზნესში. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ უნდა განისაზღვროს ნედლეულის წარმოებისა და მისგან დამზადებული პროდუქციის ცალკეული სახეობების რეალური მოცულობა გამომდინარე საბაზრო მოთხოვნა მიწოდების პროგნოზული შეფასებების გზით.

ციტრუსოვანთა ნედლეულის გამოყენებით წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და ნომენკლატურა კიდევ უფრო მრავალფეროვანი და სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობის მატარებელია ხილის და სხვა კულტურების ნედლეულიდან ე.წ. „ კუპაჟირების“ წესით სხვადასხვა სახის პროდუქტების დამზადება. ამ გზით კიდევ ერთი ამოცანის გადაჭრა შეიძლება. შესაძლებელია დამზადდეს აჭარაში გავრცელებული უნიკალური თვისებების მატარებელი მაგრამ შეზღუდული არაერთგვაროვანი ნედლეულის გადამუშავება მცირე საწარმოებში, საამქროებში და უბნებში, რომლებიც შეძლებენ ფუნქციონირებას კოოპერაციული, ფერმერული და ოჯახური მეურნეობების დონეზე. იმავდროულად მაქსიმალურად ათვისებული იქნება ქვეყნის შიგა ბაზრის სეგმენტები, კონკურენცია გაეწევა იმპორტს. ჩატარებულმა კვლევებმა ეფექტური შედეგი აჩვენა ციტრუსოვანთა ნაყოფისაგან და ჩაისაგან პროდუქციის წარმოებისას სხვადასხვა სახის არომატიზატორების გამოყენება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ნედლეულის გამოყენების ეფექტურობას.

ბოლო წლებში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ა.ი.პ. „აგროსერვის ცენტრი„ -ს მიერ ქვეყნის გარედან შემოტანილი სხვადასხვა ჯიშის ციტრუსოვანთა კულტურების გამოცდისათვის და აგრობიზნესში დანერგვისათვის.

ერთ-ერთი პრიორიტეტია ციტრუსოვანთა ბაღების რეაბილიტაცია და ახალი ნარგავების გაშენება, მოხდეს საადრეო, ყინვაგამძლე, სტაბილურად უხვმოსავლიანი და ადგილობრივი ბუნებრივი კლიმატური პირობებისადმი შეგუების უნარის ქონე ჯიშების გამოყენებით. ეს სწორი და რეალური მიმართულებაა, მაგრამ საჭიროა მაღალ მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული დაკვირვებების ჩატარება.

შორეულ მოტივაციურ ქცევას უშუალო კავშირი არ აქვს აქტუალურ მოთხოვნილებებთან. იგი მიმართულია ისეთი შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევის სტრუქტურაში კი არ მოიაზრება და მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. ეს მომავალი ერთ შემთხვევაში შეიძლება საათებით გაიზომოს, მეორეში - დღეებით, მესამეში კი - წლებითაც. მომავლისათვის განკუთვნილი შედეგი, ბუნებრივია, სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად იქმნება და მას ყოველთვის გარკვეული ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნია. მაგრამ ვინაიდან ობიექტური ღირებულება ნებისყოფითი ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს, გასაგებია, რომ შორეული მოტივაცია, არსებითად, ნებისყოფითი ქცევის მოტივაცია ყოფილა, შორეული მოტივაციური ქცევა კი - ნებისყოფითი ქცევა.

სწავლა, როგორც მოსწავლის დამოუკიდებელი ქცევა, ყველა ძირითადი განზომილებით შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევაა. სწავლის მიზანი, თამაშისაგან განსხვავებით, ყოველთვის მომენტური აწმყოს ფარგლებს გარეთაა მოქცეული და მოსწავლის მიმდინარე მდგომარეობისგან დამოუკიდებელი ობიექტური ღირებულების მქონე ცოდნა-ჩვევის დაუფლებაში მდგომარეობს. თუკი თამაში პროცესუალურია, მისი აზრი თამაშშია და მას ამ პროცესში განცდილი სიამოვნება თუ კმაყოფილება ამართლებს, სწავლა, ისევე როგორც შრომა, შედეგზეა ორიენტირებული და მას ამ შედეგის მნიშვნელობა და ობიექტური ღირებულებააძლევს აზრს. მოსწავლისათვის მთავარია, მისი ქცევის განმსაზღვრელია არა სწავლის დროს განცდილი ემოციები, არამედ სწავლის შედეგი (ცოდნა-ჩვევა). ამიტომ მოსწავლე მაშინაც სწავლობს, როდესაც სწავლა სულაც არ აინტერესებს, ან კიდევ სწავლობს იმ შემთხვევაშიც, როცა თავისი სასწავლო ინტერესი მოცემული მასალის მიმართ დაკმაყოფილებული აქვს, მაგრამ მეცადინეობს, რათა გაგებული და გააზრებული მასალა სათანადოდ დაიმახსოვროს. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა სოციალური მოტივაციის, ნებისყოფისეული მამოძრავებელი ძალების გარეშე, ვინაიდან მხოლოდ ინტერესით და მოთხოვნილებით მოტივირებული ქცევა, მოთხოვნილების ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე, წყდება მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთანავე. მოთხოვნილებით აღძრული ქცევის სუბიექტი მხოლოდ და მხოლოდ მოცემული მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს და სხვას ვერაფერს ითვალისწინებს. ნებისყოფის სუბიექტი კი ერთნაირად მოიცავს ყველა მოთხოვნილებას და პირველ რიგში იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს, რომელსაც ყველაზე მეტი პიროვნული წონა და საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნია.

მაშინაც კი, როდესაც მოსწავლე მეცადინეობის დროს თავის აქტუალურ მოთხოვნილებას, უძლიერეს სასწავლო-შემეცნებით ინტერესებს იკმაყოფილებს, მის ამ ქცევას ფსიქოლოგიურ აზრსა და გამართლებას მაინც სოციალური, ნებისყოფისეული მოტივები აძლევენ. სწავლის სუბიექტი თავისი შინაგანი პოზიციითა და განწყობით ყველა შემთხვევაში სწავლის შედეგზე, ამ შედეგის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზეა ორიენტირებული. ეს ფენომენოლოგიური, პასუხისმგებლობითი მხარე ყოველთვის ახლავს სწავლას, როგორც შორეული მოტივაციური ბუნების მქონე ნებისყოფით ქცევას. ასე რომ, დამოუკიდებელი სასწავლო აქტივობა შემეცნებითი ინტერესებისა თუ ინტელექტუალური მოთხოვნილებების გვერდით აუცილებლობით გულისხმობს მოსწავლის ნებისყოფასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისყოფის ადგილის ასეთი გაგება სწავლაში სავსებით შეესაბამება დ. უზნაძის შეხედულებას ნებისყოფის მნიშვნელობის შესახებ სასწავლო-აღმზრდელობით

სისტემაში. პედაგოგიკა, სასკოლო ცხოვრება, უზნაძის აზრით, ორიენტაციას უნდა ახდენდეს მოზარდის ნებისყოფაზე, ვინაიდან ცხოვრებისათვის ადამიანის მომზადება პირველ რიგში ნებისყოფის განვითარებას გულისხმობს. ნებისყოფა არის ადამიანის შემოქმედებისა და მთელი მისი ცხოვრების ძირითადი წამყვანი და მაორგანიზებელი ძალა. იქ, სადაც არაა ნებისყოფა, არც სრულფასოვანი პიროვნებაა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ დ. უზნაძემ თავისი პედაგოგიური სისტემა ჯერ კიდევ 1915 წელს ქუთაისში მის მიერვე დაარსებულ პირველ ქართულ სკოლაში („სინათლე“) ააგო ნებისყოფის პრიორიტეტის პრინციპზე და სასკოლო განათლების რეფორმაც მთლიანად საქართველოში ამ მიმართულებით ჰქონდა წარმოდგენილი. დ. უზნაძეს კარგად ესმოდა, რომ მოსწავლის მომავალი მოქალაქეობრივი სახე, მისი ეროვნული და საზოგადოებრივი ორიენტაცია ბევრად იქნება დამოკიდებული მასში პიროვნების, როგორც ნებისყოფის სუბიექტის ჩამოყალიბებაზე [8].

საგულისხმოა, რომ დ. უზნაძის აღნიშნული შეხედეულება სრულ შესაბამისობაშია ქართული ხასიათის მისეულ შეფასებასთანაც. უზნაძე წერდა: ქართველს აკლია დაჟინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ... აქტიური ხასიათი და ძლიერი ნება - აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც აქეთ უნდა იყოს მიმართული [9:6].

აღსანიშნავია, რომ პედაგოგიკის ფუძემდებელი იან ამოს კომენსკიც ადამიანთა“სულიერი მოძრაობის“ მთავარ ძრავად, ფსიქიკური ცხოვრების მთავარ მამოძრავებელ წყაროდ ნებისყოფას მიიჩნევდა. მისი აზრით, გონება განსაზღვრავს თუ რას, როგორ და რამდენად საჭიროა მივაღწიოთ, ნებისყოფა კი უზრუნველჰყოფს ყოველივე ამას. მართალია, გონება არის ყველაზე უმაღლესი, სრულქმნილი უსასრულო და უსაზღვრო შემოქმედებითი ნაყოფი, მაგრამ გონების ნაწვდომის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფის გამოყენებით.

ვფიქრობთ, ნებისყოფის ადგილისა და როლის ასეთი დახასიათება სავსებით შეესაბამება მის რეალურ მნიშვნელობას ადამიანის საქმიანობაში, რაც ყოველთვის როდია გათვალისწინებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. სასწავლო წარმატებები რომ ინტელექუალურ აქტივობასთან ერთად ბევრადაა დამოკიდებული ნებისყოფაზე, მისი განვითარების დონეზე, ამას, მრავალთაგან, თვალსაჩინოდ ადასტურებს ასეთი მონაცემებიც: ძლიერი ნებისყოფის მქონე უნარიანი ბავშვები, ჩვეულებრივ, აღწევენ მაღალ, სტაბილურ წარმატებებს, მაშინ როდესაც უნარიანი, მაგრამ სუსტი ნებისყოფის მოსწავლეები შესამჩნევად ჩამორჩებიან მათ.

სწავლის ფსიქოლოგიური ბუნებისა და ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ცხადია, რომჩვენს სკოლებში მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი ინტერესების აქტივაციასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათი ნებისყოფის აღზრდა-განვითარებაზე ზრუნვას. დღესდღეობით კი ამ მხრივ თითქმის არაფერი კეთდება.

ჭარბმა და მზამზარეულმა ინფორმაციამ, შინაარსითა და ფორმით საკმაოდ ჭრელმა პრესამ, აღმზრდელობითი თვალსაზრისით მეტად მწირმა და არაჯანსაღმა სატელევიზო გადაცემებმა, თამაშის, სწავლისა და შრომის პროცესების ტოტალურმა კომპიუტერიზაციამ რამდენადაც განავითარა ჩვენი მოზარდების თვალსაწიერი და გააფართოვა მათი ინტერესების სფერო, იმდენად შეასუსტა და შეზღუდა ჯანსაღი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის საჭირო დამოუკიდებელი აქტივობისა და ნებისყოფითი ძალისხმევის უნარი. აწმყოზე ორიენტაციის იძულებითი აქტივაციის ფონზე შესუსტდა ხვალინდელ დღეზე, მომავალზე ფიქრი და ზრუნვა. უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მოთხოვნილებისა და მოხმარების სუბიექტის, ე.ი. ახლო

მოტივაციური ქცევის სუბიექტის ფორმირებისათვის და გაცილებით არახელსაყრელი წარმოების, შრომის, ანუ შორეული მოტივაციური ქცევის უნარის მქონე ნებისყოფის სუბიექტის ფორმირება-ჩამოყალიბებისათვის [10]. როგორც ჩას, დღევანდელი სკოლაც რამდენადმე მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებს ნებისყოფის განვითარებისათვის. ეს გარემოება ხშირად მწვავედ გვახსენებს ხოლმე თავს და, ჯეროვნად თუ არ გავისარჯეთ, მომავალშიც მრავალი პრობლემის წინაშე დაგვაყენებს, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთაც.

ПСИХОЛОГИЯ

Феноменологическая сторона и психологическая природа учения

Нодар Барамидзе
Батумский государственный университет Шота Руставели

По мнению автора, учение, как самостоятельное поведение, является разновидностью умственного труда. Оно по своей психологической природе, особенностями побуждающего фактора и цели – отдаленное мотивационное поведение. Это лишний раз доказывает характеристика феноменологического аспекта учебной деятельности.

ლიტერატურა:

1. შ. ჩხარტიშვილი, ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები, თბ., 1980.
2. ნ. ბარამიძე, სწავლის ფსიქოლოგიური საკითხები, ბათ., 1986.
3. ნ. ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათ., 1995.
4. ი. იმედაძე, სწავლის ქცევა და მისი მოტივაცია, ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, 1987, №1
5. ი. კოტეტიშვილი, ექვსი წლის ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებები, ჟ. „სკოლა და ცხოვრება“, 1980, №6.
6. დ. უზნაძე, სასკოლო ასაკის პრობლემისათვის, ფსიქოლოგია, ტ. V, თბ., 1948.
7. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974.
8. ნ. ბერულავა, დიმიტრი უზნაძე, თბ., 1967.
9. პუბლიცისტური ნარკვევები, სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის, დიმიტრი უზნაძე, თსუ, 2016.
10. ნ. ბარამიძე, აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა, ბათ., 2008.

გიორგი მთაწმინდელი და რომის ეკლესიასთან საქართველოს ურთიერთობის საკითხი „სქიზმის“ შემდეგ[1]

ირაკლი გარამიძე
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XI საუკუნის შუა წლებში ურთიერთგანკვეთით დასრულდა ქრისტიანული ეკლესიის წიაღში საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე დაპირისპირება რომსა და კონსტანტინეპოლს შორის.1054 წელი მიჩნეულია ე.წ. დიდი სქიზმის, ანუ საეკლესიო განხეთქილების თარიღად, რამაც დაუდო სათავეკათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიების ჩამოყალიბებას. მიუხედავად განხეთქილებისა, საქართველო და ქართული ეკლესია კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა რომთან. ჩვენი ქვეყნის საჭეთმპყრობელნი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დასავლეთთან კავშირს, მტრულ გარემოცვაში მოქცეულნი, ხშირადსწორედ კათოლიკურ ევროპაში ხედავდნენ ბუნებრივ მოკავშირესა და მხსნელს. თუმცა, კავშირ-ურთიერთობების დამყარების გზაზე იყო ბევრი, ზოგჯერ დაუძლეველი, წინააღმდეგობა და ხელშემშლელი გარემოება.

რომის ეკლესიასთან სიახლოვე, მიმოწერა და სარწმუნოებრივი დოგმების გაცნობა-გაზიარება საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს. საგულისხმო და ნიშანდობლივია ფაქტია, რომ IV საუკუნეში ქართლის მოქცევა უყურადღებოდ არ დარჩენიათრომში, პირველი სასულიერო იერარქიაც იქედან მოავლენეს და თვით ნინო კაპადოკიელი იქ წმინდანად შერაცხეს [პაპაშვილი, 1995: 60-61].მომდევნო პერიოდში ამ ურთიერთობების დასტურია იბერიის კათალიკოს კირიონ I-ის (596-610) მიერ პაპ გრიგოლ I-სადმი (590-604) გაგზავნილი წერილი დოგმატური ხასიათის შეკითხვით: საჭირო იყო თუ არა მონანიე ნესტორიანელები ხელახლა მოენათლათ?[თამარაშვილი, 1902: 24-26; პაპაშვილი, 1995: 62].

მ. თამარაშვილისთვის ის ფაქტი, რომ *„საქართველოს კათალიკოსს სასულიერო კითხვების განსამარტებლად რომის პაპისათვის მიუმართავს და არა აღმოსავლეთის ქრისტიანებისათვის, საკმაო საბუთია იმისი,რომ საქართველოს სარწმუნოების კითხვებში რომასთან უფრო კავშირი ჰქონია, ვიდრე ბერძნებთან“*[თამარაშვილი, 1902: 26]. თუმცა, თავად ეს წერილი შეიცავს ამ მტკიცებულების ერთგვარად შემასუსტებელ არგუმენტს. საქმე იმაშია, რომ რომში წმ. პეტრეს საფლავის მოსალოცად მიმავალი პირი, რომელსაც გაატანა წერილი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, ჯერ იერუსალიმს მისულა. სავარაუდოა, სხვადასხვასაპატრიარქოთა მოსაზრებათა გაცნობისა და შეჯერების მიზნით, იმავე მოგზაურობის დროსსხვა (ანტიოქიის, ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლის) პატრიარქებიც მოინახულა[მამისთვალიშილი, 2011: 84]. ამდენად,ეს მიმოწერა რომზე

[1] სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ნხარდაჭერით(FR17_416) .

პირდაპირი დამოკიდებულების უტყუარ საბუთად არ გამოდგება და არც იმის მტკიცებულებად, რომ ქართული ეკლესია სარწმუნოებრივ საკითხებში ბერძნებთან შედარებით რომთან უფრო მჭიდრო ურთიერთობაშია.

საქართველო-რომის ურთიერთობის საინტერესო ეპიზოდია 856 წელს აფხაზეთის მეფე დემეტრეII-ს მიერ ბიზანტიის კეისრის ელჩის ხელით რომის პაპისათვის საჩუქრების მირთმევა[**ტაბაღუა, 1984: 70**], თუმცა იგი არ იძლევა რაიმე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთების საშუალებას.

ეკლესიათა გათიშვის შემდეგ (1054 წ.) უმაღლესი ქართველი საერო და სასულიერო პირები რომთან გარკვეულ კავშირს კვლავ ინარჩუნებენ. მიხეილ თამარაშვილი, მის ხელთ არსებულ მასალაზე დაყრდნობით, გასული საუკუნის დასაწყისში, ეჭვს გამოთქვამდა *„ქართველებიც ბერძნებთან ერთად გაჰყროდნენ რომის ეკლესიას“*და ცალკეული წერილობითი წყაროს მოშველიებით ამტკიცებდა, რომ *„მეცამეტე საუკუნეში ისევ ყოფილა ერთობა ლათინთა და ქართველთა შორის, რომ ეს ერთობა მტკიცედ დაცულია ვიდრე 1230 წლამდე, ხოლო ამ ხანების შემდგომ მომხდარა განცალკევება...“*[**თამარაშვილი, 1902: 5-23**].

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველი ეკლესიის მსახურნი რომს უპირატეს ადგილს აკუთვნებდნენ მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში, რისდასადასტურებლადაც მოჰყავთ 1065 თუ 1066 წელს გიორგი მთაწმინდელის მიერ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე X დუკას წინაშე წარმოთქმული სიტყვები. საქართველოსმეფე ბაგრატ IV-ის მიერ ბიზანტიას წარგზავნილ გიორგი ათონელს იმპერატორმა ჰკითხა ქართველებისა და ბერძნების სარწმუნოებას შორის განსხვავების თაობაზე, რაზეც მიიღო პასუხი: *„ესე არს სარწმუნოებაი მართალი ნათესავისა ჩვენისაი. და რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯვლ. და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“* [**გიორგი მცირე, 2011: 59**]. [2] მას შემდეგ, რაც იმპერატორი დარწმუნდა, რომ ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მდგომ, ფრიად განათლებულ და ბრძენ სასულიერო პირს ესაუბრებოდა, ჰკითხა აზრი რომაულ და ბერძნულ ეკლესიებს შორის არსებულ განსხვავებაზე, მიზეზზე, თუ რატომ ვწირავთ „ჩვენ და თქვენ“ ერთნაირად, ხოლო „ჰრომნი“ განსხვავებულად. გიორგი მთაწმინდელის მარტივი, მაგრამ გენიალური და, რაც მთავარია, არაკონფრონტაციული განმარტებით, ბერძნულ ეკლესიაში ხშირი მწვალებლობისგამო წმინდა კრებებზე დაწვრილებით გამოიძიეს ქრისტიანობის საწყისები დადაადგინეს შესაბამისი წესებიც. ხოლო რომაელები, რომელთაც ერესი არ შეხებიათ, ძირითადად უფლის მიერ სეროზისას მიცემული მაგალითისა და პეტრე დიდის წირვის მიხედვით აღასრულებენ რიტუალებს. *„და არარაი არს ამას შინა განყოფილებაი, ოდენ სარწმუნოებაი მართალ იყოს“*[**გიორგი მცირე, 2011: 60**].

მკვლევარ ლ. პატარიძის აზრით, *„კონტექსტი ნათელყოფს არა მხოლოდ იმას, რომ საქართველოს ეკლესია იმხანად სრულიად ლოიალური იყო რომის ეკლესიის მიმართ, არამედ იმასაც, რომ რომის ეკლესიას და მის ავტორიტეტს საქართველოსთვის იდეოლოგიური ფარის ფუნქცია ეკისრებოდა“*[**პატარიძე, 2005: 28-36**].

---

[2]დაახლოებით იგივე განუცხადა უფრო ადრე გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქს: *„და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს. და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი“*[**იქვე, გვ. 39**].

მართალია, ზემოაღნიშნული სიტყვებით გიორგი მთაწმინდელი ეკლესიათა ერთიანობის დამცველად გვევლინება, მაგრამ ვფიქრობთ, გადაჭარბებული უნდა იყოს შეფასება რომის უპირატესი როლის შესახებ და რომ თითქოს რომის ეკლესიის დაცვით, გიორგი ათონელს სურდა *„ქართული ეკლესია უშუალოდ შესულიყო რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობის სფეროში“*[პაპაშვილი, 1995: 69]. უფრო მართებულად მიგვაჩნია ის პოზიცია, რომ *„1054 წლიდან 1230-იან წლებამდე საქართველოს ეკლესიას ვერც რომის ეკლესიის ნაწილად ანუ მისადმი დაქვემდებარებულად და ვერც მისგან გამიჯნულად ანუ განხეთქილებაში მყოფად მივიჩნევთ“*[თინიკაშვილი, 2015: 56].

როგორცზემოთ მოყვანილ ეპიზოდში ჩანს, ბიზანტიის იმპერატორი ქართველებთან ერთმორწმუნეობას უსვამს ხაზს.აღნიშნულ შეხვედრაზე გიორგი მთაწმინდელის მიერ მისასალმებელი სიტყვის, ქებისა და ლოცვა-კურთხევის წარმოთქმის შემდეგ იმპერატორმა მასმიმართაშემდეგი სიტყვებით: *„მადლიერი ვარ უფლისა ბაგრატ სევასტოსისა და, რომელ ესევითარი კაცი, მიმსგავსებული ანგელოზთაი, წინაშე მეფობისა ჩვენისა წარმოავლინა, რამეთუ დაღაცათუ ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩვენი ჰმოსიეს“* [გიორგი მცირე, 2011: 58].მკვლევარ გ. მაჭარაშვილის სამართლიანი შენიშნვით, *„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცხადება კათოლიციზმის მხარდამჭერად იმის გამო, რომ წმიდა გიორგი ათონელმა ერთგვარი იკონომიური გამონათქვამი იხმარა რომის ოფიციალური ეკლესიის მიმართ და თავი შეიკავა ევქარისტიის პრაქტიკასთან დაკავშირებით დასავლეთში გავრცელებული შეხედულებების დაგმობისაგან, უბრალო გაუგებრობის შედეგია და მეტი არაფერი“*[მაჭარაშვილი, 2007: 18-19].

უფრო მეტიც. სარწმუნოებრივი ერთობის გათიშვის ახლო ხანებში, ანუ ამ შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე, ბერძნებმა ანტიოქიის ახალ პატრიარქთან დააბეზღეს შავ მთაზე მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები და მათ მონოფიზიტობა დასწამეს. ამ თემაზე პატრიარქმა თეოდისიოსმა გამოძიება დანიშნა და ბერძნული ენისა და მწერლობის მცოდნე გიორგი მთაწმინდელი თავისთან დაიბარა. მასთანსაუბრის შემდეგ აღტაცებულმა პატრიარქმა განაცხადა: *„აჰა ესერა გხედავ მოწყალებითა ღმრთისაითა, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვითა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ... კურთხეულ არს ღმერთი! ვიეთნიმე ნაკლულევანებასა სწამებდეს ქართველთა და, აჰა ესერა, მრავლითა სახითა უზეშთაეს იპოვნეს ჩვენსა და უფროის ხოლო ქალწულებითა, რომელი-იგი მაღლად უპყრიეს მათ“*[გიორგი მცირე, 2011: 36].

მცირე ხნის შემდეგ ბერძენ სასულიერო პირთა ერთმა ნაწილმა იმავე ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ეჭვქვეშ დააყენეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, *„რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა... და ჯერ არს, რათა ხელმწიფებასა ქვეშე ანტიოქელის პატრეარქისასა იმწყსებოდინ. და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი“* [გიორგი მცირე, 2011: 38]. პატრიარქმა ამ თემაზე გიორგი მთაწმინდელთან საუბრის დაწყებისთანავე ასე მიმართა მას: *„შენ, ჰოი ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა დამეცნიერებითა ჩვენივე სწორი ხარ...“* და მოუწოდა მას *„ხელმწიფებასა ჩვენსა“* დამორჩილება. გიორგი მთაწმინდელის პასუხმაც არ დააყოვნა, დოკუმენტურად დაუსაბუთა რა მას, რომ საქართველო ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მოქცეული ქვეყანაა და პეტრეს

საყდარზე მჯდომ პატრიარქს აქეთ დამორჩილებისაკენ მოუწოდა:*„ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“* [გიორგი მცირე, 2011: 38-39]. ამის შემდეგ ანტიოქიის პატრიარქი ისეთი სიყვარულითა და პატივისცენით განიმსჭვალა ქართველი ბერის მიმართ, რომ დროდადრო მას აზრსა და რჩევასაც ეკითხებოდა.

აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს საეჭვო გიორგი მონაზვნის სარწმუნოებრივი პოზიცია. აღნიშნულიდან არ ჩანს, რომ ქართული ეკლესია რომის ეკლესიისადმი მორჩილებას და პაპის უპირატესობას აღიარებდა [მამისთვალიშილი, 2011: 88]. მკვლევარ გიორგი მაჭარაშვილის ერთგვარად რიტორიკული შეკითხვაც სწორედ ამაზე მიანიშნებს: *„რანაირად შეძლებდა იგი ამას (ავტოკეფალიისა და მართლმადიდებლობის დაცვას - ავტ.), თუკი თავად მოიკოჭლებდა მართლმადიდებლობაში და ლათინთაკენ იყო მიდრეკილი?“* [მაჭარაშვილი, 2007: 12].ფაქტია, რომ ბიზანტიის იმპერატორი და ანტიოქიის პატრიარქი გიორგი მთაწმინდელისადმი მიმართვაში - *„...ყოვლითურთ წესი ჩვენი ჰმოსიეს“, „...ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“, „...სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩვენივე სწორი ხარ...* სწორედ სარწმუნოებრივ და არა ეთნიკურ ან ტრადიციების ერთობას უსვამენ ხაზს.

ვფიქრობთ, გიორგი მთაწმინდელის მაგალითით შეიძლება ვიმსჯელოთ და მისი პოზიცია განვაზოგადოთ ქართველებისა და, მთლიანად ჩვენი ქვეყნის სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე, რამეთუ საქართველოში მეფე ბაგრატ IV-ის მოწვევით ყოფნის პერიოდში, 5 წლის მანძილზე სწორედ ის აძლევდა ტონსა და მიმართულებას ქართულ ეკლესიას. გიორგი საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლების საერთო აზრის გამომხატველი იყო [მამისთვალიშილი, 2011: 87]. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ „სქიზმის“ შემდეგ ქართველთათვის ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია,რამაც გამოხატულება ჰპოვა გიორგი მთაწმინდელის სიტყვებში: *„არარაი არს ამას შინა განყოფილებაი, ოდენ სარწმუნოებაი მართალ იყოს“*, თუმცა, დოგმატური ერთობა ბერძნულ-მართლმადიდებელ ეკლესიასთან იმთავითვე აშკარაა. სწორედ ეკლესიათა ერთიანობის შენარჩუნებისა და კეთილგანწყობილების გამოხატვის სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი ის ფაქტი, რომ მე-13 საუკუნემდე საქართველოში არ წყდება 5 პატრიარქის (მათ შორის რომის) მოხსენიება, განსხვავებით ბერძნებისაგან რომლებმაც გაყრისთანავე ამოშალეს სასულიერო ლიტერატურაშიპაპისა და მეხუთე პატრიარქის სახელი და მის შემდეგ იწყეს მხოლოდ ოთხი პატრიარქის ხსენება.

HISTORY

George the Hagiorite and the Issues of Georgian-Rome Church Relations after the Great Schism

Irakli Baramidze
BatumiShotaRustaveliState University

An article deals with the dynamics of development of the Georgian-Roman church relations, with theposition and the attitude of the Georgian Church,in general,andGeorge the Hagiorite, in particular, to the Rome. Based on the analysis of relevant sources and scientific literature, the conclusion is that maintaining the unity of the Christian Church for Georgians after the Schism is important, but the dogmatic unity with the Greek Orthodox Churchis evident.

ლიტერატურა:

1. **გიორგი მცირე, 2011** - გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, თბილისი.
2. **თამარაშვილი, 1902** - თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფილისი.
3. **თამარაშვილი, 1995** - თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასამამიდან დღემდე, თბილისი.
4. **თინიკაშვილი, 2015** - თინიკაშვილი დ., ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში, სადოქტორო დისერტცია, თბილისი.
5. **მამისთვალიშვილი, 2011** - მამისთვალიშვილიე.,საქართველო-რომის ეკლესიების ურთიერთობა დიდ განხეთქილებამდე (1054წ.), ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები,№10-11.
6. **მაჭარაშვილი, 2007** - მაჭარაშვილი გ., წმიდა გიორგი ათონელი და კათოლიციზმი, თბილისი.
7. **პაპაშვილი, 1995** - პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი.
8. **პატარიძე, 2005** - პატარიძე ლ., 1054 წლის განხეთქილება და საქართველო, დიალოგი: აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანული ჟურნალი, №1(2).
9. **ტაბაღუა, 1984** - ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი.

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

უჩა ოქროპირიძე
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყოველ დროს თავისი „გმირები“ ჰყავს, ზოგჯერ თავს მოხვეული ანტიგმირების სახითაც კი. დღევანდელ, თანამედროვე ეპოქის ცხოვრებასაც ცდილობენ ზოგიერთები მოევლინონ სამშობლოზე მოფიქრალ ერთგულ მამულიშვილებად, სამართლიანობის აღმდგენელ მებრძოლ „წამებულებად“, ეპოქის შემქმნელ ეპოქალურ გმირებადაც. მაგრამ თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ მათი უმრავლესობა, სწორედ ამ ყალბი ეპოქის ნაშობი ყალბი ქიმერები არიან და არაფერი აკავშირებთ სამშობლოს მომავლისა და მისი უკეთესი პერსპექტივისათვის ჭეშმარიტი შემოქმედებით ღვაწლთან. სხვანაირი მოღვაწეობა კი ვერაფერს უშველის ჩვენი ქვეყნისა და თუნდაც რეგიონის უკვე დაგროვილ პრობლემებს, პირიქით, შეიძლება გააღრმავოს და დაამძიმოს ისინი.

ჩვენ თუ ნამდვილად პრობლემების გადაჭრა და ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მისი მოგვარება გვაინტერესებს, საქართველოს ისტორიაში გვაქვს სათანადო მაგალითები და უპირველეს ყოვლისა, მათზემითითებით უნდა მოვახერხოთ აღვადგინოთ საერთო ქართული საქმეების ერთად კეთების ტრადიციის სულისკვეთება და შემდეგ ამ მართლაც-და საეტაპო გამოცდილების გათვალისწინებით შევუდგეთ „დიდთა საქმეთა ხელყოფას“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი მაჰმადიანი და ქრისტიანი ღვთისმსახურებისა და მრევლის თანადგომა, ღვაწლი კულტურული და სულიერი ცენტრების ჩამოყალიბების, ეროვნული თვითშეგნების აღორძინების საქმეში.

ცნობილია, რომ აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისთანავე რუსეთის ცარიზმმა თავისი კოლონიური პოლიტიკით ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მუჰაჯირებად აქცია და სამშობლოდან გადახვეწა, ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მათი თანამედროვე ქართველი თანამოძმეების მათდამი და, განსაკუთრებით, მათი სარწმუნოებრივი გრძნობებისადმი გამოვლენილ პოზიციას.

1878 წლის ნოემბერში თბილისში ჩასულ ქართველ მაჰმადიანთა 12 კაციან დელეგაციას დიდი სითბოთი და სიყვარულით შეხვდა ქართული საზოგადოება, რომელთა წარმომადგენლები „ფიცით პასუხს აძლევდა ქართველ მაჰმადიანებს, რომ მათ სჯულსა და საოჯახო წესებს და ადათებს არასდროს არავინ შეეხებოდა“ (ჭიჭინაძე, 1920). მათ საგანგებოდ შეხვდა მაშინ გორის ეპისკოპოსი, წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე, რომელმაც დიდი სიყვარულით მოკითხვის შემდეგ ქართველ მუსლიმებს მიმართა მეტად მოზომილი და შორს გამიზნული სიტყვით: „ღმერთმა აკურთხოს თქვენი სამშობლო ქვეყანა, ღმერთმა გააძლიეროს თქვენი ოჯახი და **თქვენი სარწმუნოება ისლამი... ჩვენ, ქართველი ქრისტიანები ყოველთვის ვიქნებით თქვენი სარწმუნოების მფარველნი და მადლობელნი.** იქონიეთ იმედი, რომ **არცერთი ჩვენთაგანი თქვენს სჯულსა და ადათ-წესებს და ჩვეულებებს არავინ შეეხება ავად... ღმერთმა აკურთხოს თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-**

შვილი, შინ მშვიდობით დაბრუნდით და თქვენს სჯულზედაც იყავით ფრთხილად და ამსრულებელი ისევე, როგორც თქვენი ისლამის წესია და ვალდებულებანი“ (ჭიჭინაძე, იქვე). ეს იყო ქართველი მღვდელმთავრის მომენტის სრული შეგნებითა და უდიდესი პასუხისმგებლობით წარმოთქმული სიტყვა, რომელმაც კმაყოფილების გრძნობით აღავსო და თანაც დაამშვიდა მაჰმადიანი ქართველები. მათი ადაპტირება ხომ ქართულ გარემოში მხოლოდ იწყებოდა. თბილისიდან დაბრუნებულ და ქუთაისში სტუმრად გავლილ აღნიშნულ დელეგაციას მოეფერა და ანალოგიური სიტყვით მიმართა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემაც, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „... შეგიძლიათ შინ მშვიდობით წაბრძანდეთ და დაარწმუნოთ თქვენი ძმებიც, ნათესავები და მეზობლები, რომ **მათ სჯულის შემხებელს ერთ კაცსაც ვერ ნახავენ“,** რაზედაც მადლობის გრძნობით უპასუხა აჭარის დელეგაციის მეთაურმა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა (იქვე).

ეს იყო ქართველი მაჰმადიანებისა და ქრისტიანების მიერ ერთმანეთისაკენ დიდი პასუხისმგებლობითა და ნდობით გადადგმული პირველი ნაბიჯები, რომელსაც ჩვენს წინაპრებში უდიდესი გონიერებით აღზრდილი კეთილი საწყისი ასაზრდოებდა.

აქვეგავიხსენოთ XIX საუკუნის 80-იანი და XX საუკუნის პირველ ოცწლეულის ამ თვალსაზრისით საგულისხმო ისტორია, როდესაც ქართულ გარემოსთან სრულად ახალ კონტაქტდამყარებულ სამუსლიმანო საქართველოში ქართული თვითშეგნებისა და სულიერების აღორძინება-აღდგენისთვის აქ უკომპრომისო ბრძოლა გაიშალა. ამ საქმეს სათავეში ედგნენ ასეთი მაჰმადიანი ქართველი შეგნებული მამულიშვილები, როგორებიც იყვნენ **ახმედ ხალვაში** ჯერ კიდევ 1889 წელს სოფელ მარადიდში საკუთარი სახსრებით გახსნა სკოლა. მას გვერდში ედგა და საქმე გააგრძელა მისმა შვილმა **არუნ ხალვაშმა** (ოქროპირიძე, 2011: 34; ლეკვეიშვილი, 2002: 48-50). მათ არ ჩამორჩნენ სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც – **მოლა დურსუნ ქარცივაძედა მუფთი ჰასან ეფენდი ვერძაძე...** (იქვე, 35). ნიშანდობლივია, რომ ამ ახლად შემოერთებული ქართული რეგიონის წარჩინებული ქართველი მაჰმადიანები ცდილობდნენ მეტწილად ქართულ ენაზე ესაუბრათ, ეკითხათ ქართულ ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაშიც მოუსურვებიათ შესვლა წირვა-ლოცვის მოსასმენად, მაგრამ იქ ერთი სიტყვაც კი ვერ მოუსმენიათ ქართულად ღვთის დიდება და ლოცვა. ამის შესახებ **გ. წერეთელი** იგონებს: „ისინი გამოვიდნენ ეკლესიიდან შეძრწუნებული, გულგახეთქილნი და გვითხრეს: „ძიავ, სად არის თქვენი სარწმუნეობა, თქვენი წირვა-ლოცვა რატომ ვერ გავიგონეთ? ჩვენ გვინდოდა ქართულად გაგვეგონა ჩვენი მამა-პაპებისა და მისი შთამომავლების ლოცვა, თვარა უცხო ენაზე. კაი არაბულ ენაზე, ჩვენც კი ვადიდებთ ჩვენს ფეხამბერსო“ (იქვე, გაზ. „კვალი“, N7, 1893).

ქობულეთის მოსახლეობიდან სკოლის გახსნის საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ **გულო-აღა კაიკაციშვილი და დედე-აღა ნიჟარაძე.** გულო-აღა ჯერ კიდევ 1875 წლის 17 დეკემბერს ქართულ პრესაში მოთქვამდა: „... **ახლა, ძიავ, ჩვენი ქობულეთის საქმე გლახათ არის... წერა არ ვიცით, კითხვა, კლასი არ გვაქ, ზანათი (წესი–უ.ო.) არ ვიცით და არც ვინმე გვასწავლის“** (იქვე, 36; ზოიძე: 1993). აღსანიშნავია, რომ ქართული განათლების ცენტრების შექმნა-გამრავლების საქმეში მრევლსა და ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ ადგილობრივი მუსულმანი და ქრისტიანი ღვთისმსახურებიც. როდესაც იაკობ გოგებაშვილმა ქობულეთში

ქართული სკოლის გახსნის საკითხი დააყენა სწორედ მათი საერთო ძალისხმევითა და თანადგომით ქობულეთელები სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს და დაბეჯითებით მოითხოვეს, რომ „რადგანაც ჩვენ ქართველები ვართ და არა თურქები... ამიტომ ვითხოვთ, სკოლაში ქართულ ენას ასწავლიდნენ ყმაწვილებსო“ (იქვე, გაზ. „ივერია“, N28, 1893). მაგრამ რუსეთის ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო 1915 წელსაც ამავე თხოვნის უფრო კატეგორიულ ფორმებში გამეორება უწევთ ქობულეთელებს. მათი 1915 წლის მაისის მიმართვაში, რომელიც ქობულეთში ორწლიან სკოლაში ქართული ენის სწავლების შემოღების საკითხს ეხება ვკითხულობთ: **„ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი დედაენა ქართულია. მთელ ჩურუქსუში და ბათუმის ოლქში მხოლოდ ქართველები არიან. მიუხედავად ამისა სკოლაში ჩვენს ბავშვებს უგზავნიან, ჩვენი თხოვნის მიუხედავად რუს, ბერძენ, სომეხ და ლეგზინ (ლეკი) მასწავლებლებს, რომელთაც საერთოდ არ იციან ქართული ენა“...** ჩვენ განმეორებით თხოვნაზე ხელისუფლებამ გვითხრა, რომ თქვენ თვითონ დაიქირავეთ ქართულის მასწავლებელიო, რასაც 300-400 მანეთი უნდა, რაც ჩვენ არ გვაქვს... ამიტომ გთხოვთ გვიშუამდგომლოთ, რომ ქართული ენის მასწავლებლად დაგვინიშნონ ადგილობრივი ქართველი ქალი **ქსენია ბენიამენის ასული ღლონტი (მღვდლის შვილი),** რომელმაც 1914 წელს ბათუმში დაამთავრა გიმნაზიის 8 კლასი. მითუმეტეს ჩურუქსუს სასწავლებელში სწავლობს 98 ქართველი მუსლიმანი და ქრისტიანი, 12 რუსი, 25 ბერძენი და 2 ქურთი“. განცხადება შედგენილია ქობულეთში მოღვაწე მუსლიმანი და ქრისტიანი სასულიერო პირების ურთიერთთანამშრომლობით და ხელს აწერენ **ჩურუქსის მეჩეთის მუდირი ხაფიზ ისკენდერ ეფენდი ცივაძე, მღვდელი ბენიამინ ღლონტი, მემედ ჭყონია, გულო-აღა კაიკაციშვილი.** მაგრამ ქობულეთელთა ეს სამართლიანი მოთხოვნაც დაუკმაყოფილებელი დარჩა (სცსია, ფ. 481, ან. 1, ს. 1492: 15). მარტო ეს მაგალითებიც კმარა წარმოვიდგინოთ თუ როგორ ერთგულად იდგა რუსული იმპერიალიზმი „ქართული ეროვნული ერთობის სადარაჯოზე“. და ეს პოლიტიკა მის მიერ, საქართველოში გრძელდება დღესაც(აფხაზეთი, სამაჩაბლო). ცარიზმის ამგვარი პოლიტიკით უკმაყოფილო ქობულეთელებმა საერთოდ უარი თქვეს ბავშვების სკოლაში გაგზავნაზე და განაცხადეს: „.. რა ვქნათ, ჩვენს ენას არ ასწავლიან და რაღად გვინდა შვილების სწავლა, თუ რომ თავის ენას დაივიწყებენო“ (ჟურნ. „განახლება“, N9, 1911).

ასე იდგნენ ქართული ენისა და თვითშეგნების სადარაჯოზე ჩვენი უახლოესი წინაპრები თავიანთ მუსულმან და ქრისტიან სულიერ მოძღვრებთან ერთად. რუსეთის ცარიზმი კი, პირიქით, **ყოველთვის ცდილობდა ქართველ ხალხში ჩაეხშო ის ელემენტარული საკუთარი უფლების შეგნებაც კი, რაც მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასთან კი არა, არამედ საკუთარი მშობლიური ენის შესწავლასთან იყო დაკავშირებული.**

მაგრამ აქვე **აღნიშვნის ღირსია ის სამომავლო თანამშრომლობის საიმედო პერსპექტივა, რაც საერთო ქართული საქმისათვის ქართველი მუსლიმანი და ქრისტიანი მრევლისა და ღვთისმსახურების ერთად ღვაწლსა და თანადგომაში გამოიხატა; როდესაც ისინი ერთად იბრძვიან რეგიონში ქართული სკოლების დაარსებისა და ეროვნული სულისკვეთების ასაღორძინებლად, რასაც მართლაც მოყვა სულ ცოტა ხანში ქართული სკოლების გახსნა ალამბარში, ლეღვაში, ხუცუბანში, კვირიკეში და ქობულეთში, ქედაში** („ბათუმის გაზეთი“, N 109, 1912: სემიმა, ფ. 4, ს. 53, ფურც. 22-23**). ამაში თავისი წვლილი შეიტანეს იუსუფ-აღა**

კომახიძემ (აჭყვისთავის მამასახლისი), ზია-ხარაზმა (ქობულეთის საზოგადოების მამასახლისი), აბდულ მიქელაძემ, იუსუფ კობალაძემ, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებმა, ადგილობრივმა მღვდელმა ბენიამინ ღლონტმა და სხვ. სწორედ ბენიამინ ღლონტი და ხოჯა ისკანდერ ეფენდი ცივაძე ედგნენ მხარში ერთმანეთს, 1913 წელს ქობულეთში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ლეონიდე ოქროპირიძეს თაოსნობით, ბიბლიოთეკის გახსნის საქმეში, რომლის დამადასტურებელ ფოტოსურათს აქვე წარმოგიდგენთ.

მარცხნიდან ქვედა რიგში სხედან: მე-2: ხოჯა ისკანდერ-ეფენდი ცივაძე; მე-4 გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე); მარცხნიდან დგანან: პირველი - მღვდელი ბენიამენ ღლონტი, მესამე - გულო-აღა კაიკაციშვილი

თუ როგორი გულისყურით ეკიდებოდნენ ქართველი მოღვაწეები სამუსლიმანო საქართველოში სასკოლო მუშაობასა და სწავლა-აღზრდის პრობლემას, ამის ნათელო სურათს წარმოადგენს **1915 წლის 24 დეკემბერს გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებული პუბლიკაცია,** რომელშიც ვკითხულობთ, რომ „აჭარლებს შემდეგი საგულისხმო თხოვნით მიუმართავთ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ოზურგეთის განყოფილებისათვის: „მეჩვიდმეტე წელია, რაც ჩვენს სოფელში ჩვენს თანამოძმე ქრისტიანთა მაგალითისამებრ დავაარსეთ ერთკლასიანი სკოლა და მას აქეთ ეს სკოლა დღემდისაც არსებობს. ჩვენ მეტად ღარიბი ხალხი ვართ და არავითარი საშუალება არ გვაქვს გავუძღვეთ სკოლას და მის ხარჯებს. მართალია, მასწავლებელს ჯამაგირს აძლევს მთავრობა მაგრამ შიშველ-ტიტველ ბავშვებს სკოლაში სიარული უჭირთ და სიძვირის გამო სასწავლო ნივთების შეძენა გვიძნელდება. სკოლის შენობა საბოლოოდ დაძველდა, დალპა და შეკეთება კი მისი, ჩვენს ძალას აღემატება. სკოლას ჩვენ შევსწირეთ ნახევარი ქცევა მიწა, რომ შეიძლებოდეს მასზე რაიმე მებაღეობის გაშენება. ძალიან გვინდა, რომ გოგოებსაც (ე.ი. ქალებსაც, ქალიშვილებს) წერა-კითხვას ვასწავლიდეთ მასწავლებელი ქალის საშუალებით და სულით და გულით მონდომებული ვართ ჩვენს შვილებს ვასწავლოთ და ჩვენც დავინახოთ სინათლე, მაგრამ საღსარი არ მოგვეპოვება და დამხმარე არ გვყავს. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ

ქართველების საქველმოქმედო საზოგადოებას, მიიღოთ სახეში ჩვენი უპატრონობა, სიღარიბე და აღმოგვიჩინოთ დახმარება, რომ ეს ერთადერთი სანთელიც, ჩვენი სკოლა, არ ჩაქრეს ჩვენში. უმორჩილესად გთხოვთ აჭის სკოლის მზრუნველები–ფოფინა კვესიეშვილი, სულიკო მენაღარიშვილი, დურსუნ კეკეიშვილი, ადგილობრივი ხოჯა, მოლა ახმედ ხაჯიშვილი (ოქროპირიძე, იქვე, 39-40; გაზ. „საქართველო“, N 176, 1915, 24. XII).

ოზურგეთის განყოფილებამ ხსენებული თხოვნა დამატებით თავისი განმარტებით წარუდგინა საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას. განყოფილებას საკმარისად არ მიაჩნია მასწავლებელ იობაშვილის მიერ ნაანგარიშები ერთდროული დახმარება 845 მანეთი. განყოფილება სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლიხაურის საზოგადოება, რომელშიც სოფელი აჭი შედის, საზღვრავს ქობულეთის საბოქაულოს და ამიტომ აჭის სკოლასთან საქალებო სკოლის გახსნა, რასაც თვითონ აჭარლები (ქობულეთელები–უ.ო) თხოულობენ, საცა წერა-კითხვასა და ხელსაქმობას ასწავლიან, საშური საქმეა. აჭარელი ქალები მისაბაძი მაგალითი იქნება მეზობელ ქართველ მაჰმადიანთა სოფლებისათვის. ამასთან ერთად ოზურგეთის განყოფილებას საჭიროდ მიაჩნია გამონახოს თანხა აჭის სკოლაში კურსდამთავრებულთა გასაგზავნად ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად“ (იქვე). **აქ ნათლად ჩანს, როგორი მზრუნველობის საგნად ქცეულა ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებისათვის მაჰმადიან თანამოძმეთა პრობლემები. როგორი სითბო და სიყვარული იგრძნობა არა მარტო მათი სადღეისო, არამედ სამომავლო პერსპექტივის უზრუნველსაყოფად, გვერდში ამოსაყენებლად.** უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრესად ეს მუშაობა, რუსული მმართველობის წინააღმდეგობისა და ხრიკების მიუხედავად, მაინც წარმატებისაკენ ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიმავალი ერთ-ერთი სწორი გზა იყო, რომლის გამოყენების შანსიც ხელიდან არ გაუშვეს ჩვენი ერთიანობის განმტკიცებით დაინტერესებულმა ქართველმა პატრიოტებმა (ოქროპირიძე, იქვე, 40-41). ამ საგანმანათლებლო საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარა-ქობულეთში, სადაც როგორც „ბათუმის გაზეთის“ კორესპონდენტი მართებულად აღნიშნავს, „იშვიათად ნახავდი კაცს, რომელსაც საქართველოს ისტორია სცოდნოდა და ამის ნგამო ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ თავიანთი გამაჰმადიანების ისტორიაც კი არ იცოდნენ“ (ოქროპირიძე, იქვე, 43; გაზ. „ბათუმის გაზეთი“, N1, 1911).

ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს **ჰაიდარ აბაშიძეს** საქართველოსთან ერთობა მიაჩნდა „საჭიროა მომხვდურთა მიერ ცეცხლითა და მახვილით დანერგილი მავნე ადათ-წესების ამოძირკვა და მშობლიური წესების აღდგენაო, წერდა იგი და ამ საქმის საბოლოოდ მოგვარების იმედს ქრისტიან ქართველთა დახმარებაზე ამყარებდა. ჰაიდარ აბაშიძე მხარში ედგა ეროვნულ იდეას სამუსლიმანო საქართველოში და მთელი არსებით განიცდიდა ქართველ მაჰმადიანების ყველა ტკივილს, ამიტომაც იყო, რომ მას ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) „ქართველ მუსლიმანთა სულიერი ინტერესების სასიქადულო დამცველი“ უწოდა (იქვე, გვ. 48-49; ჰ. აბაშიძე, წერილები, ბათ., 1960, გვ. 23).

ნამდვილად გულისშემძვრელია ის გრძნობის სიწრფელე და სიხალასეამ ახლად შემოერთებულ მხარეში ახალგაზრდა მისიონერის ლეონიდე ოქროპირიძის, (შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლეონიდეს), ქობულეთში მოგზაურობის შედეგად წარმოქმნილშთაბეჭდილებებშია გადმოცემული; წერილში ის თავის საყვარელ ბიძას,

მღვდელმთავარ ალექსანდრეს (შემდგომში წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე) თავის განცდებს ასე უზიარებს: „ღვთის განგება და არა უბრალო შემთხვევა იყო, რომ თქვენთან ერთად ვიყავი ქობულეთში... ვნახე ძველი ეკლესიის ნანგრევები „თეთროსანი“. ისდრო ჩემთვის დაუვიწყარი იქნება და არის კიდეც. იმ დროსვე შემიყვარდა ქობულეთი, მაშინვე ვიგრძენი ქობულეთელების სიახლოვე და გეფიცებით ღმერთსა, მას უკან ჩემი გული და სული იქ დარჩა, - ამბობს ლეონიდე და იქვე განაგრძობს, - „თანახმად თქვენი რჩევისა ჩემი სურვილიც ის არის, რომ საინგილო და ქობულეთში მოვყვე, პირველად იმიტომ, რომ ... ხელი უფლისა პირველად ვცან ქობულეთში და ჩემი გული მას უკან იქ არის...“ (ვარდოსანიძე, 2014 13-15).

აი, ასეთ უკეთილშობილესიგრძნობებიაღუძრა ახალგაზრდა ბერ-მონაზონს მაშინდელ სამუსლიმანო საქართველოში წინაპართა სალოცავის ნაშთების ნახვამ, რაც დღესაც მათი გაფრთხილებისა და შენახვა-გადარჩენისაკენ მოგვიწოდებს, გვარწმუნებს, თუ რა უდიდესი სულიერი ძალა აქვთ, თუნდაც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შემორჩენილ ამ უნიკალურ რელიქვიებს.

ზემოთ აღნიშნული გულისხმიერი და სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულების შედეგად აჭარაშიც ნელ-ნელა მომძლავრდა ეროვნული თვითშეგნების საყრდენები; ქალაქ ბათუმის საკრებულომ ღირსეულად გამოხატა თავისი მწუხარება 1907 წლის 26 ნოემბრის საკრებულო სხდომის დადგენილებაში წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს გარდაცვალების გამო და აღნიშნა მისი დიდი ღვაწლი და დამსახურება ქართული კულტურისა თუ ეკლესია მონასტრების დაცვის საქმეში (აცსა, ფ. ი, აღწ. 1, საქმე 443, ფურც. 4-5)

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ბათუმში პირველი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აშენებასა და მასში ღვთისმსახურების აღსრულების დაწყებისათვის დიდი ღვაწლი დაუდვიათ ეპისკოპოსებს ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეებს... ლეონიდესვე უკურთხებია 1912 წელს სოფელ ახალშენის ფერისცვალების ეკლესიაც (ტაბატაძე-მიქანაძე, 2005: 129). მანვე, რეკომენდაციას უწევს რა თბილისის გიმნაზიაში ორ ქობულეთელ მაჰმადიანბავშვს, ადრესატ ალექსი ჭიჭინაძეს პირდაპირ ავალებს, თანაც აქეზებს: „ გთხოვთ გულითა და სულით, ამათ, როგორც ხამებს, გამოუცდელებსა და ყველასაგან დაშინებულებს, მოეფეროთ, დაუყვავოთ და გაამხნევოთ, რომ პირველსავე ნაბიჯზე არ იგრძნონ სულიერი ობლობა. მე ვგრძნობ ამ ბავშვების მიღებით თქვენს სასწავლებელში საძირკველი ედგმის დიდ ეროვნულ საკითხს და ამ საქმეს სწორედ თქვენისთანა მამა სჭირია... თქვენთვის როგორც ნამდვილი ქართველისათვის დიდად საჭიროა სწორი ცნობა გქონდეს ქობულეთელებზე. თუ ჩვენ გვსურს ჩვენი თანამოძმე ქართველი მაჰმადიანების პოვნა და შეძენა,... ეს უნდა დავიწყოთ ქობულეთიდან. ქობულეთში უნდა მოვიკიდოთ ფეხი, იქ უნდა ავანთოთ მწიგნობრობის ლამპარი, იქ უნდა გაიხსნას წერა-კითხვის საზოგადოების ხელმძღვანელობით და მეთაურობით პირველი სასწავლებელი.

კარგს იზამთ თუ ამ წერილის მომტანს (ისმაილ კაიკაციშვილს - უ. ო.) გაეცნობით და საფუძვლიანად გამოჰკითხავთ ქართველი მაჰმადიანების ავსა და კარგს.

თქვენი გულითადი პატივისმცემელი ეპისკოპოსი ლეონიდი. 15. X, 1915. (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები, ს. 9662).

აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქადაღსაყდრებულ ლეონიდეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არცერთი საკითხი, რომელიც სამუსლიმანო საქართველოს ბედს ეხებოდა და წარმატებით აგრძელებდა იმ შორსმჭვრეტელურ და ტოლერანტულ ტრადიციას, რომელსაც აჭარის შემოერთების პირველ ხანებში წმინდა მღვდელმთავრებმა ალექსანდრე ოქროპირიძემ და გაბრიელ ქიქოძემ ჩაუყარეს საფუძველი; ხოლო ამ საქმეს აჭარა-ქობულეთიდან მხარში ამოუდგნენ მღვდელი ბენიამინ ღლონტი, აგრეთვე მუსლიმი სასულიერო და საერო პირები - ჩურუქსუს მეჩეთის მუდირი ისკანდერ ეფენდი ცივაძე, მოლა ახმედ ხაჯიშვილი, მოლა დურსუნ ქარცივაძე, მუფთი ჰასან ეფენდი ვერძაძე, მამა-შვილ ახმედ და არუნ ხალვაშები, გულო აღა კაიკაციშვილი, დედე აღა ნიჟარაძე, მემედ ჭყონია, იუსუფ აღა კომახიძე, ზია ხარაზი, აბდულ მიქელაძე, იუსუ კობალაძე, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, სულიკო მენაღარიშვილი, დურსუნ კეკეიშვილი, აგრეთვე ღირსებით სავსე ქართველი ქალბატონები - ფოფინა კვესიეშვილი და ქსენია ბენიამინის ასული ღლონტი...

შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მაჰმადიანი და ქრისტიანი სასულიერო პირები, ხშირად თავიანთ მრევლთან ერთად, ჯერ კიდევ იმ ადრეულ პერიოდში, მხარში ედგნენ ერთმანეთს საერთო ქართული ეროვნული საქმისა თუ ინტერესების სადარაჯოზე და დაგვიტოვეს შესანიშნავი მაგალითები სამშობლოს ერთგული, გულისხმიერი სამსხურისა.

HISTROY

Present, from the past

Ucha Okropiridze
BatumiShotaRustaveliState University

In the work of the Muslim and Christian worshipers and their parish of the Ajarian Mother after the birth of the homeland, the merits and dedication of the Georgian schools and cultural centers in the process of revitalization of national self-consciousness. Their mutual engagement in the struggle for the strengthening of Georgian interests in Adjara-Kobuleti, in which the Holy High priests Aleksandre Okropiridze and Gabriel Kikodze, Bishop Leonidem, Priest Benjamin Glonti, Churuksu Mosque Iskander Tsivadze, Mola Akhmed Khajishvili, Mola Dursun Kartsivadze, Mufti Hassan-Efendi Verzadze M and other Georgian patriots

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ჭიჭინაძე ზ., ქართველი მაჰმადიანები, გაზ, „მიწა“, N 10, 1920;
ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე, უწმინდესი და უნეტარესი ლეონიდე, (1918-1921), თბ., 2014;
ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნა, თბ., 2011;
ლეკვეიშვილი ს., მედრესედან უმაღლეს სკოლამდე, ბათ., 2002;
ზოიძე ვ., მგზნებარე მამულიშვილები, ნაწ. 1, ბათ., 1993;
აბაშიძე ჰ., წერილები, ბათ., 1960;

გაზ. „კვალი“, N 7, 1893;
გაზ, „ივერია“, N 28, 1893;
„ბათუმის გაზეთი“, N 1, 1911;
„ბათუმის გაზეთი“, N 109, 1912;
გაზ. „საქართველო“, N 176, 1915 (24 დეკემბერი);
ჟურნ. „განახლება“, N 9, 1911;
კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები, ს. 9662;
სცსია, ფ. 481, ან. 1, ს.1492, ფურც.15;
სემიმა, ფ. 4, ს. 53, ფურც. 22-23;
აცსა, ფ. ი, აღწ. 1, საქმე 443, ფურც. 4-5;

ბათუმის ურბანიზაციის ზოგიერთი საკითხი

ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქალაქური ტიპის დასახლებები აღმოცენდნენ პირველყოფილ-თემური წყობილებიდან მონათმფლობელურში გადასვლის ეპოქაში. ეს პროცესი დაკავშირებულია საზოგადოებრივი შრომის დანაწილების გაღრმავებასთან, ხელოსნობის მიწათმოქმედებისგან გამოყოფასთან, კლასებისა და სახელმწიფოს შექმნასთან.

ქალაქები ჩნდებიან:

- ჩვ. წ. ა. III–I ათასწლეულებში: შუამდინარეთში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში, სირიაში, ინდოეთში, ჩინეთსა და კავკასიაში.
- ანტიკურ სამყაროში წამყვან როლს ასრულებდნენ: ათენი, სირაკუზა, კართაგენი, რომი და სხვა ქალაქები.

ქალაქებმა ძლიერი გავლენა მოახდინეს შუა საუკუნეებში ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბებაზე. ისინი ხელს უწყობდნენ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას. ქალაქებში გაჩნდა წარმოების კაპიტალისტური წესის ელემენტები და ბურჟუაზიული კულტურის საფუძვლები.

ურბანიზაციის პროცესის გაძლიერებამ XIX საუკუნეში გამოიწვია „ქალაქური რევოლუცია“ - მოსახლეობის დიდი ნაწილის ქალაქებში კონცენტრაცია. ეს შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციით, ტრანსპორტისა და კავშირის საშუალებების, აგრეთვე სამედიცინო ცოდნის განვითარებით.

ქალაქები იქმნებოდა და ვითარდებოდა, როგორც თავდაცვის საყრდენი პუნქტები, ვაჭრობის, ხელოსნობისა და სამრეწველო წარმოების ცენტრები, აგრეთვე ხელისუფლების თავმოყრის, ადმინისტრაციული მოღვაწეობის, მომსახურებისა და კულტურის ცენტრები. ქალაქებში უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობები იქმნებოდა ურთიერთობის ეფექტურობის ასამაღლებლად და ამასთან დაკავშირებული საქმიანობის ინტეგრაციისთვის. ცივილიზაციის მნიშვნელოვანი მიღწევები სწორედ ქალაქების განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ურბანიზაციის პროცესი სოციალურ აქტივობას ასტიმულირებს და აჩქარებს განვითარების ტემპებს ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და ტექნიკურ სფეროებში. თუმცა, მისი ეფექტურობა, როგორც სოციალური პროგრესის ფაქტორისა, დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ურბანიზაციის სტიქიურობა აღრმავებს სოციალურ წინააღმდეგობებს და წარმოშობს მუდმივ შეტაკებებს საკუთარ ინტერესებსა და ქალაქის განვითარების ინტეგრირებულ ტენდენციებს შორის.

საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე, ძვ. წ. ა. II ათასწლეულიდან გვხვდება ქალაქური ტიპის დასახლებები, ხოლო ანტიკურ ხანაში მათი რიცხვი უკვე უთვალავია.

საქართველოს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ნაწილში ერთ-ერთი უძველესი ქალაქური ტიპის დასახლება ბათუმის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ბათუმის გორის მიდამოებში, მდებარეობდა - იქ, სადაც მდინარე ყოროლისთავი შავ ზღვას უერთდება.

ბათუმის გორის არქეოლოგიური გათხრები მნიშვნელოვან ცნობებს გვაძლევს. ადამიანთა ცხოვრება აქ I ათასწლეულის დასაწყისიდან იწყება. VII საუკუნეში ჩანს სავაჭრო-ეკონომიკური განვითარების კულმინაცია და ფართო კავშირი ბერძნულ სამყაროსთან. მოპოვებულია უამრავი იმპორტული კერამიკა. შემდგომ საუკუნეებში აქ ცხოვრება აღარ ჩქეფს. სავარაუდოდ, სავაჭრო პუნქტებმა ჩრდილოეთით - პეტრასკენ გადაინაცვლა.

წერილობით ცნობებს ბათუმზე ძველი ბერძენი მწერლები გვაწვდიან. პლინიუსი „ბუნების ისტორიაში“ წერს: „140 000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდ. აბსარისაა და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთებს გადაღმა იბერიაა, ხოლო ნაპირს გასწვრივ მოსახლეობენ ჰენიოსები, ამპრევეტები, ლაზები. მდინარეებია: აკამფსისი, ისისი, მოგორისი, მათისი, კოლხთა ტომებია აქ“ (ყაუხჩიშვილი, 1969:12).

არიანეც მოიხსენიებს მდინარე მათისს. იგი ამბობს, რომ მდინარე შავ ზღვას ერთვის იქ, სადაც ნაპირი ნახევარმთვარის სახის რკალს აკეთებსო (ყაუხჩიშვილი, 1964:56). „ბათის“ ბერძნულად „ღრმას“ ნიშნავს. მართლაც, როცა პლინიუსი შავი ზღვის სიღრმეზე მსჯელობს, ამბობს, რომ „ბათისთან, ხმელეთიდან 300 სტადიონზე, ძალიან ღრმააო“. II საუკუნეში ლათინურ რუკაზე ბათუმის ადგილას აწერია „პორტუს ალცესს“, რაც ლათინურ ენაზე „ღრმა ნავსადგურს“ ნიშნავს. არიანე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდინარეებს შორის ბათისსაც ასახელებს. მდინარეების სახელების გარკვევის შემდეგ დადგინდა, რომ ბათისი თანამედროვე ყოროლისთავია. იქვე, გორაზე, ახლაც დგას ნაციხარი.

ამ ბერძენ ავტორთა შემდეგ ბათუმს მხოლოდ XIV საუკუნის ისტორიკოსი მიქელ პანარეტასი ახსენებს. როგორ მოხდა, რომ საუკუნეების განმავლობაში არ ახსენებდნენ ამ ქალაქს? ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ბათუმს მოიხსენიებდნენ, როგორც „პეტრას“, რაც რომაულად „ქვას“ ნიშნავს. პეტრას ციხე დღევანდელი ციხისძირია და ბათუმის გორიდან ათი კილომეტრითაა დაცილებული. VI საუკუნეში ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს ლაზიკის ქალაქ პეტრასთან მიმდინარეობდა ბრძოლები. ამ ამბებთან დაკავშირებით პროკოფი კესარიელი ახსენებს პეტრას. იგი წერს: „პეტრა ზღვისპირა ქალაქია კოლხეთში, ეგრეთ წოდებულ ევქსინის პონტოსთან“. მისივე სიტყვით, პეტრა გამაგრებული იყო გარე ზღუდით, სხვა მშენებლების საშუალებით. „ქალაქი პეტრა მიუვალია ჯერ ერთი ზღვის მხრით, მეორე - ციცაბო კლდეებით, რომელიც აქ ყოველმხრივ არის აღმართული... პეტრაში მჯდარი სარდალი განაგებდა სავაჭრო საქონლის შეტანა-გატანას. მის ნებაზე იყო დამოკიდებული, რა საქონელს შეიტანდა ლაზეთში“ (ყაუხჩიშვილი, 1964:58–59). აქედან გამომდინარე, ს. ყაუხჩიშვილი ასკვნის: პეტრა ვერ იქნებოდა სავაჭრო ქალაქი, ახლომახლო ნავსადგური რომ არ ყოფილიყო. ამიტომაც ეს ორი ციხე ერთ ქალაქად იყო გააზრებული ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში.

შემდგომ მეცნიერი ცდილობს „ბათისის“ ეტიმოლოგია ქართველური ენების საფუძველზე მოგვცეს. იგი მას ძირ „ქვას“ უკავშირებს, ბერძნებმა კი ადგილობრივი სახელი ბერძნულ „ღრმად“ გაიგესო. სამწუხაროდ, ღვაწლმოსილი მეცნიერი ვერ უთითებს, თუ რომელ ქართველურ ენაშია შემონახული „ბათ-“ ძირი, როგორც „ქვა“.

გაურკვეველი მიზეზების გამო, შემდგომ საუკუნეში ქალაქი კნინდება. ბათუმი XIII საუკუნეში გურიის სამთავროს შემადგენლობაშია, მაგრამ აქ აღარ მიმდინარეობს ინტენსიური სავაჭრო ცხოვრება. XVIII საუკუნეში ბათუმი თურქების ხელში გადადის და საერთოდ კარგავს ქალაქის სახეს. შეწყდა ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა, ადგილობრივი გლეხობა პირადი მეურნეობითაა დაკავებული, სავაჭრო საქმისთვის არ სცალია, ხოლო ევროპელი ვაჭრები სიფრთხილის გამო ვერ ბედავენ შემოსვლას. სავაჭრო საქმეს მხოლოდ ოსმალები მისდევენ.

ქუთაისის მიტროპოლიტი მაქსიმე 1769 წელს წერდა: „ქუთაისიდან ვაჭრები მიდიან ნავებით და სამს ციხეში - ბათუმს, ფოთსა და სოხუმს - გასასყიდად გააქვთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვეული - მელიის, კვერნის და ვეფხვის და საჭმლის ხორაგი. იქიდანაც წყლით მოაქვთ ოსმალის სავაჭრო: სხვადასხვა ფერის ფარჩა, შაქარი, ყავა და სხვა. აქ მოაქვთ სტამბოლიდან და ყირიმიდან გემებით, იმერეთში ხმელეთიდან შემოდიან არზუმიდან, ტრაპიზონიდან და სხვა“ (Грамоты т. 2, част 1, стр. 4). მაგრამ, როგორც ჩანს, ვაჭრობა ინტენსიური არ უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ბათუმი ვერ იქცა საყრდენ პუნქტად ოსმალეთის ვაჭრობაში და ურბანიზაცია ნელი ტემპით მიდის. უნდა ითქვას, რომ ოსმალეთი ზედმიწევნით აგრარული ქვეყანა იყო და ურბანიზაციის პროცესიც ნელა მიდიოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების დახმარებით განაგრძობდა არსებობას ბათუმის ნავსადგური, მაგრამ მაინც ჩამორჩებოდა იგი თავის ამოცანებს სავაჭრო საქმეში. მრეწველობა განვითარებული არ იყო თურქეთში და, რასაკვირველია, აჭარაში, სადაც მხოლოდ შინამრეწველობას მისდევდნენ.

როგორც ცნობილია, ურბანიზაცია არის ისტორიული პროცესი, რომელიც ამაღლებს ქალაქების როლს საზოგადოების განვითარებაში. ამ პროცესს თან ახლავს ცვლილებები საზოგადოების სოციალურ და დემოგრაფიულ სტრუქტურაში, კულტურაში, ცხოვრების წესში, ფსიქოლოგიასა და ადამიანთა ურთიერთობის ფორმების კონცენტრაციაში. აქედან გამომდინარე, ურბანიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი დემოგრაფიული ცვლილებაა.

თავის მხრივ, დემოგრაფია სწავლობს სოციალურ-ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ფაქტორთა პირობით ხალხთა მოსახლეობის რაოდენობას, კვლავწარმოების, სტრუქტურის, დინამიკის, გადაადგილების, მიგრაციისა და სხვა მოვლენათა და პროცესთა კანონ-ზომიერებას.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცდებით, წარმოგიდგინოთ 1878–1906 წლების ნაწილობრივი დემოგრაფიული სტატისტიკა - ე.ი. გავარკვიოთ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა, შემადგენლობა, გადაადგილება, აგრეთვე ბათუმში ურბანიზაციული პრო-ცესის დაჩქარებისა და აქ მოსახლეობის მიგრაციის მიზეზები.

XIX საუკუნის დასაწყისში ბათუმი ქალაქის ტიპის დასახლებაც კი არ არის (რასაკვირველია, ევროპული სტანდარტებით). 1906 წელს გამოცემულ კრებულში «Батуми и его окресности» ა. ს. მესხის სტატიაში «Развитие Батумского городского хозяйства» მოჰყავს ფრანგი მოგზაურის, ანდრიან დიუპრეს ცნობა, რომელიც 1807 წელს იყო ბათუმში. იგი წერს, რომ ბათუმი დიდი და არადაბა ქალაქური ტიპისაა, აქ 2000-მდე მცხოვრებია. ა. ფრენკელი წერს: «по сведениям которые я почерпнул из французкой записки (Notice sur Batum)

нашего бывшего вице-консула Джиудичи в Батумском». ხოლო ვ. ჯილფორდ პალგრევი (ინგლისელი კონსული ანატოლიაში) თავის ანგარიშებში 1872 წელს ბათუმზე შემდეგ ცნობებს იძლევა: 246 კომლი, მუდმივი მცხოვრები – 1383 (1/12 ბერძნები, 1/3 ჩერქეზები). აქაც და ზემოთაც ბათუმში მოსახლეობის აღწერის დროს აფხაზები არიან მოხსენიებული ჩერქეზებად. ა. ფრენკელს მოჰყავს ცნობები „ტრაპეზუნტის კალენდრიდან“.

ავტორი აღნიშნავს, რომ მოტანილი ციფრები მხოლოდ მამაკაცებს ეხება, ქალებზე კი ცნობები არ გვაქვს. რასაკვირველია, ეს არ ეხება ვ. ჯილფორდ პალგრევის ცნობებს, სადაც ბათუმის ნახვაზე კი არა, ბათუმზეა საუბარი. გ. ყაზბეგის მიხედვით, ბათუმში 7200 სული ცხოვრობს, რაც 1200 კომლს შეადგენს. ტრაპიზონის კალენდარი კი 3065 სულს აღრიცხავს, მაგრამ ამდენივეს თუ დავუმატებთ და თანაც გავითვალისწინებთ, რომ ქალები მამაკაცებზე მეტი არიან, გ. ყაზბეგის ცნობით, ბათუმის მოსახლეთა რიცხვი სწორად უნდა ჩავთვალოთ.

ბათუმის მცხოვრებთა რიცხვის შესახებ ცნობები ერთმანეთისგან განსხვავდება:

- ანდრიან დიუპრე – 2000 სული (1807 წ.)
- ვ. ჯილფორდ პალგრევი – 1383 სული (1872 წ.)
- ი. მესხი – 3000 სული (1878 წ.)
- ბლამიეზე – 4970 სული (1873 წ.)

ანდრიან დიუპრესა და ვ. ჯილფორდ პალგრევის ცნობებს 65 წელი აშორებს და მოსახლეობა იმის მაგივრად, რომ გაზრდილიყო, შემცირებულია, მაგრამ ვფიქრობთ, დიუპრემ იმხანად ბათუმში დროებით ჩამოსული მოსახლეობაც ჩათვალა, თორემ მუდმივ მცხოვრებთა რიცხვი გაცილებით ნაკლები უნდა ყოფილიყო. სარწმუნო უნდა იყოს ვ. ჯილფორდ პალგრევის ცნობები. ჯერ ერთი, ის დიდი ხნის განმავლობაში ეკავა კონსულის თანამდებობა თურქეთში და უკეთესად მოახერხებდა აღრიცხვას, მეორეც, იგი, როგორც ხშირად ჰქონდა ადგილი ინგლისურ დიპლომატიაში, „ინტელეიჯენს სერვისის“ აგენტი იქნებოდა და ექნებოდა მეცნიერული მეთოდები ზუსტი ცნობების მოსაპოვებლად.

იგი აღნიშნავს, რომ 1303 მუდმივი მცხოვრებია. ახლა ერთიღაა გასარკვევი: მხოლოდ მამაკაცებს გულისხმობს თუ ქალებიც ჰყავს სათვალავში. გ. ყაზბეგის ცნობებში მოცემულია, რომ ბათუმში არის 1200 კომლი და 7200 მცხოვრები, ე.ი. 1 კომლში 6 სულს ანგარიშობს, ხოლო ფრენკელის ცნობებით 1076 კომლი და 3327 სული მცხოვრებია, აქ კომლში 3 სულიანად არის ანგარიშევი. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფრენკელი მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ითვლის, ასე რომ, საშუალო ციფრი კომლის შემადგენლობისა აქაც 6-ია. მაშინ, თუ ე. ჯილფორდ პალგრევი 246 კომლს 6-ზე გადავამრავლებთ, მიახლოებით სწორია მისი ცნობა და ქალებიც ნაგულისხმევია. გამოდის, რომ 1872 წლისთვის ბათუმში 1883 მუდმივი მცხოვრები უნდა ყოფილიყო. აქედან 1/12 ბერძენი, 1/3 კი ჩერქეზი (აფხაზი), ე.ი. 115 ბერძენი და 461 აფხაზი. 867 კი ადგილობრივი მცხოვრები უნდა ვიგულისხმოთ, ე.ი. მუსლიმი ქართველი. ეტყობა, თურქები მაინც-დამაინც არ ეტანებოდნენ მუდმივ საცხოვრებლად ბათუმს, ალბათ კლიმატური პირობების გამო. ბათუმის მხარეში მალარიის ეპიდემია წუთითაც კი არ წყდებოდა, თანაც არც ისე განვითარებული სავაჭრო ქალაქი იყო თურქეთის მასშტაბითაც კი.

ი. მესხის ცნობით, ქალაქში 3000 მცხოვრებია, რაც ორჯერ აღემატება ჯილფორდის მონაცემებს. ბუნებრივი ნამატის ასეთი რიცხვი დაუჯერებელია, რადგან ექვსიოდე

წელიწადში 1800 სულის მომატება შეუძლებელია. ბათუმის ურბანიზაციის ტემპი კი დაბალი იყო. ვფიქრობთ, 1878 წელს ბათუმში უნდა ჩამოსახლებულიყვნენ სომეხი ემიგრანტები თურქეთიდან, რაც დოკუმენტურად დასტურდება სომეხთა ეპისკოპოსის წერილიდან თურქეთის ხელისუფლებისადმი 1878 წელს. ამას ადასტურებს ისტორიული ფაქტებიც. 1878 წელს აღებული იქნა ყარსი და სომეხ მცხოვრებლებს საშუალება მიეცათ, დაეტოვებინათ მათთვის არასასურველი მუსლიმური თურქეთი და უკვე ქრისტიანული რუსეთის შემადგენლობაში შესული ბათუმისკენ დაძრულიყვნენ. შემდგომი აღწერები ადასტურებენ სომეხთა გაზრდილ რიცხვს წინა წლებთან, კერძოდ, 1872 წელთან შედარებით. აქვე უნდა ვიგულისხმოთ თურქი არამუდმივი მოსახლეობაც, რომლებმაც არ დატოვეს ქალაქი სავაჭრო მოსაზრებების გამო, რაც ბერლინის კონგრესით იყო გათვალისწინებული. ასე რომ, ვფიქრობთ, ი. მესხის ციფრი, 3000 სული 1878 წელს, სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს.

1878 წელს დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომი და ბათუმი რუსეთის ხელში გადავიდა. რუსეთს კარგად ესმოდა, რა სარგებლობა შეეძლო მოეტანა ბათუმს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით რუსულ ეკონომიკაში. იგი უკვე XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან ცდილობდა ვაჭრობის მოგვარებას ბათუმში, ამას ადასტურებს დღესაც შემორჩენილი ფირნიშები რუსული სადაზღვევო საზოგადოებისა. ყველაზე ძველი ამ ფირნიშებს შორის 1827 წლისაა. ბათუმის მნიშვნელობა შესანიშნავად ჩანს მარქსის სიტყვებში 1853 წელს.

ქალაქის განვითარება ხდება იმ ადგილებში, რომლებიც გამოდგება სამხედრო პუნქტებად და მოსახერხებელია სავაჭრო ცენტრებად. ბათუმი ორივე პირობას აკმაყოფილებდა, თანაც იგი შეუერთდა ქვეყანას, რომელშიც საკმაოდ იყო განვითარებული კაპიტალისტური წარმოების წესი. 1878 წელს შედგა ევროპულ სახელმწიფოთა კონგრესი ბერლინში. ინგლისელთა მცდელობის შედეგად ბათუმი უბაჟო ქალაქად, „პორტო-ფრანკოდ“, გადაიქცა. ასევე, ბერლინის ხელშეკრულებით ქართველ მუსლიმებს მიეცათ უფლება, 1879–1921 წლების მანძილზე მუჰაჯირად წასულიყვნენ თურქეთში. ოსმალეთის პროპაგანდის შედეგად აჭარიდან 30000 კაცი გადასახლდა. მართალია, ბევრი მათგანი დაბრუნდა, მაგრამ მაინც საგრძნობლად იკლო მოსახლეობამ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბათუმიდანაც იქნებოდნენ მუჰაჯირები, მაგრამ შემდგომდროინდელი სტატისტიკა ბათუმის მოსახლეობის ამას არ იმჩნევს.

ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარება დაჩქარებული ტემპით მიდიოდა, რაც თავისთავად აჩქარებდა ისტორიულად აუცილებელ ურბანიზაციის პროცესს, ბათუმში ხდებოდა მოსახლეობის თავმოყრა.

1883 წელს გაიყვანეს რკინიგზის ხაზი ბათუმი-სამტრედია, რითაც ბათუმი ბაქოს დაუკავშირდა. ამან ევროპაში ბაქოს ნავთობის ზღვით ექსპორტის გზა გახსნა. მანამდე ბათუმი აივსო ვაჭრებითა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებით, მიმდინარეობდა წინასწარი სამუშაოები და ემზადებოდნენ ქარხნების გასახსნელად. ინჟინრებმა გენგემ და პლაშევსკიმ დააარსეს „კასპია-შავი ზღვის ნავთის დამამუშავებელი და სავაჭრო საზოგადოება“ (1886 წელს იგი როტშილდის ხელში გადავიდა). მოგვიანებით, 1885 წელს, ბიდონებისა და ნავთის ტარის ქარხნებს ხსნიან სიდერისი და რიხნერი, 1887 წელს კი ხაჩატრიანცი, მანთაშევი, ცილიანოვი და სხვები. 90-იანი წლებისთვის ტექნიკური

რევოლუცია ბათუმსაც შეეხო, მოხდა ნახევრადკუსტარული ქარხნების მექანიზაცია და წვრილი ბურჟუაზია გაკოტრდა. 1900 წლისთვის დარჩა ხუთი დიდი ქარხანა, რომლებიც ნავთის ტარის დამზადებაზე მუშაობდნენ: როტშილდის, მანთაშევის, ცილიანოვების და სიდერისის. მუშათა რიცხვმა 2000-ს მიაღწია, რაც 1872 წლის მთელი მოსახლეობის რიცხვზე (1383 სული) დიდია.

ბუნებრივია, ბუნებრივი მატება ასეთი დიდი არ იქნებოდა. ბათუმს მოაშურა ქართველმა გლეხობამ, თუმცა არანაკლები რაოდენობა დაიძრა რუსეთიდან და რუსეთის სამხრეთიდან. სანამ მოსახლეობის აღწერის ანალიზს დავიწყებდეთ და შევეცდებით ქართულად მოლაპარაკეთა რიცხვის დადგენას, რეტროსპექტულად გადავხედოთ საქართველოს მე-19 საუკუნის ერთ მონაკვეთს და გავიხსენოთ, რა სოციალური ძვრები ჰქონდა ადგილს 60-იან წლებში.

„გლეხის მეურნეობის ევოლუციაზე დიდი გავლენა ჰქონდა სოფლის მშრომელ მოსახლეობაში მესაქმეობის განვითარებას და გარე საშოვარზე გასვლის პრაქტიკის გავრცელებას. საბჭოთა ისტორიკოსებმა ნათელი მოჰფინეს, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობა უფრო სწრაფად სწორედ ქვეყნის იმ ნაწილში ვითარდება, რომლის მშრომელი მოსახლეობა უპირატესად მესაქმეობას ეწეოდა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.5. 1970. გვ. 56). XIX საუკუნის მასალები მკაფიოდ ადასტურებენ მესაქმეობისა და გარე საშოვარზე გასვლის ფართოდ გავრცელებას საქართველოს უმიწო და მცირემიწიან გლეხობაში. 60-იანი წლებისთვის შეიმჩნევა ხელოსნობის გამრავლება. ეს ძვრები იყო პირველი ნაბიჯი გლეხობის ქალაქისკენ. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს სამრეწველო განვითარებას საქართველოს ქალაქები. ნელ-ნელა ირღვევა ფეოდალური ურთიერთობები და იმარჯვებს კაპიტალიზმი.

1861 წლის 19 თებერვალს მეფემ გამოსცა მანიფესტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ, მაგრამ მიწა მემამულეების ხელში დარჩა, გლეხს კი მიენიჭა უფლება, მისი „ნადელი“ შეეძინა მემამულის თანხმობით. ნადელის საკუთრებად შეძენამდე გლეხი დროებით ვალდებულ მდგომარეობაში რჩებოდა, ამიტომ იგი რეფორმამდე ყველა გადასახადს იხდიდა. ყველა გლეხს არ შეეძლო შეეძინა „ნადელი“, ამიტომაც მთელ რუსეთში გლეხთა მიწათმფლობელობა მეოთხედით, ზოგან ნახევრით შემცირდა. მიუხედავად ამისა, მანიფესტმა ბიძგი მისცა კაპიტალიზმის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. 1884 წელს მსგავსი მანიფესტი საქართველოშიც გამოიცა ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. მანიფესტის განხილვაში მთელი ქართველი საზოგადოება მონაწილეობდა. 13 ოქტომბერს ამიერკავკასიის ცენტრალურ გლეხთა კომიტეტში განიხილეს პროექტი პრივილეგიური წოდების ინტერესების მაქსიმალური დაცვით. საბოლოოდ, 1865 წლის 25 მარტისთვის, რეფორმა დამტკიცდა. ლენინმა თქვა, რომ ეს „ყბადაღებული რეფორმა იყო გლეხობის უსინდისო გაძარცვა“.

1884 წლიდან 1904 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ნადელთა გამოსყიდვის გზით სულ 4595 კაცი გადავიდა მესაკუთრეთა კატეგორიაში. აქედან დიდი ნაწილი - 3741 - მთავრობის სესხის გამოყენებით. ბევრი მემამულე არ აძლევდა გლეხებს საშუალებას, გამოესყიდათ მიწა, ზოგიც სახსრებს ვერ შოულობდა, ამიტომაც აღმოსავლეთ საქართველოში მცირემიწიანი და უმიწო გლეხების რაოდენობა ბევრია (მიწა მხოლოდ

დროებით ვალდებულ გლეხთა 31,5%-მა გამოისყიდა). თბილისში ამ პერიოდში სწრაფი ტემპით ვითარდება სამანქანო მრეწველობა და გლეხობა ქალაქისკენ მიისწრაფვის. სწორედ გლეხთა უმიწოდ დარჩენა იყო თბილისში მოსახლეობის მატების ერთ-ერთი მიზეზი. ამავე მიზეზითაა განპირობებული დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის მატებაც. თუ აღმოსავლეთ საქართველოში გვქონდა ერთი მსხვილი სამრეწველო ქალაქი, დასავლეთში იგი რამდენიმეა: ფოთი, ქუთაისი, ჭიათურა. დასავლეთ საქართველოს გლეხობამ უკეთე-სად გაართვა თავი მიწების გამოსყიდვას, ისინი გამაგრდნენ სარეწებსა და საშოვარზე გასვლის საშუალებით. მესაკუთრეთა კატეგორიაში გადავიდა დროებით ვალდებულ გლეხთა 60%. „ქუთაისის გუბერნია იყო ერთადერთი მთელ რუსეთის იმპერიის მასშტაბით, სადაც გლეხებმა საკუთარი სახსრებით გამოისყიდეს სანადელო და ჩამოჭრილი მიწები“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.5. 1970. გვ. 385).

ამრიგად, საქართველოში სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ შედეგს და მის გამოხატულებას წარმოადგენდა მრავალრიცხოვან გლეხთა გაჩენა. ჩნდება თავისუფალი მუშახელი იმ გლეხთა ხარჯზე, რომლებიც უმიწოდ დარჩნენ. ჩვენი აზრით, სწორედ ამ გლეხთა ნაწილი დაიძრა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებისკენ, განსაკუთრებით მეზობელი გურიიდან. უმიწოდ დარჩენილი გურული გლეხობა ფოთს მიაწყდა, მაგრამ ფოთის შესაძლებლობები დიდი არ აღმოჩნდა, აქ მუშა-ხელი ბევრი არ იყო საჭირო, ხოლო ქუთაისსა და ჭიათურას მეგრელი და იმერელი გლეხობა აძლევდა მუშახელს.

1883 წლიდან მოსახლეობა სწრაფი ტემპებით მატულობს ბათუმში, რასაც ხელი შეუწყო მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ. გარდა გურული გლეხობისა, ბათუმისკენ დაიძრა გლეხები საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც. ქართველი გლეხობის უმიწოდ დარჩენას ხელი შეუწყო რუსული შოვინიზმის პოლიტიკამაც. ისინი საქართველოში ასახლებდნენ რასკოლნიკებს, მოლოკნებს, დუხობორებს, სკაპეტებს, რასაც ორი მიზანი ჰქონდა: რუსეთიდან მათი მოშორება, როგორც არამართლმადიდებლებისა, და საქართველოში რუსული მოსახლეობის გაზრდა. აწყობდნენ სამხედრო დასახლებებს და ყოველივე ეს ადგილობრივი ქართველი გლეხობის ხარჯზე ხდებოდა. 1878 წლიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხების ხარჯზე მატულობს მოსახლეობა, რომლებიც ყარსიდან, ართვინიდან და ერზერუმიდან დაიძრნენ. ხალხი ბათუმს რუსეთიდანაც მოაწყდა - პირველ რიგში, ჩინოვნიკები, ათასი ჯურის ვაჭრები და ავანტიურისტები.

ამ პერიოდში უამრავი ლიტერატურა გამოდიოდა ბათუმზე და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. „რუსკიე ტროპიკი“ - ასე უწოდებდნენ აჭარის ზღვისპირეთს. მართლაც, ბევრ რუს გენერალს და თავადს ჰქონდა აგარაკი მახინჯაურსა და ციხისძირში. თვითონ ქალაქმა მოკლე დროში იცვალა სახე. გრ. ორბელიანის სიტყვით, ბათუმში „ოციოდე ცუდი სახლი იდგა“. რუსეთთან შეერთების შემდეგ აშენდა შესანიშნავი შენობები ნეოკლასიკურ სტილში, გაყვანილ იქნა მოკირწყლული სწორი ქუჩები ინგლისური ქალაქების სტილში. დაინერგა ცივილიზაციის მონაპოვრები: რკინიგზა, ფოსტა, აშენდა საავადმყოფოები. მოკლედ, ბათუმი მოკლე ხანში ევროპული ტიპის საპორტო ქალაქად იქცა. ჩვენ აქ არ შევეხებით თვითონ ქალაქის ურბანულ განვითარებას. დავუბრუნდეთ

ჩვენს მიზანს: შევეცადოთ გავარკვიოთ მოსახლეობის მატება და ქალაქის ეროვნული შემადგენლობა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართველი მუსლიმანების რაოდენობა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ მონაწილეობდა ვაჭრობაში, მიწებითაც უზრუნველყოფილი იყვნენ და ქალაქებს არ ეტანებოდნენ. ბატონყმობა აჭარაში არ იყო, რადგან არ იყო თურქეთში. ახლა განვიხილოთ აღწერის შედეგები.

1882 წლის 19 მარტის აღწერის შედეგად ბათუმში 8771 სული აღმოჩნდა, აქედან 6931 მამაკაცი და 1740 ქალი. თუმცა, მუდმივი მოსახლეობა, სავარაუდოდ, ნაკლები იქნებოდა.

ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო:

- ქართველი - 1156
- რუსი - 980
- თურქი - 603
- აფხაზი - 377
- სომეხი - 908
- სპარსელი - 112
- ებრაელი - 179
- ბერძენი - 1106
- გერმანელი - 145
- ფრანგი - 24
- იტალიელი - 19
- ინგლისელი - 10

1872 წლის ციფრებთან შედარებისას ჩანს, რომ ქართველების რიცხვი დიდად არ გაზრდილა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბათუმს ჯერ კიდევ არ სჭირდებოდა დიდი რაოდენობით მუშახელი. მკვეთრად იმატა თურქთა რიცხვმა, რაც პარადოქსულია, რადგან რუსეთის ხელში გადასვლის შემდეგ თურქი მოსახლეობა გაიზარდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ოსმალმა ვაჭრებმა იგრძნეს ბათუმის სავაჭრო პერსპექტივები. რუსები, რომლებიც 1878 წელს მხოლოდ ერთი-ორი კაცი იყო, თითქმის ქართველების რაოდენობას უტოლდება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან რუსეთიდან ჩამოდიოდნენ სპეციალისტები: ინჟინრები სხვადასხვა დარგიდან, ვაჭრები, მოხელეები. ბერძნების რიცხვის გაზრდა სომხურ პრობლემასთან არის დაკავშირებული - მათ ამჯობინეს ქრისტიანულ ბათუმში გაეჩაღებინათ ვაჭრობა. გაჩნდა ისეთი ეროვნებებიც, რომლებიც თურქების დროს საერთოდ არ იყვნენ, მაგალითად: სპარსელები და ებრაელები. ქართველთა რიცხვი კი დიდად არ მომატებულა, რადგან მუშახელი ქალაქს არ სჭირდებოდა, უმიწო გლეხობა ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით არ დაძრულა ბათუმისკენ.

ქართველთა რიცხვი, როგორც ვთქვით, 1156-ია. საინტერესოა, დავადგინოთ მუსლიმი ქართველების რაოდენობა. რელიგიურ გრაფაში მოცემულია, რომ ბათუმში 3158 მართლმადიდებელი იყო, ხოლო მუსლიმანთა რიცხვი 1282-ს შეადგენდა. თუ ამ რიცხვს გამოვაკლებთ 608 თურქსა და 112 სპარსელს, მივიღებთ მუსლიმ ქართველთა რიცხვს — 577-ს. მაგრამ თუ მართლმადიდებლების რიცხვს (3158) გამოვაკლებთ რუსების რიცხვს (980), 2178 გვრჩება, რაც ქართველ მართლმადიდებელთა რიცხვს არ შეესაბამება, რადგან ისინი

მუსლიმ ქართველებთან ერთად 1156-ნი არიან. თუ მუსლიმანთა რიცხვს დავაკლებთ, მივიღებთ 579-ს. გვრჩება 1671 მართლმადიდებელი, რომელიც ეროვნულ გრაფაში არ არის შეტანილი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ჯარის ნაწილებია, რომლებიც ბათუმთან იდგნენ, მიუხედავად იმისა, რომ „პორტო-ფრანკოს“ წესით ქალაქის დაცვა იკრძალებოდა. შემოერთების შემდეგ მოსახლეობა თითქმის სამჯერ გაიზარდა.

1890 წლის აღწერით, ე.ი. 12 წლის შემდეგ, მოსახლეობა 18 123 სულია, აქედან 14 120 კაცი, 3 947 ქალი, ხოლო 3449 მეციხოვნე ჯარისკაცია. მოქალაქეთა რიცხვი 14 674-ია. ეროვნებათა გრაფაში 4161 რუსია, 3574 ქართველი. იმატა სომხების რიცხვმაც — 3128 კაცია ბათუმში, თურქების რიცხვი კი 1171. ეს აღწერა 17 ივნისს მოხდა და აღრიცხულია ყველა, ვინც ამ დროს იმყოფებოდა ბათუმში. აღწერის შედეგები სრულყოფილი არ არის და არ იძლევა ჩვენთვის საჭირო ინფორმაციას მუსლიმი ქართველების რიცხვის დასადგენად.

სამაგიეროდ, სრულ ინფორმაციას იძლევა 1897 წლის 28 იანვრის აღწერა. 28 512 სულია აღწერილი, 20 439 კაცი და 8059 ქალი. აქედან დროებითი 1714, 8518 უცხოელი. მუდმივ მცხოვრებთა რიცხვი 18 280 კაცი გამოდის, რაც 1876 წელთან შედარებით 6-ჯერ მეტია, ე.ი. 600%-ით გაიზარდა მოსახლეობა 19 წლის მანძილზე. მშობლიური ენის მიხედვით 6027 ქართველია, ამათგან 1654 მუსლიმი ქართველი. შემდგომი აღწერები კი გვიჩვენებენ, რომ ურბანიზაციის სწრაფი ტემპი შენელდა, ერთგვარად შემცირდა კიდევაც ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი, რადგან იგი დროებითმა მცხოვრებლებმა მიატოვეს, რაც ქარხნების დახურვამ გამოიწვია, მაგრამ მიგრირებული ქართველები ქალაქს შემორჩნენ. 1903 წლის აღწერის მონაცემებით, ქალაქში 29 545 სულია, აქედან 6 624 ქართველი. 1911 წლისთვის კი ქალაქში 28 512 სულია, ერთი მესამედი რუსი და ერთი მესამედი ქართველი.

როგორც ხედავთ, მოსახლეობის რიცხვმა ოდნავ იკლო, მაგრამ ქართველთა რიცხვი არ შემცირებულა, იგი 9 500 კაცამდეა. ჩვენთვის უცნობია მუსლიმ ქართველთა რიცხვი ამ პერიოდისთვის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველთა რიცხვის ზრდა ბათუმში უკვე ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე მიმდინარეობს. 1878 წელს ადგილობრივ ქართველთა მცირე ნაწილი ცხოვრობდა ქალაქში, რუსეთის შემოსვლის შემდეგ მუჰაჯირობას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად ამისა, ქალაქში ბევრი მუსლიმი ქართველი ჩამოვიდა ბათუმის შემოგარენიდან (ბათუმის სანაჰიდან), უმეტესად ეკონომიკურად ძლიერი ოჯახები, რომლებსაც ჰქონდათ ფულადი საშუალება, ჩაბმულიყვნენ ვაჭრობაში. ბათუმის სანაჰის გლეხობას მაინცდამაინც არ მოუწევდა გული ქალაქში საცხოვრებლად, ისინი მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ქალაქის სიახლოვითაც სარგებლობდნენ, თუ დროებითი სამუშაო იქნებოდა ან სხვა რამ. ნაკლებად ჩამოდიოდნენ ქობულეთიდანაც, მაგრამ ნელ-ნელა მაინც ივსებოდა ქალაქი ადგილობრივი ქართული ელემენტით. წინამდებარე ნაშრომის ამოცანა არ არის საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ ბათუმის ურბანიზაციის საკითხების შესწავლა, მაგრამ უნდა ითქვას, სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიძრა აჭარის მთიელი ქართველობა და ბათუმის მოსახლეობის ზრდა ძირითადად მათ ხარჯზე ხდება.

1864 წლის ფეოდალურ-სამიწო ურთიერთობათა გაუქმებამ და 1870 წელს ბათუმში მრეწველობის განვითარებამ ერთდროულად შეადგინეს მიზეზი, რომლის გამოისობითაც

დაიწყო ბათუმის ურბანიზაცია. დიდი აზიური სოფლიდან ერთი ათწლეულის განმავლობაში მივიღეთ პატარა ევროპული ტიპის ქალაქი. თუმცა საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, გრძელდებოდა ურბანიზაციის პროცესი, მაგრამ ნელი ტემპით, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, რადგან მონარქისტული მმართველობა გასაქანს არ აძლევდა მძლავრ მანქანურ მრეწველობას.

ჩვენ ბათუმის ურბანიზაციის პროცესს ზედაპირულად გადავავლეთ თვალი და შევამჩნიეთ, რომ რევოლუციის წინა წლებში შემცირდა მოსახლეობის გადაადგილება ქალაქად. ჩვენ არ შეგვწევს ძალა, განვსაზღვროთ იმ მიზეზთა ერთობლიობა, რამაც შეანელა ბათუმის ურბანიზაციის ტემპი, მაგრამ ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ: დასაწყისში ურბანიზაცია მიმდინარეობდა არაქართული მოსახლეობის ხარჯზე. ქარხნების დახურვის შემდეგ, რაც ურბანიზაციის პროცესის ტემპების შენელების ერთ-ერთი მიზეზი იყო, ქართული მოსახლეობა მატულობს ქალაქში და მოსახლეობის არაბუნებრივი მატება, თუმცა მცირე, მაგრამ ქართული ეთნიკური გარემოდან გვაქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბათუმში მოსახლეობის ინტეგრირების ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ დასავლეთ საქართველოს გლეხობის 60% კერძო მესაკუთრე იყო და დასავლეთ საქართველოში ერთ ადგილას არ ხდებოდა მოსახლეობის თავმოყრა, არამედ იქმნებოდა პატარ-პატარა ქალაქებში, ე.ი. დასავლეთ საქართველოში ურბანიზაცია გრძელდებოდა, მაგრამ არა ისე, როგორც, ვთქვათ, ავსტრალიაში, სადაც მოსახლეობა თავს ორ დიდ პუნქტში იყრიდა - სიდნეისა და მელბურნში. ქართველ მესაკუთრე გლეხს უფრო აძლევდა ხელს, თავის მამულთან ახლოს პატარა ქალაქში ჰქონოდა აღებ-მიცემა, თუმცა მანუფაქტურა კიდეც შორს წასულიყო თავისი მამულიდან.

ბათუმის ურბანიზაციაზე ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს, თუკი კვლევას სათანადო მიმართულებით წარვმართავთ. ჩვენი ნაშრომი მხოლოდ მოკრძალებული მცდელობაა, რომ გვესაზღვრა მოსახლეობის არაბუნებრივი მატების ტემპი და ურბანიზაციის პროცესის გამომწვევი ადგილობრივი სპეციფიკური მიზეზები.

HISTROY

Batumi urbanization issues

Otar Gogolishvili
Batumi Shota Rustaveli State University

In 1878 the war between Russian and Turkey ended and Batumi moved to Russian authority. Russia was well aware of what benefits Batumi could bring with its strategic location for Russianeconomy.it had been tryingto settle trade in Batumi since the first half of nineteenth century, this is confirmed by survived signboards of Russian insurance society.the oldest one from these sighboards is issued in 1827. the importance of Batumi exactly appears from Marx's words in 1853.

City was developing in that places,which were usefull for military posts and convenient for trading centers. Batumi was satisfying both conditions, also it joined to country, were capitalist manufacture was enough developed.In 1878,the congress of europian countries took place in Berlin.as a result of attempt of Englishmen,Batumi converted into duty-free city-portofranco.on the other hand,according to treaty of Berlin,Georgianmuslims were allowed to go to turkey as a muhajirs during 1879-21. As a result of propaganda of turkey,30000 persons migrated from Adjara region. In spite of that many of them returned, population significantlyreduced.We Should consider that muhajirs were from Batumi too,butthis doesn't appear from the later statistic of Batumi population. Development of the Economy and industrywas going on with ahurried rate, which was accelerating historically necessary process of urbanization, people was gathering in Batumi.

ლიტერატურა

1. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, თბილისი 1969
2. ს. ყაუხჩიშვილი, რას მოგვითხრობენ ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964
3. Философская енциклопедя, Т.5 Москва 1973 г.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი 1979 წელი.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, 1970 წელი
6. ხარიტონ ახვლედიანი – საქართველოს ისტორიის ნარკვევები; ბათუმი 1979 წელი
7. ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან; ბათუმი 1958 წელი
8. Батум и его окрестности: батум 1906 г.
9. С. анисимов, Батумскоробережие „Рускиетропики“ Батум 1911 г.
10. Батум по однадневной переписи 17-гоиюня 1890 г. изд. Батумский городскому правой 1891 г.
11. ОчеркчурукъсуБатумА. ФренкеляТифлис 1879 г.
12. И.А. Веру, Батум и его окрестности 1910 г
13. Грамотытгчаст 1 стр 4

The importance of state measures on the investigation and protection of the music culture of Nakhchivan in modern period

Amil Esgerov
Nakhchivan University, Azerbaijan

In modern period the development issues of science and culture have a great importance in Nakhchivan Autonomous Republic. The international events held in Nakhchivan, restoration and protection of cultural monuments, construction work in cultural, scientific and educational institutions are distinct samples to this. All of these actualize the investigation issues and development directions of science and culture in Nakhchivan. The important work held under the leadership of Vasif Talibov, the chairman of Supreme Assembly of Nakhchivan Autonomous Republic covers all fields of the region. In this respect, the determination of the development directions of art, culture, education, science and history of Nakhchivan has also systematized the investigation directions of them.

V.Talibov, who is always based on H. Aliyev's traditions and recommendations upon the development of the science and culture in NAR has repeatedly underlined that on basis of scientific evidence and concrete facts the system of the national and moral values, folklore and traditions, ethnography and archeology, literature, language and history of our people began to be reinvestigated during the national leader Heydar Aliyev's leadership in Azerbaijan. Thanks to those scientific investigations, the bioenvironment and natural resources, literary environment and monuments of Nakhchivan have been the subject of research. New scientific directions have been determined and they have come to certain conclusions.

The studying issues of the culture and history of Nakhchivan have a special place in the activity of V. Talibov. It is clearly seen from the content of the orders of V. Talibov, chairman of the Supreme Assembly of NAR. According to their purpose and content, the orders signed by V.Talibov cover the history and culture of Nakhchivan in the following directions:

- holding of the anniversaries of Nakhchivani prominent personalities such as state figures, writers and poets, scientists and pedagogues, art figures; perpetuating their names; organizing their memorial museums; reconstructing the historical objects related to their names; publishing their works;
- holding of the anniversary of educational institutions- schools and university;
-holding of the anniversary of cultural institutions, arranging of the creative collectives, expanding of the child and youth policy;
- holding of international scientific symposiums;
-the establishment of the protection fund of the historical monuments and the scientific research institutions;
-the restoration of historical monuments and the establishment of new monument complexes;
- the implementation of the events on the promotion, restoration and protection of Nakhchivan culture;
- the orders on the perpetuating and protecting of the folk creativity;
- the establishment of libraries and museums;

- the protection of music folklore.

All these orders signed by V.Talibov have great historical importance. In these orders, the substantiation of the problem, highlighting of its historical essence as well as its implementation mechanism- the action plan, all work to be done and executive persons have been clearly reflected. In its turn, it has stimulated all these orders to be implemented worthily and it time. Dividing the themes of V.Talibov's orders on the history and culture, it should be noted that they can be systematized as the fields of theatre, painting, music, education, science, literature, culture, history and archeology. Having researched these orders consecutively, it is shown that all these orders and events serve relatedly to the progress of Nakhchivan and in general Azerbaijan.

It is known that Nakhchivan is the home of outstanding figures. In the direction of perpetuating of their names and deeds, important measures are carried out. The name of national leader H.Aliyev is always remembered with great respect in Nakhchivan. As a prominent state figure, the great leader's contributions in the history of Azerbaijan are reflected in the order dated February 16, 1999 on the establishment of Heydar Aliyev museum. The main purpose of H. Aliyev museum, its rich exposition, archive and the scope of its action obviously demonstrate H.Aliyev's unity with the land of Nakhchivan.

According to the action plan approved in the order dated February 14, 2013 on the 90th anniversary of Heydar Aliyev, the national leader of Azerbaijan people, the exhibitions and sports competitions dedicated to the great leader, the contests of authors' poems and songs, the lessons in Heydar Aliyev museum and essay contests on "Heydar Aliyev and Azerbaijan" at secondary schools of Nakhchivan Autonomous Republic, the scientific conference on "Heydar Aliyev and Azerbaijan", trainings on the subject of "Heydar Aliyev: statehood lessons" as well as ceremonial anniversary events have been held. The chairman of the Supreme Assembly of NAR, V.Talibov's orders on the holding of anniversaries of Azerbaijani prominent personalities are also remarkable. Among them the orders on state figure and diplomatist Behbud agha Shahtakhtinski – 130 , public figure, publicist and educator, Mohammadagha Shakhtakhli - 160, pedagogue, educator and poet Mahammad Taghi Sidgi - 150 , Jalil Mammadguluzade – 140, Hussain Javid – 125 and 130, painter Bahruz Kangarli – 120, people poet Islam Safarli – 90, scientist and pedagogue Abbas Zamanov – 100th anniversaries are significant. Celebration of the anniversaries of Nakhchivani prominent state figures, poets, writers, scientists and pedagogues, cultural and art figures contains several measures and this is connected with the investigating of those personalities' life and activity, studying their creativity and introducing their works.

The chairman of the Supreme Assembly V.Talibov has signed several orders with the aim of the improving of the creative environment in Nakhchivan Autonomous Republic. Among them the order dated February 16, 1998 on the publishing of the political and social, scientific and publicist journal called "Nakhchivan" which has been constantly published since its first day plays an important role in the highlighting of the cultural life in Nakhchivan.

The celebration of the anniversaries of theatres is of great importance in the cultural life and the development of art and culture in NAR. In the context of the development of child and youth policy in Nakhchivan, the establishment of Children's theatre and "Golden book" of young talents and granting scholarships to them are very significant. Forming of the new music collectives, Pop Orchestra of Nakhchivan State Philarmony also serves to the improvement of the cultural life. Cultural and art as well as scientific and educational fields are in the constant focus. In these directions the anniversaries of several educational institutions have been significant events in the cultural life of the republic.

One of the main directions in the activity of V.Talibov, the chairman of the Supreme Assembly of Nakhchivan Autonomous Republic is connected with the research of Nakhchivani history. In this direction, giving several orders is considerable. In this regard, these signed orders and work based on them can be characterized in two ways: first, the practical restoration of historical monuments, second, the scientifically studying of the history of the monuments. They are interrelated and addressed to the studying of the history more deeply. The literary, architectural and material-cultural samples in Nakhchivan which have backgrounds connected with Ancient period and Eastern culture of Medieval period have had valuable contributions in the world civilization. The history and present location of nearly 450 ancient monuments have been reflected in reference books. V. Talibov's orders on the establishment of restoration fund of the historical monuments in Nakhchivan Autonomous Republic (December 7, 1999) and on the arrangement of the process of passportizing and protecting of historical and cultural monuments in Nakhchivan Autonomous Republic (December 6, 2005) are of great importance in studying of the culture and history of Nakhchivan in modern period. Because the restoration of historical monuments and their passportization are important as a proof of the ancient history and demonstrate their existence exactly in Nakhchivan – the integral part of Azerbaijan, their protection by state, being the subject of scholars' scientific research.

Studying of the Nakhchivani history is carried out at the level of international symposiums. In this respect V. Talibov's orders on the holding of the symposium on the topic "Nakhchivan in international sources" (March 24, 1996); on the holding of the international symposium on "The prophet Noah: world storm and Nakhchivan" (Febrary 10, 2009), on the holding of the international symposium on "Nakhchivan; as a first dwelling and town-building place" (June 7, 2011) are also considerable.

The enumerated international scientific symposiums have been organized by Nakhchivan State University after Y. Mammadaliyev and attended by the recognized experts invited from several foreign countries. In the symposiums besides Azerbaijani scientists, distinguished scholars from Iran Islamic Republic, Russia and Turkey have also made reports. The materials of the symposiums have been published and become a valuable source from the point of view of studying the Nakhchivani history.

One of the remarkable events stimulating the development and studying of the culture history of Nakhchivan has been related to the order dated February 7, 2009 on the holding of the days of folk creativity in Nakhchivan Autonomous Republic. Short and detailed information about the historical development of applied art fields widely spread in Nakhchivan has been reflected in the content of the order. Holding of the days of folk creativity in Nakhchivan coincides with the ceremonies of "Novruz holiday" and is accompanied with large scale events. These events are held in two directions: scientific research and active experience – holding of meetings, concerts. In its turn, it leads to the protection, studying and promotion of various fields of folk creativity.

Scientific researches put forward some important problems before the scientists. Among them, some recommendations and assignments shown in the orders and their results may be noted. The ethnographical and folklore materials in Nakhchivan Autonomous Republic have been collected, systematized and involved to the scientific researches by Nakhchivan branch of ANAS and on the basis of these materials "The anthology of Nakhchivan folklore" has been published.

Several effective measures have been implemented for the systematical promotion of folklore samples in Nakhchivan. The use of folk musical instruments, the promotion and investigation of ashug music related to Nakhchivan, folk songs and dances have been paid more attention by the Composers' union and the Ministry of Tourism and Culture of Nakhchivan Autonomous Republic.

As it is seen, reflecting the historical and cultural sources the investigation issues of the monuments lead to the implementation of some important problems by scientists. Certainly, for such kinds of large-scale researches, carrying out of serious preparations, formation of logistics and adjustment of the activities of scientific research institutions are very considerable. In this respect the order of the Supreme Assembly of NAR dated February 17, 2011 on the establishment of Nakhchivan Study Center can be considered to be important.

Thus, as a result of the division and studying of the themes of V.Talibov's orders on the history and culture, they can be systematized as the fields of theatre, painting, music, education, science, literature, culture, history and archeology. From their consecutive investigation it is clearly seen that all these orders and measures relatedly serve to the development of Nakhchivan and Azerbaijan.

ისტორია

სახელმწიფო ღონისძიებების მნიშვნელობა ნახჭევანის თანამედროვე მუსიკალური კულტურის კვლევასა და დაცვაში

ამილ ესგეროვი
ნახიჩევანის უნივერსიტეტი, აზებაიჯანი

სტატიაში დახასიათებულია ნახჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურული ცხოვრების განვითარების ეტაპები და გზები. აღნიშვნის ღირსია ნახჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ვასიფ თალიბანოვის გადაწყვეტილება, რომელიც მეცნიერების და კულტურის წარმოჩენას, კულტურის ძეგლების შენარჩუნებასა და მსოფლიო მასშტაბით მათი პროპაგანდას ეხება. ნახჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების განხილვისას, ავტორი საკმაო ყურადღებას უთმობს იუბილეების ჩატარების, მუზეუმების და ფონდების შექმნის, კულტურის შენარჩუნებისა და მათი კვლევების საკითხებს.

References:

1. http://www.alimeclis.az/index.php?option=com-content&view=article&id=64:heydr-liyev-muzeyinin-yaradlmas-haqqnda&catid=38:srncamlar&Itemid=89
2. http://www.alimeclis.az/index.php?option=com-content&view=article&id=70:naxcvan-muxtar-respublikas-razisindki-tarix-v-mdniyyt-abidlrinin-qorunmas-v-pasportladrlmas-iinin-tkili-haqqnda&catid=38:srncamlar&Itemid=89
3. http://www.alimeclis.az/index.php?option=com-content&view=article&id=81:naxcvan-muxtar-respublikasnda-xalq-yaradcl-guenlrinin-kecirilmsi-haqqnda&catid=38:srncamlar&Itemid=89

მკურნალობასთან დაკავშირებული მაგიური რიტუალები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ კულტურაში

ნუგზარ მგელაძე
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მძივები და მძივთა მაგიური ბუნება. სამკურნალო წეს-ჩვეულებების, შელოცვათა ტექსტების შესწავლას ქართული წარმართობის, ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების უნივერსალური ფორმებისა და, საერთოდ, რელიგიის ისტორიის საკვანძო საკითხების გასაშუქებლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ ამოცანის თეორიული ასპექტით გადაწყვეტის მიზნით, უპირველესად, მიზანშეწონილია დემონოლოგიის სფეროში სათანადო წყაროთმცოდნეობითი ბაზის მომზადება, კონკრეტული საველე ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის გამოვლენა, შედარებითი ანალიზით ცალკეული მითოლოგიური პერსონაჟის ფუნქციური ბუნების განსაზღვრა, მათი კლასიფიკაცია-სტრუქტურირება და სისტემატიზაციის გზით გათვალვასთან დაკავშირებული მაგიურ-რიტუალური ჩვეულებების ფსიქოლოგიური საფუძვლებისა და ტიპოლოგიური ნიშნებების გამოვლენა, მითუმეტეს, რომ გათვალვასთან და ავგაროზებთან დაკავშირებული რიტუალები და ქცევები საქართველოს სხვადასხვა მხარეში, განსაკუთრებით კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკმაოდ დიდი ფუნქციური დატვირთვისა იყო. ავგაროზთან დაკავშირებით ამის შესახებ ჯერ კიდევ ადრე თედო სახოკია შენიშნავდა: გურიაში ავგოროზები და ამულეტები ყველას ჰკიდია გულზე, რათა ავი თვალით არავინ შეხედოს, არავინ გათვალოს. სოფელ ვაკე-ჯვრის ბოლოს „დუქნის წინ ხშირად შეხვდებით საჩინო ადგილას ჩამოკიდებულ „პაპაჯვარს" ან დუქნის მფარველს მავნე სულთაგან, მზაკვართაგან: პატარა აჭრელებული ჯოხებია, თითო მტკაველის სიგრძე ჯინჯილებიანი" (**სახოკია**, 1950:39, 12-30). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ხალხური მედიცინა სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის სხვადასხვა ხერხებს იცნობდა, რომელთა შესწავლას, როგორც აღინიშნა, უაღრესად დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამჯერად გვინდა მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო ფაქტები რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან კონტექსტში განვიხილოთ.

ამ აცპექტით რწმენა-წარმოდგენათა ციკლი ყოფაში არ ემსახურებოდა მხოლოდ უშუალოდ რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არამედ საკრალურ-რიტუალური და მაგიურ-მისტიკური ქცევების მეშვეობით ჯანმრთელობის და კეთილდღეობის აღდგენა-შენარჩუნებას და მისი დაცვასაც ემსახურებოდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეებში, მათ შორის აჭარაში, გათვალვით დაავადებულს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ და ამგვარი დემონური ენერგიის გამოვლინებას უეჭველ რეალობად აღიქვამდნენ. ამიტომ ყოფაში "თვალის ცემის"

წინააღმდეგ მრავალი საშუალება გამოიყენებოდა, დაწყებული შელოცვებიდან და დამთავრებული სხვა ტიპის მაგიითა და შესაბამისი რიტუალით.

სათვალოები

ყველაზე მეტად ბოროტ თვალს პირუტყვს, ახალგაზრდა ქალებსა და ბავშვებს არიდებდნენ. გათვალვის საწინააღმდეგოდ აჭარაში ხშირად მიმართავდნენ ლოცვას, რომელსაც აჭარაში და იმერეთში **„თვალის ლოცვა“**, გურიაში კი **„გათვალვის ლოცვა“** ეწოდებოდა. იგი სამეგრელოში "ნათოლუს" - ნათვალევის სახელით იყო ცნობილი. როცა ლოცვის ტექსტი სრულდებოდა, მას ვისაც ულოცავდნენ, სულს "გადაუბერავდნენ".

მაგალითად, აჭარაში ჩვენ ჩავიწერეთ გათვალვის საწინააღმდეგო ლოცვის საინტერესო ვარიანტი:

1. "ბისმილაი, რეხმანი რეხიმ, / არელისა, მარელისა, / თვალი ეცა" *(ადამიანის ან პირუტყვის სახელი ახსენდება)*;
2. "ადგილისა შინა ისა და გარე ისა, / ბიჭისა გოგოისა, დაბალისა მაღალისა, / თვალშავისა, თვალჭრელისა, / ქალისა, კაცისა, / ბერისა, ბნელისა, / ელვისა ნას ყანა მქონდა, / ყანა შილოდ ეიწვა, ლოდ ქვეშ გველი იწვა, / ცალი თვალი ცეცხლი იყო, / წყალი დე იქცა, ცეცხლი დან ელდა, / ნარი ქარცვალი, მის თვალებში მოხდა. ფუუუ!" *(უბერავდა)*.

ავი თვალისაგან დაცვის აუცილებლობა, შელოცვების გარდა, ძირითადად მაინც სხვადასხვა ტიპის ჩვეულებებსა და რიტუალებში იყო ასახული. მაგალითად, ყურადღებას იქცევს აჭარულ საქორწილო რიტუალებში პატარძლის თავზე "გადაყრილი ფარის", თვალის ნაცემობის, თავის ტკივილის წამლად გამოყენების ფაქტები *(იხ.: **მგელაძე**, 1996)*.

საერთოდ, გათვალვა ადამიანსაც შესძლებია - აჭარის მთიანეთში მიაჩნდათ, რომ გამთვალავი სხვისი სიკეთის, კაცობრიობის და კარგი ქალობის, დოვლათიანობის ხარბად შეხედავდა. ასეთ ადამიანს ზოგჯერ "მეთვალად" იწოდებოდა. მისი "თვალი ჭრიდა" და "თვალი ცემდა".

როცა ადგილობრივმა მამცხოვრებლებმა იცოდნენ, რომ ეს თუ ის ადამიანი მეთვალი იყო და ესტუმრებოდა სახლში, მას ამის თაობაზე პირდაპირ სამჯერ ეტყოდნენ. ზოგს ეს ეწყინებოდა, განსაკუთრებით თუ ხარბი იყო, ზოგს კი - არა.

თუ სტუმრისათვის ამის გამხელა ეერიდებოდნენ, მაშინ მისი წასვლისას ხელში მარილს დაიგროვებდნენ და პირველი სამი ნაბიჯის ნაკვალევში უჩუმრად ჩაყრიდნენ ისე, რომ სტუმარს არ დაენახა.

გაუგებრობა რომ არ მომხდარიყო, კარ-მიდამოში შემოსულს უნდა ეთქვა - "მაშალა სუფხანელა", ე.ი. "ჩემი თვალი არ ეცეს" და თანაც უნდა დაეყოლებინა "ფთუი, ფთუ".

ხშირად ანალოგიური ტექსტი - "მაშალას" მონაწილეობით, სკასა და წისქვილს აწერდნენ იმ მოტივით, რომ გამვლელი მგზავრი იძულებული გამხდარიყო ავი თვალის საწინააღმდეგო გამონათქვამი წაეკითხა. ამით, თითქოს, სკისა და წისქვილის პატრონი თვალის ცემას ასცილდებოდა.

მაგიური რიტუალების დიდი ნაწილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მძივებთან - "სათვალიებთან" იყო დაკავშირებული. **სათვალია**, **თვალის მძივი**, **სათვალიე მძივი**, როგორც გათვალვის საწინააღმდეგო მძივი, სხვადასხვა სნეულების და სნეულებასთან დაკავშირებული ღვთაებებისაგან მოზარდების დაცვას ითვალისწინებდა.

თუმცა დემონურ სამყაროში მძივები მაგიური ფუნქციის ისეთ საკრალურ საგნებს წარმოადგენდნენ, რომელთაც არამარტო ყმაწვილების, არამედ ზრდასრულთა დაავადებებისაგან თავდასაცავის და სამკურნალო ძალაც შესწევდათ *(იხ.: მგელაძე, 2001)*. ასეთ მძივებს შესაბამისი სახელწოდებებიც გააჩნდა, მაგალითად: **მატავრასმძივი** (**სამარტვილომძივი**), **შაკიკისმძივი**, **უჟმურისმძივი** და სხვა მისთანანი. შესაბამისად, მძივთა ამ სახელწოდებებს ისეთი ინფექციური საყმაწვილო დაავადებები შეესატყვისებოდა, რომლებიც ძველი ქართული ენის ლექსიკონებსა და ძველ-ქართულ სამკურნალო ლიტერატურაშიც გამოიყენებოდა: **მატავრა**, **სამარტვილო**, **უჟმური**, **დიკა**, **ფურთხი**, **შრატა**… მათგან ერთი ნაწილი (**კოკოცა**, **დიკა**, **შრატა**...) ქართული ენის მხოლოდ აჭარული დიალექტისათვის იყო დამახასიათებელი, ტერმინთა ნაწილი კი - ლოკალურთან ერთად ზოგადქართულ ხასიათს ატარებდა, მაგალითად, **კოკოცა**, **კოწიწა**, **შრატა**, **ღაბუჯა**, **ყვავილწყალა**, **ყაყვირა** (**ნოღაიდელი**, 1988:53). დასახელებულ სნეულებათა აღმნიშვნელი სახელწოდებების უმეტესობა, როგორც ვხედავთ, ღვთაებათა სახელები იყო, რომლებიც იერარქიულ სისტემაში ხთონურ ღვთაებათა რიგს განეკუთვნებოდნენ. ისინი რისხდებოდნენ მაშინ, როცა მათ კონკრეტულად ეხებოდნენ, შესაბამისად, შეეძლოთ ადამიანს „შეყროდნენ".

მატავრას მძივი (**აილული**) დიდი ზომის და მოლურჯო ფერის იყო. მატავრას მძივი „მატავრას" სახელწოდებით ცნობილ დაავადებას უხდებოდა, რომლის სიპტომები „ყიაში წაჭერა'' - ყელში მოჭერა და „ხვლიპინი'' იყო. მატავრას მძივი, უმთავრესად, გოგონებს უხდებოდათ. ხშირად, მატავრას ბავშვებს აკვანში თავთან ანდა თავის ქვემოთ დაუკიდებდნენ, რადგან მისთვის წითელას მსგავსად „ფუფულები" არ დაეყარა. ჩვეულებრივ, აკვანს კენტი რიცხვის - სამ ანდა შვიდ მატავრის მძივს შეაბნევდნენ. ტრადიციული რწმენით, წყვილი რიცხვი ბავშვზე ცუდად მოქმედებდა. კენტი რიცხვის საკრალურობა მატავრის განათხოვრების შემთხვევაშიც უნდა ყოფილიყო დაცული. იცოდნენ მატავრას მძივის „გალესვა"–„მატავრაძივში"ამოვლებული წყლის ავადმყოფისათვის დალევინება.

თავდაპირველად, მძივის გარეცხვა, შემდეგ კი წყალში ჩაგდება, ანდა, უბრალოდ, წყალში ამოვლება და ბავშვის მძივამოვლებული წყლით დაბანა ხდებოდა. ასევე, ბავშვებს მძივს ყელზე შეაბამდნენ, თან დააყოლებდნენ - „მძივო, მოაცილე ავადმყოფობაო''. გოგონებსა და ვაჟებს ყელზე განსხვავებული მძივები ეკიდათ.

სამარტვილო მძივი (სამარტვილო მძივი//სამარტვილო ძივი) ბავშვის „საყმაწვილოთი" (სამარტვილოთი) დაავადებისას გამოიყენებოდა. ბავშვს ყელში, იღლიებში და თვალში „გამორწყავდა". სამარტვილო მძივს ბავშს მაშინაც შეაბამდნენ, როცა ტანზე გამოაყრიდა. მძივის ყელზე შემბმისას დააყოლებდნენ - „სამარტვილო მძივო, მძივო, მოაცილე ჩემს ბაღვს სამარტვილო''-ო. სამარტვილო მძივს თვალი არ ჰქონდა, რითაც იგი „სათვალია მძივისაგან" განსხვავდებოდა.

შაკიკის მძივი თვალისა და თავის ტკივილებს უხდებოდა. საერთოდ, შაკიკი სახის ტკივილს იწვევდა. მზე რომ ახლად ამოვიდოდა, მაშინ ადამიანს ზოგჯერ სახის ცალი მხარე ატკივდებოდა, როცა მზე ჩადიოდა, მაშინ პირიქით - ტკივილები უყუჩდებოდა. შაკიკის სამკურნალოდ ხალხური მედიცინა აჭარაში ისტორიულად ჩამოყალიბებულ მდიდარ ცოდნა-გამოცდილებას ეყრდნობოდა: 1. სუროს ფოთლებს დანაყავდნენ და მის ნაწურს ცხვირის ნესტოებში ჩაისხამდნენ. პროცედურა დღეში სამჯერმეორდებოდა; 2. ავადმყოფს შუბლზე წყალში დასველებულ შავი ფხლის ფოთლებს დააფენდნენ; 3. თხელ რგოლებად დაჭრილ კარტოფილს მარილს დააყრიდნენ, შუბლზე დაიდებდნენ და თავს შეიხვევდნენ. პროცედურა დაწოლის წინ სრულდებოდა; 4. ავადმყოფს ხელისგულით ანდა ცერი თითებით შუბლს დაუსრესდნენ, რაც დადებით შედეგს იძლეოდა; 5. ტკივილების აღძვრისას შუბლს ნავთით დაიზელდნენ; 6. შუბლზე მარილთან გაჯერებულ ნიორწყალში დასველებულ ტილოს დაიდებდნენ, რომელსაც ხშირად იცვლიდნენ; 7. დაავადებულს შუბლზე წყალნარევ დანაყილ ნიორს დაადებდნენ, ზემოდან თხმელის ფოთოლს დააფენდნენ და თავს შეუხვევდნენ. პროცედურა დღეში რამდენჯერმე მეორდებოდა; 8. შუბლის დასრესისას, აგრეთვე, ზამბახის ხსნარსაც იყენებდნენ. პროცედურა ორი დღის განმავლობაში დღეში რამდენჯერმე სრულდებოდა; 9. შუბლს მზესუმზირის სითხით დაიზილავდნენ, შემდეგ თვით მცენარეს მოხარშავდნენ, თბილ მასას შუბლზე დაიდებდნენ და შეიხვევდნენ. პროცედურა დღეში ორჯერ, დილით და საღამოს სრულდებოდა; 10. სიმინდის ფქვილს ერბოში მოხალავდნენ და ცომს თავზე - დუდზე დაიდებდნენ. პროცედურა დღეში ორჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში სრულდებოდა. ამავე მიზნით ზღვის წყალს იყენებდნენ. მასში ტილოს საფენს ამოავლებდნენ და თავზე დაიდებდნენ; 11. კვერცხს „ღეჭეპოთი" გათქვეფდნენ, კამას ჩაურევდნენ და შეწვავდნენ. მიღებულ მასას ტილოთი შუბლზე დაიფენდნენ და შეიხვევდნენ. პროცედურა ორი დღის განმავლობაში დაწოლის წინ მეორდებოდა; 12. „ვაცის ყურას" ძირებსა და ფოთლებს ძმარში დანაყავდნენ, მიღებულ მასას თავზე დაიდებდნენ და შეიხვევდნენ. პროცედურა დაწოლის წინ რამდენიმე დღის განმავლობაში სრულდებოდა. შაკიკის, თავის ტკივილის სამკურნალოდ ლოცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა: 1. „ბარავ, რას ჩივი, ბარავ, რას ტირი, ბარავ, რას გოგოთობ,/რავა რას ვჩივი, რავა რას ვსტირი, რავა რას ვგოგოთობ,/ჩემსა ქრის-ტესა თვალსა ბულთი ჰკრეს,/იმას ეძღიბლვის, იმას ეკურცხლის,/რაა მისი წამალი?/ჩადი ჩემსა ბოსტანსა, მოწიკვე სამი სამყურა კამისა,/კუკულო შეაბი აბრეშუმის წითელ

ძაფზე,/წამოაცვი ფოლადის ლემსი, შეაბი შუბლზე,/ეს არის იმის წამალი". შებერვით სამჯერ შეულოცავდნენ და მოხსენებულს შუბლზე მტკივან მხარეზე ჩამოკიდებდნენ; 2. „შაკიკი შემოჩვეულა, ვენახისა ბოლოსაო,/ისე ჭამდა რკინასაო, როგორც ხარი თივასაო,/გუუწყრა წმინდა გიორგი, გეიპარა დილასაო"; 3. „სახელითა ღვთითა, მამითა, სულითა წმინდითა, ლოცვა თავისა ტკივილისა: ყანის ბოლოს შაკიკი შემოპარულიყო, ისე ჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა,/გუუწყრა წმინდა გიორგი, გეიპარა დილასა,/მარიავ, რას ტირი, მარიავ, რას ჩივი,/გურიათასა ქორწილია, ჩემი შვილი წვეულია,/ააგდეს ბურთი, მოხდა თვალსა,/ეკურცხლის თვალი, ეტკივის შაკიკი,/რაა მისი წამალი? - სამი სამყური, ფოლადი ლემსი, წითელი აბრეშუმი,/გადავუსვი წარბსა, გადავაგდე მთასა,/მე ვარ მლოცავი, ღმერთისა მაქებარი,/როგორც დანის განაჭერი დანას ერგებოდეს, ცულისა განაჭერი ცულსა ერგებოდეს,/ისთე ეს ჩემი ნალოცი, ჩემი ნაკითხი ჩვენ ავადმყოფს ერგებოდეს"; 4. „შაკიკი შემოგვეჩვია, სათიბისა ბოლოსა,/შენი შვილი გონიოს წევდა, თვალში მოხდა ფირითა,/გადმოდინდა სისხლი, ჩეი ბახჩაში,/ააწყვიტე სამი სამყური, აბრეშუმზე წამოაცვი,/გადაუსვი-გადაყვება, გადმოუსვი-გადმოყვება,/ღმერთისა ემრით (შემწეობით) გაქარდება"; 5. „შაკიკი შაკიკს ჩამოჰპარვოდა, რაა მისი წამალი?/ყირმიზი ძაფი აბრეშუმისა, უხმარი ფოლადაჲ ნემსი,/დაახვიე აბრეშუმის ძაფი, გადუუსვი შუბლზე და გადუუსვი ნეკი ორივე წარბზე,/მე ვარ შენი მლოცველი, ღმერთია შენი მარგებელი". შელოცვები შებერვით სამჯერ სრულდებოდა; 6. „შაკიკი მოვიდა ბოლოსა, ითიბებოდა თივასა, მარიავ, რას ტირი, მარიავ, რას ჩივი,/რავა რას ვტირი, რავა რას ვჩივი,/ჩემი შვილი უნიას წევდა, მარიამს ქორწილი ჰქონდა, აჟრითი ჟრიათობდა, ბოთლი ბოთლობდა,/ ბოთლი თვალსა მოხდა, თვალი გასისხლიანდა,/გადავხტი მარიამის ბაღჩაში,/ფორთოხალ ზედ აბრეშუმი გადავუსვი - გადეიტანა, გადმოვუსვი - გადმოიტანა''. შელოცვა სამჯერ სრულდებოდა (იხ: **აბაშიძე**, **კომახიძე**, 1998:196-207).

უჟმურის მძივი. **უჟმური** - Artemisia vulgaris L: მამულა, მრავალწლოვანი ბალახოვანი სამკურნალო მცენარეა, რომელიც დაბლობიდან მაღალ მთიან სარტყელამდე იყო გავრცელებული. ზემო აჭარის ხალხურ მედიცინაში მას ქარების სამკურნალოდ იყენებდნენ. მთლიან ბალახს და ნიორს დანაყავდნენ, კვაწარახში - ყორაოში გალესავდნენ, გახურებულ ქვაზე, კეცზე, ანდა რკინაზე დაასხამდნენ და ავადმყოფს უხრჩოლებდნენ. პროცედურას რამდენჯერმე იმეორებდნენ. ამასთან, იგი ავსულად იყო წარმოსახული, რომელიც სხვადასხვა დაავადებებს იწვევდა, მაგალითად, თავბრუსხვევას, ღებინებას, მოლანდებებს, შიშს, ტირილს... ამ შემთხვევაში ამბობდნენ: „უჟმური აყვა", „დაუჟმილია", „უჟმურიანი უნდომიაო". უმთავრესად უჟმური საბავშვო დაავადება იყო (იხ.: **კოხრეიძე**, 1958:26; **ნოღაიდელი**, 1971:314; **აბაშიძე**, **კომახიძე**, 1998:199). უჟმურის მძივი შავი ფერის იყო, რომელსაც ასხმული სახით ყელზე იბნევდნენ და ისე ატარებდნენ. უჟმურით დაავადებულმა იცოდა ბოდვა, ღებინება, თავის ტკივილი, სიცხე, ოფლიანობა. მას თვალის, ყურის ტკივილის გამოწვევა და ადამანის ჭკუიდან შეშლაც კი შესძლებია. თუ მძივი ყელზე გექნებოდა დაბნეული, ადგილობრივი მოსახლეობის რწმენით, მაშინ უჟმური არ „წაგეკარებოდა". **უჟმურის შეყრა** - (უჟმურის წაკვრა, ანდა უჟმურის აკვრა) საღამოობით, „ღორღნალ, წყლიან და ქვიან ადგილებში, მინდორში თუ მიუვალ ადგილებში ხდებოდა. ხალხურიდაკვირვებით, უჟმური მინდორში ბუდობდა. იგი ხის ანდა ქვის ძირშიც

შეიძლებოდა აგყოლოდა. უჟმურის სამყოფად მოსახლეობა სასაფლაოებსა და „ყრუ ადგილებსაც” მიიჩნევდა, რის გამოც სასაფლაოზე დაძინება და ხშირი სიარული იკრძალებოდა. საღამოპირს მინდორში მოსიარულე თუ მჯდომარე ადამიანს - „უჟმური წეეკრებოდა” და „სამოელის ქარი” დაეტაკებოდა. უჟმურწაკრული „აჟინჟღლდებოდა”.

ღვითო

თუ ბავშვი იტირებდა, მაშინ მას უჟმურშეყრილს - „თვალწაკრულსაც” ეძახდნენ. როგორც თვალნაცემის, ისე უჟმურის წინააღმდეგ, ცეცხლის გამოყენება თავდაცვის ერთ-ერთი გავრცელებული საშუალება იყო. უჟმურშეყრილს გამოულოცადნენ, „საკმიელს დუუბუღებდნენ”, ასევე „ჯაუშს დუუბუღავდნენ” და შესაძლოა, „გველის პერანგიც დაებუღებინათ” (**მგელაძე**, ასეედ 1983). „გამოლოცვის” დროს „ხვითოს”იყენებდნენ, რომელიც ოთხ-ხუთ სანტიმეტრიანი თუ უფრო პატარა ზომის სრიალა ზედაპირიანი წყლის ქვა იყო. ზოგიერთი მთხრობელის ცნობით, იგი კოსმოსური წარმომავლობისა იყო და მდელოებში ციდან ცვიოდა. ადგილბრივი მოსახლეობა მას მთაში მოიპოვებდა ხოლმე, რის მტკიცებულებად, მაგალითად, ის ფაქტი გამოდგება, რომ ასეთი მძივი „ჩირუხის მთაზე” (შუახევის რ-ნი) რესპონდენტს - ნადიმე სურმანიძეს უპოვია. ხვითოთი, ჩვეულებრივ, „უჟმურის გამოლოცვაც” ხდებოდა. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული საველე მასალებით უჟმურის მკურნალობის სხვა არაერთი საინტერესი ხერხიცაა დადას-ტურებული. „კარის ზღურბლს” ანდა „კარის სოიას” ერთმანეთში შეურევდნენ, შემდეგ, „აბლაბუდას, ფქვილსა და სანთელს ნაკვერჩხალზე დადებდნენ და იქვე „დაახრ-ჩოლებდნენ”. ავადმყოფს თუ ეს არ მოუხდებოდა, შემდეგ შეულოცავდნენ, ასევე, შვიდი წყარო და შვიდი წისქვილი, რომ ბრუნავდა და ბორბალზე წყალი ასხამდა, იმ წყალს შეაგროვებდნენ და ვისაც უჟმური ჰქონდა წაკრული, ამ წყლით დაბანდნენ. სხვათაშორის, წყლის ასეთი მაგიური და სამკურნალო ფუნქცია ცნობილი იყო საქართველოს სხვა მხარეებშიც. მაგალითად, ქუთაისში, მონასტრის - „სობორის” მღვდლები რიონზე ილოცავდნენ. შემდეგ ნაკურთხი წყალი მოსახლეობას ოჯახებში მიჰქონდა. ზოგჯერ, ნაკურთხი წყლით სპილენძის ქვაბებს ავსებდნენ, ჯვრებს ამოავლებდნენ და უკურთხებლებს - აკურთხებდნენ. ნაკურთხი წყალი სასმელად გამოიყენებოდა, ხოლო ტრადიციული გაგებით, როცა „გეუჟმურებოდა”, მისი ოთახებში მოსხმა უჟმურისაგან განსაკურნებლად იყო სასარგებლო. აჭარაში, როცა თვალი გტკიოდა და არსებობდა ეჭვი,

რომ იგი უჟმურით იყო გამოწვეული, მაშინ გველის „პერანგს” - ტყავს „დუუდებდნენ წინწკალაზე, გაფუტდებოდა, მოგივიდოდა თვალზე და მორჩებოდი”. ზოგჯერ გველს ენას ამოართმევდნენ და იქვე სახლის კარში დაწვავდნენ, საოჯახო კერაზე მისი დაწვა არ შეიძლებოდა. ეს რიტუალი სახლის გარეთ უნდა განხორციელებულიყო. დასაშვებია ენა და ტყავი ერთდროულად დაეწვათ. გველს სახელით არ იხსენიებდნენ, მას „უსახელო” ერქვა. საერთოდ, ყველა გველის მოკვლა როდი შეიძლებოდა. მაგალითად, სახლში ანდა ახორში შესულ გველს არ მოკლავდნენ. იტყოდნენ: „შინაური უსახელოაო”. სახლის გველი ფერით შავი იყო. ადამიანს არ ერჩოდა (**მგელაძე**, ასეედ, 1986). ლიტერატურიდან უკვე ცნობილია უჟმურის „გოჟოდ” გადაქცევის ფაქტიც (იხ.: **ნოღაიდელი**, 1971:35). უჟმურ შეყრილს უჟმური სხვისთვისაც, უმეტესად, ბავშვებისათვის, შეეძლო გადაეცა, რის გამოც ეს დაავადება ინფექციურ დაავადებათა ციკლშია გაერთიანებული. ამიტომაც იყო, რომ ორმოცი დღის ათავებამდე ახალდაბადებული ბავშვის ნახვას ერიდებოდნენ, სახლში შესული ჯერ ცეცხლთან მივიდოდა - „უჟმური არ შემომყვესო”, ანდა „ბეწვს „დახრუკავდნენ”, საწინააღმდეგო შემთხვევაში, მელოგინეს ანდა „ბავშვს დაუჟმავდა”. თვით ბავშვის დედაც, რომ გასულიყო სახლის გარეთ, უღრან ადგილებში, უკან დაბრუნებული ანთებულ ცეცხლს თავზე სამჯერ მაინც შემოიტარებდა. აჭარის ხეობებში არაერთი ავტორის მიერ უჟმურთან დაკავშირებული საინტერესო საველე მასალები ადრეც იყო გამოვლენილი, რომლებიც ასევე ცეცხლს, როგორც საკრალურ სიმბოლოს, განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოაჩენს. ოჯახისათვის მისალოცად მისული სოფლის ქალები, მელოგინესთან შესვლამდის კაბას და წინსაფარს ცეცხლზე დაიფერთხავდნენ და საწოლისაგან მოშორებით სხდებოდნენ, რათა „უჟმური თვალ-უჩინარი” არ შეჰყოლოდათ (**ნოღაიდელი**, 1971:33). ორმოცი დღის მანძილზე „უჟმურის წაკვრის” თავიდან აცილების მიზნით ჩვილს მარტო არ დატოვებდნენ, მაგრამ თუ მოხდებოდა ისე, რომ ჩვილის მარტო დატოვება აუცილებლობით იყო გამოწვეული, მაშინ აკვანთან მაკრატელს ანდა სანთელს დადებდნენ. უჟმურთან დაკავშირებული ლოცვები საყოველთაოდ იყო მიღებული:1. „სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა,/ლოცვა უჟმურისა, თავლუჩინარისა,/უჟმურო გამოდი, გამოეშურე, შორსა წადი,/სადაც არ იყურებოდეს ძაღლის ყეფა, კაცისა უჰუი (კიჟინა), მამლისა ყივილი,/იქ გასუმენ, იქ გაჭუმენ, იქ გაპატიებენ,/გამოდი უჟმურო, გამოეშურე,/თუ არა, აგჭრი, დაგჭრი, ანითა, მანითა, შავტარიანი დანითა, გრძელტარიანი წალდითა,/გაგიტან ცხრა მთას იქით, ჩაგყრი რვალისა (ბრინჯაოსა) ქოთანში,/გადუღებ და გაფოფინებ, გაგადნობ წყალსაებ, გაგაქრობ ქარსაებ”;2. „ეგერ მუა შავი კაცი, მისი ჯარითა, მისი შავი ურმითა, მისი შავი კბილებითა,/აქ ისმის თეთრი მამლის ყივილი,/იქ წევდეს უჟმური, სადაც არ ისმის თეთრი მამლის ყივილი, იქ იყოს მისი ადგილი”; 3. „ეს ალაგი ფასაცია,/ფასაცს გვარი შვენერგია,/შიან, ჯაჭვი, გარეთ ხმალი, ეშმაკისა მათრახია”.შებერვით სამჯერ შეულოცავდნენ (იხ.: **აბაშიძე**, **კომახიძე**, 1998:199).

ახალმოლოგინებულ ქალთან და ჩვილ ბავშვებთან დაკავშირებული მაგიური რიტუალები, **ზიარეთი**. შთამომავლობის გამრავლებასთან დაკავშირებული ჩვეულებებისა და სახლეულში ახალი წევრის ინკორპორაციის რიტუალიზებას ღრმა საკრალიზებული დატვირთვა გააჩნდა. ლოკალური ჯგუფისა და, შესაბამისად, გენეალოგიური - ნათესაური გაერთიანების კეთილდღეობაც, აღნიშნულ პროცესებთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც,

უშვილობა დიდ უბედურებად ითვლებოდა. უშვილობის საწინააღმდეგოდ არა მარტო სამკურნალო საშუალებებს მიმართავდნენ, არამედ ამ პრობლემის მოგვარებას რელიგიური ქცევებითაც ცდილობდნენ. აჭარაში, როცა ახალ რძალს ბავშვი არ ყვებოდა, მაშინ მას მრავალშვილიანი ქალის პერანგში ამოაძვრენდნენ - „უშვილოდ არ დარჩესო". თუ ეს გაამართლებდა და რძალს შვილი შეეძინებოდა, სოფელი ამას იმახსოვრებდა და, შემდეგ-შიც, ბედნიერი დედის პერანგში სხვა ახალდაბადებულებსაც ამვრენდნენ. ეს რიტუალი ნათესაობის დამყარებით სრულდებოდა. უშვილო ცოლ-ქმარი მკურნალობის სხვადასხვა საშუალებებსა და მაგიურ რიტუალებს საქართველოს სხვა კუთხეშიც მიმართავდა, მაგალითად, გურიაში, სოფელ შემოქმედში, ღვთისმშობლის სანთლებს ანთებდნენ ანდა მონასტერს ცხვარს, მამალს, თხას შეწირავდნენ და ეკლესიის ეზოში გაუშვებდნენ. შეწირულთ ვინც წაიყვანდა, მისი იყო. სამეგრელოში, ნოსირელი უშვილო „ბერჭი" ცოლი და ქმარი შვილიერების მისაღწევად მენჯში, დედათა მონასტერში ადიოდნენ. აჭარაში უშვილო ქალები ღმერთს შესაწირავს „დაპირდებოდნენ"და სალოცავს ცხვარს ანდა ქათამს შეწირავდნენ. უშვილობის დასაძლევად მიცვალებულის განბანვის შემდეგ მორჩენილ წყალს, ე. წ. „საკმიელსაც" იყენებდნენ, რომელიც ხის ფისის, კარაქისა და თაფლის სანთლის წყალში ნაზავს წარმოადგენდა. ზოგჯერ, ასეთი წყალი ამა თუ იმ ოჯახში გარკვეულ ხანს ინახებოდა, მაგრამ მას დიდი ძალა მხოლოდ დღე-ღამის განმავლობაში ჰქონდა. წყალი არა მარტო უშვილო ქალს, არამედ „კუტს" (დავრდომილს), მკლავის და ფეხის ტკივილსაც უხდებოდა. უშვილობის დროს ცოლ-ქმარი „მკითხველს" ანუ მკითხავსა თუ ხოჯას მიმართავდა, რომელიც ნაყოფიერების აღდგენის მიზნით „ნუსხას" წერდა. გურიაშიც, უშვილო ოჯახი „მარჩიელთან" - მკითხავთან მიდიოდა. სამეგრელოში, ჩვეულებრივ, სოფლის ქალები უშვილობაზე სარკით, წყლით ანდა კარტითა და ყავით მკითხაობდნენ. მკითხავს - „მაკითხეს", უმეტესად, აჭარაში შეარჩევდნენ. ამ საკითხებთან დაკავშირებით 1886 წელს, გაზეთი „ „ივერია" წერდა: „თუ რომელიმე ოჯახში გამოჩნდა მძიმე ავადმყოფი (სუბუქად ავადმყოფისათვის თავს ვინ შეიწუხებს) მისი ჭირის უფალი და მზრუნველები უსათუოდ გვერდს აუვლიან ხოლმე მეცნიერებით აღჭურვილ ექიმებსა და გაექანებიან მკითხავებისკენ, რომლებსაც ხშირად შეხვდებით ახლო-მახლო სოფლებში და რომლებიც უმოწყალოდ სცარცვავენ ხოლმე ხალხსა. აი რა მოხდა ამ სოფელში ამას წინედ: ერთ საწყალსა და გაჭირვებულ გლეხს სამი შვილი ერთად ჩაუწვა ლოგინში. ეჭვით მაცქირალ ექიმებზე, ის მაშინვე გაექანა მკითხავისკენ, რომელმაც ტკივილის მოსასპობად წამლის მაგივრად, დარიგება მისცა, რომ მას გამოეშვა უღლიდან ხარი და შეეწირა სადღაც გამოსაჩენ ეკლესიისათვის და ამასთან გარდაეხადა საარვიცო..." (**მერაბი**, გაზ. „ივერია", №44, 1886).

უშვილობასთან დაკავშირებით მსხვერპლშეწირვა, მკითხაობა, ლოცვა და მისთანანი, ხშირად, შესაბამისი რიტუალური ციკლის პროცესში სრულდებოდა. აჭარაში, ისე როგორც, საერთოდ, სამხრეთ საქართველოში, ცნობილი იყო ტერმინი **ზიარეთი** (დაწვრ. იხ.: **მგელაძე**, 2001). ზიარეთის საფლავებში მადლიანი მკვდრები იყო დაკრძალული. მოსახლეობა საფლავებზე ადიოდა და ღვთაებებს ცხვარს სწირავდა - „ყურბანს სისხლს გაადენდა". ცნობილია, რომ ზიარეთში ასვლასა და სათანადო რიტუალების ჩატარებას სამკურნალო-მაგიური თვისებები გააჩნდა. იქ ავადმყოფები, განსაკუთრებით კი - უშვილო ქალები დადიოდნენ. მაგალითად, მოლაკარის ბოლოში სოფელ ენთელის საფლავებზე, რომელსაც

„ზიარეთს” ეძახდნენ, ძირითადად, ქალები იკრიბებოდნენ. როგორც ჩანს, წმინდა ადგილებში, საფლავებთან - წინაპართა სულებთან ზიარება თუ იმქვეყნიურ სამყაროსთან ურთიერთკავშირის მისტიზაცია, ნაყოფიერების აღდგენასაც ემსახურებოდა. ჩვეულებრივ, სასაფლაოზე მოსახლეობამ პარასკევობით იცოდა გასვლა. ახალგაზრდის საფლავზე არ ავიდოდნენ, უმეტესად, მოხუცთა საფლავებს შეარჩევდნენ. საღამოხანს მამისა და დედის საფლავებსაც მოინახულებდნენ. მიიტანდნენ საჭმელს - ჰალვას, ნამცხვრებს, საფლავზე პურსაც დადებდნენ. სამცხეში შეკრებილი საველე მასალებით ირკვევა, რომ ზიარეთი კურთხეული ადგილი-ეკლესიის ნანგრევები ანდა ეკლესიის სანახებში მდებარე სასაფლაო იყო. სოფელ უდის თავზე მდებარე **ბოზმარეთი**, სადაც იავარქმნილი, ნანგრევებად ქცეული ნაეკლესიარი იდგა და სადაც მოსახლეობა „საღვთოს” სწირავდა, ზიარეთს წარმოადგენდა. სამცხური საველე წყაროები გვავარაუდინებს, რომ აჭარაში და, საერთოდ, სამხრეთ საქართველოს ისლამიზებულ რეგიონებში, სადაც ისლამმა ქრისტიანული სალოცავების ფუნქციონირება ჯერ შეზღუდა, ხოლო შემდეგ მისი ცხოვრებიდან აღმოფხვრას შეუწყო ხელი, ზიარეთის ისეთი გაგება განაპირობა, როგორსაც ჩვენ ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის ვაფიქსირებთ. წარსულში მოსახლეობა ზიარებაზე ტრადიციულად ეკლესიებში დადიოდა, რომლებიც, ჩვეულებრივ, შემაღლებულ ბორცვებზე მდებარეობდა და სადაც ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიებზე სასაფლაოებიც იყო გამართული. ისლამის მომძლავრების პერიოდში, ქრისტიანული სალოცავების ნანგრევებად ქცევამ ანდა საერთოდ, გაქრობამ, მამა-პაპისეულ წმინდა ადგილებში სიარულისა და ზიარების ჩვევად ქცეული წესი მოსახლეობას მაინც ვერ დაავიწყა და ისინი უკვე უეკლესიო სასაფლაოზე და ნაკურთხ ადგილებად მიჩნეულ მიდამოებში შემდეგაც აგრძელებდნენ სიარულს. სასაფლაო, ტრადიციულად, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა. აჭარაში სასაფლაოზე გასვლა ტრადიციას შემორჩა, ხოლო ასეთ ადგილებში ეკლესიის არსებობის მახსოვრობა მივიწყებას მიეცა, მაშინ, როცა სამცხეში,პირიქით, „ზიარეთის” ჩვეულებაში სასაფლაოსთან ერთად ეკლესიის ფაქტორი აშკარად გამოკვეთილ როლს თამაშობდა. ამდენად, აქედან გამომდინარე, ზიარეთად მიჩნეულ ადგილებში ჩვენ ადრე ეკლესიის არსებობაც უნდა ვივარაუდოთ. სიტყვა „ზიარეთ“ არაბულში მოწმდება და რაც ჩვეულებაში წმინდა ადგილების დათვალიერებას, ვიზიტს, დარბაზობას ნიშნავს. ნიკო მარი შავშეთში ადასტურებდა ჩვეულებას, რაც წმინდა ადგილების ავადმყოფების მიერ მონახულებაში გამოიხატებოდა (**მარი**, 1911). შემდეგში ზიარეთის არსი და ჭოროხის აუზის მოსახლეობაში მასთან დაკავშირებული რიტუალები დაწვრილებით იქნა აღწერილი (იხ.: **კლარჯეთი**, 2016:507-558; 62-63). შუშანა ფუტკარაძემ ტერმინი **ზიარეთი** თურქეთში მცხოვრები ქართველების დასახლებებში ბოლო ხანებში მოგზაურობის პერიოდში ჩაიწერა და თავის მონოგრაფიაში „ჩვენებურების ქართულში” იმერხევის მაგალითზე აღწერა. ამ ჩვეულების ძირითადი არსი, ავტორის მონაცემებით, წმინდა ადგილების მონახულებასა და სალოცავების შემოვლაში მდგომარეობდა. ასევე, მას იგი განმარტავს, როგორც წმინდა სალოცავ ადგილს, რასაც იმერხეველებთან საუბრის ტექსტებშიც ადასტურებს, მაგალითად, „იმფრევლ ერთი ზიარეთია“, „ფორტაში არი ზიარეთიც“ ანდა „წევდა ზიარეთზე“ და სხვა მისთანანი (**ფუტკარაძე**, 1993:459).

მელოგინე ანდა ახალმოლოგინებულ ქალთან და ახალდაბადებულ ბავშვთან დაკაშირებით აჭარის მთიანეთი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენათა სიმრავლითა და მაგიურ რიტუალთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ეს გასაგებიცაა თუ გავითვალისწინებთ შთამომავლობის გამრავლებისადმი და მემკვიდრეობის გაგრძელებისადმი ადგილობრივ მკვიდრთა განსაკუთრებულად სათუთ დამოკიდებულებას. მშობიარეს პირუტყვის ხორცს არ აჭმევდნენ, რადგანაც, მოსახლეობის რწმენით, ეს ბავშვზე ცუდ ზეგავლენას ახდენდა: თუ გოგო დაიბადებოდა, მსუბუქი ყოფაქცევის გაიზრდებოდა, ხოლო თუ ვაჟი დაიბადებოდა, ქალების მოყვარული და მოარშიყე გამოვიდოდა. როცა სხვადასხვა პრაქტიკული სამკურნალო ხერხები ამოიწურებოდა, მაშინ მელოგინის გართულებული მშობიარობა რომ შეემსუბუქებინათ, ქმარი რიტუალს ასრულებდა, რომლის მიხედვითაც იგი ცერისა და სალოკი თითის კუნთებს შუა წყლის წვეთებს დაისხამდა, დააგუბებდა და ცოლს შეასმევდა. ზოგჯერ ქმარი მშობიარობასის ტახტის ქვეშ ჩუმად შეძვრებოდა და თოფს გაისვროდა (**ნოღაიდელი**, 1971:32). მელოგინე შეკრთებოდა და ამის გამო თითქოს ადვილად იმშობიარებდა (**აბაშიძე**, **კომახიძე**, 1998:164). სხვათაშორის გართულებული მშობიარობისას ავი სულების დაფრთხობის მიზნით თოფების სროლა სომხებსაც ახასიათებდათ (**ლალაიანცი**, 1915:53-55).

აჭარაში როცა ბავშვი დაიბადებოდა, ახალ მოლოგინებულს შეულოცავდნენ. ამყვანი დანას ანდა წალდს აიღებდა, მარცხნიდან მარჯვნივ წრეს შემოხაზავდა და წარმოთქვამდა: „სამსა მამლისა ყივილსა, სამებისა მთასა (ანდა კარსა),/სამი ძმანი თავდგირიძე ლესვენ ხმალსა, ჭრიან თავსა,/აქ რა უნდა ავსა, გეიარე კარსა, ბადე სასტუმალსა,ქვაბი საფერხულსა, საჩეჩელი გვერდსა,/უშველე, ღმერთო და მოეხმარე".ლოცვა სამჯერ მეორდებოდა. მისი დასრულების შემდეგ მშობიარეს დანას ბალიშის ქვეშ ამოუდებდნენ. ამყვანი მოლოგინებულს ბადეს გადააფარებდა. თუ ბადე საკუთარი იყო, მაშინ იგი დიდხანს ექნებოდა გადაფარებული, თუ არა და მელოგინეს ბადის ქვეშ დღე-ღამის მანძილზე მაინც ამყოფებდნენ, რათა მისთვის მავნე სულებსა და ეშმაკებს არ ევნოთ. ადგილობრივი მოსახლეობის რწმენით, ორშაბათსა და პარასკევს ბავშვის დაბანა არ შეიძლებოდა, ხოლო მელოგინე, ზემო აჭარაში ტანდაუბანელი შვიდი დღე უნდა ყოფილიყო. მას ამ ხნის მანძილზე წყალსაც კი არ ასმევდნენ - „არ გაფუჭდესო (**ნოღაიდელი**, 1971:32-33). აკვანში ჩვილს კვირას ჩააწვენდნენ - „საკვირველი ბაღანა იქნებაო". ბავშვის მოვლენა სახლეულში ერბო-კვერცხითა და ფაფით აღინიშნებოდა. იტყოდნენ - „ბავშვი უყისმეთო არ დარჩესო". საერთოდ, აჭარის უმეტეს ხეობაში გოგოს დაბადებისას - „ფაფას", ხოლო ბიჭის დაბადებისას - „ფილავის" ამზადებდნენ. რადგან ვაჟი გენეალოგიისა და წინაპრების ტრადიციების გამგრძელებლად ითვლებოდა, ამიტომ ამ ფაქტს საგვარეულო წრე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა. ვაჟის, განსაკუთრებით, უშვილობის პირობებში გამორჩეულად „ნანატრი შვილის" დაბადებისას, თოფს გაისროდნენ, გოგოს გაჩენისას კი არა. ახალდაბადებულს ორმოცი დღის გასვლამდე სარკეში არ ჩაახედებდნენ - „ელამი გამოვაო"; თმებს არ დავარცხნიდნენ - „კბილები შორიშორ ექნებაო", „აკვანს არ დაურწევდნენ - „მუცელი ატკივდებაო", არ აწონიდნენ - „სამომავლოდ შვილი არ ეყოლებაო", ფრჩხილებს არ დაჭრიდნენ - „ანგელოზი დაჭრისო", პირველად მოჭრილ ფეხის ანდა ხელის ფრჩხილებს წიგნის ფურცლებში ჩადებდნენ - „ნიჭიერი, წიგნიერი გამოვაო". გურიაში კი

მოჭრილ ფრჩხილებს „გამოკოჭავდნენ” და ისე შეინახავდნენ. ბავშვის თმის დაკრეჭა „წლამდე უნდა დაგესწრო”, ისე ორმოცი დღის თავზე თმას პირველად „მახასით მოკრეჭდნენ” იმ მოტივით, რომ ბავშვმა „სიტყვები გაკნაჭოსო”, ე. ი. კარგი მოლაპარაკე გამოვიდესო, ანდა - „მეთვალიაარდადგეს”, „თვალცემარეარგამოვიდესო”. ამის შემდეგ ჩვილს თავს გადაპარსავდნენ.

ჩვეულების თანახმად, თმას ინახავდნენ, ხშირად კი მიწაში ფლავდნენ, რადგან მისი დაწვა არ შეიძლებოდა. ბავშვს თმას დედ-მამიანი პირი შეჭრიდა. გურიაში, ბავშვს პირველად ის შეჭრიდა თმებს, ვისაც კარგი თმა ჰქონდა. პირველად შეჭრილ თმას მოზარდის ხის ძირში დადებდნენ, რწმენით, რომ „ბავშვი მზარდი ხის მსგავსად გაიზრდება“.

ანალოგიურად ექცეოდნენ პირველ ამოღებულ კბილს, რომელსაც ბავშვს ჯერ თავზე შემოატარებდნენ და სამზადისის თავზე შემოაგდებდნენ, თან მიაძახებდნენ: „თაგვო, კბილი შენ გქონდეს და შენი კბილი ბაღანასო“. შესაძლოა, კბილი ჭერზეც, ანუ „თავანზე“ შემოეგდოთ. აქაც აუცილებლად დააყოლებდნენ: „თაგვო, შენი კბილი მე, ჩემი კბილი შენო“.

დაბადებისთანავე ბავშვს ჭიპს მონეტით ჭრიდნენ - „ლითონია და ბავშვი მაგარი იქნებაო“ - და ბუდესთან ერთად მიწაში ფლავდნენ, მაგრამ თუ ბავშვი „უკუმდგარი“, ანუ სულშეგუბებული დაიბადებოდა, მაშინ მის მოსულიერებას შეუცდიდნენ და ჭიპს შემდეგ მოაჭრიდნენ. ბავშვზე მონაჭერი ჭიპის განსაკუთრებულ ადგილზე დადება იცოდნენ. ვაჟის ჭიპს „სამაილ ყაბში“, ანუ საფულეში ჩადებდნენ, რათა ახალდაბადებულს ბედი დარჩენოდა და ფული არ გამოლეოდა. ქალის ჭიპს კი „ახორში“ ინახავდნენ, რადგან ხალხის რწმენით, ქალს ჭიპი საქონელზე ექნებოდა მიჭრილი და საქონელი ეყვარებოდა (ნოღაიდელი, 1971:32-33). სამეგრელოშიც მოჭრილ ჭიპს ისეთ საგანთან დადებდნენ, რისი დაბედებაც მისთვის სურდათ. მაგალითად, ჭიპს მაღალი, მზარდი და მძლავრი ხის ძირში მოათავსებდნენ, რწმენით, რომ ბავშვი მაღალი, ჯანმრთელი და ძლიერი იქნებოდა.

ბავშვების საკეთილდღეო მოქმედებასთან დაკავშირებით არაერთი სხვა საინტერესო ჩვეულებაც მოიპოვება. მაგალითად, აჭარაში ბავშვს საქონელზე წლამდე ხელს არ მოაკიდებინებდნენ - „ენას მალე ვერ აიდგამსო“. გურიაში კი, როცა ბავშვი ენას დიდხანს ვერ აიდგამდა, მას საქონლის „ბოგაზე აბამდნენ“ და თან დააყოლებდნენ: „თუ ადამიანი ხარ, ილაპარაკეო“. ბავშვი იტირებდა და როცა მოსცილდებოდი, შენკენ წამოიწევდა და ილაპარაკებდა (მგელაძე, ასეედ, გურია, 1988). ასევე, ბავშვს ხელს შრომის იარაღებზე მოაკიდებინებდნენ - „ხელოსანი გამოვაო“.

ორმოც დღეს მელოგინე „უწმინდურად” ითვლებოდა. მას არ შეეძლო მეზობლისას მისვლა, ბოსტანში გავლა, ქმართან ურთიერთობის დამყარება. ამ ხნის განმავლობაში საჭმლის დამზადებაც ეკრძალებოდა (**ნოღაიდელი**, 1971:33), ასევე, ზოგიერთი სახეობის საკვების მიღებაც ტაბუირებული იყო, თუ მოხარშულ ქათამს შეჭამდა - ბავშვი კისერს ვერ დაიმაგრებდა, ხოლო თუ ქათმის კისერს თავქვეშ შემოიდებდა, მაშინ ახალდაბადებული, პირიქით, ორმოცი დღის შესრულებისას კისერს დაიმაგრებდა, მოლოგინებულს „ორმოციან ქალს” ეძახდნენ, რადგან მშობიარობის შემდეგ რძალს დედამთილის და სახლეულის სხვა გამოცდილი ქალები ორმოცი დღის მანძილზე გარეთ გასვლას უკრძალავდნენ. ისე, ერთი კვირის შემდეგ, მელოგინე საწოლიდან დგებოდა, ალიყურსა და ბადეს ჩამოიკიდებდა და გარეთ ამ სახით გადიოდა. ჯემალ ნოღაიდელის მიერ შეკრებილი მასალებით ირკვევა, რომ

ორმოცი დღის განმავლობაში მოლოგინებულთან, რომელიც განმარტოებით იწვა, დედამთილის გარდა, უცხოს არ უშვებდნენ, რადგან „ბალღი ბასხუნი გამოვაო, ფეხზე ვერ დადგებაო, წელს ვერ გაიმაგრებსო“ (**ნოღაიდელი**, 1971:33). ორმოც დღემდე მელოგინესთან ქათამი რომ შეფრენილიყო, მას მაშინვე დაიჭერდნენ და ბავშვს ფეხს ქათამზე დაადგმევინებდნენ. ასევე, ორმოცი დღის გასვლამდე ბავშვიც დღის სინათლეზე არ გაყავდათ. ბავშვის მიერ დღის შუქის პირველად ხილვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სახლეულის ერთ-ერთი წევრი - მამამთილი, დედამთილი ანდა მული ჩვილს საცხოვრებელს სამჯერ შემოატარებდა. ბავშვს ახორქვეშ გაატარებდნენ - „არაფერი არ წეეკარებაო”.

ტრადიციული წესის თანახმად, ბავშვი, ზოგჯერ, დედის მამისეულ სახლში იბადებოდა, ბავშვის დაბადებიდან ორმოცი დღის შემდეგ, დედას მამისეული სახლიდან ჩვილი ქმრეულში აკვანთან ერთად მიჰყავდა, სიძის ოჯახში სიმამრის სახლეულის სტუმრობას „აკვნის მიტანას” უწოდებდნენ. ამ დროს ბავშვთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებათა ციკლი განსაკუთრებული ყურადღების სფეროში იყო მოქცეული. ყურადღება ისეთ წესებსა და რწმენა-წარმოდგენებზემახვილდებოდა, რომლებსაც ბავშვის მომავალი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა უნდა უზრუნველეყო, მაგალითად, სიძის ოჯახში მიტანილ აკვანში, ჩვილს პირველად დედ-მამიანი ქალი ჩააწვენდა, ქმრის ოჯახში ბავშვის დაბადების შემთხვევაშიც, აკვანი მაინც რძლის დედ-მამას მიჰქონდა და მაშინაც ჩვილს აკვანში ბედნიერი ქალი აწვენდა, რომელიც, ამასთან, მისი დედ-მამის პირველი შვილი უნდა ყოფილიყო (**მგელაძე**, ასეედ, აჭარა, 1983). აჭარაში როცა ჩვილი ხშირად ჭირვეულობდა, აკვანში არ წვებოდა, მაშინ მას აუცილებლად შეულოცავდნენ, როცა ყრმა ღამით ტიროდა, მაშინ იტყოდნენ: „დღე და ღამე შეცვლილი აქვსო“, სასთუმალს შეუქცევდნენ და თავის დასადებს შეუნაცვლებდნენ. ბავშვი, რომ მტირალა იყო სხვა სოფლიდან მოსული გარდაცვლილი ადამიანის საფლავში მუჭა მიწას აიღებდნენ, წყალში აურევდნენ და პატარას ამდაგვარ წყალში აბანავებდნენ: „მკვდარს დაქელავსო”. ბავშვის ჯანმრთელობას მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ვაჟი უნდა ყოფილიყო არა მარტო ჯანსაღი მემკვიდრეობის გამგრძელებელი, არამედ მეურნე, მონადირე და მეომარი, ხოლო ქალი - დედა და, ასევე, ჯანმრთელი შთამომავლობის გამგრძელებელი, საოჯახო და სამეურნეო საქმიანობისთვის გამოსადეგი და უნარიანი. აქედან გამომდინარე, ბავშვის ამა თუ იმ დაავადების განსაკურნავად მრავალნაცად ხერხს მიმართავდნენ. მათგან ცნობილი იყო მიცვალებულის მაგიური ძალა. ბავშვს, რომელიც დიდხანს ფეხს ვერ აიდგამდა, ანდა უშვილო ქალს, რომელსაც შვილიერება სურდა მიცვალებულის ქვეშ სამჯერ გაატარებდნენ, როცა ბავშვი ფეხს ვერ აიდგამდა - კუტი იყო, მაშინ მას გამოულოცავდნენ, თუ ესეც არ გაჭრიდა, შემდეგ, რკინის ხიდზე გაატარებდნენ - „ხიდს დააქელვინებდნენ”, „ფეხზე შედგებაო”, ხიდზე მრავალი ადამიანი დადიოდა და, მოსახლეობის შეხედულებით, აღნიშნული რიტუალის შესრულება, ბავშვის მიერ „ხალხის დაქელვას” გულისხმობდა. საერთოდ, როცა ბავშვი ფეხზე ვერ დგებოდა, კისერს ვერ იმაგრებდა, მაშინაც ჩათვლიდნენ, რომ იგი **ბასხუნი** იყო, მაგრამ ყველაფერი მუდამ უჟმურს როდი ბრალდებოდა. მაგალითად, ტრადიციული რწმენით, მიცვალებულთან ნამყოფი ადამიანის თვალი ახალდაბადებულზე უარყოფითად მოქმედებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაკრძალვიდან მობრუნებული ადამიანი აკვანში მწოლიარე ბავშვს დახედავდა, რაც ჩვილის „ბასხუნად გახდომის” მიზეზი

ხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ სამეგრელოშიც ტირილში ორსულ ქალს მიცვალებულზე შეხედვას უკრძალავდნენ - „ბავშვი დიდგულა გამოვაო", ასევე, აჭარაში „ბასხუნად გახდომის" მიზეზად მთხრობელები ხშირად ბავშვთან ქათმის დაკვლის ფაქტს ასახელებენ. ადგილობრივი მოსახლეობა ბასხუნს ბალახეულითაც მკურნალობდა (**მგელაძე**, ასეედ, აჭარა, 1983), მაგრამ უმეტესად მაინც მაგიურ ქცევებს მიმართავდა, რომელთა შორის განსაკუთრებით, როგორც აღვნიშნეთ, მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალები გამოიყოფა. ბავშვს მკვდრის ზემოთ აყენებდნენ, მკვდარს „დააქელინებდნენ", შესაძლოა „ბასხუნი მისგანააო". ისე ბავშვს ყველაფერს აქელვინებდნენ: ხეს, ქათამს, ხიდს - „რომელიმესგან მაინც იქნება ბასხუნიო". რელიგიური ტრადიციები ედო საფუძვლად ბავშვის ენის დიდხანს ამოუდგმელობის საწინააღმდეგო მოქმედებებსაც. ხალხური ტერმინოლოგიით „ბლუს" პირში ჩიტის ანდა ჩიტის ბარტყის ფრთას ანდა ბუმბულს ჩაუდებდნენ - ბავშვი ჩიტივით დაიწყებსო ჭიკჭიკს. არსებობდა მკურნალობის სხვა საშუალებებიც, კერძოდ, ბავშვს ძროხის ზურგზე შესვამდნენ, - „ძროხა უენოა და ისიც ამის გამო დარჩა უენო". სამეგრელოში ასეთ ბავშვს საქონლის სადგომთან აბამდნენ - „სანამ არ იტყვი რამეს, მანამ არ გაგიშვებთო", სამცხეში დასახლებული იმერლების გადმოცემით, ენადაბმულ თუ შეშინებულ ბავშვს, კაკლის ფესოში გააძვრენდნენ, მიმართავდნენ სხვა ჩვეულებებსაც: ბავშვს, რომელსაც დაბმული ენა ჰქონდა, სოფელ არალის ეკლესიაში მიჰყავდათ, სადაც მიმდებარე ტერიტორიაზე გახვრეტილი ქვა იდო, ბავშვს ქვას სამჯერ შემოატარებდნენ, ხოლო შემდეგ ნახვრეტშიც გააძვრენდნენ. საერთოდ, სამცხეში ყველა ავადმყოფ ბავშვს, თუ მშობლები წინასწარ შეთქმულნი ანდა შეპირებულნი იყვნენ, კვირას, წირვის შემდეგ ამ ქვასთან მიიყვანდნენ და ანალოგიურ რიტუალს ასრულებინებდნენ. ასევე, აჭარაში ენაამოუდგმელობას, ხალხური რწმენით, ბავშვის მიერ შვიდი „ყურბნის" ენის შეჭმა შველოდა. საკრალური ციფრი შვიდი აჭარის, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხის მოსახლეობის ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებში ხშირად იჩენს ხოლმე თავს.

მაგიურ მოქმედებათა მსგავსი ციკლით, როგორც ვხედავთ, მაინც, ყველაზე უფრო დაცული ახალდაბადებული, როგორც შთამომავლობის გამგრძელებელი უნდა ყოფილიყო. მშობიარობის პროცესი ყველაზე საპასუხისმგებლო პროცესი იყო და იგი არა მხოლოდ პრაქტიკული ცოდნის გამოყენების საფუძველზე, არამედ მაგიურ მოქმედებათა თანხლებითაც მიმდინარეობდა. მსგავსი სურათს ჩვენ კავკასიის არაერთი ხალხის ყოფით კულტურაში ვხედავთ. სომხებში იგი განსაკუთრებით რიტუალიზებულ სახეს ატარებდა. მაგალითად, ე. ლალაიანცის ცნობით, მაშინ, როცა ქალს მშობიაროზა გაუჭირდებოდა, ავი სულების საწინააღმდეგოდ სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ: მშობიარობის შემდეგ ახალმოლოგინებულს არ აძინებდნენ, რათა ავსულებს მისთვის ღვიძლი არ ამოერთმიათ და არ წაეღოთ (**ლალაიანცი**, 1915: 53-55).

აჭარაში ქალს ბავშვი რომ შეეძინებოდა, ღელიდან ორმოც წვრილ ქვას აკრეფდნენ და სახლში აიტანდნენ. ქვებს ნაჭერში გამოკოჭავდნენ, შეულოცავდნენ და წყლიან ქვაბში ჩააგდებდნენ. შემდეგ ორმოცი დღის მანძილზე ბავშვის ტანსაცმელს ამ ქვაბში ქვებთან ერთად რეცხავდნენ. ამ ტიპის ჩვეულებები აჭარაში, ისე როგორც საქართველოს სხადასხვა კუთხეში, მრავლად გვხვდებოდა, რადგან ბავშვი, განსაკუთრებით ვაჟი, მემკვიდრედ და ჩამომავლობის გამგრძელებლად განიხილებოდა, რაც პირველ რიგში მისი ავი თვალისაგან

დაცვას მოითხოვდა. ავი თვალის საწინააღმდეგოდ ეკლის ხის ტოტის მელოგინის ტახტზე ჩამოკიდებასაც მიმართავდნენ. ზოგან ეკალს ასკილის ტოტი ცვლიდა. ამ დროს სასთუმლის ქვეშ „ალიყურის" ამოდებაც იცოდნენ (**ნოღაიდელი**, 1971:33). ახალდაბადებული ბავშვის ნახვა შინაურთა ზედამხედველობით ხდებოდა. როცა მოლოგინებულ ქალთან წვიმიან, ცუდ ამინდში მნახველი შედიოდა, ოჯახის წევრები მას კერასთან მიიყვანდნენ და ცეცხლზე ხელს რამდენჯერმე შემოატარებინებდნენ. ეს წესი დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მხარეში იყო გავრცელებული. გურიაშიც მელოგინე ქალთან მნახველები ერიდებოდნენ შესვლას - „თვალი არ წაკრასო". საერთოდ, მელოგინესაც ერიდებოდნენ და ბავშვსაც. სტუმარი სახლში შედიოდა და ცეცხლზე ხელს „გადაარებდა" - „გარეთ ნამყოფი ვარ და არ ვარგაო". ასევე აჭარაში დაკრძალვაზე ნამყოფი ანდა მიცვალებულზე თვალშენავლები ადამიანის სტუმრობასაც იბრძნიდნენ, რომელსაც ამის გამო შეეძლო მცირეწლოვანი გაეთვალა და ბავშვი **ბასხუნი** გაეხადა. სტუმრიანობისას ჩვილი სახლობის ერთ-ერთ წევრს ხელში აჰყავდა, რითაც თვალნაცემობას არიდებდნენ. აჭარაში ავი თვალის საწინააღმდეგოდ პანტა ვაშლის ტოტებსაციყენებდნენ. პანტა ვაშლის თითის ტოლა ჩხირებს გახვრეტდნენ, ძაფზე წამოასხამდნენ და ჩვილს აკვანთან დაუკიდებდნენ. ნათქვამი იყო: „თუ ხარს თვალებდა, პანტა ვაშლის ტაბიკები (უღლის ტაბიკი) უნდა გაუკეთო უღელშიო". გურიაშიც, საცხოვრებელის შემოსასვლელში მწარე პანტის ხისგან გაკეთებული ჯვრის ანდა რკინის ბოქლომის დაკიდება იცოდნენ (**მგელაძე**, ასეედ, 1988). სამეგრელოში ბავშვს ავი თვალი რომ არ მოხვდენოდა აკვანს თხილის ჯოხს მიაყუდებდნენ და თან აკვანს ქინძისთავს მიამაგრებდნენ. სამცხეში ჩასახლებული იმერლები მიიჩნევდა, რომ ორშაბათს დაბადებულს - „თვალი უჭრიდა". ე. ი. იგი ადვილად შეიძლებოდა გათვალულიყო. მათი წარმოდგენით, ორშაბათი ნაკიანი ანუ „ნაკლიანი დღე იყო" იყო (შდრ. სამცხურ - „ნახსი დღეს"). აღდგომის კვირის წინა ხუთშაბათს, დილით, უფროსი მამაკაცი სხვებზე ხმის გაუცემლად („უბარი") სახლიდან გადიოდა, მწარე ბლის ხის ტოტებს მოჭრიდა და სახლეულის წევრებს „ვენახის გადასაბიჯში" დაურიგებდა, კარზე შეაბამდა და აკვანსაც ჩამოკიდებდა. ამას სჩადიოდა იმისათვის, რომ საკუთარ ჯალაბსა და კარ-მიდამოს თვალი არ სცემოდა. ამ ტოტებს ინახავდნენ და თუ აღდგომის შემდეგ ამავე წელს ოჯახში ძეობა იქნებოდა, მაშინ ახალდაბადებულის აკვანს შენახულ ტოტს აუცილებლად შეახვედრებდნენ (**მგელაძე**, ასეედ, 1987:19). ქართლში გათვალვის საწინააღმდეგო მიზნით იყენებდნენ ე. წ. „აკაკის ხეს", რომელიც სიმინდის მარცვლის სიმსხო და ტკბილი იყო, კარგად იწვებოდა. ეს ხე ნალოცებად და წმინდად მიაჩნდათ. ხიდან ჯვარს ამზადებდნენ, მერე კარებში ჩააყოლებდნენ და სვეტზე მიაკრავდნენ.

აჭარაში ახალდაბადებულ ბავშვებთან მიმართებაში ავი თვალის საწინააღმდეგოდ ფართოდ გამოიყენებოდა რკინის საგნები, მაგრამ საქართველოს ქრისტიანულ პროვინციებში თვალისაგან თავდაცვის ერთ-ერთ ყველაზე წონად საშუალებას მაინც ჯვარი წარმოადგენდა. აჭარაში, მსგავსად გურიისა, ჩვილის სასთუმალქვეშ მაკრატლისა და დანის ამოდება იცოდნენ - „არ შეეშინდეს ჩვილ-ბაღანასო". სამეგრელოში „ჭეჭეთობა ღამე", იგივე, ჭიაკოკონობა 19 ივლისს (ახალი სტილით 1 აგვისტო) ტარდებოდა და გათვალვის საწინააღმდეგოდ ეწყობოდა: თმებზე სანთლებს ითავსებდნენ - „მეორე დღეს არ გავითვალოთო". ეზოს კართან კოპიტის ანდა ყანაში ხის ჯვრებს ასობდნენ.

სათვალო სვეტი საქონლის რქებითა და თოჯინის თავით, ბინალი ზოიძის კარ-მიდამოს მიმდებარე ტერიტორია, სოფელი ქარაფეთი(ოლადაურის თემი, შუახევის რ-ნი)

ეზოში და ჭიშკართან რკინის, უმეტესად, ნალის ანდა ცხენის თავის მიკვრაც ხშირად ხდებოდა. სამცხეში, სოფელ ბოლაჯურში ჩამოსახლებულ იმერელთა მონათხრობით ირკვევა, რომ ვაჟის შეძენისას ნალს „სახლის საძირკველზე" გარედან მიაჭედებდნენ, მწარე ბლის ტოტს კარზე მიაკრავდნენ, ბავშვს ხელზე შეაბამდნენ ანდა აკვანზე ჩამოკიდებდნენ. აქაც, როგორც ვხედავთ, ავი თვალის საწინააღმდეგოდ სხვადასხვა საგნების გარდა, ნალის სახით რკინის საგანი ოჯახის მიერ ყველა შემთხვევაში იყო გამოყენებული. ქართლში მცირეწლოვანი ბავშვის ოჯახის წევრები სახლის შესასვლელ კარში რკინის საგანს - ჯაჭვს დაკიდებდნენ - „გლახა ანგელოზი არ შემოყვესო" ანდა მას კარების ჩარჩოზე მიაკრავდნენ - „ვინც გლახა თვალით შეხედოს გაქვავდეს და გარკინავდესო".

შთამომავლობის გაგრძელებითა და მათი ჯანმრთელობის დაცვით იყო ნაკარნახევი ჩვეულებათა ციკლი, რომელიც „სახმთოს" სახელწოდებას ატარებდა. როცა ოჯახი გადანაცემი იყო, წინსვლა არ ქონდა და მათ შორის ხშირი იყო სიკვდილიანობა ანდა მისი ოჯახის რომელიმე წევრი დაავადებული იყო, მაშინ სახლეული „სახმთოს" („საღვთოს") სწირავდა. შვიდი წვეროსანი მოხუცი მამაკაცი შეუთქვამდა და მხვერპლშეწირვას მიმართავდა, შეწირულის ხორცს მიირთმევდნენ, ხოლო რაც მორჩებოდა, მიწაში ფლავდნენ (**მგელაძე**, ასეედ, აჭარა 1984). „საღვთოს" შეწირვა საქართველოს სხვა კუთხეებშიც იცოდნენ, მაგალითად, იმერეთში, სოფელ გორდაში (ხონის რ-ნი) არსებობდა „საღვთო სალოცავი".

ფუტკრის სკები იქვე დაკიდული სათვალო რქებით, ბინალი ზოიძის კარ-მიდამოს მიმდებარე ტერიტორია, სოფელი ქარაფეთი(ოლადაურის თემი, შუახევის რ-ნი)

მისდამი მოსახლეობას წინასწარ ჰქონდათ შეთქმული, რასაც **შეპირება** ეწოდებოდა. ახალკვირას აღდგომის შემდეგ ჭურზე სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ, სალოცავს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად თუ მის აღსადგენად შეპირდებოდნენ - „ეკლესიაში ფრინველს გადავაფრენო". ზოგნი ცხვარსაც სწირავდა. საღვთოს არა მხოლოდ ოჯახი, არამედ ერთი წინაპრის შთამომავალი გენეალოგიური ჯგუფის წევრებიც სწირავდა. ისინი ჭურის თავზე ახალკვირას იკრიბებოდნენ, სადაც რიტუალს უხუცესები ხელმძღვანელობდნენ. პურის ცომისა და ყველისაგან „კვერებს" აცხობდნენ, სანთლებს ანთებდნენ, ჭურის თავთან იჩოქებდნენ და ლოცულობდნენ. სამეგრელოში ცნობილი იყო „საღვთო ჭურები", სადაც სახლეულის უფროსი ბავშვებს აჩოქებდა, ლოცავდა და შავ ღვინოს ასმევდა. სამეგრელოში ავადმყოფის სახელზეც იცოდნენ მამლის, ცხვრის შეწირვა, მაგალითად, ასე იქცეოდნენ ილორში, ასევე, სოფელ ლუგოგუს (მარტვილის რ-ნი) წმინდა გიორგის ეკლესიაში. მსხვერპლს ეკლესიის ეზოში ანდა სამი გასაყოფი გზის პირას გაუშვებდნენ, საიდანაც ჩანს, მსხვერპლი სკნელის რომელიღაც ღვთაებისადმი რომ იყო განკუთვნილი. შეწირულს ვინც იპოვნიდა, იგი მას რჩებოდა. მსგავს სურათს სამხრეთ საქართველოს კუთხეებშიც ვაწყდებით. სამცხეში, სოფელ უდის თავზე ადგილი „ბოზმარეთი" მდებარეობს, სადაც ეკლესიის ნანგრევებია წარმოდგენილი. ბოზმარეთში კვირაობით ანდა ისეთ დღეს, როცა შეთქმული იყო, სოფლის მოსახლეობა ადიოდა, ცხვარს დაკლავდა. ცხვრის ტყავს მატყლად ვარგის ბეწვთან ერთად სოფელში წამოიღებდნენ და ღარიბებს მისცემდნენ. სამცხეშივე დასტურდება ტერმინი **შელოცვილი**, რაც ავადმყოფი ბავშვების გამოჯანმრთელებისადმი მიძღვნილი რიტუალის ამსახველი იყო. ბავშვის მშობლები ღმერთს საკლავს - ცხვარს თუ ქათამს შეპირდებოდნენ. მსხვერპლს ეკლესიის ეზოში მიიყვანდნენ. სამცხელები ამ ჩვეულებას, როგორც აღინიშნა, „შელოცვილს", ხოლო სამცხეში ჩასახლებული იმერლები კი - „სალოცვილს" უწოდებდნენ.

აჭარის მთიანეთში მცირეწლოვანი ბავშვები, უყურადღებობის შემთხვევაში სუსტდებოდა - „დაღრებოდენ", დაუძლურდებოდნენ, რის გამოც სახლეული შეიკრიბებოდა და მშობლების თანხმობითა და საერთო გადაწყვეტილებით მათ სახელს შეარქმევდნენ, იმ მოტივით, რომ ბავშვები „სახელზე არ წამოვიდა წინო". ახალდაბადებულის ხშირი სიკვდილობის შემთხვევაში, დაბადებიდან ორმოცი დღის განმავლობაში „ყიდდენ", გაყიდვის იმიტაცია ახდენდნენ. მას ბედნიერი დედის უბესა და პერანგში აძვრენდნენ და შემდეგ მამისეულ სახლში აბრუნებდნენ. ამას **ბაღნის გაყიდვა** ეწოდებოდა. ბუნებრივია, გაყიდვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მათი რწმენით, გაყიდული ბავშვი სიკვდილს გადაურჩებოდა. სხვათაშორის, ეს ჩვეულება, გარკვეული სახით, ძუძუს წოვების სიმულაციით დაკავშირებული უნდა იყოს ხელოვნური დანათესავების იმ ფორმასთან, რომელიც ლიტერატურაში „რძით ნათესაობის" სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ჩვეულებას ზემო აჭარაშიც იცნობდნენ. სახლეული ბავშვს „წინმომავალ", დედ-მამიან და მრავალშვილიან ოჯახზე „ყიდდა". გაყიდული ბავშვი მშობლებისავე ოჯახში ახლადშეძენილი მშობლების სახელზე იზრდებოდა, ე. ი. ბავშვი მამისეულ სახლს არ ტოვებდა. დანათესავების პროცესში, უფრო ზუსტად, ჩვეულების აღსრულების დროს, გამოკვეთილად იჩენდა თავს პერანგი, როგორც რიტუალის საკრალური სიმბოლო. ბავშვის „მყიდველის" ცოლი ჩვილს ანდა მოზარდს თავის პერანგს აცმევდა, იგი ხელში აყავდა და, დასაშვებია, რამდენიმე დღით სახლშიც წაეყვანა. დედობილის პერანგს შვილობილი ორმოცი დღის განმავლობაში ატარებდა. პერანგს ბავშვს საწოლში ძილის დროსაც აცმევდნენ. პერანგს **ორმოცი პერანგი** ერქვა და მაგიური დანიშნულება გააჩნდა. ამ შემთხვევაშიც, „ბაღნის გაყიდვის" ზემოთ აღწერილი წესი ქალის პერანგითა და უბეში ამოძვრენით, რაც ფაქტიურად ძუძუს წოვების იმიტაციას უნდა წარმოადგენდეს, შვილად აყვანის სარიტუალო ციკლთან ჩანს ორგანულად დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, როგორც „ბაღნის ყიდვას", ისე „შვილად აყვანას'" საერთო ტრადიციული ფასეულობები ედოთ საფუძვლად (**მგელაძე**, ასეედ, აჭარა, მთხრობელი: სოლომონიძე მევლუდ ომერის ძე, დაბადებული 1917 წელს, სოფელი დიაკონიძეები, ხულოს რ-ნი, 1983). როცა ოჯახში ახალდაბადებულები ანდა მოზარდები კვდებოდა, ზემო აჭარაში ჩვეულება უფრო გამარტივებული სახითაც სრულდებოდა. ახალდაბადებულს, მეზობლის მრავალშვილიანი ბედნიერი „დედის პერანგში" გააძვრენდნენ. ამ დროსაც, მისი მარტივი ფორმით ჩატარების შემთხვევაში, ეს ჩვეულება ბავშვების დაძმობილება-დადობილებას მოასწავებდა. მრავალშვილიანი დედა დედობილი ხდებოდა. ამდენად, ეს წესი არა მხოლოდ სამკურნალო-მაგიური, არამედ დაძმობილების გზით ოჯახების დანათასავების მიზნით წინასწარი შეთანხმების საფუძველზე სრულდებოდა (**მგელაძე**, ასეედ, რვ. 4, აჭარა, სოფელი ქედლები, ხულოს რაიონი, მთხრობელები: ჩოგაძე სულია რიზმანის ძე, 80 წლის; კახაძე შამილ ქიბარის ძე, 68 წლის, 1983). ზემო აჭარაში ამდაგვარად დაახლოებულ ოჯახებს შორის ნათესაური ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროში უფლება-მოვალეობები წარმოიქმნებოდა.

გათვალვის საწინააღმდეგოდ აჭარაში ტრადიციის კვალდაკვალ აკვანზე მძივების ჩამოკიდება საყოველთაოდ მიღებული წესი იყო. მას „სათვალიას (ხულოს რაიონი), ზოგან - კი „თვალის მძივს" (შუახევის რაიონი) ეძახდნენ. თავად რწმენა-წარმოდგენებში მაგიური

ატრიბუტების, განსაკუთრებით, მძივების ასახვა შემთხვევითი ფაქტი არ იყო, რადგან მაგიური ქცევა გათვალვის წინააღმდეგ იყო მიმართული. მძივი, ერთგვარად, თვალის იმიტაციას წარმოადგენდა. ჰქონდა მნიშვნელობა მძივის ფერსაც. მაგალითად, ჩვილს თვალი რომ არ სცემოდა აკვანთან თეთრი წერტილებით გაწყობილ შავ, მწვანეს ანდა წითელ მძივს, ე. წ. „სათვალიეძიგს" დაუკიდებდნენ. ჩვეულებრივ, **სათვალიეძიგი** რძლის მამისეულ სახლს, ახალდაბადებულის დედულეთს, ბავშვის დაბადებიდან გარკვეული ხნის შემდეგ სიძის ოჯახში აკვანთან ერთად მიჰქონდა. ოჯახის მომდევნო შვილებიც ამ აკვანში იზრდებოდნენ და ძველი სათვალიეძიგი შემდეგშიც ტრადიციული ფუნქციით გამოიყენებოდა. ამდენად, აკვანთან ერთად უცვლელი რჩებოდა სათვალიეძიგიც. როგორც ვხედავთ, თვალისა და ავი სულებისაგან, ძირითადად, ბავშვებს იფარავდნენ, რისთვისაც აკვანს მაგიური დანიშნულებით აღნიშნულ მძივებს ჰკიდებდნენ და „თვალის ლოცვას" უკითხავდნენ. მძივები უნდა ყოფილიყო „მოფენილი და დაწინწკლული". ასევე, შესაძლებელია, მძივებს სხვადასხვა, უმეტესად, თეთრი ფერის თვლებით გაწყობილი ორი შავი მძივი ხლებოდა ანდა ფერად მძივებს წინ დიდი რუხი ფერის მძივი ჰქონოდა მოთავსებული, რომლის შიგნითაც, ასევე, არაა გამორიცხული სხვადასხვა ფერის თვლები ყოფილიყო დასმული. აღნიშნული ტიპის მძივებით გაწყობილ ყელსაბამებს პატარებიცა და დიდებიც ატარებდნენ. თუ ბავშვს ანდა მოზარდს თვალი ეცემოდა, მძივი აუცილებლად გასკდებოდა და ადამიანიც ამით, თითქოს გადარჩებოდა. ტრადიციული წარმოდგენით დიდი მძივი მთაში სეტყვას მოყვებოდა ხოლმე. სეტყვის შემდეგ მას მიწიდან აკრეფდნენ, „სათვალიეძიგად" მოამზადებდნენ, ხოლო პატარა ორ შავ მძივს ყიდულობდნენ. მოსახლეობის წარმოდგენით, სეტყვას მოყოლილი მძივი „ღვითო", როგორც ზემოთაც აღინიშნა, ღვთიური, ზეციური წარმომავლობისა იყო და მას ავი სულებისაგან თავდაცვის უნარი გააჩნდა.

აჭარაში აკვანზე ქათმის ძვლის, ხშირად კი - ქათმის ფრთის ძვლის დაკიდება სცოდნიათ. თავის მხარეს აკვნისათვის ძვლის შებმა იმერეთშიც იცოდნენ. ძვალი შავი შეფერილობის უნდა ყოფილიყო. მნახველი აკვანთან მიდიოდა, ბავშვს დახედავდა და იტყოდა: „ჯვარი უწერია" და „თფუო" - დააყოლებდა. საერთოდ, საქართველოში ავი თვალისაგან დასაცავად, ფართოდ გამოიყენებოდა მწარე ხის ტოტები, ეკალი, რკინის საგნები, გველის ტყავი, მძივები თუ ავგოროზები, ქარვა, მგლის კბილი, ჯვარი და სხვა მისთანანი. ქვემოთ გადმოცემულ მასალებში, ნათლად წარმოჩნდება მათი დანიშნულების კონკრეტული ფუნქციური ჩარჩოები.

მკითხაობა და თვალი - აჭარაში საყოველთაოდ იყო გავრცელებული საცხოვრებლის შესასვლელში ნაგებობებზე ნალის მიკვრა ანდა მწარე ეკლის ხისგან რკალის შეკვრა და ეზოში გამოსაჩენ ადგილზე დაკიდება. ასე რომ, მომსვლელს პირველ რიგში სწორედ რკალისათვის შეეხედა. იტყოდნენ: „თვალი თუა ეკლად თვალში ეცემაო" (**ნოღაიდელი**, 1971:33). ასევე, ცნობილი იყო ცხენის თავის ქალის ღობეზე დაკიდების ჩვეულება. საერთოდ, „ავი თვალისაგან" თავდაცვის მიზნით ჭიშკარზე, სახლზე თუ ბოსელზე ნალის ანდა ყოჩის თავის რქებითურთ მიკვრის ჩვეულებას განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰქონდა.

იცოდნენ საქონლის, უმეტესად, ცხენის თავის ყანის „მესრებზე” წამოგებაც, რასაც ზემო აჭარის ტრადიციულ სოფლებში დღესაც შეხვდებით. მოსახლეობის წარმოდგენით ცხენის თავის ქალა ძვალია და თვალი ძვალს ვერ მიეკარება. თედო სახოკიას გურიაში მოგზაურობის დროს არაერთხელ დაუფიქსირებია ასეთი ფაქტი. იგი წერდა: „ღობეების სერებზე თითქმის ყოველ მოსახლეს, გამოჩინებულ ალაგს, ჩამოცმული აქვს ცხენის გამხმარი თავები. არ შიძლება კაცმა ამ თავებს ყურადღება არ მიაქციოს. ეს გახლავთ დარაჯი და მცველი აქაური კარ-მიდამოსი და აგრეთვე ჭირნახულისა. თუ ვინიცობაა იგი თვალის პატრონს შეშურდა თავისი მოყვასის ჭირნახული, გინა კარმიდამო ან რაიმე სიბოროტე გაივლო გულში, ცხენის თავის დანახვაზე ყოველივე მზაკვრობას ძალა ეკარგება და ნიშანში ამოღებულ მოსისხლეს ვერას ავნებს” (**სახოკია**, 1950:43).

ავი თვალის საწინააღმდეგო საქონლის თავის ქალა რქებით

აჭარაში, ისე როგორც საქართველოს სხვა მხარეში, მათ შორის, იმერეთში, თვალის-ცემის თავიდან ასაცილებლად საქონელს შეულოცავდნენ ანდა ბოსლის კარზე ნალს მიაკრავდნენ, ასევე, ბოსლის კარზე მწარე ბლის ხის ტოტისაგან შეკრულ ჯვარს დაკიდებდნენ. ხდებოდა ისეც, რომ ავი თვალისაგან დასაცავად აჭარაში პირუტყვს რქებზე წითელ ნაჭრებს აბამდნენ, რკინის ნაჭრებს კიდებდნენ თუ „ყელის ზენჯირს” - რკინის ჯაჭვს ჩამოაბამდნენ. მოსახლეობას ღრმად სწამდა, რომ რკინა, როგორც ამას სხვადასხვა ტიპის საველე წყაროც გვიდასტურებს, ბოროტ თვალს არ ღებულობდა. აჭარაში ძროხას რომ რძე გაუშრებოდა, მაშინ შეულოცავდნენ და იტყოდნენ: „თვალი ეცაო”, როცა ძროხას პირველად ხბო გაუჩნდებოდა, კვარს ცეცხლს უკიდებდნენ და მარჯვნიდან სამჯერ შემოუარდნენ. შემდეგ თვალის ლოცვას წაუკითხავდნენ, გადამყნილი ვაშლის ტოტს შეაბამდნენ და შვიდ ფერად ნაჭერს „რქიებზე” ჩამოკიდებდნენ. სამეგრელოში ჭიშკართან ცხენის თავის ქალას ათავსებდნენ ანდა ნალს მიაკრავდნენ, ხოლო საქონელი რომ არ გათვალულიყო, ტყემლის ხის ჯვარსა თუ ჯაჭვს რქებზე დაკიდებდნენ, ბრტყელ ქვას გახვრეტდნენ და მასაც დაკიდებდნენ. ტყემლის ხე მაგარ ხედ ითვლებოდა და, ფიქრობდნენ, რომ საქონლის გათვალვის საწინააღმდეგოდ გამოყენებულ ტყემლის ტოტს ავი სული თვალს ვერ დაადგამდა.

აჭარულ კარ-მიდამოსა და სახლეულში, როგორც ადამიანები, ისე შინაური ფრინველები და პირუტყვი, ერთიან სამეურნეო-საარსებო სივრცეს ქმნიდნენ, რის გამოც ოჯახისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო სახლეულის ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი საყოლის გამრავლებას, არამედ ადამიანთა ჩამომავლების კეთილდღეობას. ამიტომაცაა, რომ გათვალვის საწინააღმდეგო მაგიურ ქცევებს მიმართავდნენ არა მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი საკრალური აქტი ფრინველსა და პირუტყვს ესაჭიროებოდა, არამედ მაშინ, როცა ამას ადამიანის თვალისაგან თავდაცვა მოითხოვდა.



სარიტუალო და მკურნალობისათვის განკუთვნილი გველის ტყავი

ავი თვალის საწინააღმდეგო მაგიურ ქმედებათა გარკვეული ციკლი გველთანაც იყო დაკავშირებული. ტრადიციულად აჭარაში გველის მოკვლას ერიდებოდნენ, განსაკუთრებით, კარ-მიდამოს ფარგლებში. მოსახლეობის წარმოდგენით, გველის მოკვლა ბავშვზე იმოქმედებდა -დაახრჩობდა მას. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ **„მაისის გველი“** წარმოადგენდა. მაისის გველს ჭიშკართან ფლავდნენ და თვლიდნენ, რომ ამ რიტუალით ოჯახს ავი თვალისგან იცავდნენ. იყო შემთხვევები, როცა გველის პერანგს საქონლის ავი თვალისაგან დასაცავად „ახორის“ თავზე კიდებდნენ.

მაისის გველისადმი ასეთი დამოკიდებულება მრავალმხრივაა საინტერესო. ერთი მხრივ, არ არის გამორიცხული, მისი მოკვდინება პირუტყვის კეთილდღეობის ფაქტთან იყოს დაკავშირებული. ცნობილია, რომ სწორედ გაზაფხულზე, როცა ტრადიციული რწმენით, საქონელს ბოსლიდან პირველად გამოყვანის დროს „თვალი დაედებოდა“, სახლის პატრონი პირუტყვს ზურგზე გადაუსობდა ხელს. გველის ტყავი კი გაზაფხულზე პირველად გამოყვანილი პირუტყვის ავი თვალისაგან დაცვას ემსახურებოდა. სამეგრელოშიც გველს მსგავსი ფუნქცია ჰქონდა. „უხსენებლის“ (გველის) ტყავს სიმტკიცის, თვალისა და ეშმაკისაგან დახსნის მიზნით, აკვანში ლეიბის ქვეშ ათავსებდნენ. სხვათა შორის, გველის ძვლის აკვანზე დაკიდების პრაქტიკა აჭარაშიც დასტურდება. მაჭახლის ხეობაში გველის ძვლებს მიწაში ფლავდნენ, როცა გველი გაიხრწნებოდა, ძვლებს მიწიდან

ამოიღებდნენ, ტაფაზე ცხიმში ჩახრაკავდნენ და შიშველი ან შეხვეული სახით აკვანზე კიდებდნენ.

გადმოცემებში თუ რწმენა-წარმოდგენებში (ხშირად ხილვებშიც), უფრო ზუსტად კი - სულეთში მოხვედრილ ადამიანთა მონათხრობში, რომლებიც ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი ნანახის რეალობაში, გარდაცვლილთა სამყაროს თითქმის ერთნაირად გვისურათებდნენ: თვალწარმტაცი მინდორი, მეზობელ, ნათესავ, ახლობელ და ნაცნობ მიცვალებულთა რიგი და სხვა მისთანანი. მაგალითად, რაჭაში, უწერას ტერიტორიული გაერთიანების ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები ალექსანდრე მეტრეველის ჩვენთან მონათხრობიდან ირკვევა, რომ სულეთში მოხვედრილმა სახლის ერთ-ერთმა წევრმა შავებში გამოწყობილი მამაკაცი იხილა, რომელსაც ხელში მათრახი ეჭირა. მიცვალებულები მის წინაშე რიგში იყვნენ ჩამწკრივებულნი. მას სიცოცხლეში ავტორიტეტული ახლობელი მიცვალებული უცვნია, რომელიც სულეთში ახალი მოხვედრილი იყო. მიცვალებულს უთქვამს: „რომ მათრახს გადმოკრავენ, გაიქეცი, რომ არ მოგხვდეს, მაგრამ უკან არ მოიხედოო“.

აღნიშნული სიუჟეტი საკმაოდ დიდი და შინაარსობრივად საინტერესოა. ხილულის სამყაროდან სულეთამდე არსებული გზის, ამ სამყაროთა გზაჯვარედინის მახასიათებლები და სულეთისათვის ნიშანდობლივი თავისებურებები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი განხილულ საკითხებთან სრულად მოყვანა მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ. მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ არის გამორიცხული, მათრახი, რომელსაც ადამიანის საბოლოოდ მოკვდინება და მისთვის სულეთში ადგილის დამკვიდრება შესძლებია, გველის ან გველის პერანგის სიმბოლოს წარმოადგენდეს. **გველის კულტი** ხშირად იჩენს თავს სწორედ სულეთის სამყაროსთან მიმართებაში, ხოლო **„სიკვდილის მათრახთან“** გველის გაიგივება შემთხვევითი ფაქტი არ უნდა იყოს. თუ სულეთის შავ მათრახს სიკვდილი მოსდევს თან, შავი გველის გადაკვრაც სიკვდილის ტოლფასია. მაგალითად, გურიაში ჩაწერილი „ნათვალევის შელოცვის“ ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტის ფრაგმენტში ნათქვამია: „გასკდა შავი კლდე, გამევიდა შავი კაცი, / შავი ცხენით ზღვასა, ჩაეყო შავი ხელი, / წავიდა შავსა გველი, ჩაეყო შავი ხელი, / ამოიღო შავი გველი, გადაკრა შავსა ქვასა, / ისიც გჯება შენი ავი თვალით შემხედვარე, / გასკდა წითელი კლდე...“ (იხ.: გაგულაშვილი, 1979:470; 1985).

ჰემაილი

ავი თვალის საწინააღმდეგო მოქმედებებს, ლოცვის ან სხვა სახით, „მკითხავებიც“ მიმართავდნენ. მკითხაობას საქართველოს ტრადიციულ ყოფაში ფართო გავრცელება ჰქონდა და იგი აჭარისთვისაც უცხო არ იყო. უფრო მეტიც, აჭარა ამ მხრივ გამოირჩეოდა

კიდეც და ხშირად ამა თუ იმ მკითხავს განსაკუთრებული სახელი ჰქონდა მოპოვებული. ქობულეთსა და მახინჯაურში გურიის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სამკითხაოდ მიდიოდა.

მკითხაობა გვზის (კაკლის) უხმარი მაგიდით, სარკითა და იმ წყლით ხდებოდა, რომელიც სამკითხაოდ მისულის „დანალევი“ იყო. ასევე, ახალი პირსახოცი მკითხაობისას აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. პირსახოცი მკითხავთან მისულს მიჰქონდა, რომელსაც მაგიდაზე გადააფარებდნენ და სარკეში მკითხაობდნენ. მკითხავს შეეძლო ეთქვა, ავადმყოფს რა სჭირდა, განსაკუთრებით, „ფერს ხომ არ ჰყავდა დაჭერილი“.

მკითხავი თვალის საწინააღმდეგოდ, ზოგჯერ, **„ჰემაილსაც“** იყენებდა. ჰემაილი პატარა ზომის ოთხკუთხედ შეკერილი ქსოვილი ან ტყავი იყო. მასში „ხოჯის“ მიერ დაწერილი ქაღალდი თავსდებოდა. ქაღალდი გრძელი უნდა ყოფილიყო და ქამარივით იხსნებოდა. ასეთ ქაღალდში ბავშვს სამჯერ „ამუაძრუმელებდნენ“. ჩვილს „ჰემაილს“ აკვანში, ფეხის მხარეს, უკიდებდნენ - „თვალი არ მოხვდესო“.

საერთოდ, აჭარაში მელოგინე თუ ბავშვი არ შერჩენოდა, ე.ი. ბავშვის შერჩენა სურდა, ან ამა თუ იმ ავადმყოფობით იყო დაავადებული, ლოცულობდა და სხვასაც ულოცავდა. ამით ადამიანები ცდილობდნენ დადებითი შედეგისათვის მიეღწიათ. არსებობდა ლოცვის სხვადასხვა ვარიანტი იმის მიხედვით, თუ რითი იყო ადამიანი დაავადებული.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მელოგინე ქალთან და ბავშვებთან დაკავშირებული სამკურნალო ტრადიციები, რომლებიც საუკუნეების მიღმა იღებს სათავეს, წეს-ჩვეულებებში გადახლართული ემპირიული ცოდნა-გამოცდილების გარდა, რელიგიურ ფესვებზეც იყო აღმოცენებული. ეს ცოდნა და მასთან ერთად წარმოდგენილი რწმენა-წარმოდგენები კოდირებული იყო შესატყვის ტერმინოლოგიაში, საკრალურ სიმბოლოებში, შელოცვებსა თუ რიტუალიზებულ მაგიურ და მისტიკურ ქცევებში. საველე-ეთნოგრაფიული მასალების კლასიფიკაციათა და შესწავლით ირკვევა, რომ სამკურნალო რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული რელიგიური მოტივები ძირითადად სამშობიარო პრაქტიკაში, გათვალვასა და მკითხაობაში, გველის კულტსა და ბავშვთა ისეთ ინფექციურ დაავადებებში აისახებოდა, როგორიც სხვებთან ერთად ბატონების ტიპის დაავადებანი იყო.

ETHNOLOGY

Magical Rituals Related to the Treatment in Traditional Culture of South-west Georgia

Nugzar Mgeladze
BatumiShotaRustaveliState University

Medical traditions in South-west Georgia took the place beyond the centuries. Those traditions originated only not from empirical knowledge and experience from religious roots as well. That knowledge and believes were encoded in relevant terminology, sacred symbols, ritualized magical

and mystical behaviors. By classification and studying ethnographic material, it has been revealed that religious motives were represented in childbirth practice, casting the evil eye, fortune-telling and infectious diseases in children such is „batonebi" (measles, whooping cough).

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, კომახიძე, 1998 - ნ. აბაშიძე, თ. კომახიძე. იბრაიმ აბაშიძე და მისი ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული ჩანაწერები, ბათუმი.

გაგულაშვილი, 1979 - ი. გაგულაშვილი. ფერთა სიმბოლიკის საკითხისათვის ქართულ შელოცვებში.-„მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, I, თბილისი.

გაგულაშვილი, 1985 - ი. გაგულაშვილი. ფერთა სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ ფოლკლორში. ნაწილი მეორე.-„ქუთაისის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები", II, თბილისი.

კლარჯეთი, 2016 - მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, შ. მამულაძე, თ. შიოშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯული სოფლები.-„კლარჯეთი", ბათუმი.

კოხრეიძე, 1958 - ვ. კოხრეიძე. აჭარის ხალხურ მედიცინაში გამოყენებული ზოგიერთი ბალახოვანი მცენარეები.-აჭარის სახელმწიფო მუზეუმის „შრომები'', ტ. III, ბათუმი.

ლალაიანცი, 1915 - Е. А. Лалаянц. Ванскийвилайет. Васпуракан.-СМОМПК, вып. XLIX, Тифлис.

მარი, 1911 - Н. Я. Марр. Дневник поездки в шавшетию и Кларджеты.-«Тексты и разыскания по армяно-грузинской Филологии, кню 7, СПБ.

მგელაძე (ასეედ), 1983 - ნ. მგელაძე. აჭარის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები.-იხ.: პირადი არქივი.

მგელაძე, ასეედ, 1984 - ნ. მგელაძე. აჭარის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები.-იხ.: პირადი არქივი.

მგელაძე, ასეედ, 1986 - ნ. მგელაძე. აჭარის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები.-იხ.: პირადი არქივი.

მგელაძე, ასეედ, 1987 - ნ. მგელაძე. სამცხე-ჯავახეთის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები.-იხ.: პირადი არქივი.

მგელაძე, ასეედ, 1988 - აჭარა-გურიის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები.-იხ.: პირადი არქივი.

მგელაძე, 1996 -ვლ. მგელაძე. ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებანი აჭარაში.-„კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში", ბათუმი.

მგელაძე, 2001 - ნ. მგელაძე. სამკურნალო ტრადიციები და მკურნალობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.-ხელნაწერი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ხელნაწერთა არქივი.

მერაბი, 1886 - გაზ. „ივერია", #44.

ნოღაიდელი, 1971 - ჯ. ნოღაიდელი. ნარკვევები და ჩანაწერები, ნაკვეთი 1, ბათუმი.
ნოღაიდელი, 1988 - ნ. ნოღაიდელი. ხალხური მედიცინის ლექსიკიდან (აჭარული მასალა).-რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია - მოხსენებათა თეზისები, თბილისი.
სახოკია, 1950 - თ. სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი.
ფუტკარაძე, 1993 - შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი.

თემის მმართველობითი ორგანოს - უხუცესთა საბჭოს თავყრილობის ადგილები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

ბექა მგელაძე
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულ-კავკასიური ცივილიზაციის ისეთ კერებში, სადაც ფეოდალიზმს სათანადო ეკონომიკური და სოციალური ნიადაგი არ გააჩნდა, წარმოება და საკუთრების ფორმები, მმართველობა და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, შესაბამისი იურიდიულ-ადათობრივი სისტემებით, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურებით, საზოგადოების წევრთა ქცევის ნორმებით, კულტურული ფასეულობებით, მთლიანად ისტორიულად ჩამოყალიბებული თემისა და ტერიტორიული გაერთიანების ბუნებიდან გამომდინარეობდა. საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა დონისათვის დამახასიათებელი ინსტიტუციონალური ფორმების თანაარსებობა საქართველოს მთიანეთმა თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე საკმაოდ მკაფიოდ შეინარჩუნა, სადაც, როგორც გიორგი მელიქიშვილი შენიშნავდა, შედარებით განუვითარებელი სოციალურ-ეკონომიკური წყობა დიდხანს შემორჩა (**მელიქიშვილი**, 1979:19). წარსულში ცენტრალური ხელისუფლების პერიოდული შესუსტება ხელს უწყობდა მთიელთა განკერძოებასა და, შესაბამისად, სათემო ყოფის ტრადიციული ფორმების კონსერვაციას (**ხარაძე**, 1960; **ანჩაბაძე**, **როგაქიძე**, 1979:75). ანალოგიურ პროცესებთან გვქონდა საქმე ისტორიულ სამცხე-საათაბაგოში - აჭარასა და სამცხეში, რომლის მთა და ბარი, სოციალური განვითარების დონით, ბუნებრივია, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

ცენტრალური ფეოდალური ხელისუფლების პერიოდული შესუსტება თუ დაქვეითება და დაცემა განსაკუთრებით პერიფერიების სოციალურ და სამართლებრივ სისტემებზე ზემოქმედებდა. ფეოდალური სამართლებრივი ორგანიზაციები ასეთ პირობებში თვითმართველობითი ორგანოებით იცვლებოდა, ფეოდალურ კანონმდებლობას ხალხური მმართველობითი სისტემა და ხალხური სასამართლო სისტემა ცვლიდა, რომელიც თემისა და თემთა კავშირების საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა. ასე ხდებოდა როგორც განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამცხეში, ისე აჭარაში. მართალია, აჭარის სამართლებრივი კულტურა წერილობით წყაროებში ნაკლებად ჩანს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია პრობლემაზე ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით ვიმსჯელოთ, რომელიც გვიანი შუასაუკუნეების სინამდვილეს ნამდვილად ასახავს. სამართლებრივი ასპექტები აჭარის მთიანეთში სათემო ტრადიციის ფარგლებში ვითარდებოდა. აჭარაში თემი ისტორიულად საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებს მოიცავდა. ამ ტიპის ტერიტორიული გაერთიანების წევრები სამეურნეო და სოციალური ინტერესებით ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. თემის არსებობა საქართველოში არა მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებით, არამედ წერილობითი წყაროებითაც დასტურდება (**ჯავახიშვილი**,1928:96; 1930:131-135; 1948:1-2). თემი ხევის ტიპის დასახლება

იყო. ამდენად, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, განსაკუთრებით, მტკვრისა და ჭოროხის აუზების მოსახლეობაში **ხევი** და **თემი** შესატყვის ცნებებად გამოიყენებოდა (**ინგოროყვა**, 1941:7,9,26-27). ტერიტორიულ-სათემო გაერთიანება **ხევი** გეოგრაფიულის გარდასოციალურ, ხოლო **ხეობა** - მხოლოდ გეოგრაფიულ შინაარს შეიცავდა (**ხარაძე**, **რობაქიძე**, 1964:67). ხეობაში ჩვეულებრივ ერთი ანდა რამდენიმე ხევი - თემი იყო წარმოდგენილი. საკუთრივ ხევი კი რამდენიმე სოფლის საკრებულოს აერთიანებდა. ისინი ერთმანეთთან ტერიტორიით, სამეურნეო, სოციალური ინტერესებითა და საკულტო რიტუალებით იყვნენ დაკავშირებულნი. აჭარის ტოპონიმიკაში ტერმინი **ხევი** დღემდე შემოგვრჩა. ასეთებია: **ხევყრუ**- ჯოჭოს ხეობაში, **ზემოხევი**- ჭვანის ხეობაში, **სოლიხევი**,**მირატისხევი**, **შუახევი**,**დოხევი**- აჭარისწყლის ხეობაში [იხ.:**მგელაძე**, 1980;**მგელაძე**, 1982:221; **მგელაძე**, **ტუნაძე**, 2007]. **ხევი<u>ხინოსი</u>** ცნობილიიყო XVIII საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რაზეც ვახუშტი ბატონიშვილიც თვალნათლივ მიუთითებდა.მისი თქმით: დასახელებული ტოპონიმებისოციო-გეოგრაფიული არსით იგივე იყო, რაც თემი, ე. ი.**ხევყრუ**იყო - „ყრუ თემი" (ხევის თემი), **ზემოხევი** - „ზემოთემი",**სოლიხევი**- „სოლითემი", **მირატისხევი** - „მირატის თემი", **შუახევი** - „შუათემი", **დოხევი** - „დიდი (დუდხევი - თავიხევი?) თემი", **ხევი ხინოსი**(ხინოს ხევი) –„ხინოს თემი"... ვახუშტი დაწვრილებით ახასიათებს ხინოს ხეობას და ამ დიდ სათემო დასახლებაში ქრისტიანული სალოცავის - ეკლესიის არსებობასაც ადასტურებს. გუმბათოვანი ეკლესია ხინოს ხევში - თემში წარმოდგენილი სოფლების სალოცავთა იდეოლოგიური გამაერთიანებელი ცენტრი იყო. ასეთი ეკლესიის ნანგრევები ხინოს თემის ამა თუ იმ სოფელში დღესაც გვხვდება. ვახუშტის თქმით, „... აქა დის მცირე მდინარე, გამოსდის სურებსა და ხინოს შუას მთას, და დის გრეხით, მიერთვის ხინოს-წყალს ჩდილოდამ ... ამ ოზურგეთის სამჴრით დის მდინარე ხინოსი, გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მოდის აღმოსავალ სამხრეთს შუადამ, ჩრდილო-დასავლეთს შუა, ლეხეურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ. ამ დინარისა და შემოქმედს შუა არს ციხე ლეხეურისა, მთის ძირს. და მას ზეით მთაში, ამ წყალწედჯეობახხინოსი არს მაგარი და მთებრი, არამედ ვენახ-ხილიანი და მოსავლიანი. აქა ხინოს არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდშენი, კარგს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოს-წყლის სამჴრეთისა ჭოროხამდე" (**ვახუშტი**, 1941:175).

აჭარაში თემის საზღვრებში მოსახლე მეკომურთა ურთიერთობას, ამ ურთიერთობათა ციკლს თემობა საზღვრავდა. თემის სამეურნეო, იდეოლოგიური და სოციალური ინტერესების თანხვედრილობა მთისა და ბარის საერთო-სასოფლო და საერთო-სათემო გაუნაწილებელი, ე. წ. **<u>ჯუმალი</u>** მიწების ჯგუფური სარგებლობის წესში (**მგელაძე**, 1985:101-103), ლოკალიზებული ნათესაური ჯგუფის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთდახმარების ფორმებში, მომთაბარეობის დაწყება-დამთავრების დროისა და პირობების რეგლამენტირებაში, მეთემეთა უფლება-მოვალეობანის განსაზღვრულობასა და ხალხური სამართლებრივი ნორმების თვითმყოფადობაში, ადათობრივი სამართლისა და მმართველობის თავისებურებებში, საკულტო რიტუალების შესრულებაში, კალენდარულ დღესასწაულებსა თუ სხვა სახის წეს-ჩვეულებებში ვლინდებოდა. ამასთან, მეთემეთა ერთობა განსაკუთრებულად ზოგიერთი რელიგიური რიტუალის შესრულებასა დღესასწაულში, ხალხურ დღეობა-გართობებში, წარმართობის დროიდან მომდინარე ტაროსის

ღვთაებისადმი მოწყობილ მსხვერპლთშეწირვასა და მსხვერპლთშეწირვასთან დაკავშირებულ ცერემონიებშიც წარმოჩნდება. სახმარი მიწების კომპაქტური განლაგება, საძოვარ-სათიბებითა და ტყით საერთო-სასოფლო და საერთო-სათემო სარგებლობის წესი მეურნეობრივი ინტერესების ერთიანობას უწყობდა ხელს. გარდა ამისა, სათიბების მორწყვა, მათი დაცვის აუცილებლობა და მთა-ბარობის ანუ საქონლის სეზონურად ფერდასა და მთაში გადარეკვის, ე. ი. მენახირეობის, მეხარეობის, მეცხვარეობის დაწყება-დამთავრების დროის ორგანიზაცია მთელი სოფლისა თუ თემის შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვდა. ნიშანდობლივია, რომ აჭარის მთიანეთის სათემო გაერთიანებებში ამგვარი ერთობა სამეურნეო და საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის, ოჯახისა და საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ნორმების კონსერვაციას უწყობდა ხელს. თემებში და თემთა კავშირებში ასევე უნდა ითქვას ხალხური მმართველობის - სათემო თვითმართველობის ტრადიციულ ფორმებზეც.

განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში - სამცხესა და აჭარაში თემის თავშეყრის ადგილს მოედანი, ე. წ. **სასოფლო მეიდანი** წარმოადგენდა, რასაც XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ავტორთა ფრაგმენტულ ცნობებთან ერთად, ეთნოგრაფიული მასალებიც გვიდასტურებს. მაგალითად, ღორჯომის სათემო მოედნის შესახებ გიორგი ყაზბეგი აღნიშნავდა, რომ იგი იყო საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც თემისათვის საინტერესო ყველა საკითხი განიხილებოდა. ავტორის დაკვირვებით, „სოფელი ღორჯომი მდებარეობს მოედანზე ... ტერიტორია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაახლოებით 5 ვერსია; აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კი - 3 ვერსი. ეს ვრცელი ტერიტორია უკავია ჯგუფ-ჯგუფად გაშენებულ სახლებს, მათ შორის მანძილი დაახლოებით ნახევარი ვერსი იქნება. სახლების ყოველ ჯგუფს თავისი სახელი აქვს მცხოვრებთა გვარის მიხედვით ... როგორც აღმოჩნდა, აქ არაა სოფელი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ არის მხოლოდ თემი, რომელსაც ღორჯომს უწოდებენ. სახლების ცალკეულ ჯგუფს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ადმინისტრაცია და, რაც მთავარია, - ჯამე (მეჩეთი). სოფლის მმართველობა მეჯლისის ხელშია (სასამრთლო, საბჭო), რომელსაც ყადი თავჯდომარეობს და შედგება რამდენიმე არჩეული პირისაგან. კვირაში ერთხელ (პარასკეობით) მართლმორწმუნენი მეჩეთში იკრიბებიან, სადაც ლოცვის შემდეგ მეჯლისი არჩევს მცხოვრებთ საჩივარს. სოფლის მეჯლისი აქაური ადგილობრივი ადმინისტრაციის უმდაბლესი ინსტანციაა” (**ყაზბეგი**, 1960:84). ასევე, ს. ბავრელის ცნობით, სოფელ მარადიდში იყო პატარა მშვენიერი ბაზარი, ცენტრში ოთხკუთხა ფორმის მოედნით. მისი ერთი ნაწილი მეჩეთს ეკავა, ხოლო წინა მხარეს - წყარო იყო გამართული (**ბავრელი**, 1879). ილია ადამიამ ყურადღება მიაქცია აჭარული ძველი სოფლის ტიპურ მოედანს, საზოგადოებრივი თავშეყრის ცენტრს და მისი ჩამოყალიბება ხალხურ დღესასწაულებს, სათემო შეკრებებს, სავაჭრო და რელიგიურ წარმოდგენებს დაუკავშირა (**ადამია**, 1956:36). როგორც ვხედავთ, აჭარის მთიანეთში თემის ყველა დასახლებული უბნისათვის მოედნის სახით საერთო ცენტრალური ნაწილი არსებობდა, რომელიც თემის გული, თემის საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ცხოვრების ცენტრი იყო.

მმართველობითი, წარმომადგენლობითი ორგანო - უხუცესთა საბჭო აჭარაში ადრე დიდი და პატარა, შესაბამისად, ეს დიდი და პატარა ორგანოები სამართლებრივი საკითხების განსაზღვრული თემატიკით შემოიფარგლებოდა. აჭარაში ამგვარი უხუცესთა საბჭო - „მოხუცთა საბჭოდ" იწოდებოდა, რომელსაც ოსმალთა მმართველობის პერიოდში ტერმინი - „იხტიარ მეჯლისი" ჩაენაცვლა. **მოხუცთა საბჭო**თემის უხუცესთა და ავტორიტეტულ პირთა - „წინაჲ კაცთა" (წინაჲ პირთა) წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო იყო, რომელსაც წარსულში „მოყრიანობას", ხოლო გვიანი შუასაუკუნეებისათვის, ასევე, ოსმალთა მმართველობის დაწყებიდან - „ოლქობას" ეძახდნენ (იხ.: **მგელაძე**, 1964; **ახვლედიანი**, 1970). იგი საჭირბოროტო - სამართლებრივი საკითხების განსახილველად თემის მოედნებზე, თემის საკულტო ნაგებობების მახლობლად, სერებზე, კორდზე, ბახჩებში, ამა თუ იმ მეკომურის კალოზე, გზაჯვარედინებზე, წყაროებთან, სამჭედლოებთან თუ წისქვილებთან იკრიბებოდა, თუმცა მათგან უფრომიღებული იყო საზოგადოებრივი თავშეყრა შადრევნებთან და წყაროებთან. საერთოდ, საკულტო ნაგებობებთან სიახლოვეს გამართული წყარო-შადრევნები მოედნის მისასვლელთან ანდა გზის პირას მდებარეობდა და ნათალი თეთრი ქვისაგან ნაგებ შვიდწახნაგოვან ღია აუზს წარმოადგენდა (**ადამია**, 1956:35). წყაროების, შადრევნების, ისე როგორც რუს მოვლა-პატრონობა, წყლის განაწილება და მათზე ზედამხედველობა საგანგებოდ გამოყოფილ პირს „მეწყლეს" ევალებოდა. იგი გაწეული შრომის საფასურად სათანადო ნატურალურ და ფულად ანაზღაურებას იღებდა. მის საქმიანობაში სათემო და სასოფლო გზების მეთვალყურეობა დამონაჟურ წყალზე კვლების „გაყვანაც"შედიოდა. მიუხედავად ამისა, ხშირად სახმარ და სარწყავ წყლებს თავად თემი და მეთემეები უვლიდნენ და მფარველობდნენ, რადგან ეს საზოგადოებრივ საქმედ ითვლებოდა. თემი განსაზღვრავდა მათი მოვლის პრინციპებსაც. თემი თავშესაკრებ ადგილებში გამოტანილი თემებში საერთო-სათემო სასტუმროების მოვლა-პატრონობის საკითხიც იხილებოდა. საერთოდ, სასტუმროები სათემო მოედნების ახლოს შენდებოდა. ზოგიერთ სასტუმროს შადრევნის თავზეც აგებდნენ, სადაც მეორე სართული მგზავრთათვის იყო განკუთვნილი. ღამის გამთევი, როგორც წესი, ღამის გათენებასა და კვებაში საფასურს არ იხდიდა, რადგან სტუმართათვის განკუთვნილი სასტუმრო სახლების მოვლა-პატრონობა თემის საზოგადო საქმე იყო. თითოეული ოჯახი ვალდებული იყო „სასტუმრო სახლს" მორიგეობით მომსახურებოდა, დაეცვა წესრიგი, უზრუნველეყო სასტუმრო ლოგინით, წყლით, შეშით, ცხენის საკვებით, დროულად შეეკეთებინა სახურავი. უსასყიდლო სასტუმროების მშენებლობის ტრადიციის ჩამოყალიბებას უძველესი ხანის საზოგადოებაში ვარაუდობენ, კერძოდ, კი იმ ეპოქაში, როცა საზოგადოება სოციალურად ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული და ოლიგარქიულ იერსახეს არ ატარებდა.აჭარაში სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებული წესები დაუწერელი კანონი იყო და იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. სასტუმრო სახლებს ანუ „მეიდან-ოდებს" ცალკეული ოჯახებიც აგებდნენ. მათ ხშირად შეხვდებოდით შავიზღვისპირა ზოლის სოფლებშიც. დადასტურებულია შემთხვევები, როცა კარმიდამოში ორი საცხოვრებელი სახლი იდგა, რომელთაგან ერთი ოჯახის წევრთათვის, ხოლო მეორე - სტუმართათვის იყო განკუთვნილი. ზოგჯერ, სასტუმროში ერთი ოთახი მაღალი წრის, მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელი სტუმრისათვის იყო გამიზნული, ხოლო დანარჩენი თემის

ჩვეულებრივი წარმომადგენლებისათვის. სახლობის უფროსი სტუმრისგან გასამრჯელოს არ ღებულობდა. სასტუმრო სახლის გარდა სტუმრის მოსასვენებელი, კეთილმოწყობილი ოთახის სახით, ოჯახის საცხოვრებელ ბინაშიც იყო წარმოდგენილი. ოსმალთა ზეგავლენის მიუხედავად აჭარაში სტუმარმასპინძლობის ტრადიციული, მათ შორის, მატერიალური კულტურის არაერთი ელემენტი შემოინახა, რომელთა სათავეები კოლხური კულტურიდან მომდინარეობს (**ჩიქოვანი**, 1972:1422).

ამა თუ იმ თემსა თუ ხეობაში უხუცესებმა კონკრეტულად იცოდნენ „მოყრიანობისა" და „ოლქობისათვის" სად უნდა შეკრებილიყვნენ, მაგრამ ზოგჯერ მთელ აჭარაში შესაკრებად ერთი ადგილი არ ყოფილა დადგენილი. სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან ირკვევა, რომ ხინოს თემი „ჭახათში"- ხევის ქვემო სოფელში იყრიდა თავს, ხოლო კინტრიშის ხეობის ხუთი თემი - „ჭაინათის მინდორზე", ჩაქვის ხეობის ორი თემის საოლქო ადგილი - „ჩაისუბანი" ყოფილა. მაჭახლის ხეობის სოფლები მოყრიანობასა და ოლქობას „ზედა ხერთვისში", „აჭარის აღმართსა" და „აჭარის წყალზე" მართავდნენ. წყაროებსა და კორესპონდენციებში დიდ - სამხარეო შესაკრებ ადგილებად „ხულო", „ქედა", „დანდალო", „კახაბერი" და „ბათუმი" დამოწმდა. ზემო ხინოში ჩაწერილი ერთი ლექსში თავშესაყარ ადგილად „მუხაესტატე" მოიხსენიება: „ზედა და ქვედა აჭარა მუხაესტატეს შეიყარა" (იხ.: **მგელაძე**, 2014:139-187). სამხარეო მოყრიანობასა და ოლქობაზე მოსახლეობის დასწრება სავალდებულო ყოფილა, რაც კინტრიშის ხეობაში ველზე გამოვლენილი ერთი ეთნოგრაფიული ცნობითაც ირკვევა: „ხალხმა მოაწყო ოლქობა და ყველა სოფლის ხალხი თავს ვიყრიდით ჭაინათის მინდორზე, სადაც სამი ათას კაცამდე იქნებოდა. კრებას ვერავინ ვერ დააკლდებოდა. ხინოდან მოკიდებული ყველა სოფლის კაცი თავს მოიყრიდა ხუცუბანში, ჭაინათის მინდორზე, სადაც ხალხი აზრს გამოთქვამდა (**აჭარის**..., 23). ამასთან, აჭარის თავკაცებისა და ავტორიტეტული უხუცესების ასეთ წარმომადგენლობით ყრილობაზე დასწრება არა მხოლოდ აჭარის ყველა თემთა ინფორმირებულობისათვის, არამედ გადაწყვეტილების მიღებისათვისაც აუცილებელი იყო.

მოყრიანობაზე და ოლქობაზეშერჩეულ ადგილზე - მოედანზე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად, სოფლების მიხედვით სხდებოდნენ და, როგორც წესი, თემობასუპირატესად ხანში შესულები თაობდნენ. დამსწრეთა უმრავლესობა თავყრილობის ადგილზე შეიარაღებული მიდიოდა. სვანეთის მსგავსად (**ხარაძე**, 1960:21; შდრ. 1953) აჭარის სახალხო მმართველობის რთული სისტემისათვის ფედერაციულ გაერთიანებათა პრინციპები იყო დამახასიათებელი, როდესაც ტერიტორიული ერთიანობის საფუძველზე ლოკალური კავშირები იქმნებოდა. თითოეულ ლოკალურ კავშირს - თემსა თუ ხეობას თავისი გამაერთიანებელი ცენტრი გააჩნდა, მაგალითად, როგორც ითქვა, ხინოს - ჭახათი, ქობულეთს - ჭაინათი, მაჭახელას - ხერთვისი, აჭარის-აღმართი და აჭარისწყალი, ქედას - დაბა ქედა, ზეგანს, ე. ი. ზემო აჭარას - ხულო, სადაცდიდი შეკრება იმართებოდა და საკითხიც ხმის უმრავლესობით წყდებოდა. თემთა, ხევთა და ხეობათა განლაგების ასეთი მმართველობითი პრინციპი თვალნათლივაა ასახული ლექსში, რომელიც ჩახალ-ოღლიზე მოგვითხრობს (იხ..: **უმიკაშვილი**, 1937). ლექსის ერთი ვარიანტი „საქართველოს სიძველენის" მესამე ტომშია შეტანილი.

სათემო მოედნები საზოგადოებრივი განვითარების იმ საფეხურზე წარმოიქმნენ, როდესაც ქართულმა ტრადიციულმა სოფელმა და ტერიტორიულმა თემმა ჩამოყალიბება (**მგელაძე**, 1982:217)დაიწყო. მცირე სათემო თავშესაკრებებით ზემო აჭარაც იყო გამორჩეული. ღორჯომის ხეობაში, სოფელ აგარის თავდაპირველ საუბნო ცენტრში არსებულ საზოგადოებრივი შეკრების ადგილს - „კორდს", ხოლო მის გვერდით გამავალ ვიწრო გზას, პატარა შუკას, ადგილობრივი მოსახლეობა „ფოლოცს" („ფოლოტს") უწოდებდა. იქვე სახელდება დღეს უკვე იავარქმნილი ქრისტიანული სამლოცველო, რომელიც, როგორც ივარაუდება, წმიდა გიორგის სახელობის უნდა ყოფილიყო. არაა გამორიცხული, რომ ზემო აჭარაში საზოგადოებრივი შეკრებებისათვის განკუთვნილ მოედნებსა და თავშესაკრებ ადგილებს ადრეულ ხანაში „სერისა" თუ „კორდის" გარდა **ფოლორცი** რქმეოდა. შესაკრებ ადგილებთან კონტექსტში ზემო აჭარაში ხშირად ფიგურირებს სიტყვა - **სეროზა**, განსაკუთრებით ტოპონიმებში. სიტყვა **სერი** აჭარაში, როგორც გეოგრაფიულ, ისე სოციალურ მნიშვნელობას შეიცავდა. იგი ძირითადად მთის კალთას, მთის კალთაზე წაგრძელებულ ბორცვს აღნიშნავდა, რაც იგივე შინაარსისაა, როგორიც სულხან-საბა ორბელიანის მიერ განსაზღვრული ,,სერი'' იყო: „სერს უწოდებენ მოგძედ წარზიდულ გორასა" (**ორბელიანი**, 1949:314). XVIII საუკუნის ლექსიკოგრაფი სერის სხვა მნიშვნელობებსაც იცნობდა, მაგალითად, მისი განმარტებით „სერი - ესე არს მიმწუხრი საზრდელის მიღება" ანდა „სერს უწოდებენ მეცხორენიცხოვართ ყურის დაჭ-დევასა".თავყრილობასთან მიმართებაში შესაძლებელია ამ ტერმინს გარკვეული კავშირი ჰქონდეს ბიბლიურ „სეროზასთან", რომელიც „საიდუმლო სეროზის'" სახელწოდებითაა ცნობილი, რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებასთან(„სეროზა მიმწუხრის საზრდელის მიღება)" კონტექსტში არ უნდა განიხილებოდეს. საიდუმლო სეროზა - ქრისტესა და მოციქულების საიდუმლო ვახშამი საჭირბოროტო საკითხების განსახილ-ველად შეკრების ტოლფასი ჩანს. ამ დღეს იესო ქრისტემ წმინდა ზიარების საიდუმლო დააწესა, შესაბამისად, სრულიად დასაშვებია, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების აჭარაში ქრისტიანული სალოცავების მახლობლად სერებზე გამართულ სათემო შეკრების ადგილებს წაბაძვით „სეროზის" სახელწოდება მიეღო, რაც ტოპონიმებშიც სათანადოდ აისახა კიდეც.აჭარის სხვადასხვა ხეობაში, მათ შორის, ღორჯომის ხეობის ცალკეულ სოფელში, ამ თვალსაზრისით მრავალმხრივ საინტერესო სასოფლო და საუბნო თავშე-საკრები ადგილები გამოვლინდა. ასეთები იყო: **სეროზა** - სეროზის უბანი, **საგობრითავი**-ვერცხლას უბანი, **სერი** - დურსუნიენთების უბანი, **კარჭლიძირი**- გოლაძიენთების უბანი, **ნაოსპისერი**- აბაზიენთების უბანი. სოფელ ვანაძეებში მოსახლეობა ადგილ კორდზე, მეხალაშვილებში - „ბახჩებზე", ვაშაყმაძეებში - „სერზე", ხოლო მეკეიძეებში - „ზედა კალოზე" იკრიბებოდა. სახალხო თავყრილობასთან კონტექსტში უპირველესად ისეთი სიტყვები იკვეთება, როგორებიცაა **სეროზა**, **კორდი** და **კალო**, თუმცა ზემო აჭარაში საზოგადოებრივი შეკრების ადგილის აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიცაა გამოვლენილი, კერძოდ, ზემო აჭარაში - აჭარისწყლის სათავეების სოფლებში მოწმდება ადგილის სახელ-წოდებები - **ფოლოტი** და **ფოლოცი**, იგივე, **ფოლორცი**. **ფოლო** და **ფოლორცი** ქართულ ლექსიკონებშიცაა შესული. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ფოლორცი შუკა"-ა, ხოლო „ფორი - მეიდანი"(**ორბელიანი**, 1949:689). ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული

ლექსიკონის” მოხედვითაც ფოლორცი - „შუა ბაზარი, ანუ მეიდანი”-ა, ხოლო „ფორე” და „ფორო” - მეიდანი, რასაც ლექსიკოგრაფი „Forum”-თან კონტექსტში განიხილავდა (**ჩუბინაშვილი**, 1961:395-396). ტერმინი **ფოლორცი** „ქართლის ცხოვრებაშიც” აისახა და იგი განმარტებულია, როგორც „ქუჩა” (**ქართლის**... 1959:101,176,231,610). ზემო აჭარის სოფელ აგარის თავდაპირველ საუბნო ცენტრში არსებულ საზოგადოებრივი შეკრების ადგილს „კორდს” უწოდებდნენ, ხოლო მის გვერდით გამავალ პატარა შუკას კი - „ფოლოცს” („ფოლოტს”) - (იხ.: **მგელაძე**, 1982:82-84; **მგელაძე**, **ტუნაძე**, 2007). საქართველოს ისტორიული წარსულიდან ცნობილია სერები და ბორცვები ძველ ადამიანთა საცხოვრისებს რომ წარმოადგენდნენ. თანდათანობით ადამიანებს სამოსახლოდგორა-ბორცვების ძირი ანდა მათ შორიახლოს მდებარე ადგილები შეურჩევიათ, გორა კი სპეციალური დანიშნულების საზოგადო - სალოცავ ადგილად, უფრო ზუსტად, საკურთხეველ-სამსხვერპლოდ დარჩენილა (დაწვრ. იხ.: **ბერძენიშვილი**, 1960:155). თავის დროზე ქრისტიანობა ამ ბორცვებიდან ბუნებრივია, წარმართული როკვა-ღრეობის მოხსნას შეეცადა, რაც იქ ეკლესიების აგებაში გამოიხატა. მათი ნაწილი გვიან შუასაუკუნეებში, ოსმალთა მმართველობის პერიოდში, მუსლიმანურმა „ჯამეებმა” დაიკავა. ასევე უნდა მომხდარიყო ზემო აჭარის რიგ თემში. მაგალითად, აგარის თემში მეჩეთის ასაგებად იმთავითვე სოფლის ძველი მოედანი შეურჩევიათ, მაგრამ უბნის მკვიდრთა წინააღმდეგობის გამო ჯამე „კისკაურში‘“ დაუდგამთ. თემის მცხოვრებთ ამის შემდეგ ძველი „ფოლოტი” არ დავიწყნიათ. აქ ტაროსისადმი მიძღვნილი მსხვერპლშეწირვა კვლავინდებურად ეწყობოდა, იმართებოდა ძველთაგანვე შემორჩენილი დღესასწაულები, ხალხი თავისუფალ დროსაც იქ იკრიბებოდა (იხ.: **მგელაძე**...).

განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სამართლებრივი საკითხები, რომლებიც უბნების, სოფლებისა და თემების თავშესაკრებ ადგილებში - მცირე და შედარებით დიდ მოედნებზე ხდებოდა, უაღრესად მაღალი პასუხისმგებლობით თემის ავტორიტეტული და რჩეული პირების - წინაჲ კაცებისა და წინაჲ პირების მიერ განიხილებოდა, რის გამოსახატავადაც, ეთნოგრაფიულ წყაროებში კიდევ ერთი ისეთი ტერმინი არსებობდა, როგორიც **სალაყბო** იყო. უკვე დადგენილია აჭარაში თავყრილობის ადგილის ე. წ. „სალაყბოს” ადრინდელი ფუნქციები. გვიანდელი წარმოდგენით იგი ზარმაცთა თავშესაკრებ ადგილად იყო მიჩნეული, თუმცა მისი თავდაპირველი დანიშნულება სხვა უნდა ყოფილიყო, კერძოდ, სალაყბოზე გზების, ხიდებისა და საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, საზაფხულო საძოვრებზე საქონლის გადარეკვისა და მათი სეზონურ სადგომებზე დაბინავების დრო და პირობები, ასევე, საერთო-სათემო პრობლემები განიხილებოდა. იქ აგრეთვე სახალხო თამაშობები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა ამ ტიპის ღონიძიებები ეწყობოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ თანასოფლელები - თანამეთემენისერებსა და კორდებზე, წისქვილებთან, გზაჯვარედინებზე, საკულტო ხეებთან და სამჭედლოებთანაც არ შეკრებილიყვნენ (შდრ. **კახიძე**, 1974:58).სალაყბოებთან მიმართებაში ყურადღებას იქცევს ისეთი ტერმინიც, როგორიცაა **თემბელხანა**. თემბელხანან ადრე მეთემეთა თავშეყრის ადგილის სახელწოდება იყო, მაგალითად, ასეთი იყო იგი მაჭახლის ხეობაში - სოფელ ჩხუტუნეთში. ეს სიტყვა აჭარაში ოსმალთა მმართველობის დროინდელი სოციალური და

სამართლებრივი ცხოვრების ამსახველი ცნება უნდა იყოს. თურქულ ენაში „თემბელი” ბრიყვს, ბლუს, ზარმაცს ნიშნავს. „ხანი” - ირანული წარმომავლობის სიტყვაა და ქართული ენის აჭარულ დიალექტში გზებზე მგზავრთა მოსაცდელი ნაგებობის მნიშვნელობითაა დამკვიდრებული. დასადგენია, თუ რატომ ეწოდა მაჭახლის ხეობაში სასოფლო მოედანს - „თემბელხანა”. შესაძლოა, იგი დროში ისეთივე სახენაცვალი დატვირთვით გადმოვიდა, როგორადაც „სალაყბო”, თუმცა ერთი რამ ნათელია: ძველად აჭარის თემებში „წინაჲ კაცები” ცენტრში იკრიბებოდნენ, სადაც მათი ბჭობისათვის საგანგებოდ აგებული ოთახი („ხანი”) ანდა მოზღუდული არე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი.

თემის მოედნებზე თავს იყრიდა საჩალავადრო თუ საურმე გზები და ბილიკებიც. ყველა სოფელი მასთან „შარა გზით” იყო დაკავშირებული, რაც თემის უბანთა, სოფელთა და თემთა ერთიანობას განსაზღვრავდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აჭარული თემების სასოფლო მოედნები საცხოვრებელ უბნებთან შიდასათემო ბილიკებით, საურმე და საცხენოსნო გზებით იყო დაკავშირებული. თემის დასახლებაც მოედნის გარშემო ერთიან არქიტექტურულ კომპოზიციაში იყო წარმოდგენილი. ნიშანდობლივია სათემო მოედანს დასახლებული პუნქტები თითქმის თანაბარი მანძილით რომ ცილდებოდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში, მოსახლეობის ზრდა-გამჭიდროვებასთან შესატყვისობაში, ამგვარი არქიტექტურული ასამბლეა ხშირად ირღვეოდა ხოლმე.

მცირე მოცულობის თემის თვითმართველობითი უჯრედები ძირითადად სოფლის უბნის ანდა სოფლის ფარგლებში თავსდებოდა და თავშეკრების პერიოდში მეზობლის ოჯახებისათვის მოსაწესრიგებელი სამეურნეო, მაგალითად, არხით უბანში წყლის გაყვანისა თუ უბნის წყლით მომარაგების, საზაფხულო საძოვრებზე - იაილებზე საქონლის დროისა და პირობების განსაზღვრის და სხვა მრავალი ამდაგვარი საკითხების განხილვებით შემოიფარგლებოდა. ისეთი თემის თავყრილობა - მოყრიანობა, რომელიც უბნებისა და სოფლების წარმომადგენლობისაგან იყო შემდგარი, ზოგადად თემისათვის საერთო სოციალურ და სამართლებრივ რეგლამენტს ადგენდა, თუმცა იგიც უმეტესწილად ეკონომიკური საკითხების - გზების მოვლა-შეკეთებით, წყალმომარაგების გამართვით, ხვნა-თესვის დაწყებისა და მოსავლის აღების დროის განსაზღვრით, საქონლის მთაში გადარეკვისა და მისი უკან - ბარში დაბრუნების ორგანიზაციით, ასევე ზოგიერთი ისეთი სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებით იყო დაკავებული, როგორიც სისხლის და სამოქალაქო სამართალი იყო, მაგალითად, მოსისხლეთა შერიგება თუ დამნაშავისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრა, ქურდბაცაცის - პირუტყვის ქურდისა თუ დემონის - ეშმაკისეული სულის გამოვლენა, თემთა შორის სადავო საზღვრების დადგენა. მეტი ფუნქციები ბუნებრივია დიდ თემს გააჩნდა, რომელიც რამდენიმე სოფლის საკრებულოს წარმოადგენდა. იყო მესამე დონის სამხარეო სამართლებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოც, რომელიც ოლქობის სახით საგანგებო ვითარებისას მოიწვეოდა, მაგალითად, მხარისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის პრობლემების მოგვარების მიზნით. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის მთისათვის დამახასიათებული ამგვარი მმართველობა საქართველოს სხვა კუთხეების მმართველობით სტრუქტურას ძალიან ჩამოგავდა.

სათემო მოედნებზე, როგორც ითქვა, საზოგადოებრივი ყოფისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვა სამართლებრივი საკითხებიც ირჩეოდა. სისხლ-მესისხლეობის პრობლემა და მოსისხლეთა შერიგება რადგან პირად-უფლებრივ ურთიერთობათა კატეგორიაში ექცეოდა, ამიტომ, უმეტესად იგი საგვარეულოთა შორის მათი უხუცესების გადაწყვეტილების საფუძველზე ირკვეოდა, მაგრამ თუ დაპირისპირება მწვავე ხასიათს მიიღებდა, შერიგება არ მოხერხდებოდა, სისხლის აღება გარდაუვალი ხდებოდა და შურისძიებაში თემის წევრთა ფართო წრე აღმოჩნდებოდა გახვეული, ასეთ შემთხვევაში, უკვე თემის უხუცესები სწორედ სათემო მოედნებზე საჯაროდ ღებულობდნენ გადაწყვეტილებას, რომლის აღსრულება ყველასათვის სავალდებულო იყო. ასევე, მოედნებზე სადაც საკულტო ნაგებობებიც იდგა, ფიცის დადება ხდებოდა. თუ ეჭვმიტანილი პირი უარყოფდა დანაშაულში მონაწილეობას, იგი დაზარალებულს აიძულებდა მორწმუნე პირისათვის მიემართა. ეჭვმიტანილს თემის წევრების თანდასწრებით აფიცებდნენ. დაფიცების აღსრულებაც ყველასათვის სავალდებულო აქტი იყო. თუ თემის რომელიმე წევრმა სიმართლე იცოდა, მას ღვთის შიშით ვერ დამალავდა. ლენგინოზ ბოჭორიშვილს აჭარაში დაუმოწმებია დაფიცების აქტი პურზე და მჭადზეც (**ბოჭორიშვილი**, 1976:155). დაფიცების ეს წესი მჭადზე ხელის დადებაში გამოიხატებოდა და„დაიკავე მჭადი ხელში” სიტყვების თანხლებით სრულდებოდა (**ნოღაიდელი**, 1975:75; **მგელაძე**, 1984:50-59). დაფიცების ამგვარი წესი მხოლოდ აჭარისათვის არ იყო დამახასიათებელი. იგი განვითარებული შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოს სამართლებრივი ძეგლებიდანაცაა ცნობილი. ძველ საქართველოში - სამცხეში მოფიცრის როლში ნათესავები, უპირატესად, სახლიკაცები გამოდიოდნენ (**დოლიძე**, 1953:33, 37,65,85,94,140,328). გურიაში, სურების ხეობის სოფელ შუა სურებში, გამოსატეხ დამნაშავეს მღვდელი ლომისკარელის ეკლესიაში დასვენებულ ხატზე, ე. წ. „პაპაჯვარზე” აფიცებდა. ამგვარი „გადაცემა” საქართველოს სხვა კუთხეებშიც იცოდნენ. მაგალითად, სოფელ ნოღაში (ჩოხატაურის რ-ნი) ვინმეს დანაშაულს თუ მიუხვდებოდნენ, დაზარალებულის ახლო ნათესავები ეკლესიაში, ხატთან ახლოს ხეზე ლურსმანს მიაჭედებდნენ, რის შემდეგაც დამნაშავე „ჯავრით” უნდა მომკვდარიყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ხანდოს თემში შეკრების ადგილი ე. წ. **საფიცარი** დამოწმდა, სადაც თემის წევრები ეჭვმიტანილებს აფიცებდნენ. სალოცავების შიშით საფიცართან სიცრუეს ერიდებოდნენ, მაგრამ ეჭვმიტანილი თუ მაინც ტყუილს იტყოდა და დაზარალებულები შეამჩნევდნენ, მაშინ მას ხარს დააკვლევინებდნენ (იხ.: **მგელაძე**, 1984:58-59).

აჭარაში, საზოგადოებრივი თავყრილობის ადგილებში, განსაკუთრებით იქ, სადაც საკულტო ნაგებობები იდგა, ეჭვმიტანილის გამოსატეხად ადრე **ბედვა** ანუ საჯარო წყევლა სცოდნიათ. იმ შემთხვევაში თუ დამნაშავის ფიცი დაზარალებული მხარის ნათესაურ ჯგუფს არ აკმაყოფილებდა ე. წ. **ბედვა**იწყებოდა. აჭარელთა წარმოდგენით, „ნაბედვარი” ადამიანი ვერ გაიხარებდა. სოფელ ხინოშიბედვას„ამოყინვას” ეძახდნენ. ამ დროს დამნაშავის გადაცემა თემის, ანდა სოფლის ცენტრში, თავყრილობისათვის განკუთვნილ მოედანზე იწყებოდა. პროცესს სოფლის თავკაცები ხელმძღვანელობდნენ. „მოყინვება” განვითარებული შუა საუკუნეებში სამხრეთ საქართველოში - სამცხეში პატივის ახდას, სახელის გატეხვას, საქვეყნოდ შერცხვენას ნიშნავდა (**დოლიძე**, 1953:360). ამდენად, ხინოში

„ამოყინვის” სახელწოდებით ეთნოგრაფიულად გამოვლენილი ჩვეულება განვითარებულ შუა საუკუნეებში ცნობილ „მოყინვებასთან” უშუალო კავშირში იყო. ამაზევე მიუთითებს სვანეთის ეთნოგრაფიული წყაროებიც. ბალსზემო სვანეთში, კერძოდ, უშგულში, საჯარო წყევლას ნათესაური ჯგუფის - „ლამხუბ'ის” (სამხუბის) წევრები გარკვეულ დღესასწაულებზე აწყობდნენ, განსაკუთრებით მარიამობის დღეს, როცა წინაპართა საფლავებზე მთელი თემი გადიოდა. წყევლა რიტუალური ტექსტით იყო წარმოდგენილი. ნათესავთა ჯგუფსა და მეთემეებს ერთი პირი უძღვებოდა და წყევლას აღავლენდა, რომლის მართებულებასაცსამხუბის წევრები შეძახილებით ადასტურებდნენ (**მგელაძე**, **მიქელაძე**, 1996:171-202).

საუბნო, სასოფლო და სათემო მოედნები საკულტო ნაგებობების მახლობლად შემთხვევით არ მდებარეობდა. ასეთ მოედნებზე რელიგიური რიტუალების შესრულება ხდებოდა, განსაკუთრებით, მსხვერპლშეწირვის წარმართულ ცერემონიებს ჰქონდა ადგილი, რომელსაც თემის უხუცესი და მორწმუნე პირები უძღვებოდნენ. ამგვარმა წარმართულმა რიტუალებმა აჭარის მთიანეთში ჯერ ქრისტიანულ გარემოში, ხოლო გვიანი შუასაუკუნეებიდან მუსლიმანურ გარემოცვაშიც ზოგჯერ სახეშეცვლილი და ახალ რელიგიებთან ადაპტირებული ფორმით თითქმის XX საუკუნის მეორე ნახევრამდე შემოინახა თავი. მსხვერპლშეწირვას უპირატესად ზემო აჭარის ხეობებში მიმართავდნენ. ეთნოგრაფიული წყაროების საფუძველზე საილუსტრაციოდ შეიძლება ზემო აჭარაში დიდაჭარის, ღორჯომისა და აგარის თემები გამოვყოთ. აგარაში ადგილი, რომელიც წარსულში სათემო ცენტრი მდებარეობდა - საგეოგრაფიო სახელად **კორდი** ერქვა.იგი ძველი საყდრის მახლობლად, ბორცვის ძირში იყო გამართული. იქვე ოდითგანვე ამოღებული ჭა, ე. წ. **ყუÁ** (ყუი) და მსხვერპლშეწირვისათვის - ტაროსის ღვთაებისადმი მიძღვნილი ნიში იყო წარმოდგენილი. ზვარაკის შესაწირავი ასეთივე სასაკლაო ადგილები ღორჯომის თემის სოფლებსაც გააჩნდათ. ერთ-ერთი თემის საზოგადოებრივი მოედანი „მახარაულის ბორცვზე” იყო განლაგებული, სადაც ასევე ძველთაძველი „ნასაყდრი” მდებარეობდა. აგარის თემზე მიწერილი სოფლების ჯგუფი (ვანაძიები,ხაზრანაძიები, მეხეიძიები, ვაშაყმაძიები და მეხალაშვილები) გვიან მსხვერპლთშეწირვასა და მასთან დაკავშირებულ ცერემონიას ღორჯომის თემის მახარაულის სასაკლაოზე ასრულებდნენ, რაც იმ სინამდვილის ანარეკლი უნდა იყოს, როცა აგარა-ღორჯომი ერთ დროს - XIX საუკუნეში მაინც, ერთი თემი იყოდა ერთი ჯამეს - მეჩეთის ირგვლივ იყო გაერთიანებული. მეკეიძეების სოფლების თავდაპირველი სამსხვერპლო ადგილი - **ფოლოსაყელი** სოფელ ვანაძეებში მდებარეობდა.სხვათაშორისფოლოსაყელთან ახლაცაა სასაფლაო და ძველი ქრისტიანული სამლოცველოს ნანგრევები, ასევე ადგილი, რომელსაც **საყდარი** ეწოდება. შესაძლოა, ეს ეკლესიის ის ნანგრევები იყოს, რომელიც XIX საუკუნის მიწურულს გრაფინია უვაროვამარქეოლოგიურად გათხარა [**უვაროვა** (Уварова, 1891]. მსხვერპლთშეწირვას მემეთემე მამაკაცთა ძირითადი ბირთვი ყოველთვის ესწრებოდა (**მგელაძე**...). საერთოდ, სალოცავისადმი ამა თუ იმ დასახლების კუთვნილება თემის კუთვნილებასაც განსაზღვრავდა. ფოლოსაყელში სამსხვერპლოსა და ნასაყდრის არსებობა, ასევე, რიგი სხვა ფაქტი, გვაფიქრებინებს, რომ წარსულში ეს სოფლები დამოუკიდებელი სოციალური უჯრედები - თემები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან, როგორც ირკვევა, აგარა-საციხური, გელაურა-

პანტნარი და ბოღაური-ნამონასტრევი ტაროსის ღვთაებას ზვრაკად ხარს, ხოლო საკუთრივ ღორჯომისმცხოვრებნი კი - თხას სწირავდნენ, ამასთან, გადმოცემით, მეკეიძეების ზონის სოფელთა კრებული ტაროსის ღვთაებას „ყურბანს" თუ დაუკლავდა, ზვარაკი შეიძლება მხოლოდ ცხვარი ყოფილიყო, ე. ი. აქედან ჩანს, რომ დასახლებულ პუნქტთა შესაწირავები სხვადასხვა იყო, შესაბამისად, ისინი მართალია ურთიერთ მეზობლად იყვნენ განლაგებულნი, მაგრამ სხვადასხვა დამოუკიდებელ თემებს წარმოადგენდნენ.

თემში გაერთიანებული თითოეული სოფელი მოედანთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. სოფლებში წარმოდგენილ სახლობებს შორის ურთიერთობების ხასიათს კი, როგორც აღინიშნა, სწორედ მოედანი და მოედანზე გამართული სათემო ყრილობა განსაზღვრავდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სათემო თავყრილობისათვის განკუთვნილი მოედნები, ასევე, თემის საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლებოდა. საკუთრივ სოფლებისა და უბნების თავყრილობის ადგილები - პატარა მოედნები საერთო-სათემო მოედნებთან ერთობლიობას ქმნიდა. ფულადი ურთიერთობის განვითარებამ სათემო მოედნებს სავაჭრო ფუნქციებიც შემატა, თუმცა იგი აშკარად მეორადი მოვლენა იყო. მთიან რეგიონებში მეურნეობის თვითკმარმა ხასიათმა მოედანთა სავაჭრო თუ საბაზრო დანიშნულება მაქსიმალურად შეზღუდა.

ქართულ-კავკასიური პარალელები მოედნების თავდაპირველი დანიშნულების ხასიათზე მიუთითებს. სვანეთში ანალოგიური ფუნქციის მოედნები ტერმინ „სჯფ'ით" აღინიშნებოდა. სიმონ ჯანაშია მას თავშესაკრებ ადგილად მიიჩნევდა (**ჯანაშია**, 1949:286). ლაზეთში მსგავსი მოედნები - „ღარღალაშას", რაჭაში - „სანახშოს", ხევსურეთში - „საფიხვნოს" (**ჩაჩაშვილი**, 1955:233-258), ხევში - „ერობას" (საერობოს), თუშეთში - „საანჯმოს" სახელს ატარებდნენ. იგი საერთო-კავკასიურ მოვლენად გამოიყურება, რაზეც დიდოური - „ვუდიკანი", ჩეჩნურ-ინგუშური - „ფელა", ბალყარული - „ნიღაშ", ოსური - „ნიხასიც" ნათლად მიუთითებს (**ხარაძე**, **როზაქიძე**, 1964:87; **ჩიქოვანი**, 1973; 1983:113-122). დაღესტნის მთიანეთში მოსახლეობის შესაკრები ადგილი ჩვეულებრივ მეჩეთთან მდებარეობდა (**ჩიქოვანი**, 1974; 1979:29), თუმცა აქაც მოედნებზე მეჩეთის გაჩენა შედარებით გვიანდელი მოვლენა იყო. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა აჭარაშიც მოიკიდეს ფეხი, წარმართული, ხოლო შემდეგ ქრისტიანული სამლოცველოების ნაცვლად მეჩეთები მინარეთებით მოედნებზეც გამოჩნდა, რომელთა მახლობლად განლაგებული იყო სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივი თუ კერძო ნაგებობები - დუქნები, სამჭედლოები, ტალავარ-ხეივნიანი შადრევნები. გვიანი შუასაუკუნეებისათვის აჭარული სოფლის მოედნის ცენტრში მეჩეთებს საუკეთესო არქიტექტურულ-კომპოზიციური ვერტიკალით - მინარეთით რელიგიურის გარდა საზოგადოებრივ როლიც გააჩნდათ. სწორედ მეჩეთების ირგვლივ ანდა მის გარდიგარდმო ზომიერად სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივი ნაგებობანი - დუქნები, სამჭედლოები, შადრევნები ფანჩატურით იყო განლაგებული. თედო სახოკია 1876 წელს გადმოგვცემდა, რომ ღორჯომის საბაზრო მოედანზე გარდა ხის მეჩეთისა „ორი დუქანია, ხისავე მეტად დაბალი და პატარები" (**სახოკია**, 1950:134).ღორჯომის საზოგადოებრივი შეკრების ადგილი, თემის ადმინისტრაციული ცენტრი, იმავდროულად საბაზრო მოედანიც იყო, რომელიც ხევის შუა ნაწილში, უბან „დიდ-ჯამეში" ერთ-ერთ ბორცვზე იყო გამართული, სადაც დიდი ხნის მანძილზე ზედშედგმული ფანჩატურით და მეიდანოდათი

შადრევანი იყო აგებული. სასოფლო მოედნებზე შადრევნები აჭარის თითქმის ყველა ხევის - თემისათვის, მათ შორის, ჭვანის თემისათვისაც იყო დამახასიათებელი.

მოედანზე ზოგიერთ მეკომურს დუქანი კარ-მიდამოშიც კი ჰქონდა, სადაც პირველადი მოხმარების საგნები იყიდებოდა. ნაწარმი შემოჰქონდათ ახალციხიდან, არდაგანიდან - არტაანიდან, ბათუმიდან. სავაჭრო კონტაქტები ოზურგეთამდე, ფოთამდე და თბილისამდეც კი აღწევდა. გასაყიდად გაჰქონდათ რძის პროდუქტები - კარაქი, ნადუღი, ყველი, სანაცვლოდ ნავთს, მარილს, ასანთს, ქსოვილს და ოჯახისათვის აუცილებელ საქონელს იძენდნენ (**მგელაძე**, 1980:84).საბჭოთა პერიოდში სათემო მოედნებმა კვლავ იცვალა სახე. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა საკოლმეურნეო ურთიერთობების დამყარდა, აჭარული თემის სასოფლო მოედანიც გარდაიქმნა. მოედანზე გაჩნდა კანტორა, საკოლმეურნეო საწყობები, სამჭედლო და საზოგადოებრივი ნაგებობები - სკოლა, რადიო-კვანძი, კინო-კლუბი, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, ვეტერინალური პუნქტი, აბანო, საავადმყოფო - ამბულატორია, ბუფეტი - სასადილო, დუქანი, ავტოფარეხი. იქ ცენტრალური ადგილი სასოფლო საბჭოსათვის განკუთვნილმა ნაგებობამ დაიკავა.

როგორც ვხედავთ, აჭარაში საზოგადოებრივი თავშეყრის რამდენიმე ტიპის მოედანი გამოიყოფოდა: საუბნო, სასოფლო, სათემო და საოლქობო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოედნებს საკულტო დანიშნულებაც გააჩნდა, სადაც თემიდღესასწაულებს მართავდა, მსხვერპლშეწირვასა და სხვადასხვა ხასიათის რიტუალებსაწყობდა, მაშინ დავინახავთ, რომ ამგვარი შეკრების ადგილები საკმაოდ ფართო ფუნქციას ასრულებდა, თუმცა აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი თავყრილობის მოედნები და საკულტო ადგილები ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მოედანი უმეტესად თემის და სოფლის ცენტრში მდებარეობდა და შიდასათემო გზებით სოფლებსა და სოფლის უბნებში წარმოდგენილ სახლთმეურნეობებს ერთმანეთთან აკავშირებდა. სათემო დასახლება მოედნის ირგვლივ ყალიბდებოდა, გარკვეული დროის განმავლობაში მოედანი თემის ცენტრში კი არ აღმოჩნდებოდა, არამედ პირიქით - განაპირა მხარეს. ამგვარ ცვლილებებს განსახლების არათანმიმდევრობა და სხვა ფაქტორებიც განაპირობებდა, რომლებიც ტერიტორიული თვალსაზრისით თემის განაშენიანების სიმეტრიულობას არღვევდნენ. მიუხედავად ამისა მოედანი რჩებოდა იმ ადგილად, სადაც საზოგადოებრივ ყოფასთან და საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასახლების სისტემაში მოედნის ცენტრალური მდებარეობა წარმოქმნიდა ტენდენციას დასახლებული პუნქტები მის გარშემო განლაგებულიყო. ასე დაგეგმარებული საცხოვრებელი უბნები ერთმანეთის მიმართ და ერთიან ატქიტექტურულ ჭრილში დიდი სოფლის სახეს ღებულობდა - თემის ყველა სოფლისა და მათი უბნების ერთიან გარეგნობას განსაზღვრავდა. საზოგადოებრივი შეკრების ადგილის საბაზრო მოედნად ქცევა თემის შიგნით სავაჭრო ურთიერთობის წარმოქმნასა და აღებ-მიცემობის განვითარებას უკავშირდებოდა, თუმცა აჭარის მთიანეთში საბაზრო მოედანი სუსტი და განუვითარებელი იყო, რაც კუთხის რელიეფმა, უგზოობამ და მეურნეობის თვითკმარმა ხასიათმაც განაპირობა.

ამრიგად, აჭარის მთიანეთში უბნის, სოფლისა თუ თემის წევრთა თავყრილობები თემის საჭირბოროტო საკითხებთან - ხიდების მშენებლობასთან, საქონლის საძოვრებზე

გადარეკვასთან, მიწაზე დავებთან დაკავშირებით გზაჯვარედინებზე, სერებსა და კორდებზე, დიდი ხის ძირში, წყარო-შადრევნებთან, სამჭედლოებთან და წისქვილებთან, სათემო მოედნებზე ეწყობოდა, სადაც ასევე საჭიროების შემთხვევაში სისხლით და სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებთან დაკავშირებული საკითხებიც განიხილებოდა და წესრიგდებოდა. ამდენად,სათემო თავყრილობის როლი მხოლოდ ეკონომიკური საკით-ხებით არ ამოიწურებოდა. მოედანზე საზოგადოებრივი ურთიერთობებების გამომხატველ საკითხებთან ერთად, ზოგჯერ, საკმაოდ რთული იურიდიულ-პროცესუალური რეგლა-მენტიც დგინდებოდა. მოედანი, თამაშობდა რა თემის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს, იმავდროულად ზეგავლენას ახდენდა დასახლების სტრუქტურასა და მის არქიტექტურულ განაშენიანებაზე.

HISTORY

The Places of Elders Gathering (the Governing Boardof Commune) In Late Medieval South-west Georgia

Beka Mgeladze
Batumi Shota Rustaveli State University

The article discusses traditional forms of late Medieval South-west Georgian people government and related to them social and legal norms; the peculiarities of the meeting of the judge - elderly members of the commune are represented.

გამოყენებული ლიტერატურა

ადამია, 1956 - ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება - აჭარა, თბილისი.
აჭარის ... აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 23.
ანჩაბაძე, რობაქიძე, 1979 - З. В. Анчабадзе, А. И. Робакидзе. К вопросу о горском феодализме на Кавказе.-«Иберийско-Кавказское языкознание», XVIII, Тбилиси.
ახვლედიანი, 1970 - აზ. ახვლედიანი,ოლქა, ოლქობა.-„ლიტერატურული აჭარა", №1,ბათუმი.
ბავრელი, 1879 - ს. ბავრელი, ნავით მოგზაურობა ჭოროხზე.-გაზეთი „ივერია", №2.
ბერძენიშვილი, 1960 - ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან.-„საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", I, თბილისი.
ბოჭორიშვილი, 1976 - ლ. ბოჭორიშვილი, 1974 წლის აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში.-„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა", IV, თბილისი.
დოლიძე, 1953 - ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი.
ვახუშტი, 1941 - ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი.

ინგოროყვა, 1941 - პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბილისი.
კახიძე, 1974 - ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი.
მგელაძე... - ვლ. მგელაძე, ეთნოგრაფიული დღიურები და ჩანაწერები (ხელნაწერი).-იხ.: პირადი საოჯახო არქივი.
მგელაძე, 1964 - ვლ. მგელაძე, ხალხური მმართველობის ისტორიიდან აჭარაში.-„ლიტერატურული აჭარა", #3, ბათუმი.
მგელაძე, 1980 - ნ. მგელაძე, საზოგადოებრივიყოფისისტორიიდანაჭარაში. - ჟურნ. „ჭოროხი'', №2, ბათუმი.
მგელაძე, 1980 - ნ. მგელაძე,საზოგადოებრივიყოფისისტორიიდანაჭარაში. - ჟურნ. „ჭოროხი'', #6, ბათუმი.
მგელაძე, 1982 - Н. В. Мгеладзе, Изисториобщественныхотношении в ВерхнейАджарии.-«ОчеркиэтнографииАджарии», Тбилиси.
მგელაძე, 1984 - ნ. მგელაძე, ნათესაური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე.-„მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3, თბილისი.
მგელაძე, 1985 - ნ. მგელაძე,მასალებისათემომიწათმფლობელობისსაკითხისათვისაჭარაში.-„სამხრეთ-დასავლეთსაქართველოსყოფადაკულტურა", XI, თბილისი.
მგელაძე, **მიქელაძე**, 1996 - ნ. მგელაძე, ჯ. მიქელაძე. მასალები საცხოვრებელ კომპლექსსა და სოციალურ ურთიერთობათა საკითხებზე ბალს ზემო სვანეთში.-„კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში'', I, ბათუმი.
მგელაძე, **ტუნაძე**, 2007 - ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე. საზოგადოებრივი ყოფის საკითხები აჭარაში. –„კავკასიის ეთნოლოგიული კრებული'', თბილისი.
მგელაძე, 2014 - ვლ. მგელაძე, პეტრე უმიკაშვილი და ოსმალობის დროინდელი სამხრეთ საქართველო, ბათუმი.
მელიქიშვილი, 1959 - Г. Меликишвили, К историидревнейГрузии, Тбилиси.
ნოღაიდელი, 1975 - ნ. ნოღაიდელი, ხატოვან სიტყვა-თქმათა ზოგიერთი ნიმუში აწარულ დიალექტში.-ჟურნ. „ჭოროხი", ბათუმი.
ორბელიანი, 1949 - სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი.
სახოკია, 1950 - თ. სახოკია, მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი.
უვაროვა, 1891 - П. С. Уварова, Кавказ (Абхазия, Аджария, шавшетия – посховский участок), часть II, Москва.
უმიკაშვილი, 1937 - პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, თბილისი.
ქართლის... 1959 - ქართლის ცხოვრება, II, თბილისი.
ყაზბეგი, 1960 - გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში.-„გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ", თბილისი.
ჩაჩაშვილი, 1955 - გ. ჩაჩაშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში (შატილის საფეხნო).-„მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", VII, თბილისი.

ჩიქოვანი, 1972 - თ. ჩიქოვანი, სასტუმრო სახლების მშენებლობის ტრადიცია კოლხეთში.-„მაცნე", ისტორიის სერია, თბილისი.
ჩიქოვანი, 1974 - Г. Д. Чиковани, Изобщественногобытаосетин – нихас.-«Автореферат кандидатской диссертации», Тбилиси.
ჩიქოვანი, 1974 - Г. Д. Чиковани, Осетинскийнихас.-
«Кавказскийэтнографическийсборник», т. V, Тбилиси.
ჩიქოვანი, 1983 - გ. ჩიქოვანი, სასოფლო მოედნის აღმნიშვნელი თუშური ტერმინის განმარტებისათვის.-„მაცნე", ისტორიის სერია, #1, თბილისი.
ჩუბინაშვილი, 1961 - ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.
ხარაძე, 1953 - რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში (1. „ერთობილ სუანეთისჯეუ" ანუ ჯეუ ბედნიერი").-„მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", VI, თბილისი.
ხარაძე, 1960 - რ. ხარაძე, სოფლის თემი ბალყარეთში.-„მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XI, თბილისი.
ხარაძე, **რობაქიძე**, 1964 - რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანური სოფელი ძველად, თბილისი.
ჯანაშია, 1949 - ს. ჯანაშია, შრომები, I, თბილისი.
ჯავახიშვილი, 1928 - ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისი.
ჯავახიშვილი, 1930 - ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი I, ტფილისი.
ჯავახიშვილი, 1948 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბილისი.

აჭარის რეგიონში აგრარული სფეროს განვითარების არსებული მდგომარეობით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები

ასლან დევაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში სხვადასხვა დარგების მიხედვით. თავის მხრივ მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები წარმოდგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის წარმოების, სამრეწველო გადამუშავების სხვადასხვა პროფილის საწარმოთა ქსელის ფართო სპექტრით, სხვა დაეგებით. ასეთი მიმართულების სტრატეგიის განხორციელება ქმნიდა მყარ გარანტიებს ადგილობრივი რესურსების ათვისებისა და რაციონალური გამოყენებისათვის, მოსახლეობის დასაქმებისა და მათი რეალური შემოსავლების გაზრდისათვის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დონის ამაღლებისათვის, მიგრაციული პროცესების შეჩერებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის მაღალი პოზიტიური მაჩვენებლების შენარჩუნებისათვის.

ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური, შიგა და გარე ფაქტორების აქტიური ზეგავლენის გამო სერიოზული პრობლემები შეიქმნა, რომლებმაც დიდი და ნეგატიური შედეგები მოიტანა ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროში. განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა აგრარული სფეროს განვითარების დაკნინება, რამაც თავის მხრივ განაპირობა გადამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურული და წარმოების მოცულობითი მაჩვენებლების მინიმუმამდე შემცირება, ზოგიერთ სფეროში კი მთლიანად განადგურება. სტატისტიკური აღრიცხვის, სამეცნიერო კვლევითი და სხვა სახის ინფორმაციული მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმის შესახებ თუ რა რეალური მდგომარეობაა ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე არსებული მდგომარეობის კომპეტენტური, მაღალმეცნიერული, პრაქტიკული გამოცდილებით შეფასება საშუალებას მოგვცემს დავსახოთ აგრარული სფეროს განვითარების რეალური პოტენციალის გამოვლენის და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების შესაბამისი სტატეგიული კურსის ჩამოყალიბების გზები.

თუ ვიხელმძღვანელებთ გასული საუკუნის 80-90-იანი წლების საპროგნოზო მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები შემდეგი სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი:

მარცვლეული - 14600 ტ., კარტოფილი 15228 ტ., ბოსტნეული - 24000 ტ., ყურძენი - 5600ტ., ხილი - 27600 ტ., ციტრუსები - 235295 ტ., ჩაი - 81 000 ტ., ხორცი - 15228 ტ., რძე - 77500 ტ., კვერცხი - 123 000 ტ.;

რა თქმა უნდა იმ პერიოდისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგები სრულიად განსხვავებული გარემოებების ადეკვატური იყო და ხშირად არც თუ ისე ობიექტური და რეალური აღრიცხვა შეფასებებით ხასიათდებოდა. მიუხედავად ამისა სოფლის მეურნეობის განვითარების მასშტაბები დღევანდელთან შედარებით შთამბეჭდავი იყო.

№	დასახელება	სიმინ-დი	კარტოფილი	ბოსტნეული	პირუტყვის საკვები	ლობიო ანდა, შვრია	ხეხილი	კენკროვნები	ვენახი	ციტრუსები	ჩაი		დაფნა	კივი ათ. ძირი	ფეიხოა ათ.ძირი	კაკალი ათ. ძირი	თხილი ათ ძირი
											სულ	მოსავლიანი					
1	აჭარა	27	11	95	62	15	296	21	10	51	50	45	18	23	7,9	26,	17
2	ბათუმი	58	43	12	2	9	112	6	2	67	6	0	24	0,	0,7	1,4	43
3	ქედა	75	97	14	12	60	301	2	70	1	2	0	14	0,	0	5,0	17
4	ქობულეთი	68	96	31	14	16	1972	7	14	276	459	446	96	19,8	6,0	9,9	1227,4
5	შუახევი	38	15	77	4	22	70	3	13	1	-	0	8	0	0	1,8	19,8
6	ხელვაჩაური	46	91	17	21	29	477	2	7	173	37	3	42	2,5	1,1	7,5	255,
7	ხულო	367	704	124	8	20	32	0	2	0	-	0	1	0	0	1,4	5,1

მონაცემები ფრინველის, პირუტყვის და ფუტკრის ოჯახების მიხედვით
აჭარის მუნიციპალიტეტების მიხედვით ასეთია:

№	დასახელება	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ერთეული	ცხვარი ერთეული	თხა ერთეული	ღორი ერთეული	ბოცვერი ერთეული	ყველა სახის ფრინველი ფრთა	ფუტკარი სკა
1	აჭარა	68531	551	563	796	310	164821	1002
2	ქ. ბათუმი	2225	21	10	139	67	13289	14
3	ქედა	7826	8	178	63	10	25286	293
4	ქობულეთი	15385	204	104	475	132	62475	252
5	შუახევი	11936	12	26	0	0	6851	99
6	ხელვაჩაური	8923	186	212	107	28	46334	227
7	ხულო	22236	120	33	12	73	10586	117

დღეისათვის არსებული ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ 2016 წლისათვის ცალკეული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება შეადგენდა, აჭარაში:

კარტოფილი - 14,2 ათ.ტ., ბოსტნეული - 4,7 ათ.ტ., სიმინდი - 4,8 ათ.ტ., ხილი - 9,8 ათ.ტ., ყურძენი - 1,5 ათ.ტ., ციტრუსები (საშუალოდ ყოველწლიურად) – 55-70 ათ.ტ., ჩაის ნედლეული (საშუალოდ ყოველწლიურად) – 10000 -1200 ტონა; (ლაო ჩაი 200, ხოლო მაღალი ხარისხის 1000 ტონამდე), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 68,500 ათ. სული; ცხვარი - 0,551

ათ. სული; თხა - 0,563 ათ. სული; ღორი - 0, 796 ათ. სული; ყველა სახის ფრინველი - 164, 821 ათ. ფრთა; ფუტკარი - 1, 002 ათ. ცალი;

აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების რეალური შესაძლებლობების რესურსების გამოყენების დაბალ ეფექტურობაზე მიუთითებს მონაცემები ცალკეული კულტურების გაშენებისათვის განკუთვნილი მიწის ფართობების შესახებ, რომლებიც ფიქსირდება ბოლო აღწერის მონაცემებით. (ჰ)

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის მკვეთრმა შემცირებამ მრეწველობის მასშტაბები შეზღუდა და ამ დარგის როლი დააკნინა რეგიონის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის პრობლემათა გადაჭრაში. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო სტატისტიკური 2016 წლის მონაცემებით მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 10,4 კაცს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მოცულობა მოქმედ ფასებში 445,2 მილიონი ლარი იყო. აჭარის ტერიტორიაზე წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობაში 4,8 %-ით არის განსაზღვრული.

კვების მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის წარმოების მოცულობა პროგნოზული გაანგარიშებებით გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსათვის მიაღწევდა 316037 ათას მანეთს. მათ შორის ცალკეული საწარმო ობიექტების პროდუქცია შეადგენდა ღვინის ქარხანა - 8550 ათ. მანეთი, თამბაქოს ფაბრიკა - 23470 ათასი მანეთი, ლუდის ქარხანა - 3783 ათ. მანეთი, ფარმაცევტული ქარხანა - 13850 ათ. მანეთი, აჭარის საკონსერვო კომბინატი - 28 000 ათასი მანეთი, საკონდიტრო ფაბრიკა - 10000 ათ. მანეთი, აჭარპურკომბინატი - 11600 ათ. მანეთი, ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკების გაერთიანება - 30352 ათ. მანეთი, ქობულეთის ჩაის ფაბრიკების გაერთიანება - 60585 ათ. მანეთი, ჩაქვის ჩაის საწნეხი ფაბრიკა - 6550 ატ. მანეთი. ქობულეთის ტუნგოს ქარხანა - 9450 ათ. მანეთი, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები - 17 85 ათ. მანეთი, ბათუმის ჩაის გადამწონი ფაბრიკა - 54120 ათ. მანეთი, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოები სულ - 26086 ათ. მანეთი. მათ შორის ხორცკომბინატი - 19186 ათ. მანეთი და რძის ქარხანა 6900 ათ. მანეთი. კვების პროდუქტები იწარმოებოდა სხვა სამრეწველო ობიექტებშიც.

სამრეწველო პროდუქციის ცალკეული სახეობების მიხედვით წარმოების მოცულობები შეადგენდა:

ღვინო მასალა 550 ათ. დეკალიტრი, ყურძნის ღვინო 635 ათ. დეკალიტრი, პირველადი გადამუშავების შავი ბაიხაო ჩაი. 17934 ტონა, მწვანე ჩაი დაწნეხილი 5500 ტონა, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები 55,2 მლ.პ ქილა. პურ ფუნთუშეული 78,5 ატ. ტონა, საკონდიტრო ნაწარმი 6329 ტონა, ლუდი 1057 ათ. დეკალიტრი, უალკოჰოლო სასმელები 1188 ათ. დეკალიტრი, ფერმენტირებული თამბაქო 3000 ათასი ტონა, პაპიროსი და სიგარეტი 4700 მილიონი ცალი, გადამდნარი კარაქი 85 ტონა, ხორცი და სუბბპროდუქტები 6175 ტონა, რძის პროდუქტები 20794 ტონა, ყველი 620 ტონა. მრეწველობის დარგში კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი განსაზღვრული იყო 43,4 %-ით, ხოლო სხვა სამრეწველო პროდუქცია 56,6% -ით.

როგორც საქართველოში მთლიანად ისე აჭარის რეგიონში აგრარული სფეროს განვითარების დაბალმა დონემ გამოიწვია მოსახლეობის დასაქმების შემცირება, მათი

რეალური ოჯახური ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებლების მკვეთრი დაცემა, ცხოვრების დონის შესამჩნევი გაუარესება და შექმნა სხვა ნეგატიური პრობლემები. მაგრამ ყველაზე მტკივნეული საკითხია მოსახლეობის მიგრაციული პროცესების მასშტაბურობა, სოფლების დაცარიელება, დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუარესება და ა.შ.

2002 წლის სტატისტიკური აღწერის მასალების მიხედვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1989 წელთან შედარებით მოსახლეობა შემცირებულია 4,2 % -ით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2002 წლისა და 2014 წლის სტატისტიკური აღწერის მასალების მიხედვით მიღებული მაჩვენებლები ასეთია:

№	დასახელება	მოსახლეობა წლების მიხედვით, მატება, კლება				
		2002 წელი	2014 წელი	მატება, კლება 1989 წელთან შედარებით %	2014 წელი 2002 წელთან შედარებით	%
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	376016	333953	95,8	-42063	-11,2
2	ქალაქის მოსახლეობა	166398	174193	91,8	+7795	+4,6
3	სოფლის მოსახლეობა	209618	159760	99,3	-49858	-23,7
4	ქ. ბათუმი	121806	152839	89,0	+31033	+25,1
5	ქედის რაიონი	20024	16760	99,8	-3264	-16,3
6	ქალაქის მოსახლეობა	1244	1510	101,1	+266	+21,3
7	სოფლის მოსახლეობა	18780	15250	99,7	-3530	-18,8
8	ქობულეთის რაიონი	88063	74794	99,9	-13269	-15,1
9	ქალაქის მოსახლეობა	31682	16546	96,1	-15146	-47,8
10	სოფლის მოსახლეობა	56381	58248	102,1	+1867	+3,3
11	შუახევის რაიონი	21850	15044	86,1	-6806	-31,4
12	ქალაქის მოსახლეობა	980	797	108,8	-183	-1,9
13	სოფლის მოსახლეობა	20870	14247	85,2	-6623	-31,7
14	ხელვაჩაურის რაიონი	90843	51189	110,5	-39654	-43,7
15	ქალაქის მოსახლეობა	9544	1494	117,4	-8050	-84,3
16	სოფლის მოსახლეობა	81299	49695	109,7	-31604	-38,9
17	ხულოს რაიონი	33430	23327	84,4	-10103	-30,2
18	ქალაქის მოსახლეობა	1142	1007	100,9	-135	-11,8
19	სოფლის მოსახლეობა	32288	22320	83,9	-9968	-30,9

სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ზოგიერთი სოფლების მოსახლეობის რიცხოვნების ცვლილება 2004-2014 წლების აღრიცხვის მასალების მიხედვით ასეთია:

№	მუნიციპალიტეტი	სოფლები მოსახლეობის შემცირების მაღალი დონით	მოსახლეობა 2002 წლის მონაცემებით	მოსახლეობა 2014 წლის მონაცემებით	დარჩენილი მოსახლეობა %
1	ქედა	აქუცა	389	262	67,4
		დანდალო	485	347	71,5
		მოსიაშვილები	236	169	71,6
		ზედა მახუნცეთი	351	203	57,8
		ზუნდაგა	345	299	86,6
		გოგინიძეები	168	95	56,5

		ზედა აგარა	206	106	51,5
		ცხმორისი	877	600	68,4
		კანტაური	276	76	27,5
		სადილოყელი	64	0	0
2	ქობულეთი	ალამბარი	2325	1837	79,0
		აჭყვისთავი	1419	1057	74,5
		ბობოყვათი	2859	2282	79,8
		ზენითი	980	764	77,9
		კვირიკე	2664	1921	72,1
		ლელვა	2976	2081	69,9
		კოხი	810	599	73,9
		ჩაისუბანი	3117	2847	91,3
		ჭახათი	576	390	67,7
		დიდვაკე	8	0	0
		ვარჯანაული	42	0	0
		კაკუჩა	53	0	0
		კობალაური	35	0	0
3	შუახევი	გუნდაური	116	58	50,0
		ჩანჩხალო	605	486	80,3
		ბარათაული	447	308	68,9
		ვანი	243	85	34,9
		წანკალაური	93	0	0
		დღვანი	439	284	64,7
		ზამლეთი	217	115	53,0
		ოლადაური	286	146	51,0
		მახალაკიძეები	591	315	53,3
		გოგაძეები	337	143	42,4
		წაბლანა	360	281	78,1
		ჯაბნიძეები	726	427	58,8
		შუბანი	294	152	51,7
		ფოთარო	0	0	0
		ტაკიძეები	496	270	54,4
4	ხელვაჩაური	მაღლაკონი	233	204	87,6
		ზედა ახალშენი	1958	1474	75,3
		მახო	2587	2479	95,8
		მურვანეთი	280	189	67,9
		კობალეთი	209	82	39,2
		მარადიდი	403	328	81,4
		ზედა ჩხუტუნეთი	420	322	76,7
		სკურდიდი	105	52	49,5
		ჩიქუნეთი	445	349	78,4
		აგარა	911	672	73,8
5	ხულო	აგარა	908	497	54,7
		დეკანაშვილები	908	660	72,7
		გოდგაძეები	98	91	92,9
		დიაკონიძეები	348	253	72,7
		დუაძეები	602	409	67,9
		ქედლები	1276	964	75,5
		დიდაჭარა	1438	938	65,2
		კორტოხი	534	336	62,9

		ყინჩაური	376	281	74,7
		ხიხაძირი	764	455	59,5

ცხრილში მოყვანილი ფაქტობრივი მასალები აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების სოფლებში იდენტური მაჩვენებლებით ხასიათდება. როგორც მოკვლეული მასალები ცხადყოფენ სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შემცირების პროცესი ყოველწლიურად გრძელდება და უახლოეს მომავალში ტენდენცია შენარჩუნდება. სახეზეა ისეთი უარყოფითი, არასახარბიელო შედეგები როგორიცაა:

- მოსახლეობის საერთო რიცხოვნების შემცირება;

- შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით ქალაქებში სხვადასხვა სფეროებში დასაქმების მიზნით;

- მუნიციპალიტეტების თემებში და მათში შემავალ სოფლებში მოსახლეობის აღრიცხული რაოდენობის ფაქტიური შეუსაბამობა ადგილზე ცხოვრების, ოჯახურ ან ფერმერულ მეურნეობებში, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმების, სამეწარმეო საქმიანობის განვითარების პოტენციალთან მიმართებაში.

- სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის მოცულობის შემცირება, ეფექტური მიდგომებისა და სახელმწიფო ხელშეწყობის პოლიტიკური შედეგების არასაკმარისობის გამო.

- სასოფლო სამეურნეო წარმოების რესურსების გამოყენების მასშტაბების შემცირება, საკარმიდამო და სხვა ფორმით მიწების გამოყენებისადმი ინტერესის დაკარგვა აქედან გამომდინარე საკუთარი მოხმარებისათვის კვების პროდუქტების ბაზარზე შეძენის ტენდენციის დამკვიდრება, იმპორტული პროდუქციისადმი დამოკიდებულების ზრდა.

- დემოგრაფიული ფონის გაუარესება და მისგან გამოწვეული ბავშვთა კონტიგენტის ნაკლებობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით სკოლებში.

- პირდაპირი და ირიბი ფორმით უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ბინების, საკარმიდამო ნაკვეთების საცხოვრებელ სახლებთან ერთად შეძენა.

- ადგილობრივი ენდემური - და ინტროდუცირებული სასოფლო სამეურნეო კულტურების, პირუტყვის ჯიშების, მეფუტკრეობის, ისტორიულად ტრადიციული პროდუქციის წარმოება-მოხმარების შენარჩუნება განვითარების პრობლემები.

- აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, თემებში და მათში შემავალ სოფლებში ისტორიულად ჩამოყალიბებული, დამკვიდრებული და დღემდე შენარჩუნებული სამეურნეო, ყოფაცხოვრებითი, კულტურული და სხვა სახის ტრადიციების თანდათანობითი დაკარგვის, ახალი ზნეობრივი ურთიერთობებით ჩანაცვლების საშიშროება.

ბოლო წლებში ქვეყნის ხელისუფლების მიერ აქტიურად დაიწყო ეროვნული ეკონომიკის საერთოდ და მათ შორის აგრარული სფეროს განვითარების საკმაოდ ეფექტური ღონისძიებების გატარება. პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიზნებსა და ამოცანებს შორის პრიორიტეტულად განსაზღვრულია სოფლად ცხოვრებისა და მეწარმეობის განვითარების, აგრობიზნესისათვის არსებული ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ეფექტით გამოყენების მასტიმულირებელი გარემოს შექმნა.

უკვე სახეზეა მნიშვნელოვანი შედეგები, მაგრამ ჯერ კიდევ შორსაა არსებული პრობლემების გადაჭრის მიღწევა სასურველ დონესთან შედარებით.

აჭარის რეგიონში მიგრაციული პროცესების პრობლემების აქტუალობაზე მიუთითებს მონაცემები რომლის მიხედვით იკვეთება არასახარბიელო სიტუაცია. დემოგრაფიული პრობლემების გამოხატულებაა არამარტო მოსახლეობის რიცხოვნების კლება ან მატება არამედ ქორწინებათა და განქორწინებათა რიცხვი. სხვადასხვა კვლევითი მასალების მიხედვით საქართველოში 2007 წელთან შედარებით 2017 წელს ქორწინებათა რიცხვი შემცირებულია 4,8%. განქორწინებათა რიცხვი კი გაზრდილია 77,3%-ით. განქორწინებათა რიცხვი ყოველ 1000 კაცზე ამავე პერიოდში გაზრდილია თითქმის 4-ჯერ. ბუნებრივი მატება შეჩერებულია 11,2 %-ით. მეტნაკლებად განსხვავებული მაჩვენებელია აჭარაში თუმცა ტენდენცია ანალოგიურია. აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამინისტროს 2011 წლის მონაცემებით საქართველოს ყოველწლიურად 1000 ადამიანი ტოვებს. მიგრაციის ტემპით საქართველო მსოფლიოს 200 ქვეყნას შორის ერთერთი მოწინავეა და 31-ე ადგილზეა. ფაქტიურად მოსახლეობის თითქმის 70% უცხოეთშია არალეგალურად ან საქართველოს ქალაქებშია გადასული. სოფლად მოსახლეობის 51% ცხოვრობს და ამ დროს სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე მთლიანი შიდა პროდუქციის 50%-იც კი არ მოდის

საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ სერიოზულ საფუძვლებს და გარანტიებს ქმნის აგრარული სფეროს განვითარებისა და მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შემაკავებელი ეფექტის თვალსაზრისით. სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ დასახული სტრატეგიული კურსი მიმართულია ქვეყნის მთელი ტერიტორიის მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, ქართული ისტორიული სოფლების შენარჩუნებისაკენ. კანონით გათვალისწინებული შეღავათები: საპენსიო დანამატები, დანამატები მედიცინის, განათლების და სხვა სფეროს მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე, გათბობის და ელექტრო ენერგიის მოხმარებაზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთათვის ვაუჩერების გაზრდილი რაოდენობით გაცემა, საგადასახადო შეღავათები და ა.შ. მნიშვნელოვან საფუძვლებს ქმნის სოფლად მიგრაციული პროცესების შეჩერების, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და მიწათსარგებლობის ეფექტურობის ამაღლებისათვის, მეწარმეობის სფეროში მოსახლეობის ფართო მასების ჩართვის პრობლემათა გადაჭრაში.

სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მთის განვითარების ფონდის შექმნა რომლის მიზანია მაღალმთიანი დასახლებების ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა. მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის თანხები ამ ფონდიდან გაიცემა სახელმწიფო პროგრამით ,,აწარმოე საქართველო'' მთის განვითარების ფონდის ფინანსური რესურსები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობით გაიცემა ცალკეულ სუბიექტზე და მიმართულია ისეთი პროექტების განხორციელებაზე, როგორიცაა სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ხიდების მშენებლობა, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ა.შ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეგიდით განხორციელებული პროგრამით ,,აწარმოე

საქართველო'' გაიცემა 5000-დან 15 000 ლარამდე თანხები დაინტერესებულ სუბიექტებზე თანადაფინანსების ფორმით. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს კანონის ,,კოოპერატივების შესახებ'' თუმცა აჭარაში ჩატარებული კვლევები აჩვენებენ, რომ კანონს გააჩნია ბევრი სუსტი მხარეები, რის გამოც ნელი ტემპებით მიმდინარეობს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესი და იმავდროულად უკვე ჩამოყალიბებული კოოპერატივების დიდი ნაწილი წყვეტს მუშაობას ან არ გააჩნია განვითარების პერსპექტივები. მიზნობრივ პროგრამებს ახორციელებს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მიუხედავად ამისა აჭარის რეგიონში აგრარული სფეროს განვითარების დინამიკა ვერ პასუხობს რეალურ გამოწვევებს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც ხორციელდება მთელი რიგი პროექტები და პროგრამები, რომლებიც ქმნიან გარანტიებს არსებული მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. გარდა ზემოთაღნიშნული სახელმწიფო პროგრამებისა მიმდინარეობს ცენტრალური ავტომაგისტრალის, ავტობანის მშენებლობა, მთიან სოფლებში შიგა დანიშნულების გზების ასფალტირება, გაზიფიკაციის ქსელის მშენებლობა, დაგეგმილია ადიგენის საგზაო მონაკვეთის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა სხვადასხვა ადგილებში მათ შორის გოდერძის უღელტეხილზე და გომარდულში და ა.შ. ყოველივე ზემოთაღნიშნული ფაქტები ადასტურებენ ზრუნვას მთიანი ზონის მოსახლეობისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნის, დასაქმებისა და სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის.

მიუხედავად გარკვეული პოზიტიური შედეგებისა აჭარაში აგრარული სფეროს განვითარებისა და დემოგრაფიულ-მიგრაციული პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება შემდეგი მიმართულებებით:

- ეკოლოგიურად მდგრადი მდგომარეობის შექმნა და ეკომიგრანტების შემცირება;

- ოჯახური და ფერმერული მეურნეობების, სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მიერ ბაზარზე ორიენტირებული სამეწარმეო მიმართულებების რაციონალური ფორმების ჩამოყალიბება;

- ჭარბი მოსახლეობის პირობებში ახალი ოჯახების შექმნისათვის მიწის რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრაში ხელშეწყობა;

სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების კომპლექსური პირობებისა და წინამძღვრების გაფართოება;

-სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული დარგების ტერიტორიული გაადგილების რაციონალური სქემების შემუშავება;

- სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნედლეულისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის დივერსიფიკაციის დონის ამაღლება;

- სოფლის ტერიტორიაზე მცირე მეწარმეობისა და კოოპერაციის განვითარება;

- სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მომსახურეობისადმი მოსახლეობის მისაწვდომობის ამაღლება;

- საგზაო - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება;

- ინფორმაციული კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დანერგვა და მომსახურების სფეროების გაფართოება. ინტერნეტით სრულმასშტაბიანი სარგებლობის მიღწევა;

- აგრარული სფეროს განვითარების უზრუნველმყოფ რესურსებზე მოსახლეობის მისაწვდომობის გარემოს შექმნა;

- სოფლის მოსახლეობის კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

- სოფლის მოსახლეობის წარმატებული სოციალიზაციისა და თვითრეალიზაციის პირობების შექმნა;

- სოფლის ტერიტორიების განვითარების საკადრო, სამეცნიერო და მეთოდური უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

- ადგილობრივი თვითმართველობის და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინსტიტუტების გამოყენების გაუმჯობესება;

- ტრადიციული აგროლანდშაფტის შენარჩუნებისა და ბუნებათსარგებლობის რაციონალური გამოყენების პირობების შექმნა;

აჭარის ტერიტორიაზე ცალკეული მუნიციპალიტეტები, თემების და სოფლების განვითარების რესურსების პოტენციალისა და გამოყენების მიმართულებების მიხედვით შემდეგი ჯგუფების სახით შეიძლება დაიყოს;

1. უპირატესად აგრარული სპეციალიზაციის, განვითარების ბუნებრივი და სოციალური პირობებით.
2. ნაწილობრივ ფუნქციონალური სასოფლო სამეურნეო ეკონომიკით ქალაქის მიმდებარე სოფლის მეურნეობის ტიპით და თავისი ხელშემწყობი სოციალური პირობებით.
3. სასოფლო ტერიტორიების განვითარების არახელსაყრელი სოციალური პირობებით. სოციალურ-ეკონომიკური დეპრესიის ზონებით.
4. სასოფლო ტერიტორიები სუსტი ათვისებულობით, არახელსაყრელი ბუნებრივ კლიმატური პირობებით.
5. სასოფლო ტერიტორიები ტურისტული ცენტრების და დაცული ტერიტორიების მიმდებარე ზონებთან ახლოს, წარმოებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობით და ოჯახური ტურიზმის განვითარების პოტენციალით.
6. სოფლების ტერიტორიები მრავალდარგობრივი სასოფლო სამეურნეო წარმოების სტრუქტურით, გადამამუშავებელი საწარმოო ინფრასტრუქტურით.
7. ქ. ბათუმის, ქობულეთსა და სხვა ქალაქის ტიპების დასახლებაში ოჯახური და ფერმერული მეურნეობები.

სოფლის ტერიტორიების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის ღონისძიებების, პროექტებისა და პროგრამების შემუშავების მიზანი უნდა იძლეოდეს საშუალებას მაქსიმალური ეფექტით შექმნას პირობები რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს მოსახლეობის მოტივაციას ქვეყნის გარეთ მუდმივად

თუ დროებით წასვლაზე და ეს მოტივაციები მსოფლიო მასშტაბით ყველა ქვეყნისათვის თითქმის იდენტურია. მათ შორის უნდა აღინიშნოს:

-თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი;

- სურვილი უზრუნველყოს შვილების მომავალი, მიაღებინოს მათ კარგი განათლება;

- თავისი საქმიანობისათვის კაპიტალის გამომუშავების სურვილი;

- სოციალური გარანტიების არ არსებობა, პროფესიული და ცხოვრების პერსპექტივების განუსაზღვრელობა;

- სწრაფვა იცხოვროს თავის ახლობლებთან და ნათესავებთან ერთად;

- თვითრეალიზაციის შესაძლებლობების არარსებობა;

- მიგრაციის არამარტო ეკონომიკური არამედ მენტალური პრობლემა;

ბევრს ქალაქში მეტად უარეს პირობებში ურჩევნია ცხოვრება. სოფლის მოსახლეობის მიგრაციის პროცესის შეჩერებისა და მართვის აგრარული სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში უზრუნველყოფილი იქნას საინვესტიციო რესურსების დაბალანსირებული განაწილება ცენტრსა და რეგიონებს შორის, საბიუჯეტო სახსრების, გრანტების და სხვა რესურსების მიზნობრივი გამოყენებით პროგრამების შედგენა და სათანადო მონიტორინგის განხორციელება.

ზოგადი ხედვა აჭარაში აგრობიზნესის განვითარების პრობლემასთან დაკავშირებით გულისხმობს ისეთი ამოცანების გადაჭრას როგორიცაა:

- სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწის რესურსების სრულფასოვანი ინვენტარიზაცია და მათი მეცნიერულად დასაბუთებული შეფასებით მიზნობრივი გამოყენების დადგენა ცალკეული კულტურების მიხედვით.

-სასოფლო სამეურნეო წარმოების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების დასაბუთებული სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტების შემუშავება;

-სასოფლო სამეურნეო წარმოების დარგთშეთანაწყობის და დარაიონება გაადგილების სქემების შემუშავება სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით.

- სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში თანამედროვე აგროტექნოლოგიების შემუშავება, ნიადაგის ნაყოფიერების, დაავადებებისა და მავნებლების გავრცელების ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე.

-გადამამუშავებელი მცირე და საშუალო სიმძლავრის საწარმოო ობიექტების შექმნა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების, კოოპერატივთშორისი სარგებლობისა და მუნიცი-პალიტეტის რესურსული პოტენციალის გამოყენების გათვალისწინებით.

- სასოფლო სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებისა და შენახვის ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა. მათ შორის ისეთი მარტივი ტექნიკური საშუალებების გამოყენება რომელიც შესაძლებელს გახდის ოჯახებში სხვადასხვა სახის ნედლეულის გადამუშავებას საკუთარი მოხმარების პროდუქტების დამზადებისათვის ან რეალიზაციისათვის;

- რეგიონში მოქმედი სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების საპროექტო და სხვა საწარმოების მეცნიერთა ჯგუფების მუშაობის კოორდინაცია საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და ექსპერიმენტალური წარმოების ორგანიზაციისათვის.

რეგიონის აგრარულ სფეროში არსებული პოტენციალი სასოფლო სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავებით მიღებული პროდუქციის მრავალფეროვნების თვალსაზრისით საკმაოდ მაღალია. რეგიონში არსებული სამეცნიერო კვლევითი, საგანმანათლებლო, საპროექტო და სხვა ორგანიზაცია დაწესებულებების მიერ შემუშავებული და პრაქტიკაში აპრობირებულია მრავალი უნიკალური ტექნოლოგია მაგრამ გადამამუშავებელი საწარმო ინფრასტრუქტურა ფაქტიურად ახლად არის შესაქმნელი რისთვისაც ამ ტექნოლოგიების გამოყენება დიდი რესურსია.

№	სასოფლო-სამეურნეო ნედლეული	გადამუშავებით მიღებული პროდუქცია	ტექნოლოგია შემუშავებულია (+) შესამუშავებელია (-)	შესაქმნელი ინფრასტრუქტურა
1	მანდარინის ყვავილი	ექსტრაქტი, ლიქიორი, უალკოჰოლო სასმელები, საკონდიტრო და სხვა ნაწარმი	+	გადამამუშავებელი საწარმო
2	არასტანდარტული მანდარინის ნაყოფი	კონცენტრატი, რბილობიანი და მის გარეშე წვენები, მურაბები, ჯემები, პექტინი, ნაყენები და ა.შ.	+	გადამამუშავებელი საწარმო
3	ჩაი	შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე და სხვა სახის ჩაი, ცივი ჩაი, სასმელები სხვა პროდუქცია	+	გადამამუშავებელი საწარმო
4	სუბტროპიკული ხურმა	სტანდარტული ნაყოფი, კონცენტრატი, ფხვნილი, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, დანამატები საკონდიტრო წარმოებისათვის, სპირტი, ჩირი და ა.შ	+	გადამამუშავებელი საწარმო
5	თხილი	გარჩეული და გაურჩეველი	+	არსებობს იმპორტული და სამამულო წარმოების მოწყობილობა დანადგარების
6	ყურძენი	ღვინო პროდუქცია, სუფრის ყურძენი, სხვა პროდუქცია	+	მოქმედებს ღვინის ქარხანა, ღვინის სახლები, მარნები ფერმერულ მეურნეობებში და ოჯახურ მეურნეობებში.
7	ბოსტნეული და ბაღჩეული	საკონსერვო წარმოება	+	გადამამუშავებელი საწარმო
8	ხილი	ხმელი ხილი, წვენები, კონსერვები, სპირტი და ა.შ.	+	გადამამუშავებელი საწარმო
9	თევზის სატბორე მეურნეობის	თევზი, კონსერვები და სხვა პროდუქცია	-	გადამამუშავებელი საწარმო

	პროდუქცია (კალმახი, სქელშუბლა, ზუთხი). ზღვის თევზი			
10	დაფნა	ნედლი და ხმელი ფოთოლი, სხვა პროდუქცია	+	დამამზადებელი და საშრობი საწარმო
11	კარტოფილი	ჩიფსი, სახამებელი, ფქვილი, სპირტი, საადრეო კარტოფილი	+	გადამამუშავებელი საწარმო
12	რძე	რძის პროდუქტები	+	გადამამუშავებელი საწარმო
13	ხორცი	ხორცპროდუქტები	+	გადამამუშავებელი საწარმო
14	ფრინველი	ფრინველის ხორცი, კვერცხი და სხვა პროდუქტები	+	გადამამუშავებელი საწარმო
15	მთის მარწყვი, მოცვი და სხვა პროდუქტები	კონსერვები, წვენები	+	გადამამუშავებელი საწარმო
16	თაფლი	თაფლი და თაფლის პროდუქტები	+	გადამამუშავებელი საწარმო

აგრარული სფეროს განვითარებისათვის აუცილებელია რეგიონში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობების ინფრასტრუქტურის შექმნა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის აგრარული და ეკონომიკური კვლევების დარგობრივი კომისიების კვლევებით განსაზღვრულია დარგობრივი პრიორიტეტები აჭარის ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში, სუბტროპიკულ ზონაში: მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მევენახეობა, სუბტროპიკული კულტურები, სასათბურე მეურნეობები, თევზის სატბორე მეურნეობები, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა.

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში მეჩაიეობა შეზღუდული მასშტაბებით ქედაში მევენახეობა -მეღვინეობა, საღვინე და სუფრის ყურძნის წარმოება, მეხილეობა, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების წარმოება, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, ალპურ ზონაში მარწყვის, ნივრის, კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოება, თევზის საბტორე მეურნეობა, მეფუტკრეობა სასათბურე მეურნეობა და გადამამუშავებელი სხვადასხვა სიმძლავრის საწარმო ობიექტები.

ECONOMY

Socio-economic and demographic problems caused by the development of agriculture in the Adjara region

A. Devadze

The task of solving demographic, migration and socio-economic problems has a serious, national level of importance in Georgia and in almost all regions of the country.

Scientific researches and other information sources show that the traditional tendency of the dynamic growth of population, the rural life of the population, the laborof historically characterized agriculture has broken in the region of Adjara.

For many objective reasons the villages are empty in Adjara region,life in rural areas lose stimulus and gradually decrease the use of local resources in the direction of production, processing and realization of agricultural raw materials

The reduction of the level of socio-economic status of the population in individual municipalities, communities and villages of Adjara, the development of migration processes, the deterioration of demographic background are conditioned by insufficient level of agrarian sphere development.

The article provides comparative material with data from 80-90 years of last century, analyzes the causal links to individual problems and emphasizes the priority directions, implementing projects and programs that will create preconditions to overcome existing challenges.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2002 წლის აღწერის მასალები. თბილისი 2002 წელი.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სასოფლო სამეურნეო აღწერის 2014 წლის მასალები. თბილისი 2014 წელი.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015, 2016 და 2017 წლების მასალები;
4. ა. დევაძე ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის როლი განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესის განვითარებაში''. ბათუმი 2016 წელი. შრომები I ISSN 2449-2507.
5. ა. დევაძე ,,აგრარული სფეროს განვითარების დონე წარსულში და დღევანდელი სტრატეგია აჭარის რეგიონში'' ბათუმი 2017 წელი, შრომები II ISSN 2449-2507.
6. ვ. პაპუნიძე, ა. დევაძე ,, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები აჭარაში და მისი გადაჭრის შესაძლო გზები''. აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული ტ. 3 №1(50) თბილისი - 2009 წ.
7. ა. დევაძე, ვ. პაპუნიძე. აგრარული სფეროს განვითარება. ჟურნალი კვალი 2015 წელი.
8. აჭარის ცენტრალური არქივის მასალები.

აკაკი წერეთლის „საიდუმლო ბარათი“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“

გურამ ბახტაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის პოეტური გენიის იდუმალების შესახებ არაერთი აზრი გამოთქმულა ქართულ ლიტ.მცოდნეობაში. გრიგოლ რობაქიძემ კი, აკაკის ფენომენი „შეუცნობელ გენიალობად“ (https://burusi.wordpress.com/2009/05/30) აღიარა და მისი შესწავლა მომავლის საქმედ დატოვა. ისეთი ნიჭიერი მოაზროვნის მიერ, როგორიც გრ. რობაქიძეა, ამგვარი მინიშნება გარკვეულწილად ავალდებულებს ლიტერატურისმცოდნეს, კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდეს აკაკი წერეთლის შემოქმედებით და მსოფლხედველობრივ ინტერესებს. აღნიშნული გარემოება გვაბედვინებს წარმოვადგინოთ მოკრძალებული შეხედულებები აკაკის ცნობილი ლექსის, „საიდუმლო ბარათის“(1859 წ.) ახლებური ანალიზისა და შემოქმედებითი ისტორიისათვის.

აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მკაფიოდ გამოიხატა შესანიშნავ წერილში - „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის შესახებ“, რომელიც 1865 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მე-9 ნომერში დაიბეჭდა. ეს სტატია იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის პირველი აკადემიური შეფასება. ავტორი ჩასწვდა ახალგაზრდა რომანტიკოსის სულის სიღრმეებს; ლაკონურად მოხაზა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების უმთავრესი ტენდენციები და ზოგადად პოეზიის შესაძლებლობები განგვაცდევინა; ყველაზე მთავარი ის არის, რომ აკაკი წერეთელი ნ. ბარათაშვილის ლექსებს იდეური რკალით კრავს და ერთ მთლიანობად განიხილავს: აკაკი წერეთლის აზრით, ბარათაშვილმა უარი თქვა ჩვენში (ცხოვრებასა და აზროვნებაში) ტრადიციულად გაბატონებულ მიდგომებზე; რის გამოც მარტო სულად იქცა, თუმცა რთული იყო მისთვის ამგვარი ყოფა, თავის დაზოგვა არც კი უცდია, შეძლო დაენერგა არაერთი სიახლე, მოდელი ახლებური (ევროპული) აზროვნებისა. ა.წერეთელი ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად თვლიდა იმას, რომ - მან „მიაგნო იმ (ანუ ცხოვრების) აზრს, მოავლო ხელი და მოინდომა სოფლის რგება და მისი ხალხის ბედნიერება...;“ რომ მან უმთავრეს მიზნად შემდეგი სიტყვები დაისახა: „ამოსთხარე ძირიანი ეკალი და მის ნაცვლად იქვე ჩასთესე კეთილი თესლი და არ დაიკარგება“. ასევე საყურადღებოა, რომ ნ. ბარათაშვილის გვერდით თვით აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძე დააყენა. სწორედ მან დაინახა ილია ჭავჭავაძის პიროვნებაში ნიკოლოზ ბარათაშვილის გზის გამგრძელებელი (კრიტიკის ისტორიისათვის, I, 1954:400.)

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მიმართ, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა, ილიას სიყრმისდროინდელი ოცნება იყო. იდუმალი კავშირი ამ ორ გენიოსს

შორის თითქოსდა უზენაესის ნება იყო. ილიამ თავი ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერ მემკვიდრედ გამოაცხადა და ეს არასდროს შეუნიღბავს. ამიტომაც ბარათაშვილის პოეტური ნააზრევის გამოძახილი ილიას შემოქმედებაში ხშირად ხდება საცნაური. რაც ქართული ეროვნული სულის მთლიანობის ნიშანიცაა და ამ მხრივაც ახარებს მკითხველს. ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი ილიას დამოკიდებულება არ ახალი ამბავია, ამიტომაც სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

უნდა ითქვას, რომ ამავე სიცხადით აკაკის მიმართებაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის მიმართ, ძნელია საუბარი. მართალია, „ვეფხისტყაოსანი“, „მერანი“, „ბაში-აჩუკი“ საკმაოდ მკაფიო ტექსტთაშორისი ურთიერთმიმართებები იკვეთება, მაგრამ აკაკი წერეთელს ილია ჭავჭავაძისაგან განსხვავებით, ხმამაღლა არსად განუცხადებია, რომ ნიკ.ბარათაშვილის მხატვრულმა მემკვიდრეობამ მას სულიერი სიმშვიდე დაურღვია.

მიუხედავად აღნიშნულისა აკაკი წერეთლის ლირიკაში შეინიშნება ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიოსური აზროვნების თაყვანისცემა, გნებავთ შესიტყვებაც. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ აკაკი წერეთლის „საიდუმლო ბარათსა „ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „ხმა იდუმალს“ შორის შესაძლო კავშირებზე.

დავიწყოთ იმით, რომ ორივე ლექსი თავიანთ ავტორთათვის სადებიუტო მნიშვნელობას ატარებს. ხმა იდუმალი ნიკოლოზ ბარათაშვილის ქრესტომათიულ ლექსთა შორის დაწერის თარიღის მიხედვით, ერთ-ერთი პირველია. ამ ლექსს განსაკუთრებული კონტექსტუალური ადგილი უჭირავს ბარათაშვილის ლირიკაში, რომელსაც მთლინობა და მკაფიო სიუჟეტურობა ახასიათებს. იგი ერთგვარი უვერტიურაა, შესავალია პოეტის ლიტერა-ტურულ-ფილოსოფიური და მსოფლმხედველობრივი კონცეფციისა. ლექსის უმთავრესი არსი საკუთარი თავის შეცნობაა - ნასაზრდოები სახარებისეული შეგონებით -„შეიცანი თავი შენი“ და იმთავითვე ლირიკული გმირის მსოფლხედვის საფუძველს ააშკარავებს. ავტორი ვირტუოზული სისადავით ახერხებს წარმოაჩინოს ადამიანის ცოდვისშვილობა; მადლისა და ცოდვის, სიკეთისა და ბოროტების, ანგელოზისა და სატანის ჭიდილის სარბიელი მის არსში. მხოლოდ უდიდესს გულწრფელობას შეეძლო ეღიარებინა ის შინაგანი ბორგვა და ვნება, რომელსაც ადგილი აქვს არა მხოლოდ ამ ლექსის ლირიკული გმირის გულსა და გონებაში, არამედ ზოგადადად ადამიანის შინაგან „მე“-ში. ნიკოლოზ ბარათაშვილის ხედვამ შეაფასა და სიტყვითაც განაცხადა კაცობრიული სევდა საკუთარ არსში ამპარტავნული, ეშმაკისეული ხმის არსებობის შესახებ. ეს არის მისი ზეადამიანობის ნიშანი; თვითონვე გვევლინება შემეცნების ურთულეს გზაზე ცდის ობიექტად; ნიკოლოზ ბარათაშვილი ცდილობს ადამიანური ბუნების გაცნობიერებას თვითჩაღრმავებისა და თვითშემეცნების ხარჯზე; თითქმის ანალოგიურია აკაკი წერეთლის ლექსის „საიდუმლო ბარათი“- მიზანდასახულობა.

აღნიშნული საკითხი კი ყველა დროის მოაზროვნეთ იზიდავდა. კრიტიკოსი გაგა ლომიძე სტატიაში - „ტექსტი და კონტექსტი“ საუბრობს რა, რომანტიზმის შესახებ, იმოწმებს შემდეგ ფილოსოფიურ შეხედულებას - „ბუნებისა და „მე“-ს ერთმანეთისაგან გამიჯვნა უკვე გულისხმობს მზერის მობრუნებას გარედან შინაგანისკენ, საკუთარი თავის შემეცნებისაკენ და სულიერი ჰარმონიის მიღწევისაკენ სწრაფვას სწორედ აქ იწყება თვითშემეცნების

პროცესი: ფილოსოფია რომ ვისწავლოთ, საჭიროა ფილოსოფოსობა, ფილოსოფოსობა კი ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ ჩვენს თავს, ჩავწვდეთ ჩვენს თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი და ამით ჩვენში და ჩვენს ირგვლივ სიმშვიდე დავამყაროთ. ყურადღება მივაპყროთ ჩვენს თავს, ნიშნავს, განვაყენოთ იგი ყოველივე იმისაგან, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის. ...ჩვენი თავის შეცნობა სხვაარაფერია, თუ არა უნარი იმისა, რომ სწორად ვიმსჯელოთ მთელს ჩვენს ქმედით ძალაზე; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდება ჩვენი ბუნების მოქმედების კანონები, ამ მოქმედების საზღვრები და მიზანი“. (გაგა ლომიძე, რომანტიზმი: ტექსტი და კონტექსტი, http://www.sjani.ge/sjani: 33).

რაც შეეხება „საიდუმლი ბარათს“, სწორედ ამ ლექსით მოხდა აკაკი წერეთლის პოეტური ნათლობა: „პირველი ლექსი, რომელიც ავტორის სახელითა და გვარის ხელმოწერით გამოქვეყნდა, იყო „საიდუმლო ბარათი“. მართალია ამ ლექსის გამოქვეყნებას არ მოჰკლებია გამოხმაურებები, მაგრამ მისი იდეური არსისა და მიზანდასახულების შესახებ ძალიან ცოტა რამ ითქვა. სატრფოს სახის აკაკისეულმა მრავალპლანიანობამ აქაც გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია და ლირიკული შედევრის ლიტერატურული მნიშვნელობა საკმაოდ დავიწროვდა და ბუნდოვანი გახდა; ჩვენ აქ მოვიტანთ ლექსის შესახებ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულ შეხედულებას: „1860 წელს „ცისკრის“ ფურცლებზე დაბეჭდილი პოეტის ლექსი„საიდუმლო ბარათი“, დაწერილი დიდი პოეტური გზნებით და სისადავით,უდავოდ წარმოადგენდა ქართული პოეზიის ნოვატორულ მოვლენას. ახალი თაობა აღტაცებით ეწაფებოდა აკაკის ლექსებს. „საიდუმლო ბარათი“ ქართველმა მკითხველმა აღტაცებით მიიღო და დაბეჭდვისთანავე სასიმღერო ლექსად აქცია. ახალი თაობა მასში ხედავდა პოეტის წმინდა გრძნობის, კეთილშობილი მისწრაფების გამოხატვას, ჭეშმარიტ ხელოვნებას, რომელიც გადმოცემული იყო ხალხური, საყოველთაოდ მისაწვდომი, ნატიფი ფორმით. ძველმა თაობამ კი ამ ლექსში სრულიად სამართლიანად დაინახა დრომოჭმული პოეტური კულტურისა და არქაული ენის წინააღმდეგ სერიოზული გალაშქრება. ლექსმა სულ მალე ფართო პოპულარობა მოიპოვა. ასეთი იყო პოეტის სახელის პირველი სერიოზული ლიტერატურული რეზონანსი, რომელიც თანდათან გაძლიერდა და გავრცელდა“ (https://ru.scribd.com/doc/282167265:173).

ზოგადად „საიდუმლო ბარათი“ სატრფიალო ლირიკის უნიკალურ ნიმუშად არის აღიარებული და მისი ესოდენი პოპულარობაც სწორედ ამ ხასიათით არის ახსნილი. კლასიკური ხელოვნების უნიკალურობა რომ მისივე პლასტიკურობაშია ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. ამიტომაც აღნიშნული ლექსის - „საიდუმლო ბარათის“ ალტერნატიული ანალიზი სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია. რაც არა თუ დააკნინებს ლექსის ავტორის პოეტურ შესაძლებლობებს, არამედ, პირიქით, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს მის უნივერსალურობას.

როგორც აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილი „ხმა იდუმალით“, ხოლო აკაკი წერეთელი „საიდუმლო ბარათით“იწყებენ პოეტურ ცხოვრებას. უნდა დავსვათ კითხვა: უბრალო დამთხვევაა თუ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ეს ორი ლექსი, ამდენ იდეურ და ფრაზეოლოგიურ თანხვედრას შეიცავს?

ორივე მათგანის სათაურში მისტიკური მნიშვნელობის შემცველი სიტყვა (იდუმალი/საიდუმლო) გვხვდება. ორივე ლექსის ლირიკულ გმირს რაღაც **იდუმალი**, **საიდუმლო** შინაგანი ხმა ჩასძახის. ორივე მათგანი ინტუიტიურად გრძნობს თავის მისიას. თუმცა ორივე მათგანის ინტერესი ერთ საგანს დასტრიალებს - ვისი ხმა არის ეს საკვირველი?! - არასიცხადე, ბუნდოვანება, გაურკვევლობა ესეიგი მისტიკური იდუმალება ნიკოლოზ ბარათაშვილის გულს „ჩუმი ნაღველით ავსებს“, ხოლო აკაკი წერეთლს მდუღარე ცრემლებს აღვრევინებს: „რად არ მეტყვი მის ამბავს, ნუგეშს არ მცემ მწუხარეს“; ორივე პოეტს სურს გაერკვეს ამ ხმის წარმომავლობაში, ეს არის ადამიანის უმთავრესი მისია - შეიმეცნოს საკუთარი თავი; გამორიცხოს ამპარტავნული ახირებები, განაგდოს ეშმაკი; მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს იგი განახორციელოს უფლის წინაშე საკუთარი მოვალეობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მიმართავს იდუმალ ხმას - „**ანგელოზი** ხარ, მფარველი ჩემი, ან თუ **ეშმაკი** მაცთური ჩემი“?

ხოლო აკაკი - „ან როს ფარულად მანა შენ ჩემთან გამოგგზავნა, **ანგელოსი** სუფევდა მის გულში თუ **სატანა**“? დასმულ კითხვაზე პასუხიც ორივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირი საწყისიდან მოდის. უკუგდებულია ეშმაკი: „მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა, მის საშფოთველოს და საქეჯნავსა;(„ხმა იდუმალი“) / არა. ამ გრძნობას განა მიჰბედავდა სატანა?! („საიდუმლო ბარათი“) - არა, ეს გამორიცხულია! - „მაშინ უკუღმა ბრუნვას იწყებდა თვით ქვეყანა“. აი რა აქცევს ამ ორი ლექსის ავტორს ერთიან მსოფლხედველობრივ სისტემაში.

ამრიგად, აკაკი წერეთელმა „საიდუმლო ბარათით“ მკითხველის ყურადღება მიზანმიმართულად შეაჩერა საკუთარი თავის რჩეულობასა და საგანგებო მისიაზე; რომ მან უფლისაგან მიიღო **საიდუმლო** მინიშნება, რათა თავისი სიტყვითა და საქმით ჩამდგარიყო სიყვარულის და სიკეთის სამსახურში. „საიდუმლო ბარათო, გითხრეს ექმენ ფარადო სიხარულის მომნიჭედ და სევდისა ფარადო“ (უნდა აღინიშნოს, რომ ეს მისია პოეტისათვის ადვილი როდია. იგი ცრემლით ასველებს საიდუმლო ბარათს და სასოებით ინახავს უბეში, ამგვარია მისი პათოსი - მოწიწებული, მომნანიე).

აქვე გვინდა აკაკი წერეთლის შემოქმედებითი აზროვნებისათვის დამახასიათებელ კიდევ ერთ მხარეს მივაქციოთ ყურადღება, რაც წინამდებარე სტატიის ძირითად სათქმელს უმყარებს საფუძველს და ცხადს ხდის თუ რატომ გაჩნდა ლექსის სათაურში სიტყვა - **„საიდუმლო“;** ცნობილი ესთეტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე გურამ ასათიანი საგანგებოდ მსჯელობს იმ საკითხზე, რომ აკაკი წერეთლისათვის მხატვრული აზროვნება, შემოქმედებითი მოღვაწეობა საიდუმლოებით აღსავსე პროცესია. „აღსანიშნავია, რომ აკაკი, რომელმაც, თავის დროზე თანმიმდევრულად უარყო რომანტიკული მხატვრული მსოფლგაგება, ამ წერილში (აკაკის კრებული, 1898, N-9) ლაპარაკობს „შემოქმედების **საიდუმლო** ძალაზე“. ასეთივე ხასიათის „**საიდუმლოებას“** ეხება აკაკი 1913 წელს თავის „ნადუღში“, სადაც ილია ჭყონიას ლექსებთან დაკავშირებით წერს: „კითხულობ ამ ლექსებს და მოგწონს... გრძნობაც არის გონებაც. მაგრამ პოეტი კი არ არის! აკლია ის **საიდუმლოება,** რომელიც დამწერსა და წამკითხველს შუა **საიდუმლოდ** გადამჯაჭველია“. როგორც ვხედავთ, - აგრძელებს გ.ასათიანი, - აკაკის აქ უკვე მთელი სისავსით განცდილი და შეგნებული აქვს (ამის მთავარი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მის პირად შემოქმედებით გამოცდილებაში უნდა ვეძიოთ) მხატვრული ოსტატობის ის ჯადოქრული **საიდუმლოება,**

რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებს ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებად აქცევს. ამ **„საიდუმლოს“** გარეშე მას მწერლობა უკვე არასრულყოფილად, სულის განმაცხოვნებელ ძალას მოკლებულად წარმოუდგება“ (ასათიანი, 2008:27). როგორც ვხედავთ, აკაკისათვის შემოქმედებითი ქმნადობა საიდუმლოებაა. ჩვენი აზრით, სიტყვა „საიდუმლოება“ აკაკის ლექსიკონში სულაც არ უნდა იყოს მოკლებული ირაციონალურ, მისტიკურ მნიშვნელობას (შეადარე: ასათიანი: 2008:27.) და მასში პოეტი იდუმალის, ამოუცნობის მნიშვნელობას მართლაც რომ გულისხმობს. ეს ის ფენომენია, რომლის მატერიალისტური ახსნა დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. რომ არა ეს წინააღმდეგობა, ილია ჭავჭავაძე არ იტყოდა - **„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“;** ან კიდევ - **„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ“;** თუნდ თვით აკაკის სიტყვები გავიხსენოთ: **„ხან მიწისა ვარ ხან ცისა“** ანდაც - **„სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა“** და ა. შ. რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ზემოთ განხილული ლექსის („საიდუმლო ბარათი“) კონცეპტუალურ დანიშნულებას აკაკის სამოღვაწეო პროგრამაში.

LITERARY STUDIES

The ,,Secret card" of Akaki Tsereteli and the ,,Mysterious Voice" of Nikoloz Baratashvili

Guram Bakhtadze
BatumiShotaRustaveliState University

Akaki Tsereteli's poem ,,Secret Card" is one of the most popular work. It is the symbol of amorous poetry till today. The previous article gives us an alternative analysis of the poem.It is considered that the idea of lyrical masterpiece is not defined by the amorous theme, rather its calling out popular poem of Nikoloz Baratashvili's ,,Mysterious Voice", which main idea is the religious and philosophical understanding of the difficult process of self-knowledge and self-realization.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კრიტიკის ისტორიისათვის 1954 - ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის (ქრესტომათია), ტ.,I, თბ.
2. აკაკის კრებული, 1898, N-9 - „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, აკაკის კრებული, 1898, N-9.
3. https://ru.scribd.com/doc/282167265;
4. https://burusi.wordpress.com/2009/05/30;
5. გაგა ლომიძე, რომანტიზმი: ტექსტი და კონტექსტი,http://www.sjani.ge/sjani;
6. ასათიანი, 2008 - გ.ასათიანი, თხზ. ტ. მე -2., თბ.

კონსტანტინე გამსახურდია - ანტიგლობალისტი

„გლობალიზაცია არის ის, რასაც საუკუნეების მანძილზე
მესამე სამყაროში ვუწოდებდით კოლონიზაციას“
მარტინ კორი

შორენა მახაჭაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოგვწონს თუ არა, კარგია თუ ცუდი - გლობალიზაცია თანამედროვე სამყაროში მიმდინარე რეალური პროცესია და ის უდიდეს ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ცხოვრებაზე, დღევანდელობაზე, მომავალზე და, წარმოიდგინეთ, წარსულზეც კი, რადგან ამ პროცესს ისტორიის, ტრადიციულ ღირებულებათა, მენტალიტეტის ძირფესვიანი გადაფასების, რადიკალური შეცვლის ტენდენცია გააჩნია. მაინც რა არის გლობალიზაცია, რომლის მომხრეთა უზარმაზარ არმიასთან ერთად მოწინააღმდეგეთა რიცხვიც დღითიდღე იზრდება. საინტერესოა, რომ, ჯერ ერთი, ეს ტერმინი საერთოდ არ არსებობდა გასული საუკუნის 80-იან წლებამდე და, მეორე, მკვლევართა შორის არ არის ერთიანი პოზიცია არც ტერმინის ზუსტი მნიშვნელობისა და არც იმის შესახებ, როდის დაიწყო მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი. როდესაც შეხედულებათა ლაბირინთს გამოვაღწევთ, შესაძლებელი ხდება, მეტ-ნაკლები სიზუსტით, სავარაუდო დასკვნების გაკეთება. მაშ ასე, გლობალიზაცია ესაა ინტერნაციონალიზაცია - სახელმწიფოთაშორისი კავშირების გააქტიურება და საზღვრების როლის განუხრელი შემცირება;

ლიბერალიზაცია - ღია და ინტეგრირებული ეკონომიკა და მოსახლეობის თავისუფალი მიმოსვლა, შესაბამისად, მიგრაციის გაძლიერება;

უნივერსალიზაცია - მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების ფართოდ გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში;

ვესტერნიზაცია - განსაკუთრებით მისი ამერიკული ფორმა;

დეტერიტორიზაცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზრთა მრავალფეროვნებას ვაწყდებით გლობალიზაციის დაწყების თარიღთან მიმართებითაც. აქაც რამდენიმე პოზიცია იკვეთება: პირველი - გლობალიზაციის პროცესი (რა თქმა უნდა, არა ამ სახელწოდებით) მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდში პერმანენტულად მიმდინარეობდა; მეორე - გლობალიზაციას სათავე დაუდო მეორე მსოფლიო ომმა ან - მესამე - საბჭოთა იმპერიის დაშლამ (გლობალიზაცია 2018:).

ვფიქრობთ, პირველი მოსაზრება ყველაზე უფრო ახლოსაა რეალობასთან. ამის დასადასტურებლად ,,ვეფხისტყაოსნის“ ერთიანი სამყაროს გახსენებაც კმარა. პოემა იწყებ აღვთისადმი მიმართვით - „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მითმ ლიერითა“, ,,ჰე,

ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“ (რუსთაველი, 1978:1-2), თუმცა შოთა რუსთაველი არ მიმართავს ღმერთს რომელიმე კონკრეტული სარწმუნოების სახელით. სამყარო ერთიანია, ათას ფერად მოხატული, მშვენიერი, რომელსაც უზენაესი მბრძანებელი /თუ - განმგებელი/ ჰყავს. ის არის „უცნაური და უთქმელი“, „მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“, ,,ერთარსება ერთი“ - კიდევ უამრავ განსაზღვრებას შევხვდებით ღვთისას, მაგრამ ყველა ეპითეტი უნივერსალურ უზენაეს არსებას მიემართება.

უფრო მეტი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა შეძლო ღმერთების, ზეციური, ასტრალური სამყაროს „მოთვინიერება“, მიწისა და ზეცის ჰარმონიული ერთმთლიანობის მიღწევა. ამის დასტურად მხოლოდ ავთანდილის მნათობებისადმი ლოცვისა და მისი სიმღერის გახსენებაც კმარა, როცა მთელი მსოფლიო, სულიერი და უსულო სამყარო მისი გალობის მოსასმენად შეიკრიბა. გლობალიზაციის უფრო მაღალმხატვრული, მართლაც, იგავ-მიუწვდენელი ხელოვნებით შექმნილი სურათის წარმოდგენა შეუძლებელია:

„მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი,
ტყით ნადირნი, წყალშით თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“ (რუსთაველი, 1978:342).

„ვეფხისტყაოსანში“ პოლიტიკური გლობალიზაცია შოთა რუსთაველმა, პირველ რიგში, გეო-პოლიტიკური საზღვრების მოშლით გამოხატა. ქართული ამბავი გლობალურ სივრცეში აღწერა: მოქმედება ხდება არაბეთში, ინდოეთში, მულღაზანზარში, გულანშაროსა და ქაჯთა ქალაქში.

გეო-პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაციის საუკეთესო ნიმუშია გულანშარო, რომლის კარი ნებისმიერი ადამიანისა და ეროვნების წარმომადგენლისთვისაა ღია. აქ ყველას შეუძლია გამდიდრება და პირადი მიზნების განხორციელება. გულანშარო კოსმოპოლიტური ქალაქია:

„ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა,
თვით გულანშარო - ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა;
აქ მოდის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა...
„დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ;
უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ“ (რუსთაველი, 1978:342).

ასე რომ, გლობალიზაცია უცხო არაა რუსთველური სამყაროსთვის, უფრო მეტი, გენიალური შემოქმედისთვის ის დადებითი და მხოლოდ სიკეთის მომტანი მოვლენაა, გავიხსენოთ პოემის დასასრული: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (რუსთაველი, 1978:512). რატომ? იმიტომ, რომ რუსთაველისდროინდელი, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაჭენებული და გამოჭენებული“ საქართველოს იმპერიული სახელმწიფოსთვის ის ხელსაყრელი იყო და რუსთაველმა, როგორც ამ ქვეყნის პატრიოტმა და აპოლოგეტმა, ეს კარგად იცოდა!

სამწუხაროდ, შემდეგ საუკუნეებში ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა: ის არაბეთისა და ინდოეთის მსგავსი სახელმწიფოდან

ხატაეთისდარ, მუდმივად თავისუფლებისთვის მებრძოლ ქვეყნად გადაიქცა. ბუნებრივია, შეიცვალა დამოკიდებულება გლობალური პროცესებისადმი. ამას შესანიშნავად ასახავს „დიდოსტატის მარჯვენაში“ კ. გამსახურდია. მასში ნაჩვენებია, როგორ ცდილობს ბიზანტიის იმპერია თავისი გავლენის ქვეშ იყოლიოს ამიერკავკასიის ქვეყნები: ,,ბასილი კეისარს ეს უნდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილი კეისარი“ (გამსახურდია, 1966:148).

შავლეგ ტოხაისძე კი მამამზე ერისთავთან დიალოგის დროს ფარდას ხდის ბერძენთა მუხანათურ იმპერიალისტურ ზრახვებს: ,,ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვგმოთ და მათ ეკლესიებში ვილოცოთ... ჩვენი ენა დაგვავიწყონ და თავიანთი შემოგვჩარონ პირში, ჩვენი წარსული დავივიწყოთ და მათი შევისწავლოთ, ჩვენი სამოსი შემოგვაძარცვონ, მათი ჩავიცვათ“ (გამსახურდია, 1966:72).

მართალია, „დიდოსტატის მარჯვენაში“ ასახული ეპოქა წინ უსწრებს „ვეფხის-ტყაოსანში“ ასახულს, მაგრამ ამას განსახილველი პრობლემის ანალიზისას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, ჯერ ერთი, ავტორი მეოცე საუკუნის საქართველოს შვილია და, მეორე, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ერთმორწმუნე ბიზანტია ალეგორიულად ერთმორწმუნე რუსეთის ტოლფასია. სოსო სიგუა ,,დიონისოს ღიმილის“ პერსონაჟებზე საუბრისას წერს: „სპარსელი ამ ასპექტში ისევე არის რუსის ალეგორია, როგორც ბიზანტიელი „დიდოსტატის მარჯვენაში“ (სიგუა, 1997:107). ამ კონტექსტში გასაგები ხდება მწერლის სიძულვილი მცირე ერების ჩაყლაპვის მოსურნე გლობალისტების (იგივე იმპერიალისტების, გნებავთ, კოლონისტების) წინააღმდეგ, რომელთაც სურთ ,,ერთიანი მსოფლიოს“, „ერთი დიდი სოფლის“ შექმნა, რა თქმა უნდა, საკუთარი ჰეგემონობით. თუკი შუასაუკუნეებში ეს შესაძლებელი, მაგრამ არცთუ ისე იოლად შესასრულებელი ამოცანა იყო, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში - სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბატონობის ეპოქაში ეს უკვე იოლად მისაღწევ მიზნად იქცა. სამიზნე ისევ და ისევ მცირერიცხოვანი, თუმცა დიდი კულტურის, წარსულის მქონე ერები და სახელმწიფოებია. ეს კარგად ჩანს თარაშ ემხვარისა და კაროლინა შარვაშიძის დიალოგში. ემხვარმა განათლება ევროპის საუკეთესო უნივერსი-ტეტებში მიიღო - როგორც პალმას ქარბუქი ეკვეთოს, ისე მომეჭრა ამ უშველებელი უცხო ცივილიზაციის გრიგალი, მეძგერა, შემარყია და ამაფორიაქა... როგორც დასაგეშ მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკერავენ, მერმე მარცხენა ხელზე დაისვამენ და მთელ ღამეს აააააა-ს ჩასძახიან ყურში, რათა თავისი წარსული გადაავიწყონ, თანდაყოლილი ენერგიის პირველადი სილაღე გააცალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდნენ აააა-ს... ევროპელი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები შვიდი წლის განმავლობაში. (გამსახურდია, 1973:143)

თარაშმა ბევრი იმოგზაურა, უამრავი რამ ნახა, თუმცა საქართველოს ცისა და მზის სიყვარული არსად და არასოდეს განელებია. პირიქით, გაუსაძლისი ნოსტალგია ეწვეოდა ხოლმე ევროპის დედაქალაქებში მყოფს. მან კარგად გაიგო და შეიცნო ევროპელთა ჭეშმარიტი ზრახვები: „თქვენ, ევროპელები, ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ, გარდავიქმნათ, ე.ი. ჩვენ არ ვიყოთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ ან ვართ, ე.ი. თქვენ

დაგემსგავსოთ... თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენაც დაგვავიწყდეს, თქვენს ენებზე გადავიდეთ“. (გამსახურდია, 1973:143)

როგორ ჰგავს შავლეგ ტოხაისძისა და თარაშ ემხვარის სიტყვები ერთმანეთს!

„ახლა რა უნდა გააწყოს ჩვენისთანა პატარა ერმა?“ - კითხულობს თარაშ ემხვარი და ასე პასუხობს: „შუა საუკუნეების მანძილების სივრცე, მანქანების პრიმიტიულობა, ბუნების სტიქიონების სიზვიადე შესაძლებელს ხდიდა პატარა ერების დამოუკიდებელ არსებობას. ახლა დასავლეთის დიდი ერები მოდიან თავიანთი ჰაუბიცებით, ჰაეროპლანებით, პრესით, თეატრითა და ლიტერატურით და ჩვენ რა უნდა დავუპირისპიროთ მათ სანაცვლოდ?... რაღა შორს მივდივართ, კაროლინა ხომ შენი რძალია, ჩვენი რძალია, აფხაზეთის რძალი. ხომ მართებული იქნებოდა, რომ მას ჩვენი ენა შეესწავლა, ჩვენი ჩვეულებები შეეთვისებინა, მაგრამ იცის, ეს მას არას სჭირდება. ეს არ აინტერესებს, რადგან ჩვენ ცოტანი ვართ, აბა, ორასი მილიონი ვიყოთ, ძლიერი სახელმწიფო გვქონდეს, მდიდარი ლიტერატურა, მაშინ აქეთ შემოგვეხვეწებოდა, მასწავლეთო“. (გამსახურდია, 1973:143)

კ. გამსახურდია არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებში, არამედ ესეებშიც არანაკლები სიმწვავით განიხილავს ეროვნული თვითმყოფადობის საკითხს. წერილში „ქართველობა და უცხოეთის გენია“ ის გულისტკივილით წერს თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის შესახებ: „მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო ქართველი ერის ევროპეიზაცია“, ამბობს ერთი ქართველი მწერალი. ევროპეიზაციის რა მოგახსენოთ და ქართული სულის რუსიფიკაციას კი ამ საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი... „ევროპეიზმის“ ნიღაბით შემოგვეპარეს სლავიანურ-მონგოლური გონებისა და გრძნობის სიჩლუნგე…

მეცხრამეტე საუკუნეში კაცი არ გამოჩენილა, რომელიც ჩვენში უკვე თვალსაჩინოდ ფეხმოკიდებულ რუსულ უკულტურო ნიღილიზმს შებრძოლებოდა“ (გამსახურდია, 1967:147).

მდგომარეობა არც ცარისტული რუსეთის ბოლშევიკური რუსეთით შეცვლის შემდეგ გამოსწორებულა, პირიქით, წითელი მთავრობა ყალბი ინტერნაციონალიზმის ლოზუნგებით ერთი ხალხისა და ერთი ენის ბატონობას ქადაგებდა.

ჯერ კიდევ მეშვიდეკების პერიოდში, როცა დღის წესრიგში ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი დადგა, გამოჩნდნენ ე.წ. ,,კავკასიური უნივერსიტეტის“ გახსნის იდეოლოგები. სწორედ ნიკო მარის ამ იდეის წინააღმდეგ იყო მიმართული კ. გამსახურდიას მიერ 1917 წელს დაწერილი მძაფრი პოლემიკური წერილი „ტროასეული ცხენი.“ ქართული სიტყვის ოქრომჭედლისთვის იმთავითვე ნათელი იყო ასეთი კულტურულ-საგანმანათლებლო უნივერსალიზმის ჭეშმარიტი არსი და დანიშნულება. მან იცოდა, რომ ამ არაეროვნულ დაწესებულებაში რუსულ ენაზე წარიმართებოდა სწავლება (,,რადგან აქ ესპერანტოს ვერავინ შემოიღებს“), ხოლო ,,ტუზემცების“ კულტურისა და ცივილიზაციის კვლევას რაღაც გაუგებარი „არმიანოგრუზინების“ ფილიალი დაეთმობოდა. „არაეროვნული უნივერსიტეტი რომ ეგზომ სანუკველი ყოფილიყო, მაშინ, მერწმუნეთ, გონიერსა და გამჭრიახ ევროპელებს ჩვენ ვერ დავასწრებდით ასეთი უნივერსიტეტის გახსნას“ - დასძენს აღშფოთებული მწერალი. ის მარის იდეას ტროასეულ ცხენს ადარებს, რომელსაც უაღრესად საშიში კულტურული კონტრაბანდის შემოტანა და კოლონიური პოლიტიკის გატარება

აქვს განზრახული. ეს კი პირდაპირ ემუქრება ეროვნულ ინდივიდუალურ სულსა და შემოქმედებას (გამსახურდია, 1967:140-144).

გლობალიზაციის, ერთი ან თუნდაც რამდენიმე ზესახელმწიფოს მსოფლიოზე ბატონობის წინააღმდეგ, ილაშქრებს კონსტანტინე გამსახურდია თავის პუბლიცისტურ წერილებსა და ესეებში. ესეში ,,ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“ ის შენიშნავს, რომ ,,ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები იყო მუდამ ომისა და შფოთის ინიციატორი“, მათ ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს დანარჩენ მსოფლიოს ,,დემოკრატიის, ერების თავისუფლების, კულტურისა და ცივილიზაციის სახელით...“, მსოფლიოს მოევლინნენ, როგორც მორალის მასწავლებლები და ახალი წესრიგის დამამყარებელი, „როგორც ხალხთა დიდი არეოპაგის თავკაცი და სჯულმდებელი“; სინამდვილეში კი მათი რეალური მიზანი მხოლოდ ოქროსა და ნავთობის მარაგის მიტაცება არის (გამსახურდია 1985:271-281), ხოლო წერილში, სათაურით - „მშვიდობის მტრები“ - მისთვის ჩვეული პირდაპირობით, გამსახურდია ამერიკელების შესახებ წერს, რომ ,,ამ ეთნიურ დომხალს არ გააჩნია ნაციის ატრიბუტები... ერთადერთი, რაც მათ შექმნეს, ეს არის დოლარის კულტი და უძღომელი კუჭის აპოლოგია“ (გამსახურდია 1967:238-239), თუმცა ,,დიონისოს ღიმილში“ მწერლის პოზიცია შეცვლილი, ტონი კი - შერბილებულია. ალი მირზა ხანის სალონში შეკრებილნი მსჯელობენ აშშ-ს, მისი პოლიტიკისა და კულტურის შესახებ, აღიარებენ, რომ ,,ომის შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში სრულიად გარკვეული ამერიკანიზაციის ტენდენცია ტარდება... და ათიოდე წლის შემდეგ იქნება ერთი ძლიერი ამერიკის ნაცია“, ამასთან წინასწარმეტყველურადაც აღნიშნავენ, რომ მალე ამერიკა ყველას მოინელებს: ევროპასაც და იაპონიასაც (გამსახურდია, 1992:24-25).

სხვათა შორის, ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ კულტურული გლობალიზაცია ამერიკანიზაციის ტოლფასი მოვლენაა. აშშ-ს მედია, განსაკუთრებით კი ტელევიზია, კინოინდუსტრია, ინტერნეტი, რომელშიც დომინირებს ინგლისური ენა და ამერიკული პორტალები, უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და მიმართულია სხვადასხვა ხალხების ცხოვრების წესის სტანდარტიზაციისკენ.

თავად ამერიკელი თეორეტიკოსი ნ. გლეიზერი აღიარებს, რომ გლობალიზაცია არის მსოფლიო მასშტაბით დასავლეთის მიერ რეგულირებადი იმ ინფორმაციის და გართობის საშუალებების „გავრცელება, რომლებიც შესაბამის ეფექტს ახდენს ფასეულობებზე იმ ადგილებისა, სადაც ეს ინფორმაცია აღწევს...“

ულრიხ ბეკის აზრით, „გლობალიზაციააღნიშნავს პროცესებს, რომელთა გამოც ეროვნული სახელმწიფოების სუვერენულობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ძალაუფლების განსხვავებული პერსპექტივების, ორიენტაციების, იდენტობებისა და ქსელების მქონე ტრანსნაციონალური აქტორების მიზეზით. ეს ფრიად საშიში ტენდენციაა, თუმცა უნდა ვაღიაროთ, გლობალიზაციას ვერსად გავექცევით. როგორც უკვე ითქვა, ის დღეს არ დაწყებულა და კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მეტ-ნაკლები ინტენსივობით იჩენდა თავს. ზოგი დასავლელი მეცნიერი გულწრფელად აღიარებს, რომ ის კოლონიზაციის შეცვლილი, გათანამედროვებული ფორმაა.

მისი თავდაპირველი დანიშნულება - სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და ერთიანი სავაჭრო-ეკონომიკური სივრცის შექმნა - გადაიზარდა პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური გლობალიზაციის პროცესებში.

აღარავინ დაობს იმაზე, რომ გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის მცირერიცხოვანი, თუმცა უძველესი და უდიდესი კულტურების მქონე სახელმწიფოებისა და ერების მიერ დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

როგორც ვნახეთ, ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული „კონსტანტინე გამსახურდიას“, ვის „ბუნებაშიც რელიგიური ფანატიზმის ძალით მეტყველებდა სამშობლოს კულტი“ (სიგუა, 2001:3), ამიტომაც თავისი პუბლიცისტური თუ მხატვრული სიტყვით ფარდას ხდიდა გლობალისტთა ნამდვილ ზრახვებს.

როგორც უკვე აღინიშნა, კონსტანტინე გამსახურდიას თანამედროვეობის ამსახველი რომანების მთავარმა პერსონაჟებმა, რომლებიც ავტორის ალტერ-ეგოს წარმოადგენენ, კონსტანტინე სავარსამისძემ და თარაშ ემხვარმა, განათლება დასავლეთში მიიღეს, მაგრამ მათ კარგად დაინახეს, რომ ევროპელები ცდილობენ, გადააგვარონ და საერთოდ გააქრონ პატარა ერები.

მწერალი გლობალიზაციის (კოლონიზაციის) პრობლემას მწვავედ აყენებს თავის ისტორიულ რომანებშიც. გიორგი პირველიც და დავით მეოთხეც იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობისა და აღორძინებისთვის, მათი კულტურულ-რელიგიური პოლიტიკაც ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენაა მიმართული.რა თქმა უნდა, ევროპული განათლების მქონე და ანალიტიკური ნიჭით დაჯილდოებულმა შემოქმედმა კარგად იცოდა, რომ მსგავსი პროცესების მთლიანად შეჩერება ან შეწყვეტა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, მაგრამ მიაჩნდა, რომ შესაძლებელია მათთვის მიმართულების შეცვლა, ისე, რომ ეს პროცესები სოციალურად ორიენტირებული და მაქსიმალურად ჰუმანური ანუ ხალხებისთვის სიკეთის მომტანი იყოს. ამას კი სჭირდებასაზოგადოების განათლების დონის ამაღლება, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების სწორი გააზრება, ჭკვიანური შეფასება და საქართველოსთვის სასარგებლოდ გამოყენება. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მეოცე საუკუნის გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა, ეროვნული, რელიგიური, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ამ მიზნის განხორციე-ლებისთვის წამოაყენა კონსტანტინე გამსახურდიამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში „კულტურული ჰეგემონიის იდეა“, როგორც ქართული ეროვნული სულის გადარჩენის ერთადერთი გზა. უაღრესად თანამედროვედ გაისმის ოცდამეერთე საუკუნის გლობალური პრობლემების წინაშე მდგარი ქართველი ერისთვის პატრიოტი მწერლის გაფრთხილება-მოწოდება: ,,ჩვენთვის დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული ფრონტის გაძლიერება. დღეს ყველა ერი ისეთი მძაფრი ჭიდილისა და ბრძოლის ფარვარეტში შედის, რომ ვისაც თავისი კულტურის დროშის მაღლა აწევა არ შეუძლია, მას ისე გადაალაჯებენ, ისე გასთქვეფავენ, როგორც უბრალო ეთნოგრაფიულ მასალას“ (გამსახურდია, 1967:176).

და სწორედ იმიტომ, რომ მსოფლიოს თვალში, ჯუნგლებში მცხოვრები რომელიმე პირველყოფილი ტომის მსგავსად, არ ვიქცეთ ,,უბრალო ეთნოგრაფიულ მასალად“ - უნდა გავიხსენოთ და ყურადვიღოთ ჩვენი ერის დიდ გულშემატკივართა გაფრთხილებანი, ახლა უფრო გლობალური მასშტაბით გამოვაცხადოთ ,,ქართული ენისა და კულტურის ჰეგემონია“.

Konstantine Gamsakhurdia – Anti-globalist

Shorena Makhachadze
Batumi Shota Rustaveli State University

Globalization is a real process in modern world. In different periods of human history, it existed in many different forms. Some Western scholars believe that Globalization is a modified, modernized form of Colonization. Its main purpose – developing economic relationships between countries and creating unified trade-economic area, time after time transformed into political and cultural-religious global process. There is no doubt that Globalization poses a threat to the independence and identity of small nations having a rich ancient culture.

XX th century Georgian writer Konstantine Gamsakhurdia was well aware of the essence of Globalization and in his literary and publicist works spoke about real intentions of globalists. Main characters of K. Gamsakhurdia's novels: Konstantine Savarsamisdze and Tarash Emkhvari (alter egos of the writer) got education in Western countries and saw how Europeans tried to corrupt small countries making them disappear.

Globalization (Colonization) process is the main theme of K. Gamsakhurdia's historical novels. Giorgi I and David IV struggle for independence and revival of Georgia. Their cultural-religious policy is directed towards maintenance of independence and identity of Georgia.

წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა:

გამსახურდია, 1966: გამსახურდია კონსტანტინე, ,,დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა", თბილისი.

გამსახურდია, 1967: გამსახურდიაკონსტანტინე, ,,ქართველობადაუცხოეთისგენია", ,,გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი", თხზ. რვატომეული, ტ.8, თბილისი.

გამსახურდია, 1973: გამსახურდია კონსტანტინე, ,,მთვარის მოტაცება", თბილისი.

გამსახურდია, 1985: გამსახურდიაკონსტანტინე, ,,ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი", თხზ. ათტომეული, ტ.8, თბილისი.

გამსახურდია,1992: გამსახურდიაკონსტანტინე, ,,დიონისოს ღიმილი", თხზ. ოცტომეული, ტ.1, თბილისი.

გლობალიზაცია, 2018: გლობალიზაცია, იხ. ენციკლოპედიური ლექსიკონი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3300

რუსთაველი, 1978: რუსთაველი შოთა, ,,ვეფხისტყაოსანი", თბილისი.

სიგუა, 1997: სიგუა სოსო, ,,მარტვილი და ალამდარი" წიგნი 1-ლი, თბილისი.

სიგუა, 2001: სიგუა სოსო, ,,მარტვილი და ალამდარი" წიგნი მე-2, თბილისი.

ილია ჭავჭავაძე ემიგრანტი მწერლის თვალით, ანუ „სიმართლე ილიას მხარეზე იყო“

შოთა ზოიძე
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ემიგრანტი ქართველი მწერლების შემოქმედებაში ლექსებისა და პროზაული ნიმუშების გვერდით დიდ ადგილს იჭერს ზოგადქართული მწერლობის ისტორიის პრობლემების კვლევა, ჩვენი დიდი კლასიკოსების ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეული საკითხების შესწავლა და მათი როლისა და ადგილის ანალიზი. მათ შორისაა ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი ემიგრანტი პოეტი შალვა ამირეჯიბი. მეც და სხვა ბევრსაც მოსწონს მისი ერთი უსათაურო ფიქრიანი ლექსი, ახლა მედიტაციურს რომ ეძახიან: „მიყვარდა თქვენი შლეიფი, თქვენი კაბები გრძელქობა, თქვენს დღეობაში ქეიფი, თქვენი უმანკო ცელქობა. მხრებზე დაყრილი ხშირი თმა, უბე, შებმული ღილითა, საღამოს სიყვარულის თქმა და გაბუტება დილითა! დრო იყო, თვითონ ვცოდავდით, თვალი ტანს გხდიდა ამოსა, ახლა ჟინ დაგიცოტავდით და თვალი გაცმევთ სამოსსა“. ეს ლექსი გადმობეჭდილია პარიზში გამომავალი ჟურნალ „კავსასიონის“ 1968 წლის მე-8 ნომრიდან, „უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ (ქუთაისი, 2014: 183).

შალვა ამირეჯიბის მუზა იყო შემდგომ გამოჩენილი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე. მას რამდენიმე ლექსი მიუძღვნა, რომლებიც შესულია 1920 წელს გამოცემულ კრებულში „მინანქრები“. აი, ერთი სტროფი ხსენებული წიგნიდან: „თქვენ სიყვარულზე მითხარით „არა“ და მომიხურეთ გულის კარები, მაგრამ მე მაინც ტკბილ არმაღანად მოგართვი ლურჯი მინანქარები“ (ანთოლოგია, 2014: 183). 1919 წელს შალვამ და ვერიკომ ჯვარი დაიწერეს. მაგრამ მათი ეს ქროწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. ეს ინფორმაცია მომაწოდა ჩვენმა თვალსაჩინო პოეტმა, ჭაბუა ამირეჯიბის მეუღლემ, ქალბატონმა თამარ ჯავახიშვილმა. შალვას გერონტი ქიქოძემ დაგვიანებული რომანტიკოსი უწოდა. „1920 წელს, - წერდა იგი - მან გამოაქვეყნა ლექსების პატარა კრებული „მინანქრები“: ესაა სიზმრების და აჩრდილების პოეზია, საიდანაც თვით ავტორის მეგობარი მიხაკო წერეთელი, თვით მისი ცოლი ვერიკო ანჯაფარიძე, უფრო მომხიბლავ მოჩვენებებს ჰგვანან, ვიდრე რეალურ არსებებს. მით უფრო ეს ითქმის მის მიერ ასახულ პატარა კახსა და საშუალო საუკუნეების ჯავშოსან რაინდებზე და მათ სატრფოებზე. უბედურმა სიყვარულმა შალვა ამირეჯიბი იძულებული გახადა პოლიტიკურ მუშაობაში ეძებნა თავდავიწყება“ (ქიქოძე, 1989: 31).

შალვა ამირეჯიბი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ხურვალეთში.დაამათავრა თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია.მის მშობლებს გიორგისა და სოფიო მაღალაშვილს ოთხი შვილი - ორი ქალი და ორი ვაჟი ჰყავდათ. ანასტასია, რომელიც შემდგომ გერონტი ქიქოძის მეუღლე გახდა, შალვა-პოეტი, ცაცა-მსახიობი და ირაკლი-ჭაბუა ამირეჯიბის მამა. 1907 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად ავსტრიაში

გაემგზავრა, მაგრამ უსახსრობის გამო, 1909 წელს საქართველოში დაბრუნდა და შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას, 1920 წელს გამოსცა ლექსების კრებული „მინანქრები“. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ემიგრაციაში, კერძოდ, პარიზში წავიდა. მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა ემიგრანტულ გამოცემებში „თეთრი გიორგი“, „სამშობლო“, „კავკასიონი“, „მამულიშვილი“, „დამოუკიდებელი საქართველო“ და სხვა. გარდაიცვალა პარიზში, 1943 წელს, დაკრძალულია სენტ-უენის სასაფლაოზე.

შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტურ შემოქმედებაში ძალიან მნიშვნელოვანია სტატია დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა პარიზში გამომავალ ჟურნალ „სამშობლოს“ 1932 წლის მე-12 ნომერში და გადმობეჭდილია პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ სამეცნიერო და მხატვრულ-პუბლიცისტურ კრებულ „გამონათლევში’.

„ ილია ჭავჭავაძე“ - ასე ჰქვია სტატიას, მრავალმხრივ საყურადღეობოა, მაგრამ მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო ილიას პოეტური ტალანტის შალვა ამირეჯიბისეულ შეფასებას, რადგან საქართველოს და ილიას მტრები ახლაც ისვრიან კეთრიან ისრებს გენიოსი მწერლის პოეზიის მისამართით.

ახლა მოვუსმინოთ სტატიის ავტორს: „ფილისტერები, პოეზიის ცუდი ჭაშნიკნი და ლექსების გიტარაზედ გადამტანნი, დღემდის ცილობენ - იყო თუ არა ილია ჭავჭავაძე ნამდვილი პოეტი? კაცმა რომ ეს საკითხი გადაწყვიტოს, ჯერ გიტარა უნდა შესცვალოს სხვა უფრო მაღალ ინსტრუმენტზედ. ჭაბუკი ილია, ილია პოეტი და მაღალი პატრიოტული მოწოდებით ამხედრებული-წარმტაცი და ქართულ მწერლობის განუმეორებელი სახეა“(„გამონათლევი“, 2014:352). მე, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოწამეობრივი სიკვდილის („საქართველოს გოლგოთა“) ავტორს, ზღვა მასალა მაქვს წაკითხული და დამუშავებული, მაგრამ ილიას პოეტური ტალანტის მსგავსი შეფასება, არსად არ შემხვედრია. იქვე ციტირებულია ერთი სტროფი ილიას „პოეტიდან“ („დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლის გულში, რომ ერისა მოძმედ ვიყო, ჭმუნვასა და სიხარულში“). მართალია, ეს ალმოდებული სტრიქონები და არც ზემოთ ციტირებული შეფასება გულზე არ ეხატებათ თანამედროვე ქართველ ლიბერასტებს, მაგრამ ის, რაც მათ გულზე ეხატებათ, საქართველოს მტრების წისქვილზე უშვებს წყალს და მიუღებელია ქართველი ხალხის ისტორიის, ტრადიციებისა და სულიერებისათვის. ამით იმისი თქმა მსურს, რომ შალვა ამირეჯიბის 86 წლის წინანდელი შეფასებები დღესაც აქტუალურია და მკაცრი პასუხია ილია ჭავჭავაძის მტრებისადმი. შალვა ამირეჯიბი მაღალი ფიქრებით განჭვრეტს ილიას მეტაფორებს, ეპითეტებს, მხატვრულ სინტაგმებს, როგორიც არის „ჭმუნვა და სიხარული“, „ღმერთის საკურთხეველი“. მისი აზრით, ილია ჯერ პოეტია და შემდეგ პუბლიცისტი, „პოეზიაში ნათელი ალეგორიების და კამკამა სახეების მიმდევარი, და ეს თვისება მისი, საზოგადოთ, ნათელი აზროვნების წინამორბედია. ჩვენში ცოტაა პოეტი, რომელზედაც გოეტჰეს სიტყვები არ ითქმოდეს: „ჯანყით მოცული სიტყვის იქ ხარჯვა, სადაც ცნებანი მოისუსტებენ...“ ილიას სიტყვა მუდამ გამჭრიახია. ის არასოდეს არ სცოდავს არა მარტო სიტყვის ამ „ჯანყმოცულობით“, რომლითაც, პოეტების მსგავსად, წინასწარმეტყველნიც სცოდავენ, არამედ იმ ნებადართულ ცოდვითაც, რაც პოეტთა ცხოვრებაში „ლირიკული უწესრიგობა“ ჰქვიან. ამ კაცს ყველაფერში სამაგალითო წესრიგი

ჰქონდა - თავში, გულში, ჯიბეში. ილიას თვალში ადლი ჰქონდა. უცნაურია, რადგან, რაც ქვეყანა გაჩენილა, ადამიანების ადლი ხელში უჭირავთ“(„გამონათლევი“, 2014:352).

ამის შემდგომ შალვა ამირეჯიბი ილია ჭავჭავაძის პიროვნებას განიხილავს, როგორც თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს და განიხილავს პოემა „აჩრდილს“, მისი აზრით, „აჩრდილში“ მოთავსებულია საქართველო და კაცობრიობა“, როგორც ჰუმანიზმი და ნანილი მოათავსა მთელში, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა მასში თავისუფლად ეტეოდა, რომ სიტყვა „ევროპეიზმი“ ჩვენში ილიამ შემოიტანა და იმავე ნიადაგზე ველარ დაეტეოდა, რომელზედაც ტყაპუჭებიანი მოხევე ლელი ღუნია დგას. ილიას რუსობა ისე არ უნდოდა, როგორც ლელი ღუნიას, მაგრამ ამ ნიადაგზე ბოლომდე იმიტომ ვერ დარჩემოდა, რომ ევროპულობა მისთვის რაღაც სავალდებულო ცნება იყო. ბოლოს დასძენს ამირეჯიბი - მოხევე და ილია ისე გაშორდნენ ერთმანეთს, პირველს რუსული „ტალავარ“ არ ჩაუცვამს, ხოლო მეორეს - ევროპული არ გაუხდია. „მაგრამ შეხვედრა დიდი იყო! ასეთი შეხვედრა იშვიათია და მხოლოდ ეპოქათა სამძღვარზედ ხდებიან, ძნელია გადაჭრით ითქვას, ვინ არის აქ მართალი და ვინ არა? მაგრამ ილია რომ ამ ევროპულმა „ტალავარმა“ დაამარცხა, თითქოს მართალს ჰგავს. ეს იყო მარქსიზმი, რომელიც ისე ჩქარა მოჰყვა ლიბერალიზმს, როგორც მერცხალს სხვა უფრო დიდი და მტაცებელი ფრინველი“(„გამონათლევი“,2014:353).

„მაგრამ ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად - წერს პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, - შ.ამირეჯიბი ილიას ეროვნული-პოლიტიკურ შეხედულებებს თავისი დროის გადასახედიდან ცალკეულ შემთხვევაში რამდენადმე განსხვავებულ ახსნა-განმარტებასაც აძლევს ხოლმე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ის მოსაზრება, რომელსაც იგი ი.ჭავჭავაძისა და მისი მოთხრობის პერსონაჟის - ლელთ ღუნიას ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირების დროს გამოთქვამს“(ნიკოლეიშვილი, 2006: 386).

სამართლიანად შენიშნავს შალვა ამირეჯიბი, რომ, ილიას თავისი პოეტური და პროზაული შედევრები ახალგაზრდობის წლებში აქვს დაწერილი. ბუნებას უყვარს პარადოქსები. აკაკი წერეთელმა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები მაშინ შექმნა, როცა იგი ორმოცს გადაცილებული იყო. როდესაც „საქართველოს გოლგოთას“ ვწერდი, ას წელს მიტანებულმა მამაჩემმა, რომელსაც სიცოცხლესავით უყვარდა ილია ჭავჭავაძე, მითხრა, ილიასთანა ჭკვიანი კაცი ქართველებს არ გვყოლიაო. სწორედ ეს ალუზია ამოტივტივდა ჩემი მეხსიერების ზედაპირზე, როცა შალვა ამირეჯიბის ეს სტრიქონები წავიკითხე: „ეგრედ წოდებული ნიჭიერი ხალხი, საქმეში მარჯვე და ბედითაც ხშირად სვიანი, ისტორიაში იშვიათი არ არის, უცხოვრიათ და უმოქმედნიათ როგორც სამსხვერპლო ცეცხლს, ლამაზის და მწვანე ალით აღგზნებულს, ხალხისათვისაც წინ და უკან კაკალი ბევრი უყრიათ, მაგრამ რომ წასულან - ჩამომავლობისათვის ცეცხლისა და ნაცარის მეტი არაფერი დაუტოვებიათ. ისტორიაში იშვიათი მხოლოდ ჭკვიანი კაცია. დიდი ღირსება ილია ჭავჭავაძისა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, იყო და დღესაც არის, რომ ის ჭკვიანი ქართველი იყო“ („გამონათლევი“, 2014: 350). ამ სიტყვების ავტორს მიაჩნია, რომ ილიას ნააზრევი, მისი დიდი შემოქმედება წინასწარმეტყველებას უდრის.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შალვა ამირეჯიბის სტატია დაბეჭდილია ემიგრანტულ ჟურნალ „სამშობლოში“, 1932 წელს. ეს ის დროა, როცა საქართველოში, როგორც ირაკლი

აბაშიძე იტყოდა, „კაენის სულის აღზევებამ გადაიარა“(აბაშიძე,1969:65), როცა ერის მამა საყოველთაოდ შერისხული იყო და მისი ხსენებაც იკრძალებოდა. მისი მთაწმინდის პანთეონიდან გადასვენებაც კი მოითხოვეს. ასეთ დროს, პარიზში ქართულენოვან ჟურნალში შალვა ამირეჯიბის „ილია ჭავჭავაძის“ გამოქვეყნება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

LITERARY STUDIES

Ilia Chavchavadze with the ayes of the immigrant writer

Shota Zoidze
BatumiShotaRustaveliState University

A well-known Georgian immigrant poet published the article *Ilia Chavchavadze* in *Homeland,* the Paris-based Georgian magazine, Issue No. 123 of 1932. The article provided professional analysis of the significant aspects of the great writer's work, and evaluates his contribution and role in the history of Georgia.

The profound importance of this article also lies in the time when it was published. It was the time when the nation was a turmoil of the unashamed criticism of Ilia. Even mentioning of his name was unthinkable and it was even suggested to remove him from Mtatsminda cemetery to rebury elsewhere.

The research paper presents the insightful comments on this article by ShalvaAmirejibi.

გამოყენებული ლიტერატურა:

გამონათლევი 2014 - სამეცნიერო, მხატვრული და პუბლიცისტური წერილების კრებული, ბათუმი, ბსუ-ს გამომცემლობა.

ქუთაისი, 2014 - უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია, ქუთაისი.

აბაშიძე, 1969 - ირაკლი აბაშიძე, რჩეული, თბ.,

ზოიძე, 1997 - შოთა ზოიძე, საქართველოს გოლგოთა, გამომც. „აჭარა“, ბათუმი.

შარაძე-გურამ შარაძე - „უცხოეთის ცის ქვეშ“, გამომც. „მერანი“, 1997წ. გვ. 222.

ნიკოლეიშვილი, 2006 - ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთაისი.

ქიქოძე, 1989 - გერონტი ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, ჟურ. „მნათობი“, N1, თბილისი.

იოანე შავთელი – შავშეთის სახელოვანი სასულიერო მოღვაწე და მგოსანი

შუშანა ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფოუნივერსიტეტი

ისტორიულმა ზემო ქართლმა-მესხეთმა დედასამშობლოს ბევრი სასახელო შვილი აღუზარდა. მათ შორის ერთ-ერთია იოანე შავთელი, ძველი ქართული სახოტბო პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული“ (ქართლის ცხოვრება, 1959:95). ამ სახელოვანი პიროვნების შესახებ ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იგი თამარ მეფის თანამედროვე იყო, სამეფო კარის პოეტი, საზოგადოების მოწინავე წრეებთან დაახლოებული პიროვნება. ისტორიული წყაროების თანახმად, 1203 წელს ბასიანში თურქ-სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლის მოსამზადებელ წინა დღეებში იგი თამარ მეფის უახლოეს პირთა შორისაა. თამარ მეფის მატიანეები („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“) მოგვითხრობს: „მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს. და მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიისა და ღვთისმშობლისა წინაშე და ცრემლით შევედრა სოსლან და სპა მისი; და დროშა მისი სვიანი და ბედნიერად მყოფი გაგზავნა ვარძიით. ლაშქარნი წარემართნეს ბასიანის კერძოსა... მეფე თამარ მოიქცა სამცხესა და მოვიდა ოძრÃეს, და მოიცალა ლოცვად და მარხვად. მუნ იყო წინაშე მისსა თევდორე, ქართლისა კათალიკოსნი და მონაზონნი, ღმრთისა სათნონი; რომელთა თანა იყო იოანე შავთელი... და ევლოგი, რომელსა მოეღო მადლი წინასწარმცნობელობის. იყვნეს მიმდემნი ღამისმთევანი და ლიტანიობანი“ (იქვე, 1959:95,136). სწორედ მაშინ დაწერა იოანე შავთელმა „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“, ხოლო მათთან მყოფმა ვინმე ევლოგად წოდებულმა სასულიერო პირმა „საღმრთო ჟამის წირვის“ აღსრულების დროს იწანასწარმეტყველა ბასიანის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, წინასწარმეტყველების გამოცხადება ამ სასულიერო პირმა, ევლოგიმ, „არავის რა გამოუცხადა საიდუმლო თვინიერ **იოანე შავთელისა**. რამეთუ მას ოდენ აუწყა,, ვითარმედ ჟამთა ამას მოსცნა ღმერთმან ბარბაროზნი საძლეველად Ãელთა ქრისტიანეთასა. და მყის წარვიდა ევლოგი პირისაგან მათისა და დაიმალა“ (იქვე, 1959:138).

ჩვენამდე მოღწეულ ძველ ისტორიულ წყაროებში სხვაგან არსად იხსენიება იოანე შავთელი. გამონაკლისია „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულში მოცემული ბიბლიოგრაფიული სტროფი. ესაა უძველესი წერილობითი ცნობა „აბდულმესიანისა“ და მისი ავტორის შესახებ: „აბდულმესია-შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“... ამ სტროფში დასახელებული ოთხი ავტორიდან – სამი (მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, შოთა რუსთაველი) თამარის დროის მოღვაწეა, ამის ანალოგიით მეოთხეც (იოანე შავთელი) იმავე დროის მგოსნადაა მიჩნეული, რასაც ადასტურებენ თამარ მეფის ისტორიკოსები.

ქართველი მწიგნობრები და მკვლევარები 150 წელზე მეტია ცდილობენ საფუძვლიანად შეისწავლონ ქართული სახოტბო პოეზიის მშვენება – **„აბდულმესიანი“** და მისი ავტორის ვინაობა. პირველად ამ საკითხით დაინტერესდა **პლატონ იოსელიანი,** შემდეგ კი ყურადღება გამოიჩინეს სწავლულმა ბატონიშვილებმა – **იოანე** და **თეიმურაზ ბაგრატიონებმა.** იოანე ბაგრატიონი „კალმასობაში“ შავთელს მიიჩნევდა თამარის დროის მგოსნად. ასეთივე აზრისა იყო თეიმურაზ ბატონიშვილიც. ისინი ეყრდნობოდნენ თამარის ისტორიკოსების ცნობასა და იმ ხელნაწერებს, რომელთა დაუცავთ შავთელის გალექსილი თამარის ქება. სახელდობრ, „აბდულმესიანის“ კვლევას კი ართულებს ის გარემოება, რომ ამ სათაურის მქონე ნაწარმოები ხელნაწერებს შემოუნახავს. ასევე, შავთელის მიერ დაწერილი თამარის ქება კი ჩვენამდე მხოლოდ გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული.

იოანე შავთელის სახოტბო ნაწარმოები „აბდულმესიანი“, რომელსაც დღევანდელი მკითხველი იცნობს, ჩვენამდე მოღწეულია „ძალზე დამახინჯებული სახით. სულ მცირე, ორგზის განუცდია გადამუშავება. XVIII საუკუნეში დავით დუმბაძემ ეს ხოტბა გადააკეთა და არჩილ მეფეს მიუძღვნა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ქართველმა მწიგნობარმა, განსაკუთრებით დავით რექტორმა, სცადეს ტექსტის რესტავრაცია. ამიტომ ძნელი სათქმელია, რა არის თხზულების ტექსტში თავდაპირველი, რაა მერმინდელი და რაა ამოღებული და დაკარგული“ (ქართული მწერლობა, 1984:147).

1902 წელს აკად. ნ. მარმა გამოაქვეყნა ქართველი მეხოტბეები (აბდულმესიანისა“ და „თამარიანის“ დადგენილი ტექსტები, ვრცელი გამოკვლევითა და კომენტირებული ლექსიკონით). ნ. მარის ამ შესანიშნავი ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა ქართველ მეხოტბეთა მეცნიერულ შესწავლას. ნ. მარმა პირველმა გამოუნახა ამ ძეგლებს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. გამართა და გასაგები გახადა ამ რთული ტექსტების მრავალი ადგილი, გამოავლინა ჩახრუხაძისა და შავთელის მაღალი პოეტური ოსტატობა (მეტრეველი, 1966:92).

დავით რექტორის მიერ გადაწერილი თამარის ქების ერთ-ერთი ხელნაწერი გარკვეულ ცნობას გვაწვდის იოანე შავთელის ვინაობის შესახებ. ელ. მეტრეველი იმოწმებს ამ ხელნაწერს (ქართული მწერლობა,1988:391), რომლის მიხედვით იოანე შავთელი არის თამარ მეფის მდივანი; მოგვიანებით იგი მონაზვნად აღკვეცილა გელათში, იქ შეუთხზავს მას თამარის ხოტბა და მიურთმევია მეფისათვის. სხვა წყარო მისი ვინაობის შესახებ დღემდე არაა გამოვლენილი, „თუ მხედველობაში არ მივიღებთ,–როგორც წერდა აკად. კეკელიძე,–ზ.ჭიჭინაძის მიერ შედგენილ ფანტასტიკურ ბიოგრაფიას, რომლის მიხედვით იოანეს უსწავლია ჯერ შიომღვიმეში, მერე ათენში და ათონის აკადემიაში (?), ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ უმოგზაურია ეგვიპტე-ფინიკიაში, და ბოლოს, სამშობლოში დაბრუნებულა“ (კეკელიძე, 1960:323).

იოანე შავთელის სადაურობის შესახებ, აკად. კ. კეკელიძის გარდა (ნ. მარი, შ. ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე, ი. ლოლაშვილი, ელ. მეტრეველი), მომდევნო წლებში არავის გაუმახვილებია ყურადღება. ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი მკვლევარი, დიდი მეცნიერი აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერდა: „სახელწოდება **შავთელი** უნდა იყოს შემოკლებული **შავშეთელი**, ეს კი ეთანხმება იმ ცნობას, რომელიც პ. იოსელიანს „აბდულმესიანის“ ძველ ხელნაწერში ამოუკითხავს, რომ ის იყო „ადგილთაგან საათაბაგოთა“.

„ქართლის ცხოვრებით“ იოანე ყოფილა „ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღუაწებათა და ლექსთა გამომთქუმელი“. პ. იოსელიანის მიერ მოტანილი ცნობით, შავშეთელი იყო მდივანი თამარ მეფისა, ხოლო „შემდგომ იქმნა მონაზონ და უწოდეს სახელი **იოანე**, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათისა მონასტერსა შინა“. და მართლაც, შავთელი თვითონ უწოდებს თავის თავს „მწირად და მსხემად“. მაშასადამე, ის მართლაც ბერი ყოფილა“ (კეკელიძე, 1960:324). როგორც ჩანს, პ. იოსელიანი იმეორებს დავით რექტორის მიერ გადაწერილი „აბდულმესიანის“ ხელნაწერის ცნობას იოანე შავთელის ვინაობის შესახებ.

პლატონ იოსელიანს 1838 წელს თბილისში დაუსტამბავს იოანე შავთელის სახოტბო ნაწარმოები (ოდა) „აბდულმესია“ და სწორედ ნაწარმოების შესავალში აღნიშნავს მისი სადაურობის შესახებ, რომ ის იყო „ადგილთაგან საათაბაგოსთა“. მაშასადამე, იოანე შავთელის სადაურობის შესახებ მხოლოდ ორჯერაა საუბარი სამეცნიერო ლიტერატურაში: პლატონ იოსელიანის ცნობით, იოანე საათაბაგოდანაა. კ. კეკელიძე კი კიდევ უფრო აზუსტებს ამ ცნობას, აკონკრეტებს მას და აღნიშნავს, რომ იოანე **შავშეთიდანაა, რომ ზეწოდება „შავთელი“ შემოკლებული „შავშეთელია**“.

იოანე შავთელის სადაურობის შესახებ პლ. იოსელიანისა და კ. კეკელიძის მიერ მოწოდებული შეხედულება უსათუოდ გასაზიარებელია. როგორც ცნობილია, ჩვენი დიდი წინაპრები თავიანთი სადაურობის უკვდავსაყოფად ზეწოდებად ირჩევდნენ მშობლიური ადგილების სახელებიდან მომდინარე გამოთქმებს, როგორიცაა: რუსთაველი, ოპიზარი, ოლთისარი, ჯვარელი, ბერთელი, მერისელი, ხახულარი... ასეთივეა შავთელიც, რომელიც მიგვანიშნებს, რომ დიდი თამარის სამეფო კარის პოეტი **იოანე შავთელი** იყო შავშეთიდან, კერძოდ, ჩვენი შეხედულებით სოფელ **შავთიდან**//შავთელი). სოფლის სახელია **შავთა.**

შავთა სოფლის ერთადერთი სახელია საქართველოში. იგი მდებარეობს შავშეთში, რომელიც ისტორიულად წარმოადგენდა ზემო ქართლის–მესხეთის-ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარეს, სამცხე-საათაბაგოს შემადგენელ ნაწილს. დიდი ილია ჭავჭავაძე ჩვენი სამშობლოს ამ დიდებულ მიწა-წყალს ასე გვიხასიათებს: „საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში. როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად... მაშინ ზემო ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, განაძლიერებდა ქართველებს თვითარსებობის დასაცველად, მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა... უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ახლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი იყვნენ... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, **ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთს დროს** (ილია ჭავჭავაძე, 1987:7,8-9). ეს ბედნიერი დრო ჩვენი ხალხის ისტორიაში IX-XIII საუკუნეებს მოიცავს.

იოანე შავთელის მოღვაწეობა XII საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XIII საუკუნის დასაწყისის პერიოდს უკავშირდება. ამ დროს შავშეთ-კლარჯეთი, აჭარა, ტაო ბასიანითა და სპერით საქართველოს ისტორიის სასახელო ფურცლებს წერდა ხოლმე. შავშეთის სოფელ

შავთაში საკმაოდ მოზრდილი ეკლესია ემსახურებოდა აქაური მოსახლეობის სულიერებასა და განათლებას. მისი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი.

მკვლევართაგან სოფელი **შავთა** პირველად აღწერა გ. ყაზბეგმა. 1874 წლის ივნისში იგი ზემო აჭარიდან სოფ. ბაკოს გავლით, სარიჩაირის მწვერვალზე გადავიდა მდ. ყვირალას ხეობაში და იქედან შევიდა სოფ. **გარყილობში**, საიდანაც იწყება შავშეთის ვაკე. აქვეა სოფელი **შავთა**. მან აქ ნახა ეკლესიის ნანგრევები, მაშინ ჯერ კიდევ იდგა ეკლესიის სამი კედელი. აღმოსავლეთის კედელზე შემონახული იყო მაცხოვრის გამოსახულების მარცხენა ნაწილი წარწერით – „იესო ქრისტე“ (ყაზბეგი, 1995: 77). ნ. მარმაც იმოგზაურა 1904 წლის ივლისში შავშეთ-კლარჯეთში, მაგრამ მხოლოდ მიუახლოვდა სოფელ **შავთას**, რომელიც სოფელ გარყილობის ზემოთ მდებარეობს. სოფელ სვირევანისკენ მიმავალი ნ. მარი ვეღარ შევიდა სოფელ შავთაში, რადგან გზამ გვერდით მოიტოვა შავთა. დიდმა მეცნიერმა იცოდა შავთის ეკლესიის ნანგრევის არსებობა, ამიტომ გარყილობელ კაცს მოათხრობინა ამ ეკლესიის შესახებ. თუმცა გ. ყაზბეგის მიერ მოპოვებულ ცნობებს ბევრი არაფერი მიმატებია ამ ეკლესიის შესახებ (Марчуле, 1911:30). ჩვენთვის მნიშვნელოვანი ნ. მარის დღიურში მხოლოდ ის გახლავთ, რომ გარყილობელი მთქმელი ქართულად მოლაპარაკე იყო.

ამ ცნობით წახალისებულებმა **1998 წლის ზაფხულში ვიმოგზაურეთ შავშეთის სოფლებში** აქ შემორჩენილი ქართული ენის კვალის საძებნელად. დავათვალიერეთ სოფლები – **გარყილობი, ჯუარები, კარავათი, შავთა, მიქელეთი, ჩიხვტა, ყვირალა, ჯინალი.** შავთაში მაშინაც დაცული იყო ეკლესიის ნანგრევები და „ქართული მიწის ენა“ – გეოგრაფიული სახელები – მიკროტოპონიმები. მოსახლეობამ ამ სოფლებში თითქმის აღარ იცის ქართული, თუმცა მათ თურქულს აქა-იქ ამკობს ქართული სიტყვები, რაც ცალკე შესწავლის საგანია და მომავალ მკვლევარებს ევალებათ.

იოანე შავთელის მშობლიური სოფელი **შავთა** გაშლილია არსიანის მთაგრეხილის ერთ-ერთ ფერდობზე. იქიდან კარგად ჩანს მთელი შავშეთის ვაკე, იმერხევის სოფლები, აჭარა-შავშეთის ქედი. სოფელი შავთა ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია შავშეთის მხარეში. აქაური ქართველების მუსიკალური ფოლკლორი ისეთივე მაღალმხატვრულობით გამოირჩევა, როგორიცაა იოანე შავთელის სახოტბო პოეზია.

შავთელის სახელი **იოანე** ნათლობის სახელია, საერო სახელი ცნობილი არ არის. შავთელის ორი აღაპი შემონახულია ტბეთის საეპისკოპოსო ტაძრის სააღაპე წიგნში, რომელიც ცნობილია **„ტბეთის სულთა მატიანე“**-ს სახელით. ეს აღაპები ამ მატიანეში შეტანილია ნომრებით – 424 და 558. ორივე აღაპში შავთელი ქუაბულისძედ არის მოხსენიებული. **ქუაბულისძე** ამ აღაპებში ან გვარია შავთელისა, ანდა **ქუაბული** მამის სახელია. ვფიქრობთ, სიტყვა „**ქუაბულისძე**“ დღევანდელი ქართულით უნდა იყოს, „ქუაბულის შვილი“. ე.ი. „ქუაბული“ იოანე შავთელის მამის სახელია. 558-ე მოსახსენებელში შავთელის მეუღლის სახელიცაა მოცემული – **ნათელი**: „სულსა **ქუაბულისძის შავთელისა და მისსა მეუღლეს ნათელს შეუნდვენ ღმერთმან**“. ჩვენის ვარაუდით, ამ აღაპებში მოხსენიებული პირი უნდა იყოს **იოვანე შავთელი-ქუაბულისძე, თამარ მეფის სამეფო კარის პოეტი, იმ პერიოდის საქართველოში ცნობილი სასულიერო პირი.**

მაშასადამე, **„ტბეთის სულთა მატიანე“ ძვირფასი წყაროა იოანე შავთელის ვინაობის შესასწავლად**. ცნობილი პოეტი და სასულიერო მოღვაწე, როგორც ჩანს, ზრუნავდა თავისი

მშობლიური მხარის – შავშეთის-საეპისკოპოსო ტაძრის–ტბეთის ეკლესია-მონასტრის კეთილდღეობისათვის, უხვად სწირავდა მას საფასეს, რის გამოც მისი ღვაწლის სახსოვრად **ორი აღაპი დაწესდა ტაძრის სააღაპე წიგნში.** შავთაში გაზრდილ იოვანესათვის ტბეთის ტაძარი, ცხადია, ძალიან ახლობელი (შავთა ახლოსაა ტბეთთან), მშობლიური იყო და მასზე ზრუნავდა დღენიადაგ, როგორც თამარის სამეფო კარზე მოღვაწეობისას, ასევე გელათის მონასტერში ყოფნის დროს.

დღევანდელი მკითხველისათვის შეიძლება გაუგებარი იყოს იოანე შავთელის სახოტბო პოეზიის შედევრის (ოდის) სახელწოდება – „აბდულმესიანი“. ნ. მარისა და კ. კეკელიძის ცნობით, ნაწარმოების სახელწოდება მომდინარეობს „არაბული სიტყვიდან–აბდულმესიჰ, რომელიც ქრისტეს, მესიას, მონას ნიშნავს“ (კეკელიძე, 1981:233). ისმება კითხვა: ვის უძღვნის ქებას ავტორი? ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვაგვარი შეხედულება. ჩვენ ვიზიარებთ კ. კეკელიძის მოსაზრებას, რომლის თანახმად: „პოეტი ხოტბაში შეამკობს ორ გვირგვინოსანს: **დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს**... მას თვალწინ ეხატება ძლიერი, განათლებული და გალაღებული საქრისტიანო საქართველო... ვინ შექმნა ასეთი საქართველო? რა თქმა უნდა, არა მარტო თამარ მეფემ, არამედ დავით აღმაშენებელმაც. **თამარი უდავითოდ წარმოუდგენელია**. დავითი არის ალფა მომხიბლველი საქართველოსი, ხოლო თამარი-ომეგა. მათ ორთავეს თანაბარი ღვაწლი მიუძღვის მის შექმნაში, წარმატებასა და განდიდებაში... ზოგ სტროფში დავითია შესხმული, ზოგში თამარი, ზოგში კიდევ ორივე ერთად“ (კეკელიძე, 1981:240). კ. კეკელიძე ამიტომაც წერდა, რომ ნაწარმოებს შეიძლება ეწოდოს **„დავით აღმაშენებლისა და თამარის ქებაო“.**

ჩვენამდე მოღწეულია იოანე შავთელის კიდევ ორი თხზულება: „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი“ და „საძიებელი და მასწავლებელი“ ე.წ. „ასურული კვინკლოსისა“.

უბადლო პოეტური ოსტატობით გამოირჩევა „გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი“. ეს არის წმ. მარიამ ღვთისმშობლის საგალობელი იამბიკო, შექმნილი ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვების გამო. საგალობლის ხელნაწერი XIII საუკუნისაა. მეორე ნაწარმოები – „საძიებელი და მასწავლებელი“... უკავშირდება **ტბელ აბუსერისძის** ნაწარმოებს.

XIII საუკუნის ცნობილი მწერალი და სასულიერო მოღვაწე ტბელ აბუსერისძე იოანე შავთელს მოიხსენიებს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. იგი თავისი **თხზულების–„ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“** – სარედაქციო დანართში წერს: „ესე ასურულისა კვინკლოსისა საძიებელი და მასწავლებელი, იამბიკონად თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე შავთელისაგან თქმულიცა ამისთვის დავწერე, რომელ ზემოსა საუწყებელსა შინა მეÃსენა“ (აბუსერისძე, 1998:209).

დიდი მეცნიერი კ. კეკელიძე აბუსერისძე ტბელის ნაწარმოებზე მსჯელობისას „ასურულ კვინკლოსთან“ დაკავშირებით წერდა, რომ „აბუსერისძე ტბელმა თავის თხზულებას საგანგებოდ დაურთო **შავთელის იამბიკოები** თავსა და ბოლოში... აბუსერისძის თხზულება წარმოადგენს ტრაქტატს, რომელშიც განმარტებულია 532 წლიანი პასქალური ციკლი-იგივე „ასურული კვინკლოსი“. შავთელის იამბიკოები კი ამ ციკლის, ე.ი. „ასურული „კვინკლოსის“ „საძიებელი და მასწავლებელია“; არის, ასე ვთქვათ, შესავალი (აბუსერისძე, 1998:186).

მკვლევართა აზრით, შავთელის ზემოთ დასახლებული იამბიკური თხზულება უდავოდ ღირსშესანიშნავ და მაღალმხატვრულ ტრაქტატს წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ კალენდრის ღრმად მცოდნე მკითხველზე იყო გათვლილი. ჩვეულებრივი მკითხველი, ცხადია, ვერ შესძლებდა იმ პოეტური წიაღსვლების აღქმას, რომლებიც ამ იამბიკოებში აზრის გადმოცემის მთავარ საშუალებად არის გამოყენებული. ცხადია, ამგვარი ნაწარმოების შექმნას მომზადებული მკითხველის ფართო აუდიტორიის გარეშე აზრი არ ექნებოდა. იოანე შავთელის იამბიკური თხზულება იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების უაღრესად მაღალი მომზადების დონეზე მეტყველებს.

იოანე შავთელის ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოებებიდან ნათლად ჩანს ავტორის ორმაგი განათლება: საერო და სასულიერო. კ. კეკელიძე წერდა, რომ იოანე შავთელის „იდეურად და ფორმით საერო ხასიათის ნაწარმოები, სულითა და დამუშავებით სასულიერო ელფერის თხზულებაა. სასულიერო ელემენტს ჩვენ უმთავრესად ვგრძნობთ არა თემის დამუშავებაში, არამედ – ენაში: შედარებანი ავტორს მოჰყავს ძველი აღთქმიდან და აზრებს გამოსთქვამს ბიბლიის სიტყვებით. ის ნაკითხია როგორც ძველ ბერძნულ ისტორიულ, ფილოსოფიურსა და მხატვრულ მწერლობაში, ისე აღმოსავლურ, სპარსულ-არაბულში, მაგრამ არანაკლებ მცოდნეა ის, ბიბლიის გარდა, საეკლესიო-სასულიერო მწერლობისაც, რომლითაც უხვად სარგებლობს თავის ნაწარმოებში (კეკელიძე, 1981:242).

იოანე შავთელის განათლების მაღალ დონეზე წერდა დიდი **ივანე ჯავახიშვილიც.** იგი ჩახრუხაძისა და შავთელის სახოტბო პოეზიაში ამჩნევდა აღმოსავლური-სპარსულ-არაბული კულტურის კვალსაც. იგი წერდა: „ქრისტიანობისა და ბიზანტიის მონარქიის უდიდესი გავლენის მიუხედავად, **საქართველომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ აითვისა მაჰმადიანი ხალხების სახელმწიფოებრივი კულტურიდან**; მათი პოლიტიკური მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი იდეალები უცხო არ ყოფილა ქართული საზოგადოების წარმომადგენლებისათვის. სპარსეთის რომანტიკულ და ეპიკურ ნაწარმოებთა გმირების რაინდული სული და საქმე, გვაროვნული სიამაყის შეგნება და სუვერენულ ხელისუფლებასთან დამოკიდებულება-ურთიერთობა შეეხებოდა საქართველოს ფეოდალური დიდკაცობის სულიერ განწყობილებას... მათ სთიშავდა რელიგია, **სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურა კი ბევრ რამეში ერთნაირი იყო**... ამგვარი მიმართულების მკაფიო მაგალითად შეიძლება დასახლდეს ჩვენამდე მოღწეული შავთელისა და ჩახრუხაძის ხოტბანი“ (ჯავახიშვილი, 1998:63).

აღმოსავლური კულტურის კვალი აისახა იოანე შავთელის ნაწარმოებთა ლექსიკაშიც. ამ ლექსიკურ ერთეულებს ხშირად იმოწმებდა თავის შრომებში დიდი **ივანე ჯავახიშვილი.** მათგან აღსანიშნავია არაბულ-სპარსული ლექსიკის ნიმუშები: მგოსანი, გუნდი, დასი, ტურფა (ძვირფასი ქსოვილი), ბალასანი (ნელსაცხებელი), მუშკი, ზარდახშა (პატარა ყუთი), ფოლადი, შაქარი, ლალი, იაგუნდი, ფირუზი, სადაფი, ბაღი, ბაღჩა, ბოსტანი. მაგ. სიტყვა „ბოსტანი“ X საუკუნემდე ქართულ ენაში არ მოიპოვებოდა. მათი ჩვენს ენაში შემოხიზვნის ხანად ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს X-XI საუკუნეებს (ჯავახიშვილი,1986:116).

„დამახასიათებელია, რომ არც შავთელსა და არც ჩახრუხაძეს თავიანთ ხოტბებში არც ერთხელ სიტყვა **ჩანგი** დასახელებული არა აქვთ. ეს გარემოება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ შესხმის დასამღერებლად და დარბაზობის დროს **ჩანგი** საქართველოში

თავდაპირველად, როგორც ეტყობა, არ უხმარიათ; თუმცა ლხინსა და დროსტარებაში, ნადიმის დროს, ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. შოთაც – კი ყველგან უპირველესად ამ საკრავს ასახელებს ხოლმე... „ჩანკ“ სპარსულად სპარსთა და ჰინდოელთა ოდესღაც არსებულ **ჰარფას** ეწოდებოდა“, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი,1998:532).

იოანე შავთელის ნაწარმოებთა ლექსიკა ინახავს ძველი ქართული ენის შესანიშნავ ნიმუშებს, რომელთაგან დავასახელებთ დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ წარმოჩენილ ლექსიკურ ერთეულებს, როგორიცაა: **კეთილ-განსხლული, ნეკი, ნაკი, ბუტკო (ყურძნის ჯიში, მისი სახელი ძველი უნდა იყოს, XII საუკუნეზე უწინარეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ი.ჯ.), ერქუანი, ანეული (ზაფხულის სახნავი), მძნობარი (მოცეკვავეთა გუნდი).** იოანე შავთელს სიმღერაც **ძნობად** აქვს წოდებული, შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1998:469:470);**ლარი** მე-12 საუკუნეში სისწორის შესამოწმებელ საზომად ყოფილა მიღებული („სჯულისა ლარი, ქვეყნის სალარი, გამდიდრებული ფრიად ყოვლითა“. შავთელი); **ტაბლაკი** შავთელს დასახელებული აქვს იმდროინდელი საქართველოს საომარ საკრავად... აღსანიშნავია ისიც, რომ არც **ჩანგური** და არც **ჩონგური** არ გვხვდება არც შავთელთან, არც ჩახრუხაძესთან, არც რუსთაველთან, არც მოგვიანო ხანის ქართველი მგოსნების ლექსებსა და პოემებში. ასევე, შავთელი **სიმის** მაგივრად იყენებს სიტყვას **ძალი**. ეს გარემოება იმის მომასწავლებელი უნდა იყოს, რომ ეს სახელები (ჩონგური, ჩანგური, სიმი) ჩვენს ენაში მაინცდამაინც ძველი არ არის, აღსანიშნავს ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1998:541).

იოანე შავთელის ენაში ძალიან მკრთალად, მაგრამ მაინც იგრძნობა **ადგილობრივი ენობრივი კოლორიტი, სამხრულ-დასავლური ქართულენოვანი სამყაროსათვის ნიშან-დობლივი ელფერი,** რომელიც უმეტესად შეიმჩნევა ლექსიკაში. ასეთი ენობრივი ერთეულებია: ანაგებად, ბასრობა, ბაყლი, საფერი, მობლარდნა, მორბედი, ავაზანი, პინაკი, კედელ-ყურენი, ლირწი, გარდალაჯული და ა.შ. უფროობითი ხარისხის ფორმათაგან აღსანიშნავია – უმხნე, უმაღლე... საყურადღებოა ნასახელარი ზმნები–ბასრობდეს (კიცხავ-დეს), მეიმედოსა, ამრავალწილა, მოიბლარდე, მხედრობს, ფიქრობს... იოანე შავთელის მაღალმხატვრული ენა, ცხადია, ცალკე კვლევის საგანია და მასზე მეტად ამჯერად აღარ შევჩერდებით.

ამრიგად, იოანე შავთელი, შავშეთის სახელოვანი შვილი, თავისი მრავალმხრივი შემოქ-მედებით ამკობს საქართველოს ოქროს ხანის მწერლობას.“ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხე-ბულსა... პოეზია კი მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულსა“ (ჭავჭავაძე, 1985:535). მართლაც, ღმერთმა **შავშეთს იოანე შავთელის სახით მოუვლინა სასიქადულო მამულიშვილი, პოეზიის მადლით ცხებული პიროვნება, მისი პოეზიის ენა მხატვრული სახეების-მეტაფორმების, შედარებების, ეპითეტების, ალიტერაციის, ომონიმების, მაჯამების ამოურწყავი საგანძურია.** როგორც შოთა რუსთაველი ამბობდა ნამდვილი მოშაირის შესახებ, „მისთვის ენა მუსიკოსობდესო“, **იოვანე შავთელის პოეზიის ენა მართლაც მუსიკობს და მაღალმხატვრული ენობრივი საშუალებებით ამკობს ქართველი ერის საამაყო შვილებს – დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს**.

ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ

Иоанн Шавтели – известный шавшетский духовный деятель и поэт

Шушана Путкарадзе
Батумский государственный университет Шота Руставели

Иоанн Шавтели деятель эпохи царицы Тамар. Он находился в её свите накануне Басианской битвы. Об этом повествует летопись «Картлис цховреба».

Из других исторических источников известно, что Шавтели был придворным поэтом. Его перу принадлежит хвалебная ода «Абдул-Мессия». Слово Абдул-Мессия арабского происхождения, и в переводе на грузинский язык означает «покорный Мессии» (спасителю, Христу).

Произведение посвящено двум великим царям – Давиду Агмашенебели (Строителю) и царице Тамар. Автор для их восхваления использует множество художественных приёмов. Восхваляет физическую и духовную красоту царей. В научной литературе бытовало мнение, что Шавшетели словасинонимы, то есть поэт по происхождению должен быть из Шавшети. Последние исследования подтверждают это предложение: Иоанн действительно шавшетинец, уроженец села Шавмта (турция, Артвинский вилайет). Это село расположено на южном склоне Арсианского хребта и обличается необычайной красотой. Оттуда виден весь Шавшетский край.

Село Шавмта посетил в 1874 году Георгий Казбеки. В 1997 году там побывала и я. Руины старой церкви в этом селе, описанные ещё Георгием Казбеки, сохранились до наших дней.

Поминальная запись об Иоанне Шавтели имеется в известном историческом документе «Тбетском синодике», созданном в Тбетском монастыре, находящемся в Шавшети.

ლიტერატურა

1. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II , თბ., 1959;
2. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1948, გვ. 178;
3. თეიმურაზ ბატონიშვილი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, 1960, გვ. 290;
4. ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I, თბ., 1984;
5. ელ. მეტრეველი, დავითისა და თამარის ქება, იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., თბ., 1966;
6. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, ძველი მწერლობა, თბ., 1960;
7. ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, პუბლიცისტური წერილები, თბ., 1987;
8. გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995;

9. Шеоргий Мерчуле, Житие св. Григория Хандзтийского, грузинский текст: введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию, VII. С.-Петербург, 1911.
10. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი მეორე, თბ., 1981;
11. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998;
12. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბ., 1998;
13. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. V, თბ., 1986
14. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XI, თბ., 1998;
15. ილია ჭავჭავაძე, ლექსები, პოემები, მოთხრობები, წერილები, ტ. 4, თბ., 1985;
16. ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტომი მესამე, თბ., 1988.

მარადიდული საბავშვო ფოლკლორი

თინა შიოშვილი
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა ყველა ხალხის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. ამ უაღრესად საპასუხისმგებლო მისიის წარმატებულ განხორციელებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საბავშვო ზეპირსიტყვიერებას, რომლის პედაგოგიურ-აღმზრდელობითი იდეალებით გაჯერებული ნიმუშები მოზარდის მოქალაქეობრივი ფორმირებისა და ფიზიკური ჯანმრთელობის უშრეტი წყაროა და საუკუნეთა მანძილზე წარმატებულად ახორციელებს ყმაწვილთა ზნეობრივი მოძღვრის საპატიო მისიას.

ქართველთა უპირველესი პედაგოგისა და აღმზრდელის - იაკობ გოგებაშვილის მიერ საყმაწვილო ზეპირსიტყვიერებად სახელდებული ეს არქაული უბანი ჩვენი ეროვნული ფოლკლორისა თვალსაჩინო გამოხატულებაა ჩვენი ხალხის უძველესი კულტურული მემკვიდრეობისა, ეროვნული ხასიათისა, მისწრაფებებისა, შემოქმედებითი პოტენციისა და ყველა ეპოქაში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ფუნქცია ეკისრება.

საბავშვო ზეპირსიტყვიერებას ყოველ სოციუმში ფართო საშემსრულებლო სივრცე ეთმობა, რაც მისი პოპულარობისა და ქნედითუნარიანობის საწინდარია; მისი მატარებლები არიან როგორც უშუალოდ ყმაწვილები და მოზარდები, ისე - უფროსები, რომლებიც იმავდროულად ავტორ-მთქმელებადაც გვევლინებიან. ამდენად, როგორც საბავშვო ფოლკლორის ცნობილი მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი მიიჩნევს, ზეპირსიტყვიერების ამ უბნის საზღვრებში ექცევა როგორც საბავშვო შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც მოზრდილთა მიერ სპეციალურად ბავშვებისათვის იქმნება, ასევე - ის ნიმუშები, რომელთა თავდაპირველი მნიშვნელობა სულ სხვა იყო, მაგრამ შემდეგ, მათში შემორჩენილი, ყმაწვილთათვის მისაღები და შესაფერისი მოტივების წყალობით, თანდათანობით საბავშვო რეპერტუარად იქცნენ; აქვე, ბუნებრივია, შემოდის საკუთრივ ბავშვთა ზეპირსიტყვიერებაც.

ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სივრცე ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო და უტყუარი წყაროა ამა თუ იმ ეთნოსის შესასწავლად. ბუნებრივია, საბავშვო ზეპირსიტყვიერებაც ამგვარ კულტუროლოგიურ ფენომენად მოიაზრება. ქართულმა საბავშვო ფოლკორმა "ქართველი ხალხის წარსულის, მისი შემოქმედებითი პოტენციალისა და ეროვნული თავისებურებების მრავალი საინტერესო რეალია და ნიშანი შემოინახა" (ზანდუკელი, 1973: 248). ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ძირძველი ქართული ტერიტორიების მცხოვრებთა საბავშვო ფოლკლორული შემოქმედების, როგორც ჩვენებურთა კულტუროლოგიური მეხსიერების, შესწავლა. ამ თვალსაზრისით წარმოებულმა ფოლკლორულ-შემკრებლობითმა და მეცნიერულმა მუშაობამ დაგვანახა, რომ ისტორიული შავშეთისა და კლარჯეთის "გურჯთა"

შორის შემონახული საბავშო ფოლკლორის ნიმუშები, ისევე, როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა უბნები, არსებითად ერთიანი ეროვნული ფოლკლორული სივრცის ნაწილია, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს შავში და კლარჯი ჩვენებურების იდენტობას (შიოშვილი, 2016: 227-231; შიოშვილი, 2017: 306-332).

ისტორიულმა ბედუკუღმართობამ საქართველოს მარტო ცალკეული პროვინციები კი არ ჩამოაჭრა, ზოგიერთი სოფლებიც კი შუაზე გაყო; ერთ-ერთი ამგვარი მწარე რეალობაა სოფელი მარადიდიც, რომლის ორივე ნაწილის - გაღმა მარადიდის, იგივე მურათლის (თურქეთის რესპუბლიკა) და გამოღმა მარადიდის (საქართველოს რესპუბლიკა) - მკვიდრთა ფოლკლორულ შემოქმედებაში ბოლო დრომდე შემონახული საბავშვო ზეპირსიტყვიერების შესწავლასა და მათ ურთიერთმიმართებასაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

1. სააკვნო ლექს-სიმღერები

საყმაწვილო ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი სახეა სააკვნო ლექს-სიმღერები, რომლებიც დღეისათვის ძირითადად "ნანას", "იავნანას" სახელით მოიხსენიებიან და უკავშირდებიან მზისა და ნაყოფიურების არქაულ ქართულსა და ზოგადკავკასიურ ქალღვთაება ნანას სახელს; თუმცა, გენეტიკურად ისინი სხვადასხვა ციკლის ლექსებია და ფუნქციურად ძველთაგანვე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან: "ნანა" ("ნანინა") სააკვნო ლექს-სიმღერაა და, იოანე ბატონიშვილისეული განმარტების თანახმად, ყრმათა დასაძინებელი სიმღერაა ძველთაგან (ბატონიშვილი, 1936: 294); "იავნანა" კი თავისი გენეზისით მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას საკულტო საგალობელია და ძირითადად ინფექციურ დაავადებათა განკურნების ფუნქცია ეკისრებოდა. დროთა განმავლობაში სააკვნო და საკულტო სიმღერები ერთმანეთს დაუახლოვდნენ, რასაც ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ორივე ("ნანაც" და "იავნანაც") დაკავშირებულია დედობის, ნაყოფიერების ღვთაება ნანას სახელთან და, როგორც მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარი შ. ასლანიშვილი ასკვნის, "ბუნებრივია, რომ ხალხმა ნანას სადიდებელი სიმღერა-საგალობელი გამოიყენა... აკვნის ნანასთვის, ე. ი. დედობის თვისების გამომხატველი სიმღერისათვის" (ასლანიშვილი, 1954: 142).

დღეისათვის "ნანას" და "იავნანას" ფუნქციები მხოლოდ ბავშვების დაძინებაში გამოიხატება; უცვლელია მხოლოდ მათი შემსრულებელი სუბიექტი (დედა, ბებია, ძიძა); ამდენად, ამ ჯგუფის სიმღერები ძირითადად "ნანას" სახელწოდებით მოიხსენიებიან და, ბუნებრივია, ამგვარივე სურათს იძლევა გაღმა-გამოღმა (ზემო და ქვემო) მარადიდელთა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული სინამდვილეც.

გამოღმა მარადიდში (საქართველოს რესპუბლიკა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) დადასტურებული სააკვნო ლექს-სიმღერებში ორივე სახელწოდება ("ნანა", "იავნანა") დომინირებს და მათი ფუნქცია ბავშვის დაძინებაა. 2017 წლის 30 აგვისტოს სოფელ მარადიდში (სოფლის ცენტრი) 90 წლის ლუთფიე ღომიძე-ლომაძისაგან ჩაწერილ "ნანას" ტექსტში დასტურდება ორივე ტერმინი ("ნანა", "იავნანა") და, ტრადიციისამებრ, გამოხატულია შემსრულებლის უნაზესი გრძნობა და მზრუნველობა ჩვილისადმი; თუმცა, საერთოქართული ვარიანტებისაგან განსხვავებით, ტექსტობრივად ძალზე მწირია:

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო!
დაიძინოს ჩემმა ბიჭმა,
მას ვენაცვალეო!..

იმავე სოფლის მკვიდრის (სასახლეთის უბანი) - 75 წლის დოდო (შუშანა) კახაბერიძე-ღომიძისაგან 2017 წლის 2 სექტემბერს ჩაწერილი სააკვნო ლექს-სიმღერა კი შედარებით ვრცელია და, ამავე დროს, მასში შესულია აკაკი წერეთლის ლექსის - "იმერული ნანინა" - სტრიქონებიც:

იავნანა, ვარდონანა,
იავნანინაო!
დაიძინე, ჩემო პატარავ,
იავნანინაო!
დედა ეტყვის: "გენაცვალე,
შენ პაწაწინაო!
ძუძუებში ჩაგივლია
შენ პატარა ხელიო.
დაიძინე, პატარავ,
იავნანინაო!

აკაკისეული ლექსის კონტიმინაცია ხალხურ ლექსთან სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ხანიერი ფოლკლორულ-ლიტერატურული ურთიერთობისათვის, რომელიც საუკუნეებს ითვლის; ამასთანავე, ისიც სავსებით ბუნებრივია, რომ დიდმა მგოსანმა, როგორც სათაურის მინაწერიდან ვგებულებთ, ლექსი საბატონო ყმების ახალშობილ შვილებს მიუძღვნა და მისამღერადაც ხალხური "ნანას" ("იავნანას") სტრიქონები გამოიყენა:

... დაიძინე, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!..
დედა ეტყვის: "გენაცვალოს შენი მშობელიო,
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო!..
. . . . . .
იავ-ნან, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

(წერეთელი, 1988: 74)

გაღმა მარადიდში (მურათლი), რომელიც დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, გურჯი დედები და ბებიები ბოლო დრომდე უმღერიან ჩვილებს სააკვნო სიმღერებს, თუმცა მისი სახელწოდებაა მხოლოდ "ნანა"; "იავნანის" სახელით ბავშვის დასაძინებელი სააკვნო სიმღერა ვერ დავაფიქსირეთ და არც მისამღერად გამოიყენება "იავნანა". ანალოგიური ვითარება გვაქვს შავშურსა (შიოშვილი, 2016: 305) და კლარჯულ (შიოშვილი, 2017: 424) ფოლკლორში. მურათლურ "ნანებში", ტრადიციული ქართული სააკვნო ლექს-სიმღერების მსგავსად, გამოხატულია სიყვარული და მოფერება ჩვილისადმი და, აგრეთვე, გამოთქმულია სამომავლო სიკეთის რწმენა. მურათლიში მცხოვრები 80 წლის აითინ ოზთურქისაგან (საღიროღლი) 2017 წლის 16 ივლისს ჩაწერილი "ნანა" ამისი დასტურია:

დეÁძინე და ნანაჲ ქენ,
ლამაზი გამეÁღვიძე!
ტათლი-ტათლი გაჭამო,
ლამაზი იყავი!
დეÁძინე და ნანაჲ ქენ!

ამგვარი სინაზითა და სიკეთით არის გამსჭვალული 77 წლის ზემო მარადიდელი (მურათლი) ქალბატონისაგან - ემინე მაადენისაგან (ბექიროღლუ) 2017 წლის 20 ივლისს ჩაწერილი “ნანას” ტექსტიც:

დეჲძინოს ჩემი ბებექმა,
გეჲზარდოს ჩემი ბებექმა!
გეჲაროს ჩემი ბებექმა!
გუუხარდეს ჩემი ბებექმა!

ხინწკანაში მცხოვრები 79 წლის ფადიმე ოსქანისაგან (თელლოღლი) 2017 წლის 18 ივლისს ჩაწერილი სააკვნო ლექს-სიმღერის მოკლე ვარიანტში კი სიტყვა “ნანის” ოთხგზის განმეორება ძილისადმი მოწოდებაა და, ამავე დროს, გამოხატულება არქაული ზოგადქართული (და ზოგადკავკასიური) რწმენისა, რომ ძილის დროს ჩვილს დიდი დედა ნანა მფარველობს და ზრდის:

ნანი, ნანი, ნანი, ნანი!..
დეჲძინე, გეჲზარდო’ნა!..

მურათლიში 68 წლის ჰაჯერ ოზთურქისაგან (საღიროღლი) 2017 წლის 16 ივლისს ჩაწერილი “ნანას” ვარიანტი აშკარად ბებიების (მამის მხრიდან) რეპერტუარია და იუმორისტული ელფერის შემცველია:

ნანი, ნანი, ნანაჲ,
დეჲძინე, ნანაჲ!
ტურამ შეჭამოს შენი ანაჲ!
ნანი, ნანი, ნანაჲ!..
შენი ლამაზი ბაბაჲ
ერთხვა დავარქორწილავ...

დედისადმი გარკვეული სასაყვედრო განწყობა გამოსჭვივის, აგრეთვე, კლარჯეთში, სოფელ ერეგუნაში (ერენქოი), 2014 წლის 6 აგვისტოს მუზეფირ ილდიზისაგან მკვლევარ ნუგზარ მგელაძის მიერ ჩაწერილ “ნანას” ვარიანტშიც:

ნანი, ნანი, ნანაჲ,
ტურამა შეჭამოს შენი ანაჲ!

(შიოშვილი, 2017: 425)

კლარჯეთის იმავე სოფელში კი ჩვენ მიერ 55 წლის სევინ ოლდიზისაგან ჩაწერილ “ნანას” ვარიანტში საუბარია ჩვილის გაზრდასა და მამის მიერ მის სამომავლო დაქორწინებაზე:

ნანი, ნანი, ნანაჲ,
დეჲძინოს ჩემი ღარჭი!
ტურამ არ შეგჭამოს!..

კიდენ დაგაქორწილავს
შენი ბაბაჲ.

(შიოშვილი, 2017: 424)

რაც შეეხება გამოთქმას - “ტურამ არ შეგჭამოს//”ტურამ შეჭამოს” - საყურადღებოა, რომ ტრადიციულ ქართულ ხალხურ სააკვნო ლექს-სიმღერებს ახასიათებს ცხოველთა თუ ფრინველთა ხსენება, რათა ისინი, როგორც ძილის დამაფრთხობელნი, “განდევნილ” იქნენ იმ სამყაროდან, სადაც ბავშვს აძინებენ და, ამავე დროს, ბავშვსაც “აფრთხილებენ”, რომ დროულად დაიძინოს, რათა ტურამ (მგელმა, ძაღლმა, დათვმა) არ შეჭამოს; ამგვარ კონტექსტში ტურა ყველაზე პოპულარულ პერსონაჟად მოჩანს; იგი ბოლო დრომდე შემორჩა მეგრულ სააკვნო სიმღერაში “სისა ტურა”:

... სისა, ტურა მოდისო,
ბონდო ბიჭს ძინავსო;
ბონდო ბიჭი ეხუტება
თავის დედას გულშიო...

(ქ. ხ. პ., 1979: 121)

აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით ზემო მარადიდის (მურათლი) “ნანები” უფრო ახლოა ტრადიციულ ქართულ სააკვნო სიმღერებთან, თუმცა მათში ტურას ხსენება ბავშვის “გაფრთხილებად” კი არა, შინარმყოფი დედის მიმართ არის გამოთქმული (“ტურამ შეჭამოს შენი ანაÁ”).

მართალია, როგორც ქვემო, ისე ზემო მარადიდის ზეპირსიტყვიერებაში სააკვნო “ნანებს” ბოლო დრომდე ისე აშკარად ვეღარ შემორჩა არქაული ატრიბუტიკა, მკვეთრად გამოხატული პატრიოტული სულისკვეთება და სხვა მოქალაქეობრივი სრულყოფისადმი სწრაფვის გამომხატველი მოტივები, როგორც ტრადიციული ქართული “იავნანებისათვის”არის დამახასიათებელი, მაგრამ, ეს ფაქტი ქვემო მარადიდელთა ყოფაში იმავე მიზეზით აიხსნება, რითაც - საქართველოს სხვა რეგიონებში; ხოლო “ნანას” ვარიანტებში, რომლებიც მურათლელმა ჩვენებურებმა შემოინახეს, არც იყო მოსალოდნელი განცდა საერთოქართული პატრიოტიზმისა, რადგანაც მათ იციან, რომ საკუთარ მიწაზე ბინადრობენ და, რეალობიდან გამომდინარე, თავს თურქეთის მოქალაქეებად თვლიან; თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მათეული “ნანები” არც თურქულ-პატრიოტულ იდეალებს ქადაგებენ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციული ქართული ხალხური სააკვნო სიმღერების კნინი ვარიანტებია, რაც ბოლო ხანებში იშვიათმა საშემსრულებლო სიხშირემ გამოიწვია.

2. სალალაო და შესაქცევარი ლექს-სიმღერები

საბავშვი ზეპირსიტყვიერების ამ უბნის ფუნქციაა ბავშვების გართობა-შექცევა და განვითარება იმ ასაკში, როცა ყმაწვილებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ თამაში და გართობა. ქვემო და ზემო მარადიდელთა საბავშვო ფოლკლორულ შემოქმედებაში, ზოგადქართულის მსგავსად, ძალზე პოპულარულია ლექსი “... წიპო, წიპო...”, რომელიც მცირეასაკოვან ყმაწვილთა გართობასა და გარკვეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ემსახურება და, ამდენად, პრაქტიკული მისიაც გააჩნია; ამდაგვარი ლექსები ძირითადად

ითქმის ყმაწვილთა დაპურებისას. ამ არქაული ლექსის ყველაზე ადრინდელი ჩანაწერი ეკუთვნის პეტრე უმიკაშვილს:

წი, წიქორია,
მთასა კვერცხი გიპოვნია,
გისვია და გიჭამია,
პირსა გცხია, გიხარია.

(უმიკაშვილი, 1937: 279)

ლექსის ვარიანტებში, რომლებსაც იცნობს საქართველოს ყყველა რეგიონი, კვერცხის პოვნას და არაეთიკურ შეჭმას (“პირზე სცხია”) კატას მიაწერენ, რითაც ყმაწვილს სრულიად ბუნებრივად ეძლევა ეთიკურ-ესთეტიკური რჩევა, აკურატული იყოს ჭამის დროს. ამგვარი ვარიანტები დაფიქსირდა ქვემო მარადიდის ფოლკლორშიც. მარადიდის საჯარო სკოლის დირექტორის, 48 წლის ესმა ჯაფარიძე-დიასამიძისაგან 2017 წლის 31 აგვისტოს ჩაწერილი ვარიანტი, რომელიც ბებიასაგან - აიშე ჯაფარიძისაგან (ცხოვრობდა სოფელ ჩაქვში, გამოთხოვილი იყო შუახევის რაიონის სოფელ ტბეთიდან) გაუგონია, ამგვარია:

წიპა, წიპ, წიპონია,
კატას კვერცხი უჭამნია,
პირზე ამჩნია, უხარია.
ბულუ, ბულუ, ბულუ...

როგორც ყველგან საქართველოში, აქაც ლექსის დამთავრებისას წარმოთქმული სიტყვების (“ბულუ, ბულუ, ბულუ”) შემდეგ ბავშვს შეუღიტინებენ და გააცინებენ.

ამავე სოფლის ძაბლავეთის უბნის მკვიდრის - 71 წლის მერი ჯიბლაძე-გურგენიძისაგან 2017 წლის 31 აგვისტოს ჩაწერილი ვარიანტიც ზოგადქართულის მსგავსია:

წია, წია, წიპოლია,
კატას კვერცხი უპოვნია,
შუუწვია, უჭამნია,
პირზე აცხია, უხარია.

მთქმელის განმარტებით, შეღიტინებითა და ბოლო სიტყვებით “ბალღებ შევიქცევდით და ვათამაშებდით”.

მარადიდელი ქალბატონის - 57 წლის ნადია დიასამიძისაგან ჩაწერილი ვარიანტით, ამ საბავშვო ლექსის კიდევ მეტი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ასპექტია წარმოჩენილი - მსუნაგ კატას უგმობენ სიხარბეს, რადგანაც კვერცხი არავის უწილადა, მთლიანად თვითონ შეჭამა:

მზიმ, მზიმ, ჭიპოლია,
კატას კვერცხი უპოვნია,
შეუჭმია, შეუსმია,
შენთვის არ შეუნახია.

ზემო მარადიდელთა (მურათლი) ფოლკლორსაც შემოუნახავს საბავშვო ზეპირ-სიტყვიერების ეს ძველქართული ნიმუში, თუმცა აქ მთავარი “დამნაშავე” - კატა აღარსად მოჩანს; მოქმედების ადგილი საქათმეა, სადაც ქორწილი გამართულა. მარალია, მარადიდელ ჩვენებურთა ვარიანტები კნინია და ზოგჯერ - უცენზუროც, მაგრამ მაინც

მნიშვნელოვანია ქართული საბავშვო ფოლკლორის ისტორიოგრაფიისათვის; ქართულ ენაზე შემონახული ამ ტექსტის დასაწყისი იდენტურია ზოგადქართულისა. 2017 წლის 16 ივლისს მურათლიში 43 წლის თიჟენე ოზთურქისაგან (საღიროღლი) ჩაწერილი ვარიანტი ამგვარია:

წია, წია, წიპოლია,
საქათმეში ქორწილია;
მუუჯმია, მუუფსმია...
ბულუ, ბულუ, ბულუ...

ეს თამაში თავისი შესრულებით ჩამოგავს ზოგადქართულში გავრცელებულ "ყვა-ყვას": მოთამაშენი "წელის ზურგებით ერთმანეთს ჩეეჭიდებიან, ზევით-ქვევით აქანებენ, თან ლექსს იტყვიან. ბოლოს უღიტინებენ და იტყვიან "ბულუ, ბულუ, ბულუ".

უფრო მოკლე ვარიანტი (შესაძლებელია მთქმელს მოერიდა სკაბრეზული ნაწილი) ჩავიწერე 2017 წლის 18 ივლისს სოფელ ხებას უბანში, ქომო ხინწკანაში (მურათლის მიმდებარე სოფელია და არსებითად ერთ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სივრცეს წარმოადგენს) მცხოვრები 58 წლის ხატიჯე აიდემირისაგან (ნაზაროღლი):

წიპ, წიპ, წიპოლია,
საქათმეში ქორწილია...

ზემო მარადიდში (მურათლი) მცხოვრები გურჯების ზეპირსიტყვიერებაში ბოლო დრომდე შემორჩენილი შესაქცევარი ლექსის – "... წიპო, წიპო..." - ვარიანტები, რომელთა თანახმად მოქმედება საქათმეში ხდება, არსებითად მთელს კლარჯეთში გავრცელებულ ტექსტთა ვარიანტებია (შიოშვილი, 2017: 425, 595). ვფიქრობთ, ეს ვარიანტები კიდევ უფრო რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს, რამდენადაც კვერცხი სწორედაც საქათმეშია საძიებელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ უაღრესად პოპულარული ლექსის მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის გავრცელებული ვარიანტის (მთქმელი 80 წლის ზოჰრე საიანი, მცხოვრები ამასიის პროვინციის თაშოვას რაიონის სოფელ ტათლიფინარში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2016 წლის 27 აგვისტოს) თანახმად, კვერცხი ჩიტისაა და ამით კიდევ უფრო ფართოვდება ყმაწვილთა თვალსაწიერი:

წიპ, წიპ, წაპელა...
ჩიტი კვერცხი მიჭამია,
პირზე მცხია, მიხარიან.
ბულუ, ბულუ, ბულუ...
(შიოშვილი, 2017: 192)

ქვემო მარადიდში დაფიქსირდა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული სალალაო და შესაქცევარი საყმაწვილო ლექსი რომელიც, აგრეთვე, შემონახულია შავშურსა (შიოშვილი, 2016: 305-306) და კლარჯულ (შიოშვილი, 2017: 425) ზეპირსიტყვიერებაში.

მარადიდში 2017 წლის 31 აგვისტოს ჩაწერილი (მთქმელი ესმა ჯაფარიძე-დიასამიძე) საყმაწვილო შესაქცევარი ლექსი "... ცერამ თქვა..." - საქართველოს ყველა კუთხეში ფართოდ გავრცელებული ლექსის ვარიანტია:

ცერამ თქვა: - მშიაო!

საჩვენებელმა თქვა: - რა ვჭამოთო?
შუათითმა თქვა: - ვიშრომოთ და ვჭამოთო.
არათითმა თქვა: - რასაც ღმერთი მოგვცემს, ის ვჭამოთო!
ნეკა თითმა თქვა: - მოვპაროთო!
(ურტყეს და არ გაიზარდა)

ქვემო მარადიდული ვარიანტის მსგავსია ზემო მარადიდში (მურათლი) 2014 წლის 3 აგვისტოს 46 წლის ემინე ოზთურქისაგან (საღიროღლი) ჩაწერილი ვარიანტიც:

ცერაÁ თითი: - მშიაო!
საჩვენებელი თითი: - რა ვჭამოთო?
შუანაÁ თითი: - ღმერთის მოცემულიო!
არათითი: - მევპაროთო, - უთქმია.
ნეკა: - ვიტყვიო!

“ - ვიტყვიო, რომ თქვა, ურტყმიან და იმისთვინ პაწაა”, - დასძინა მთქმელმა.

საყურადღებოა, რომ ამ საყმაწვილო ლექსის ვარიანტებს კარგად იცნობს კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაც (შიოშვილი, 2017: 316-317).

ლექსის ყველა ვარიანტთა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი დანიშნულებაა, ერთის მხრივ “ყმაწვილებში განავითაროს ცნობისმოყვარეობა, შეაგრძნობინოს საკუთარი სხეულის ნაწილები, დაამახსოვრებინოს მათი სახელწოდებანი (ამ შემთხვევაში - თითებისა), მისცეს გარკვეული ზნეობრივი სენტენცია, რომ ქურდობა და დასმენა მანკიერებანია და, ამავე დროს, გამოიწვიოს ჯანსაღი სიცილი, როცა დასმენისა თუ მოპარვის “მოწადინე” ნეკა თითს “სჯიან” (შიოშვილი, 2017: 316).

3. ლექსები ფრინველებსა და ცხოველებზე

საბავშვო ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი მდიდარი, პოპულარული და სახალისო უბანია ლექსები ფრინველებსა და ცხოველებზე, რომლებიც აგებულია უაღრესად მარტივ, ყმაწვილთა გონებისათვის ადვილად აღსაქმელ, სიუჟეტებზე; როგორც მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი მიუთითებს, ამგვარი ნიმუშები ხშირად გალექსილი ზღაპრის მსგავსია, რაც პატარებს უვითარებს სიუჟეტიანი ამბის მოსმენის, შემეცნებისა და ათვისების უნარს (ზანდუკელი, 1973: 258). ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ეს ერთ-ერთი ქმედითი ნაკადი საქართველოს ყველა კუთხეში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია.

ამ რიგის საყმაწვილო ლექსთაგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს დიალოგიური ფორმის ლექსი “... – მამალო, სად ყივი?...”, რომელშიც სიუჟეტი ჯაჭვისებურად ვითარდება და, როგორც ქართული საბავშვო ფოლკლორის კვლევის ამაგდარი - პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიუთითებს, “არის უძველესი პოეზიის მიერ ნაანდერძევი ამბეური ფორმა” (სიხარულიძე, 1938: 12). სწორედ ამგვარი ფორმის გამოა ეს არქაული ლექსი ყმაწვილთათვის ადვილად შესამეცნებელი და დასამახსოვრებელი, რადგანაც “კითხვა-პასუხი ადვილად დასამახსოვრებელი ხდის და ხელს უწყობს პატარების გონებაში საგნებისა და მოვლენების რელიეფურად აღბეჭდვას” (ზანდუკელი, 1973: 259).

ქვემო მარადიდი, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, მდიდარი აღმოჩნდა ამებეური შესრულების ამგვარი უძველესი ლექსის ვარიანტებით; ამ თვალსაზრისით არც ზემო მარადიდია (მურათლი) გამონაკლისი.

ქვემო მარადიდში, ძაბვალეთის უბანში, 71 წლის ქალბატონის - მერი ჯიბლაძე-გურგენიძისაგან 2017 წლის 3 სექტემბერს ჩაწერილი ვარიანტი, აჭარის ზეპირ-სიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებულ ტექსტთა მსგავსად, სიუჟეტის საფეხურისებური განვითარებით აღწევს ლოგიკურ დასასრულამდე:

- მამალო, სად ყივი?
- ჭინჭრებში.
- ფეხზე რა გაქ?
- პაპუცი.
- ვინ გიყიდა?
- ბაბომ.
- ბაბო სადაა?
- ხიდზე გეიარა.
- ხიდი სადაა?
- წყალმა წეიღო.
- წყალი სადაა?
- მზემ დააშრო.
- მზე სადაა?
- გორას ეეფარა.
- გორა სადაა?
- ხარმა დახნა.
- ხარი სადაა?
- მოკტა.
- მისი ჭლიკი მოგხთა!

ბოლო სიტყვები - “მისი ჭლიკი მოგხთა!” - დასწრებაზეა, რაც ბავშვებში მხიარულ განწყობას ქმნის. ასევე ვრცელი, თითქმის იდენტური, ვარიანტი დავაფიქსირეთ ქალბატონი ნადია დიასამიძისაგან; შედარებით მოკლე ვარიანტი შემორჩენია 75 წლის ქალბატონის - დოდო (შუშანა) კახაბერიძე-ღომიძის მახსოვრობას:

- მამალო, ჰად ყივი?
- ჭინჭრებში.
- ფეხზე რა გაცვია?
- ჰაკუკები.
- ვინ ეგიღო?
- მამაჩემმა...

მარადიდელთა ზეპირსიტყვიერ შემოქმედებაში შემონახული ეს არქაული საყმაწვილო ლექსი ორგვარი უვერტიურისაა, რაც დასტურდება აჭარის სხვა რეგიონებშიც. ერთი რიგის ვარიანტებით, დიალოგი, როგორც მოხმობილი ლექსებით ვნახეთ, ჭიჭრებში მჯდარ მამალთან ვითარდება, მეორე ვარიანტებში კი - ჭადისა და ყველის “ქურდ” კატასთან:

- ჩემი ჭადი-ყველი სად წევდა?
- კატამ მოიპარა.
- კატა სად წევდა?

- ხიდზე გეიარა.
- ხიდი სად წევდა?
- წყალმა წეიღო.
- წყალი სად წევდა?
- მზემ დააშრო.

(მთქმელი მერი ჯიბლაძე-გურგენიძისა, მცხოვრები სოფელ მარადიდში, ძაბლავეთის უბანში)

ორივე შემთხვევაში სიუჟეტი გამიზნულია ყმაწვილის გონებრივი მობილიზების, შემეცნების უნარის გაზრდისა და სოციუმში მისი სათანადო ადაპტაციისათვის. დიალოგის დაწყებით მამალთან, რომელიც ჭინჭრებში ზის, მაგრამ ფეხები შიშველი არ აქვს (აცვია "ფაჩუჩები"//"პაპუცები"), ბავშვებს ეძლევათ ცოდნა, რომ ფეხშიშველი ჭინჭარს არ უნდა შეეხოს, რადგანაც დაისუსხება.

ჭინჭრის საფრთხეზე უშუალო მინიშნებასა და გააზრებულ პასუხს, რომელიც გულისხმობს, რომ ფეხზე ჩაცმაა საჭირო, შეიცავს საქართველოს ყველა კუთხის ვარიანტები; ლექსის ხევსურული ვარიანტი კი ამგვარია:

- მამალო!
- ყიყლიყო!
- სად ზძიხარი?
- ჯინჭარჩი.
- ქვეც დაგტყრუშავს!
- თათებ მცვავ.
- ქვეც გაგეყრებ!
- მკერვალ მყავ.
- ქვეც მოგიკვდებ!
- სხვას მავიყვან.
- რას დაუგდებ?
- ორხაოს.
- რას დახურავ?
- მიგრის ტყავს.

(ჭინჭარაული, 1960: 248)

ლექსის შემდგომ განვითარებაში, როგორც აღვნიშნეთ, ჯაჭვისებურად წარმოჩნდება სხვადასხვა ლოგიკური ქმედებანი (ფეხსაცმელს მშობელი ყიდულობს, ხიდი შეიძლება მოდიდებულმა წყალმა წაიღოს, წყალი შეიძლება მზემ დააშროს, მზე ზოგჯერ გორას ეფარება, გორას (მიწას) ხარი ხნავს, ხარი მოკვდავია და ა. შ.), რომლებსაც, ბუნებრივია, პედაგოგიური დანიშნულება გააჩნია და ავითარებს ბავშვის გონებრივ თვალსაწიერს.

ლექსის მეორე რიგის ვარიანტთა თანახმად, ყმაწვილები იგებენ, რომ კატას შეუძლია მოიპაროს ჭადი და ყველი, მერე თვალს მიეფაროს, დაიმალოს და ა. შ.

ზემო მარადიდში (მურათლი) 68 წლის ქალბატონის - ჰაჯერ ოზთურქისაგან (საღიროღლი) 2017 წლის 17 ივლისს ჩაწერილი ვარიანტი არსებითად ზოგადქართულის, განსაკუთრებით კი - აჭარულის, მსგავსია:

- მამალო, ჰად ყივი?

- ჭინჭრებში.

- რა გაცვია?

- ფაფუჯები.

- ვინ იგიღო?

- ხარა ძიამაო.

- ხარა ძიაÁ ჰად არიო?

- სირთებზეო.

- სირთები ჰად არიო?

- ხარი ხნისო.

- ხარი ჰად არიო?

- დანამ დაკლაო.

- დანა ჰად არიო?

- გაცდაო.

იმავე მთქმელისაგან ჩაწერილ მეორე, შედარებით მოკლე, ვარიანტის დასაწყისში, ქვემო მარადიდის მსგავსად, უკვე კატას კითხულობენ; კატის აუგი საქციელი (ალბათ, ყველის და ჭადის მოპარვა) აღარ ახსოვთ, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ღელეში გაქცეულა; ამავე დროს, თუ ფერთა სიმბოლიკასაც მოვიშველიებთ, კატა შავი ფერისაა, რაც მის პერსონაჟს დადებითად არ უნდა ახასიათებდეს:

- შავმა კატამ ჰად წევდაო?

- ღელეშიო.

- ღელე ჰადააო?

- ძროხამ შესვაო.

- ძროხა ჰადააო?

- უსტასთანო.

- უსტა ჰადააო?

- გაცთაო.

აღსანიშანავია, რომ დიალოგური ფორმის განხილული ლექსის ვარიანტები ბოლო დრომდე ფიქსირდება, აგრეთვე, კლარჯულ ფოლკლორშიც (შიოშვილი, 2017: 320-324), რომლის გეოგრაფიულ-კულტურული სივრცის ნაწილია ზემო მარადიდი (მურათლი).

უაღრესად მდიდარი რეპერტუარის მქონე მურათლელი სახალხო მთქმელის - ჰაჯერ ოზთურქისავე თქმით ჩავიწერე მცირე ზომის საყმაწვილო ლექსი “... ჩიტო, გვრიტო...”, რომელიც, აგრეთვე, ყმაწვილთა სულიერი სიფაქიზისა და გარე სამყაროსთან, ბუნებასთან, მათ ადაპტაციას ემსახურება:

ჩიტო, გვრიტო,
ერთი თუთა გადმომიგდე,
ყველი და პური მოგართვა!

ფრინველებისა და ცხოველების თემატიკის ქართულ ხალხურ საბავშვო პოეზიაში, გარდა იმისა, რომ პატარები ეცნობიან ამ ტიპის ლექსთა პერსონაჟების ბუნებას, ხასიათს, გათვალისწინებულია ისიც, რომ მათი ყურადღება ხანგრძლივი დროით არ უნდა

დაიძაბოს; ამიტომაც, გაბმული თხრობის ნაცვლად, მათში უმეტესწილად გადმოცემულია ცალკეული ეპიზოდები. ამის დასტურია ქვემო მარადიდში, სასახლეთის უბანში, შუშანა (დოდო) კახაბერიძე-ღომიძისაგან ჩაწერილი ლექს-სიმღერა "... საქათმეში შეპარულა მელა...", რომელიც წუწკი მელას საქათმეში "სტუმრობასა" და ქათმებთან "დიალოგზე" მოგვითხრობს:

საქათმეში შეპარულა მელა,
ქათმებს ეჩურჩულებოდა ნელა:
- შენ, მამალო, გააჩუმე ენა!
შენ, დედალო, გამომყევი ნელა!
- არაო, არაო, მელა მატყუარაო,
არ წამოვალ, არაო!

უფრო მოკლე ვარიანტი, რომელიც ქათმების პასუხს არ შეიცავს, ჩავიწერეთ ნადია დიასამიძისაგან.

4. გათვლა

საბავშვო ფოლკლორის ერთ-ერთი ძალზე პოპულარული ჟანრია გათვლა, რომელიც ბავშვების გართობა-თამაშთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება მოზარდთა ფიზიკურ და სულიერ განვითარებაში. საბავშო თამაშობათა უმეტესობა "გენეტიკურად უძველეს საწესჩვეულებო ტრადიციებს უკავშირდება" (ზანდუკელი, 1973: 263) და მნიშვნელოვანია როგორც ზოგადად ეროვნული კულტურის თავისებურებათა შესასწავლად, ასევე - მოზარდთა ფსიქოლოგიის გასაცნობად, მათი ფიზიკური და სულიერი ძალისხმევის გასაძლიერებლად. გათვლებს, რომელთა უმეტესობაც რითმიანი და რიტმიანი პოეზიის მშვენიერი ნიმუშებია, ხალხურ თამაშობათა მაორგანიზებელი მისია ენიჭებათ - აგვარებენ თამაშის დაწყებას და ანაწილებენ მოთამაშეთა ფუნქციებს (ვინ დაიხუჭოს და შემდეგ დაძებნოს დამალულები, ვინ დაიმალოს და ა. შ).

ქვემო მარადიდში დაფიქსირებული გათვლები ძირითადად საქართველოს სხვა კუთხეთა გათვლების ვარიანტებია, თუმცა, მათში ხშირად გვხდება ტრადიციული, მყარად შეკრული ფორმულები, რომლებსაც არქაული ელფერი აქვთ და დღეს მათი მნიშვნელობა გაურკვეველია; ამავე დროს, ისიც ნიშანდობლივია, რომ ზეპირსიტყვიერების ამ ჟანრს განსაკუთრებული აქტიური იმპროვიზაცია ახასიათებს და მათში მეტ-ნაკლებად თავისუფალი სივრცეა ამა თუ იმ ფრაზებისა თუ ცალკეული სიტყვების ჩასამატებლად. მარადიდელი ქალბატონის, 75 წლის ნადია დიასამიძისაგან ჩაწერილი გათვლა არა მარტო არქაული სიტყვიერი ფორმულების ("ზიმ", "ზიმ"; "მაშ", "მაშ"; "ლისა", "ლისა") შემცველია, არამედ - არცთუ შორეული წარსულისათვის ბუნებრივი სიტყვებისა და ლოზუნგებისაც, რაც ბუნებრივია, მთქმელს თავისივე ბავშვობიდან გადმოჰყვა და, ბუნებრივია, იმ ეპოქის იდეური სულისკვეთებაც შერჩა:

ზიმ, ზიმ, ზიმ,
მაშ, მაშ, მაშ.
ზიმ პიონერა, ინჟინერა.
აი, ლისა, ლისა, ლისა.
სამშობლოს დასაცავად

მზად ვართ!

საქართველოს ყველა რეგიონშია გავრცელებული გათვლის ფორმულის დასაწყისი “ესა, მესა, გადის ესა”; ამდაგვარად იწყება 46 წლის მარადიდელი (სკელეს უბანი) მთქმელის - ირინე დიდმანიძისეული გათვლაც, რომლის შთამბეჭდაობა ისიც არის, რომ საქათმიდან გამოსულ გაწბილებულ-გაბუტულ მელიაზე მოგვითხრობს და, თამაშის ორგანიზებასთან ერთად, ბავშვების გონებრივ განვითარებასაც ახდენს:

ესა, მესა, გადის ესა,
ავაშენებ სასახლესა;
შიგ მელია შეპარულია,
გაბუტული გამოსულა.

საბავშვო თამაშის - “დახუჭობანას” - გათვლა (“... კუკუ, კუკუ, მალულა...”), რომელსაც, ასევე, იცნობს საქართველოს ყველა რეგიონის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სამყარო, დიდად პოპულარულია სოფელ მარადიდის მკვიდრთა ზეპირსიტყვიერებაში.

მარადიდში, სკელეს უბანში, მცხოვრები 50 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის - ლეილა კახაბერიძისაგან (გამოთხოვილია სოფელ კირნათიდან) ჩაწერილი “დახუჭობანას” გათვლის ვარიანტიც არსებითად ზოგადქართულის იდენტურია:

კუკუ, კუკუ, მალულა,
ტყიდან გამოპარულა;
შენ თუ მე,
თვალი დახუჭე!

71 წლის მარადიდელი ქალბატონის - მერი ჯიბლაძე-გურგენიძისაგან 2017 წლის 3 სექტემბერს ჩაწერილი გათვლაც ზოგადქართულის ვარიანტია და თამაშის დაწყებასა და ორგანიზებას ემსახურება, თუმცა, სხვათაგან განსხვავებით, “გამოპარვის” ადგილი არ სახელდება და, ამდენად, ინტერესის საგანს წარმოადგენს - ტექსტშივე ისმება კითხვა: “საიდან გამოპარულა?”:

კუკუ, კუკუ, მალულა,
სიდან გამოპარულა?
შენ თუ მე,
თვალი დახუჭე!

“დახუჭობანას” გათვლის საინტერესო ვრცელი ვარიანტი ჩაგვაწერინა 65 წლის მარადიდელმა (სკელეს უბანი, გამოთხოვილია სოფელ მახოდან) ნორა დიდმანიძემ 2017 წლის 30 აგვისტოს. ტექსტში კონტამინირებულია ხალხური პოეზიის სხვადასხვა ნიმუშებიდან მოხმობილი კარგად შერითმული ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრთათვის დამახასიათებელი ცალკეული ფრაზები და სტრიქონები, რაც სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ფოლკლორული ტექსტებისათვის:

კუკუ, კუკუ, მალულა,
ტყიდან გამოპარულა.
დაიჭირა ღამურა,
შეხტა შეახრამუნა.
ქალი უქნევს ხელსა:

- აქ ჩამოდი, ჩემსა!
ღვინოს დაგალევინებ
ა-ლის-ფერ-სა!

ამრიგად, მარადიდული - ზემო მარადიდი (თურქეთის რესპუბლიკა) ქვემო მარადიდი (საქართველოს რესპუბლიკა) - საბავშვო ზეპირსიტყვიერება, ისევე როგორც ამ ისტორიულად ერთიანი ქართული სოფლის ფოლკლორული შემოქმედების სხვა ჟანრები, ზოგადქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებია; ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაში მათი არსებობა ამ არქაული ჟანრის ქმედითუნარიანობასა და სარგებლიანობაზე მიუთითებს, რამდენადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვთა ფიზიკური და სულიერი აღზრდის საქმეში. ჟამთა სიავის გამო ისტორიულ ქართულ სოფელს - მარადიდს ჩამოჭრილი ნახევარსოფლის - მურათლის (ზემო მარადიდი) მკვიდრთა ყოფაში ბოლო დრომდე შემონახული საყმაწვილო ფოლკლორის ნიმუშები კი თავისთავად მეტყველებს ამ ძირძველ ქართველთა იდენტობაზე.

FOLKLOR

Maradidian folk lullabies

Tina Shioshvili
BatumiShotRustaveliState University

The lullabies in the folklore of Upper Maradidi (The Republic of Turkey) and Iower Maradidi (Georgia) are identical with or invariants of the lullabies of other parts of Georgia.

The folklore of Upper Maradidi (Muratli - The Republic of Turkey), like the whole Georgian folklore (and folklore of Iower Maradidi), has preserved poem-songs “Nana” and other children’s poem-songs; This fact demonstrates, that Upper Maradidian (Muratlian) chveneburebies way of live, theirs character and traditions have not been changed much, which is one of the expressions of their identity.

ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი, 1954 - შალვა ასლანიშვილი, “ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ”, თბილისი;
2. ბატონიშვილი, 1936 - იოანე ბატონიშვილი, “კალმასობა”, თბილისი;
3. ზანდუკელი, 1973 - ფიქრია ზანდუკელი, “საბავშვო ფოლკლორი. “ - კრებულში “ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება”, ტ. III, თბილისი;
4. სიხარულიძე, 1938 - ქსენია სიხარულიძე, “საბავშვო ფოლკლორი”, თბილისი;
5. უმიკაშვილი, 1937 - პეტრე უმიკაშვილი, “ხალხური სიტყვიერება”, ნაწილი I, თბილისი;
6. ქ. ხ. პ., 1979 - ქართული ხალხური პოეზია, ტ. VIII, თბილისი;

7. შიოშვილი, 2016 - თინა შიოშვილი, “საბავშვო ფოლკლორი”. - მონოგრაფიაში “შავშური ფოლკლორი”, ბათუმი;
8. შიოშვილი, 2017 - თინა შიოშვილი, “საბავშვო ფოლკლორი”. - მონოგრაფიაში “კლარჯული ფოლკლორი”, თბილისი;
9. შიოშვილი, 2017 - თინა შიოშვილი, “მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორი”. - კოლექტიურ მონოგრაფიაში “მაჭახლელი მუჰაჯირები”, წიგნი პირველი, ბათუმი;
10. წერეთელი, 1998 - აკაკი წერეთელი, “რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად”, ტ. I, თბილისი;
11. ჭინჭარაული, 1960 - ალექსი ჭინჭარაული, “ხევსურეთის თავისებურებანი”, თბილისი.

ნიკო მარის ფოლკლორული ჩანაწერები შავშეთ-კლარჯეთში

ელგუჯა მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო მარის „Дневник Поездки в Шавшетю и Кларджетию“ მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული წყაროა, რომელსაც მეცნიერული ღირებულება დღემდე არ დაუკარგავს. 1911 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული „დღიურები“, რომელშიც ნიკო მარის 1904 წელს შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებია აღწერილი, მალევე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად. დიდი ხნის განმავლობაში წიგნი არა მარტო ფართო მკითხველის, არამედ სპეციალისტებისთვისაც ძნელად მოსახელთებელი იყო. მისი ქართულად თარგმნისა და გამოცემის საკითხი არაერთხელ დადგა დღის წესრიგში, ამის ცალკეული მცდელობაც იყო, თუმცა გარკვეული ტექნიკური თუ სხვა სახის სირთულის გამო, ბოლო დრომდე ვერ განხორციელდა. ჩვენი მეცნიერებისათვის ამ უდავოდ საშურ საქმეს წარმატებით გაართვა თავი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტმა. სწორედ აქ ითარგმნა „დღიურები“ და 2012 წელს, პროფესორ მამია ფაღავას საერთო რედაქციით, გამოიცა კიდეც (თარგმნა რევაზ დიასამიძემ, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამია ფაღავამ). ამ დღიდან ნ. მარის აღნიშნული წიგნი გამოვიდა ერთგვარი ისტორიული და კულტურული რარიტეტის მდგომარეობიდან და ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში მოექცა. აღნიშნული წიგნი ერთნაირად ღირებულია ჰუმანიტარული პროფილის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების-ისტორიკოსების, ეთნოლოგების, პალეოგრაფების, ლინგვისტების, ხელოვნებათმცოდნეების, ფოლკლორისტებისათვის. ჩვენ „დღიურები“ ამ უკანასკნელი კუთხით გვაინტერესებს.

ცხადია, ნიკო მარს, ისტორიულ სამხრეთ საქართველოში მოგზაურობისას, ბევრად დიდი ამოცანა ჰქონდა დასახული, ვიდრე ფოლკლორული მასალის შეგროვებაა. აქ მას სპეციალური შემკრებლობითი საქმიანობა არც უწარმოებია, უფრო მეტი, შემოიფარგლა ძირითადად იმერხევის ორიოდე სოფლით-იმფხრეულით, აგრეთვე, თეთრაქედით||თეთრაკეთით. ბუნებრივია, ნ. მარის მიერ ჩაწერილი მასალა ზედმიწევნით ვერ აღადგენს იმდროინდელი შავშეთისა და კლარჯეთისათვის დამახასიათებელ ფოლკლორულ სურათს, თუმცა, ზოგად ტენდენციებს მაინც წარმოაჩენს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც პროფესორი თ. შიოშვილი შენიშნავს, „ნიკო მარმა-შავშური ზეპირსიტყვიერების პირველმა ჩამწერმა-სულზე მიუსწრო ამ კუთხის ფოლკლორულ შემოქმედებას., მან მისთვის ჩვეული დიალექტოლოგიური სიზუსტით ჩაიწერა მრავალი ნიმუში, რომელთა დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე ჩვენებურებს ვეღარ შემოუნახავთ“ (შიოშვილი, 2016: 7). იმავე გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას პროფესორი მამია ფაღავა გამოკვლევაში, რომელიც წამძღვარებული აქვს „დღიურების“ ქართულ თარგმანს. აქ, სპეციალურ პარაგრაფში, მიმოხილული და შეფასებულია ნ. მარის მიერ

ჩაწერილი შავშურ-კლარჯული ფოლკლორის ნიმუშები. მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს ნ. მარის ფოლკლორულ ჩანაწერებს და აღნიშნავს: „მათ მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის ის ფაქტი, რომ შავშ-კლარჯთა დღევანდელ თაობებს ისინი აღარ ახსოვთ (ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯეროობით არ გამოვლენილა) და შემოინახა მხოლოდ საუკუნის წინანდელმა ჩანაწერებმა“ (მარი, 2012: 52).

ნიკო მარის „დღიურებიდან“ კარგად ჩანს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, შავშურ-კლარჯულ ფოლკლორში განსაკუთრებით ძლიერია ეპიკური შემოქმედებითი ტრადიცია. ეს, ალბათ, იმითაც უნდა ავხსნათ, რომ ამ დროს აღნიშნულ რეგიონში ზეპირსიტყვიერების შემსრულებელ-გამავრცელებლად ძირითადად აშუღები გვევლინებიან, რომელთა რეპერტუარს თითქმის სრულად ეპიკური და ლირო-ეპიკური სიმღერები ავსებს. აშუღობა აღმოსავლური მემკვიდრეობაა და გვხვდება საქართველოს მეზობელ ქვეყნებში: ირანში, თურქეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში. აღნიშნულ ქვეყნებთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობის კვალდაკვალ აშუღებმა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ფეხი მოიკიდეს საქართველოშიც, კერძოდ, მის სამხრეთ რეგიონებში და მალე დიდი პოპულარობა მოიპოვეს (აშუღთა განსაკუთრებულ პოპულარობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თანამედროვე ჩირდილის ცენტრში აღმართულია მე-19 საუკუნის აშუღ აშიკ შენლიკის ძეგლი- ე.მ). აშუღები, რომლებიც საზზე ან თარზე ოსტატურად უკრავდნენ, მოგზაურობდნენ ერთი კუთხიდან მეორეში და მსმენელს თავის რეპერტუარს აცნობდნენ. არსებობდა აშუღთა ზეპირი სკოლები, ხოლო თავად აშუღები ხშირად ერთდროულად რამდენიმე ენას ფლობდნენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აშუღობის ტრადიცია, სამხრეთის გარდა, თანდათანობით საქართველოს სხვა ტერიტო-რიაზეც გავრცელდა. „ქალაქური ცხოვრების გამტკიცების შემდეგ, ქალაქ-დაბებშიც გაჩნდნენ საზის დამკვრელები.(ქართული ხალხური პოეტური...1960: 67-68). აშუღობის ძლიერი ტრადიცია ჩამოყალიბდა თბილისში, სადაც უკვე მე-17-18 საუკუნეებში ბევრი სახელგანთქმული აშუღი ცხოვრობდა. მათ შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო მე-18 საუკუნის აშუღი საიათნოვა, რომელსაც სპარსულ-აშუღურ ხმაზე გაუწყია ქართული ლექსები და ჩონგურზეც დაუმღერებია (ქართული ხალხური პოეტური...1960: 68).

აშუღთა რეპერტუარის ძირითად ნაწილს შეადგენდა დასტანები, ანულექსნარევი პროზაული ნაწარმოებები, რომელთა შესრულების დროს ლექსებს სასიმღერო ფუნქცია ენიჭებოდა. ტერმინი დასტანი, უკეთ, მისი ფონეტიკური სახესხვაობა „დესტანი“, გვხვდება აჭარულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში. ის აქ თურქულიდან შემოსულ-დამკვიდრებულა და მეტწილად აღნიშნავს სათავგადასავლო ხასიათის ლირიკულ-ეპიკურ ნაწარმოებებს. მ. ჩაჩავა აღნიშნავს, რომ „მესხურ-ჯავახურ ზეპირსიტყვიერებაში ტერმინი დესტანი||დას-თანი არ დასტურდება, „ისინი ამ ჟანრს ექიას, ჰექაიას უწოდებენ“ (ჩაჩავა, 1976: 178) ამის დასტურად მკვლევარი იმოწმებს ნ. მარის მიერ იმერხევის სოფელ იმფხრეულში 1904 წლის 30 ივლისს ჩაწერილი „თეზარ მირზას ექიას“ და „ქოროღლის ექიას“. მკვლევრის შეფასება, რომ მესხები, შავშელ-კლარჯელები აღნიშნულ ტერმინს საერთოდ არ იცნობდნენ, ან არ იყენებდნენ, გადაჭარბებულად გვეჩვენება. მაგალითად, მ. ფაღავას კლარჯეთში, პავლა-ძეების ოჯახში, ჩაუწერია ლექს-სიმღერა, რომელსაც რესპოდენტი „დესტანად“ მოიხ-სენიებს: „კაი ტაროსში ნადი უქნია, მოშლილა ტაროსი, ეიდა, ნადი გაპნევლა, იქ სეულა,

დესტანი დუუწერია“ (ფაღავა, 2017: 45) ტერმინი „დესთანი“ გვხვდება ერთ კლარჯულ ლექსშიც: „დესთანი დავწერე თელი გურჯიჯა, ყანაში წასლა ვინ დაგპატიჯა?“ (შიოშვილი, 2017: 347) სხვა საქმეა, რომ, როგორც ჩანს, შავშურ-კლარჯულ ფოლკლორულ ტრადიციაში ტერმინი დასტანი|| დესტანი ისე ფართოდ არ იყო გავრცელებული, როგორც, მაგალითად, აჭარაში. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ამ რეგიონში ჩატარებულმა არაერთმა კომპლექსურმა ექსპედიციამაც ვერ დააფიქსირა აღნიშნული ტერმინის ფართოდ, მითუმეტეს, სათანადო მნიშვნელობით გამოყენება. (ცხადია, მხედველობაში გვაქვს ქართული ზეპირსიტყვიერება, თორემ, თურქულ ფოლკლორულ ტრადიციაში ის პირადად ჩვენც არაერთგზის შეგვხვედრია- ე. მ.). ამასთან დასტანი აქ ყოველგვარ სასიმღერო ნაწარმოებს აღნიშნავდა. საგულისხმოა, რომ ნ. მარი მოხუცი მოსიძისაგან ჩაწერილ თეჰარ მირზას და ქოროღლის სიუჟეტებს აქვეყნებს ისე, როგორც ხალხურ ტრადიციაში იყო დამკვიდრებული: „თეჰარ მირზას ექია“, „ქოროღლის ექია“, თუმცა, იქამდე, „დღიურების“ იმ ნაწილში, სადაც ჩამოთვლის მოხუცი რესპოდენტისათვის ცნობილ ფოლკლორის ნიმუშებს, აღნიშნულ სიუჟეტებს „მოთხრობებად“ მოიხსენიებს. ნ. მარს რესპოდენტისაგან, „თეჰარ მირზას ექიასა“ და „ქოროღლის ექიას“ გარდა, მოუსმენია „ყურბანას თქმული“, თუმცა ის ან არ ჩაუწერია, ან საჭიროდ არ ჩაუთვლია მისი „დღიურებში“ შეტანა და გამოქვეყნება. ასევე მეცნიერს არ თუ ვერ ჩაუწერია, შესაძლოა, არც მოუსმენია, მოხუცი მოსიძის მიერ დასახელებული დანარჩენი სიუჟეტები (20 ერთეულზე მეტი), რომლებიც, მის მიერ სახელდებულია, როგორც აშუღების „თქმულებები“. საინტერესოა მკვლევრის რეპლიკაც: „არ მჭირდება იმის დამატება, რომ ჩემი მთხრობელისათვის „აშუღებში“ რომანების გმირებიც მოხვდნენ“.(მარი, 2012: 173). როგორც ჩანს, ნ. მარს მხედველობაში აქვს არა იმდენად ის, რომ, ჩვეულებრივ, ამ ნაწარმოებებში აშუღები მონაწილეობენ როგორც პერსონაჟები, არამედ უფრო ის- თუ ვის, რომელ აშუღს „ეკუთვნის“ კონკრეტული ტექსტი, ვინ არის მთხრობელ-შემსრულებელი. შესაბამისად, ნაწარმოებიც ამა თუ იმ აშუღის სახელს ატარებს: „აშუღ ფეჰრათის“, „აშუღ საიდის“, აშუღ შამილის“, „აშუღ სეფილის“ დ. ა. შ. ნ. მარი დასახელებული აშუღების (როგორც ვთქვით, მათი რაოდენობა ორ ათეულს აჭარბებს) გვერდით მიუჩენს ადგილს იმერხეველ აშუღებსაც: „კიდევ დასახელდა იმერხეველები: აშუღი ალი-ჩაუშ მისროღლი, ჩემი მასპინძელი და მთხრობელი და აშუღი ქამილი, ახალგაზრდა, ორივენი იმფხრეულიდან“ (მარი, 2012: 173). ვფიქრობთ, ნ. მარის „დღიურები“ ნათელყოფს, თუ რამდენად ძლიერია მე-20 საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ შემორჩენილი აშუღური შემოქმედებითი ტრადიცია სამხრეთ საქართველოში. ისიც კარგად ჩანს, რომ აშუღური კულტურის განვითარებაში, პოპულარიზაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ ეთნიკურად ქართული წარმოშობის აშუღები. შესაბამისად, სრული საფუძველი გვაქვს, რომ აშუღობა, მათი შემოქმედება, სხვა ხალხების მსგავსად, ქართველთა ეთნიკურ მემკვიდრეობადაც მივიჩნიოთ.

საზოგადოდ, ფოლკლორი ღია სისტემაა, რომელშიც უწყვეტ ნაკადად შეედინება საერთაშორისო გავრცელების სიუჟეტები, თემები, სახეები, მოტივები და ნაციონალური სამოსლით იმოსება. სამხრეთ საქართველოს ფოლკლორში გვხვდება არაერთი სიუჟეტი, ჟანრი, პერსონაჟი, მოტივი, რომელიც აღმოსავლური, განსაკუთრებით, თურქული ფოლკლორიდან შემოსულა და დამკვიდრებულა. სწორედ ასეთია ნ. მარის ჩაწერილი

„თეჰარ მირზას ექია“ და „ქოროღლის ექია“, აგრეთვე, ზემოთ ნახსენები სხვა „თქმულებები“. ამათგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მე-16-17 საუკუნეებში აზერბაიჯანში შექმნილი ქოროღლის ეპოსი, რომელიც განსხვავებულ ეთნოკულტურათა შორის საერთაშორისო გავრცელების სიუჟეტის პრეცენდენტია. უშუალოდ აზერბაიჯანულიდან მომდინარეობს ეპოსის ამიერკავკასიური და თურქული ვერსიები(ჩლაიძე, 1978: 45-49) თურქული ფოლკლორის გავლენით უნდა შემოსულიყო და დამკვიდრებულიყო აღნიშნული ეპოსი სამხრეთ საქართველოს- აჭარის, შავშეთ-კლარჯეთის-ზეპირსიტყვიერებაში. აქაური ვარიანტები, მათ შორის, ნ. მარის მიერ ჩაწერილი იმერხევული ტექსტი, მონოგრაფიულად შეისწავლა ახალგაზრდა მკვლევარმა, ა. კაშიამ (კაშია, 2015). აღსანიშნავია, რომ როგორც აჭარულ, ისე იმერხევულ ვარიანტებში შენარჩუნებულია თურქულენოვანი ეპიკური თხზულების ფორმის ძირითადი თავისებურება-პროზაულ ტექსტში ჩართული ლექს-სიმღერები, ოღონდ პროზაული ნაწილი გადმოცემულია ქართულად, პოეტური-თურქულად. ნაწარმოების ტრანსლაციის ასეთი ფორმა სამხრეთ საქართველოში ჩამოყალიბებულა, როგორც ტრადიცია, რასაც მოწმობს არა მარტო ნ. მარისეული ჩანაწერები, არამედ აჭარული დათანებიც. საქმე იმაშია, რომ ბილინგვურ გარემოში ნაწარმოების სალექსო-სასიმღერო ნაწილის „გადათარგმნის“ აუცილებლობა, ეს თავისთავად რთული ამოცანა, აშუღების წინაშე არც იდგა. ტექსტების ორენოვნებას, შერეულ, ქართულ-თურქული ფორმას, ვერ აღვწერთ ტერმინებით-„კულტურული დიალოგი“, მითუმეტეს, „ფოლკლორული გავლენა“. აქ უფრო საქმე გვაქვს „კულტურულ დიფუზიასთან“, რომელიც მოიცავს ტექსტების როგორც შინაარსობრივ, ისე ფორმალურ სტრუქტურებს, მათ მორფოლოგიას. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ „კულტურულ დიფუზიას“ საფუძვლად უდევს არა ენობრივი, საერთოდ, ეთნოკულტურული, ნათესაობა, თუნდაც მსგავსება, არამედ არეალური, რეგიონული კავშირები. არეალური ფოლკლორული ტრადიცია კი გულისხმობს არა აუცილებელ ენობრივ, კულტურულ ნათესაობა- მსგავსებას, არამედ ენობრივ-კულტურულ ორენოვნებას.

ნ. მარის „დღიურებიდან“ ასევე კარგად ირკვევა, რომ XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველოს ფოლკლორში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფირალის სიმღერებს. განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა „ოდელ-ოღლი შირინას ფირალის სიმღერა“, რომლის რამდენიმე ვარიანტი ნ. მარსაც მოუსმენია და ჩაუწერია კიდეც. საგულისხმოა, რომ მკვლევარი თავდაპირველად, იქ, სადაც ჩამოთვლის მის მიერ მოსმენილ-ჩაწერილ რეპერტუარს, ასახელებს ორ ლექს- სიმღერას: „ ფირალის: დავჯექი და დევიფიქრე (ჩამაწერინა საიდა აღანიძემ: I), დავჯდე და წიგნი დავწერო (ჩამაწერინა სეფერა ღაღალიძემ: II)“ (მარი, 2012:172). მაგრამ ცოტა ქვემოთ აქვეყნებს ოთხ ტექსტს ასეთი დასახელებით: „ოდელ-ოღლი შირინაის ფირალის სიმღერა“, „ოდელ-ოღლის ფირალის სიმღერის ვარიანტი“, „იმავე შირინ ოდელ-ოღლის ფირალის სიმღერა, „დიობნელი ზაბითის, ქიბარ-ოღლის ვაჟის, ფირალის სიმღერა“. აღნიშნული ტექსტები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფირალის ლექს-სიმღერებისათვის ნიშანდობლივ საერთო ჟანრულ მახასიათებლებს (თემატიკა,მოტივი, განწყობილება, ფორმულები, შესრულება), ოთხ დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს. მათ შორის ისიც, რომელიც ნ. მარს ვარიანტად მიუჩნევია. ამაზე მიუთითებს თავად მკვლევრის შენიშვნაც: „პირველი ლექსის მე-5 ორტაეპამდე მოლა

იბრაიმის ვარიანტები მე შევიტანე იმფხრეულის ჩანაწერში, მაგრამ შემდეგ მისი ტექსტი მნიშვნელოვნად დაშორდა და მომიხდა მისი ცალკ-ცალკე ჩაწერა“ (მარი, 2012: 177-178). ამდენად, სწორად შენიშნავს მ. ჩაჩავა, რომ „როგორც ჩანს, ვოდელიოღლის მიაწერდნენ ყაჩაღთა ცხოვრების თემაზე შექმნილ სხვა ლექსებსაც“. ეს ლექს-სიმღერები ცნობილი აჭარელი ფირალისა და მელექსის, შირინ შარაშიძის (იგივე ოდელოღლის-ე. მ.), სახელით ვრცელდებოდა როგორც აჭარაში, ისე სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებში-მესხეთში, შავშეთ-კლარჯეთში. მკვლევარს ამის საბუთად მოაქვს ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი, „ ვარიანტი „შირინ ოდელ-ოღლისა“ „დავჯე და წიგნი დავწერო, ჩიტ გავატანო ხებრათა“..., რომელიც მ.ხუბუას ჩაუწერია ზემო აჭარის სოფელ ქიზინიძეში (სწორია ქიძინიძეები-ე. მ.) და გამოუქვეყნებია, „როგორც სატრფიალო ლირიკის ნიმუში „აჭარული დესტანის“ სათაურით“ (ჩაჩავა, 1976: 182). იმერხეველები შირინ ვოდელ-ოღლის სახელს უკავშირებენ არა მარტო ფირალის სიმღერებს, არამედ სრულიად განსხვავებული ჟანრისა და თემატიკის ლექს-სიმღერას „კატა და თაგვი“. ეს კატისა და თაგვის დიალოგზე აგებული იუმორისტული ხასიათის ტექსტი ნ. მარს იმფხრეულელი საიდე აღანიძისაგან ჩაუწერია. რესპოდენტი ასახელებს ლექსის ავტორს, შირინაი ოდელ-ოღლის და აღნიშნავს, რომ „სიმღერა საქართველოდან მოვიდა“. ამის შესახებ მინიშნება ლექსშიც გვხვდება: „ამ ლესკისა გამომთქმელსა ჭვანელს ეტყვიან ფირალსა“(მარი, 2012: 178). თუმცა, სინამდვილეში, ტექსტი მთელს საქართველოში უამრავ ვარიანტად გავრცელებული „თაგვი ავათ გამხდარიყოს“ ერთ-ერთი ვარიანტია. საგულისხმოა, რომ ის, 1915 წელს სათაურით „თაგვი და კატა“ გამოაქვეყნა იოსებ იმედაშვილმა ყოველკვირეული თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ 26-ე ნომერში, რუბრიკაში „ქართველ მაჰმადიანთა ლექსები“. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ტექსტი ი. იმედაშვილის ჟურნალში ნ. მარის „დღიურებიდან“ მოხვდა, ხოლო შემდეგ „ქართული ხალხური პოეზიის“ აკადემიური გამოცემის VIII ტომში დაიბეჭდა, როგორც „თაგვი ავათ გამხდარიყოს“ აჭარული ვარიანტი (ქართული ხალხური...1979:389-390)

კიდევ ერთი ლექსი ჩაუწერია ნ. მარს თეთრაკეთში, ბაზგირეთელი, იმჟამად აგარაში მცხოვრები, მთქმელის, უსუფ ბასონიძისგან. ჩამწერისვე შენიშვნით, „ლექსის სათაური მომდინარეობს ბათუმის გარეუბნის-ორთაბათუმის (სადაც მოხდა ლექსში აღწერილი ამბავი) სახელწოდებიდან“ (მარი, 2012: 185). მთქმელი „ნამყოფია ბათუმში“ და ჩანს, ლექსი აქ მოისმინა და შემდეგ „წამოიღო“ კიდეც შავშეთში. სწორედ მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით აღნიშავს მ. ფაღავა: „...შავშეთსა და მთელს ჭოროხის ქვეყნებში „საქართველოდან მოდიოდა“ და პირიქით, აქედან მიდიოდა აჭარაში სიმღერები, ცეკვები, თქმულება-გადმოცემები...ჭოროხის ქვეყნები საერთო კულტურის მატარებლები იყვნენ, ამიტომაცაა, რომ ბევრი პარალელი იძებნება მათ მეტყველებაში, ფოლკლორში, ყოფაში...“ (მარი, 2012:53-54).

ნ. მარს უცდია უფრო მრავალფეროვანი ფოლკლორული მასალის ჩაწერა და ამ მიზნით გამოუკითხავს კიდეც მთქმელები, თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს: „იმფხრეულელთა სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, აქაურებს ზღაპრებზე ცხოველთა სამყაროსა და სულების ცხოვრების შესახებ, წარმოდგნა არა აქვთ“ (მარი, 2012:2011). სამაგიეროდ, სცოდნიათ დევების შესახებ. როგორც აქაური რესპოდენტი, ალი ჩაუში, ჰყვება: „ის გოლიათია,

შეიძლება წითელი იყოს, შავი და სხვა. კიწი (კისერი) გრძელი აქვს, ხოლო თავი-ისეთივე, როგორც ვერძს". რაც შეხება, ე. წ. მცირე ჟანრებს, კერძოდ, ანდაზა-პარემიებს, ისინი იმერხეველებს, ნიკო მარისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, „...როგორც ჩანს აქვთ, მაგრამ აქაც გაიმეორეს „მთა მთასთან" და, საერთოდ, თურქული ენა მათთვის ანდაზებში უფრო ახლოსაა" (მარი, 2012: 211). მოკლედ, მკვლევარი იმაზე მიუთითებს, რომ აქაურთა რეპერტუარს, ქართულთან ერთად, თურქული ანდაზებიც ავსებს. რაც შეეხება მიცვალებულთა დატირებას, ის ქართულად სრულდება. მკვლევარს, საკმაოდ წვრილად აღწერს რა მიცვალებულთა დაკრძალვის წესებს, იქვე მოაქვს დატირების ორიოდე ნიმუში.

ნ. მარი ჩაწერილი ფოლკლორული მასალის საკმაოდ დეტალურ პასპორტიზაციას ახდენს: მიუთითებს ჩაწერის ადგილზე, დროსა და სიტუაციაზე, რესპოდენტის ასაკზე, ვინაობაზე დ.ა. შ. ამასთან, თითქმის ყველა მის მიერ ფიქსირებულ ნიმუშს დართული აქვს შენიშვნები და ცალკეულ სიტყვათა განმარტებანი. საყურადღებოა, რომ ნ. მარი გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის ნაწარმოების, სიმღერების შესრულების წესზე, ტრადიციაზე. მაგალითად, მკვლევარი თურქული საქორწილო სიმღერების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი „სრულდება ორი გუნდით (გაღმა და გამოღმა), ამასთან ორივე მხარე იმეორებს ერთსა და იმავე ორტაეპედს" (მარი, 2012: 173). როგორც ჩანს, სიმღერაში ორტაეპედის გამეორება აქ ჩამოყალიბებულა და დამკვიდრებულა, როგორც ერთგვარი საშემსრულებლო ტრადიცია, როგორც თურქულ , ისე ქართულ სიმღერებში, რადგან, ნ. მარის სიტყვით, „ყოველი ორტაეპედის განმეორებით მღერიან ფირალის სიმღერასაც" (მარი, 2012: 173).

„დღიურები" საინტერესო ცნობებს შეიცავს მუსიკალური და საცეკვაო ფოლკლორის შესახებ. უდავოდ ყურადსაღებია ნ. მარისეული ინფორმაცია იმ მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველოში გვხვდებოდა. ცნობილია, რომ ამ დროს აქ განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა აღმოსავლური წარმოშობის სიმებიანი საკრავი-საზი. ამ ინსტრუმენტზე ჩინებულად უკრავდნენ აშუღები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხრეთ საქართველოში ზეპირსიტყვიერების ძირითადი შემქმნელ-გამავრცელებლები იყვნენ. საინტერესოა, რომ ნ. მარი არსად არ ახსენებს აღნიშნულ ინსტრუმენტს, რასაკვირველია, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ მის მიერ ჩაწერილ „ქოროღლის ექიას", რომლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, აივაზი, ქოსა კაცს მიმართავს: „საზი მომეცი, სიმღერა უნდა უთხრა ქოროღლის" (მარი, 2012: 202). სამაგიეროდ, „დღიურები" საკმაოდ ღირებულ ინფორმაციას შეიცავს როგორც აღმოსავლური, ისე ქართული ჩასაბერი ინსტრუმენტების შესახებ. მაგალითად, სომხებით დასახლებულ სოფელ ოქრობაგეთში „ზურნის გარდა...არ არის არანაირი მუსიკა, მაგრამ მეზურნეები აქ ადგილობრივია, მაშინ, როდესაც სულესში, აგარაში და სხვა სოფლებში მუსიკოსებს სხვა ადგილებიდან პატიჟებენ, არდაგანიდან და ყარსიდანაც კი. ჭიბო ადრე იყო, მაგრამ ზურნამ ეს ინსტრუმენტი მოკლა" (მარი, 2012: 115). ინსტრუმენტს, რომელსაც ნ. მარი ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით „ჭიბოდ" მოიხსენიებს, იგივე ჭიბონია, ტრადიციული ქართული ჩასაბერი ინსტრუმენტი, გუდა-სტვირის ნაირსახეობა. რეპლიკაში- „ზურნამ ეს ინსტრუმენტი მოკლა"- მკვლევარი გულისხმობს ან ლოკალურ ტერიტორიას ან კიდევ სასიმღერო ფოლკლორს (მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მასზე ძირითადად საცეკვაო მელოდია სრულდებოდა), რადგან, როგორც იმავე

„დღიურებიდან“ ჩანს, ჭიბონი ნ. მარის მოგზაურობის პერიოდშიც პოპულარული ინსტრუმენტი იყო შავშეთ-კლარჯეთში. თუმცა მას „მეტოქეებიც“ გასჩენია აღმოსავლურ-თურქული საკრავების სახით. აგებულებითა და ჟღერადობით პრაქტიკულად ჭიბონის იდენტური საკრავია „თულუმი“, რომლის გავრცელების არეალი მოიცავდა ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალურ თურქეთს. ნ. მარი ტბეთში, ეკლესიასთან, შესწრებია ახალგაზრდების ჯგუფს, რომლებიც აქ მოსულან გუდა-სტვირით, „თულუმით“ ან ქართულად „ჭიბო“-თი, როგორც მიღებულია მისი სახელწოდება იმერხევში“ (მარი, 2012: 140). მიხედავად იმისა, რომ სოფელში ქართულად უკვე აღარ ლაპარაკობდნენ, ნ. მარის შენიშვნით, „...ამ ინსტრუმენტის სხვადასხვა ნაწილის სახელებში ამოტივტივდება ქართული ელემენტი“. მეცნიერი იქვე ასახელებს ამ „ელემენტებს“: „ღირღიტი“ ან „ღერღეტი“, „ქარახსი“, „ნავი“, „დუდუკი“, „ტიკი“. თულუმი თუ ჭიბონი იმერხევში, საერთოდ, სამხრეთ საქართველოში, სადღესასწაულო შეკრებების განუყრელი ატრიბუტი იყო. მაგალითად, ქორწილში „უკრავენ ასევე გუდა-სტვირზე: „თულუმბზე“ ან „ჭიბონზე“, „ჭიბო“, ცეკვავენ განურჩევლად და ყველანაირ ცეკვას: „ყარშიბერსა“, (იგივეა, რაცხელგაშლილი“) და „დელი ხორომსაც“. საცეკვაოდ პატიჟებენ სიტყვებით: „ისამე“, ან „ადეგ ისამე“ resp. „ადე ისამე” (მარი, 2012: 160). თუკი მომღერლები და მუსიკოსები თავის სოფელში არ ჰყავთ, მათ სხვა სოფლებიდან პატიჟებენ, „მაგალითად, როგორც სურევანშია“ და ეს მაშინაც კი, როდესაც, მკვლევრისვე ცნობით, იმერხევის დასახელებულ სოფელში ამზადებდნენ „მუსიკალურ ინსტრუმენტ „თულუმბას“(მარი, 2012: 165). იმერხეველთა მიერ ცეკვისადმი განსაკუთრებული სიყვარული აისახა აქაური საცეკვაო ფოლკლორის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაში. ზემოთ დასახელებულის გარდა („ყარშიბერი“, „დელი ხორომი“), ნ. მარი შავშეთ-კლარჯეთში გავრცელებულ ცეკვის სხვა სახეობებსაც ჩამოთვლის: „კოლსამა“, „ალაფრანკა“, „სარმა“, „თითრამა“, აგრეთვე, ქალების ცეკვა „ვარდა“. მკვლევრის შენიშვნით, „ქალები სხვა ცეკვებსაც ცეკვავენ, მაგრამ არა „დელი-ხორუმს“. ისინი ცეკვავენ ცალკე. თუ ნათესავები დაინახავენ, რომ ვიღაცა უთვალთვალებს მისი ცოლის ან ცოლების ცეკვას, ადგილზევე მოკლავენ“ (მარი, 2012: 141). აღსანიშნავია, რომ ცეკვისადმი სიყვარული შავშებსა და კლარჯებს ჩვენს დრომდე შემორჩათ. ისინი დღესაც დიდი სიყვარულით ასრულებენ ისეთ ცეკვებს, როგორიცაა: „შემორბენილაი“, „დართულაი“, „ხელგაშლილაი“, „ხორუმი“ (ფუტკარაძე, შალიკავა, 2009:117-118). ამის გარდა, როგორც მ. ფაღავა აღნიშნავს: „მთელს შავშეთსა და კლარჯეთში პოპულარულია ცეკვა „ორთაბათუმი“, ხორუმის სახეობა, რომელიც „ორთაბათუმური ხორუმის“ სახელითაა ცნობილი. აღვნიშნავთ, რომ ხორუმის ეს ადგილობრივი ნაისახეობა აღარ ახსოვთ აჭარაში, დაცულია შავშურ და კლარჯულ ფოლკლორში“ (მარი, 2012: 76). როგორც ნ. მარისეული, ისე შემდეგდროინდელი აღწერები მეტყველებს, რომ ცეკვამ შავშეთ-კლარჯეთში, მიუხედავად იმისა, რომ უცხო კულტურების ზეგავლენას მუდმივად განიცდიდა, მაინც შეინარჩუნა თვითმყოფადობა. ამის შესახებ მიანიშნებს ნ. მარი, როცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 12 წლის იმფხვრეულელი ბიჭის მიერ შესრულებულ „კოლსარმაში“ იკვეთებოდა „ტაქტი 4|4, რუსთაველის შაირის ტერფი“ (მარი, 2012: 174). ვფიქრობთ, იმაში, რომ შავშურ-კლარჯულმა ცეკვებმა მეტ-ნაკლებად თავისთავადობა შეინარჩუნა, თავისი წვლილი მიუძღვის ჭიბონს, ინსტრუმენტს, რომლის აკომპანიმენტის

თანხლებით აღნიშნული ცეკვები სრულდებოდა. აი, როგორ აღწერს სოფელ ტბეთისაკენ მიმავალი ნ. მარი შემთხვევას, რომელსაც გზად გადაჰყრია: „გზად შევხვდით მუსიკოსს ჭიბოთი, რომლის გვერდით დაბალი, ლამაზი ჭაბუკი ცეკვავდა უმეტესწილად მუცლით, საკმაოდ მოქნილად სწევდა რა წინ მკერდისა და მუცლის ხაზებს და ათამაშებდა მხრებს. ცეკვისას მისი სახე გამოხატავდა დაღლასა და ვნებას“... მკვლევარს ფოტოს გადაღებაც განუზრახავს, მაგრამ „სწორედ ექსპოზიციის მომენტში მუსიკოსმა ამოიღო პირიდან ჭიბოს სალამური და მთელი ინსტრუმენტი დაუშვა“ (მარი, 2012: 116). შორს ვართ იმ აზრისგან, რომ შავშ-კლარჯთა საცეკვაო რეპერტუარი მთლიანად ადგილობრივი , ქართული ცეკვებისგან შედგებოდა, მითუმეტეს, ისინი უცხო „მინარევებისგან“ სრულიად თავისუფალი იყო, თუმცა, ცხადია, რომ მასში დომინანტურ როლს ქართული ელემენტი ასრულებდა. ეს შეეხება როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ ცეკვებს. ფერხულების, ჯგუფური ცეკვების შესახებ ნ. მარი წერს: „ჯგუფური ცეკვა, როგორც ვხედავთ, რამდენიმე სახისაა. ცეკვავენ ადგილობრივადაც და ხოფელი ლაზების მსგავსადაც“ (მარი, 2012: 174).

რაც შეეხება შავშურ-კლარჯული სიმღერების მელოდიურ-ინტონაციურ მხარეს, სამწუხაროდ „დღიურებში“ მათი აღწერა-დახასიათება პრაქტიკულად არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე ცნობა-მინიშნებას, კერძოდ: ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ როგორც თურქულ საქორწილო, ისე ქართულ ფირალის სიმღერებში ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბებულა ორტაეპედის გამეორება,. მკვლევრისვე შენიშვნით, მუსიკალურ „მოტივს აქ ყაიდე ქვია...“, მთქმელმა „წაიმღერა, რომ ეჩვენებინა, რომელ ყაიდეზე სრულდება სიმღერა“(მარი, 2012: 181).,ფირალის სიმღერების „მოტივი ახალი არ არის, სხვა სიტყვებით მოგვისმენია სომხებთან და თათრებთანაც“ (მარი, 2012: 173).ამ უკანასკნელი, ძალზე მწირი ინფორმაციისა თუ მინიშნების საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ შავშურ-კლარჯული სიმღერები, ცეკვებთან შედარებით, აღმოსავლურ ჰანგებთან, მელოდიასთან უფრო მეტად არის ინტეგრირებული.

საგულისხმოა, რომ ნ. მარს ჩაუწერია და „დღიურებში“ ქართული ფოლკლორის ნიმუშების გვერდით გამოუქვეყნებია თურქული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. მკვლე-ვარს მოხუცი მოსიძისათვის უთხოვია, „ეცნობებინა სიმღერებზე“, თუმცა რესპოდენტი მასარწმუნებდა–„ქართული საქორწინო სიმღერები არ არსებობსო“. მართალია, ნ. მარს ეჭვი არ შეჰპარვია მოხუცი მთქმელის გულწრფელობაში, მაგრამ, ცხადია, ვერც იმას დაიჯერებდა, რომ ასეთი სიმღერები საერთოდ არ არსებობდა. სწორედ ამას უსვამს ხაზს მკვლევრის რეპლიკაც: „როგორც ჩანს ის საერთოდ არ იცნობს მათ“ . თუმცა, ნ. მარს იმფხრეულში მაინც ჩაუწერია ერთი ქართული სიმღერა, ოთხტაეპიანი ლექსი, რომლითაც მაყრები მამის სახლიდან პატარძალს აცილებდნენ. ლექსი სკაბრეზული შინაარსისაა და, თურმე, მას „ძველად მღეროდნენ“, ხოლო ახლა „ხმარებიდან გამოსულია ურცხვობის გამო“ (მარი, 2012: 183). ის, რომ შავშეთ-კლარჯეთში საქორწინო სიმღერების მდიდარი ტრადიცია არსებობდა, დამტკიცდა შემდგომი დროის შემკრებლობითი საქმიანობითა და სათანადო გამოკვლევებით. (შიოშვილი, 2016., 2017). თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აქაურების ფოლკლორულ რეპერტუარს, ქართულთან ერთად, თურქული ფოლკლორის ნიმუშებიც ავსებდა. კერძოდ, ნ. მარს იმფხრეულელი საიდე აღანიძისა და ოსმან მოსიძისაგან ჩაუწერია თურქული საქორწილო სიმღერები, რომლებიც წეს-ჩვეულების სხვადასხვა საფეხურზე

სრულდებოდა, კერძოდ: „ქორწილში რომ წავლენ გოგოს სახლში“, აგრეთვე, „როცა დედოფალი ქმართან მიჰყავთ“. ასევე იმფხრეულში მოხუც ალი-ჩაუშ მოსიძისაგან არის ჩაწერილი ლექსი, რომელიც სახელდებულია, როგორც „ყურბანის თქუმული (ბევრი ხნის საჩივარი)“, ხოლო საიდე აღანიძემ ნ. მარს ჩააწერინა „ლაზური სიმღერა ჩხალელებისაგან მოსმენილი“ (მარი, 2012: 182-183., 186-188). ეს უკანასკნელი ისევ თურქული სიმღერაა, ოღონდ, როგორც მკვლევარი მიუთითებს, იმერხეველ მთქმელს ის ჩხალელი ლაზებისგან მოუსმენია. „დღიურებიდან“ ძნელია იმის გარკვევა, ეთნიკური ქართველები მონაწილეობდნენ თურქული ფოლკლორის შექმნაში თუ მისი მხოლოდ პასიური მომხმარებლები იყვნენ. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ნ. მარს, იმერხეველთა ფოლკლორული მემკვიდრეობის შეგროვების დროს, ქართულთან ერთად, თურქული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც აღუნუსხავს, უდავოდ საინტერესოა. მსგავსი საველე-შემკრებლობითი მეთოდი, ტაქტიკა თუ სტრატეგია არც საუკუნის წინ, ნ. მარის ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი და არც შემდგომ, თუნდაც ჩვენს დროში. დღესაც მეცნიერ-ფოლკლორისტები ისტორიული საქართველოს რეგიონებში საველე საქმიანობის დროს, გამოარჩევენ და აღნუსხავენ მხოლოდ იმ ფოლკლორულ მასალას თუ არტეფაქტებს, რომლებიც ქართველთა ეთნიკურ მემკვიდრეობას წარმოადგენს, შეგნებულად გვერდს უვლიან უცხო წარმოშობის იმ ელემენტებს, რომლებიც ე. წ. ჩვენებურთა კულტურაში, მათ შორის, ფოლკლორში, დამკვიდრებულა. ამდენად, ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რა მიზანს ისახავს ნ. მარის მიერ არჩეული შემკრებლობითი მეთოდი. როგორც ჩანს, მეცნიერი ანგარიშს უწევს იმ კულტურული, გნებავთ ფოლკლორული, გარემოს თავისებურებას, რომელთანაც შეხება მოუხდა და მიზნად ისახავს არსებული კულტურული ველის, სურათის სრულად აღწერა-წარმოჩენას. ნ. მარმა, ჩვეული ინტუიციის წყალობით, ის გზა აირჩია, რომელმაც მოგვიანებით აკადემიური ფოლკლორისტიკა, მალინოვსკის კულტურული ანთროპოლოგიით დაწყებული, ამერიკული „კონტექსტური რევოლუციით“ დამთავრებული (ჯონსი, 1979: 52-55), დაარწმუნა, რომ ფოლკლორული ტექსტის (ტექსტების) სრულფასოვნად შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ სათანადო კულტურული კონტექსტის (კონტექსტების), გნებავთ, როგორც ჩვენში უწოდებენ, ფოლკლორული გარემოს, სკრუპულოზური აღწერით, მისი თავისებურების გათვალისწინებით. პოლიეთნიკურ, ბილინგვურ, არაჰომოგენურ კულტურულ გარემოში ფოლკლორის ფუნქციონირება მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც ნ. მარის მახვილ მზერას არ გამოჰპარვია. კერძოდ, ბილინგვური (მულტილინგვური) გარემო გარდაუვლად შობს არა მარტო „კულტურულ დიფუზიას“, რაზეც ზემოთაც ვწერდით, არამედ ბიფოლკლორიზმს, ორენოვან ფოლკლორს. საერთოდ კი, „დღიურების“ ფოლკლორი გვარწმუნებს, რომ ფოლკ-კულტურა, თავისი ნიშნური კოდებისა და მორფოლოგიური ორგანიზაციით, ერთი მხრივ, უმაღლესი რანგის ინტერნაციონალურობის, დემოკრატიულობის და, გარკვეული აზრით, კოსმოპოლიტურობის დემონსტრირებას ახდენს, ხოლო, მეორე მხრივ, ენასთან ერთად, იდენტურობის მთავარი მარკერია, იგივე იდენტატივი, ეთნიკური თავისთავადობის ნიშანი, თვითგამოოხატვის საშუალება. ეს უკანასკნელი ფუნქცია განსაკუთრებით წამოიწევს წინ, როდესაც სხვადასხვა ისტორიულ ვითარებათა გამო, ეთნიკური ჯგუფსა და მისი ფოლკლორს არაჰომოგენურ კულტურულ გარემოში უწევს ცხოვრების გაგრძელება. ამ

დროს, ახალ ისტორიულ პირობებში, ფოლკლორი, ენასთან ერთად, ნაციონალური კულტურის შემადუღაბებელ ფუნქციას ასრულებს და იმავე დროს, ინტეგრირდება სხვა კულტურასთან(კულტურებთან) ისეთი უკიდურესი ფორმითაც კი, როგორიცაა „კულტურული დიფუზია“ და „ბიფოლკლორიზმი“.

FOLKLOR

Folklore Recordings in Shavshet-Klarjeti by Niko Mari

Elguja Makaradze
BatumiShotaRustaveliState University

The folklore samples recorded in 1904 by N. Mari in Shavshet-Klarjeti is analyzed inthe work. It is true that the material does not fully restore the folklore picture of Shavsheti and Klarjeti of that time, but it still shows general tendencies. Based on the analysis of the bilingual Georgian-Turkish folklore material, the conclusion is that, in the polyethnic, non-homogenous, bilingual environment, folklore, along with the language, serves as an unifying function of the national culture and at the same time, is integrated with other culture (cultures) such as "cultural diffusion" And „Bifolklorism".

ლიტერატურა:

1. კაშია, 2015: ალექსანდრე კაშია, „ქოროღლის“ ეპოსის ქართული ვერსიის აჭარული ვარიანტები, დისერტაცია ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, იხ., ინტერნეტრესურსი: bsu. Edu. ge).
2. მარი, 2012: ნიკო მარი, შავშეთსადაკლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი
3. ფაღავა, 2017: მამია ფაღავა, კლარჯული ჩანაწერები, თბილისი.
4. ფუტკარაძე, შალიკავა, 2009: თ. ფუტკარაძე, მ. შალიკავა, სატრფიალო ცეკვები თურქეთის ქართულ მოსახლეობაში, „კრებული“, VI, ბათუმი
5. ქართული ხალხური პოეტური...1960: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ნაწილი პირველი, თბილისი 1
6. ქართული ხალხური...1979: ქართული ხალხური პოეზია, ტომი მერვე, თბილისი
7. შიოშვილი, 2016: თინა შიოშვილი, შავშური ფოლკლორი, ბათუმი
8. შიოშვილი, 2017: თინა შიოშვილი, კლარჯული ფოლკლორი, თბილისი
9. ჩაჩავა, 1976: მზია ჩაჩავა, აჭარული დესტანები, ქართული ფოლკლორი, VI,თბილისი
10. ჩლაიძე, 1978:ლია ჩლაიძე, ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსიები, თბილისი
11. ჯონსი,1979: Jones S. Dogmatism in the contextual revolucion, Western folklore, 1979, Val. 38.N 1

ტაოს ტოპონიმიკა ოსმალურ დავთრებში

მამია ფალავა, ზაზა შაშიკაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტოპონიმიკა ,,მიწის ენაა''. გამომდინარე თქმულიდან, მასში აისახება აქ მცხოვრები ხალხის ნაკვალევი. როდესაც ტაოზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ მისი მოსახლეობის ისტორიული ცვალებადობა და მრავალფეროვნება.

ექვთიმე თაყაიშვილი ქსენეფონტეს (ჩვ. წ. აღ. IV ს.) ცნობას მოიხმობს, სადაც იგი ,,ამ ქვეყნის მოსახლეობას ,,ტაოხებს'' (ტაოხოი) უწოდებს, ე.ი. ტაოს მცხოვრებთ''(თაყაიშვილი, I, 2016:421–422). დროთა სვლაში იცვლებოდა ტაოხების მიწაზე ვითარება. აქ, ჭოროხის მეზობელ ქვეყნებთან ერთად, ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა ხალხები: ქართველები, სომხები, ბიზანტიელები, სპარსელები, არაბები, თათრები – სელჩუკები, თათრები – ოსმალები და სხვ. ,,იცვლებოდა უფლება ერთი ხალხისა მეორეზე, იცვლებოდა სარწმუნოება, ენა და განათლება. სპარსელებს, არაბებს და სელჯუკიანთ არავითარი თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებიათ ამ მხარეში. დიდია გავლენა ბერძნებისა, ე.ი. ბიზანტიისა, და კიდევ უფრო მეტი – სომხებისა'' (თაყაიშვილი,I, 2016:421). იქვე, ქვემოთ, ნიკო მარზე დაყრდნობით მკვლევარი ასე გაანაწილებს ჭოროხის ქვეყნების მოსახლეობას: ,,ტაო–თორთუმი... მესხებით იყო დასახლებული, ხოლო კლარჯეთ–ისპირის მცხოვრებნი ჭან–ლაზ–მეგრელები იყვნენ''(თაყაიშვილი, I, 2016:421). საყურადღებო ინფორმაციაა. მოყვანილი მოსაზრებიდან გამომდინარე, ტაოს ტოპონიმიაში უნდა ველოდოთ ქართველურთან ერთად ბერძნულ და სომხურ ფენას, ასევე – თურქულს, შედარებით ახალს წინა ორთან შედარებით.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს უცხოურ ოსმალურ საისტორიო წყაროებში დაცული ტაოს ტოპონიმიკური მასალები. ეს წყაროებია:

1. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი'' (წიგნი მესამე, 1958. ქვემოთ: დავთ.).

2. სევან ნიშანიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონები.

3. 1835–1836 წლების ოლთისის აღწერა (NFS.d 2772. თურქეთის მინისტრთა საბჭოს სტამბოლის ოსმალური არქივი).

4. 1835–1836 წლების ტაოსკარის აღწერა (NFS.d 02776. თურქეთის მინისტრთა საბჭოს სტამბოლის ოსმალური არქივი).

დასახელებულ წყაროებში აღწერილია იმიერტაოს, უმეტესად ოლთისის და თორთუმის მხარის გეოგრაფიული სახელები. წინასწარვე ვიტყვით, რომ მასალები ჩაწერილია ქართულის არმცოდნე ოსმალო და რუსი მოხელეების მიერ ქართული ენის ჩაწერისათვის ,,სრულიად გამოუსადეგარი'' ოსმალური და რუსული ანბანით. ამიტომაც ხშირად დიდია სხვაობა გეოგრაფიული სახელის ამოსავალ ფორმასა და ჩაწერილს შორის; განსაკუთრებით ეს ითქმის ოსმალური დავთრების შემდგენელთა ჩანაწერებზე. ამიტომაც მკვლევარი

სიფრთხილით უნდა მოეკიდოს არსებულ წყაროებს, განსაკუთრებით გამოუსადეგარია იგი ეტიმოლოგიური ძიების დროს.

მასალების ანალიზს დავიწყებთ სომეხი ავტორის, სევან ნიშანიანის ეტიმოლოგიური დაკვირვებებით. მის შრომაში აღწერილია ოლთისისა და თორთუმის მხარე და ბევრი ტოპონიმი ახსნილია როგორც სომხური, ზოგჯერ სხვა ენის კუთვნილებაზეც მიუთითებს.

მკვლევარი მიიჩნევს, რომ სომხურია ოლთისის შემდეგი გეოგრაფიული სახელები:

დეჯერიქ||<თეჯერიქ – პატარა ეკლესიას ნიშნავსო.

ურუთ’ – ნიშნავს ტირიფს (ურუთ<ურუდ).

ტორიქ’– პატარა ღელე, წყარო.

სეხსორ’ – სომხური ჩანს, სორ’, ძორ’ ნიშნავს ღელეს, ხევს.

ხოსორი – მრუდეს ნიშნავს.

კინეპოსი||ქინეპოსი – ვაზიანი დაბლობი, ველი.

აწზავი – კლდეს ნიშნავს (შდრ. **ანძავ**’)...

რამდენიმე გეოგრაფიული სახელი, ჩანს, სომხურით ვერ ახსნა, ამიტომაც უკომენტაროდ დატოვა, ასეთია:

ზერდენსი|<*ზერდენისი. –ის სუფიქსიანი ნაგენეტივარი სახელი. ასეთი სახელები ქართულ ენათმეცნიერებაში მიჩნეულია საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელად (იხ. შანიძე, 1973:115; 1958:20–21; ზურაბიშვილი, 1961:150–151; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:241, შნშ. 2 ბ).

აუხსნელი დაუტოვებია ს. ნიშანიანს **გომბორი** და **ჯანიქ** (შდრ. ქართ. ჭანეთი), ხოლო **სიმირდონზე** მიუწერია, თურქული ჩანსო.

თორთუმის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მკვლევარი რამდენიმე ფენას გამოჰყოფს, კერძოდ:

ა. სომხურს:

გორმერი||გერმირი – წითელი მონასტერი.

სიღნაჯურ’ – თევზიანი წყალი.

ფიშინგოთ’ – ეკლიანი.

ხინძორიკი – ვაშლოვანი.

ახფისორ||ახფიძორ||აღფძორ – წყაროს ხევი.

*__ექრექ|აქარაგ__ – შდრ. აგარაკი.

მოსრთაბი – ნაცრიანი ვაკე.

მოხჩური||მოხჯური – ნაცრიანი წყალი.

*** **მოღრეკომი||მეღრაკომი** – თაფლის მეზრა.

სისტოროთი||სოღტოროდი – ნივრიანი.

ექიქი||აიქიგი – პატარა ბაღი.

ფეჩენცი – კუდები.

მეღუცი – სკიანი.

***მეგსორი||მეგძორი||მარქაძორი** – მდინარისპირა ჭალა, შდრ. მერე.

****__ვარშინ__ – ქვესოფელი.

აღფილიკ||აღფრიკ – პატარა წყარო, ნაკადული.

*__დანკარი__ – ქვის სახლი. თ. ევ ქაჲა.

__კარინკოსი__ შდრ. სომხ. __კარინგეც__ – დამდგარი ქვა.

__ხაშნუდი||ხაშუდი__ – წვრილფეხასაქონლიანი (ცხვრის ფარა, თხის არვე).

__სურბეჰან__ (<სომხ. სურბოჰან) – წმინდა ოჰანესი.

__ნორაშენი__ – ახალსოფელი.

__ოდიკი__ – საძოვარი.

**__კოღანისი||კოღონცი__ – ყაჩაღები, მძარცველები.

__ქორქერი||კორკერი__ – ხალიჩიანი.

****__ვერინქეღ__ – ზედასოფელი.

__ახჩიკ'__ – პატარა თუზლა (მარილის პატარა საბადო).

გვეჩვენება, რომ ზოგჯერ მკვლევარი ,,ძალადობს'' გეოგრაფიულ სახელზე, მისთვის მთავარია, სომხური ენის კანონებს დაუქვემდებაროს იგი, ან სომხურს მიამსგავსოს გარეგნულად მაინც. სევან ნიშანიანისაგან სომხურად მონათლული ზოგიერთი სახელი ქართული ჩანს:

*__ექრექ||აქარაგ__ – ვფიქრობთ, ქართული __აგარაკ__'ის არმენიზებული ფორმაა.

**__კოღანისი|კოღანცი__ – ყაჩაღები, მძარცველებიო, განმარტავს ს. ნიშანიანი. ვფიქრობთ, ,,კოღანცი'' ხელოვნური ფორმაა, ,,კოღანისის'' გადააზრების შედეგად მიღებული. ამოსავალი უნდა იყოს __კოღონისი__ (კოღონ–ის–ი), __კოღო__ კიდევ ცნობილი ფუძეა ქართულში.

***არც __მიღრეკომი||მეღრაკომი__ და __ქილაკომი__ ჩანს სომხური. მასში –ომ (||–უმ) სუფიქსი შეიძლება გამოვყოთ, იგივე მაწარმოებელი __თორთომ, ბათომ||ბათუმ...__ და მისთანა გეოგრაფიულ სახელებში რომ გამოიყოფა (ვრცლად იხ. ფაღავა, 2009:3–15; 2009(1):189–295).

****ქართულის ანალოგიით ჩანს შექმნილი __ვარშინი__ (ქვე სოფელი) და __ვერინქეღ__ (ზედა სოფელი). შდრ. ქართული __ზესოფელი__ (||__ზოსოფელი__) და __ქვე სოფელი__ (||__ქოსოფელი__). ამავე რიგში ჩადგება __ვაღტანოსი||ვახტანგაცი__ (შდრ. ქ. __ვახტანგისი__). ჩვენ არ უარვყოფთ, ტაოს, განსაკუთრებით იმიერტაოს ტოპონიმიაში სომხური ფენის არსებობას, მაგრამ არც მისი ხელოვნურად გაზრდა მიგვაჩნია სწორად.

ერთი გეოგრაფიული სახელი თურქული ჩანს: __დევე ჲათაღი__ (შდრ. ქართული ,,აქლემის საწოლი''). ვფიქრობთ, იგი ქართული ,,ხარის საწოლის'' ანალოგიითაა შექმნილი.

ქართული ტოპონიმებიც გვხვდება ბატონი ნიშანიანის კვლევაში, თუმცა უკომენტაროდ: __აბრნესი||აბურნისი, ბარი, ხახული, კიცხა__ (თ. __კიცხა ქაფუსუ,__ შდრ. __კიცხის კარი__), __ჩაღირნისი__ (<*ჭაგირნისი?), __ზინაური||ცინაური__, __პეტხარი, ლისგავი...__ ადგილზე გადასამოწმებელია, რამდენად სწორადაა ჩაწერილი დასახელებული გეოგრაფიული სახელები, მათი ქართული წარმოება კი, ვფიქრობთ, ეჭვს არ იწვევს.

ყურადღებას იქცევს საგეოგრაფიო სახელი __ხოზბირიკი__ (<*ხოზბირკი). იგი კომპოზიციის გზით მიღებული ფუძე უნდა იყოს: __ხოზ__ + __ბირიკი__, დასაშვებია – __ხოზ__[ო] + __ბირიკი__. __ხოზ[ო]__ ხორბლის ჯიშია, ,,რბილი ხორბალი, უფხო და ყინტორა'' (მაყაშვილი, 1991), ,,ბირკა'' კიდევ იგივეა, რაც ხოზიკა [репейник] (იხ. მაყაშვილი, 1991). თუ ჩვენი დაკვირვება მისაღებია, მაშინ __ხოზბირიკი__ ქართულია.

* * *

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' შეტანილია ოლთისის, ფანასკერტის, ქამხისის და ბანას ნაჰიეების გეოგრაფიული სახელები. ,,დავთრის" გამომცემელი ცდილობს, ამოიკითხოს ,,ოსმალურად გადატეხილი" (სინტაგმა ს. ჯიქიასია) ქართული ტოპონიმები. შესადარებლად იყენებს მის ხელთ არსებულ მასალებს, ესაა ,,კავკასიის ხუთვერსიანი რუკა'', სპეცრუკა, აღწერის მასალები, სამეცნიერო ლიტერატურა... ვფიქრობთ, მკვლევარი უმეტეს შემთხვევაში ახერხებს სწორად წაიკითხოს ,,დავთარში" შეტანილი გეოგრაფიული სახელები.

ტაოს ტოპონიმიის შესწავლისას აუცილებელია ,,დავთრის'' მასალების გათვალისწინებაც.

დავიწყოთ ოლთისით:

ქალაქისკარი (598),

კალმახი (597),

კონდახორი (603),

კინეპოსი (602), სპეცრუკაზეც იგივე ფორმაა: Кинепос.

ჩანჩური (602), სპეცრუკაზე დატანილია Чанчур. შესაძლებელია, ამოსავალი ფორმა იყოს **ჭანჭური**.

ხართხა (602), ს. ჯიქიას ვარაუდით, ეს უნდა იყოს გრაფიკულ ნიადაგზე შერყვნილი **ხარდოსა||ხარტოსა**.

კეთხუდი (601), იგივე ფორმაა დატანილი სპეცრუკაზეც.

ჩაიჩური (601): ეს უკანასკნელი ხომ არაა იგივე **ჩანჩური**(<ჭანჭური)?.

ახა (600),

ორუქი (600),

ოსხა (599–600), მდებარეობს იშხნის სამხრეთით. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Осха. ს. ჯიქია ვარაუდობს, რომ შესაძლებელია ამ ადგილის სახელია ოცხა.

კოტიკი, ახლოსაა ანძავთან და ხუვახთან (599). ხუთვერსიან რუკაზე დატანილია – Котикъ.

ფოსიქი (598).

აბუსარი (598), სპეცრუკაზე აღნიშნულია **მთა აბუსარი**. ჩანს, ამ მთის ფერდობებზეა გაშენებული **სოფელი აბუსარი**. **აბუსარ**'ში, ვფიქრობთ, გამოიყოფა –**არ** სუფიქსი, იგივე, **ოლთისარ**, **ოპიზარ, ხახულარ**... და მისთანა ფუძეებში რომ გვხვდება.

ქელგერი (598), ამოსავალ ფორმად შეიძლება დავუშვათ **ქერქერი** (>ქელგერი): **ქ – ქ>ქ – გ; რ – რ>ლ – რ** თანხმოვანთდისიმილაციით.

კოწახური (597), სპეცრუკაზე დატანილია **Козахур**'. ფლორონიმია, იგივეა, რაც **Барбарис**, **Berberis**. სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება სამივე ქართველურ ენაში (იხ. მაყაშვილი, 1991).

კედლეთი (596), –ეთ სუფიქსით ნაწარმოები სახელური ფუძე. აღნიშნავს **კედელა**'ს (>კედლა'ს) სახლეულის საცხოვრისს (იხ. ფაღავა, 2015:3–9).

ხევიკარი (596), საყურადღებოა, რომ **კარ**' ფუძიანი კომპოზიტი გეოგრაფიული სახელების გავრცელების არეალი მთელი ტაოა.

სამურდონი (596), რუკებზე – **Самирдон, Симирдон**. ქართული სახელი ჩანს.

მზვარი (596), **მ**’ შემდეგ განვითარებული ჩანს (შდრ. **მბალი, მბჟოლი...),** ამოსავალია **ზვარი**.

ქეთხუთი (595), რუკებზე დატანილია **Кетхуд**. ვფიქრობთ, **ქეთხუთი>ქედხუთი**’საგან დ>თ მონაცვლეობით.

საურმეთი (594), სპეცრუკაზე – **Саурмек**, უნდა – **Саурмет**, რუსულად ჩამწერის დაშვებული უზუსტობაა. ფუძეა **ურემ**’, **სა – ეთ** კონფიქსი.

ახა (594), მნიშვნელობა გაურკვეველია, ფუძე ქართული ჩანს. შესაძლებელია **ახა<ახო**’საგან, **ა – ა<ა – ო**’საგან სრული ასიმილაციით.

ხენძორეთი (594), ვახუშტი ბატონიშვილი წერს: ,,ამ ციხეს [თორთომს] ზეით არს **ხენძორეთი**, დაბა დიდი და გზა არზრუმისა“ (ვახუშტი, 687,2). ს. ჯიქია ევროპულ რუკაზე ამოიკითხავს **Ханзорек-улия**(ზემო ხენძორეკი). რუსულ რუკაზე ტოპონიმი დამახინჯებითაა დატანილი.

ხენძორეთ’ში ამოსავალ ფორმად შეიძლება აღვადგინოთ **ხანძარეთი**. აღვადგინოთ თუნდაც იმიტომ, რომ ტოპონიმი ქართული სუფიქსით (–ეთ) არის ნაწარმოები, რაც მის ქართულობას გვაფიქრებინებს, **ხენძორეთი** კი არაფერს გვეუბნება. მეორეცაა და ჭოროხის ქვეყნებში გვხვდება გეოგრაფიული სახელები **ხანძართა, ხანძთა**...

გორგისი|გიორგისი (594), ორივე ფორმა დასაშვებია (შდრ. **გორგაძე|გიორგაძე**, შესაბამისად, **გორგა|გიორგა**).

სამკარი (594), რუსულ რუკებზე Сами-кари.**მოკტა**’სა და **ბოცას** შუა არის **სამკარი**. საინტერესოა, რისი სამი კარის აღმნიშვნელია გეოგრაფიული სახელი?

შოშან’ი (593), უაფიქსო სახელია. შესაძლებელია, **შოშანი<შროშანი**’საგან (**რ** დაკარგულია). ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გვხვდება **შროშა, შროშის Ჭევი**... (იხ. ვახუშტი, 758,8).

მამირვანი, სხვაგან **ნარიმანი** (593), ხუთვერსიან რუკაზეც დატანილია **Нариманъ** (Пагирев, 1913). ,,ნარიმანი ბერძნების დიდი სოფელი იყო **ალაბალიკ–სუს** (=კალმახის წყალი) ნაპირას, რომელიც ოლთისის წყლის მეორე მარცხენა შემდინარეს წარმოადგენს’’ (თაყაიშვილი, I, 2016:460). ვფიქრობთ, დასახელებული ორი ფორმიდან ამოსავალი უნდა იყოს **მამირვანი** (<მამირ–ოვან–ი). მეორეცაა და **მამირვანი** და **ნარიმანი** იმდენად განსხვავებული სახელური ფუძეებია, რომ ერთი მეორის ფონეტიკურ ვარიანტად მიჩნევა შეუძლებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ,,დავთარში’’ აღწერილია ფანასკერტის ნაჰიეს სოფლებიც:

მამტური (590), – გეოგრაფიულ სახელში გამომვყოფთ **–ურ** სუფიქსს, საძიებელია **მამტ**’ სახელური ძირის მნიშვნელობა. შესაძლებელია, აღვადგინოთ ამოსავალი ფორმა: **მამტური<*მამთური<მამათური**.

კარნავასი (590), ხუთვერსიან რუკაზე ორი **Карнавазъ**–ია დატანილი, სოფელი და ჯაილა (Пагирев,1913). ს. ჯიქია მხარს უჭერს **კარნავას**’ს და ვფიქრობთ, სწორადაც.

ხოშვანი (590), დასაშვებია **ჯოშვანი** ან **ჭოშვანი**. ამოსავალი ფორმა **ხოშვანი** (<*ხოშ–ოვან’ი) ჩანს.

სევკარი (589–590), ხუთვერსიან რუკაზე გვხვდება **Севкяр**, ევროპულ და რუსეთის რუკებზე – **Сивкяр**. ამოსავალი უნდა იყოს **სევკარი**. ს.ჯიქიას აზრით, **სევკიარ||სივკიარ**

თურქიზებული ფორმებია. **სევკარ**'ში მეორე ნაწილად **კარ**' გამოიყოფა, საძიებელია პირველი ნაწილის (სევ') მნიშვნელობა.

ჰავდოსი (589), რუკებზე იკითხება **Аидос, Айдос**,ხუთვერსიან რუკაზე – **Авдостъ**. ს. ჯიქია მხარს უჭერს **ჰავდოს**'ს. ვფიქრობთ, დასაშვები ფორმაა **ავდოს**'იც, **ჰ** ხმოვნის წინ ჩვეულებრივ იკარგება.

ილორი (588), ცნობილი გეოგრაფიული სახელია, დასტურდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

კარმის' (588), ახლა **კიზილ–ქოჲ** ჰქვია. რუკებზეც ეს უკანასკნელია დატანილი. ჩანს, რუკის შედგენისას სოფელს უკვე გადარქმეული ჰქონდა სახელი.

ფერთუსი (586–587), კითხვის ნიშანი (?) დაუსვამს მკვლევარს, სარწმუნოდ არ მიაჩნია წაკითხვა, დასაშვებად მიიჩნევს სხვა ვარიანტებსაც – **ნერთუსი** ან **თენთუსი**. ხუთვერსიან რუკაზე იკითხება **Пертусъ** (Пагирев,1913) – სოფელი, ყიშლა და ბაილა. თუ რუკის მონაცემს გავითვალისწინებთ, **ფერთუსი** სწორი წაკითხვა უნდა იყოს. **ფერთუსი<ფერთუ–ის–ი** ნაგენეტივარი სახელი ჩანს.

ქამრისი (587), რუკებზე Кямис. ამოსავალი ფორმაა ქამრისი. ჩვენი აზრით, **ქამრასორი**(587)(ხუთვერსიან რუკაზე დატანილი **Камсоръ**), **ქამრისის** არმენიზებული ფორმაა.

ჯულაკარი (585) – შუა, ქვემო და ზემო. რუკებზე დატანილია **Джулакер, Джулакар**, სხვაგან იკითხება **Джулякар**და **Джулякер**. ს. ჯიქია მხარს უჭერს **ჯულაკარს** და შენიშნავს: ,,ოღონდ ერთი მაკლია გულს: ქართულ დამწერლობაში ამ სახელს ჯერ–ჯერობით არ ვიცნობთ და შეიძლება ეს **ჯულაკარი**კი არა, **ჭულაკარი** იყოს'' (585). დავამატებთ, რომ **ჯ:ჭ** მონაცვლეობა დასაშვებია ქართულში. ასე რომ დასაშვებია ორივე ფორმა – **ჯულაკარი||ჭულაკარი**.

ქაფი (585), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Капки**. ,,უეჭველია ამ სოფლის სახელი **ქაფქი** ან **კაპკი** უნდა ყოფილიყო" და თურქულ გამოთქმაში ბოლოკიდურა ორი ხშულიდან ერთი დაიკარგა (585). **ქაფქს** ჰქონია სათესველი **გომქაშეთი**.

ოღთათაბი||ოღთადაბა (582), ორი სათესი ჰქონია სოფელს – **ბაღისჭალა** და **ფინარი**. რუკებზე დატანილია: **Огдадаб, Огдабаг, Агдадаб**. დაშვებული ორი ფორმიდან – **ოღთათაბი||ოღთადაბა** ,,ოღთადაბა'' ჩანს ამოსავალი, რომლის მეორე ნაწილი არის **დაბა**', ცნობილი ფუძე ქართულში, ნიშნავს ,,**აგარაკი**'', **სოფელი, ყანა** (იხ. აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001). საძიებელია **ოღთა**'ს, მრ. რიცხვში მდგარი ფუძის მნიშვნელობა: **ოღების დაბა**?

ურექი, შეიძლება **ურეკიც** (582). Урекъ – დატანილია ხუთვერსიან რუკაზეც.

ს. ჯიქიამ ქამხისის ნაჰიეს ათზე მეტი სოფელი ამოიკითხა ,,დავთარში":

გვადი (579) – ასე კითხულობს მკვლევარი სოფლის სახელს. ევროპული რუსეთის სპეცრუკაზე დატანილია **Гад**, ხუთვერსიან რუკაზე – **Год**. დასახელებული სამი სავარაუდო ფორმიდან, ვფიქრობთ, მისაღებია – **გვადი**.

სახელი **გვადი** ადამიანის საკუთარ სახელად გვხვდება საქართველოში, გეოგრაფიულ სახელად კი პირველად დადასტურდა.

ყაბანი (578), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია – **Кабан** (კაბან'ი?). ვფიქრობთ, სწორი ფორმაა **კაბანი**.

ფერთევანი (578), რუკებზე დატანილია **Пертеван**. **–ევან||–ოვან** სუფიქსით ნაწარმოებული სახელია.

სოღომონი (577–578), ს. ჯიქიას შენიშვნით, სოფლის სახელი ,,დავთარში'' ,,სომხური ფორმითაა მოცემული''. ,,იბერიის'' კორესპოდენციაში იკითხება ,,სოგომონ კალა''. ჩანს, ეს უკანასკნელი ხუთვერსიანი რუკის მიხედვითაა, სადაც დაუტანიათ **Согомон-кала**და **согомонъ**. ექვთიმე თაყაიშვილს ჩაუწერია ფორმა ,,**სოლომონისი**'' და ,,**სოლომონისის ეკლესია**'', ,,**სოლომონკალას ეკლესია**'' (თაყაიშვილი, I, 2016:44), ,,სოლომონისს'' ასახელებს დ. ბაქრაძეც (იხ. Бакрадзе,1887:192–202). ამოსავალი უნდა იყოს **სოლომონისი**, ნაგენეტივარი სახელი, სხვები – გეოგრაფიულ სახელზე ,,ძალადობის'' შედეგი.

ფანჯურეთი (577), ექვთ. თაყაიშვილთან **პანჯურეთი**. ჩანს, ეს უკანასკნელი ფორმა ხუთვერსიანი რუსული რუკიდან მოდის (შდრ. **Панджуреткий** ... пв. Пагирев, 1913). ამოსავალი ფორმა არის **ფანჯურეთი**.

ტაჯერექი (576–577), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **Теджерек**. ამოსავალი ფორმა ჩანს **თაჯერექი**.

ქამხისის რაბათი (575–576), იგივე გეოგრაფიულ სახელს ხედავს ს. ჯიქია **ჩამხის**'ში: ქ. **ქამხისი**>თ. **ქიამხის**ი>დიალ. **ჩამხისი**. ექვთ. თაყაიშვილთან გვხვდება **კიაგმისი**. ,,კიაგმის' ფორმაში **გ** თანხმოვანი **ღ**'საგან უნდა იყოს წარმოშობილი რუსულ ნიადაგზე. აქვე გვაქვს, არ ვიცი, რომელ ენობრივ კოლექტივში გაჩენილი, მეტათეზისი **ქამხის–ი>ქიამხისი>ქიმღისი**. **Кямгис > Кягмис//Киагмис**(ქიაღმისი) და გამოთქვამს ვარაუდს: ,,ხომ არ არის ეს **ქიაღმისი** ქართული შესაძლებელი **გაღმისი** ფორმიდან მიღებული? **გაღმ–ის–ი>ქაღმ–ის–ი>ქიაღმ–ის–ი**?" ამოსავალი ფორმა ჩანს **გაღმისი**. ,,დავთრის" **ქამხისი** თურქულში გადავიდა **ქიამხისად**. ექვთ. თაყაიშვილის მოგზაურობისას **ჩამხუსად** წარმოითქმოდა (576). საყურადღებო მსჯელობაა, არსებობის ღირსიც. თუმცა ვფიქრობთ, რომ ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **ქამხისი** (<**ქამხ–ის–ი**). **ქამხ**' ფუძეში შეიძლება გამოვყოთ **ხ**' სუფიქსი (**ქამ–ხ**).

ფანაკის ნაჰიეს შემდეგი სოფლები შეუტანიათ ოსმალო მოხელეებს ,,დავთარში":

დოლენჯი ქოჲ (დოლენჯის სოფელი) (574). **დოლენჯი** პიროვნების საკუთარი სახელია, რომელიც ფუძედ დადებია გვარ–სახელს **დოლენჯიშვილი||დოლენჯაშვილი** (ახლაც სახლობენ ხევეკში **დოლენჯოღლები** – ავტ.). ექვთ. თაყაიშვილი ერთგან წერს: ,,ვისაც არ სურდათ გამაჰმადიანება, გადასახლდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში. ამათ რიცხვში უფრო წარჩინებული გვარები არიან: შალიკაშვილი, ციციშვილი, ავალიშვილი, ჯაყელი, დიასამიძე, გოგორიშვილი, თავდგირიძე, ხიმშიაშვილი, კავკასიძე, დოლენჯიშვილი, ხერხეულიძე, თაქთაქიშვილი, ქობულაშვილი (ქობულისძე), სუმბათაშვილი, ზედგენიძე, თუხარელი, გუგუნავა და სხვ.'' (თააყაიშვილი, I, 2016:431). საინტერესო ცნობაა, სამხრეთ საქართველოდან მოსულან ხსენებული გვარები, მათ შორის დოლენჯიშვილიც. ფანაკის ნაჰიეში **დოლენჯის||დოლენჯას** ჰქონია სოფელი, რომლის სახელი დავთრის შემდგენელმა ასე ჩაიწერა – ,,დოლენჯი ქოჲ''...

ოკეთი (573), **–ეთ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი. გაურკვეველია **ოკ**’ სახელური ძირის მნიშვნელობა, შესაძლებელია, დაკარგული იყოს თავკიდურა თანხმოვანი, იქნება მარცვალიც. აღვნიშნავთ, რომ საქართველოში გვხვდება ტოპონიმი **აკეთი**(ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი).

ხოში (573), რუკაზე დატანილია **Хош**’, იგივე ფორმაა სტატისტიკურ კრებულში. უაფიქსო სახელია. საძიებელია ქართულში **ხოშ**’ ფუძის მნიშვნელობა. აღვნიშნავთ, რომ **ხოშ**’ ფერეიდნულში ნიშნავს **კარგს**, **სასიამოვნოს** (ღლონტი, 1984). შესაძლებელია, **ხოშ**’ იგივე ფუძეა, რაც კომპოზიტში **ხოშკაკალი**. ჯერჯერობით საკითხი ღიად რჩება.

გარღოღისი(?), **ქარღოღისი,** შეიძლება **კარღოღისიც** იყოს (572). ხუთვერსიან რუკაზე დატანილი არაა ასეთი გეოგრაფიული სახელი. შესაძლებელია, ამოსავალი ფორმა იყოს **კარღოღისი**<*__კარგო[რ]გისი__’დან, ნიშავს **,,კარი გიორგისი“**. ჩვენს ვარაუდს ერთი გარემოება უშლის ხელს, კერძოდ, წყობა ,,კარი გიორგისი“ უცხოა ჭოროხის ხეობის ტოპონიმიაში. ჩვეულებრივ გავრცელებულია სახელური ფუძე + კარი.

ისრაილი (572), ხუთვერსიან რუკაზე – Хутор Израиль. **ისრაელ||ისრაილ** საბას განმარტებული აქვს როგორც ,,გონება მხილველი ღვთისა, გინა ხილვა ღვთისა“ (ორბელიანი, 1949). ვფიქრობ, ტოპონიმსა და საბას განმარტებულ **ისრაელ||ისრაილ**’ს შორის კავშირი ნაკლებსარწმუნოა.

დეგირმან დერესი (572) პირდაპირი თარგმანი ჩანს ქართული **,,წისქვილი[ს] ხევისა**’’.

აგირდგომი (571), რუკებზე – Агитком. ს. ჯიქია გვთავაზობს შემდეგ მსჯელობას: ,,მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი **გომ**’ია, ხოლო **ком**(კომ), აგრეთვე **агит**’ში ,,ტ’’ თანხმოვანი გადასხვაფერებული, შეიძლება გადასომხურებული ფორმა იყოს. არ ვიცით, თუ **აგირდგომ**’იდან რატომ გამოვარდა **რ**’ თანხმოვანი“. საყურადღებო მსჯელობაა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ კიდევ ერთხელ ვლინდება სახელურ ფუძეზე ,,ძალადობისა’’ და ხელოვნურად სხვადქცევის ფაქტი.

ქარგლუხი (570), მეორე სახელი **კიზილ ფუნარი.** რუკაზე დააუტანიათ Кяркилух, ასევეა ერთ სტატისტიკურ კრებულში, მეორეში – **Кяркялух**. ს. ჯიქიას უკანასკნელი ორივე ფორმა **ქარგლუხის** თურქულ ვარიანტად მიაჩნია.

დასაშვებია, **ქარგლუხი**<*__ქარგ–ლუღ__’ისაგან. **ლუღ**’ თურქული მაწარმოებელია, ქართული **–ნარ**’ის ბადალი, **ქარგ**’ ქართული სახელური ფუძე ჩანს.

კარყული (569), მეორე სახელი **კარგეთი**. ,,ორი წაკითხვა უაღრესად საეჭვოაო’’, – აღნიშნავს ს. ჯიქია. მეორე ვარიანტი, **კარგეთი,** ქართულად ჟღერს, ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმაც ის უნდა იყოს.

მერენესი (569), რუკებზე: меренеси. შეიძლება დავუშვათ, რომ **მერენესი**<*__მერენისი__’საგან ხმოვანთა სრული ასიმილაციით.

ბარნაკი (?) (568), წაკითხვა პირობითია, წერს ს. ჯიქია. რუკაზე დატანილია Пернякъ, სხვადქცეული ფორმა. **პერნიაკი**ქართული **ფარნაკის** (შდრ. ქ. არსენაკი, თ. არსენიაკი) თურქიზებული ფორმაა. **ფარნაკს** ადასტურებს ექვთ. თაყაიშვილიც.

ეგრიშუარი (567), ხუთვერსიან რუკაზე გვხვდება – Эгри-килиса. ჭირს **ეგრიშუარ**’ისა და **ეგრიქილისა**’ს იდენტიფიკაცია, მაგრამ კომპოზიტის პირველი ნაწილი (ეგრი) საერთო აქვთ.

ეგრი იგივე სახელური ძირი ჩანს, რაც **ეგრ**–ისში, **ერგე** (<*ეგრე<ეგერე)... აღვნიშნავთ, რომ **ეგრი** - თურქულად მრუდეს ნიშნავს. მაგ: **ეგრი ჩაი** - მრუდე (კლაკნილი) მდინარე - ავტ..).

ლაზარვანსი (567). ხუთვერსიან რუკაზე იკითხება Назарвани (Пагирев, 1913). ს. ჯიქია უპირატესობას დავთრისეულ **ლაზარვანს**'ს ანიჭებს. მაინც რატომაა უპირატესი ,,დავთრის'' **ლაზარვანსი** რუკის Назарван'ზე? **ლაზარვანსი<ლაზარვან**'ისაგან. ორივე წაკითხვით გეოგრაფიული სახელი კომპოზიტია და მისი მეორე ნაწილი არის **ვან**'ი (ძვ. ქართულის სადგომი, სახლი, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერის, სოფელი, ბუნაგი. აბულაძე, 1973). ,,ლაზარეს ვანი'' უნდა იყოს ამოსავალი. რუსული **Назарвани** იგივე **ლაზარვანია** (შდრ. ლაზარ Назар) ოღონდ რუსი კარტოგრაფის მიერ აღქმული.

აკრაკი (568), ს. ჯიქია მიიჩნევს, რომ **აკრიაკი** არის არმენიზებული ფორმა თურქული **NJNrNJ**'ის, ან ქართული **აგარაკის.** XIX საუკუნეში**აკრიაკის** მოსახლეობა სომხური ყოფილა, ჩანს ,,დავთრის'' შედგენის დროსაც, ამიტომაც ოსმალო მოხელემ ჩაიწერა **აკრიაკი**, არმენიზებული ფორმა.

კოპი (564), არის მეორე ვარიანტიც – **გობი**. ს. ჯიქია უპირატესობას **კოპ**'ს ანიჭებს. Коп'ია დატანილი ხუთვერსიან რუკაზეც (Пагирев,1913), როგორც პეტრუსის მეზრე (მეზრე სიტყვასიტყვით: მინდორი, დასამუშავებლად ვარგისი მიწა, მცირე დასახლებით).

მუხრული (563–564), ისტორიულ რუკაზე იკითხება Михрель, ხუთვერსიან რუკაზე – Мухрелъ. მაშასადამე, გვაქვს სამი ფორმა: ,,დავთრის'' ,,**მუხრული**'', რუკების – **მიხრელი** და **მუხრელი**. ამოსავალი უნდა იყოს **მუხრული** (შდრ. მუხროვანი): **მუხ[რ]ული** <*__მუხ[რ]ური__ <*__მუხური__.

ჭალა (563). სამხრულ კილოებში ,,ჭალა''–ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ვაკე ადგილი მდინარის პირას... 2. სათიბი, სათიბ–საძოვარი (ნიჟარაძე, 1971).

ბანა, ოსმალური**ფანაქი** (560). მკვლევრის აზრით, ძველი ფორმა **ბანაკი** უნდა იყოს, მიუთითებს აკ. შანიძის დაკვირვებას ერთი დაუბეჭდავი შრომიდან: **მუშაკი>მუშა, დანაკი>დანა,კვირიაკე>კვირა, პიტნაკი>პიტნა.** უფრო ადრე **აგარაკი>აგარა**. აკ. შანიძის დაკვირვებიდან გამომდინარე **ბანაკი>ბანა**. **ბანაკი** კიდევ ძველ ქართულში ნიშნავს: ,,ერი'', ,,მხედრობა'', რაზმი, გუნდი, ჯგუფი (აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001).

კოთიქი (570), ხუთვერსიან რუკაზეა Котикъ, სპეცრუკაზე – Котек. **ქოთიქი<კოტოკი**'საგან (<კოტაკი). **კოტა** კიდევ ცნობილი ფუძეა სამხრულ მეტყველებაში და მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ხის რიკი, სიმინდის ტარო, თოფის საკეტი, ცელის ტარის სახელური... (ნიჟარაძე, 1971).

ბარიქი (562), სოფელი ოლთისიდან 43 ვერსში, არტაანიდან 74 ვერსის მანძილზე. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Барыкъ. **ბარიქი<ბარი–კი**'საგან, **ბარი** კიდევ ცნობილი ფუძეა ქართულში.

აღვნიშნავთ, რომ **ბარიქი** ამავე ნაჰიეში სხვაცაა (იხ. 573).

კარჭიო, გარჭიო, კარხიო, გარხიო – ოთხ განსხვავებულ წაკითხვას გვთავაზობს ს. ჯიქია (567). რუკებსა თუ ისტორიულ წყაროებში მსგავსი გეოგრაფიული სახელი არ ჩანს. შესაძლებელია, ჩაწერის პრობლემასთან გვქონდეს საქმე. ვფიქრობთ, ძველი ფორმაა **კარხი||გარხი** (შდრ. კოლხი, ტაოხი...), –ხ სუფიქსი ჩანს.

არსენაკი – ზემო, ქვემო და შუა(566). ს. ჯიქია ფიქრობს, რომ სოფლის სახელია **არსენაკი** და არა – **არსენიაკი**, **არსენდაკი** (შდრ. ბანაკი). არის ასეთი დაყოფაც: Арсеняк Греческий, Арсеняк Турецкий. ორ **არსენაკს** ასახელებს ექვთ. თაყაიშვილი (იხ. თაყაიშვილი, I, 2016:61). თურქული **არსენიაკი** ქართველ მაჰმადიანთა სოფელია (თურქული აქ მაჰმადიანის აღმნიშვნელია და მცხოვრებთა რელიგიურ კუთვნილებაზე მიუთითებს). იბადება კითხვა: რატომ ბერძნული არსენაკი? იმიტომ ხომ არა რომ აქ ბერძნები ცხოვრობენ? ვფიქრობთ, არა. **თურქული არსენიაკის** ანალოგიით ვუშვებთ, **ბერძნული არსენაკი** ბერძნული ეკლესიის (აქ: მართმადიდებელ ქრისტიანთა) მიმდევართა სოფელია. შესაბამისად, ბერძნული რელიგიურ კუთვნილებაზე მიუთითებს. სხვადასხვა კონფენსიათა მიმდევრობის გამო ,,დაუპირისპირდა'' ,,ბერძნული არსენიაკი'',,თურქულ არსენიაკს''.

თახთი (565), ხუთვერსიან რუკაზეც დატანილია Тахтъ (Пагирев,1913). ამოსავალი ფორმა უნდა იყოს ქართული – ტახტი, ,,საჯდომელი'' (აბულაძე, 1973).

თხასქურქი (565), ხუთვერსიანი რუკით – Тавасхур, ვარიანტში – Тхасхор. თხასქურქი და რუსული Тхасхор' გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ, კომპოზიტის პირველი ნაწილით მაინც, Тавасхур – განცალკევებით დგას, თუმცა ჭირს გარჩევა, ვინ უფრო სწორედ ჩაიწერა ქართული ტოპონიმი ოსმალო მოხელემ თუ რუსმა კარტოგრაფმა.

არმაშენი (562), Армашенъ დატანილია ხუთვერსიან რუკაზეც. სახელწოდება ქართული ჩანს, შდრ. **თამარაშენი, ახალშენი.**

ჩვენ წარმოვადგინეთ ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან'' ამოკრებილი ქართული გეოგრაფიული სახელები, ვცადეთ, ზოგიერთის არქეტიპის აღდგენა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, თუ რამდენად მოვახერხეთ, ამას მომავალი კვლევები დაადგენს. ერთი კია, ოსმალური დავთრის წაკითხვისას წარმოშობილმა სიძნელეებმა დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია ტაოს, ისევე როგორც ჭოროხის სხვა ქვეყნების, ტოპონიმიის აღწერა სოფლებისა და ხეობების მიხედვით, რისი ცდაც ჩვენი შემკრებლობითი მუშაობაა ტაოში.

,,დავთარში'' ორ ათეულზე მეტი ტოპონიმია შეტანილი, რომელიც არაქართულია, ერთი შეხედვით მაინც, ასეთებია:

ფარაქესი (597), სტატისტიკურ კრებულში და ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Паракез-хосор.

ნუსუნგი (601), ხუთვერსიან რუკაზე სამი ნუსუნგია: Нюсюнг-баши г. Нюсюнгъ д. Нюсюнгъ я. (მთა, სოფელი და ჯაილა).

მიტენდიერი (602), ხუთვერსიან რუკაზე იკითხება Митендеръ (სოფელი და ჯაილა).

ტაში (573–574), ხუთვერსიანი რუკით**Таш-башъ** (ჯაილა).

ჩაირი (581), ვფიქრობთ, ქართული ბალახის (შდრ. ბალახვანი) თურქული თარგმანია.

კიზილ–ქილისა (593), ხუთვერსიან რუკაზეა Кизил-килиса. **კიზილ–ქილისა** (შდრ. წითელი ეკლესია) მეორეული სახელი ჩანს აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტისა.

კოსორი (562), მისი თურქიზებული ფორმა **კოსური**, ხუთვერსიან რუკაზე ვკითხულობთ Косоръ.

ჩარსორი (563), ასეთი სახელი რუკაზე არ ჩანს. ს. ჯიქია ვარაუდობს, რომ სტატისტიკურ კრებულებში და ხუთვერსიან რუკაზე **Чахсор**–ად წოდებული და ევროპული რუსეთის

სპეცრუკის **Чихсори**სოფელი **ჩახსორია**. ტოპონიმი კომპოზიტი ჩანს, რომლის მეორე ნაწილია **სორ** (სომხური ღელე, ხევი), პირველი ნაწილის მნიშვნელობა საძიებელია. ადგილზე გადამოწმებას საჭიროებს თავად გეოგრაფიული სახელი, რომელია სამი განსხვავებული ფორმიდან ამოსავალი, იქნებ არც ერთი.

ქეიღვანქი (564), იგივეა, რაც ხუთვერსიანი რუკის Кейванк.

იღნაქი (566), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Эгнаки, სპეცრუკაზე Игнаки.

ძაღქოსი (569), მეორე სახელია **ქიზილ–ქოჲ**. რუკებზე იგი არაა აღნიშნული. ს. ჯიქია მას უკავშირებს სტატისტიკურ კრებულებსა და ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულ Джахкос'ს (ჯახკოსი), ოღონდ უჭირს **ძ:ჯ** მონაცვლეობის ახსნა. ვფიქრობთ, ჩაწერის პრობლემასთან გვაქვს საქმე.

ეკესორი (569), რუკებზე დატანილია Экясор, Экасор, სტატისტიკურ კრებულებში – Эказор. ს.ჯიქია ამოსავლად მიიჩნევს **ეკესორს**.

კინეპოსი (570–571), ხუთვერსიან რუკაზე Кинепосъ. **კინეპოს**'ს ახსენებს ექვთ. თაყაიშვილიც.

ვაღავერი (571), ხუთვერსიან რუკაზე იკითხება Вагавер, ეს უკანასკნელი **ვაღავერ**'ის გადარუსულებული ფორმაა.

ბარდიკი (572), ხუთვერსიან რუკაზეა Бердык (Пагирев,1913). **ბარდიკი, ბერდიკი** ოლთისიდან 31 ვერსზეაო, წერს ს. ჯიქია.

აღუნდირი (579), რუკაზე – Агундир'ი.

ფანასკერტი (581), ვახუშტი იყენებს ფორმას **ფანასკეტი**||(<***ფანასკეთი<ფანასეთი)** (ვახუშტი, 1973:682,სქ.). კარგი იქნებოდა **ფანასკეთი** რომ ყოფილიყო ამოსავალი ფორმა, ქართული წარმოებისაა და იმიტომაც, მაგრამ ასე არაა, ამოსავალია **ფანასკერტი**: **ფანასკერტი** ,,ფანას სოფელია'' სომხურად გამოთქმული. შდრ. **ფანასეთი** (<**ფანა[ს]–ეთ–ი**) ფანას ოჯახის, სახლეულის საცხოვრისი.

გესმალი (583), რუკებზე – Гесманлы. ეს უკანასკნელი თურქიზებული ფორმაა **–ლი** სუფიქსით ნაწამოები.

ფირდანოსი (584), ხუთვერსიან რუკაზეც დატანილია Пирданосъ.

მეჰანქი, შეიძლება **მეჰანგი** (584), იგივე სოფელი უნდა იყოს, ხუთვერსიან რუკაზე **Мегенкъ**'ს სახელწოდებით რომაა აღნიშნული.

ქარაშუთი (584–585), რუკებზე და სტატისტიკურ კრებულებში დასტურდება Кяляшут და Калашут. ს. ჯიქია ამოსავალ ფორმად **ქალაშუთს** თვლის.

ნორბერთი (589), ხუთვერსიან რუკაზე Норпетъ (Пагирев,1913). **ნორბეთი** სომხურია, **ნორ** – ახალი, **ბერთ** – ციხე. **ნორბეთი** – ,,ახალი ციხე''. შეიძლება ვიფიქროთ, **ნორბეთი** ქართული ,,ახალციხის'' თარგმანია.

აღვანიქი (590), ამოკითხვა პირობითიაო, აღნიშნავს ს. ჯიქია. **აღვანიქი**<***აღვანქი**'საგან.

პეტროსი (591), არმენიზებული ფორმა ჩანს. შდრ. ქართ. **პეტრესი**.

ვარანუთი (594), სომხური ჩანს.

ვასექსორი (594), სომხური სახელია.

ფარასორი (595), ხუთვერსიან რუკაზე – Парасоръ (Пагирев, 1913). ტოპონიმი კომპოზიტია, რომლის მეორე ნაწილია სომხური **სორ**' – ღელე, ხევი.

ერუკი (595), თურქული წარმოთქმით **PrQ‡**. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Эрюкъ. ამ სახელწოდების ტოპონიმი რაამდენიმეა – სოფელი, ყიშლა, ჯაილა.

ბარდუსი (596), სპეცრუკის Бердусъ და Пертус. ხუთვერსიან რუკაზე რამდენიმე **პერტუსია** ოლთისის უბანში, სოფელი, ყიშლა, ჯაილა. ამოსავალი ფორმა უნდა იყოს Пертус, რომელიც ქართული **პერტისის** (შდრ. **პერტია**) არმენიზებული ვარიანტია.

ანძავი (597), ხუთვერსიან რუკაზე – Анзовъ. ს. ჯიქიას შენიშვნით, ,,**ანზავი**"**,,ანძავის**" თურქიზებული ფორმაა.

ფერთუსი (597), ექვთიმე თაყაიშვილი ასახელებს **პერტუსს**, რომელშიც ,,50 კომლი სომეხია, სათათრეთიდან მოსული. ამ სოფელში ორი ქართული ეკლესია ყოფილა" (თაყაიშვილი, I, 2016:70). ექვთ. თაყაიშვილის შრომიდან მოყვანილ ფრიად საგულისხმო ცნობას მივაქცევთ ყურადღებას: ,,სოფელში 50 კომლი სათათრეთიდან მოსული სომეხი ცხოვრობს" და ,,სოფელში ორი ქართული ეკლესია ყოფილა". ბუნებრივია, თავდაპირველად **ფერთუსი** (თუ **პერტუსი**) ქართული სოფელი ყოფილა თავისი სამლოცველოებით, სომხები მოსულან და სოფლისთვისაც სახელი შეუცვლიათ.

პოღოსი (598), შდრ. ქართ. **პავლე**.

ვართანუთი (598), შდრ. ქართ. **ვარდანეთი**.

ექექი (600), იმავეს ასახელებს ექვთიმე თაყაიშვილიც, უთითებს, რომ მ. ბროსესთან **ეგრეკი** გვხვდებაო (თაყაიშვილი, I, 2016:372). საყურადღებო ფორმას ასახელებს ფრანგი ორიენტალისტი: **ეგრეკი** (შდრ. **ეგრ–ის–ი**) რაღაცით ქართულს მოგვაგონებს, **ექექი** კიდევ მისი გათურქულებული ვარიანტია.

ქეივანქი (600), ხუთვერსიან რუკაზეც დატანილია Кейванкъ. სახელი სომხური ჩანს.

არდგილ'(601), სახელი –**გილ** მაწარმოებლით.

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" ტაოს რამდენიმე ათეული გეოგრაფიული პუნქტის სახელია შეტანილი: რომელთაგან უმეტესი ქართულია, მეორე ნაწილი სომხური ან თურქული. ეს უკანასკნელი შედარებით ახალი ფენაა ტაოს, ზოგადად ჭოროხის ხეობის, ტოპონიმიაში. არათურქულ სახელებს ოსმალურად ჩაწერისას დიდი ტრანსფორმაცია განუცდიათ, ხშირად იმდენად დაშორებიან ამოსავალ ფორმას, რომ ჭირს თავდაპირველის დადგენა. ვხედავთ, რამდენად დიდი ჯაფა დასდგომია ,,დავთრის" წამკითხველს...

ტაოს სოფლები აღუწერიათ 1835–36 წლებში ოსმალო მოხელეებს. აღწერის მასალები მნიშვნელოვანი წყაროა ტაოს ტოპონიმიკის შესასწავლად, თუმცა მკვლევარი დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მას. მასალებში გვხვდება როგორც ქართული, ისე არაქართული სახელური ფუძეები. და, რაც მთავარია, ბევრი გეოგრაფიული სახელი დღეს აღარ დასტურდება, დავიწყებული ან ახალითაა შეცვლილი.

1835–1836 წლების ტაოსკარის აღწერა:

მოხიში – ასე იკითხება ერთი სოფლის სახელი, შესაძლებელია – **მოხისი**. **მოხე||მოხი** ტოპონიმი დასტურდება მესხეთშიც.

აღწერისას **მოხიში** ვრცელი სოფელია 115 კომლით.

არგონისი||არგუნისი – ნაგენეტივარი სახელია, **არგონ||არგუნ** სახელური ძირია.

ჰაკნისი, შეიძლება **აკნისიც**, ხმოვნის წინ **ჰ**' ჩვეულებრივ იკარგება ქართულში.

მეთენდიზი, ვფიქრობთ, ჩაწერის პრობლემაა, მოსალოდნელია იყოს **მეთენდისი**, ნაგენეტივარი ფორმა.

ური||ორი||ავრი||ევრი – ხუთვერსიან რუკაზე დატანილია ორი. ჩანს, ოსმალო მოხელის მიერ ჩაწერილი სოფლის სახელწოდებაა **ორი**.

მალაქესი||მალაქისი, ნაგენეტივარი სახელი. აღნიშნავს **მალაქია**'ს კუთვნილებას.

იფხარი||იფხანი||იბხარი, ხუთვერსიანმა რუკამ არ იცის ასეთი გეოგრაფიული სახელი. ძირეული მასალა უნდა იყოს **იფხრ**(<იფხარ). იგივე ფუძე გვხვდება **იფხრეულ**"ში (სოფელია შავშეთში). **იფხლი** გვიმრაა საბას განმარტებით (ორბელიანი, 1949).

ოხორი – ვრცელი სოფელია 63 კომლით. **ოხორ**' კოლხური ფუძეა სახლის აღმნიშვნელი (თანდილავა, 2013).

ქივი – ხუთვერსიან რუკაზე დატანილია **კივი**. ამოსავალი ფორმაც ეს უკანასკნელი უნდა იყოს.

ალოსი, ხუთვერსიან რუკაზე გვხვდება **Алосъ**(Пагирев, 1913). **ალოსი<*ალოისი** ნაგენეტივარი სახელია.

ოგთისი||უქთისი, ნაგენეტივარი სახელი ჩანს.

ავარისი – ნაგენეტივარი სახელია, **ავარ**' ძირია.

უნისითი||უნისეთი (შეიძლება დავუშვათ – **უნუსეთი**). ტოპონიმში გამოიყოფა –**ეთ** სუფიქსი. შდრ. ხუთვერსიან რუკაზე გვხვდება **უნუსხევი**, ოღონდ ართვინში. **უნის||უნუს** ერთი და იგივე სახელური ძირი ჩანს.

აქურთისი, იგივე ფუძე დატანილია ხუთვერსიან რუკაზეც – **Акуртисъ**(Пагирев, 1913).

ფულური||ფულორი, ხუთვერსიან რუკაზე იკითხება **Пулуръ**(Пагирев, 1913). ვფიქრობთ, სწორი წაკითხვაა **ფულური** (<ფულ–ურ–ი).

გივეთი||გივიეთი, –**ეთ** სუფიქსიანი ტოპონიმი, გივის სახლეულის სამოსახლო.

ხმაგოროთი, ასეთი გეოგრაფიული სახელი არაა დატანილი ხუთვერსიან რუკაზე.

ერკენისი, ნაგენეტივარი სახელია, შდრ. ერკნისი.

ოლთისი:

ხივაკ' (ხევეკ) – **ხევეკი||ხევაჲ** ტაოში რამდენიმეგზის დასტურდება.

ფირექესი – მსგავსი სახელი სხვა არ დასტურდება ტაოს ტოპონიმიაში.

ბარდიზი (<*ბარდისი?), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Бардусъ(Пагирев, 1913). **ბარდისი||ბარდიზი** და **ბარდუსი** ერთი და იგივე პუნქტის სახელის ფონეტიკური ვარიანტები, ანდაც ჩაწერისას სახეცვლილი ფორმები ხომ არაა?

გილო – ქართული ფუძე ჩანს.

მილეთური (ახლა: **ბაშბაღლარი**, შდრ. **თავი ბაღები**), სახელი –**ურ** სუფიქსითაა ნაწარმოები. **მილეთ** (შდრ. მლეთა') ძირია.

ფესთაფორი (შდრ. **ზღაფორი**, სოფ. სარიგიოლის მაღლა).

სამის (სანამის, სანანისი). დასაშვებია **სამისი** (შდრ. სამთა წყარო) და **სანანისი** (სანანო – ადამიანის საკუთარი სახელია).

ჯამასი (<*ჯამაისი), ნაგენეტივარი სახელია.

ოშხე||უშხე დასაშვებია ორივე წაკითხვა, უფრო პირველი.

ორჯუკი||ორჯოკი (შდრ. ორჯოხი).

ზერდენსი||ზერდენისი – ნაგენეტივარი სახელია. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Зарденисъ(Пагирев, 1913). **ზერდენ||ზარდენ** ფონეტიკურ ვარიანტებად უნდა ჩაითვალოს.

დაგვირი||ტაფქირი – ორივე დაწერილობა გვხვდება. ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Дагиръ(Пагирев, 1913).

ლისბეკი (ესბეკი?), ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Леспекъ(Пагирев, 1913). ვფიქრობთ, **ლისბეკ**ი და **Леспекъ** ერთი სახელის ფონეტიკური ვარიანტებია.

ურუთი||ორუთი||ურული – ხუთვერსიან რუკაზე არც ერთი ფორმა არ დასტურდება.

სიმირდონი, ხუთვერსიან რუკაზეც იგივე ფორმაა Симирдонъ (Пагирев, 1913).

ხივაკი||ხოვაკი – **ხივ||ხოვ** ძირი ჩანს, –**აკ** მაწარმოებელი (შდრ. დანაკი...).

ჯუჯურუსი||ჭუჭურუსი, ხუთვერსიან რუკაზე – Джуджурусъ (Пагирев, 1913). ვფიქრობთ, სწორი წაკითხვა უნდა იყოს **ჯუჯურუსი**, რასაც მხარს უჭერს რუსული ფორმაც.

ჭანჭური||ჩანჩური, ხუთვერსიანი რუკის Чанчуръ (Пагирев, 1913) ორივე წაკითხვას უჭერს მხარს, მაგრამ, ვფიქრობთ, **ჭანჭური** უნდა იყოს ამოსავალი ფორმა.

ორუქი – ხუთვერსიან რუკაზე ასეთი გეოგრაფიული სახელი დატანილი არ არის.

ნირიშენი||ნორეშენი – სომხ. ახალსოფელი.

ზარდაკომი||ზერდეგომი...

სუდერი||სვირი – შეიძლება ვიფიქროთ, **სვირი|სუირი** ,,დავთრის“ შემდგენელმა აღიქვა და ჩაიწერა **სუდერი** (წყლიანი ადგილი).

ქურქჩი, –**ჩი** (–ჯი) ხელობის სახელის მაწარმოებელი სუფიქსია თურქულში, **ქურქ**’ – ფუძე.

ფოსიქი, იგივეა, რაც ხუთვერსიანი რუკის Посики (Пагирев, 1913).

ოსგჰათი (?) – მიახლოებითი წაკითხვაა, ამიტომაც უზის კითხვის ნიშანი.

ერიდოს (სარჩევში), **ავდოსი** (ტექსტში), ხუთვერსიან რუკაზეა Авдостъ (Пагирев, 1913).

ჩერმუქი||ჩერმოქი, ხუთვერსიანი რუკით Чермукъ(Пагирев, 1913). **ჩერმუქი** ქართულად ,,თერმულ წყალს’’ ნიშნავს.

ჩათაქი, ხუთვერსიანი რუკის Чатахи (Пагирев, 1913). ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **ჩათახი**. **ჩათაქ**ი (თ. ორ მთას შუა ღრმა ხევი) **ჩათახთან** ფონეტიკური მსგავსების გამო ჩაიწერა ოსმალო მოხელემ.

ანზავი (სომხური, კლდე) ხუთვერსიან რუკაზეა Анзовъ(Пагирев, 1913).

შახსორი, **სორ**’ სომხ. ღელე, ხევი. პირველი ნაწილის (**შახ**’) მნიშვნელობა საძიებელია, შეიძლება სულაც სპ. ,,შახია“, მეფე, მაშინ **შახსორი** ,,შახის ხევი’’, ,,შახის ღელე’’ (შდრ. მეფის წყალი, მეფის ხევი) იქნება.

ჰავდოსი||ჰაიდოსი, ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Авдостъ(Пагирев, 1913).

სირდასორი||სირდაძორი შდრ. სომხ. **სირდაძორ** – გული ხეობა, შუა ხეობა.

თერფენქი შდრ. სოხ. **თარფინქ** (მჭედლები).

კოზახორი||ხოზახორი შდრ. სომხ. ღორების ახორი.

მილასორი||მელასორი||*მელაძორი – კომპოზიტია, რომლის მეორე ნაწილია **სორ||ძორ**.

ჩარზოვი||ჩარძოვი, სომხ. ცუდი ტბა.

კინეფოსი||კენეფოსი (შდრ. სომხ. ვაზიანი), ხუთვერსიან რუკაზეა Кинепосъ (Пагирев, 1913).

აქ თოფრაქი (შდრ. თ. თეთრი მიწა). შესაძლებელია, ეს იყოს ხუთვერსიანი რუკის Топрангъ ან Аг-топрахъ(Пагирев, 1913), უფრო ეს უკანასკნელი.

ქიღიქი||ქელიქი (შდრ. თ. ქექიქ, ქონდარი).

ვართანოთი||ვართანუთი, იგივეა, რაც ხუთვერსიანი რუკის Вартанутъ(Пагирев, 1913) (შდრ. ქ. **ვართანისი<*ვარდანისი**).

ჯამი ქებირ (შდრ. დიდი ჯამე, ორთა ჯამე).

დაირეი მუთესელიმ (თ. მუთესელიმის **(გამგებლის)** სასახლე).

თოსი ზადე (თოსი ფაშა).**ზადე** სპარსულ-თურქულად ძე/შვილი.

მუსტაფა ბეგი.

ყალე ბოღაზი, შდრ. ქ. ციხის ყელი.

თამრუთი||თამნუთი, **–უთ** სომხ. სუფიქსია, ქართული **–იან**'ის ბადალი. **თამრ–უთ|თემნ–უთ** სომხ. **ხურმიანი**. ხუთვერსიან რუკაზეა Тамрутъ (Пагирев, 1913).

თუთმაჩი||თუთმოჩი (<*თუთმაჯი). თურქული სახელია. შდრ. ოთხკუთხად დაჭრილი ცომისაგან მომზადებული წვნიანი.

ბახჩეჯიქი თ. პატარა ბაღი. იგივეა, რაც ხუთვერსიანი რუკის Бахчаджугъ (Пагирев, 1913).

თოფრაქი, ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Топрактъ და Топрянг (Пагирев, 1913), უფრო პირველი, – **თოფრიაკტი** შდრ. ქ. **მიწა.**

ბოჯუქლუ ჩიფლიღი შდრ. თ. **ბოჯუქ** – ღორი (**–ლუ** იგივეა, რაც ქ. –იან), **ჩიფლიღ** – მიწა. **ღორიანი მიწა**? შდრ. საღორეთი. ჩიფთლიქ სიტყვა-სიტყვით: სახნავ-სათესი, კარ-მიდამო, მეურნეობა (ლექსიკონი, 2001)

ქოზახა||ხოზახორი. სომხ. **ხოზ** – ღორი + ახორი, **ღორის ახორი,საღორე.**

ვაშქანი (<*ვაშკანი?), სომხური ჩანს. შდრ. ძვ. ქართული **ვაშკარანი** – გუდა, ჭურჭელი, აბგა, საგანძური, სალარო (აბულაძე, 1973; სარჯველაძე, 2001).

ინჯი (შდრ. თ. **ინჯი** – მარგალიტი).

ჰაქამი||ჰაგამი.

კაბანორუქი||კაბანოკი.

სიკჩეკი|სიხჩეკი, იგივე უნდა იყოს, რა ხუთვერსიანი რუკის Сехчекъ (Пагирев, 1913).

ეზინსორი||იეზნაძორი, 1928 წლიდან სოფელს თ. სიღინდერე ჰქვია. შდრ. **სიღირ** – მსხვილფეხა საქონელი. **ეზინსორი||იეზნაძორი** არმენიზებული ფორმებია.

ოლთისი 1835–36 წლების დავთარში:

ნიაკომი, ხუთვერსიან რუკაზე დატანილია Ниакомъ (Пагирев, 1913).

ბადასო||ბარასორი||ბადასორი – სხვადასხვა წაკითხვას გვთავაზობს ოსმალური ჩანაწერების წამკითხველი. შდრ. სომხური **ბადასორი||ბადაძორი**.

ოღდერი||ოღდარი.

ქორდიქანლუ||ქურდიქანლუ||ქორდიქენლი – ჩანაწერი იძლევა სამი სხვადასხვა წაკითხვის საფუძველს. სახელი კომპოზიტი ჩანს. **დიქენლი** – ეკლიანი, **ქორდიქენი** – ეკლიანი მცენარეა, იყენებენ მედიცინაში.

თუქუჯუქი||თუქუჯიქი, კომპოზიტი ჩანს, რომლის მეორე ნაწილი არის **ჯუქ||ჯიქ**'.

აჰრიზი||ახრიზი, ხუთვერსიან რუკაზეა**Ахрисъ**(Пагирев, 1913). ვფიქრობთ, სწორი ფორმაა **ახრისი, –ის** სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელი.

ისასორი||იზაძორი, ხუთვერსიან რუკაზეა Исадзоръ(Пагирев, 1913), სომხურია.

თავასორი||*თავაძორი||თივასორი, შესაძლებელია, უკანასკნელი ფორმა იყოს სწორი.

სალაჩური||სალაჯური – ხუთვერსიან რუკაზე დაუტანიათ Салачуръ (Пагирев, 1913). სწორი ფორმა უნდა იყოს **სალაჩური**.

ჩვენ სრულად წარმოვადგინეთ ოსმალურ ,,დავთრებში“ დაცული ტაოს ტოპონიმიკური მასალები. უპირველესად იგი მრავაფეროვნებით ხასიათდება: გვხვდება ქართული, სომხური, თურქული საკუთარი სახელები. მკვლევრისათვის გასათვალისწინებელია, რომ ხშირად გეოგრაფიული სახელები სწორად არაა (უფრო ვერაა) ჩაწერილი, დგას განსხვავებულ ენათა და დამწერლობათა თავისებურებები, რაც ჩაწერისას ქმნის პრობლემებს. ყველაფრის მიუხედავად, მასალები მაინც საყურადღებოა და ველზე შეკრებილ ტოპომიმებთან შეჯერებით მოგვცემს გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას.

და მაინც, რა გვიჩვენა მასალებმა? გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია:

– ტოპონიმიკური მასალის ანალიზით ჩანს, რომ ისტორიულად ტაოს აბორიგენი მოსახლეობა ყოფილა ქართველები, თუმცა ,,მიწას ეტყობა'' სხვა, განსაკუთრებით სომეხთა კვალიც.

მოსახლეობის ,,სომხური ფენა'' საჭიროებს ზოგიერთ დაზუსტებას, კერძოდ: როგორც ხშირად ხდება, მოსახლეობა იმ ერის კუთვნილებად აცხადებს თავს, რომლის რელიგიასაც აღიარებს. ჩანს, ოსმალობის პერიოდში, ზოგჯერ ადრეც, ტაოელთა ნაწილმა სომხურ ეკლესიას შეაფარა თავი და ,,გასომხდა''. სხვაგვარად ვერ აიხსნება: სოფლის სახელი ქართული, მიკროტოპონიმია – ქართული, სოფლის ეკლესია – ქართული, მოსახლეობა – სომხური.

ზოგიერთ ყოფილ ქართულ სოფელში ჩანს საკუთრივ სომხური მოსახლეობაც. აქ იკვეთება ერთი ტენდენცია: ახალმოსახლეები ,,ძალადობენ'' გეოგრაფიულ სახელებზე, ასომხურებენ მას, ყველა შემთხვევაში სომხურ ჟღერადობას აძლევენ.

დაბოლოს, ტაოში ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მოსული ძველი სომხური კვალიც ჩანს, რაც გასათვალისწინებელია.

– ოსმალთა მიერ ტაოს დაპყრობის შემდეგ კიდევ ერთი ტენდენცია გამოიკვეთა: ოსმალებმა, უპირატესად, გადასახადების შეწერის მიზნით, დაიწყეს ტაოს (ისევე როგორც სხვა დაპყრობილი ქვეყნების) სოფლების აღწერა: აღრიცხავდნენ სოფლის მოსახლეობას, მათ რელიგიურ კუთვნილებას, შემოსავლებს, შესაბამისად აწერდნენ გადასახადებს. ოსმალურ დავთრებში იკითხება ტაოს სოფლების სახელები, ჩაწერილი კონსონანტური დამწერლობით, ხშირად ფონეტიკურად სახეცვლილი.

მომდევნო ეტაპზე ჯერ ოსმალეთმა, შემდეგ თურქეთის სახელმწიფომ დაიწყო ძველი გეოგრაფიული სახელების ახლით შეცვლა. პროცესი გარკვეული კანონზომიერებით მიმდინარეობდა. იკვეთება რამდენიმე ტენდენცია:

– ძველ სახელს აძლევენ თურქულ ჟღერადობას, ასე იქცა ოლთისი – ოლთუდ, ოშკი – ოშქ'ად...

გამჭვირვალე გეოგრაფიულ სახელებს პირდაპირ თარგმნიან თურქულად: ციხისძირი – ყალა დიბი, ვაშლოვანი – ელმალი...

ზოგჯერ სახელმდებელი გეოგრაფიული პუნქტის მახასიათებელ ახალ ნიშანს არჩევს, ასე ქმნის ძველის სანაცვლოდ ახალს...

LINGUISTICS

Informations on Tao area location names in Ottoman registers

Mamia Pagava, Zaza Shashikadze
Batumi Shota Rustaveli State University

In this study; information about Tao place names in Ottoman historical sources are compiled. These sources are:

1. Detailed Register of Georgia Province (Published by Sergi Cikia) **2.** Etymology Dictionary of Sevan Nisaneyan **3.**Oltu Population Register dated 1835-1836 (NFS.d 2772., Istanbul Prime Ministry Ottoman Archive) **4.** Taoskar Population Register dated 1835-1836 (NFS.d 02776., Istanbul Prime Ministry Ottoman Archive)

Tao Area location names include Georgian, Armenian and Turkish examples. Oldest (layer) that used in this are was Georgian, the newest was layer is Turkish.Geographical names are often written incorrectly in registers. So, it was possible to see the interactions of different languages in these documents. These differences made some trouble to recording names. Despite all this, according to owners of these writings(authors) informations in these documents are interesting and it gave us the opportunity to make some comments as a result of the comparison of the names of the places that the authors collected on the area.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე, 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ.

დავთ. – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ. 1958.

ვახუშტი – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ.1973.

ზურაბიშვილი, 1961 – თამარ ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის. ქესს, III, თბ.

თაყაიშვილი, I, 2016 – ექვთიმე თაყაიშვილი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ.1, თბ.

ლექსიკონი, 2001 - თურქულ-ქართული ლექსიკონი, თბ.

მაყაშვილი, 1991 – ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ.

ნიჟარაძე, 1971 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

ნიშანიანი – სევან ნიშანიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონები, http://nisanyanmap.com/?y=&t=Tortum&u=1&ua=0; http://nisanyanmap.com/?y=&t=oltu&u=1&ua=0.

ორბელიანი, 1949 – სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ.

Пагирев, 1913 – Д.Д. Пагирев, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края. издания Кавказскаго Военно-Типографическаго отдела, Тифлис.

სარჯველაძე, 2001 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა, 5, თბ.

ფაღავა, 2015 – მამია ფაღავა, ქართული ენისა და კულტურის კუნძულები მეთურქულე კლარჯეთში. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო კონფერენცია, მასალები, გორი.

ფაღავა, 2009 – მამია ფაღავა, –უმ/–ომ სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა. ბსუ შრომები, XIII, ბათუმი.

ფაღავა, 2009(1) – მამია ფაღავა, კვლავ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის. ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი.

შანიძე, 1973 – აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები,I, თბ.

შანიძე, 1978 – აკაკი შანიძე, ტერმინ ქართლისა (საქართველო) და ქართველის ეტიმოლოგიის შესახებ. Вопросы Языкознания, 4. М.

ღლონტი, 1984 – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო–თქმათა სიტყვის კონა, თბ.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988 – ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ.

1835–36 წლების ოლთისის აღწერა (NFS. d. 02772. თურქეთის მინისტრთა საბჭოს სტამბოლის ოსმალური არქივი).

1835–36 წლების ტაოსკარის აღწერა (NFS. d. 02776. თურქეთის მინისტრთა საბჭოს სტამბოლის ოსმალური არქივი).

ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები - I

ტარიელ ფუტკარაძე
საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, დღესლინგვისტური ქართველოლოგიის წინაშე დგას **ხუთი არსებითი გამოწვევა:**

1. საერთაშორისო აკადემიურ ველში ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საწინააღმდეგო (/არაადეკვატური) იდეოლოგემის დაბალანსება /საინფორმაციო ომში თავდაცვის კონტექსტი/;
2. „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების კონტექსტში საქართველოს ენობრივი სიტუაციის ადეკვატური აღწერა;
3. ტერმინოლოგიური დივერსიებით სწორი სახელმწიფოებრივი ორიენტირების გაბუნდოვნების თავიდან აცილება;
4. ქართული ენის ტექნოლოგიზება (აკადემიური ავტომატური ორენოვანი თარგმანების განხორციელება);
5. საქართველოს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვის უზრუნველყოფა და ქართველური ზეპირი მეტყველებების გადარჩენისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

წარმოდგენილ სტატიაში მოკლედ განვიხილავთ პირველ გამოწვევას.

რბილი ძალის (SOFT POWER) პოლიტიკის მიმართულებით მიმდინარე საინფორმაციო ომებში [1]ჩვენი დასავლეთელი პარტნიორებიც კი ხშირად ექცევიან **რუსულიპროპაგანდის** გავლენის ქვეშ. სამაგალითოდ განვიხილავ ჰეიდი ტალიავინის დასკვნის ერთ მონაკვეთს, სადაც ავტორის დასკვნა ეყრდნობა **სომხური წარმოშობის ამერიკელი მეცნიერის რონალდ სუნის** (Ronald Grigor Suny) საეჭვო დებულებებს; მაგ., დასკვნაში ვკითხულობთ:

"ისტორიულად, ქართული ეროვნული იდენტობა თავის წარმოშობას მე-4 საუკუნეში ქართული ავტოკეფალიური ეკლესიის ჩამოყალიბებას და მე-5 საუკუნეში ქართული ენის გამოჩენას და ანბანის შექმნას უკავშირებს. თუმცა, საქართველო საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ადგილობრივ სუბ-ეთნიკურ ერთეულებად იყო დაყოფილი, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა თავისი საკუთარი ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, დიალექტები და, მეგრელების, ლაზებისა და სვანების შემთხვევაში კი - სხვა ენები, რომლებიც ჰგავს ქართულს. **ეთნიკურ ჯგუფთა კონსოლიდაციის და ერად ჩამოყალიბების პროცესი არ დასრულებულა**“[3].

[3]http://www.ceiig.ch/Report.html (tomi,II,gv.2). HistoryofanAmbivalentRelationship: "Georgian

სინამდვილე სხვაგვარია:

ქართული ენა V საუკუნეზე ბევრად ადრე "გამოჩნდა"... ერთიანი ქართველი ერი დიდი ხანია არსებობს: ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი დასრულდა საუკუნეების წინ.ფაქტია ისიც, რომ ჰ. ტალიავინს ასეთი **არაადეკვატური დასკვნა** გამოაქვს საბჭოთა პერიოდში გაბატონებული ე.წ. **ოთხი "ქართველური ენის" იდეოლოგიაზე** დაყრდნობით, რამაც შეიძლება საქართველოსათვის უფრო სახიფათო გახადოს მის წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომი; შდრ.:

კავკასიის იარაღით დაპყრობის შემდეგ, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის იმპერიის მოხელეებმა საგანგებოდ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკით დაიწყეს "გათიშე და იბატონეს" გეგმის განხორციელება; კერძოდ, ქართველთა ზოგი კუთხური მეტყველების დამოუკიდებელ ენად გამოცხადებით შეეცადნენ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას. **ეს გზა გააგრძელეს ბოლშევიკებმა.** დღესაც ამავე გზით მიდის კრემლი; მაგ., 2002 და 2010 წლების რუსეთის მოსახლეობის აღწერების დოკუმენტებში სხვადასხვა ეროვნებებადაა ჩათვლილი: ქართველი, მეგრელი, სვანი, აჭარელი... [2], [3]; მაგ., 2010 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, რუსეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებებია: **Грузины** *(картвели),* **Аджарцы** *(аджарели),* **Ингилойцы** *(ингилой),* **Лазы, Мегрелы** *(маргали, мингрелы),* **Сваны [3], [4].**

რუსი მეცნიერები დღესაც აქტიურად ცდილობენ, შეამცირონ ქართული ენის, ზოგადად, ქართველთა საცხოვრისის, საზღვრები; მაგ., პროფ. ი. კორიაკოვის აზრით, ქართველთა განსახლების დასავლეთი საზღვარი სამტრედიამდეა, ჩრდილოეთი კი - ცაგერამდე; კერძოდ, იგი სხვადასხვა ენებად აცხადებს რა ქართულს, მეგრულს, სვანურს, ლაზურს, ქართველური „ეთნიკური ჯგუფების" ასეთ საზღვრებს გვთავაზობს[4]:



national identity claims historical origins dating as far back as the establishment of an autocephalous Georgian church in the 4th century and the emergence of the Georgian language with its own alphabet in the 5th century. Nevertheless, for centuries Georgia was divided into diverse local sub-ethnic entities, each with its own characteristic traditions, manners, dialects and, in the case of the Mingrelians, Lazs and Svans, with separate languages similar to Georgian. The process of ethnic consolidation and nation-making had not been completed (Astandard work on this processis: RonaldGrigorSuny,*TheMakingoftheGeorgianNation*,Bloomington/Indianapolis,1994). ჰ. ტალიავინის მცარი დებულებების კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: [2]

[4]პროფ. ი.კორიაკოვისესრულა: http://linguarium.iling-ran.ru/maps/1-all.gif (დამოწმება: 05.05.2018).

რუსული იდეოლოგემების ინერციითაა შექმნილი ბევრი სხვა დასავლური კვალიფიკაციაც; კერძოდ, არაერთი აკადემიურ საერთაშორისო ცნობარის, ენციკლოპედიისა თუ ეთნიკური რუკის მიხედვით,**ქართველთა ნახევარი ქართველად არ მიიჩნევა. ევროპის ისტორიის ახალ რუკებზეც ბევრი შეუსაბამობაა;** მრავალთაგან ერთ-ერთს დავიმოწმებ:

V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის დროს, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოდგენილია ლაზიკა და იბერია[5]:

ძნელი წარმოსადგენი არ არის:

ჰ. ტალიავინის საეჭვო დასკვნის მსგავსი ცდომილებები სხვა მიმართულებითაც შეიძლება იყოს; შესაბამისად, მოსალოდნელია, სხვა სფეროებშიც საქართველომ დასავლეთელი ექსპერტებისაგან არასწორი შეფასებები თუ რეკომენდაციები მიიღოს.

საერთაშორისო აკადემიურ ველში საქართველოს შესახებ **კვაზიმეცნიერული თვალსაზრისების** არსებობა მხოლოდ რუსული ენის უფრო პოპულარობითა თუ რუსეთის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო ომის წარმატებით ვერ აიხსნება; **დასავლეთელი ექსპერტებისათვის მადეზორიენტირებელია, ასევე, საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებსა თუ სახელმწიფო სტრუქტურებში გაბატონებული მიდგომებიც,** რომელთა არსებობა მხოლოდ რუსული იდეოლოგემების ინერციით შეიძლება აიხსნას; მაგ., საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 27 წელი გავიდა, მაგრამ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული ე.წ. „უმწერლობო ქართველური ენების“ იდეოლოგია ვერ გადაისინჯა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ერთ-ერთი საელჩოს დაფინანსებით, 2015 წლის 14 აპრილს ზარზეიმით წარადგინეს ე.წ. ხუთენოვანი - ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური - ლექსიკონი. იდეის ავტორის გამოსვლაში უფრო უცნაური პარალელიც გაკეთდა; კერძოდ, ავტორის თქმით, მას „მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ქართულ-ინგლისური ლექსიკონის იდეა გაუჩნდა მას შემდეგ, რაც ნახა ესპანურ-ფრანგულ-ინგლისური ლექსიკონი“[6].

[5]https://www.euratlas.net/history/europe/500/500_Southeast.html (დამოწმება: 12.05.2018).
[6]https://www.youtube.com/watch?v=chSKfvqWc1k (დამოწმება: 12.05.2018).



მსგავსი დაფინანსებით განხორციელდა მხატვრული ფილმების გახმოვანება სვანურად (თითქოსდა, სვანების დედაენა ქართული არ იყოს!):

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-მ(ა) დაამატა 26 new photos.
8 მაისი, 18:39-ზე ·

„ ნორვეგია ფილმი ლადაღ შვანს "
ნორვეგიული ფილმის დღეები სვანეთში

მესტიის მუნიციპალიტეტში ნორვეგიის საელჩოს კულტურული კონცეპტის „ პოეზია და მის მიღმა"-ს ფარგლებში ნორვეგიული ფილმის დღეები „ ნორვეგია ფილმი ლადაღ შვანს " მიმდინარეობს,რომელიც გაიხსნა 7 მაისს და გაგრძელდება 11 მაისის ჩათვლით (7-10 მაისი - დ.მესტია; 8-9 მაისი სოფ.მაზერი), მესტიაში ღონისძიებას უმასპინძლა სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმმა. პროექტი ხორციელდება ნორვეგიის საელჩო ბაქოში კულტურული ატაშე კერსტინ აგნეტა ვალბერგის „ ნორვეგიელი კინო კრიტიკოსი იან ერიკ ჰოლსტის და „ბრანდ ჰოტელ უშბა" (სოფ.ტვებიში,ბეჩო) მფლობელი იან რიჰარდ ბერიუგის ინიციატივით.
„ ნორვეგია ფილმი ლადაღ შვანს " -ის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება 7 ნორვეგიული ფილმი სხვადასხვა დროისა და ჟანრის მიხედვით,განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მაყურებელი პირველად იხილავს ფილმებს სუბტიტრით სვანურ ენაზე . ფილმები სვანურ ენაზე სრული ეწითუზიაზმით თარგმნეს გიორგი ბავერიანმა, შორენა გვარლიანმა და გიორგი მარგიანმა, პროექტის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ამ ახალგაზრდებს და გადასცა მცირედი, სიმბოლური სასაჩუქრე პაკეტი.

უცხოეთიდან დაფინანსდა, ასევე, წიგნის: "სვანური საბავშვო ლიტერატურა" გამოცემა და პრეზენტაცია (გაიმართა 2013 წლის 10 დეკემბერს)[7]; პრეზენტაციის დროს "სვანური ენის" მდგომარეობის შესახებ ისაუბრა რიკარდ ბერუგმა - სვანური საბავშვო ლიტერატურის კონკურსის ინიციატორმა. რ. ბერუგი ასევე მიზანმიმართულად ცდილობს, შეიქმნას სვანური სალიტერატურო ენა (მისი პარტნიორია ჯიპა)[8]:



[7] https://gipa.ge/caucasus-school-of-journalism-and-media-management/geo/news/detail/74/svanuri-sabavshvo-literatura.html

[8] https://www.facebook.com/media/set/?set=a.870916819613045.1073741862.354449327926466&type=3

ქართველი ერის ობიექტური ენობრივ-ეთნიკური ისტორია რომ იცოდნენ ქართველი ერის ღირსების პატივისმცემელმა ევროპელმა მეგობრებმა, ასეთი საეჭვო ხასიათის პროექტები არ დაფინანსებოდა და მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის შექმნის თანამომაწილე სვანებს 21-ე საუკუნეში არ შესთავაზებდნენ, „თავიანთი“ "სალიტერატურო ენის" შექმნას. დიდი შეცდომაა სვანების მიჩნევა უმწიგნობრო დედაენის მქონე "ხალხად"; შდრ.:

დაახლოებით კოლხური არქეოლოგიური კულტურის არეალში იყო 25-35 საუკუნის წინ არსებული **საერთოქართველური ენა,** რომელსაც დაეფუძნა ქართველთა სამწიგნობრო ენა [4]. საერთოქართველური ენის საფუძველზე - თანამედროვე ქართველთა ყველა ენობრივი ქვესისტემისათვის ამოსავალ ენობრივ ვარიანტის საფუძველზე (და არა - ქართლკახურ დიალექტზე!) შექმნილმა ქართულმა სამწიგნობრო ენამ, საქართველოს სახელმწიფოს რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში არსებობის მიუხედავად, XX საუკუნემდე უზრუნველყო ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შენარჩუნება. ბოლო 16 საუკუნის დოკუმენტური მონაცემების მიხედვით დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ:

ქართული სამწიგნობრო ენის ჩამომძერწავ მწიგნობართა დიდი ნაწილი იყო **ისტორიული ეგრისიდან** (ამჟამინდელი სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლივანა, ლაზეთი, კლარჯეთი, იმერეთი); სწორედ ამით უნდა აიხსნას შემდეგი ფაქტი: სვანეთისა თუ სამეგრელოს, კახეთისა თუ ქართლის შვილებს არასოდეს უცდიათ, სამწიგნობრო კულტურა შეექმნათ მშობლიური დიალექტის მიხედვით, რამდენადაც ყველამ კარგად იცოდა, რომ მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ქართული ენა წინაპრების მიერ შექმნლი საერთო დედაენა იყო. საუკუნეების მანძილზე, სხვა ქართველების მსგავსად, **სამეგრელოს მოსახლეობაც ძერწავდა ქართულ სამწიგნობრო ენას; ამ ენით იღებდა განათლებას და აღასრულებდა ღვთისმსახურებას** [5].

კავკასიის იარაღით დაპყრობის შემდეგ რუსეთის იმპერიის მოხელეებმა ინტენსიურად დაიწყეს ადგილობრივთა ასიმილაციისა და "გათიშე და იბატონეს" გეგმის განხორციელება; კერძოდ, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან გააქტიურდნენ ქართველთა ასიმილაციისა და ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიმართულებით. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, ეკლესიასა და საერო განათლების სისტემაში ქართული ენის გამოყენების შეზღუდვა. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან კი **რუსი მოხელეები** ცდილობენ ქართული ენის სრულად გამოდევნას საქართველოს ორი კუთხიდან – სვანეთიდან და სამეგრელოდან. ამ მიზნით რუსული ანბანის საფუძველზე გენერალმა უსლარმა შექმნა "სვანური ანბანი", ხოლო პეტერბურგელმა პროფესორმა ალ. გრენმა - მეგრული ანბანი. ამავე პერიოდში, ლევიცკის ინიციატივით, ხონის სემინარიის მასწავლებლებმა: ივან პეტროვმა და თადა აშორდიამ შექმნეს მეორე მეგრული ანბანი, შეადგინეს მეგრული საკითხავი ტექსტები. რუსი მოხელეების საბოლოო მიზანი იყო ქართველთა ენობრივი ისტორიის, საეკლესიო ტრადიციისა და მეცნიერული ლოგიკის იგნორირებით ქართული ენის ჩანაცვლება **რუსული ენით**[9].

[9] იხ., მაგ., გრაფ ნიკიტა პანინის (1770 წ.), გენერალ ტორმასოვის (1810 წ.), შტაბსკაპიტან შახოვსკისა (1834 წ.) და სხვათა გეგმების შესაბამისად მოქმედი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი 1881 წელს

1886 წლის სექტემბერში ლევიცკიმ კატეგორიულად მოითხოვა სამეგრელოს სკოლების მეგრულ ენაზე გადაყვანა. ეს იყო პირველი მცდელობა, სწავლებისა და ღვთისმსახურების სფეროში მეგრული მეტყველების **დამკვიდრებით სრულად გადაეფარათ ქართული ენის ისტორიული ფუნქცია საქართველოს ამ კუთხეში.** რუსი მოხელეების "არგუმენტი" ასეთი იყო:მეგრელ-სვანთათვის ქართული დედაენა არ არის; მეგრელების დედაენაა უმწერლობო მეგრული ენა, სვანებისა კი – უმწერლობო სვანური ენა; შესაბამისად, მათ კეთილშობილურ მიზნად გამოაცხადეს, ამ "მცირე ხალხებისათვის" შეექმნათ სამწიგნობრო კულტურა [7].

ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში აქტიურად აღუდგნენ წინ გამორჩეული ქართველები: **ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ დადიანი**[10]**, ნიკო დადიანი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ბესარიონ ნიჟარაძე, ამბროსი ხელაია, ივანე მარგიანი, პეტრე ჭარაია** და სხვები, რომელთაც შეძლეს, მოსალოდნელი საფრთხე მიეტანათ ფართო საზოგადოებამდე. სამეგრელო-სვანეთის ქართველობამ სრულად გააცნობიერა, რომ რუსეთის იმპერიის მოხელეები კულტურულ ისტორიას უუცხოვებდნენ და მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენის შემქმნელ საზოგადოებას დედაენად უცხადებდნენ **უმწერლობო კუთხურ მეტყველებას**[11]**.**

რუსიფიკაციის წარუმატებელ პროცესს ასე აღწერენ **თედო ჟორდანია და თედო სახოკია:**

თ. ჟორდანია: "არა ნაკლები ღვაწლი მიმიძღვის მე, როგორც მებრძოლს იანოვსკის პროექტისას. ამან ხომ ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან ამოაგდო. შემდეგ ამისა ხელი მიჰყო დასამხობად ქართველთ ეკლესიისა, ე.ი. საეკლესიო ენისა, სამეგრელოში... **ვიღაც ნაბირალებს ქართული ლოცვები მეგრულად გადაათარგმნია და ეგზარხოსის დასტური ითხოვა.** აქ ისევ მე დავუხვდი... რამდენი უსიამოვნება ამაზე მე მომადგა. პირადად მე ამაზე არას ვიტყვი, ხოლო იანოვსკისაგან დაწყებული საქმე სამუდამოდ ჩაიფუშა... იმერეთში გადასვლის შემდეგ მე აღვადგინე ქართული ენის უფლება სვანეთის სკოლებში (სადაც ქართული ენა გადაგდებული იყო 1903 წლიდან)" [12].

თ. სახოკიას თანახმად, მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს პრობლემა მას შემდეგ გაჩნდა, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როდესაც საქართველოს სხვადასხვა სამთავრო გაუქმდა და ქვეყნის ნაწილები გაერთიანდა, რუსეთის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საფრთხე და გადაწყვიტა, ხელოვნურად შეექმნა ქვეყნის დაქუცმაცების პირობები.

1870-იანი წლებიდან იერიში მიიტანეს სამეგრელოს სკოლებზე. აქ სამინისტროების სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნეს, როგორც არა მშობლიური ენა, და საგნებს პირდაპირ რუსულის საშუალებით ასწავლიდნენ. ასე მიმდინარეობდა სამეგრელოს რუსიფიკაციის პროცესი 1890 წლამდე.

აქვეყნებს ცირკულარს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსულენოვანი სწავლება.

[10] ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი: **"მეგრული ქართული ენის დიალექტია და არა დამოუკიდებელი ენა... მეგრელი ქართულ ენას აღიქვამს როგორც თავის ძირეულ საკუთრებას..."**[8, 204-235]; იხ., აგრეთვე, [9].

[11] საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ.: [5], [7], [23], [17], [11]...

ამ დროიდან იწყება ქართული ენის, როგორც მშობლიური ენის, უფრო „დასაბუთებული“ უარყოფა. ამ ეტაპზე სცენაზე გამოდის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი **იანოვსკი** (ეთნიკურად პოლონელი) და მისი მარჯვენა ხელი, **ლევიცკი** (ასევე პოლონელი). ლევიცკიმ ხონის სემინარიის მასწავლებელს, **პეტროვს**, მეგრელთათვის ცალკე ანბანი შეადგენინა (რუსული ასოებით). იმავე სემინარიის მუშაკის, შემდგომში „ცნობილი“ **თ. აშორდიას** საშუალებით, მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსებიც ჩააწერინა. ეს სახელმძღვანელო სამეგრელოს სკოლებში უნდა გამოეყენებინათ. აშორდიას კარგი თანამდებობა და მატერიალური უზრუნველყოფა მისცეს, თან დაავალეს, ზუგდიდის მაზრაში ქართული ენა, თუკი სადმე არსებობდა, სკოლებიდან გაედევნა და ხელი შეეწყო რუსული ენის განმტკიცებისთვის. აშორდიას თავის მხრივ აგენტებიც გაუჩნდა და საქმესაც შეუდგა. შედეგად, სამეგრელოს სკოლა „ბავშვების დაჩლუნგებისა და გადაგვარების ერთგვარ ქარხნად“ იქცა. ამ პოლიტიკით მთავრობამ „ერთი ტყვიის დაცლით ორი კურდღლის მოკვლა“ მოახერხა: სამეგრელოს სამინისტროების სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნა და მეგრელები რუსიფიკაციის გზაზე დააყენა.

განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა დეკანოზ **ვოსტორგოვის** ფარფაში. ის თამამად იძახდა: „მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათ სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მაგივრად რუსული, სახელმწიფო ენა, ასწავლეთო“.

1905 წლის რევოლუციამ ცოტათი შეანელა რუსიფიკატორების მონდომება. რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, „ბნელეთის ძალნი“ ისევ ამუშავდნენ. 1918 წელს ფოთში მასწავლებელ **სტეფანე გაგუას** ინიციატივით, უკვე თავად მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებელნი, როგორც მოხალისენი. მაგრამ ეს ყველას ბავშვურ გატაცებად მიაჩნდა და სერიოზულობაში არავის ჩამოურთმევია, სანამ 1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ ასეთი ავანტიურის გაღვიძებას, ზუგდიდში ავტონომიის ნიადაგის მომზადება დაიწყო. მაფალუელთა ჯგუფმა მოსკოვში თხოვნა გაგზავნა: „გვიხსენით საქართველოს სუვერენიტეტისაგან, სამეგრელოს „პროლეტარიატის“ საცოდაობას ნუღა უყურებთ და უშუალოდ შეუერთეთ რუსეთის პროლეტარიატსო“ [13].

რუსეთის იმპერიის მოხელეებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ქართული ენის განდევნა საქართველოს ეკლესიიდან, პირველ რიგში, სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიებიდან; კერძოდ, 1902 წელის 20 აგვისტოს დეკანოზმა ი. ვოსტორგოვმა აცნობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს (ოქროპირიძე), რომ **რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, საკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის ნაცვლად ადგილობრივი "ენა" უნდა ისწავლებოდეს.**

ეპისკოპოსმა ალექსანდრემ არ შეასრულა საეგზარქოსოს ეს ანტიქართული გადაწყვეტილება.

განრისხებულმა ვოსტორგოვმა **დასმენის წერილი** აფრინა პეტერბურგში ალექსანდრეს წინააღმდეგ. იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ღვაწლმოსილი მღვდელმთავარი გადააყენა გურია-ოდიშის წინამძღოლობიდან; მის ადგილას კი დაინიშნა ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე), რომელიც **ენერგიულად შეუდგა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის**

გამოდევნას. სამეგრელოს მოსახლეობა დაუპირისპირდა ეპისკოპოს დიმიტრის; კერძოდ, "სამეგრელოს 113 თავადაზნაურის ხელმოწერით რუსეთის სინოდში გაიგზავნა **საპროტესტო წერილი** სამრევლო სკოლებში ქართული ენის აკრძალვის გამო. 1904 წლის 28 ივლისს ეპისკოპოსმა დიმიტრიმ გაგზავნა საიდუმლო საპასუხო განცხადება და მოითხოვა არათუ სამეგრელოში, არამედ საქართველოს ყველა საეკლესიო სკოლაში აკრძალულიყო ქართულენოვანი სწავლება...[14, 72-73].

ამ დაპირისპირების შესახებ ფასეული დოკუმენტური მასალა შემოგვინახა თ. ჟორდანიამ, რომელიც, ასევე, იბრძოდა სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის უფლებების დაცვის მიმართულებით. თედო ჟორდანიას აქტიურად უჭერდა მხარს წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე (და ბევრი სხვა სასულიერო თუ საერო მოღვაწე) [15, 157-163].

სამეგრელოში ქართული ენის, როგორც ამ კუთხის მცხოვრებთა ისტორიული დედაენის, **დაცვის კონტექსტშია საინტერესო სარგის კაკაბაძის ასეთი ცნობაც:**

"1911 წელს, სოფ. წალენჯიხაში მღვდელმა კალანდიამ ქართულად შესრულებულ წირვაში გაურია რამდენიმე ასამაღლებელი მეგრულად, რამაც აღაშფოთა იქ დამსწრენი. წირვის გათავებისთანავე **ხალხმა სცემა მღვდელს იმდენად სასტიკად,** რომ ცემაში მონაწილეთა გამოსარკვევად ხელისუფ;ების მიერ გაგზავნილ იქნა ზუგდიდის მაზრის გამომძიებელი. ეს გამომძიებელი შემთხვევით იყო ადგილობრივი მკვიდრი გიორგი დადიანი, რომელმაც, თავის მხრიც, ეს საქმე მიჩქმალა" [14].

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1920) ისევ იყო მცდელობა, დაარსებულიყო **„მეგრულენოვანი" სკოლები;** კერძოდ, აქტიურობდა ქალაქ ფოთის "ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს" თავმჯდომარის – სტეფანე გაგუას რამდენიმეკაციანი ჯგუფი (მათ ჰქონდათ ორგანიზაცია: "მაფალუ")[12], რომელიც ფოთსა და ზუგდიდში მოქმედებდა [13] . სტ. გაგუას ჯგუფის ინიციატივას ნეგატიურად შეხვდა საქართველოს დემოკრატიულ ხელისუფლება, თუმცა არსებითი ყურადღება არ მიუქცევია.

ქართველთა დედაენის ისტორიის გაყალბებით ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების რუსული გეგმა აქტიურად განაახლეს ბოლშევიკებმა; კერძოდ, 1913 წელს გამოქვეყნდა ი. სტალინის წიგნი: მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი, რომელშიც ვკითხულობთ (ვიმოწმებთ 1951 წლის გამოცემიდან):

"**კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?"**

---

[12] თედო სახოკია: "რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დაწყებისთანავე, ბნელეთის ძალნი ისევ ამუშავდნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტორგოვის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობნი, როგორც მოხალისენი [14]; შდრ.: "მაფალუიზმი" იყო "მეცადინეობა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა მეგრული ენა და მეგრული თვითმყოფადი ყოფითი კულტურა" [16, 101);

[13] შდრ.: ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილის აზრით, "სტ. გაგუას მიერ წამოწყებული "მაფალუს" ინიციატივა გულისხმობდა სამეგრელოს რეგიონის კულტურული მონაპოვარის წარმოჩენას და ამით საერთო ეროვნული (ქართული - ტ.ფ.) კულტურის გამდიდრებას" (ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 80-86).

(გვ. 138-139)... "ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ" (გვ. 142).

როგორც ვხედავთ, ყოველგვარი ისტორიული ლოგიკის საწინააღმდეგოდ, მეფის რუსეთის მოხელეების კვალად, ი. სტალინი **უმწერლობო ენის მქონე დაგვიანებულ ერებად** თუ ხალხებად აცხადებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ. ი. სტალინის წარმოდგენილი კონცეფცია დიდად არ განსხვავდება იანოვსკ-ვოსტორგოვის მიდგომისაგან. აქვე აღვნიშნავთ, რომ მეფის რუსეთის მოხელეები ეყრდნობოდნენ პეტერბურგელი პროფესორის – ქ. პატკანიანის "სამეცნიერო" ხედვებს; ამ უკანასკნელის მოწაფე იყო ნიკო მარი, რომელმაც რუსეთის აკადემიის აკადემიკოსად არჩევის შემდეგ, ფაქტობრივად, გააგრძელა ქ. პატკანიანის გზა[14]; კერძოდ, გასული საუკუნის 20-იან წლებში ნ. მარი აქტიურად რომ იყო ჩაბმული მეგრულის სტატუსის დადგენის პროცესში, ჩანს ისაკ ჟვანიას შემდეგი ტექსტებიდანაც: "მაშინ კომისიამ შ. ელიავას დაძალებით მეგრული ენაც არ ცნო, თუმცა, აკადემიკოს მარის განმარტების შემდეგ, რომ არსებობს მეგრული ენა და არა – კილო, ამხ. ელიავამ შეცვალა თავისი აზრი"[15].

ი. სტალინის "თეორიის" შესაბამისად, 1923 წლის ივლისში ჩატარდა საქართველოს ცკ მეორე სესია, რომელმაც მიიღო **"დეკლარაცია ენის შესახებ".** დეკლარაციაში ვკითხულობთ: "ჩვენი ურყევი პრინციპია, რომ ყველაფერი, როგორც მართვა-გამგეობა, ისე სწავლება და სხვა ხდებოდეს ხალხისათვის გასაგებ და მშობლიურ ენაზე"[16]. აქვე ნათქვამია:

"ეთნიკური სიჭრელის და ჩამორჩენილობის პირობებში დგას **ჩამორჩენილი ერების** (ხაზი ჩემია - ტ.ფ.) კულტურულ-ეკონომიკური დონის ამაღლების... ტომებში ნაციონალური განცალკევების ნაშთების აღმოფხვრის მძიმე ამოცანა. **ამიერკავკასიის ცოცხალი სალაპარაკო ენები** (ხაზი ჩემია - ტ.ფ.) უნდა გადაიქცნენ მათი კულტურული განვითარების და მათ მიერ მუშურ-გლეხური რევოლუციის მონაპოვართა შეთვისების მძლავ იარაღად". ამავე დოკუმენტით ამიერკავკასიის ცკ-ის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა, მოკლე ხანში გამოეცა კანონი, რომელიც დაარეგულირებდა როგორც ფედერაციის სახელმწიფო ორგანოებში, ასევე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში **"სამშობლო ენის" (ანუ დედაენის) გამოყენების წესებს.**

აშკარაა, რომ დასახელებული დეკლარაცია შექმნილია ი. სტალინის იდეების საფუძველზე. მალევე, ი. სტალინის მიერ დეკლარირებული გეგმის განხორციელება, სავარაუდოდ, ფილიპე მახარაძის ხელმძღანელობით დაიწყო ბოლშევიკთა რამდენიმე ჯგუფმა, რომელთა ნაწილმა **სამეგრელოს ავტონომიაც მოითხოვა.** მათ დაუპირისპირდა ბოლშევიკთა ერთი ნაწილი **ალ. გეგეჭკორისა**[17] და **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით[18]; კერძოდ, სამეგრელოს ავტონომიასა და საქმისწარმოებაში მეგრული "ენის" (ასევე, სხვა სეპარატისტული გამოხდომების) მოთხოვნის დასაბალანსებლად, ალ. გეგეჭკორისა და

[14] ნ. მარის წინააღმდეგობრივი მიდგომების შესახებ ვრცლად იხ. [17]

[15]ციტატას ვიმოწმებთ წიგნიდან: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 183.

[16] გაზეთი კომუნისტი, 1923 წ. 3 ივლისი.

[17] ალ. გეგეჭკორი გარდაიცვალა 1928 წელს.

[18]ალ. გეგეჭკორისა და ლ. ბერიას წერილები იხ.: [18].

ლავრენტი ბერიას აქტიურობით, ამიერკავკასიის ცაკ-მა 1924 წლის 27 თებერვალს მიიღო განსხვავებული შინაარსის დეკრეტი: "რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის, მოსახლეობის უმრავლესობის და ნაციონალური ენის გამოყენების შესახებ". ამ დეკრეტის ბაზაზე სრულიად საქართველოს ცაკ-მა 1924 წლის 4 აპრილს მიიღო დეკლარაცია, რომლითაც გამოირიცხა მეგრული ენის საქმისწარმოების ენად გამოცხადება. საყურადღებო ფაქტი:

მომდევნო დღეს, 1925 წლის 5-9 აპრილს, საქართველოს საბჭოების III ყრილობაზე, **ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი ბ. შოგირაძე** ყრილობას მეგრულად მიესალმა (მისი გამოსვლა სალიტერატურო ქართულით გადმოსცა ვინმე თოდრიამ). იგივე შოგირაძე დისკუსიის დროს რუსულ ენაზე გამოვიდა (და არა - ქართულად!) [16, 152]. ამავე ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა **ამიერკავკასიის ცკ-ის წევრმა ბიმურზა აფრასიძემ** ყრილობას მიმართა სვანური მეტყველების ბალსქვემოურ დიალექტზე. 1925 წელს სვანურად სიტყვით წარმომთქმელი ბიმურზა აფრასიძე არის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, ბიმურზა აფრასიძის (დადეშქელიანის) ბაბუა. ჩვენთან საუბარში ბატონმა ბიმურზამ თქვა:

"ბაბუაჩემი ბრწყინვალედ ფლობდა დედაენას – ქართულ ენას. ბაბუჩემთან ხშირად იყო სტუმრად ამიერკავკასიის ცაკ-ის თავმჯდომარე **ფილიპე მახარაძე;** შესაბამისად, ალბათ, ყრილობაზე მისი დავალებით გამოვიდა სვანურად". ბ. აფრასიძე-დადეშქელიანმა, ასევე, გვითხრა: "ამიერკავკასიის ცაკ-ის წევრ ბიმურზა აფრასიძეს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელშიც 1930 წელს თავისი ახალგამოცემული წიგნი - "სვანური ზმნა" უნახავს ენათმეცნიერს ვარლამ თოფურიას".

შეგვიძლია ვთქვათ:

ერთი მხრივ, ისტორიული რეალობისა და, მეორე მხრივ, საბჭოთა იმპერიის ინტერესების ("გათიშე და იბატონე") შესაბამისად, 1922-24 წლებიდან **ბოლშევიკთა ადგილობრივ წრეებშიც** მეგრულთან მიმართებით გამოიკვეთა ორგვარიპოზიცია; კერძოდ:

1. საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – სამეგრელოს (ისტორიული ეგრისის, ოდიშის) მოსახლეობის ისტორიული გზის შესაბამისად, სამეგრელოში საქმისწარმოების, განათლებისა და პრესის ენად ქართული ენის შენარჩუნება (ლ. ბერია, ალ. გეგეჭკორი...);

2. "ნაციონალურ საკითხში" ი. სტალინის ხედვის შესაბამისად, მეგრული მეტყველების დამკვიდრება დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, **რომ მეორე მიდგომის მომხრენი არ წარმოადგენდნენ სამეგრელოს,** მათი იდეები არ ეფუძნებოდა სამეგრელოს ქართველობის ინტერესებსა და სურვილებს. ისინი იყვნენ არა სეპარატისტები, არამედ **საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკის ბრმა მიმდევრები,** რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამ გზაზე დადგომით უარს ამბობდნენ მათივე წინაპრების მიერ შექმნლ მრავალსაუკუნოვან სამწიგნობრო კულტურაზე. ამ ჯგუფს პირობითად ვუწოდებთ **სტალინელ კოლაბორაციონისტებს.**

სტალინელი კოლაბორაციონისტები, თავის მხრივ, ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ:

ა) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს შეერთებას რუსეთთან, ან ნაციონალური ავტონომიის გამოცხადებას 1922-1936 წლებში არსებული "ამიერკავკასიის

სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის" ფარგლებში; ასევე, **სამეგრელოში მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად** (ბუკონია-ბესელიას ჯგუფი, გრ. ახალაიას ჯგუფი და ბეგლარ ბერიას ჯგუფი[19]. ლავრენტი ბერია 1925 წელს ამ ჯგუფის ლიდერად ასახელებს **მიშო დადიანს.** ეს ჯგუფი "ჩხოუშიელი ავტონომისტების" სახელით არის ცნობილი [16, 135-144];

ბ) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს გამოცხადებას "ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის" ადმინისტრაციულ ოლქად და **მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად** (ისაკ ჟვანიას ჯგუფი).

ჩვენი გამოკვლევის კონტექსტში არსებითია ის, რომ **ორივე ჯგუფი ითხოვდა უმწერლობო მეგრული მეტყველების ქცევას სამწერლობო ენად და ქართულის ნაცვლად** (თუ პარალელურად) **მის დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად[20].** ცხადია, კრემლის მიერ ორივე ჯგუფი ხელოვნურად იყო შექმნილი. მათ შორის არსებული მცირე სხვაობა საერთო სცენარის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ; **სცენარი კი ასეთი იყო:** უფრო რადიკალური მოთხოვნის ფონზე ქართველობის შეგუება შედარებით კომპრომისულ ვარიანტზე. "სცენარისტების" ჩანაფიქრი ითვალისწინებდა იმასაც, რომ მეგრული ენის (და სამეგრელოს ავტონომიის) საკითხი ისეთ დონეზე ყოფილიყო აქტუალიზებული, რომ ჯანსაღი აზრის გამოსათქმელად ადგილი აღარ დარჩენილიყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გასული საუკუნის 20-იან წლებში დასახელებულ ორივე ჯგუფს ერთ კონტექსტში განიხილავდნენ როგორც ქართველი მოღვაწენი (თ. სახოკია, კ. გამსახურდია...), ისე ბოლშევიკ ხელისუფალთა ერთი ნაწილიც, კერძოდ, ალექსანდრე გეგეჭკორისა და ლავრენტი ბერიას ჯგუფი. ბოლშევიკთა ამ ნაწილის გამარჯვება არსებიტად განსაზღვრა არნ. ჩიქობავამ, არნ. ჩიქობავამ, რომელმაც, ნ. მარის (და სტალინის!) საპირისპიროდ[21], 1932 წელს წამოაყენა დებულება, რომ **მეგრული არ არის ცალკე ენა; მეგრული არის უმწერლობო ზანური ენის დიალექტი და რომ „ქართული ენა მეგრელი და**

---

[19] ბეგლარ ბერია, გალდავა, ნიკოლეიშვილი, შონია, ციმენტია... დასახელებული პირები 1923 წელს პარტიიდან გარიცხეს ავტონომიის მოთხოვნის გამო (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფურცელი 17 [16, 146-148].

[20] ეს მოთხოვნა დღესაც ისმის ხოლმე: ზოგი დღესაც თვლის, რომ სამეგრელოში ქართული ბევრს არ ესმის, ამიტომ სწავლა-განათლებისათვის აუცილებელია მეგრულენოვანი სკოლები; მეგრულენოვანი სკოლებისა და სამეგრელოს ადმინისტრაციული ოლქის მოთხოვნის კანონზომიერების მტკიცებას ისახავს მიზნად ჩვენ მიერ არაერთხელ ციტირებული წიგნი: ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, "მეგრული საკითხი", თბ., 2009 (იხ., მაგ. თავი V, "რა აწუხებს სამეგრელოს გლეხობას", გვ. 102-114). ამ ავტორებმაც არ იციან, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ენას აქვს ისეთი დიალექტები, რომელთა მფლობელებს არ ესმით სამწიგნობრო ენა, თუკი ეს ენა არ შეისწავლეს. ქართული სამწიგნობრო ენაც ბევრი სხვა კუთხის ქართველისათვის იქნება გაუგებარი, თუკი განათლებას არ მიიღებს – არ ისწავლის ისტორიულ სამწიგნობრო ენას და მხოლოდ კუთხური კილოს ფარგლებში დარჩება მისი ენობრივი მსოფლაღქმა. ვფიქრობთ, ამგვარი მოთხოვნა დღესაც სახიფათოა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისათვის, რამდენადაც მეგრული მეტყველების გადაქცევა საქმისწარმოებისა და მწიგნობრობის ენად ამ კილოს მფლობელთ გაუუცხოვებს მრავალსაუკუნოვან ისტორიულ დედაენას – ქართულ ენას და ენობრივ-კულტურულად დაანაწევრებს ქართველ ერს.

[21] მიგვაჩნია, რომ 1932 წელს ი. სტალინისა და თავისი კარიერის ზენიტში მყოფი ნ. მარის პრინციპული დებულებების საწინააღმდეგოდ წასვლა იყო არნ. ჩიქობავას დიდი გაბედულება; აქვე აღვნიშნავთ, რომ არნ. ჩიქობავა წინ ვერ აღუდგა ჩრდილო კავკასიელი ხალხების ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიმართულებით მოქმედ საბჭოთა იმპერიის გეგმას.

სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის".

შემდგომ პერიოდში არნ. ჩიქობავამ ეს თვალსაზრისი ასე განავითარა:

არნ. ჩიქობავა, 1938 წელი (ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. XII): **"ზანური (ჭანურ-მეგრული) მიჩნეულია ქართულის** (ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ენისა, რომლის გაგრძელებასაც ისტორიულად ცნობილი ქართული წარმოადგენს) **დიფერენციაციის შედეგად** (და არა დიფუზური ბგერების მქონე რაღაც X-მეტყველების დიფერენციაციის შედეგად)**; ამ ქართულს ჩამოყალიბებული სახით უკვე გააჩნდა ყველა ის ფონება, რაც მასში დღეს მოგვეპოვება (რ, ჰ და ს-ს გარდა).**

არნ. ჩიქობავა, 1952 წელი („ენათმეცნიერების შესავალი"): „ქართული სალიტერატურო ენა ყველა ქართველი ტომის მწიგნობრობის ენა იყო ისტორიულად და არის ამჟამადაც, ქართლელი და აჭარელი, კახელი და იმერელი, თუში და მეგრელი, ხევსური და აფხაზი, ფშაველი და სვანი, ინგილო და ლაზი... ამ ენაზე სწავლობს სკოლაში, ამ ენას იყენებს კულტურული წინსვლის იარაღად. ასეა ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს; ასე იყო ეს მრავალი საუკუნის მანძილზე: არც აფხაზებს, არც სვანებს, არც მეგრელებსა და არც ჭანებს (ლაზებს), სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ. მეფის მთავრობის ცდა (მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში) მეგრულად შემოეღო სწავლა სამეგრელოს სკოლებში და მით ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან განედევნა, მარცხით დამთავრდა: თუ **დედა-ენას** ასწავლიდნენ ქართველ ბავშვს სკოლაში, **ეს ენა ქართული იყო ყველა ქართველი ტომისათვის".**

აკადემიკოსი **არნოლდ ჩიქობავა** ხაზს უსვამდა ქართული ენის ერთიანობასა და მის მნიშვნელობას ქართველი ერისათვის. მისი მოსაზრებები შეჯამებულია ორ ამონარიდში, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში ენის როლზე მეტყველებს.

1958 წელი (გაზეთი „კომუნისტი"): არნოლდ ჩიქობავა ამბობდა, რომ ქართული სალიტერატურო ენა მთელი ქართველი ხალხის მიერ არის შექმნილი და ის მთელი ქართველობის კუთვნილებაა - იქნება ეს ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი. ფეოდალური დაქუცმაცების დროსაც კი მეგრელებსა და სვანებს სხვა სამწერლობო ენა არ ჰქონიათ. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი ეროვნული ენაა მთელი ქართველობისთვის. როგორც წარსულში, ისე ახლაც, საბჭოთა საქართველოში, სოციალისტურ ქართველ ერში შეხორცებულია ქართველობის განუყრელი ნაწილი: მეგრელი, ჭანი და სვანი, ისევე როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუში.

ჩიქობავა იმოწმებს დიდ ქართველ პედაგოგს, **იაკობ გოგებაშვილს**, რომელმაც „დედა-ენა" უწოდა იმ წიგნს, რომელსაც ყველა კუთხის ქართველი ბავშვი (სვანი, ფშაველი, მეგრელი, აჭარელი, ქართლელი, კახელი) იღებს ხელში, რათა დაეუფლოს ერთიან ნაციონალურ ქართულ ენას. იმ ენას, რომლითაც ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ შექმნეს ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები და რომელიც განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საბჭოთა დროის სახელოვანი ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედების წყალობით.

1969 წელი (გაზეთი „სამშობლო"): არნოლდ ჩიქობავას ეს მოსაზრება კიდევ უფრო ამყარებს მის პოზიციას: „კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი ერთია ყველა კილოკავზე მოლაპარაკეთათვის, ერთია ყველა კუთხის

ქართველთათვის. ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი. ეს ერთი სალიტერატურო ქართული ენა ქართველობის ეროვნული ენაა, სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა. ის საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენას წარმოადგენს“.

ჩემი მხრივ, დავძენ: წარმართობის დროს (ქრისტიანობამდე!) ქართველთა ერთიანი ღვთისმსახურების (ეროვნული) ენის არსებობას ცხადყოფს სვანეთში, ტაო-კლარჯეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სამეგრელოსა თუ ქართლ-კახეთში ჩაწერილი წარმართული **შელოცვების ენა;** მაგ., სვანეთში ჩაწერილი შელოცვების დიდი უმრავლესობის ენა არის არქაული სამწიგნობრო ენა (შეუძლებელია, სვანეთში ქრისტიანობის გავრცელებისა თუ სვანური კილოების ჩამოყელიბების შემდეგ შეესწავლათ წარმართული შელოცვები) [19].

სრული საფუძველი გვაქვს ყოველივე ზემოთქმული ასე შევაჯამოთ:

ი. სტალინის (და ნიკო მარის) თავდაპირველ "სოციოლინგვისტურ" "თეზისს", რომლის მიხედვითაც საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკა იგეგმებოდა 1913-1932 წლებში (და რომელიც ენობრივ-ეთნიკურად ანაწევრებდა ქართველ ერს), იმთავითვე შეეწინააღმდეგნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები (კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოკია...), ბოლშევიკთა ერთი ნაწილი და ქართველი ენათმეცნიერები: სილოვან ხუნდაძე, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია... თუმცა, მათ შორისაც შეინიშნებოდა გარკვეული სხვაობა; კერძოდ, **ალექსანდრე გეგეჭკორი და სილოვან ხუნდაძე უკომპრომისოდ დაუპირისპირდნენ ი. სტალინის მიდგომას,** რაც საბოლოო ჯამში მათი სრული იგნორირებით დასრულდა (შემთხვევითი დამთხვევა: ორივე გარდაიცვალა 1928 წელს) [20], [21].

იმხანად უფრო პრაგმატული აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, ვ. ბერიძის და სხვა ლინგვისტების **გარკვეულწილად კომპრომისული თვალსაზრისი;** კერძოდ, მათ არ გაიზიარეს იოსებ სტალინის (და გვიანდელი ნიკო მარის!) ე.წ. ოთხი ქართველური ენის თეორია და ხელი შეუშალეს სამეგრელოსა და სვანეთში ქართული ენის, როგორც ისტორიული დედაენის, ჩანაცვლებას ადგილობრივი კუთხური მეტყველებებით. ამ მიმართულებით ლიდერად ჩანს არნ. ჩიქობავა. ზოგადად თუ ვიტყვით, ი. სტალინის რეპრესიული რეჟიმის პირობებში ი. სტალინის ენობრივი პოლიტიკის უარყოფა ენათმეცნიერის მიერ **სამოქალაქო გმირობის** ტოლფასი იყო.

მაშინდელი რეალობის გათვალსწინებით, ფრიად ფასეულია, ასევე, მეგრულის სტატუსის შესახებ გამოთქმული ვუკოლ ბერიძისა და გიორგი ახვლედიანის **კომპრომისული** თვალსაზრისი: "**საზოგადოებრივ კულტურულ-ისტორიულად მეგრული დიალექტია,** საზოგადოებრივ-კულტურულად **მეგრელთა მშობლიური** სამრეწველო კულტურული **ენა** არის ქართული..." (ვ. ბერიძე); "ენის ფსიქოლოგია ქართულსა და მეგრულს ერთი და იგივე აქვთ; ეს ის არის, რომ აზროვნების იარაღი ჩვენთვის და მეგრელებისათვის ერთი და იგივე არის ძირითადად (გ. ახვლედიანი)[22].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა:

[22]დოკუმენტური მასალისათვის იხ.: [18].

ბოლშევიკების პერიოდშიც მეგრული "ენის" (და სამეგრელოს ავტონომიის) საკითხი წამოიჭრა არა სამეგრელოში, არამედ – რუსეთის იმპერიის ცენტრში, ამჯერად უკვე ი. სტალინის კონცეფციის მიხედვით. შესაბამისად, **უსაფუძვლოა ე.წ. მეგრულ "სეპარატიზმზე" საუბარი; უფრო ლოგიკურია, ვისაუბროთ კოლაბორაციონისტ პირებსა თუ მცირე ჯგუფებზე, რომელთა ანტიქართული მიმართულებით აქტიურობა პროვოცირებული იყო იმპერიული ცენტრიდან** (ასეთი სუბიექტები ყველა კუთხეში და ყველა დროში შეიძლება არსებობდნენ)[23].

ნაშრომის მოცემულ მონაკვეთში წარმოდგენილი მსჯელობა ასე შეიძლება შევაჯამოთ:

დაპყრობილ ტერიტორიებზე "გათიშე და იბატონეს" პრინციპით მოქმედი მეფის რუსეთი ცდილობდა, ქართველთა ერთი ნაწილისათვის (მეგრელების, სვანების, ლაზები-სათვის...) **ღვთისმსახურებისა** და განათლების ენად, მრავალსაუკუნოვანი ქართულის ნაცვლად, ჯერ კუთხური დიალექტი შეეთავაზებინა, შემდეგ კი რუსული ენა დაემკვიდ-რებინა. ცხადია, **ბოლშევიკებს ღვთისმსახურების ენა არ აინტერესებდათ,** თუმცა ქართველი ერის დასანაწევრებლად იგივე პოლიტიკა გააგრძელეს განათლებისა და კულ-ტურის სფეროში. ამ მიზნით შეეცადნენ, ქართული ენა შეეცვალათ, ერთი მხრივ, რუსულით (რევოლუციის ენით), მეორე მხრივ კი – ადგილობრივი დიალექტებით: ბოლშევიკებმა ქართველური დიალექტები "განუვითარებელ ენებად" – "უმწერლობო ენებად", მათი მფლობელები კი უკულტურო "ხალხებად" გამოაცხადეს; პარალელურად შეეცადნენ ახალი სალიტერატურო ენების შექმნით მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის მქონე ქართველების ამ ნაწილის "კულტურულ ხალხებად" ქცევას. ამ მიზნით 1922 წლიდანვე სამეგრელოში გააააქტიურეს რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც თავდაპირველად ი. სტალინის მხარდაჭერა ჰქონდათ. მათ დაუპირისპირდნენ საქართველოს (/სამეგრელოს) ღირსეული შვილები. დისკუსია მიმდინარეობდა 1922-1932 წლებში; გამოიკვეთა ორი ძირითადი მიდგომა:

1. ქართველთა ენობრივ-კულტურული დანაწევრების გზა: სამეგრელოში, ლაზეთსა და სვანეთში დაწყებით საფეხურზე, ქართული ენის ნაცვლად, ადგილობრივი "ენით" სწავლება; ადგილობრივი "ენით" გაზეთების გამოცემაც და საქმისწარმოებაც... საბოლოო ჯამში, საკუთარი ისტორიული სამწიგნობრო კულტურის გაუცხოება ქართველთა დიდი ნაწილისათვის;

2. ქართველთა ისტორიული ენობრივი ერთიანობის შენარჩუნების გზა: ტრადიციის შესაბამისად, სამეგრელოს (სვანეთის, ლაზეთის) სკოლების დაწყებით საფეხურზეც ქართული ენით სწავლება და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი დიალექტების გამოყენება დამხმარე საშუალებად; მთლიანობაში, ისტორიული სამწიგნობრო კულტურის დაცვით ქართველი ერის ერთიანობის შენარჩუნება.

ათწლიანი ფართომასშტაბიანი დისკუსია დასრულდა 1932-33 წლებში არნ. ჩიქობავასა და სხვა ენათმეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული დასკვნით: ენათმეცნიერები, ლ. ბერიას

[23] მეფის რუსეთის დროინდელ პროცესზე, ასევე, სტ. გაგუას, ბ. დადიანისა და გრ. ახალაიას ჯგუფების ქმედების შესახებ სწორი დასკვნა აქვთ გაკეთებული ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილს: "1922 წელს ს. ორჯონიკიძე ამბობს: "პოლიტიკა იქმნება არა აქ და არა – ჩვენს მიერ, არამედ მოსკოვში; ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება, რომ "მეგრული საკითხიც" პრინციპში მოსკოვის დონეზე წყდებოდა" (ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 97); თუმცა, იგივე ავტორები ამართლებენ ისაკ ჟვანიას, მეტიც: ისაკ ჟვანიას "ეროვნული" მოღვაწეობის დასაბუთებას დასახელებული სქელტანიანი წიგნიც კი მიუძღვნეს.

მხარდაჭერით, არსებით საკითხში ი. სტალინს დაუპირისპირდნენ; კერძოდ, ნაშრომში საარქივო მასალებზე დაყრდნობით დეტალურადაა გაანალიზებული "მეგრულენოვანი" (ასევე, "სვანურენოვანი") სკოლების მიზანშეუწონლობის შესახებ 1933 წლის საქართველოს კომუნისტური მთავრობის შესაბამისი სტრუქტურის საგანგებო კომისიის დასკვნის მომზადების პროცესიც და არნ. ჩიქობავას კომპრომისული პოზიციის არსიც.

ქართველური იდიომების სტატუსის შესახებ დღესაც მიმდინარეობს დისკუსია, რომელიც, ფაქტობრივად, აგრძელებს გასული საუკუნის 30-იანი წლებში არსებულ თვალსაზრისებს; კერძოდ:

- რამდენადაც საერთაშორისო ფონდები დაინტერესებულნი არიან **საფრთხის ქვეშ მყოფი უმწიგნობრო ენების გადარჩენით,** გრანტების იოლი გზით მოპოვების მოსურნე **უცხოელი თუ ქართველი** მკვლევრები (თუ მოყვარული მკვლევრები), ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, დღესაც ცდილობენ, **"განუვითარებელ ენებად" თუ "უმწერლობო ენებად" გამოაცხადონ ქართველურ ზეპირ იდიომთა ერთი ნაწილი.** ისინი, ხელისუფლებას სთავაზობენ, უმწერლობო ქართველურ "ენებზეც" გავრცელდეს "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" დებულებები, რაც, საბოლოო ჯამში, დააკანონებს ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას (ვრცლად იხ. ქვემოთ).

- მეცნიერთა თუ ექსპერტთა მეორე ნაწილი სამართლიანად თვლის, რომ ქართველებს მრავალი საუკუნეა გვაქვს ერთი დედაენა - ქართული ენა, რომელიც, ამავე დროს, არის საქართველოს სახელმწიფო ენა. ამ ენის კუთხურ სახესხვაობებს წარმოადგენენ ზეპირი ქართველური იდიომები. რამდენადაც "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის" დებულებები არ ვრცელდება სახელმწიფო ენის სახესხვაობებზე, საქართველოს ხელისუფლებას აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, მოსალოდნელი საფრთხეებისაგან დაიცვას როგორც ქართული სამწიგნობრო ენა, ასევე, ქართველური დიალექტები.

საერთაშორისო აკადემიურ ველში ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საწინააღმდეგო იდეოლოგემის დასაბალანსებლად და საინფორმაციო ომში საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ჩემი აზრით, აუცილებელია:

1 განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით უცხოეთის წამყვან ბიბლიოთეკებს, უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებს მიეწოდოს ქართველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის აკადემიური თარგმანები და მომზადდეს ისეთი საერთაშორისო კონფერენციები, სადაც წარმოდგენილი იქნება თანამედროვე კვლევები.

2 საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს, ასევე, რუსთაველის ფონდისა და საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციონირების სტრატეგიის თვისობრივი გადასინჯვა, რამდენადაც, ეს სახელმწიფო სტრუქტურები, დღესაც, ინერციით გარკვეულწილად ორიენტირებულნი არიან სწორედ იმ სამი თუ ოთხი „უმწერლობო ქართველური ენის“ რუსულ იდეოლოგემაზე, რომელიც, საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის, ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას.

LINGUISTICS

Modern Challenges in Kartvelian Studies – I

Tariel Putkaradze
Georgian University named after Andrew the First-Called
Patriarchate of Georgia

Proceeding from the present-day reality, Linguistics of the Kartvelian Studies faces five essential challenges today:

1. To balance /context of self-defense in the information war/ contradictory (inadequate) ideologies against the linguo-ethnic unity of the Georgian nation in the international academic space;
2. To describe adequately the lingual situation in Georgia within the context of ratification of "The European Charter for Regional and Minority Languages";
3. To prevent ambiguity in correct state orientation by terminological diversion;
4. To enhance technologization of the Georgian language (accomplish automated bilingual translations);
5. To assure protection of the constitutional status of the state language of Georgia and conduct necessary measures in order to save Kartvelian oral speeches.

The presented article briefly deals with the first challenge.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ჯოზეფ ნაი, „რბილი ძალა - მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება", 2004 ; Prof. Dr. Joseph Nye, Soft Power: The Means to Success in World Politics, 2004.
2. ტ. ფუტკარაძე, 2002 და 2010 წლების საერთო-სახალხო აღწერები რუსეთში და ქართველთა იდენტობის საკითხები; ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 14-17 ივნისი, 2010;
1 https://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo.
3. ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართველთა ენობრივ-ეთნიკურია ღწერა "მსოფლიოს ენათა რეესტრის" (inguarium.iling-ran.ru) მიხედვით და არსებული სინამდვილე, საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი, 2009. წაკითხული ქნა მოხსენებად სამეცნიერო კონფერენციაზე: "საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა)", ბათუმი, 2008 წ. 14-15ნოემბერი.
2 http://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo
4. ტ. ფუტკარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობრო ენისა, 2006. The Origin of the Georgian Literary Language and its Prospects, Tbilisi, 2006; http://www.scribd.com/doc/11390384/The-Origin-of-the-Georgian-Literary-Language-and-its-Prospects
5. ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები, 2005, გვ. 624; ინგლ. ვერსია: გვ. 395-394; თურქ. ვერსია: გვ. 395-492;The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); English version pg. 395-492; Turkish version pg. 331-394; გამომცემლობა "ქუთაისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი"; Publishing house "Akaki Tsereteli State University";http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels;
6. ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის შესავალი, თბ., 2014.
7. ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, "ევროპული ქარტია რეგიონული ანუ უმცირესობის ენის შესახებ" დასაქართველო", ქუთაისი, 2010; T. Putkaradze, E.Dadiani, R. Serozia "European Charter for Regional or Minority Languages" and Georgia", Kutaisi, 2010; http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Seroozia-2010
8. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, უწმინდესი გრიგოლის განკარგულების საფუძველზე შექმნილი კომისიის დადგენილება მეგრულ კილოზე ლოცვათა თარგმანის მიზანშეწონილობის შესახებ (1895), /რუსულიდან თარგმნეს თ. გვანცელაძემ და მ. ტაბიძემ/, ქართველური მემკვიდრეობა, XIV, ქუთაისი, 2010, გვ. 204-235;
9. თ. გვანცელაძე, მ. ნაჭყებია, მ. ტანიძე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული: "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა" თბ., 2006; გრიგოლ დადიანის შესახებ იხ.ასევე: https://www.youtube.com/watch?v=pJ2e0ZvmFw8
10. თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც რუსული იმპერიული პოლიტიკის განხორციელების საშუალება საქართველოში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, გვ. 89-116;
11. მ. ტაბიძე, ენობრივი პოლიტიკის საკითხები ქართულ სინამდვილეში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2002, გვ. 155-165;
12. თედო ჟორდანია, ქართული ენისათვის ბრძოლა 1882-1910 წლებში და ვინ დაიცვა ქართული ენა სამეგრელოს სამრევლო შკოლებში? (ანტიკრიტიკა პასუხად ბ.ი. ფანცხავას და მის კამპანიას); ქუთაისი, 1913. გვ. 15-17. სტამბა "ძმობა".
13. თედო სახოკია, თქვენ ვისღა მისდევთ?! თბ., 1927; დოკუმენტი იხ.:
3 https://www.scribd.com/document/24443368/Putkaradze-Saqartvelos-Mokle-Istoria.
14. სერგო ვარდოსანიძე, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები); თბ. 2010 გვ. 72-73.
15. წმიდა ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, თბ., 2017, გვ. 157-163
4 ს. კაკაბაძე, ქართველი ხალის ისტორია, 1783-1921, თბ., 1997, გვ. 205
16. ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, "მეგრული საკითხი", თბ., 2009, გვ. 101;
17. ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა; თბ., 2011.
18. ტ. ფუტკარაძე, მ. თედორაძე, დისკუსია მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ XX საუკუნის 20-30-იან წლებში /თანამედროვე კონტექსტით/; "ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები", ტომი VI, თბ., 2017
19. ტ.ფუტკარაძე, ე.დადიანი, ნ.ნაკანი, რ.ხაჭაპურიძე, შელოცვების ენა ქართველური დიალექტების მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001; წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო სიმპოზიუმზე: ქუთაისური საუბრები, VII, 3-5 მაისი, 2000 წ., გვ. 63-66; სიმპოზიუმის თემა: ღვთისმსახურება - ენობრივი და კულტურულია სპექტები.
20. ტ. ფუტკარაძე, სილოვან ხუნდაძისა და აკაკი შანიძის პოლემიკა ქართველური ენობრივი ერთეულების კვალიფიკაციის შესახებ; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იოსებ ოცხელის სახელობის N2 საჯარო სკოლის ერთობლივი

სამეცნიერო კონფერენცია, მიეძღვნა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, პირველი ქართული გიმნაზიის /იოსებ ოცხელის სახელობის N2 საჯარო სკოლის/ ერთ-ერთი დამფუძნებლის – სილოვან ხუნდაძის დაბადებიდან 156-ე წლისთავს. ქუთაისი, 16 აპრილი, 2016 წ.;

21. ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, სილოვან ხუნდაძის „ქართულ გრამატიკაში“ შეტანილი მეგრულ-სვანური მასალის შესახებ ქართველური მემკვიდრეობა, XX, 2016.
22. ტ. ფუტკარაძე, ღვთისმსახურების ენა "ყოველთა ქართველთა" ერთიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი (სამწიგნობრო ენისა და დიალექტთა მიმართების საკითხისათვის" , ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001, გვ. 227-241;
23. თ. გვანცელაძე, ენა და კილო ქართველოლოგიაში, თბ., 2006.

ზმნისწინთა მონაცვლეობა და დამატებითი ფუნქციები მარადიდის მკვიდრთა მეტყველებაში

ნათელა ფარტენაძე
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზმნისწინისა და ზმნის ფუძის ურთიერთშეხამების საკითხი ქართულ ენაში ერთ-ერთი საინტერესო და ამავდროულად პრობლემურიცაა. ცნობილია, რომ ზმნისწინისა და ზმნური ფუძის კომბინაცია არაერთგვაროვანია სხვადსხვა ზმნასთან. მათ შეხამებას, ერთი მხრივ, ზმნური ფუძისა და, მეორე მხრივ, ზმნისწინის სემანტიკა განსაზღვრავს. არაა ახსნილი, რატომ იგუებს ერთი ზმნური ფუძე ამა თუ იმ ზმნისწინს და მეორე - სხვას. ჩვეულებრივ, ზმნისწინი ზმნის მნიშვნელობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამა თუ იმ ზმნისწინის სხვა ზმნისწინით შეცვლა (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება შენაცვლებული ზმნისწინის მიერ ზმნისათვის ძირითადი მნიშვნელობის შეცვლა) შეუძლებელია, მაგრამ დიალექტებში ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივი მოვლენაა და არც თუ ისე იშვიათი. ცხადია, ჩვენ ვსაუბრობთ ისეთ ფორმებზე, როცა ზმნისწინი დაცლილია გეზისა და ორიენტაციის ფუნქციისაგან, თუმცა ამგვარ შემთხვევებშიც შეიძლება ვილაპარაკოთ, პირობითად, რაღაც ხარისხით ორიენტაციის გამოხატვაზეც.

ამა თუ იმ ზმნის ფუძესთან შეწყობილ ზმნისწინთა რაოდენობა არ არის ერთგვაროვანი. ზოგი ზმნური ფუძე იგუებს მხოლოდ ერთ ზმნისწინს, ზოგი - ორს, ზოგი - სამს და ა. შ. ეს მონაცემები შეიძლება იცვლებოდეს: ,,დროთა განმავლობაში ხდება ზმნისწინთა მიერ დამატებითი ფუნქციების შეძენა: ამ მხრივ მო-, შე- და წა- ზმნისწინთა ვითარებაა საგულისხმო. ზეპირმეტყველებაში (რაც სამწერლობო ენაშიც აისახება) სიცოტავე - სიმცირის ფუნქციით მათი გამოყენება თანდათან ფართოდ ვრცელდება“ (,,ახალი ქართული ენა, II, 45-46).

ზმნისწინთა შენაცვლებას უნდა იწვევდეს ფუნქციათა ერთიანობა. ზოგჯერ ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება რამდენიმე ზმნისწინით გადმოიცეს; ამას გარდა შეიძლება ერთ რომელიმე მიმართულებაზე ორი განსხვავებული ზმნისწინი მიუთითებდეს. ერთი სიტყვით, გარკვეულ სიტუაციაში ზმნისწინები ერთმანეთის მაგივრობას ეწევიან, თუ როგორ და რამდენად სრულყოფილად, ამას მარადიდული ჩანაწერების მიხედვით განვიხილავთ.

ნაშრომში საანალიზოდ გამოყენებულია ექსპედიციის დროს ზემო და ქვემო მარადიდის სოფლებში ჩაწერილი მასალა, რომელიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული, ასევე, კლარჯული კილოს მასალებიც (კლარჯეთი, 2016:701-1083).

მარადიდელთა მეტყველებაში ზმნისწინთა მონაცვლეობა არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თუმცა დასტურდება – საინტერესო შემთხვევები. კერძოდ: **შე-** ზმნისწინი **მი-** ზმნისწინის ნაცვლად:

მი:შე: ერთი ძროხა შვიდი ვინცხას **შე-ეტოლები** და დაკლიან, მოქცემენ, გაანაწილებენ; აირანი **შე-წოდე** (მი-აწოდე).მიდი, ახლოÁდან **შე-წოდე...** მსგავს ფორმებში აშკარად ფუნქციათა ერთიანობასთან გვაქვს საქმე, რადგან მი-, შე- ზმნისწინები იქით მიმართულ მოქმედებას მიუთითებს.

ზოგჯერ გა- ზმნისწინი ენაცვლება შე- ზმნისწინს როგორც ზმნებში, ისე ნაზმნარ სახელებში:

შე:გა: გა–ვპირდი ჩევდენა იქა, ვუშველო; ჩემი ძმა **გა-წუხებული**ა ეს თვე; არ **გა-აწუხოს**, კარი მიაძრევია; არ **გა–წუხდე**, მოვალ, დეგეხმარები–მეთქი; თურქებ **გუ–უწუხებია**; არ ვარ **გა–წუხული...**

საინტერესოა **მო:და-** ზმნისწინთა მონაცვლება: ზამთრისთვინ **და-ვამარაგეთ;** ყველამფერი ჰაზირობა შეÁნახვენ, აბა... ტონტურიში დადეფ, სიმინდი სერენში შეÁნახ. ყველამფერი გააკეთავ, ჰაზირობა იქავ, **დე-იმარაგეფ;** რატონ **და-მატყვილე**, გო, შენი ბაღანა ვიყავ?; სიცოცხლეში **დე-მენატრენ** ბაღნები; ლენინმა **და-ატყვილა** იქაური ხალხი, შენი თავი გვინდაო; თქვენი ქილისე იქეთაა, აქეთ არააო, **და-ატყვილენ...** მოცემულ ფორმებში, მართალია, მო- ზმნისწინი ჩანაცვლებულია და- ზმნისწინით, მაგრამ ეს მონაცვლეობა შეიძლება გარკვეულწილად განაპირობა ინტენციობის შინაარსის ელემენტის შეტანამ, რადგან აღნიშნული მოქმედება ერთ საგანზე არ ვრცელდება.

გა:ჩა: მალე **ჩა-ჩუმდენ** ისნები; ათი წელი **ჩა-ჩუმებული** ვიყავ, მერე ვთქვი... ასეთ ფორმებს შეიძლება სხვაგვარი ახსნა მოვუნახოთ, **ჩაჩუმდნენ** - დროებით, არა სამუდამოდ, თუმცა ეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში.

შე:და: ჩემი ბიძაშვილი წყალში ჩავარდა, **და-შინდა,** ღამეში ადგებოდა, კედელზე გადიოდა; მე ჯაიღ ვიყავ, რამ არ ვიცოდი, იმსოÁ**და-მაწავლა** ყველამფერი. დედამა არ **და-აწავლიდა,** ისე **და-მაწავლა** შილმა... ეს უკანასკნელი ფორმები სალიტერატურო ქართულში გვხვდება ან უზმნისწინოდ, ან შე- ზმნისწინიანი ფორმით. ასევე უზმნისწინო ფორმას ენაცვლება გა- ზმნისწინიანი: ჩვენ **გა-ვკითხავთ,** ხელნაწერი გაქვა, კაჲ ხარ; დალაპარიკნა დეჲწყებენ, **გა-კითხავ,** იმის პასუხი გააგძელებენ. წმინდათ ილაპარიკებენ მაჭახლელები...

ა:შე: რატუმ **შე-ჩქარდი;** ნუ **შე-ჩქარდები**, რას შიჭამთ, რა მეგენდომებიან; მაყარი არ **შე-ჩქარდებოდა**...

და:მო (>მე): **მე-ვღალე** იშტე...; მაშინ ერთი კაÁ გამოვცხე, **მო-მღალა**, **მო-მღალა,** მეტი **მო-მღალა;** ისინი გურჯი არიან, ყური **მო-მიგდე**; თუ არაა, ვერ შეჭამ, **მოგარჩობს;** [მენავეებს] ხალხი მიყავდენ, ყაზიჲაღი, მარილი; **მო-ჭვირთავდენ,** წამოვდოდენ... ეს უკანასკნელი ფორმა შეიძლება **და-ტვირთა'** და **მო-იტანას'** კონტამინაციად მივიჩნიოთ.

მო:გა (>გე): ორასი მანათი მუუცემია ქაზიმასთინ, რომ **გე-Áხმარეთო** (კლარჯ., 937); აქ თურქი მაგას არ **გე–იკითხავს** (იქვე, 938)...

ჩა:და: ბაბამ ცეცხლი **და-აქრობია** (კლარჯ., 939)...

წა:ჩა: ჩალიღერში **ჩუ-უკიდე** და დავწვი...

და:წა: **წე-ვჭედებოდით** თხილი გაფენილში...

და:გა: ძროხა **გე-ეჩვია** (გა-ეჩვია) სიმინდი ჭამას; დილას ჭამაზე **გა-ჩვევლია;** წუხელ **გა-სველდით,** გო?; **გა-მსუბუქდა; გა-გაწყნარო; გე-ისვენო...**

და:შე: ჰამა ჭადიქვეშ **შე-ემწყრია** მან (კლარჯ., 929)...

ამ უკანასკნელ ფორმებში ზმნისწინთა მონაცვლეობა კერძოობითი ხასიათისაა და უნდა იწვევდეს ფუნქციათა სიახლოვე.

მარადიდელთა მეტყველებაში დადასტურდა ისეთი ზმნური ფორმები, სადაც ერთმანეთს ენაცვლება მი– და მო– ზმნისწინები. მართალია, ზოგჯერ ის თავისი ძირითადი, პირვანდელი მნიშვნელობით არის გამოყენებული, მაგრამ მათ გვერდით გვხვდება საპირისპირო ფორმებშიც. როგორიცაა, ერთი მხრივ, **მი–მიპარა, მი–მიტაცა, მი-მიკტა...**

აქ ერთი წრევლს ტაÁაÁ**მი-მიკტა** და ჩემი თეიზეს შვილები ამოვდენ თეელი; მე ექსი ბაღანა მყავდა და ერთი ამ ბარაქჩი ყაზა იქნა და **მი-მიკტა** ერთი შვილი, მეზელუღი იგზეა; **მი-მიკტა** კაცი ამდონი წელი; მალე მიხვალ **მი-გირჩება,** თუ არ მიხვალ **მი-გიკტება** (შელოცვა)...

მაგრამ: ხვალ და ზეგ ინშალლა რამე ზარალი არ **მიმივლენ'და;** ვერ **მი-ვაფერე,** არ იქნა; არ ვიცი, ჩემი თავი ნიშნენ. **მი-მიტანენ,** გამაშინჯია შილმა მოვდა. **მი-მიტანენ** ორი თანე ლირა, ერთი ბეშლი, ერთი იუზუღი (სამაჯური) **მი-მიტანენ;** ახლა ლამაზი თეელი გითხარევით, ხვალ და ზეგ ინშალლა რამე ზარალი არ **მი-მივლენ'და;** მოვდა ერთი ჰაჯი, **მი-ეწონა** ცხენი; დეიწყო კაცმა ჭამა, არ **მი-ეწონა...**

რაც შეეხება ზმნისწინთა დამატებით ფუნქციებს, უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი ნიუანსების გამოხატვა ყველა ზმნისწინს არ შეუძლია, ის მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის სპეციფიკური ნიშან – თვისება შეიძლება იყოს.

ზმნისწინის დამატებით ფუნქციებს ასპექტის კატეგორიასთან კავშირში განიხილავენ. ზ. ჭუმბურიძე ზმნისწინის მიერ ასპექტის წარმოების მრავალფეროვნებას იმით ხსნის, რომ ზმნისწინს რამდენიმე ფუნქცია აკისრია და ერთბაშად ყველას შესრულება უძნელდება. ამიტომ წინა პლანზე დგას ხან ერთი, ხან მეორე ფუნქცია, დანარჩენი კი იჩრდილება. მეორე მხრივ, ასპექტის გამოხატვის ზოგი თავისებურება დამოკიდებულია ზმნათა შინაარსზეც, რომელიც ყოველთვის ვერ იგუებს ასპექტის გაგებას. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ძალაშია ძველი სისტემის ნაშთიც (ჭუმბურიძე, 1967:57).

ბ. ჯორბენაძის აზრით, ,,ასპექტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვინემ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი. ასპექტი გულისხმობს არა მარტო მოქმედების დასრულება–დაუსრულებლობას, არამედ ერთგზისობა–მრავალგზისობას, წყვეტილებრივ–განგრძობითობას. ასპექტის სრული სახის დამატებითი სემანტიკური მახასიათებლებია: ოდნაობა, უნებლიობა, მოჩვენებითობა, ფინალობა, ზღვრულობა, არაზღვრულობა, მოქმედების დაწყებითობა–ინხოატივი და ა. შ. (ჯორბენაძე, 1989: 259).

ამდენად, ზმნისწინის დამატებითი ნიუანსები სრული ასპექტის გამოხატვას უკავშირ-დება. ყველა ის ზმნური ფორმა, რომელიც რაღაც სპეციფიკურ შინაარსს შეიცავს და დამატებითი ნიუანსები გააჩნია, უპირველეს ყოვლისა, სრული ასპექტისაა.

მოქმედების ოდნაობაზე ძირითადად მიგვითითებს წა–, წამო– ზმნისწინები:

წა–ავლეფ თოკზე ხელს; დილაზე სახლს **წა–გავს**; **წა–ბურე** ; თავი **წა–ხსენი**; ხელი **წა–კრა;** კარზე **წა–მოდვა**; **წა–თლიმა;** ერთ არ **წამო–ქხედავ**...

ამავე ფუნქციას ასრულებს მო- და შე- ზმნისწინებიც:

ისი დავდეფ, პაწაÁ**მო-თფება,** მაÁა მაქვა შრატისა. ეივსება, **მო–ვშუშავთ**, მერე **მო–ვხრისავთ** და ჩავტენავთ; ჩემ დედემა ყველა იერზე წყალ **მა-აშხაპებდა**; **მო–სვა; მო–წვა; მო–ვღალე; მო–ვწორდი**...

არ **შე–გეხათროთ**, არიან აქ (კლარჯ., 939); დავხრესავთ და იმა შეში გობებში **შე–თბება** (იქვე, 941)...

ინტენსიობა, როგორც წესი, გადმოიცემა და– ზმნისწინით და ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც ხდება ცალ-ცალკე: კიტრ **და-ვთოფავთ**; პური მარცვალ გარცხა და ისე **და-კაზმა**; აკვანები **და-ვარწევდით**, ვუმღერდით; გოგვები **და-ვათხვე;** დიდვანები **და–კტენ;** ამუმავალ ალაგას ნავი გატეხილა, ხალხი **და-ღუმპვილა,** იტყოდენ.

და–ასტავლე, და–ატყვილე, და–ღობე, და–ცრი, და–ტეხე, და–სივდა, და–აშრო...

და- ზმნისწინი გამოხატავს აგრეთვე გარდაქცევას, სხვა ვითარებას: ზამთარში შეინახდენ, **და-ფქვილდებოდა**...

ამრიგად, მარადიდელთა მეტყველებაში ზმნისწინთა მონაცვლეობა არ არის კანონზომიერი, რადგან ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მათ ახსნაც ვერ მოეძებნოს, მაგრამ ზოგადად ზმნისწინთა მონაცვლეობა ძალზე საინტერესო მოვლენაა, რადგან სხვადასხვა დიალექტში მსგავსი ფორმების გვერდით გვხვდება ბევრი განსხვავებული წარმოება, შესაბამისად, საინტერესო ფორმები. რაც შეეხება ზმნისწინთა დამატებით ფუნქციებს, მარადიდის მკვიდრთა მეტყველებაში გამოკვეთილია ოდნაობა და ინტენსიობა.

LINGUISTICS

Alternation and Additional Functions of a Preverb in the Speech of Maradidi Residents

Natela Phartenadze

BatumiShotaRustaveliState University

There is no regularity in the preverb alternation in the speech of Maradidi native speakers, as it can easily be explained in most cases. However, in general, the preverb alternation is quite an interesting phenomena, because in different dialects, similar forms can exist together with many other different derivatives and unfamiliar, interesting forms. As for the additional functions of the preverb, the speech of Maradidi residents is characterized by superficiality and intensity.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კლარჯ. – მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბილისი, 2016.
2. ახალი ქართული ენა, წიგნი II, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, ზმნა, გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით, თბ., 2016.
3. ჭუმბურიძე, 1967: - ჭუმბურიძე ზ., ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში, კრ. ,,ორიონი“, თბ.,
4. ჯორბენაძე, 1989: - ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ.,

აბუსერისძე ტბელის თხზულების ,,ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“ ენისათვის

მაია გარამიძე
გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბუსერისძე ტბელი XIII საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მწერალი და დიდი ფეოდალური ოჯახის წარმომადგენელია.

აბუსერისძე ტბელის კალამს ეკუთვნის სამი თხზულება: ,,გალობანი წმიდათა იოვანეთა“, ,,ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“ და ,,ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“, რომლებიც შესულია A85 ხელნაწერში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ. აღნიშნული ხელნაწერი ტბელ აბუსერისძის მიერ არის ნარედაქციევი.

,,ქრონიკონი“ პასქალურ-კალენდარული შრომაა, იგი დიდი ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. XVI საუკუნიდან მოყოლებული, არაერთი გადამწერი თუ მკვლევარი (სვიმონ კარგარეთელი, ნიკოლოზ ორბელიანი, მარი ბროსე, თ. ჟორდანია, თ. ბრეგაძე, კ. კეკელიძე, ი. სიხარულიძე...) ცდილობდა, ჩაღრმავებოდა ტექსტს (აბუსერისძე ტბელი, 1998:179).

ხელნაწერში თხზულებას უჭირავს 307v-338r გვერდები. შინაარსის მიხედვით ტექსტს ორ ნაწილად ყოფენ. პირველ ძირითად ნაწილში წარმოდგენილია 532-წლიანი პასქალური ციკლის ცხრილი და მასთან დაკავშირებული პასქალურ-კალენდარული საკითხები, მეორე ნაწილში კი - აღდგომის გამოსათვლელი კომპაქტური ცხრილი და მისი განმარტებითი ტექსტი. პირველი ცხრილი ტექსტში მოიხსენიება ,,სრული ქრონიკონის“ ან ,,დიდი ქრონიკონის“ სახელწოდებით, მეორე ცხრილი კი - ,,ასურული კჳკლოსის“ (,,კჳკლოსი ასურული მისითა განგებითა) სახელწოდებით (აბუსერისძე ტბელი, 1998:180).

ტექსტის გამომცემლებს თხზულებისთვის შემოაქვთ სათაური, რომელიც ზანდუკში არის მოყვანილი: ,,ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“. ,,რაც შეეხება თხზულების თავებს, აქ ფაქტობრივად ყველა თავი სინგურით ჩაწერილი სათაურით ან წარდგინება-სათაურით არის მოყვანილი. გამონაკლისს მხოლოდ პირველი თავი შეადგენს, რომელშიც წარმოდგენილია 532-წლიანი პასქალური ცხრილი“ (აბუსერისძე ტბელი, 1998: 214-215).

ცალკე შესწავლის ობიექტია ძეგლის ენა. აბუსერისძე ტბელის თხზულება ,,ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“ საინტერესო მასალას იძლევა სალიტერატურო ენის ისტორიის გასათვალისწინებლად.

1. ერთმანეთს ენაცვლება ზოგი სიტყვის **შეუკუმშავი** და **შეკუმშული** ფორმები: *და ოდესცა მეცამეტესა მთუარესა მოაქცევდენ თერთმეტეულისა დართვითა წელიწადისა*

გასასრულებელად 34,26 [24] *წელიწადის 42,7; და ოდესცა მეცამეტესა მთუარესა მოაქცევდენ თერთმეტეულისა დართვითა წელიწადისა გასასრულებელად 34,26; ჰასრევე იანვარისა ჰყრობაჲ დაგემართოს 38,15; 41,5; წინა დღესა დაათუალვენ მას თანავე შჳდეულად განსატევებელად 43, 5; ერთბამად შჳდეულად განუტევენ ნაცვალად დღისსაძიებლისა 40,24; 42,10;*

მაგრამ აქვეა: *უკუვარდების მთუარე და მერმე წელიწდისა გასასრულებლად 33,25; დაღაცათუ დასაბამად წელიწდისად დადგომაჲ სეკდენბერისაჲ დადებულ არს 39,14; უკუვარდების თუარე და მერმე წელიწდისა გასასრულებლად 33,25; ...რაოდენსაცა აპრილსა სცხრეს შჳდეულისა განსატევებლად 43,9.*

ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება ორივე - შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმა:

ჰაგ ზომი დღე არს მის წელიწდისა ზედნადები იანვარისა დაწყებითგან ვიდრე მეორედ იანვრადმდე 33,28-29.

განსხვავებულია ზოგჯერ გვიანდელი ხელნაწერების ჩვენება: *იგი არს ზედნადები მის წელიწდისაჲ 33,28 - წელიწადისა C.*

2. ა)**ათ’**-ის შემცველ რთულ რიცხვით სახელებში ზოგჯერ დაკარგულია თავკიდური **ა’:** *თჳნიერ ამისსათერთმეტი დღე დააკლდებოდეს 53,23; წელიწადი ერთი არს თორმეტი თუე 33.1; თუესა დღენი თერთმეტითა დღითა დაჰმეტდებიან თორმეტისა მთუარისა დღეთა 33,3; მთუარესა მოაქცევდენ თერთმეტეულისა დართვითა წელიწადისა გასასრულებელად 34,26; ყოველი მთუარე მეთხუთმეტისა დღისათა ჟამთა რაოდენთამე შემოიგდებს საცხრომელად...37,21; ...და მარტსა ოცდათერთმეტი 39,20; ...იგი ოცდათორმეტსა დღესა მიჰმატე 39,9.*

უმეტეს შემთხვევაში **ა’** ხმოვანი შენარჩუნებულია: *...გინა ათოთხმეტი, ანუ ოცდაერთი 36,32; ...ათორმეტი დღე დაურთე 48,27; წელთა უმეტესთა ვიპყრობდეთ და არა ათექუსმეტეთა 49,9; ...ბერძენთა სათუალავითა კჳკლოსი ათხუთმეტი დაჰმეტდების 49,7; მეათოთხმეტისა 39,6; …ჟამნი რაჲმე ამის მეათორმეტისა დღისა 53,19.*

მთლიანად დაკარგულია **ათ’:** *დაყოველნივე ცხრამეტეულად განუტევენ 44,23; ცხრამეტ წელ გააწევს, გინა ცხრამეტ სტიქონამდე 35,15;* შდრ.: *რომელი ათცხრამეტსა წელიწადსა შინა ერთ დღედ და ერთ ღამედ შეიქმნების 48,25.*

ბ) **-მდე’** თანდებულის წინ დაკარგულია ვითარებითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი: *იგი დღე არს გინა ერთი, გინა ორი, ვიდრე შჳდამდე 37,4; ...და მას წაღმა ვიდრე შაბათამდე 36,12; ...მარტისა ცხრომასა შიგან კჳრიამდე აპრილისა დღენიცა შემოვიდენ 36,25; ...გინა თხუთმეტსა შუა თურამეტამდე 37,30; და მერმე რაჲცაღა აღვსებამდე დღენი დარჩებოდნენ... 36,21; დაწყებამდე 41,26; გარდამავალამდე 40,22.* მაგრამ: *წელნი იპყრენ დასაბამითგანნი, ვიდრე წლეულადმდე... 48,9; ყოველნი დღენი შჳდეულად განუტევენ მად დღესასწაულადმდე 41,25; იანვრადმდე 38,29; შჳდადმდე, ჟამადმდე 44,21.*

გ)გამარტივებულია ზმნისწინები - დაკარგულია **აღ-’, გან’-, წარ’-** ზმნისწინთა ბოლოკიდური თანხმოვანი:

---

[24] მაგალითებს ვიმოწმებთ 1998 წლის გამოცემის მიხედვით: აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ. ბათუმი, 1998 წ.

...ანუ ცხრამეტი დაჰმეტდებოდეს თერთმეტეულად აკრებულთა დღეთა თანა 45,6; ათერთმეტეულებსა აჰკრებდი 50,5; აიხუმდი 40,28; აიჯოცოს 57,17; თორმეტნივე თუენი გასრულდენ დღეთა ოცდაათეულობასა შინა 33,16; ...ფებერვალსაცა შეჰმატნე ოცდაათად გამასრულებელნი 33,17; გადიდებაჲ 39,26; გააწევენ 47,12; გააწევდეს 36,31; ყოველნი დღენი სამსა წელიწადსა თჳთო დღესა წაიცვალებენ 40,35; ...შრანდელისა ზედანადებსაცა წამოსთულალვენ 43,30; წამკითხველი 32,15; წავა 45,17; 52,13; მაგრამ: *...შჳდეულად განსატევებელნი დღენი განმრავლდებოდენ 42,10; ...შექმნა მნათობნი განმყოფელად დღისა და ღამისა 46,21; განსლვისაჲ 32,12; განყოფითა 46,18; ...დღესა კჳრიაკესა ვნებისათვის აღვიდა და ჴსნისათჳს ჩუენისა 52,22; აღრაცხავს 44,8; აღფრენაჲ 56, 19; აღიყვანს 56,20; აღწერე 41,15; წარვალს, წარწყმდეს 57,17; ...ღმრთივ შუენიერად წარმოაჩინებს 47,23.*

ერთსა და იმავე წინადადებაში დასტურდება სხვადასხვა ფორმა: *მთუარე ოცდაცხრა დღედ და ნახევრად ვერა სრულებით განაწევს, დაღაცათუ ზემოჲთ გაწევნაჲ დავწერე 48,23-24.*

3. ა)**თს'** უკვე შერწყმულია **ც'** აფრიკატად: *...გარნა ცამეტურისა მინდობისა და სხუათაცა სათუალავთათჳს 43,13; მეცამეტე 52,11.* ასევე შერწყმულია **თშ':** *დიდი მცხრალი ცხოველსმყოფელისა ვნებისაჲ ჩჳდმეტისა დღისაჲ სცხრებისა... 37,24.*

,,ქრონიკონშიც" ძველი ქართულის მოსალოდნელი **შთა-** ზმნისწინის ნაცვლად გვხვდება **ჩა-: ***ზეპირ იგიჩაისწავლე 35,15; და მას ჩაუდეგ... 35,15;* შდრ.: თჳთოეულებამან შთამოჰყევ საყდრით... 56,13; ...სოფლის დასაბამითგანთა შთამოვსრულდეთ 52,5.

ბ)ძველი ქართულის ***თთუე*** ერთი თანხმოვნით არის წარმოდგენილი: *წელიწადი არს თორმეტი თუე 33,2; 40,4; 42,35.* ერთ შემთხვევაში ორი თანხმოვნითაა: *ნეშტი ერთისა თთჳსაჲ თთუე მეორისაჲ...56,26.*

ჲ-ს ხმარებაში მომხდარი ცვლილების გამო ერთმანეთს ენაცვლება ***რაჲზომი'*** და ***რაზომი':*** *დარაჲზომიცა შეიქნას... 38,11; რაჲზომიცა დღე მარტისაჲ სჭამო აღვსებითურთ...39,9; რაჲზომიცაღა 36,13; რაზომსაცა დღესასწაული მიხუდეს...42,13.*

ესრე//ესრეთ: *უკუეთუ ესრე მცირაჲ შეიქმნას... 36,30; 46,32; და ცხრამეტეულად ესრეთ განუტევებდით... 45,13; 51,30* - ამ ფორმაში **ჱ'**-ს ნაცვლად არის **ე'.**

გ)პარალელურად დასტურდება ***რაოდენი'*** და ***რავდენი':*** *რაოდენიცა დღე აპრილისაჲ იმარხო 39,6; და რავდენსა აპრილსა მთოვარე სცხრეს...51,15; ...რავდენ გინდა დიდნი აღებანი იყვნენ 52,12.*

დ) ერთმანეთს ენაცვლება ***მთოვარე//მთოარე*** და ***მთუარე:*** *უკუვარდების მთუარე 33,25; ყოველი მთუარე მეთხუთმეტისა დღისათა ჟამთა რაოდენთამე შემოიგდებს საცხრომელად 37,22; მაშინ თორმეტნი მთოარენი სამას ორმეოცთათოთხმეტნი დღენი მეთხუთმეტესაცა შეიძენენ 53,13; გარნა ვინაჲთგან ნაკი მთოარისა დღეთაცა შეემატების 53,8; და კუალად მოიძიე მოქცევაჲ მთოვარისაჲ 55,4.*

4. ირიბი ობიექტის ნიშნის ხმარებაში განსხვავებაა ადრინდელსა და გვიანდელ ხელნაწერებში: *იგიოცდათორმეტსა დღესა მიჰმატე (მიმატე C) 39,10; რაჲცა დაჰმეტდებოდის (დამეტდებოდის C) ოცდაათერთმეტეულსა 36,4.*

5. ახალი ქართულის ნორმის მიხედვით არის ნაწარმოები **-ოდ** სავრცობიანი ზმნების პირველი კავშირებითი - **-ე'** ნიშნით: *რაჲ ასად გახდებოდეს 46,1; მარტსა შინა თუ*

სცხრებოდეს 36,28; და რაჲ-ესე ყოველივე ზეპირ დაისწავლო და მიხუდებოდე ცხრომასა მთუარისასა 36,7.

ერთსა და იმავე წინადადებაში **-ოდ** სავრცობიანი ზმნები პირველ კავშირებითში განსხვავებულადაა წარმოდგენილი: *უკუეთუ ზეპირ დასწავლაჲ გეწყინებოდის (გეწყინებოდეს C) ამით შეიგებდი, ანუ ზეპირ დასწავლილი დაგვიწყდებოდეს ამით სათუალავითვე ჰპოვებდი 40,19.*

ძველი ქართულის ნორმით მოსალოდნელი **-ი'** მწკრივისა და **-ან'** პირის ნიშნების ნაცვლად გვაქვს **-ე'** მწკრივისა და **-ნ'** პირის ნიშანი:

მერმე რაჲცა დღენი დარჩებოდენ... 36,2. მოსალოდნელი იყო - **დარჩებოდ-ი-ან'.**

6. მეშველი ზმნა ***არს'*** შეკვეცილია, შეერთებულია მიმღეობასთან: *რომელი თავსა დაწყებულა 31,4; უწინარეს ამისსა ქცეულა 31,5;* შდრ.: იანვარისა დაწყებაჲ დადებულ არს წელიწდისა დასაბამად 39,17.

7. ნართაული **-ი'** უკვე ჩანს პირველი ბრძანებითის მეორე პირის მხოლობით რიცხვში: *დღესა დაურთევდი და მას განუტევებდი 35,35; ერთსა დღესა სხუასა დაურთევდი 39,8.*

ერთ შემთხვევაში ნართაული **-ი'** გვხვდება მეორე ბრძანებითში **-ენ'** ობიექტის რიცხვის ნიშნის შემდეგ: *გარდასრული თუენი ზედავე დაათუალენი 51,19.*

8. მონაცვლეა საარვისო ქცევის **ნულიანი** და **ა-'** ნიშნიანი ფორმები: *თუ ნაკი ჰქონდეს ...38,11 - საქებელი გაქუნდიენ 57,14.*

9. პარალელური წარმოება ხშირია მყოფადის გადმოსაცემად, ერთმანეთს ენაცვლება ზმნისწინიანი აწმყო და კავშირებითის მწკრივი.

ზმნისწინიანი აწმყო: *მცირანი დღენი იქნებიან და არა გაგისაჭიროვდების 38,1; იგიცა ცხრამეტეულად წავა 45,17; აპრილსა თურამეტსა წინა არ გავალს და მარტსა ოცდაერთსა შიგნით არ შემოვალს 35,18; მეათცხრამეტესა წელიწადსა ოცდაათეულად არცა რაჲ დააკლდების და არცა დაჰმეტდების 41,27; ამისსა მიზეზსა ქუემოჲთრე მოგითხრობ 37,18; არა შესცთებიან იმით სათუალავითა 34,29.*

მყოფადი გადმოცემულია კავშირებითის მწკრივით: *რაჲ არად გახდებოდეს 46,1; რაჲ ესე ყოველი ზეპირ დაისწავლო და კარგად მიხუდებოდე ცხრომასა მთუარისასა 36,4; რომელსაცა დღესა ხარებაჲ მიხუდეს, აპრილი მასვე დღესა დადგის 37,26.*

როგორც დამოწმებული მაგალითებით ჩანს, მყოფადის გადმოსაცემად ჭარბობს ზმნისწინიანი აწმყო.

10.ენიანი ვნებითის გვერდით გვხვდება **დონიანიც.** *თუ გეწადის, ესეცა იქმნების 40,19; იქი დაესრულების, სადა ჯუარი დამისუამს 32,8; შაბათსა ზედა დაესრულების 47,2; ოდესცა ფებერვალსა ნაკი შეემატოს, ერთ დღე მთუარეთაცა შეემატების 34,20-21; ერთი დღე ოცდამეცხრედ შეემატების 39,20.*

ამავე ზმნების ვნებითი **დ**ონითაც არის ნაწარმოები: *ვისცა დასწავლაჲ გწადდეს 51,33; ...რაჲ დასრულდეს 31,4; რაჲ ესეცა დასრულდის 32,3; ესე ოცდარვეული ცხრამეტჯერ დასრულდების 47,10; ...არცა რაჲ დააკლდების და არცა დაჰმეტდების 34,7.*

11.ძველ ქართულში ჩვეულებრივ **არა'** ნაწილაკია, ,,ქრონიკონში" **არა'** ფორმის პარალელურად ხშირია ხმოვანმოკვეცილი **არ'.** დავიმოწმებთ მხოლოდ **არ'** ნაწილაკიან რამდენიმე წინადადებას:

მას წელიწადსა ხარებასა დართვა არ უნდა...41,29; არ ეგების ესრე 37,6; ამას არ დასცილდების 36,20.

ასეთი მაგალითი ბევრია. ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება ორივე ფორმა: *უკეთუ არა მოაქცევ... და მისსა დანამეტებსა არ იპყრობ 33,33.*

12. ცნობილია, რომ ძველ ქართულში **სურვილის', ნდომის'** გამომხატველ ზმნებთან საწყისი გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში (იმნაშვილი, 1957:179). ,,ქრონიკონში" ასეთ ზმნასთან საწყისი ნათესაობითშიც და სახელობითშიც დგას; ჭარბობს სახელობითი:

უკუეთუ გინდეს ცნობის 57,1; შდრ.: *უკუეთუ პირმარხვაჲ გინდეს 38,14; უკუეთუ... შემოწმებაჲცა გინდეს 49,1; უკუეთუ ვისმე ამისი ზეპირ დასწავლაჲ გენებოს 35,12.*

13. ხელნაწერებში ერთმანეთს ენაცვლება **არს'** და **არის':**

ესე ხუთას ოცდათორმეტი წელიწადი არს (არის B) ერთისა ქრონიკონისაჲ 31,3.

დამოწმებული შემთხვევები პარალელური ფორმების ხმარებისა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაზე ცოცხალი მეტყველების გავლენის შედეგია.

ამგვარად, ძეგლი ძირითადად ძველი, კლასიკური ქართული ენის ნორმებს მისდევს, მაგრამ მასში მეტ-ნაკლებად ასახულია ის ცვლილებებიც, რომლებიც იმ პერიოდის სალიტერატურო ქართულში ხდებოდა. ამდენად თხზულებაში მრავლადაა პარალელური ფორმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბუსერისძე ტბელი, 1998: აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ. ბათუმი.
2. იმნაიშვილი, 1957: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

LINGUISTICS

On the language of Abuserisdze Tbeli's work „Chronicon"

Maia Baramidze

BatumiShotaRustaveliState University

„Chronicon", the literary work by Abuserisdze Tbeli whowas a public figure in XIII century, follows basically the old classic Georgian language norms.The changes that took place at that time in the literary Georgian language are almost reflected in it. Hence, there are a lot of parallel forms in this literary work. The use of parallel forms is the result of the effect made by oral speech on the old literary Georgian language.

ერთგვაროვანი გრამატიკული პროცესები ქართველურ ენათა კილოებში

ომარ მემიშიში
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველურ ენათა დიალექტების არეალოგიური შესწავლა გულისხმობს იმ ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკური ტენდენციების გამოვლენას, რომლებიც საერთოა ამა თუ იმ რეგიონში გავრცელებული დიალექტებისათვის.

სხვადასხვა დიალექტში იდენტური ენობრივი მოვლენები შედეგია დიალექტების, ურთიერთზეგავლენის და სხვადასხვა დიალექტში ურთიერთდამოუკიდებლივ წარმოქმნილ მოვლენებთან.

არეალოგიური თვალსაზრისით დიალექტები ნაწილდება იდენტური ენობრივი ტენდენციებისა და სხვა მონათესავე ან არამონათესავე-უნებთან კონტაქტების შედეგების თვალსაზრისით.

ქართველურ ენათა დიალექტებში თავს იჩენს მოვლენები, რომლებიც საერთო ქართველურია, ნიშანდობლივია დიალექტთა ამა თუ იმ წრისათვის ან სპეციფიკურია ამა თუ იმ დიალექტისათვის.

ქართული ენის სამხრულ-დასავლურ კილოთა რიგი თავისებურებებისა მეგრულ-ლაზურთან და სვანურთან ხანგრძლივი კონტაქტის შედეგადაა წარმოქმნილი.

ლაზურის მიმართება ქართული ენის სამხრეთის კილოებთან ლინგვისტური თვალსაზრისით ერთნაირ და განსხვავებულ მოდელებს გვიჩვენებს. ი. ყიფშიძე ჩხალის ხეობაში ჩამოთვლის რვა ლაზურ სოფელს: კოსტანეთი, დაკვარა, მაქრეთი, ბაშქოი, მჭათი, მამანათი, დუზქოი, პანჭურეთი (ყიფშიძე, 1994:631).

ცხადია, მომიჯნავე ქართული ენის კილოებთან ხანგრძლივი კონტაქტების შედეგად, ხელშესახებია ურთიერთზეგავლენის ფაქტები ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და ლექსიკაში.

ლაზურში თუ ზმნა გარდამავალია, ობიექტი მას ყველა დროში სახელობითში ექნება, ასევე გარდაუვალ ორპირიან ზმნასთან ობიექტი ყველა დროში მიცემითში იქნება. გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ყოველთვის სახელობითშია, გარდამავალი ზმნისა კი – ყოველთვის მოთხრობითშია. ობიექტი სახელობითში და სუბიექტი მოთხრობითში–ესაა ფორმულა გარდამავალი ზმნისა ჭანურში (ჩიქობავა, 2088:116).

კლარჯულში პირდაპირი დამატება ზმნის პირველი სერიის ფორმებთან სახელობითშია. ეს მოვლენა კლარჯულში მიჩნეულია მკვეთრად გამოხატულ თავისებურებად. მსგავსი მოვლენები სხვა დიალექტებშიც ფიქსირდება, მაგრამ არა ისე ხშირად.

კლარჯულში სახელობით ბრუნვაშია ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი სახელებით გადმოცემული პირდაპირი დამატება: წყალი ვასხავთ (ჯივანა), ფუჩეჩი ჰაყრი, გო!

(კირნათი), ჭადი არ ვაცხობ (თხილაზური), ღერღილი დააყრი (დევსქელი), ლაპარაკი ვერ არიგებენ (მურღული), ბაღჩიში მიცემენ გოგოს (მარადიდი), (კლარჯეთი, 2016:569).

ანალოგიური მდგომარეობაა ლაზურშიც, როცა სახელობით ბრუნვაშია პირდაპირი დამატება: მჭკიდი ჭუფს (ჭადი აცხობს), დაჩხერი ვოგზაფ (ცეცხლი ვანთებ), დიშკა კვათუფს (შეშა ჭრის). გÁარი იმხორს (საჭმელი ჭამს)“...

კლარჯულშივე ანალოგიური მდგომარეობაა, როცა პირდაპირი დამატება ხმოვანფუძიანია ან მრავლობით რიცხვშია: საჭმელები გააკეთებდენ (ჰამიდიე), ძროხები აძვებდნენ (ისკება), სიმინდეკბი ჭამენ (მარადიდი), ერბო მოვასხავთ (სირეთიე), თმა დავაჭრიდით (ჰამიდიე), (კლარჯეთი, 2016:570).

შეადარე ლაზური: გÁარეფე დიქიფან (საჭმელები გააკეთებენ), დიშქაფე დოჩითუფან (შეშები დააპობენ). Áაღი ქომობაფან (კარაქი მოასხამენ), შუკა დოჭკირუფან (კიტრი დაჭრიან0, ჩხომი ჭოფუფან (თევზი იჭერენ), ქეთაბეფე იკითხუფან (წიგნები კითხულობენ).

კლარჯულში პირველი სერიის ფორმებთან პირდაპირი დამატება მიცემითის ნაცვლად სახელობითშია, ხოლო ქვემდებარე მოთხრობითშია: რუსები ჭამენ ღორი ხორცი (იბრიჯი), ჩვენი ჩაი მარადიდ ძროხებმა ძოვდნენ (კირნათი), ძაღლმა თაფლი ჭამს (მელანააზი) (კლარჯეთი,2016:570).

ლაზური: მთუთიქ თოფუი იმხორს (დათვმა თაფლი ჭამს), ჯოღორიქ ყვილი ხვატუფს (ძაღლმა ძვალი ხრავს), ლუღი ოხომინაფან (ლეღვი ახმობენ).

ტაოურ კილოშიც პირდაპირი დამატება პირველ სერიაში სახელობით ბრუნვაშია: ჩირი გაახმობენ (ჩვენ. 180), გოგო არ მომცეთ (იქვე, 174), თუთა გაახმობდეს, ფეხი გაახმობდეს (იქვე, 174) (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:186).

ანალოგიური მოდელები რეალიზდება ლაზურშიც: ღუღი ოხომინაფან (ლეღვი გახმობენ), ბიჭი ოჩილაფან (ბიჭი დააცოლებენ), ნისა მუყონუფან (რძალი მოიყვანენ).

მარადიდის მეტყველებაში რიგი თავისებურებებით ხასიათდება მესამე პირის **იგი** ნაცვალსახელი. ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას სხვა ბრუნვებში უპირისპირდება იმან, იმას, იმის, იმით და არა: მან, მას, მის... (ფარტენაძე, 2017:240).

იმან ბედიავა წევდა იქ (კლარჯეთი:939); იმას მისდევს ბითუმ ჩემი ძმა (936), იმის თვალი არ გეცეს (947), იმით მეიტან (941).

ლაზურში მესამე პირის ნაცვალსახელს ია (ხოფ), ჰეა (ვიწ.არქ.). ის, იგი ახასიათებს სუპლეტური ბრუნება: ემუქ „იმან“, ემუს „იმას“, ემუში „იმის“ ემუთენ „იმით“ და იდენტურია მარადიდის მეტყველების მოდელისა ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნებისას.

ემუქ მუღუ „იმან მოიტანა“, ემუს უღუნ „იმას აქვს“, ემუში დულÁა, „იმის საქმე“, „ემუთენ ვარ იჩოდენ“ იმით არ; თავდება.

უწყებული ნაცვალსახელები მრავლობითში წარმოდგენილია ორი ნიშნით: ისნები, იმნები. მსგავსი მოდელები დასტურდება ლაზურშიც: ენთეფე „ისნები, ისინი“, ამთეფე „ესნები“.

კლარჯულსა და ლაზურში იდენტური მოვლენები რეალიზდება, როცა კითხვითი ნაცვალსახელი **ვინ** დაირთავს მრავლობითის ნიშანს: ვინები მოგდევენ? (942), ვინები არიან აქ ნეტაÁ (937).

ლაზური: მიეფე მოხთეს „ვინები მოვიდნენ“, მიეფექ მუღეს „ვინებმა მოიტანეს“, მიეფეს გუწუღი... „ვინებს გამოართვი“...

მარადიდში რა ნაცვალსახელი მიცემითის ნაცვლად სახელობითის ფორმით დასტურდება: რა ლაპაიკობ (937), რა იჯებიან (930); შეადარე ლაზური: „მუ ზოპონ „რა ამბობ“, მე ღაღალაფ „რა ლაპარაკობ“.ლაზურში ჩვენებითი ნაცვალსახელები ია/ეა „ის“, ჰაÁა/აÁა „ეს“ ოდენ ხმოვნებითაა რეალიზებული: ე კოჩი „ი კაცი“, „აკოჩი“. ეს კაცი“. ანალოგიურია კლარჯულშიც. მეტადრე მარადიდის მეტყველებაში: ე ყურძენი უფრო ტკბილია (936), ი სოფელი ქედ-ქედ იქითაა (944).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისი მარადიდის მეტყველებაში მისი ნაცვალსახელით გადმოიცემა. ყველამ რომ მისი ყანა მან აწევს, მალე იქნება (938) კაცმა მისი არ აკეთებს (941). ანალოგიურია ლაზურშიც. კოჩიქ მუში იქიფს „კაცმა მის აკეთებს“, მთელიქ მუში დულÁა ყვას „ყველამ მისი საქმე გააკეთოს“.

თურქულის გავლენით სამხრეთის კილოებსა და ლაზურში უარყოფითი ნაცვალსახელების ნაცვლად გამოიყენება განსაზღვრულობითი ნაცვალსახელები: რა ამბავობაა ვინმემ (არავინ) არ იცის (942), ერთი ჭამა რამეს (არაფერს) გიზამს (943).

ლაზური: მითიქ მუთუ ვარ თქუ „ვინმემ (არა ვინ) არაფერი არ თქვა“, მუთუ ვარ გაღოდენ „რამე (არაფერი) არ მოგივა“.

ქართული ენის სამხრეთ-დასავლეთის კილოებში თვალში საცემია უკუმშველობა, როგორც მეგრულსა და ლაზურში.

აჭარულში, მეტწილად ქვემოაჭარულში თანხმოვან ფუძიანი სახელების ბრუნებისას გვხვდება უკუმშველობაც: ეკალის, წყალის, ძვალის, ქმარის, ხმალით, ქამარით... (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:49).

კლარჯული: წყალის, წყალები, ცხვარის, მგლები სოფელიდან, ყურძნის, მომეხები (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:230).

შავშური: ქმარად, ცხვარის, წყალები... (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017:116).

ამგვარად, ერთგვაროვანი გრამატიკული პროცესები ქართული ენის სამხრეთის კილოებსა და ლაზურში ხანგრძლივი კონტაქტების შედეგია, რომელიც გამოვლინდა ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და ლექსიკაში.

LINGUISTICS

Homogenous Grammatical Processes in the Sub-dialects of the Kartvelian Languages

O. Memishishi

BatumiShotaRustaveliState University

Relation of the Lazwith the southwestern sub-dialects of the Georgian language from the linguistics viewpoint reveals similar as well as different models.As a result of longtime contacts with the adjacent sub-dialects of the Georgian language, some facts of mutual interaction in phonetics, morphology and syntax are definitely tangible.

ლიტერატურა:

1. ყიფშიძე, 1994: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ..
2. ჩიქობავა, 2008:არნ. ჩიქობავა, შრომები, III, თბ..
3. კლარჯეთი, 2016: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბ.
4. ფარტენაძე, 2007:ნ. ფარტენაძე, სახელთა ბრუნების თავისებურებანი მარადიდის მკვიდრთა მეტყველებაში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრი, II, 2017, თბ..
5. ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: მ. ფაღავა, ნ. ცეცხლაძე, სამხრული კილოები – ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, თბ.

შავშურ-კლარჯულ დიალექტებში შემოსული არაბული სიტყვების ფონეტიკური ტრანფორმაციები

სიმა ინგენჩი
გათუმის შოთა რუსტაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორც ცნობილია, სამყაროში არსებობს 7.000–მდე ენა. მათგან რამოდენიმე ასეული არის ლიტერატურული ენა. აღნიშნული ენებიდან მხოლოდ თოთხმეტს აქვს საკუთარი დამწერლობა, ქართული ენა ერთ–ერთია ამ 14 ენათაგან. აღნიშნული მდგომარეობა მიუთიუთებს იმაზე თუ, რაოდენ განსაკუთრებულია ქართული ენა და რამდენად დიდი სამწერლობო ტრადიცია აქვს მას.

ქართული ენა ერთ–ერთია საკუთარი დამწერლობის მქონე კავკასიურ ენებს შორის. იმისათვის, რომ ჩავწვდეთ ქართული ენის ფესვებს, საჭიროა ჩავიხედოთ ძალიან ღრმად ამ ქვეყნის ისტორიაში. ქართული დამწერლობისა და ჩვეულ ნიშანთა მახასიათებლების რომელიმე ძველ ენებთან შედარებებით დასტურდება, რომ ქართული ენა არის უძველესი ქართველური ენის გაგრძელება. ცნობილია, რომ ქართველურ ენათა ჯგუფს შეადგენენ ქართული, სვანური და ლაზურ-მეგრული (zesp ზანური). მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ ზანურს დიდი ხნის ისტორიული ტრდიცია აქვს, სამეცნიერო ლიტერატურაში იხმარება აკად. ა. შანიძის მიერ შემოთავაზებული კოლხური ენაც. ლაზური და მეგრული ერთი ენის, კოლხურის დიალექტებია

ძველი ქართული ენა გამოიყენებოდა უძველესი დროიდან X ს.–ის ბოლომდე. XI-XII კი ქართული ენა იმდენად განვითარებული იყო, რომ არ არსებობდა ფილოსოფიური შედევრების თარგმნისა და ინტერპრეტაციის მხრივ რაიმე დამაბრკოლებელი ფაქტორი.

ახალი, ლიტერატურული ქართული ენა სათავეს შოთა რუსთაველის ეპოქიდან; გენიალური ,,ვეფხისტყაოსნის'' დაწერის პერიოდში XII ს.–დან. თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენის ტენდენციების ინიციატორები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ცნობილი მოღვაწეები.

თანამედროვე ქართული ენა მდიდარია ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტებით. შევნიშნავთ: დიალექტების გამოყოფა მეტნაკლებად პირობითია. არ არის იოლი ზოგჯერ მიჯნის დადება: ერთი და იგივე ნაირსახეობა სხვადასხვა ავტორთან შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს კვალიფიცირებული. მაგ.: ქვემოიმერული და ზემოიმერული ზოგჯერ დიალექტებად მოიაზრება (კ. კუბლაშვილი), ზოგჯერ იმერული დიალექტის კილოკავებად (ქ. ძოწენიძე და სხვ.).

დღესდღეობით ძირითადად საუბრობენ ქართული ენის ოცამდე დიალექტზე, რომელთა დაჯგუფებაც ხდება ძირითადად გეოგრაფიული პრინციპით, თუმცა არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ლინგვისტურ მონაცემებსაც:

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებია: ქართლური, კახური და ისტორიულად კახურის განაყარი დიალექტები – ინგილოური (აზერბაიჯანში), ფერეიდნული (ირანში); აქვე მოიაზრებენ მესხურს (სამცხურ-ჯავახური).

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებია: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული.

დასავლეთ საქართველოს დიალექტები: იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, გურული, აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური (http://edutime.ge/?p=1531).

ჭოროხის ხეობის მკვიდრთა დიდ ნაწილს, ავტოქთონი ეთნიკური ქართველები შეადგენენ: შავშელები (იმერხევლები), ლივანელები, მაჭახლელები, ტაოელები და ლაზები. მათ ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უცხოენობრივ გარემოში მოუწიათ ცხოვრება, მაგრამ მოახერხეს დღემდე შეენარჩუნებინათ ქართული ენა და ქართული (ქართველური) თვითშეგნება (ჯანგავიძე: 2015, 15)

ისტორიული სამხრეთ საქართველოს ნაწილი - ტაო დღეს თურქეთის რესპუბლიკაში მდებარეობს. ჭოროხის ხეობაში რამდენიმე ქართული ,,ქვეყანაა'': ტაო, სპერი, კლარჯეთი, შავშეთი, მაჭახელი და აჭარა. დღეს ტაოს ყველა ქართულ სოფელს, ისევე როგორც შავშეთ-იმერხევისას, ოფიციალურად თურქული სახელები ჰქვია.

ტაო ორ ნაწილად იყოფა: იმიერ და ამიერ ტაოდ. ამიერ და იმიერ ტაო ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა ოლთისისწყლის ქვემო წელით და მისი შენაკადი ბარდუსის წყლით. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა (როგორც ქართველები, ისე თურქები) ყოველდღიურ ურთიერთობაში სოფლებსა თუ მის ცალკეულ ადგილებს ხშირად ძველი, ქართული სახელებით მოიხსენიებს.

იმერხევი ისტორიული შავშეთის ნაწილია, ამიტომ იმერხეულ მეტყველებას შავშურ დიალექტსაც უწოდებენ.

წინამდებარე ნაშრომში ვსაუბრობთ შავშურსა და კლარჯულში გამოვლენილი არაბული სიტყვების შესახებ.

აღვნიშნავთ, არაბული ენა წარმოადგენს სემიტურ ენათა ოჯახის ყველაზე დიდ წევრს. სხვა რამდენიმე სემიტური ენის მსგავსად არაბულ ენაზე დამწერლობა ხორციელდება მარჯვნიდან მარცხნივ. არაბული ენის ფესვები ეფუძნება, ისლამის მიღებამდე არსებული პერიოდის არაბეთს, სადაც ადგილობრივი ტომების მიერ გამოყენებული იყო არაბული დიალექტები.

დღევანდელ არაბულ სამყაროში, არაბულ ენაზე საუბრობს 200 მილიონზე მეტი ადამიანი და ამავდროულად 22 იგი ქვეყანაში წარმოადგენს ოფიციალურ სახელმწიფო ენას.

აგებულების თვალსაზრისით არაბული ენა არის მრავალსართიანი ენა, ფუძე მრავალ-სართიანია და სიტყვის თარგმნისას თანხმოვნები იგივე მდგომარეობაში რჩება, ხმოვნები კი განიცდიან ტრანსფორმაციას, რაც გამოწვეულია არაბული ენის ფლექსიურობით.

გამოკვლევების მიხედვით, არაბული დამწერლობა წარმოიშვა ნაბატეური დამწერლობის ტრანსფორმირების შედეგად VII ს.–დან. VII ს–დან მოყოლებული არაბულის გამოყენების არეალის გაფართოების შემდეგ X ს.–ში ირანის გავლით თურქულ და ინდურ ტერიტორიებზე, სამხრეთით აფრიკაში, დასავლეთით ანდალუსიასა და

ეგვიპტეში გავრცელდა. თავის მხრივ საკმაო ზეგავლენა განიცადა სპარსული, თურქული და ინდური ენებისაგან.

როგორც ცნობილია, ყველა ენას აქვს თავისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფორმები და ნიმუშები. არაბული ენის ფონეტიკურ საფუძვლებში კი მდებარეობს ყურანის (წმინდა წიგნი) ლამაზად წაკითხვა და წაკითხვისთვის სისტემატური სახის მინიჭება. არაბებში, ფონეტიკური მეცნიერება მჭიდრო კავშირშია რელიგიურ, განსაკუთრებით კი, თაჯვიდის (ყურანის ორთოეპიკური კითხვა და ყურანის შესაბამისი დისციპლინა) მეცნიერებასთან. ისლამის ახალი მიმდევრებისთვის არაბული ენისთვის დამახასიათებელი ასო–ბგერების წარმოთქმის სირთულემ განაპირობა ფონეტიკის მეცნიერების დარგში მუშაობის საჭიროება.

არაბული ენის ყველაზე დიდი თვისებაა, რომ იგი არ არის რომელიმე კონკრეტული რასის, არამედ მთელი ცივილიზაციის (ისლამური ცივილიზაცია) ენა. არაბ მუსლიმთა წვლილი არაბული ენის განვითარებაში არანაკლებია თვით არაბებზე და შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტიც კია. ზეპირი ტრადიციის მატარებელი არაბული ენა დამწერლობაში გადასვლისას დამდგარა სხვადასხვა პრობლემის წინაშე, რომლის გადალახვის სურვილი გახდა არაბული ლინგვისტიკის გავითარების ლოკომოტივი.

არაბულ ხმოვანთა გადმოცემა

არაბული წარმომავლობის სიტყვებში, ხმოვანთა დონეზე წარმოიქმნება შემდეგი ჟღერადობის მოვლენები.

არაბ. ‘a’> შავშურ-კლარჯულ დიალექ.‘ა’

არაბ. أقرباء/ aḳribāʾ> ახრაბა;

არაბ. أمّا / ammā > ამა;

არაბ. أقسام/aḳsām > ახშამი;

არაბ. ‘ʿa’> შავშურ-კლარჯულ დიალექ.‘ა’

არაბ.عدد /ʿadad > ადეთი;

არაბ.عرفة/ʿarafa > არაფა

არაბ. ‘a’> შავშურ-კლარჯულ დიალექ. ‘ე’

არაბ. عمليّات/ʿamaliyyat > ამელია, ამელიათი

არაბ. درس/dars > დერსი;

არაბ. ‘ʿa’> შავშურ-კლარჯულ დიალექ.‘ე’

არაბ. نعناع /naʿnāʿ > ნაანე;

არაბ. ‘a’> შავშურ-კლარჯულ დიალექ. ‘ი’

არაბ. أدنيّة /aḏiyyat > ეზიეთი;

არაბ. ‘ʿa’> შავშურ-კლარჯულ დიალექ.‘ი’

არაბ. مقدنس/معدنس /maḳdanus ან maʿdanus > მაიდანუზი||მაიდანოზი;

არაბ. ‘i’>შავშურ-კლარჯულ დიალექ.‘ი’

არაბ.منّة /minnat > მინნეთი;

არაბ. ‘i’>შავშურ-კლარჯულ დიალექ.‘ა’

არაბ. قنتار /ḳintār > ყანთარი;

არაბ. ‘a’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ი’

არაბ. كفن /kafan > ქეფინი;

არაბ. ‘u’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘უ’

არაბ. قماش /ḳumāš > ყუმაში;

არაბ. ‘a’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘უ’

არაბ. لقب /laḳab > ლაღუბი;

არაბული თანხმოვნების გადმოცემა

არაბული წარმომავლობის სიტყვებში, თანხმოვანთა დონეზე წარმოიქმნება შემდეგი ჟღერადობის მოვლენები.

არაბული ‘ع‘აᲂᲓ’ >შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘Ø’

არაბ. عرفة / ʿarafa > არაფა;

არაბ. عسكر /ʿaskar > ასკერი;

არაბული ‘ ح/ ḥ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘Ø’

არაბ. محلّة / maḥalla > მაალე;

არაბ. محاسبة / muḥāsaba > მუასებე;

არაბ. رحمة/ raḥmat> რამეთლი;

არაბ. صاحب / ṣāḥib > საიბი;

არაბული ‘ح / ḥ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ჰ’

არაბ. ريحان/ rayḥān> რეჰანი;

არაბ. حكومة / ḥukūmat> ჰუქუმეთი;

არაბ. حرب/ ḥarb> ჰარბი;

არაბ. حلال / ḥalāl> ჰელალი;

არაბ.حلواء / ḥalwāʾ> ჰელვა;

არაბული ‘ح / ḥ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ხ’

არაბ. تحصيل / taḥṣīl> თახსილი;

არაბ. محتاج / muḥtāc> მუხტაჯი;

არაბული ‘ح / ḥ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘Ø’

არაბ. رحمة / raḥmat> რამეთლი;

არაბ. محلّة / maḥalla> მაალე;

არაბული ‘خ / χ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ხ’

არაბ. مختار / muχtār>მუხთარი;

არაბ. خبر/χabar> ხაბერი;

არაბ. خير /χayr > ხეირი;

არაბ. خص /χaṣm > ხისიმი;

არაბული ‘خ / χ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ღ ’

არაბ. بخار / buχār > ბუღა;

არაბული ‘غ / ġ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ღ ’

არაბ. لغم / laġm >ლაღუმი;

არაბული ‘ط / ṭ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ტ’

არაბ. أطراف / aṭrāf > ეტრაპი;
არაბ. قطار / ḳaṭār > კატარი;
არაბული ‘ط / ṭ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ თ ’
არაბ. شيطان / şayṭān > შეითანი;
არაბ. طبيعة / ṭabīʿat > თაბიეთი;
არაბ. طرف / ṭaraf >. თარაფი;
არაბ. طيّار / ṭayyār > თეარე;
არაბული ‘ض / ḍ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ზ ’
არაბ. قضاء / ḳaḍāʾ > კაზა;
არაბ. رمضان / ramaḍān > რემეზანი;
არაბ. حاضر / ḥāḍir > ხაზირი;
არაბული ‘ ب/ b’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ბ ’
არაბ. صاحب / ṣāḥib > საიბი;
არაბ. سبب / sabab > სებები;
არაბ. كتاب / kitāb > ქითაბი;
არაბული ‘ ب/ b’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ფ ’
არაბ. جيب / cayb > ჯეფი;
არაბ. عجباء / ʿacabā > აჯაფ;
არაბ. سبحان الله /*subhānallah* > სუფხანელა;
არაბ. بادنجان / bādincān >ფათლიჯანი;
არაბული ‘ف/ f ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ფ ’
არაბ. دفتر / daftar>დეფთერი;
არაბ. أطراف / aṭrāf > ეტრაპი;
არაბ. ظرف / ẓarf> ზარფი;
არაბ. زفت / zift > ზიფთი;
არაბული ‘ز/ z ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ რ ’
არაბ. زلزلة / zalzala > ზელზერე;
არაბული ص/ ṣ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ს ’
არაბ. قصور / ḳuṣūr > ყუსური;
არაბ. خصم /χaṣm > ხისიმი;
არაბ. تحصيل / taḥṣīl > თახსილი;
არაბ. مقصّ / miḳaṣṣ > მახასი;
არაბული ‘س/ s’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ს ’
არაბ. إنسان / insān > ინსანი;
არაბ. مسألة / masʾala > მესელე;
არაბ. مهندس / muhandis > მუენდისი;
არაბ. نيسان / nīsān > ნისანი;
არაბული ‘س/ s’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ზ ’
არაბ. مقدنس/معدنس / maḳdanus/maʿdanus > მაიდანუზი/მაიდანოზი;
არაბული ‘ش/ ş’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ შ ’
არაბ. كشيش / kaşīş > ქეშიში;

არაბ. قماش / ḳumāš > ყუმაში;
არაბ. شراب / šarāb > შარაბი;
არაბ. شمسيّة / šamsiyya > შემსიე;
არაბული ‘ز/ z’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ზ ’
არაბ. جوز / cawz > ჯევიზი;
არაბ. زوالي / zawālī > ზავალი;
არაბ. زمان / zamān >. ზამანი;
არაბ. زفت / zift >ზიფთი;
არაბული ‘د/ d’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ დ ’
არაბ. إدارة / idārat > იდარე;
არაბ. معدن / maʿdin > მადენი;
არაბ. ميدان / maydān >მეიდანი;
არაბ. مندل / mandil > მენდილი;
არაბული ‘د/ d’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ თ ’
არაბ.عدد /ʿadad >ადეთი;
არაბული ‘ش/ ş ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ შ ’
არაბ. كشيش / kaşīş > ქეშიში;
არაბ. شرف / şaraf > შერეფი;
არაბ. عاشق / ʿāşiḳ >აშიღი;
არაბული ‘ ჯ/ c ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ჯ ’
არაბ. أجل / ʾacal > ეჯელი;
არაბ. ترجمان / tarcumān > თერჯიმანი;
არაბული ‘ر/ r ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ რ ’
არაბ. إدارة / idāra > იდარე;
არაბ. مزار / mazār >მეზერი;
არაბული ‘ ك/ k ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ქ ’
არაბ. مملكة / mamlakat > მემლექეთი;
არაბ. حكومة / ḥukūmat > ჰუქუმეთი;
არაბული ‘ ك/ k ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ კ ’
არაბ. عسكر / ʿaskar > ასკერი;
არაბული ‘ ك/ k ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ყ ’
არაბ. كرمزى / kirmizī > გაყირმიზება;
არაბ. كذا / ka-ḏā > ყეზა;
არაბული ‘ ك/ k ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ხ ’
არაბ. عَكْس / ʿaks> ახსი;
არაბული ‘ ق / ḳ ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘კ ’
არაბ. دقيقة / daḳīḳa > დაკიკა;
არაბ. قضاء /ḳaḍāʾ > კაზა;
არაბული ‘ ق / ḳ ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ყ ’
არაბ. مرقّ/مراق / marāḳḳ > მერაყი;
არაბ. قبول / ḳabūl> ყაბული;

არაბული ‘ ق / ķ ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ქ ’

არაბ. شقاء / şaķā’> შაქა;

არაბული ‘ ق / ķ ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ხ ’

არაბ. أقرباء / aķribā’> ახრაბა;

არაბ. أقسام / aķsām> ახშამი;

არაბ. أشقياء / aşķiyā’> ეშხია;

არაბული ‘ ق / ķ ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ღ ’

არაბ. عاشق / ’āşiķ> აშიღი;

არაბ. لقب / laķab> ლაღაბი;

არაბ. صندوق / ṣundūķ>სანდუღი;

არაბული ‘ ن / n ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ.‘ ნ ’

არაბ. نيسان / nīsān> ნისანი;

არაბ. رمضان / ramaḍān > რემეზანი;

არაბული ‘ و / w ’>შავშურ-კლარჯულ დიალქ. ‘ ვ ’

არაბ. سوداء / sawdā’> სევდა;

არაბ. قوّة / ķuwwat>ყუვეთი;

დასკვნა:

VII ს.–ში, საქართველოში ინდივიდუალური ან პატარა დაჯგუფებებისაგან შემდგარმა ისლამურმა, არაბულმა ბატონობამ გამოიწვია გარკვეული ზეგავლენები ორივე ერებს შორის. აღნიშნული ურთიერთქმედება გამოიხატება ენაში, რელიგიასა და სოციალურ ჩვევებში. ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ არაბულის გავლენას ქართული ენის ლექსიკაზე, კერძოდ, არაბული სიტყვის ტრანსფორმაციას ქართულში.

LINGUISTICS

A SHORT REVIEW ON PHONETIC CHANGES OF ARABIC WORDS IN SHAVSHETI AND KLARJETI DIALECTS

Sima Ingench

BatumiShotaRustaveliState University

ABSTRACT

The interactions between the languages have been continued throughout their historical development processes. Although the extent of these influences differ for each language, word-exchange is common for all, and mostly occurs as a result of cultural interaction.

Loan words are one of the main sources of a language richness. Research and detection of loan words plays an important role in learning of language history. The Eastern languages, especially the words taken from the Arabic language, have an important place in the dictionary field of the Georgian language. Throughout the history scene, It is inevitable

that Georgian and Arabic cultures which have close geography, interact with each other. Georgian-Arabic literary relations, dating back to approximately 7-8 centuries have a depth that lasts for centuries. Arabic words in Georgian vocabulary, their semantic change is mainly our topic to be considered in this article. Important examples are given in our work about the meaning of words in Georgian language. In this article, the relationship and interaction between Georgian language and Arabic languages will be discussed.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Işler E. (2008). Türkçe-Arapça Kapsamlı Sözlük. Ankara.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1950–1964). ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავასსაერთორედაქციით.
3. შავშეთი (ავტორთა ჯგუფი), გამ.. ჰოროსი XXI. თბილისი, 2011.
4. კლარჯეთი (ავტორტა ჯგუფი). გამ.სამშობლო. თბილისი, 2016.
5. ნ. ცეცხლაძე, ს. გოგიტიძე 2001 - Osmanli oncesi Savsat Tarihi. Cveneburi, N40, Istanbul.
6. Özdemir Halit 2002 - Artvin Tarihi, Artvin.
7. Nişanyan S. (2009). Sözlerin Soyağacı. Everest. İstanbul
8. Ülkü Önal (2010) Ülkü Önal, Artvın muhacirlik hatıralari, Ankara.
9. Şahin (1997) Şahin Remzi, Şahin Zeki,Akalın Zeki, Artvin Yöresi Folkloru Halk Kültürü Araştırması,Mayıs.
10. ს. ჟღენტი,ქართულიენისფონეტიკა. თბილისი, 1956.
11. გიგიაშვილი ი. კოპლატაძე გ. ტაო-კლარჯეთი. თბილისი, 2004.
12. ფუტკარაძე. შ. ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიულ იტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო მაცნე. თბილისი, 1995.
13. ივ. ქავთარაძე, ქართულიენისისტორიისათვის (XII-XVIII სს), I, თბილისი, 1964.
14. ბ. ჯორბენაძე,ქართულიდიალექტოლოგია,თბილისი, 1989.
15. ცეცხელაძე,ქართულიენისზოგიერთისაკითხიშავშეთ-იმერხევისტოპონიმიაში (პრე¬ფიქს-სუფიქსურიწარმოება). ჟურნალი . „ლიტერატურულიაჭარა“, №12. ბათუმი, 1999.
16. Gairdner H.T. (1925). The Phonetics of Arabic. Oxford: University Press, 1925.
17. ა. ლეკიაშვილი, არაბულიენა, I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1977.
18. Lane E.W. Arabic-English Lexicon. New-York: ”Frederick Ungar Publishing Co“, 1865-1873.
19. Yasin Kahyaoğlu, Arap Dili Fonetiği ve Telaffuz Problemi, http://www.onlinearabic.net/forum/forum-posts.asp?TID=6184
20. ხატია ჯანგავაძე, ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი, თბილისი, 2015.

Ещё Раз К Вопросу О Топонимах «Аджария» И «Грузия»

М.Х.Ахведиани

Батумский государственний университет им. Шота Руставели

Вопрос о передаче топонимов с одного языка на другой язык всегда интересовал как специалистов, так и носителей языка вообще. Это объясняется тем, что топоним не только маркирует, но и несёт в себе большую познавательную и эстетическую функцию. Поэтому естественен интерес к фонетическому и графическому оформлению грузинских топонимов в других языках.

Процесс заимствования и оформления грамматического облика грузинских топонимов, в русском языке начался очень давно, еще в XVI-XVII веках. Сначала грузинские топонимы употреблялись в путевых записках русских путешественников и дипломатов. Так, например, «В посольстве Федота Елчина в Грузию» (начало XVII в.) мы уже находим большое количество грузинских топонимов: Тюфлис, Зубдиди, Хони, Рьян (Риони), Дидьянская земля, Гурьельское царство и др. (Сокровища древнерусской литературы, с. 270-288). Затем они стали встречаться в художественной и публицистической литературе. В результате присоединения Грузии к России установились тесные культурные, политические и экономические контакты между этими государствами и народами, населяющими их. Всё это вызвало приток грузинской топонимической лексики в русский язык. Однако частое употребление грузинских топонимов в русском языке вызвало ряд проблем. Примером может служить широко известный топоним ***Аджария***. Уже почти полтора века этот топоним в русском языке передаётся данным звуковым комплексом. С традицией, конечно, следует считаться, однако, если в традиции закрепилась явная неточность, то стоит подумать об её устранении.

Передача топонима «აჭარა»(Ачара) на русский язык в форме ***Аджария*** с лингвистической точки зрения является ошибочной, так как грузинскому звуку «ჭ» в русском языке соответствует звук **«ч»**, а не звукосочетание **«дж».** Эта ошибка, по всей вероятности, объясняется влиянием тюркоязычной речи, в которой нет звука «ჭ» и в качестве ближайшего созвучия воспринимается звук «ჯ» (**дж**).

Употребление «дж» вместо «ჭ» встречается не только в топониме ***Аджария***, но и в некоторых других словах, в частности, в нарицательном существительном *«маджари»-«მაჭარი»* (молодое вино), например: 1.«Куда мы торопимся, Костя, ***маджари*** едва пригубя?» (Е.Евтушенко. Стихотворение «Горная дорога»); 2. «В честь истины, которую мы ждали, доверимся младенчеству ***маджари*** !» (Б.Ахмадулина. «Сны о Грузии»).

На развитие подобных явлений нередко влияют не только лингвистические, но и экстралингвистические факторы. Когда русские пришли в Грузию, а позднее и в Аджарию, то они встретили здесь многоязычное общество, в том числе и тюркоязычное. Тюркоязычное население **«ჭ»** не произносило, и в грузинских словах, содержащих этот звук, в их

произношении звучало «ჯ»: *Аджара, маджари* и т.п. Постепенно данные формы закрепились в языке русскоязычных документов и художественной литературы. Что же касается окончания «-ия» (Аджар-ия), то оно возникло по очень сильной аналогии оформления топонимов: Англия, Италия, Сванетия, Кахетия и т.п.

То, что данная неточность требует устранения, это очевидно. Видимо, как в Грузии, так и в России следует соответственно определить негрузинское произношение и написание грузинского топонима აჭარა (**Ачара**) во всех случаях его употребления, начиная с официального названия автономной республики и кончая разного рода вывесками и другими обозначениями.

Некоторые из грузинских топонимов издавна имеют соответствия в русском языке. Так, в русском языке давно существует слово ***Грузия***. Сегодня многие связывают происхождение данного топонима с греческим словом ***Георгий.***

Грузия с незапамятных времен находилась в тесных культурных, экономических и политических отношениях с Грецией. На ее территории находились греческие поселения. «Георгий» по-гречески – земледелец, соответственно «Георгия» - страна земледелия. Именно этот топоним закрепился во многих странах мира в качестве названия Грузии (Georgia).

Некоторые языковеды считают, что в русском языке в результате ряда фонетических изменений топоним ***Георгия*** получил огласовку ***Грузия.***

Однако с нашей точки зрения данная версия происхождения топонима **Грузия** является ошибочной. Большего внимания заслуживает точка зрения о персидско-турецком происхождении топонима Грузия. (Цибахашвили Г.И., стр. 117.).

Существует предположение, что персы в древности грузин называли <u>горгами.</u> «Горг» (или «гург») в переводе на русский язык означает «<u>волк»</u>. Вспомним известного грузинского царя Вахтанга I, носившего прозвище **Горгасал** (Гургаслан) – «волчья голова»: «…грузинские католикосы, появляющиеся лишь со времён Вахтанга **Гургаслана** и состоявшие из греков, до царя Парсмана VI присылались из Антиохии…» (Бакрадзе Д.З., стр.5).

Грузины издавна воевали с персами (Ираном). Часто наносили им ощутимые потери, создавали завоевателям всяческие неудобства, тем самым вызывая к себе негативное отношение. Многие грузинские воины отличались смелостью, ловкостью, сопоставимой с качествами волка, поэтому, видимо, и заслужили подобное прозвище.

Из персидского языка слово «гург» попало в тюркские языки, получив здесь огласовку «гурдж». В тюркских языках Грузия называется Гурджистан, а грузины – «гурджи». Фонема «ჯ» в русском языке отсутствует, поэтому в результате субституции (замещения) здесь она была заменена близким по звучанию звуком «з». Так из тюркского «**гурджи**» в русском языке получили «**гурзи**». Затем в результате фонетического процесса метатезы (перестановки) из «**гурзи**» возник корень «**груз**». А окончание «-**ия**», характерное для многих русских географических названий, окончательно оформило облик данного топонима – ***Грузия***.

Мы, конечно же, не считаем приведенную выше точку зрения неоспоримой, однако думаем, что и подобная трактовка происхождения топонима «Грузия» также заслуживает внимания.

LINGUISTICS

Once Again on the Toponyms «Аджария» (Adjaria) and «Грузия» (Gruzia)

Merab Akhvlediani
BatumiShotaRustaveliState University

The article deals with loan taking and grammatical formation of the above mentioned toponyms.

The author of the article tries to provide scientific justification to prove the Persian-Turkish origin of the toponym «Грузия» (Russian word for the word "Georgia").

Moreover, the author focuses, once again, on the wrong way of conveying the toponym "Ajara" in Russian Language and states that the given toponym must be presented as "Ачара" (Achara) and not as "Аджария" (Adjaria) in Russia langauge.

Литература:

1. Бакрадзе Д.З. Об отношениях Армении и Грузии к Византии вообще и в X веке в особенности. Известия Кавказского общества истории и археологии. Под редакцией Д.З.Бакрадзе и Е.Г.Вейденбаума. Том I, вып. I, Тифлис, 1882.
2. Цибахашвили Г.И. О передаче географических названий с языка на язык. Журнал «Русский язык в грузинской школе», 1980, №1.
3. Сокровища древнерусской литературы. Записки русских путешественников XVI-XVII вв.- М., 1988, с. 270-288.

აჭარისავტონომიურირესპუბლიკისრეგიონულისამეცნიეროცენტრის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

ცენტრის მთავარ ამოცანად დასახულ იქნა დარგობრივი კომისიებისა და არსებული სამეცნიერო პოტენციალის გააქტიურება, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევების შესაბამისი პროექტების, რეგიონში დაგროვილი პრობლემებისა და საკითხების მეცნიერული შესწავლა, ასევე, ცენტრის ჩართულობის გაფართოება პრაქტიკული წინადადებების მომზადებისა და განხორციელების საქმეში.

დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის გამოყენებულ იქნა აქტიური კომუნიკაცია ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ფირმებთან და სხვა სუბიექტებთან.

- შემუშავებულ იქნა მევენახეობა-მეღვინეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, ველურ ენდემურ, პერსპექტიულ ინტროდუცირებულ მცენარეთა ნედლეულის რაციონალური გამოყენების ეფექტური ტექნოლოგიები.

- ცენტრი უშუალოდ იყო ჩართული შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიერ ჩატარებულ ღვინისა და ყველის ფესტივალში, ბათუმში და ქობულეთში ციტრუსოვანთა ნაყოფის გამოფენისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვების პროდუქტების გამოფენის მეთოდური საკითხების მომზადებასა და განხორციელებაში; მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო კვლევებით დადგინდა სარწყავად ვარგისი წყლის რესურსები, მათი მიწოდებისა და გამოყენების რაციონალური წინადადებები, შემუშავდა მოსახლეობისათვის სასმელი წყლების სხვადასხვა მინარევისაგან გაწმენდის ეფექტური ტექნოლოგია; მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირითადი ბუნებრივი, ეკონომიკური და დარგობრივი სტრუქტურის ფაქტორების, აგრეთვე, არსებული საწარმოო საშუალებების ობიექტური შეფასების საფუძველზე მეცნიერულად იქნა შესწავლილი და შემუშავებული აჭარის აგროსექტორში ჩამოყალიბებული კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო წარმოების იდენტიფიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელ სხვა დარგებთან საწარმოო-ეკონომიკური კავშირების გათვალისწინებით, კოოპერატივებსა და სამრეწველო საწარმოებთან ინტეგრირების ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების გაფართოებას; შემუშავდა საკურორტო ქსელის, განსაკუთრებით, სოფლად საოჯახო ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებათა მიწოდებისა და, აგრეთვე, არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების, სოფლად მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების რეკომენდაციები და წინადადებები, რაც იქნება უმუშევრობისა და სიღატაკის დაძლევის, სოფლად შიგა და გარე მიგრაციის პროცესის შეჩერების, შედეგად, სოფლის მოსახლეობის ზრდისა და დემოგრაფიული პროცესების გაუმჯობესების საფუძველი.

- ცენტრი ჩართული იყო რეგიონში ხელისუფლების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტებისა და პროგრამების შემუშავება-განხორციელების პროცესში რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების გზით.

- ჩატარდა აჭარაში მეფუტკრეობის თანამედროვე მიღწევების დანერგვის სამუშაოები, შესწავლილია ალპური მესაქონლეობის განვითარებისა და კვალიფიციური ვეტერინარული მომსახურების საკითხები. გამოსაქვეყნებლად მომზადდა მონოგრაფია „აჭარაში იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველები“. ჩატარდა კვლევები და შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს შიგა წყალსატევებში და ზღვის აკვატორიაში იქთიოფაუნის სახეობრივი შედგენილობის, ბიოლოგიის, რესურსების შენარჩუნებისა და დაცვის საკითხებზე.

- აჭარის ზღვისპირა ზოლში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდანაპირსამაგრისამუშაოები ეფექტური აპრობირებული მეთოდით, ანუ „ხელოვნური კვების“ გზით ხელოვნური პლაჟების შექმნით, კერძოდ, დეზებით, ჯებირებით, ტეტრაპოლებით, ბეტონის მასივებით, ფლეთილი ქვების ბერმით და სხვა სახის ჰიდროტექნიკური კონსტრუქციებით ნაპირსამაგრების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებით. კვლევები ხორციელდებოდა პროექტის - „კლიმატური ცვლილება და აჭარის სანაპირო ზოლის განვითარების პერსპექტივები“ - ფარგლებში.

- ცენტრი ასრულებდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის პროექტს- „მაღალი კონსერვაციული და განსაკუთრებული დაცვითი ღირებულების მქონე ტყეების გამოვლენა, მათი საზღვრების დაზუსტება და რუკაზე დატანა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“.

ამ პროექტის მიხედვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

ნიადაგის ეროზიის, მეწყერისა და ზვავის საფრთხის შერბილებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ტყეები, მათი საზღვრების დაზუსტება და რუკაზე დატანა; განსაკუთრებული დაცვითი (ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, წყალდაცვითი) ფუნქციების ტყეები, მათი საზღვრების დაზუსტება და რუკაზე დატანა; გლობალურ დონეზე განსაზღვრული მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების კატეგორიებისა და ინდიკატორების საფუძველზე ადგილობრივ სპეციფიკაზე მორგებული მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების კატეგორიებისა და ინდიკატორების მიხედვით გამოყოფა, დაზუსტება, მათი დაცვისა და მეურნეობის გაძღოლის პრობლემები;

- ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების სფეროში მომზადდა პუბლიკაციები ჩეხის საზღვრული ჰომოლიგიის ჯგუფებისა და ზოგიერთი გამოყენებების, უწყვეტი ასახვების ძლიერი ჰომოლოგიის თეორიის, ტოპოლოგიურ სივრცეთა ფუბრული ძლიერი შეიპური თეორიის, უწყვეტ ასახვათა ალგებრული და გეომეტრიული თვისებები და მათი გამოყენების პრობლემებთან კავშირი.

კვლევების შედეგად განვითარებულ იქნა საზღვრული ჰომოლოგიისა და კოჰომოლოგიის თეორიები, მეტრიზებად აღიწერასივრცეთა სტოუნ-ჩეხის კომპაქტიკაციის ნაზარდი ჰომოლოგიის ჯგუფები, დიდი და მცირე კოჰომოლოგიური განხორციელებების სივრცის შინაგან ტერმინებში, კერძოდ, მის მიერ აგებული განმარტებული საზღვრული ჰომოლოგიის ჯგუფებით. გამოკვლეულ იქნა პრობლემა - შესაძლებელია თუ არა

ტოპოლოგიურ სივრცეთა კოჰომოლოგიის თეორიათა ასიომატური აღწერა ფარდობითი ჯგუფების გარეშე, კვლევები განხორციელდა ალგებრის, რიცხვთა თეორიის, მათემატიკური ლოგიკის, ანალიზისა და ალბათობის თეორიის მიმართულებით;

- ქართული ენის, ლიტერატურისა და ფოლკლორის დარგში გამოქვეყნდა 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 2 მონოგრაფია. ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხულ იქნა 30-ზე მეტი მოხსენება. მოეწყო 5 კომპლექსური ექსპედიცია ჭოროხის ხეობაში, ისტორიულ კლარჯეთში, ტაოსა და მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში თურქეთის შავი ზღვის რეგიონში, შეიკრიბა და მიმოქცევაში შევიდა ახალი დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალები.

ოსმალურიდან ითარგმნა ტაოს აღწერის მასალები, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტზე: „ტაო - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ და „მარადიდი“, მთავრდება მუშაობა პროექტზე ,,აფხაზები აჭარაში“

დასრულდა მუშაობა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტზე - „პონტოელი ბერძნები აჭარაში - წარსული და თანამედროვეობა“და გამოიცა შემაჯამებელი ვრცელი მონოგრაფია.

- ისტორიის, არქეოლოგიის ეთნოლოგიისა და ხელოვნების სფეროში კოორდინაცია გაეწია მეცნიერული კვლევების განხორციელებას ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის), არქეოლოგიის, ისტორიისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე;

შემუშავებულ იქნა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და ღონისძიებების გეგმა 2018-2022 წლების პერიოდისათვის, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურ, ემიგრანტული და სოციალური მიმართულების კვლევების განხორციელებას.

გამოკვლეულ იქნა „ქართული ემიგრანტული მწერლობა“, „ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში“, გამოსაცემად მომზადდა ,,ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“ (აჭარა) და ა.შ., განხორციელებული მეცნიერული კვლევების საფუძველზე მომზადდა პუბლიკაციები.

- საზღვარგარეთის ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში განხორციელდა პროექტებისა და პროგრამების შემუშავებაინგლისური ლიტერატურის, ამერიკული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, მხატვრული თარგმანის, ბიბლიისა და ლიტერატურის, დასავლეთ ევროპული ლიტერატურის კრიტიკის, ლინგვისტიკის მიმართულებით.

- დემოგრაფიული და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სფეროში მომზადდა პუბლიკაციები თემაზე: „თონე“, „არტაანელთა სამეურნეო ცხოვრების ზოგიერთი საკითხები“, „მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული ასპექტები არტაანელთა ყოფაში“, „Проблемы религиозного и социально-культурного сосуществования беженцев и местного населения в Грузии”, „გურია-სამეგრელოს ეპარქია და ეპისკოპოს გრიგოლის წერილები დეკანოზ სიმონ ქიქოძისადმი“. დარგის სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო-კომპლექსურ ექსპედიციებში ჩილდირში და ცენტრალურ ლაზეთში;

საგრანტო პროექტების ფარგლებში განხორციელდა კვლევები „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო, საკულტო, საყოფაცხოვრებო, არქიტექტურული, ფოლკლორული და ენობრივი მონაცემები“, ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურა).

- ფილოსოფიის, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და იურიდიულ მეცნიერებათა მიმართულების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ფილოსოფიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გამოიცა მონოგრაფია „კონსტანტინე კამპანელის ფილოსოფია“. ფსიქოლოგიის სფეროში გამოიცა ყოველწლიური კრებული „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“. მიმდინარეობს სამუშაოები ბსუ-ში საუნივერსიტეტო ინგლისურენოვანი მოამბისფსიქოლოგიური სერიის გამოსაცემად.

- კვლევები განხორციელდა აჭარაში გავრცელებული ხეხილოვნების, ნარინჯოვანთა და თხილის ჯიშების ბიომრავალფეროვნების, აგრობიომრავალფეროვნების შესწავლისა და მცენარეული გენეტიკური რესურსების კოლექციის შექმნის, დაცვის, შენარჩუნებისა და გამოყენების მიზნით; განხორციელდა აჭარაში გავრცელებული ხეხილოვნების ჰომოლოგიური ნიშნების აღწერა, აღიწერა GPS კოორდინატები. საკოლექციო ნაკვეთში შეიქმნა სადედე პლანტაცია; ექსპედიციების გზით მოძიებულ იქნა ციტრუსოვანთა და ხეხილის, სხვა კულტურების ახალი ჯიშები, მოხდა მათი იდენტიფიკაცია.

- საყურადღებო კვლევები ჩატარდა ფიტოპათოლოგიური მიმართულებით საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო მცენარეების დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და დაცვის მიზნით. დასავლეთ საქართველოში ჩატარდა ექსპედიციები. მიეცა რეკომენდაციები აგრობიზნესის მეწარმე სუბიექტებს. დაავადებებისაგან მცენარეთა დაცვის ყველაზე ეფექტური მეთოდების გამოყენებით გამოვლინდა მენოტიპები ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით. ჩატარდა კვლევები ხორბლის ღეროს დაავადებასთან -ჟანგასთან დაკავშირებით.

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების მიმართულებით საველე ექსპედიციების საშუალებით აჭარის მთელ ტერიტორიაზე სოფლებში გამოკვლეულ იქნა ხეხილოვანი კულტურები მათი დაცვის, გამოყენების, დანიშნულების, აგროტექნოლოგიების შერჩევის მიზნით; მაღალმთიან პირობებში შესწავლილ იქნა ჩინური აქტინიდიის ბიოეკოლოგიური თავისებურებები მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავების მიზნით; ჩატარდა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ფეიჰოას ჯიშებისა და ფორმების ბიოქიმიური ანალიზი; ნარინჯოვანთა ატლასის შექმნის მიზნით შეგროვდა 200-მდე ფოტომასალა; მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნიდან ინტროდუცირებული ციტრუსების ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა და მათი სამრეწველო მასშტაბით გავრცელების დადგენა; მოძიებული და საკოლექციო ნაკვეთზე დარგული იქნა თხილის 12 ახალი ჯიშ-ნიმუშის ნერგები;

გაცემულ იქნა მცენარეთა მოვლა-მოყვანის, დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის 9 სახის რეკომენდაცია 6 იურიდიულ და 10 ფიზიკურ პირზე.

- მედიცინის მიმართულებით განხორციელდა მეცნიერული კვლევები საბაზისო მედიცინის, კლინიკური თერაპიის, კლინიკური ქირურგიის, სტომატოლოგიის, ფარმაციულ და სხვა დარგობრივი მიმართულებების მიხედვით; მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში, რეგიონში სამედიცინო მომსახურების სფეროში მოქმედ დაწესებულებებთან და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა თანამშრომლობის მიმართულებით.

- საინჟინრო მეცნიერებისა და ენერგეტიკის მიმართულებით დაიბეჭდა სახელმძღვანელო „ლითონის კონსტრუქციები“. დაიბეჭდა სტატიები: „თანამედროვე საინჟინრო გადაწყვეტილებების გამოყენება შენობა-ნაგებობებში, კატასტროფების რისკის შემცირების მიზნით“, „ახალი კონსტრუქციული სტრუქტურა ქიმიური და მზის ენერგიის გარდამქმნელის შეთავაზებით“, „ახალი მიდგომები სწრაფდასაგები მექანიზებული და ტრანსფორმირებადი ხიდების შექმნაში“, „ახალი მიდგომები ექსტრემალური მექანიზებული კომპლექსური სტრუქტურის შექმნაში“.

რეგიონული სამეცნიერო ცენტრის დარგობრივმა კომისიებმა თავიანთი მუშაობის შედეგები ასახეს ქვეყნის შიგა და საერთაშორისო დონის კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და სხვა სახის ფორუმებში მონაწილეობით, მოხსენებებითა და პუბლიკაციებით. რეგიონული სამეცნიერო ცენტრის წევრთა მონაწილეობით მომზადდა და განხორციელდა 100-მდე პროექტი, 80-მდე რეკომენდაცია და წინადადება. მონაწილეობა იქნა მიღებული ქვეყნის მასშტაბისა და საერთაშორისო დონის 60-მდე ღონისძიებაში. მომზადდა რეკომენდაციები, შენიშვნები და წინადადებები ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების 20-მდე პროექტზე. სტატიების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, წიგნებისა და სხვა სახით გამოიცა 90-ზე მეტი პუბლიკაცია.

ცენტრი აგრძელებდა მუშაობას აჭარის სამეცნიერო ცენტრის, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და „სოროპტიმისტ ინტერნაციონალისტ“ კლუბ „ბათუმის“ ერთობლივი პროექტის - ქართველთა და აფხაზთა შერიგების, საუკუნოვანი ძმობისა და ურთიერთობის აღდგენაში სახალხო დიპლომატიის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების მომზადებასა და განხორციელებაში.

ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის გაფართოებული სხდომისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარებას ბათუმში.წაკითხულ იქნა მოხსენება თემაზე: „რელიგიური გამოწვევები აჭარაში“.

ცენტრი არის ძირითადი შემსრულებელი და ხელმძღვანელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბიუჯეტო თემის - „დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი ზონების ნიადაგების აგროსაწარმოო დახასიათება მათი ტყის კულტურების ათვისების მიზნით“. არის შემსრულებელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო-

კვლევითი და საპროექტო დანერგვითი სამუშაოების თემატური გეგმებით გათვალისწინებული შემდეგი საბიუჯეტო თემებისა:

1) „აჭარაში არსებული ენდემური და ინტროდუცირებული მცენარეული ნედლეულის წარმოება-გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის ეფექტური ტექნოლოგიების შემუშავება“;

2) „აჭარის სუბტროპიკულ ზონაში მეციტრუსეობის რეაბილიტაცია-განვითარების მიზნით ნაყოფის შენახვა-ტრანსპორტირების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციის შემუშავება“;

3) „აჭარის აგროსექტორში ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირების შედეგების შესწავლა და მეცნიერული დასკვნების მომზადება“;

4) „აჭარის აგროსფეროს განვითარებაში განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის დონის შესწავლა და მეცნიერული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება“.

გამოიცა აჭარის რეგიონული სამეცნიერო შრომების მეორე ტომი.

მეგზური ავტორთათვის

ნაშრომი წარმოსადგენია შემდეგი სახით:

1. ნაშრომი შეიძლება წარმოდგეს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე.

ა. ქართულ ენაზე წარმოდგენილ სტატიას დაერთვის რეზიუმე უნგლისურ ან რუსულ ენებზე;

ბ. ინგლისურ/რუსულ ენებზე წარმოდგენილ სტატიას დაერთვის რეზიუმე ქართულ ენაზე.

გ. რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ ნაბეჭდ გვერდს.

2. ნაშრომის მოცულობა რეზიუმეს ჩათვლით შეიძლება იყოს A4 ფორმატის მაქსიმუმ 10 (ათი) ნაბეჭდი გვერდი (2 ინტერვალი, შრიფტის ზომა - 12, ზედა და ქვედა არეები - 2 სმ. გვერდითი არეები - 3 სმ; შრიფტი - Sylfaen, Time New Roman).

3. სტატია უნდა გაფორმდეს შემდეგი სახით:

- მეცნიერების დარგი
- სტატიის სათაური
- ავტორის/ავტორების სრული სახელი და გვარი
- სამუშაო ადგილი, საფოსტო მისამართი, ელ-ფოსტა
- რეზიუმე
- საკვანძო სიტყვები
- ტექსტი
- ლიტერატურის სია ტექსტში ციტირების მიმდევრობის მიხედვით (ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში, მაგ.[1.25])
- ნახაზები და ცხრილები მოცემული უნდა იყოს ცალკე გვერდზე. ფოტოები ორიგინალის სახით.
- სურათებს უნდა ახლდეს წარწერები.

4. ავტორი ვალდებულია რედაქციაში წარმოადგინოს სტატიის ამონაბეჭდი და ელ. ვერსია. ელექტრონული ვერსია: CD-ROM, ცხრილები და ნახაზები წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე ფაილად, ნახაზები უნდა შესრულდეს TIFF, EPS, მაღალი ხარისხის PDF, JPEG, ცხრილები: Word, Word Perfect, RTF.

5. ჟურნალი იბეჭდება სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით და შეიძლება იყოს დაწუნებული ან ექვემდებარებოდეს გადასინჯვას. სტატიის გასწორებული ვერსია ავტორს/ავტორებს არ უბრუნდება.

6. ნაშრომის გამოქვეყნება უფასოა.

ბათუმი, ნინოშვილის ქ. N 35

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ოთახი N 306

მობ.: 579 262687; 599 380626

ელ-ფოსტა: vano_papunidze@mail.ru

GUIDE FOR AUTHORS

Manuscripts should be presented in the following form:

1. The manuscript may be submitted in Georgian, Russian, and English.

a. A Georgian manuscript should have a summary in English or Russian;

b. An English/Russian manuscript should have summaries in Georgian;

c. A summary should not exceed half page.

2. The page limit of a manuscript including the summary is 10 (ten) pages of A4 format (line spacing: 2, font size: 12; upper and lower margins margins: 2 cm; left and right margins: 3 cm; font: Sylfaen, Time New Roman).

3. Manuscript order:

- Classification;
- Title;
- Full name(s), surname(s) of the author(s);
- Affiliation(s), postal address, e-mail;
- Abstract;
- Key words;
- Text
- References in the order of citation (numbers square brackets, e.g. [1.25]);
- Figures and Tables must be given on separate pages. Pictures and photos must be original;
- Figure legends;

4. Manuscripts shall be submitted in chard copy and electronic form. Electronic form: CDROM in Times New Roman. Text: Supply Word, Word Perfect, RTF. Figures and Tables must be submitted as separate files. Provide figure images in TIFF, EPS, high resolution PDF, JPEG. Tables: Supply Word, Word Perfect, RTF.

5. Manuscripts will be evaluated by the Editorial Board and may be rejected or subjected to further review. Corrected version is not returned to the author(s).

6. Publication is free of charge.

Batumi, Ninoshvili str. N35

Batumi Shota Rustaveli State University, Room N 306

Mob.: 579 262687; 599 380626

E-mail: vano_papunidze@mail.ru